თანამედროვე სამყაროს ინფორმატიზაციის პროცესი, ინფორმაციული საზოგადოების შექმნის აუცილებლობა, ინტერნეტ-კომუნიკაციების, კომპიუტერული მეცნიერების არნახული განვითარების ტემპი, დღევანდელ საგანმანათლებლო სისტემას აყენებს ფაქტის წინაშე და მეტად აქტუალური ხდება ინფორმაციული პედაგოგიკის, როგორც ინფორმაციულ სისტემასთან დამაკავშირებელი საშუალების, დამუშავების ამოცანები.

ინფორმაციული პედაგოგიკა, ეს არის საგანმანათლებლო სისტემის განვითარების თანამედროვე საფეხური, რომელიც ეხმარება მოსწავლეს ინფორმაციული კულტურის ფორმირებაში და ინფორმაციული სამყაროს სურათის აღქმაში, აძლევს საინფორმაციო გარემოში ორიენტირების, საინფორმაციო ნაკადის გაანალიზებისა და შესაბამისი ინფორმაციის მოხმარების საუკეთესო საშუალებას.

ამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ინფორმაციული პედაგოგიკის განვითარების პროცესმა და, ზოგადად, ინფორმაციული საზოგადოების შექმნისა და საგანმანათლებლო პროცესების ინფორმატიზაციის საყოველთაო აღიარებამ დღის წესრიგში პრინციპულად დააყენა სწავლებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტენსიურად ჩართვის აუცილებლობა.

ვფიქრობთ, პედაგოგი, რომელიც იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, თავის პედაგოგიურ მოღვაწეობაში უფრო მეტად მობილურია, იჩენს ლტოლვას სიახლეებისადმი; პოულობს მოსწავლეებთან/სტუდენტებთან საერთო ენას, ითვისებს პიროვნებაზე ორიენტირებულ ცოდნას, მონაწილეობს მისთვის აქტუალური საკითხების გადაწყვეტისათვის საჭირო დისკუსიებში, რაც თანამედროვე პრინციპებიდან გამომდინარეობს.

დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანი გამოყენება სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოსწავლეს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ შეფასებაც, შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით დასახული მიზნებისათვის ინფორმაციის გამოყენების ფორმების განსაზღვრა.

თანამედროვე ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროში საინფორმაციო ტექნოლოგიებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. იგი ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს განათლების სისტემას. კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოყენებით სწავლის პროცესი გაცილებით საინტერესო და მრავალფეროვანი ხდება. იზრდება შემეცნებითი აქტიურობა. ინტერნეტი უამრავი სხვადასხვა სახის რესურსებით ამდიდრებს პედაგოგისა და მოსწავლის საქმიანობას. დღეს უკვე წარმოუდგენელია ზრუნავდე სკოლის განვითარებაზე ინფორმაციის გამოყენების გარეშე. (ბიწამე, ჩიჩუა, 2004.).

ახალი საგნობრივი პროგრამები ითვალისწინებს ისეთ საქმიანობას, რომელიც ხელს შეუწყობს საკომუნიკაციო და ინფორმაციის დამუშავების უნარ-ჩვევების განვითარებას. ამ მიმართებით მიმდინარეობს ყველა საგნის მასწავლებლის გადამზადება სპეციალური პროგრამით, რათა მათ შეძლონ სწავლების პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების წარმატებით გამოყენება.

განვითარებულ ქვეყნებში ინფორმატიზაციის პროცესი არნახული ტემპით გრძელდება, რასაც ვერ ვიტყვით განვითარებად ქვეყნებზე. შედეგად იკვეთება ახალი ტიპის - „საინფორმაციო სილატაკის“ აჩრდილი, რომელიც განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის უფსკრულს კიდევ უფრო აღრმავებს. უახლოეს პერსპექტივაში საქართველოსა და ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებს შორის „ციფრული განხეთქილების“ აღმოფხვრა პრიორიტეტულ ამოცანად იქცა.

საბედნიეროდ, ამ ამოცანის შესასრულებლად სტრატეგიულ მიმართულებებს შორის განათლების ინფორმატიზაცია შეირჩა. ჩამოყალიბდა და ძალაში შევიდა მნიშვნელოვანი ინიციატივა - პროექტი „ინტერნეტის ხიდი დიდი აბრეშუმის გზაზე მოსწავლე ახალგაზრდობისათვის“. ეს პროექტი საქართველოში დიდი ხანია დაიწყო. იგი მსოფლიო

ეკონომიკურმა ფორუმმა სამაგალითოდ აღიარა განვითარებადი ქვეყნებისათვის. (თვალისშეწილი, 2000).

ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტმა ინტერნეტ-ტექნოლოგიების ფართოდ დასანერგად უკვე დასახა პრიორიტეტული მიმართულებები და გადაუდებელი ღონისძიებები. საქართველოს რამდენიმე რაიონსა და ქალაქში უკვე განვითარებულია სათანადო კომუნიკაციური ინფრასტრუქტურა. ფიზიკურ პირებსა და ორგანიზაციებს აქვთ ინტერნეტისა და ელექტრონული ფოსტის მოხმარების საშუალება (ამისათვის საჭიროა მინიმუმ ერთი, თუნდაც მოძველებული კონფიგურაციის კომპიუტერი, მოდემი და სატელეფონო კავშირი). მეორე მხრივ, ბევრ რაიონში ასეთი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ჯერ ინტელექტუალური რესურსების მობილიზება საჭირო.

შემუშავებულია ერთიანი გეგმა, რომლის მიხედვით კომპეტენტური ფორმით მოხდება ქართული ლიტერატურის ელექტრონულ ფორმებში გადატანა. ქართული კლასიკური, თანამედროვე ლიტერატურისა და მსოფლიო ლიტერატურის ქართული თარგმანების ელექტრონული ბანკის შექმნა. ელექტრონული ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებით, ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის სისწრაფე, მოცულობა და ხარისხი იზრდება. პრაქტიკაში დიდი მოწონებით სარგებლობს ელექტრონული წიგნები.

ინტერნეტ-რესურსების გამოყენების აუცილებლობას მოითხოვს საგანმანათლებლო პროგრამების მასალების ხარისხიანი სწავლების მისაღწევი მიზნები. თანამედროვე ლექტორ-მასწავლებელი უნდა ფლობდეს ინტერნეტ-რესურსების გამოყენების უნარ-ჩვევებს.

გავიხსენოთ, რომ რესურსები ეს არის სკოლის მიზნების მისაღწევად არსებული ფიზიკური, საინფორმაციო და ადამიანური რესურსების ერთობლიობა. ამჯერად ჩვენ განვიხილავთ საინფორმაციო რესურსებს, რომლებიც განლაგებულია ინტერნეტში.

საინფორმაციო რესურსების გამოყენების დროს მასწავლებლის წინაშე დგება ამოცანა: სად შეიძლება იყოს განთავსებული საგანმანათლებლო რესურსები! როგორ გამოვიყენოთ რესურსები ეფექტიანად იმისათვის, რომ დავეხმაროთ სასწავლო პროცესს, როგორ უნდა გაამდიდრონ მასწავლებლებმა საგანმანათლებლო რესურსები თანამშრომლობით და გამოცდილების გაზიარებით, როგორ შეამოწმოს მასწავლებელმა რესურსების ეფექტიანობა.

განვიხილოთ ის დადებითი მხარეები, რომელიც ეფექტიანს ხდის მოსწავლეებისათვის ინტერნეტ-რესურსების გამოყენებას:

- იძლევა ყველა საგანში მასალების გამოყენების შესაძლებლობას;
- შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მიზნებისათვის და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში;
- ავითარებს ცნობისმოყვარეობას და ამაღლებს პერსონალურ მოტივაციას;
- შეიძლება თავად მოსწავლემ გააკეთოს ჩანაწერი, გაასწოროს, გაუწიოს რედაქტირება;
- შესაძლებელია მოსწავლემ იმუშაოს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფებში, არა მარტო თავისივე კლასში, არამედ სასკოლო, ქსელში ჩართულ სხვა სკოლის მოსწავლეებთან;
- დამოუკიდებელი მუშაობა, როგორც შეთვისებული ცოდნის შესამოწმებლად, ასევე ახალი ცოდნის მისაღებად;
- შესაძლებელია წამოიჭრას თემა, მიაწოდოს კლასს ინფორმაცია დისკუსიისათვის ან პირიქით, იპოვოს პასუხები სადისკუსიო თემის არგუმენტირებისათვის;
- დროის მცირე მონაკვეთში იპოვოს მრავალფეროვანი მასალები, რომლის გამოყენება მრავალჯერ შეიძლება;
- სხვადასხვა მასალებისა და მოსაზრებების გაცნობა ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარის განვითარებას, პრობლემისადმი საკუთარი დამოკიდებულების შემუშავებას.

ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსების გამოყენება ეხმარება მასწავლებელს სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებაში, მოსალოდნელია წამოიჭრას სიმნელები. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: კომპიუტერის მოვლა და შენახვა, დაცვა, ხარჯი. დიდი დრო მიაქვს კატალოგის შედგენას, ჩაწერას, რედაქტირებას, მასალის შერჩევას, დალაგებას და სხვა. (ჩაჩუა, 2003)

საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსების გამოყენების პროცესში მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სწავლების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალა, რომელიც შეესაბამება გაკვეთილის თემას, წინასწარ იცნობდეს სავარაუდო საკითხებს, იცოდეს სად გააკეთოს კომენტარი, შენიშვნები, აკონტროლოს ტექნიკის გამართულობა. შეარჩიოს ადგილი, სადაც კლასისათვის ხედვის არე მისაღება, საქმიანობა დაგეგმოს ისე, რომ მოპოვებული ინფორმაციის შესახებ მსჯელობა, ან დავალების დაკონკრეტება შეიძლებოდეს, მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება თავისუფლად

გამოთქვან თავიანთი შეხედულებები, აირჩიონ მუშაობის სტილი, დასვან შეკითხვები, ხელახლა დაუბრუნდნენ მათთვის საინტერესო ადგილებს, გააკეთონ ჩანაწერები, შეაფასონ თავისი და სხვისი ნამუშევარი, დაგეგმონ ახალი ინფორმაციის მოპოვების წყაროები, განსაზღვრონ რისთვის სჭირდებათ ინფორმაცია: სახელმძღვანელოში მოცემული მასალების შესავსებად, თხზულების დასაწერად. თეზისების შესადგენად, საგნობრივი წრის თემისათვის, პირადი შეხედულების დასაზუსტებლად და ა. შ.

მოსწავლეებს ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსების გამოყენების პროცესში ჩამოუყალიბდებათ და განუვითარდებათ შესაბამისი უნარ-ჩვევები. დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი:

- ტექსტის სწრაფად გადაკითხვა ან გაანალიზება და ძირითადი შინაარსის გამოტანა;
- ტექსტიდან საჭირო ინფორმაციის ამოღება;
- ტექსტიდან ამოღებული ინფორმაციის დახარისხება. (სქემებში, დიაგრამებში მოქცევა და სხვა);
- რესურსების მოძიება, კატალოგის გამოყენება;
- მონაცემთა შეგროვება, ჩანაწერის გაკეთება;
- წყაროს მითითება;
- სხვათა აზრის ინტერპრეტირება;
- ორიგინალური პროდუქტის შექმნა: (წერილი, ნახატი, ნივთი, ნააზრევი, თხზულება);
- თანამშრომლობა;
- ანალიზისა და სინთეზის გაკეთება;
- დასკვნების გამოტანა;
- ვარაუდების შემოწმება;
- ინფორმაციის შენახვა და საჭირო შემთხვევაში გამოყენება;
- აზრების შეჯერება მიმოწერით.

ინტერნეტ-რესურსების სასწავლო პროცესში ჩართვა განაპირობებს მოსწავლეთა აქტიურ და კონსტრუქციულ მუშაობას კომპიუტერის გამოყენებით. თანამედროვე სწავლების მეთოდების ფონზე გაადვილდა პერსონალური საჭიროებისათვის განკუთვნილი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება, გადაცემა. ამა თუ იმ მოხსენების ტექსტის შედგენა, გაფორმება, გაანალიზება, სხვადასხვა კონტექსტში დამუშავება.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ცვლის დამოკიდებულებას სწავლებისადმი. პროცესი უფრო საინტერესო და შედეგიანია. კომპიუტერის მეშვეობით გაკვეთილის პროცესში ყველა მოსწავლე აქტიურადაა ჩაბმული. დამახსოვრების ხარისხიც მაღალია, რისი დასტურია დროის სიმცირე იმავე თემაზე განმეორებით მეცადინეობისას. (ჩაჩანიძე, სართანია, 2004).

მოსწავლეს ხელთა აქვს სხვადასხვა წყარო, სხვადასხვა შეხედულება, მას უკეთ შეუძლია ჩამოაყალიბოს თავისი დამოკიდებულება და შემოქმედებითად მიუდგეს მისთვის სასურველი ან დავალებული თემის გაშუქებას. ამასთან შესაძლებლობა აქვს ინტერნეტით გაესაუბროს თანატოლს ან პედაგოგს.

დღეს საზოგადოების განვითარება გვკარნახობს ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას ცხოვრების ყველა სფეროში. თანამედროვე სკოლა არ უნდა ჩამორჩეს დროის მოთხოვნებს, ეს იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს კომპიუტერი თავის მოღვაწეობაში, რადგან სკოლის მთავარი ამოცანა – განათლებული, მოაზროვნე ახალი თაობის აღზრდაა.

ლიტერატურა:

1. ბიწაძე კ., ჩიჩუა თ., სწავლების ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა-განვითარების მიმოხილვა, სამეცნიერო შრომების კრებული, „საზრისი“, 2004, №14, გვ. 34-39
2. თვალიშვილი პ., ინტერნეტი მრავალმხრივი განათლებისათვის, ჟურნალი „წიგნიერი“, №2, 2000.
3. ჩაჩუა თ., საქართველოში ინტერნეტ ტექნოლოგიების დანერგვის ღონისძიებათა შესახებ, ჟურნალი „წიგნიერი“, №2, 2003.
4. ჩაჩანიძე გ., სართანია ვ., ინტერნეტ-განათლების ტექნოლოგიები და მისი განვითარების პერსპექტივები, თბ., 2004.
5. <http://news.gtu.ge/index.php?newsid=811>

რეზიუმე

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მოთხოვნების განხორციელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწავლებისა და სწავლის პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას.

საინფორმაციო ტექნოლოგიები ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს განათლების სისტემას. კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოყენებით სწავლის პროცესი გაცილებით საინტერესო და მრავალფეროვანი ხდება. იზრდება შემეცნებითი აქტიურობა. ინტერნეტი უამრავი სხვადასხვა სახის რესურსებით ამდიდრებს პედაგოგისა და მოსწავლის საქმიანობას.

ახალი საგნობრივი პროგრამები ხელს შეუწყობს საკომუნიკაციო და ინფორმაციის დამუშავების უნარ-ჩვევების განვითარებას. ამ მიმართებით მიმდინარეობს ყველა საგნის მასწავლებლის გადამზადება სპეციალური პროგრამით.

საინფორმაციო რესურსების გამოყენების დროს მასწავლებლის წინაშე დგება ამოცანა: სად შეიძლება იყოს განთავსებული საგანმანათლებლო რესურსები. როგორ გამოვიყენოთ რესურსები ეფექტიანად იმისათვის, რომ დავებმართოთ სასწავლო პროცესს, როგორ უნდა გაამდიდრონ მასწავლებლებმა საგანმანათლებლო რესურსები თანამშრომლობით და გამოცდილების გაზიარებით, როგორ შეამოწმოს მასწავლებელმა რესურსების ეფექტიანობა.

საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსების გამოყენების პროცესში მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს მხოლოდ ის მასალა, რომელიც შეესაბამება გაკვეთილის თემას, წინასწარ იცნობდეს სავარაუდო საკითხებს, იცოდეს სად გააკეთოს კომენტარი, შენიშვნები. შეარჩიოს ადგილი, სადაც კლასისათვის ხედვის არე მისაღებია, საქმიანობა დაგეგმოს ისე, რომ მოპოვებული ინფორმაციის შესახებ შეიძლებოდეს მსჯელობა, ან დავალების დაკონკრეტება. მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება თავისუფლად გამოთქვან თავიანთი შეხედულებები, აირჩიონ მუშაობის სტილი, დასვან შეკითხვები, შეაფასონ თავისი და სხვისი ნამუშევარი, დაგეგმონ ახალი ინფორმაციის მოპოვების წყაროები. განსაზღვრონ, რისთვის სჭირდებათ ინფორმაცია: სახელმძღვანელოში მოცემული მასალების შესავსებად, თხზულების დასაწერად. თეზისების შესადგენად, საგნობრივი წრის თემისათვის, და ა. შ.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ცვლის დამოკიდებულებას სწავლებისადმი პროცესი უფრო საინტერესო და შედეგიანია.

TECHNOLOGICAL INNOVATION IN EDUCATION Darejan Geladze, Shota Rustaveli State University, Assistant Professor ABSTRACT

The national objectives of general education requirements for the implementation of special importance include the use of information technologies in studying and learning.

Information technology offers new opportunities for the education system. Using computers and the Internet makes the learning process more interesting and diverse and leads to increase in cognitive activity. Many different kinds of internet resources enrich the teacher and student's activities. New subjects programs will facilitate communication and information processing skills development. In regard to this, all the subject teachers' training will be held in accordance with this. When teachers use information resources they should consider how to use resources efficiently in order to help the learning process, how teachers enrich educational resources for collaboration and sharing of experience, how teachers check efficiency of resources.

When teachers use information technology resources they should only use those materials which correspond directly to the lesson topic, know about possible troubles and where to make comments and notes. Select the location that is acceptable for the class' area of vision so that activities can be planned that it will evoke possible discussions about the obtained information that is specific to the task. Students can express their opinions freely, ask questions and make assessments of their work and of others. Determining the need of information is guidelines for filling in these materials needed to write the story; to draw up a thesis, etc.

Observation has showed that the use of information technology changes the attitude to learning. The process is deemed more interesting and successful.

სწავლებისა და აღზრდის პროცესის თავისებურებები ქცევის სხვადასხვა ტიპის ბავშვებში

მარინე გურგენიძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი
E-mail: marine.gurgenidze@yahoo.com

ნატო შეროზია, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებული მოწინავე სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება აუცილებელია ანგარიშს უწევდეს ბავშვთა ქცევის ნაკლებად სახარბილო მახასიათებლებისაგან უკეთესში გადასვლის გზებსა და საშუალებებს, რაც საბოლოოდ ემსახურება, სწავლების დადებითი შედეგების მიღებასთან ერთად, მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვასა და განმტკიცებას. ადამიანთა ქცევის საფუძვლად ექიმები, ფიზიოლოგები, ფსიქონალიტიკოსები ტემპერამენტს მიიჩნევენ. იგი განსაზღვრავს ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებს, რისი ცოდნაც უმნიშვნელოვანესია პედაგოგისათვის, რადგან გონებრივი შრომის შედეგი სწორედ მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებებისადმი სწორ პედაგოგიურ მიდგომებზეა დამოკიდებული.

უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპების შესახებ პირველი თეორია, ე. წ. ჰუმორალური თეორია, მოგვარდა ჰიპოკრატემ, რომლის მიხედვით არსებობენ **სანგვინიკები** – ცხელი სისხლის (sanguis) ადამიანები (ენერგიულები, მხიარულები); **ფლეგმატიკები** – ადამიანები ზედმეტი ლორწოს (phlegma) შემცველობით (შენელებული რეაქციების მქონენი); **ქოლერიკები** – ადამიანები მოჭარბებული მძაფრი ნაღველით (chole) (ფეთქებადები, აგრესიულები); **მელანქოლიკები** – ადამიანები შავი, გაფუჭებული ნაღველის ჭარბი შემცველობით (melancholia) (მოდუნებულები, მოწყენილები).

სხვადასხვა ავტორები ტემპერამენტის განმსაზღვრელად სხვადასხვა სიდიდეებსა თუ პროცესებს მიიჩნევდნენ: **იმაწილ კანტი** ტემპერამენტის განმსაზღვრელად სისხლის შემადგენლობას მიიჩნევდა (Кант, 1900); **პეტრე ლესგაფტი** - სისხლის მამოძრავებელი სისტემის თვისებებს, კერძოდ სისხლძარღვების სისქეს და სიფართეს (Гиппенрейтер, Романова, 1982); **ვილჰელმ ვუნდტი** აფექტის განვითარების ძალითა და ცვალებადობის სისწრაფით განასხვავებდა ტემპერამენტის ტიპებს (Вундт; 1997). **ივანე პავლოვმა** ცენტრალური ნერვული სისტემის თვისებები - ძალა, წონასწორობა და აგზნება-შეკავების პროცესების ძვრადობა დაუდო საფუძვლად ტემპერამენტის ტიპებს და გამოყო **ძლიერი, გაწონასწორებული, მოძრავი; ძლიერი, გაწონასწორებული, ინერტული; ძლიერი, გაუწონასწორებელი და სუსტი ტიპები** (Павлов, 1951).

ტემპერამენტის საფუძვლად **ლეონ ლუი როსტანი** მიიჩნევდა **კონსტიტუციას** და გამოყოფდა მის 6 სახეს: საჭმლის მომნელებელი ტრაქტის, სისხლის მიმოქცევისა და სასუნთქი სისტემის, ტვინისა და ნერვული სისტემის, მოძრაობისა და კუნთების, მწარმოებელი ორგანოების (ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთის) უპირატესი განვითარებით და ყველა სისტემის ატონური მდგომარეობით განპირობებულ კონსტიტუციებს. ფრანგი მეცნიერი **კლოდ სიგო** განასხვავებს რესპირატორულ, დიგესტორულ, კუნთოვან და ცერებრულ ტიპებს (ართილაყვა, 1960). გერმანელი ფსიქოლოგი **ერნსტ კრეჩმერი** (1924 წ.) გამოყოფს კონსტიტუციის სამ ტიპს: **პიკნიკურს** (მოკლე კისრით, დიდი მუცლით, ძლიერად განვითარებული გულმკერდით და თავით), **ათლეტურს** (ჩონჩხისა და კუნთების ძლიერი განვითარებით) და **ასთენიურს** (მოგრძო სახით, ჩავარდნილი გულმკერდით, შეწეული მუცლით, ვიწრო მხრებით, სუსტად განვითარებული კუნთებით). **კრეჩმერი** თვლის, რომ ტემპერამენტი ჰუმორების საშუალებით შეაღწევს ადამიანის ფსიქიკაში, ამოქმედებს მას და განსაზღვრული კონსტიტუციის ადამიანებს აქცევს **შიზოთიმიკებად** (უმეტესად **ასთენიური კონსტიტუციის** მქონეებს ახასიათებთ გულჩათხრობილობა, თავშეკავებულობა, ან შფოთიანობა, სიფიცხე, სიმორცხვე, შიშიანობა, ან გულკეთილობა, სიჩლუნგე, შებოჭილი ქმედება; არიან საკუთარ თავში ჩაკეტილები; აქვთ გარეგან სტიმულებზე შეუსაბამო რეაქცია) და **ციკლოთიმიკებად** (**პიკნიკური კონსტიტუციის** მქონეებს ახასიათებთ მეტად მხიარულ, მგზნებარე, სიცოცხლით სავსე განწყობილებიდან მშვიდ, ჩუმ, მოღუშულ, პირქუშ, შთაბეჭდილებიან განწყობილებამდე ხასიათის ცვალებადობა, გარეგან სტიმულებზე ადეკვატური რეაქცია, გარემოსადმი ადვილი შეგუება, გულდიაობა, ბუნებრივობა, მოძრაობის სიყვარული). **კრეჩმერი** ფსიქიკური თვისებებისა და უნარების ჩამოყალიბებაში გადაჭარბებულად აკისრებს გადაძწყვეტ როლს ადამიანის კონსტიტუციურ წყობას

(Кречмер, 1930). ადამიანის თვისებებისა და უნარების ჩამოყალიბებაში კონსტიტუციის დიდი როლის მიუხედავად, პიროვნების საბოლოო ფორმირებისათვის შეუცვლელია მრავალი სხვა ფაქტორების - სწავლა-აღზრდის პროცესის, სასკოლო, საოჯახო, სამეგობრო, საზოგადოებრივი გარემოს მნიშვნელობა.

ამერიკელი მეცნიერი **ვილიამ ჰერბერტ შელდონი** სომატურ კონსტიტუციაში გამოყოფს **3 ტიპს: ენდომორფულს** – ძვალ-კუნთოვანი სისტემის სუსტი განვითარებით (არის **ვისცეროტონიკი** - უყვარს კომფორტი, არის მგრძობიარე, აქვს ნელი რეაქციები); **მეზომორფულს** - ათლეთური ძვალ-კუნთოვანი სისტემით (არის **სომატოტონიკი** - ახასიათებს ხალისიანი განწყობა, ჭარბი მოძრაობის სურვილი, სწრაფი რეაქციები) და **ექტომორფულს** - სუსტად განვითარებული კუნთოვანი სისტემით (არის **ცერებროტონიკი** - ახასიათებს მარტოობის სიყვარული, დაბალი რეაქტიულობა) (Sheldon, 1942).

გარდა იმისა, რომ ადამიანის კონსტიტუციის გამორკვევით საკმაოდ კარგი წარმოდგენა გვექმნება ადამიანის ხასიათზე, განწყობილებაზე, განსაზღვრულ სიტუაციებში მის ქცევა-ქმედებაზე, ამავე დროს, კონსტიტუციის ცოდნა მიგვანიშნებს, ადამიანის ორგანიზმი ჯანმრთელობისკენაა მიდრეკილი თუ რომელიმე პათოლოგიისაკენ. მაგალითად: ფრანგი მეცნიერი **კლოდ სიგოს** კლასიფიკაციით, მოცემული 4 ტიპიდან **რესპირატორული** ტიპები (მოგრძო გულმკერდის ყაფაზით, მახვილი ეპიგასტრიული კუთხით) მიდრეკილნი არიან სასუნთქი სისტემის დაავადებებისაკენ; **დიგესტიური ტიპები** (განიერი გულმკერდით, ბლავი ეპიგასტრიული კუთხით) - ნივთიერებათა ცვლის მოშლისაკენ; **კუნთოვანი ტიპები** - გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიისაკენ; ინტელექტუალური, მოაზროვნე **ცერებრული ტიპები** - ნევროზებისაკენ (Адо, 2000). **მიხილ ჩერნორუცის** კლასიფიკაციით, **ასთენიურ ტიპებს** (მაღლებს და გამხდრებს) ახასიათებთ კუჭ-ნაწლავის შეწოვითი ფუნქციის დაქვეითება, სისხლძარღვთა დაბალი ტონუსი; **ჰიპერსთენიურ ტიპებს** (გრძელი ტორსით, მოკლე კიდურებით) ახასიათებთ სისხლძარღვთა მაღალი ტონუსი, მიდრეკილნი არიან მაღალი არტერიული წნევისაკენ, ნივთიერებათა ცვლის მოშლისაკენ; **ნორმოსთენიკები** – ასთენიკებსა და ჰიპერსთენიკებს შორის გარდამავალი ფორმების მატარებლები არიან (Адо, 2000). **ფრიდმენისა და როზენმენის** კლასიფიკაციით, **“კორონარული ტიპი” A ტიპი** (ამბიციური, ლიდერის თვისებებით გამორჩეული ტიპი) მიდრეკილი არის გულის იშემიური დაავადებებისაკენ. **B ტიპი** (დინჯი, შესაძლებლობებში კარგად გარკვეული, ობიექტურ რეალობას მორგებული, ნაკლებად ამბიციური) დაცულია ზემოაღნიშნული დაავადებებისაგან (Stress, personality and work).

ადამიანი, ბავშვი ტემპერამენტის ამა თუ იმ ტიპს რომ მივაკუთვნოთ, ფსიქოლოგები გვთავაზობენ შემდეგი პარამეტრების გამოთვლა-დათვალიერებას: 1. **სენსიტიურობა** – ისაზღვრება გარედან მოქმედი **მინიმალური ძალა**, რომელიც **მინიმალურ დროში** იწვევს ფსიქოლოგიურ რეაქციას. 2. **რეაქტიულობა** – აკვირდებიან **ერთი და იგივე სიდიდის** გარეგანი ან შინაგანი **გამღიზიანებლების ზემოქმედებისას** წარმოშობილი **უნებური რეაქციის ოდენობას**. 3. **აქტიურობა** – ისაზღვრება **გარე სამყაროში ადამიანის ჩართულობის ხარისხით** (ვათვალიერებთ მიზანმიმართულობას, დასახული მიზნისაკენ დაჟინებული სწრაფვის უნარს, მობილიზებას და ნებისყოფას ხანგრძლივი საქმიანობისას). 4. **აქტიურობისა და რეაქტიულობის თანაფარდობა** – საჭიროა დავაკვირდეთ **ფსიქოლოგიური რეაქციებისა და პროცესების სიჩქარეს**: მოძრაობის სიჩქარეს, მეტყველების ტემპს, დამახსოვრების სისწრაფეს, ტვინის სისხარტეს. 5. **პლასტიკურობა და რიგიდულობა** – უნდა გამოიკვეთოს რამდენად **პლასტიკურად (მოხერხებულად)** ან **ინერტულად (რიგიდულად)** ეგუება ადამიანი გარე სამყაროს. 6. **ექსტრავერსია და ინტროვერსია** – მის შესაფასებლად მნიშვნელობა აქვს ემოციის გამომწვევი ძალის სიდიდეს და, ამავე დროს, ემოციის წარმოშობის სისწრაფეს.

უმცროსი ასაკის ბავშვთა ქცევის ტიპები გამოიკვლია **ნიკოლოზ კრასნოგორსკიმ** (1954 წ.). დღეს ბავშვებში გამოყოფენ ქცევის 4 ტიპს. თითოეულ მათგანს აქვს დადებითი და უარყოფითი ნიშნები. **სანგვინიკური ტიპი** - არის ძლიერი, გაწონასწორებული, ჩქარი; ახასიათებს აგზნება-შეკავების სწრაფი ცვლა, პირობითი რეფლექსების სწრაფი წარმოშობა, ჩაქრობა და ადვილად აღდგენა; გამოირჩევა სწრაფი, ხმამაღალი, სიტყვაწყლიანი მეტყველებით, სწორი ინტონაციით, გამომსახველი მიმიკით. ამ ტიპის ბავშვისათვის **დადებითია** ის, რომ ადვილად ეგუება ახალ პირობებს, არის კომუნიკაბელური; სწრაფად ითვისებს ყოველივე ახალს, თუმცა ცოდნის სიმყარისათვის სჭირდება ხშირი გამეორებები; აქვს კარგი შრომისუნარიანობა. მისთვის **უარყოფით** მახასიათებლად ითვლება საკუთარი იმპულსების ძნელად რეგულირება; გრძნობების, შთაბეჭდილებების, ინტერესების ადვილად წამოშლა და ცვლა. **სანგვინიკის** ხასიათის ზედაპირულობისა და არამდგრადობის

აცილების საუკეთესო საშუალებად ფსიქოლოგები სწორად გვთავაზობენ სწავლებისას **სერიოზული მიზნების დასახვას, შემოქმედებით საქმიანობაში მის ჩართვას, გარემოს ზომიერ ცვლას, რადგან ცვლად გარემოში ინარჩუნებენ ენერგიას და აქტიურობას.**

ფლეგმატიკური ტიპი არის **ძლიერი, გაწონასწორებული, ნელი,** პირობითი რეფლექსები მყარად უყალიბდება. აუჩქარებელი მეტყველება, სიტყვების საკმაო მარაგი, მშვიდი მიმიკა, არამკვეთრი ემოცია ფლეგმატიკის დამახასიათებელი თვისებებია. **დადებითი** თვისებებია: გაწონასწორებულობა, ზომიერად კონტაქტურობა, საქმეში თანმიმდევრულობა. არის ფრთხილი, აქვს განსჯის უნარი. სწორი აღზრდისას ამ ტიპის ბავშვი კარგად სწავლობს, სწორად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს, რომლის ფარგლებში დაკისრებულ მოვალეობას ბოლომდე ასრულებს. **უარყოფითად** ითვლება ის, რომ ფლეგმატიკებს გარემოსადმი, ადამიანებისადმი, ცხოვრებისადმი, საკუთარი თავისადმი გულგრილობა ადვილად უვითარდებათ; აქტიურობისა და მოძრაობის ნაკლებობისადმი მიდრეკილება ქმნის იმის საშიშროებას, რომ არასასურველ სასწავლო-სააღმზრდელო გარემოში იგი ყალიბდება დუნე, ზარმაც, უინტერესო პირად. **არ შეიძლება დაიშვას ფლეგმატიკის მოდუნება და ინერტულობა.**

ქოლერიკულ ტიპს ახასიათებს ძლიერი აგზნება და სუსტი შეკავება, შესაბამისად, თავშეუკავებელობა, გაუწონასწორებლობა. პირობითი კავშირები ნელა უყალიბდება. მეტყველებას ახლავს ნერვული ინტონაციები, მკვეთრი ჟესტიკულაცია. ახასიათებს მოჭარბებული მოძრაობები, ძლიერი გრძნობების მყისიერი წარმოშობა. მისი **დადებითი** თვისებებია: ენერგიულობა, პრინციპულობა, ინიციატორობა, **უარყოფითად** ითვლება ის, რომ არის ფეთქებადი, ჯიუტი, მოუთმენელი, ხშირად ქმნის კონფლიქტურ სიტუაციებს; აგზნების სიჭარბის გამო, ენერგია ადვილად ეშრიტება და ადრე უვითარდება დაღლა; რაიმე სამუშაოს შესრულების დროს, აღმზრდელების დახმარების გარეშე, ვერ ახერხებს საკუთარი ენერგიის გადანაწილებას, ყოველ ქმედებას შემართებით იწყებს, მაგრამ ნაადრევი დაღლის გამო განწყობას კარგავს და სასურველ შედეგებამდე ვეღარ მიდის. უმეტეს შემთხვევაში **სწავლობს დამაკმაყოფილებლად.** თუმცა **ენერგიულობისა და სწრაფი ფსიქიკური პროცესების გამო აქვს შესაძლებლობა კარგად ისწავლოს,** თუკი ამის ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის პედაგოგი. მშვიდი, არაკონფლიქტური გარემო, ჩართულობის მაღალი ხარისხი, სულიერად გამდიდრება, საზოგადოებრივი მოვალეობები ქოლერიკთა სწავლებისა და აღზრდის პროცესში გასათვალისწინებელი გარემოებებია.

მელანქოლიკური ტიპი არის სუსტი, გაუწონასწორებელი, აგზნების სიმცირით, ძლიერი შეკავებით. პირობითი რეფლექსები ნელა და კარგი ფიქსაციით უყალიბდება; საპასუხო რეაქცია გამღიზიანებლის ძალის შეუსაბამო აქვს; ძლიერი გამღიზიანებელი ხანგრძლივ შეკავებას იწვევს; მალე იღლება; მეტყველებს ხმადაბლა, თავშეკავებულად; გრძნობები ნელა, ღრმად და ხანგრძლივად აღდგურება; ადვილად უვითარდება ნერვოზი. ბუნებით პასიურს, ერთსა და იმავე საქმეზე ხანგრძლივი კონცენტრირება უჭირს. საკუთარ თავში ჩაკეტილობა, თავის შესაძლებლობებში დაურწმუნებლობა უცხო სიტუაციებში უხერხულობას განაცდევინებს. მშვიდ, ჩვეულ გარემოში მისი საქმიანობა პროდუქტიულია. მისი **უპირატესობა** იმაშია, რომ ხასიათდება მაღალი მგრძნობიარობით, რაც ქმნის იმის საფუძველს, რომ **ნორმალურ პირობებში აღზრდილი მელანქოლიკი გამოდის ღრმა ადამიანი,** რომელსაც შეუძლია სხვებზე მეტ წარმატებებს მიაღწიოს განსაკუთრებით ხელოვნების დარგებში. არასასარგებლო პირობები მას აქცევს ჩაკეტილ, მშიშარა, ზედმეტად გულჩვილ ადამიანად (Что такое темперамент; Стресс, личность и работа; შეროზია, გელაძე, 2008).

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ უმეტესწილად გვხვდება სხვადასხვა ტემპერამენტის ნიშნებით შეზავებული ტიპები, თუმცა მათი დაყოფა ზემოთ ხსენებულ ჯგუფებად მაინცაა შესაძლებელი, რადგან თითოეული ადამიანი ყოველთვის ავლენს უპირატესად რომელიმე ერთი ტემპერამენტისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

ტემპერამენტის დადებითი თვისებების განვითარება სწავლის შედეგის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა. სწავლების მაღალი შედეგი (უნარ-ჩვევების განვითარება) მიიღწევა ნებისმიერი ტემპერამენტის ბავშვში. მისი განმსაზღვრელია ბავშვის **შესაძლებლობების გამორკვევა, მოტივაცია და გარემო.** თუ გავანალიზებთ ქვევის ტიპების ზემოთ გადმოცემულ დამახასიათებლებს, ადვილი მისახვედრია, რომ **სანგვინიკის მოტივირებას** მოვახერხებთ ისეთი დავალებების მიცემით, რომლებიც მისგან ძალისხმევას მოითხოვს. მას არ უნდა შეეფუზოდოთ მოქმედების აქტიურობა, დატვირთვის სფეროები უნდა გაუხადოთ მრავალფეროვანი. **ფლეგმატიკისათვისაც** მნიშვნელოვანია ჩავრთოთ აქტიური მოქმედებაში, მაგრამ რამდენიმე საქმის ერთდროული შესრულება მას არ ძალუძს, ამიტომ ფლეგმატიკურ ტიპს უნდა მივცეთ საშუალება ერთ საქმეზე მოახდინოს კონცენტრირება. **მელანქოლიკების** ბუნება ითხოვს ტაქტიან, მშვიდ, გულითად დამოკიდებულებას.

შექებისა და უარყოფითი შეფასებების დროს საჭიროა სიფრთხილე. პასუხისას მათი აჩქარება ან ნელი პასუხის გამო შეფასების დაქვეითება უარყოფით რეაქციებს იწვევს მათში და სწავლისადმი განწყობა უქვეითდებათ. **ქოლერიკების** სწავლება და აღზრდა ყველაზე მეტ ძალისხმევას თხოვლობს. აუცილებელია სირბილე, კეთილმოსურნეობა. ქოლერიკული ტიპის მოსწავლეებს ახალისებთ საზოგადოებრივი საქმიანობა, რასაც გატაცებით ასრულებენ. უჭირთ ენერჯის დროში განაწილება, ამიტომაც ნებისმიერი საქმიანობის შესრულებისას მათ გვერდით უნდა ჰყავდეთ ავტორიტეტული, კეთილი მრჩეველი – პედაგოგი, რომელიც მიაჩვევს ენერჯის მოზომილად ხარჯვას. საჭიროა ქოლერიკის სულიერად გამდიდრება, პოზიტივზე დაყრდნობილი შენიშვნები. ასეთ დროს ისინი ნაკლებად აღიგზნებიან, რადგან მათი ყურადღება დადებით ქცევაზე გადადის და შენიშვნაზე აგრესიას აღარ ავლენენ.

ქცევის სხვადასხვა ტიპის ბავშვებში სწავლების შედეგების გაუმჯობესების გზების ძიების მიზნით, ჩავატარეთ კვლევა. **კვლევის ობიექტი:** ბათუმის კერძო სკოლის X კლასის 30 მოსწავლე. **კვლევის მეთოდი:** დაკვირვება. **კვლევის მიმდინარეობა:** დასაწყისში შევისწავლეთ მოსწავლეთა აკადემიური მაჩვენებლები. ტესტირების საფუძველზე მოსწავლეები დავაჯგუფეთ ქცევის ტიპებად. მოსწავლეებს ჩავუტარეთ ანკეტური გამოკითხვა და კითხვაზე – „მომწონთ თუ არა სწავლა თავიანთ სკოლაში“, პასუხები ასეთნაირად გადანაწილდა: „მომწონს“ 6 (20%), „ნაკლებად მომწონს“ 12 (40%) მოსწავლე, „არ მომწონს“ 12 (40%) მოსწავლე. ამის გათვალისწინებით, მასწავლებლებს ჩავუტარეთ ინსტრუქტაჟი. ყურადღება გავამახვილებინეთ ქცევის ტიპების დადებით და უარყოფით თვისებებზე, ვუჩვენეთ დადებითი ნიშან-თვისებების გაძლიერების გზები და საშუალებები და გავაცანით საკუთარ მოსწავლეთა ტიპაჟები. პედაგოგებს ვთხოვეთ გამოეყენებინათ ეს მონაცემები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის პროცესში. **კვლევის შედეგი:** 1 თვის შემდეგ სწავლების შედეგი ყველა ტიპის ბავშვში გაუმჯობესდა. კვლავ ჩავატარეთ ანკეტური გამოკითხვა და მოსწავლეთა დამოკიდებულება საკუთარ სკოლაში სწავლისადმი გახდა ასეთი: „მომწონს“ - 18 (60%) მოსწავლე, „ნაკლებად მომწონს“ - 9 (30%) მოსწავლე, „არ მომწონს“ - 3 (10%) მოსწავლე. **გავაკეთეთ დასკვნა:** დიფერენცირებული მოტივირება აღსაზრდელებში სწავლების შედეგსაც ამაღლებს და სწავლისადმი დადებით ემოციასაც წარმოშობს, რაც გონებრივი შრომისას მოსწავლეთა ჯანმრთელობის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა.

თითოეული ტიპის მოსწავლეში დადებითი ნიშან-თვისებების გაძლიერებისათვის შეუცვლელია ოპტიმალურად მოწყობილი სასწავლო-სააღმზრდელო გარემოს როლი. ჭარბი გამდიზიანებლები (ხმაური, ფერი, ინტერიერი) ქცევის ნებისმიერი ტიპისათვის არასასურველია. იგი იწვევს ან ზედმეტ აგზნებას (სანგვინიკებში, ქოლერიკებში), ან მეტისმეტ შეკავებას (ფლეგმატიკებში, მელანქოლიკებში). გარემო არც მოსწავლეთა მოტივაციის დამაქვეითებელი უნდა იყოს (თვალსაჩინოებები, ვიდეო და აუდიომასალების ნაკლებობა). ასეთი გარემო ყველა ტიპის ბავშვში არღვევს აგზნებისა და შეკავების თანაფარდობას, აღვივებს უარყოფით განცდებს, ცვლის ხასიათს, მოტივაციას, სწავლის სურვილს და აზიანებს ჯანმრთელობას.

კვლევებით თანამედროვე სკოლის პედაგოგებში შეინიშნება ამ საკითხებში ნაკლებად გათვითცნობიერება. პედაგოგებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია მოსწავლეთა კონსტიტუციის, შესაბამისი ქცევის ტიპების შესახებ ღრმა, ანალიტიკური ცოდნის საფუძველზე მოსწავლეთა დაკვირვება-შესწავლა, რაც მათ საშუალებას მისცემს სწორად განჭვრიტონ: თითოეული მოსწავლის სწავლის მოსალოდნელი შედეგები და მათი მიღწევის გზები; განსაზღვრონ ჩვეულ და პრობლემურ სიტუაციებში მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევა, დაგეგმონ და მოახდინონ უარყოფითი ქცევის პრევენცია. ამასთან, მასწავლებლები სწორად გათვლიან, რა დაავადებებისკენ აქვს მოსწავლეს მიდრეკილება. თუ ეცოდინებათ აღნიშნული პათოლოგიების პროფილაქტიკური საშუალებები, სასწავლო გარემოში მათი სწორი და მიზნობრივი გამოყენება შეამცირებს ამ დაავადებების განვითარების საშიშროებას.

ლიტერატურა:

1. Кант И.-, „Антропология“, (Санкт-Петербург, 1990) მის.: <http://relig-library.pstu.ru/catalog/1060/book-1060.djvu>; გვ. 148;
2. Гиппенрейтер Ю., Романова В. (ред.) - „Психология индивидуальных различий“. Тексты, Небылицын В. Темперамент, Издательство МГУ, Москва, 1982, გვ. 153-159;
3. Вундт Вильгельм - “Основы физиологической психологии”, В трех томах, 1912, მის.: <http://www.ozon.ru/context/detail/id/1398561/>; გვ. 735-736;

4. Павлов И. - Полное собрание сочинений; Изд. 2-е. Т. 3-4. М.; Л., 1951; მის.: http://bibrao.gnpbu.ru/ru/text/pavlov_pss_1951/, გვ. 267-294; 344-350;
5. ართილაყვა ა., „ბავშვის ტემპერამენტი“, სახ. გამომცემლობა, ბათუმი, 1960, გვ. 14-15;
6. Кречмер Э., „Строение тела и характер“, Государственное издательство, 1930, მის.: <http://vipbook.info/nauka-i-ucheba/psixology/32634-stroenie-tela-i-xarakter.html>, გვ.293;155-175;
7. Sheldon William Herbert, The varieties of temperament, New – York and London 1942;
8. Адо А. - „Патологическая физиология“, Издательство „Триада“, Москва; გვ. 79-80;
9. Stress, personality and work, მის.: <http://www.noanxiety.com/anxiety-and-stress/stress-personality- and- work.html>
10. Что такое темперамент; Стресс, личность и работа მის.: <http://www.psyportal.info/psypage/temper4.shtml>; გვ. 4;
11. შეროზია ნ., გელაძე გ., „შემობრუნება სიკეთისაკენ ანუ სიყვარულით გავასწოროთ ერთმანეთის შეცდომა-შეცოდებანი“, გამომცემლობა „მერეთი 93“, ბათუმი, 2008; გვ. 35-36;

რეზიუმე

პედაგოგებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია მოსწავლეთა კონსტიტუციის, შესაბამისი ქცევის ტიპების შესახებ ღრმა, ანალიტიკური ცოდნა და ამ ცოდნის საფუძველზე მოსწავლეებზე დაკვირვება-შესწავლა, რაც პედაგოგებს მისცემს საშუალებას სწორად განჭვრიტონ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები, წინასწარ განსაზღვრონ თითოეულ მოსწავლეში სწავლის მოსალოდნელი შედეგები და ამ შედეგების მიღწევის გზები, ჩვეულ და პრობლემურ სიტუაციებში მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევა, დაგეგმონ და მოახდინონ უარყოფითი ქცევის პრევენცია. ეს კი შესაძლებელს გახდის მოსწავლის სასარგებლოდ წარიმართოს სასწავლო-სააღმზრდელო გარემო და სასწავლო პროცესი. ამასთან ერთად, მასწავლებლები სწორად გათვლიან, რა დაავადებებისაკენ აქვს მოსწავლეს მიდრეკილება. აქვე, პედაგოგებს თუ ეცოდინებათ აღნიშნული პათოლოგიების თავიდან აცილების გზები, სასწავლო გარემოში მათი სწორი და მიზნობრივი გამოყენება შეამცირებს ამ დაავადებების განვითარების საშიშროებას.

PPECULIARITIES OF TEACHING AND UPBRINGING PROCESS IN DIFFERENT KINDS OF CHILDREN

Marine Gurgeniidze, Shota Rustaveli State University, Assistant Professor
Nato Sherozia, Shota Rustaveli State University

RESUME

Very important it is necessary to have profound, analytical knowledge of distinctions of children's types of behavior for teachers. And by means of it to investigate children, it will help teachers to define children's separate possibilities and probable results of education. Teachers will define behavior of children in usual and problematic situations, they can plan and execute prevention of negative behavior. It will make educational process positive for children. Moreover, the teachers will be able to guess what diseases the pupils feel like to expect. If the teachers know the ways of prevention of the pathologies and their usage in the right way, it will reduce the danger of development different pathologies.

INNOVATIONS IN EDUCATION: PERSPECTIVES AND DIRECTIONS

Natela Doghonadze, International Black Sea University, Vice-Rector, Professor
E-mail: nateladoghonadze@ibsu.edu.ge

Abstract

The paper is dedicated to general issues of educational innovations: necessity of innovations, bottom-up and top-down approach to reform, material basis for changes, relationships between innovation and tradition, risks of innovative practices, internalization and standardization, high technologies, etc. It is mentioned that sometimes, speaking about democratization in education, reforms are introduced by authoritarian methods and very often they involve so much paperwork that teachers and administration have no time to improve teaching. It is emphasized that we can't jump in one day to innovative practices. Trainings which are normally held not only in Georgia, but also all over the world only introduce to teachers the new tricks/techniques, but if they do not gain new personal educational philosophies based on democracy, humanism, interpersonal communication, and creativity, these tricks will not bring about the desired effect. Some Georgian practices of educational innovation are discussed. A conclusion is made that innovations are so needed that, whether we like them or not, they have to be carried out. Ideally, to be welcome and effective, innovations should be bottom-up, later supported by educational authorities. A mutual bottom-up and top-down direction is also possible, in case research and adequate training are provided.

All spheres of human activities demand innovations from time to time. Today "innovation" has become the word of the day. Politicians and businessmen, educators and scientists, artists and industry representatives – all are speaking about innovations. Unfortunately, for many of them this word is just a fashionable word behind which there is no real change, but generally there is a natural reason why everybody speaks about innovation. The world today is changing so fast that to catch up with its requirements we become involved in a continuous stream of innovations. In connection with this many questions arise:

How fast should the innovations in education be introduced and by what methods?

How important is the material basis in order to carry out innovations?

Is innovation in conflict with tradition? What has to be changed and what do we need to preserve in the process of reforming education?

What are the risks of innovative practices?

Innovations are never easy, it is impossible to carry them out in such a way that everybody is happy, that is why there are many students, parents, teachers, education managers who are irritated by them. Sometimes the reason is human nature which is rather conservative, sometimes innovations are carried out too fast, so that it is impossible to follow them, sometimes, speaking about democratization in education, reforms are introduced by authoritarian methods, at last, but not least, very often they involve so much paperwork that teachers and administration have no time to improve teaching. Instead, they improve papers only. Very often, when we hurriedly carry out education reforms, the material basis does not let us to put them into life. By material basis I mean not only school budget, equipment and educational resources, but also following the necessary steps. For instance, introducing the requirement of B2 English exams as prerequisite for getting a university diploma in Georgia is, on the one hand, a reasonable one: if our country wants to be part of international society, it certainly needs a common language with it. But, on the other hand, when English is taught as badly as it is in many schools, how can we demand that in one year at university students cover several levels which they couldn't cover at school in 5-9 years! And bringing to Georgia native speakers majority of whom are not English teachers and any sort of teachers at all cannot create this material basis. We should start with training teachers who can communicate in English on B2 level, then hire these teachers to teach second graders and when these children finish school we can demand from university graduates the B2 level in English.

Too often innovations are perceived as totally abandoning the achievements of the past. Whole-class work is now out of fashion. Sometimes – according to contemporary demands - students are put into pairs and small groups, they are just chatting, teacher is having a rest, no teaching or learning occurs and this is called innovation. And everybody says that innovation is bad. To make pair and group work really effective, we need to understand the idea of this kind of classroom management. We need to review the teacher's role in this kind of work. We also need to have authoritative/democratic relations with students (instead of authoritarian). Otherwise moving chairs will not move ideas and there will be falsification of innovation. Another danger is total rejection by society of the offered innovations. To be successful in life and not on paper, reforms need a lot of explanation and popularization.

We can't jump in one day to innovative practices. Trainings which are normally held not only in Georgia, but also all over the world only introduce to teachers the new tricks/techniques, but if they do not gain new personal educational philosophies based on democracy, humanism, interpersonal communication, and creativity, these tricks will not bring about the desired effect.

Often trainers, whether international or local, cannot give qualified answers to teachers' questions which go a little beyond the studied issues. I have done trainers' training myself and realize how important it is not just to give them questions with keys, but help them see the whole area.

There are so many aspects of innovations in education being discussed nowadays:

- Reform
- Internationalization & standardization
- High Technologies
- Democratization & management
- Active learning and critical thinking
- Creative methods of teaching
- Interdisciplinary approaches
- Humanization and humanitarization
- Offering a diversity of choices; flexibility in planning, methods of teaching/learning
- Effective combination of pragmatism with a wide scope of academic knowledge
- Scientific (mostly, psychological) base of education

Each of them requires a very thorough research. Innovative practices have to be analyzed. They cannot be effectively put into life just by administrative methods and bureaucratic approach. What was effective in, say, France, may not be effective in Georgia. Each such practice involves not only advantages, but also disadvantages which have to be taken into consideration instead of too quickly shouting “hip-hip-hurray!”

Internationalization and standardization, on the one hand, are very beneficial, as they permit students to get internationally approved diplomas, study and work in various countries, to gain up-to-date knowledge. But on the other hand, especially if too rigorously carried out, they leave no space for individual approach, local traditions and teacher creativity.

High technologies, with their theoretically limitless opportunities, if not accompanied by adequate teacher and student skills, interactive teaching methods and quality software, turn into a torture, bore and show-off. The commissions are happy when they see well-equipped computer labs, but they do not know what the real outcomes are – what/how much knowledge, skills, strategies and values students have gained. They do not know whether this really saved students’ and teachers’ time.

Management is probably the biggest problem. It too often remains top-down. Scientists and experienced teachers are seldom asked their opinion when reforms are carried out. To my mind, our framework of specialties for higher educational institutions cannot stand elementary critics. According to it, a diploma in healthcare management, for example, is in management and not in healthcare. They say the transcript will show that the person took some medical courses as well, but Georgian mentality will not change so fast. We are used to look at diplomas and not transcripts. A lot of employers have even no idea what a transcript is.

In the 1960s in America and Europe they have realized that liberal arts education may make a person very educated, but not very well adapted to life. People with this kind of diplomas were very nice to talk to, but often couldn’t find jobs and ruined businesses. Economic and technical progress slowed down. This situation triggered a more pragmatic approach to higher education – linking directions with market demands, especially local industry, providing more practical skills. This worked for a while, but then it turned out that having a narrow professional vision inhibited taking decisions which required a wider education. In Soviet Georgia higher education followed the traditions of deep and wide theoretical knowledge with little practically useful skills. That is why nowadays we are so happy with pragmatic philosophy of education. But we forget (or maybe are not informed) that the West has gone farther than that. Why repeat their mistakes? Why not borrow their contemporary mixed attitude?

Fraser (2007) formulated key paradigmatic shifts dealing with innovations in education:

From:	Towards:
Pragmatism	Philosophical Enquiry
Informed Prescription	Informed Professional Judgement
Culture of dependency	Culture of professional authority
Best practice thinking	Next practice thinking
Communities of Practice	Communities of Learning
Collaboration	Networked Learning
Institutional Leadership	Educational Leadership
Reforming schools and systems	Evolving schools and systems – Transformation
Distributed Leadership	Distributed Knowledge

He also named principles of teacher-led innovation (Fraser, 2007):

1. Strong moral purpose
2. Focused on students
3. Undertaken on behalf of the profession
4. Oriented towards learning
5. Clarity of purpose and goals
6. Builds on and develops professional knowledge
7. Integral to the professional life and work of teachers
8. Context-based developing teachers’ knowledge and skills (“New” professionals)
9. Takes a “What next?” approach

10. Networked learning to build professional knowledge (innovation, creativity, quality)

11. Closely monitored, evidence-based

According to Looney (2009, p. 1), high stake assessment may be a barrier to innovative practices in education.

However, she offers some ways to solve this problem:

- 1) developing a wide range of performance assessments
- 2) rethinking the relationships between assessments and standards
- 3) measuring the impacts of assessment on teaching and learning

To sum up, I would like to mention that innovations are so needed that, whether we like them or not, they have to be carried out. Ideally, to be welcome and effective, innovations should be bottom-up, later supported by educational authorities. A mutual bottom-up and top-down direction is also possible, in case research and adequate training are provided.

REFERENCES:

1. Fraser, A. (2007). Creativity and innovation in education. Moving beyond best practice. Retrieved September 19, 2012 from <http://www.acel.org.au/conf07/papers/Creativity%20and%20Innovation.ppt>

2. Looney, J. W. (2009). Assessment and Innovation in Education. *OECD Education Working Papers*, No. 24, OECD Publishing. Retrieved September 19 from <http://dx.doi.org/10.1787/222814543073>

მოსწავლეთა სოციალური პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება

ლია ინაიშვილი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: Lia.inaishvili.777@gmail.com

თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ღრმა სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები, გვაიძულებს დავფიქრდეთ ისეთ საკითხებზე, როგორცაა მომავალი თაობის აღზრდა, სოციალური პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება და მოსწავლეთა სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება, რომელსაც საფუძვლად უდევს სოციალური შემეცნება. სოციალურ შემეცნებას აქვს უდიდესი ზეგავლენა იმ ფაქტთან დაკავშირებით, თუ ურთიერთობის როგორი ფორმა ჩამოუყალიბდება ბავშვს უფროსებისა და თანატოლების მიმართ. ურთიერთობაში მოიაზრება ისეთი ჩვევები, როგორცაა პატივისცემა, ტოლერანტობა, სუბორდინაცია.

ამ ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს განათლება და მასთან დაკავშირებული პრობლემები სოციოლოგიის კონტექსტში, ხოლო მიზანს - რთული პრობლემების იდენტიფიცირება, რომელიც საშუალებას მისცემს პიროვნების სრულ ფორმირებას თანამედროვე სკოლაში.

განათლება უდიდეს როლს ასრულებს ინდივიდისა და საზოგადოების წინაშე. სოციალური გამოცდილებისა და კულტურული მემკვიდრეობის გადაცემას თავისი მექანიზმები გააჩნია. ძირითადი ეტაპი განათლებისა, რომელშიც იგულისხმება საბავშვო ბაღი და სკოლა, იძლევა აზროვნების ძირითად საწყისებს შემდგომი სწავლისათვის. უმაღლესი განათლება, კი უფრო კონკრეტულ, სპეციალიზებულ ცოდნას.

თანამედროვე საზოგადოების უპირველესი ამოცანაა აღზარდოს ისეთი თაობა, რომელთაც ექნებათ არა მარტო პროფესიული ცოდნა, არამედ კარგი პიროვნული თვისებები და მაღალი ზნეობა.

პიროვნების ფორმირების პროცესი უპირველესად სოციალიზაციას გულისხმობს. მოზარდი ზრდასრულ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში იძენს სოციალურ გამოცდილებას, მაშინ, როცა ამყარებს ურთიერთობებს სხვა ადამიანებთან და ამასთანავე გამოხატავს საკუთარ პოზიციას.

ყველაფერი ეს სკოლიდან იწყება და ვითარდება. სკოლამ უნდა განუვითაროს მოსწავლეს საკუთარი მოვალეობების გააზრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევები. პედაგოგის მაგალითი გადამწყვეტია სკოლაში მშვიდი და საქმიანი გარემოს შესაქმნელად; ემოციური და ქცევითი პრობლემების მქონე მოსწავლეებს სოციალური ქცევის სპეციფიური ინსტრუქციები სჭირდებათ. საქმიანი ურთიერთობა პედაგოგმა მოსწავლესთან უნდა დაამყაროს, როგორც გაკვეთილზე, ასევე კლასგარეშე საქმიანობისას.

სკოლა მოსწავლისათვის ოჯახს წარმოადგენს და როგორც ოჯახი ის თავის თავზე იღებს მოსწავლე ჩამოყალიბდის განათლებულ, ინტელექტუალურ და სოციალურ ჯანსაღად მორგებულ პიროვნებად. ეს პროცესი არ უნდა იყოს ძალდატანებითი, უფრო მეტიც, სასიამოვნო შეგრძნებებს უნდა განიცდიდეს ორივე მხარე. ურთიერთსიმპატიების გამოვლენა შესაძლოა რაღაც ეტაპზე გაჭირდეს, ამ შემთხვევაში პედაგოგი ნაბიჯ-ნაბიჯ უჩვენებს მოსწავლეს, რომ სკოლაში ყველაფერი ემსახურება მის აღზრდა-განათლებას, რომ ის უყვართ როგორც თანატოლებს, ისე აღმზრდელ მასწავლებლებს, რომლებიც ითვალისწინებენ მოსწავლის ცალკეულ შეხედულებებს, ეხმარებიან პრობლემების გადაჭრაში.

თანამედროვე სკოლის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს მოსწავლის ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალური განვითარება. კულტურული, სოციალური, პიროვნული, გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის ჰარმონიული, ეფექტური და უსაფრთხო გარემოს შექმნა, რათა აღზარდონ წიგნიერი, შემოქმედებითი პასუხისმგებლობის გრძობის მქონე, მიზანდასახული, კონკურენტუნარიანი, კომუნიკაბელური კრიტიკულად მოაზროვნე და ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე პატრიოტი მომავალი თაობა. სკოლამ უნდა ჩამოყალიბდეს და განუვითაროს მათ დამოუკიდებელი, ლოგიკური, ლიბერალურ-დემოკრატიული, სამოქალაქო-სამართლებრივი და ეროვნული ცნობიერებისა და აზროვნების უნარი; არანაკლებ მნიშვნელოვანია გაუღვივოს მათ ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების პატივისცემა, სამშობლოსა და ოჯახის სიყვარული, მისცეს მათ თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი ცოდნა შემდეგ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის სასწავლებლებში.

მოსწავლე განუმეორებელი ინდივიდია და აღზრდის პროცესი მისი პიროვნებად ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული. საჭიროა ყურადღება მიექცეს პედაგოგიურად მიზანშეწონილ და მიზანმიმართულ საქმიანობას. მოსწავლეებში პიროვნულ თვისებათა ჩამოყალიბება შეუძლებელია კეთილშობილურ ურთიერთობათა გარეშე. მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურება მუდამ უნდა ახსოვდეს პედაგოგს, რადგანაც ყველა ასაკი თავისებურ მიდგომას საჭიროებს.

მოსწავლის წინაშე არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის აუცილებელია ყველა იმ ძალთა გაერთიანება, რომლებიც გულშემატკივრობენ მას. ე.ი. მოსწავლის ნორმალური აღზრდისათვის ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევაა საჭირო.

როგორც ცნობილია, მოზარდის ქცევის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს როგორც მეგა, მეზო, ისე მაკრო და მიკროსოციალური გარემო. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩვენს ირგვლივ ახალ-ახალი ნეგატიური ფაქტორები წარმოიშვა: თანამედროვე ყოფიდან გამომდინარე, უკვე დამკვიდრებული წესების შეცვლა, ინფორმაციის მოზღვაება, ინტენსიური ურბანიზაცია, ზნეობრივ ფასეულობათა დეფიციტი, ცხოვრების ტემპის აჩქარება. დღესდღეობით თანამედროვეობასთან არაადაპტირებულ ოჯახთა კატეგორიას მიაკუთვნებენ იმ ოჯახებს, რომელთაც ფეხი ვერ აუწყვეს თანამედროვე ცხოვრების რიტმს.

3. Diary of the interviewer (it is composed after every questioning on that day, in the diary interviewer notes how he found out about the respondent, who introduced the respondent to him; what was the respondent's reaction to the interviewer (gladly, with readiness to answer, watchfully, hostilely, etc.); was there anyone present during the interview; in what surrounding the interview was held; what impressions the student has after the interview, etc.).

4. Agreement about saving and using the interview for scientific purposes.

5. Photos of respondents.

6. Memoirs, diaries, other documents, given by a respondent.

After receiving such a folder it was the project leaders' role to verify, whether the audiorecords and transcripts of the printed materials were identical.

As a result, 275 respondents were interviewed. Expeditions were held in 30 settlements. Interviews were held with residents of Ukrainian, Russian, Bulgarian, Greek, German, Jewish, Moldavian, Belarusian villages. Taking into consideration, that a lot of respondents were born in other settlements of the region and a part of their childhood and youth were spent there, it becomes quite clear, that the geography of the research is rather representative.

Taking into account the themes of the questions and respondents' age, it is clear that the main part of oral evidences, gathered during expeditions, are about the first half of XX century – a period, when world outlook imperatives of the residents were broken. This break was connected with the processes which took place in the whole Russian Imperia and the Soviet Union. Multiculture, which was a feature of the Southern Ukraine, influenced the character of the break. And vice versa.

Two archeographical books are published as a result of the above projects: "Transformations of Religiosity in Circumstances of a Multicultural Region (Materials of Archeographical Expeditions in the Northern Pryazovya)" (*Lyman, 2011*) and "Peasants and a city: The Phenomenon of Perception of Urban Processes in the Countryside Traditions (Materials of Historical and Archeographical Expeditions in the Northern Pryazovya)" (*Konstantinova, 2012*). 238 interviews of our students are printed there.

We specially wrote up in detail the preparation and holding archeographical expeditions, which study oral history. We described the way full of hard work and serious thoughts and solving many organizational questions. The way which is very symptomatic for the modern historiographical situation in Ukraine. We hope that this experience may be interesting for those who seeking new forms of improving educational processes in University.

BIBLIOGRAPHIC REFERENCES:

1. Селяни і місто: феномен сприйняття урбанізаційних процесів у селянській традиції (матеріали історико-археографічних експедицій Північним Приазов'ям) / Упорядник В.М. Константінова. — К., 2012. — 416 с.
2. Трансформації релігійності в умовах полікультурного регіону (матеріали археографічних експедицій Північним Приазов'ям) / Упорядник І.І. Лиман. — Запоріжжя: АА Тандем, 2011. — 360 с.
3. Усна історія Голодомору 1932-1933 років у Північному Приазов'ї. Бердянський вимір / Упорядники: І.І. Лиман, В.М. Константінова. — Запоріжжя: «АА Тандем», 2009. — 302 с.
4. Усна історія Голодомору 1932-1933 років у Північному Приазов'ї: матеріали історико-археографічних експедицій / Упорядник: В.М. Константінова. — Запоріжжя: АА Тандем, 2009. — 532 с.
5. Усна історія: теорія та практика / Упорядники А. Бойко, С. Білівненко, Ю. Головка та інші. — Запоріжжя: Тандем-У, 2008. — 100 с.

RESUME

This article is devoted to organizing and conducting oral historical expeditions as a form of involvement of students in scientific work. Based mainly on own experience the authors explain methodology of organizing and conducting expeditions, that aim to gather primary sources. They describe the necessary steps, that should be taken in order to hold an expedition in oral history. Also, they speak about criteria for choosing of settlements in which the historical oral evidences should be gathered; the main principles for choosing respondents; the methods of finding respondents; questionnaires and typical structures of interview. The attention is paid to the question how to prepare students theoretically before the beginning of large-scale expeditions. The special attention is focused on two projects ("Transformation of Religiosity of the Population in Circumstances of a Multicultural Region (on materials of

expeditions in the villages of the South of Ukraine)” and “The Phenomenon of Perception of Urban Processes in the Countryside Traditions (based on the materials of historical and ethnographical expeditions in the villages of the Southern Ukraine)” which resulted in the publication of 238 interviews of students of Berdyansk State Pedagogical University.

საბაზისო საგანმანათლებლო სასწავლო კურსებში ბლუმის ტაქსონომიის გამოყენება

ნინო ლომთათიძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორი
E-mail: n_lomtatidze@mail.ru

ნარგიზ ალასანია, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორი
E-mail: nargiz-alasania@rambler.ru

საბაზისო სწავლების პრინციპების გამოყენებაში დიდი მნიშვნელობა აქვს პროექტს: „წერა და კითხვა კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის“, იგი წარმოადგენს სწავლების მეთოდების ერთიან, ურთიერთდაკავშირებულ კომპლექსს, რომელთა მეშვეობით სტუდენტებს აქტიური მონაწილეობა და ცოდნის შექმნა შეუძლიათ სასწავლო პროცესში. პროექტი თეორიაზე მეტად პრაქტიკაზეა ორიენტირებული და ეყრდნობა კრიტიკული აზროვნების თეორიისა და პრაქტიკის ცალკეულ დებულებებსა და ცდებს, რომელიც სამოქალაქო და სამართლებრივ სფეროში ხორციელდება.

სტუდენტის საქმიანობის ბაზაზე მივხედო, აღმოჩენის და განსჯის გზით ცოდნის მიღებაში ან კონსტრუირებაში კონსტრუქტივიზმი გამოკვეთს აქტიურ როლს. სწავლება/სწავლის კონსტრუქტივისტული თეორია ამტკიცებს: რამდენადაც ახალ გამოცდილებას წინანდელი გამოცდილების საფუძველზე ინტერპრეტაციას ვაძლევთ, ყოველივე ადრე კონსტრუირებული სტუდენტებს აძლევს სქემებს ან უქმნის შემეცნებით საფუძველს იმისათვის, რისი კონსტრუირებაც მომავალში მოუწევთ.

ჟან პიაჟე განასხვავებდა ცოდნის სახეებს: ერთი მხრივ, ცოდნას აქტიური სწავლება/სწავლის პროცესში მიღებულს, მეორე მხრივ – სოციალურ ანუ ნებისმიერ ფაქტობრივ ცოდნას, რომლის შექმნა ასე თუ ისე აუცილებელია.

კრიტიკული ფიქრი ცნობისმოყვარეობის გამოვლენას და კვლევის მეთოდების გამოყენებას ნიშნავს ანუ საკუთარ თავს კითხვები დაუსვა და პასუხების გეგმაზომიერი მიება განახორციელო. კრიტიკული აზროვნება სხვადასხვა დონეზე მუშაობს, ფაქტებით არ კმაყოფილდება და ამ ფაქტების მიზეზებსა და შედეგებს ხსნის. კრიტიკული აზროვნება თავაზიან სკეპტიციზმს, საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებისადმი ეჭვს გულისხმობს, რაც გარკვეულ საკითხზე თვალსაზრისის შემუშავებას და ამ თვალსაზრისის ლოგიკური დასაბუთებით დაცვას ნიშნავს, იგი ითვალისწინებს ოპონენტის არგუმენტებისადმი ყურადღებას და მათ ლოგიკურ გააზრებას. კრიტიკული აზროვნება არ არის მხოლოდ ასათვისებელი ინფორმაციის აქტიური მოძიების პროცესი, არამედ ეს არის თანაფარდობა რაც აითვისეს და რაც საკუთარი გამოცდილებით მიიღეს. გარდა ამისა, სტუდენტებს უფლება აქვთ, მიღებული ინფორმაციის სანდოობა ეჭვქვეშ დააყენონ, მტკიცებების ლოგიკა გულდასმით შეამოწმონ, დასკვნები გააკეთონ, აწარმოონ პრაქტიკაში გამოსაყენებლად ახალი მაგალითების კონსტრუირება, მოიაზრონ პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობები, მიზეზები და შედეგები (ჩარლზ თემფელი, 2001).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საბაზისო სწავლების პრინციპების გამოყენებისას ბენჟამინ ბლუმის ნაშრომი: „საგანმანათლებლო ამოცანების ტაქსონომია“ აზროვნების ტიპებით ან დონეებით შეფასებისათვის, რომელიც ლექტორის მიერ დასმულ კითხვებში „დაბალი“ და „მაღალი“ დონის გარჩევის საშუალებას იძლევა. „დაბალი“ დონის ბოლოს აღმოჩნდება კითხვები, რომელიც სტუდენტებისაგან მოითხოვს მეხსიერებიდან მოიხმონ ფაქტები და კონცეფციები და გააცნობიერონ იდეები. „მაღალ“ დონეზე კი გამოჩნდება კითხვები, რომლებიც იდეების გამოყენებას, მტკიცებების ანალიზს, მრავალი იდეის სინთეზს ახლებური გადაწყვეტის მისაღწევად და მსჯელობათა მთელი მსვლელობის შეფასებას მოითხოვს.

სასარგებლოა ბლუმის ტაქსონომიის გამოყენება საბაკალავრო სასწავლო კურსებში, რადგან ლექტორის მიერ დასმულ კითხვებსა და აზროვნების ტიპებს ან დონეებს შორის პირდაპირი კავშირი

არსებობს. როდესაც შეგნებულად ვირჩევთ კითხვების ტიპებს ამით ვაკონტროლებთ აზროვნებას სტუდენტებში. შედარებით „მაღალ“ დონეზე მოაზროვნე სტუდენტებს მნიშვნელოვნად უადვილდებათ ათვისებულის გამოყენება, ვიდრე მათ, ვისი აზროვნებაც გაგებისა და გახსენების დონეზე დარჩა.

ბლუმის თეორიის მიხედვით გამოყოფენ აზროვნების შემდეგ დონეებს: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება. აზროვნების ეს დონეები საფეხურებს ქმნიან, სადაც ყოველი მომდევნო უფრო რთულდება და მოიცავს ერთ ან რამდენიმე წინა დონეს. ცოდნა, გაგება და გამოყენება მოიაზრება აზროვნების ქვედა დონეში, ხოლო ანალიზი, სინთეზი და შეფასება კი აზროვნების ზედა დონეში.

ცოდნა – განიხილება, როგორც აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევა და მასში იგულისხმება: ფაქტების, წესების პრინციპების, თეორიების, პროცესების, ობიექტების, მოვლენების ცოდნა და დასახელება.

გაგება – განიხილება, როგორც აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევა და ზოგადად, იგი გულისხმობს ნასწავლი მასალის მნიშვნელობის წვდომას. კერძოდ, ფაქტების, წესების, პრინციპების, თეორიების, პროცესების, ობიექტების, მოვლენების საკუთარი სიტყვებით აღწერას. ტექსტის ძირითადი აზრის საკუთარი სიტყვებით ახსნას, შესაბამისი მაგალითის მოყვანას, საგნების. მოვლენების, პროცესების თვალსაჩინო ნიშნით დახარისხებასა და დაჯგუფებას.

გამოყენება – განიხილება, როგორც აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევა და ზოგადად, იგი გულისხმობს ადრე ათვისებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. კერძოდ, ცოდნის სხვადასხვა სიტუაციაში (კონტექსტში) მოხმარებას, მოდელის მიხედვით დავალების, სამუშაოს შესრულებას, პროცედურის განხორციელებას, კანონზომიერების მოქმედების ფარგლების განსაზღვრას.

ანალიზი – არის სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომლის დროსაც ხდება მთლიანი საგნის ცალკე ნაწილების, მხარეების და თვისებების გამოყოფა ადამიანის წარმოდგენაში. ანალიზი აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევა და მასში იგულისხმება: მასალის (სტრუქტურის) შემადგენელ ნაწილებად დაყოფა; ნაწილების შედარება-შეპირისპირება, ნაწილებს შორის კავშირის ან სტრუქტურის დანახვა, მოვლენის მიზეზის ახსნა, პროცესის კანონზომიერების გამოვლენა, მიზეზებსა და შედეგს შორის კავშირის დადგენა.

სინთეზი – არის სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომელიც წარმოადგენს ანალიზის საწინააღმდეგო პროცესს. იგი აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევა და მასში იგულისხმება: ნაწილების შეერთება ახალი სტრუქტურის შესაქმნელად, ჰიპოთეზის წამოყენება, კვლევის ან რეფერატის დაგეგმვა, შემოქმედებითი პროდუქტის დაგეგმვა, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების წამოყენება, ახალი პროდუქტის შექმნა.

შეფასება – არის აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევა და ზოგადად, იგი გულისხმობს არჩეული კრიტერიუმების (მაგ. რაოდენობა, ხარისხი, ხანგრძლივობა და სხვა) გარკვეული კატეგორიისადმი მიკუთვნებას. სტანდარტებზე და პირობებზე დაყრდნობით რაიმეზე მსჯელობის ან დასკვნების გამოტანას. კერძოდ, საკუთარი პოზიციის არგუმენტირებული დასაბუთება, გარკვეულ კრიტერიუმებზე და სტანდარტებზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთება, პოზიციისა და მისი კონტრარგუმენტის განხილვის საფუძველზე დასკვნის გამოტანა, პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზიდან ერთ-ერთის არჩევის მართებულობის დასაბუთება, მოდელის (სისტემის) მოქმედების შეფასება, მტკიცებულების ღირებულების (მნიშვნელობის) დაზუსტება; დასკვნების შესაბამისობის დადგენა (Bloom B.S., 2001).

მაღალი დონის აზროვნება იწყება ბუნებრივი ცნობისმოყვარეობის კულტივირებით, ბუნებისა და ზნეობრივი პრობლემებისადმი ინტერესით. მიუხედავად ამისა, აზროვნების, როგორც „ჩვევის“ განვითარება კონკრეტული დისციპლინებისაგან მოწყვეტით შეუძლებელია. კრიტიკული და მაღალი დონის აზროვნების განვითარება უნდა უკავშირდებოდეს კონკრეტულ ცხოვრებისეულ ამოცანებს, რეალური პრობლემების დასმას და გადაწყვეტას (Anderson, L.W. Krathwohl, D.R., 2001).

სწავლისა და აზროვნებისათვის, ნამდვილი ცხოვრებისეული ამოცანების გადასაწყვეტად, ახალი ცოდნის გამოყენება კარგ წამახალისებელ ფაქტორს წარმოადგენს, როდესაც სწავლა სტუდენტთა მიერ მიღებული ცოდნისა და გამოცდილებისაგან მომდინარეობს, რაც საშუალებას აძლევს, უკვე ნაცნობი ახლად მიღებულ ინფორმაციას დაუკავშირონ. კრიტიკული აზროვნება და სწავლა ხორციელდება სწორედ მაშინ, როდესაც სტუდენტებს ესმით და აფასებენ იდეებისა და მოსაზრებების ნაირგვარობას.

ამრიგად, ჩვენი კვლევის შედეგად ცხადია, რომ საბაზისო სწავლებაში ბლუმის ტაქსონომიის გამოყენება სტუდენტებს უვითარებს რწმენას, რომ შეუძლიათ სერიოზული საკითხების განხილვა და კრეატიული/შემოქმედებითი იდეების შემოთავაზება. უყალიბებს პროფესიულ დამოუკიდებელი ანუ კრიტიკული აზროვნების უნარს, დისციპლინარული პრობლემების/საკითხების გადაჭრის ჩვევებს. განაპირობებს მუდმივი ძიებისათვის სტუდენტთა სტიმულირებისა და პროდუქტიული აზროვნების უნარ-ჩვევების ფორმირებას. განავითარებს განსჯის უნარს და დემოკრატიული მოქალაქეობრიობის საფუძვლებს შორის კავშირის აღიარებას.

ლიტერატურა:

1. ჩარლზ თემფელი, სტრატეგიები სხვადასხვა საგანში, ნიუ იორკის ღია საზოგადოების ინსტიტუტი, 2001, გვ. 25
2. Bloom, B.S. (Ed) Taxonomy of educational objectives: The classification of educational goals: Handbook I, cognitive domain. New York: Longman, 2001. p. 92.
3. Anderson, L.W. Krathwohl, D.R. A taxonomy for Learning, Teaching and Assessing: A revision of Bloom's Taxonomy of Educational objectives. New York: Longman, 2001, p. 264

რეზიუმე

საბაზისო სწავლების პრინციპების გამოყენებაში დიდი მნიშვნელობა აქვს პროექტს: „წერა და კითხვა კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის“, იგი წარმოადგენს სწავლების მეთოდების ერთიან, ურთიერთდაკავშირებულ კომპლექსს, რომელთა მეშვეობით სტუდენტებს აქტიური მონაწილეობა და ცოდნის შექმნა შეუძლიათ სასწავლო პროცესში. პროექტი თეორიაზე მეტად პრაქტიკაზეა ორიენტირებული და ეყრდნობა კრიტიკული აზროვნების თეორიისა და პრაქტიკის ცალკეულ დებულებებსა და ცდებს, რომელიც სამოქალაქო და სამართლებრივ სფეროში ხორციელდება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საბაზისო სწავლების პრინციპების გამოყენებისას ბენჯამენ ბლუმის ნაშრომი: „საგანმანათლებლო ამოცანების ტაქსონომია“ აზროვნების ტიპებით ან დონეებით შეფასებისათვის, რომელიც ლექტორის მიერ დასმულ კითხვებში „დაბალი“ და „მაღალი“ დონის გარჩევის საშუალებას იძლევა. „დაბალი“ დონის ბოლოს აღმოჩნდება კითხვები, რომელიც სტუდენტებისაგან მოითხოვს მემორირებას და მოხმონ ფაქტები და კონცეფციები და გააცნობიერონ იდეები. „მაღალ“ დონეზე კი გამოჩნდება კითხვები, რომლებიც იდეების გამოყენებას, მტკიცებების ანალიზს, მრავალი იდეის სინთეზს ახლებური გადაწყვეტის მისაღწევად და მსჯელობათა მთელი მსვლელობის შეფასებას მოითხოვს.

USING BLOOM'S TAXONOMY IN BASIC EDUCATIONAL COURSES

Nino Lomtadze, Shota Rustaveli State University, Doctor

Nargiz Alasania, Shota Rustaveli State University, Doctor

SUMMARY

In the Basic teaching principles a great role is played by the project: “Writing and Reading for Critical Thinking”. It represents the united, connected complete set of the teaching methods, which provides the opportunity for the students to become actively involved in the studying process and get knowledge. Project is more oriented on the practical knowledge than on theoretical and is based on the regulations and experiments of the theories and practices of critical thinking; there are mainly implemented in the fields of civic education and law.

The work worth noting in terms of using the basic teaching principles belongs to Benjamin Bloom: “The Taxonomy of Learning Domains”. This work aims to evaluate thinking with types and levels, which gives the possibility of differentiating “low” and “high” levels according to the lecturer's questions. In the end of the “low” level, there will be questions, which require recalling facts and conceptions and understanding ideas. Whereas, on the “high” level there will arise questions which require using ideas, proving analysis, synthesizing several ideas to achieve a new decision and evaluating the whole set of discussions.

სასწავლო რესურსისა და სწავლების სტრატეგიების შერჩევა/გამოყენების მნიშვნელობა სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლებაში

ნანა მაკარაძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ნათია მაკარაძე, შპს „ფირმა ჩალარის საგანმანათლებლო დაწესებულებების“ ქ. ბათუმის რ.

შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორის მოადგილე სასწავლო-
აღმზრდელობით დარგში

მოსწავლის აკადემიურ წარმატებას ბევრი ფაქტორი განაპირობებს. განათლების სფეროს ცნობილი თანამედროვე მკვლევარი რობერტ ჯ. მარზანო განათლების სფეროში ჩატარებული კვლევების ანალიზის საფუძველზე გამოყოფს ფაქტორების სამ კატეგორიას: სკოლასთან, მასწავლებელსა და მოსწავლესთან დაკავშირებულ ფაქტორებს (მარზანო, 2003). სკოლასთან დაკავშირებული ფაქტორები გულისხმობს სასკოლო პოლიტიკის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა სავალდებულო და განხორციელებადი სასწავლო გეგმა, მიზნების დასახვა და შედეგების ეფექტიანი შეფასება, მშობლებისა და საზოგადოების ჩართულობა, უსაფრთხო და მოწესრიგებული სასწავლო გარემო, თანამშრომელთა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირთა თანამშრომლობა და პროფესიონალიზმი. მასწავლებელთან დაკავშირებულ ფაქტორებში მარზანო ასახელებს სწავლების მეთოდებს, კლასის მართვის სტილსა და გაკვეთილის დაგეგმვას, ხოლო მოსწავლესთან დაკავშირებულ ფაქტორებში კი - მოსწავლის ოჯახურ გარემოს, შეძენილ ინტელექტს, ზოგად განათლებასა და მოტივაციას (ჩაჩხიანი, 2011).

სკოლასთან დაკავშირებული ფაქტორებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასწავლო გარემოა. სასწავლო გარემოს მოწყობას უდიდესი დატვირთვა აქვს სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვისათვის. იგი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა დამოუკიდებელ და შემოქმედებით მუშაობას, სწავლების ორგანიზებასა და საგნისადმი ინტერესის გაღვივებას. სასწავლო გარემოს მოწყობა კომპლექსური საკითხია და მოიცავს როგორც საკლასო ოთახის ფიზიკურ მახასიათებლებს (მაგალითად, განათება, ტემპერატურა, სასწავლო ავეჯი და სხვ.), ისე სწავლებისათვის საჭირო სხვადასხვა სახის რესურსს (მაგალითად, საპრეზენტაციო და საექსპოზიციო მასალები, სასწავლო-მეთოდური კომპლექტები, მაკეტები და მოდელები, კოლექციები, სურათები, ტექნიკური საშუალებები და სხვ.). მიუხედავად აღნიშნულისა, საგანმანათლებლო სივრცეში ხშირად ვაწყდებით სასწავლო რესურსების ნაკლებობის ან არარსებობის შემთხვევებს, რაც სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული: ინფრასტრუქტურული რესურსების ნაკლებობა შესაძლოა ფინანსურ ან ტერიტორიულ/გეოგრაფიულ ფაქტორებს უკავშირდებოდეს, ან სტრატეგიული დაგეგმარების სისუსტითა და ფონდების მოზიდვის საკითხებში გამოუცდელობით იყოს გამოწვეული. ზოგჯერ რესურსების სიმწირე სასარგებლო რესურსების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას უკავშირდება, ზოგჯერ კი - სუსტი მენეჯმენტის შედეგია. არის შემთხვევები, როცა რესურსების სწორად განვითარებისა თუ გამრავალფეროვნების ხელშესაწყობად არ არსებობს სათანადო მოტივაცია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სფეროში სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამდენად, როდესაც სკოლას რესურსებით გამდიდრება სჭირდება, საკმაოდ რთულია პრიორიტეტების სწორად დასახვა, რომლის განხორციელების შედეგაც არა მხოლოდ რესურსების მოპოვება, არამედ მის გამოსაყენებლად საჭირო სტრატეგიების შერჩევა და სწავლების პროცესის გაუმჯობესება იქნება.

სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რესურსების მიზნობრივად შერჩევას, შესაბამისი სახით წარდგენასა და გამოყენებას. სასწავლო რესურსმა მოსწავლეებში უნდა განავითაროს აზროვნება, შემოქმედებითობა, დაკვირვება, კვლევა, ესთეტიკური გემოვნება და სხვ. ასევე ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებში ინფორმაციის ვიზუალურ აღქმასა და შინაარსობრივ გააზრებას, სწავლის, ანალიზის, კვლევისა და სხვა უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებას.

გაკვეთილის დაგეგმვის დროს მასწავლებელმა აუცილებლად სწორად უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი და შესაბამისად უნდა შეარჩიოს სწავლების მეთოდები/ სტრატეგიები და ის დამხმარე საშუალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს როგორც გაკვეთილის მიზნის მიღწევას, ასევე მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებას.

სასწავლო პროცესისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა/გამოყენების თვალსაზრისით საყურადღებოა ისეთი პრინციპების გათვალისწინება, როგორიცაა:

- საჭიროება (რა რესურსებია საჭირო სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად);
- ხელმისაწვდომობა (რა რესურსებია ხელმისაწვდომი საკლასო ოთახში, სკოლაში, საზოგადოებაში);

- შენახვის პირობები (როგორ ინახება კონკრეტული რესურსი და რამდენადაა ის დაცული საკლასო ოთახში, სკოლაში);
- რესურსების უსაფრთხო მოხმარება (უსაფრთხოების რა ზომების დაცვაა საჭირო);

წარმატებული და შედეგზე ორიენტირებული სწავლებისათვის გამოსაყენებელი საგანმანათლებლო რესურსის ეფექტურობის შესამოწმებლად აუცილებელია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. კერძოდ, რამდენად შესაძლებელია სასწავლო რესურსის დახმარებით:

- ა) გავუღვივოთ მოსწავლეებს სწავლის სურვილი (სასწავლო რესურსები ხელს უწყობს თუ არა მოსწავლეებში სწავლის მიმართ მოტივაციას, ინტერესის აღძვრას);
- ბ) მოსწავლეებმა შეძლონ „სწავლა კეთებით“ (რესურსების გამოყენება ხელს უწყობს თუ არა სწავლას გამოცდილების საფუძველზე, პრაქტიკით);
- გ) მოსწავლეებმა შეძლონ უკუგება (შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს გადმოსცენ, რა ისწავლეს გაკვეთილზე რესურსის გამოყენებით, რა ისწავლეს ერთმანეთისაგან და მასწავლებლებსაგან);
- დ) მოსწავლეებმა შეძლონ მასალის ათვისება (დაეხმარება თუ არა ეს რესურსი ნასწავლის უფრო უკეთ გააზრება-გაგებას).

შეზღუდული რესურსებით მუშაობა მასწავლებლისთვის რთული გამოწვევაა, თუმცა მეტად სასარგებლო გამოცდილებაა პროფესიული განვითარებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ რესურსების მობილიზება და გამოყენება საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია, მასწავლებელს, უმეტეს შემთხვევაში, თავად უხდება შემოქმედებითი უნარის გამოვლენა, რათა არსებული რესურსები გადააფასოს და ინოვაციურად გამოიყენოს. საგაკვეთილო პროცესში დამატებითი რესურსების ჩართვა კიდევ უფრო ზრდის გაკვეთილის წინასწარ დაგეგმვის საჭიროებას. გაწერილი უნდა იყოს რესურსის გამოყენების სარგებლიანობა, მისაღწევი საგანმანათლებლო მიზნები, რესურსით მუშაობის ფორმატი, მოსწავლეთა განაწილება, დავალების ინსტრუქციები, შეფასების ფორმები და ა.შ.

საგაკვეთილო პროცესის გამდიდრების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი კლასში რეალური ნივთების შეტანაა. ეს მეთოდი სხვადასხვა საგნის სწავლების დროს და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში შეიძლება გამოიყენოთ. მაგალითად, უცხო ენის სწავლებისას მოსწავლეებს შეგვიძლია დავავალოთ გაკვეთილზე ხილის, ბოსტნეულის, ჭურჭლის, ტანსაცმლის მოტანა და მათი დახმარებით შევასწავლოთ ახალი ლექსიკა; ისტორიაში შესაძლებელია ფულის ერთეულების გამოყენება მათზე გამოსახული ისტორიული პირის ან მოვლენის განხილვის მიზნით; გეოგრაფიაში შეიძლება ქვის, ფანქრის გულის, ცარცის ან ნახშირის გამოყენება დედამიწის ქანებისა და მინერალების შესწავლისას; ქიმიაში - შაქრის, მარილის, წყლის გამოყენება ქიმიურ ცდებში; ფიზიკაში შესაძლებელია მობილური ტელეფონის, რადიოს ან ნებისმიერი ელექტროაპარატურის გამოყენება ენერჯის წარმოქმნისა და გადაცემის საკითხების შესწავლისას; გეომეტრიაში შესაძლებელია ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებული ნივთების ან სამშენებლო მასალების დახმარებით სამგანზომილებიანი ფიგურების შესწავლა; ბოტანიკაში ხის ნაჭრის, ყვავილის ან მცენარის ფოთლების დახმარებით ფოტოსინთეზის ან მცენარეების ზრდა-განვითარების საკითხების განხილვა; ხოლო, რაც შეეხება ქართულ ენასა და ლიტერატურას, აქ მასწავლებელს შეუძლია, სასწავლო მასალის შინაარსიდან გამომდინარე, ნებისმიერი ნივთის დემონსტრირება (მაგალითად, ია, თიხის ფილა, საათი, თასი და ა.შ.). სწავლების ეფექტური საშუალებებია, აგრეთვე, სხვადასხვა სახის საგნები ან სიმულაციები. მაგალითად, მაღაზიაში გასვლის სიმულაცია შესაძლებელია გამოიყენოთ როგორც უცხო ენის, ისე მათემატიკის გაკვეთილზე. გეოგრაფიაში, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების შესწავლისას, მოსწავლეებს შეიძლება დავავალოთ ახალი პოლიტიკური ან ეკონომიკური კავშირის მოდელირება და მასზე მსჯელობა. აღნიშნული სტრატეგია განსაკუთრებით ეფექტურია მშობლიური ლიტერატურის სწავლების პროცესში (მაგალითად, როლური თამაშის გამოყენების გზით).

რესურსების ნაკლებობის დაძლევის კიდევ ერთი საინტერესო მეთოდია გაკვეთილის გამდიდრება ჟურნალ-გაზეთებიდან ან დამატებითი საკითხავი ლიტერატურიდან ამონარიდებით. აქაც, მოსწავლის ჩართულობის ხარისხი მაღალია, ხოლო სასწავლო პროგრამის გამრავალფეროვნების შესაძლებლობა - დიდი. სასურველია, ყურადღება შევაჩეროთ კროსვორდებზე, რომელთა გამოყენებაც ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში სახალისო და საინტერესოა. მათი გამოყენება სასურველია მოსწავლეთა პროვოცირების მიზნით ახალი მასალის გაცნობის წინ ან შესწავლილი მასალის შესაფასებლად. კროსვორდის გამოყენება ერთნაირი წარმატებით შეიძლება ნებისმიერ სასწავლო დისციპლინაში.

სასწავლო გარემოს მოწყობისა და რესურსების შექმნის პროცესში მნიშვნელოვანია თავად მოსწავლეების ჩართვა. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოსწავლეებს, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, თავადაც შეუძლიათ შექმნან სხვადასხვა სახის რესურსი. მაგალითად, ბუნებისმეტყველების სწავლების პროცესში ასეთი შეიძლება იყოს ცოცხალი კუთხე, სადაც ისინი თავს

მოუყრია სხვადასხვა მცენარეს, მოაწყობენ აკვარიუმს და, რაც მთავარია, თავადვე მოუვლიან მათ. ასევე, თავად შეუძლიათ შექმნან ჰერბარიუმი, ნატურალური ობიექტების კოლექციები, მოდელები, მაკეტები, პლაკატები, ცხრილები, მოძრავი ანბანი და სხვა დამხმარე მასალა, ამონაბეჭდები ჟურნალ-გაზეთებიდან, წიგნები და ა. შ.) (მირიანაშვილი, 2010).

სასწავლო პროცესში და განსაკუთრებით დაწყებით კლასებში ყურადღება უნდა მიექცეს სასწავლო რესურსების სისტემატიზაციას და მათ უსაფრთხო გამოყენებას. მაგალითად, რესურსები უნდა დავახარისხოთ გარკვეული ნიშნების მიხედვით, უნდა მოვერიდოთ ძალიან მცირე ზომის, ან კიდევ ბასრი და წვეტიანი საგნების გამოყენებას.

მასწავლებელთა საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა პირველ რიგში დამოკიდებულია სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, რადგან მხოლოდ მასალებით აღჭურვა არაა საკმარისი შედეგის მისაღწევად. მაგალითად, სკოლაში ვერც მხოლოდ რეაქტივების შექმნით მივიღებთ სასურველ შედეგს და ვერც მხოლოდ ლაბორატორიებით უზრუნველყოფით. ეს ორივე კომპონენტი ერთიანობაში წარმოადგენს რესურსს და მისი გამოყენება შეიძლება სასწავლო პროცესში დასახული რომელიმე კონკრეტული მიზნის მისაღწევად. ამ მხრივ განსხვავებული მდგომარეობაა საჯარო და კერძო სკოლებს შორის, თუ არ ჩავთვლით საქართველოს მასშტაბით სულ რამდენიმე საჯარო სკოლაში გახსნილ მომავლის კლასს. კერძო სკოლები თავიანთი ავტონომიურობისა და თვითდაფინანსების ფარგლებში უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ სკოლის გარემოს მოწყობასა და რესურსებით უზრუნველყოფას და „გონიერი დაფის“ ჩათვლით, ყველა თანამედროვე ტექნიკური საშუალებისა და რესურსის შექმნაზე ზრუნავენ (მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ „ვირმა ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების“ ქ. ბათუმის რ. შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმი, რომლის მოსწავლეებიც ერთ-ერთი პირველები სარგებლობენ „გონიერი დაფით“ უკვე მეორე სასწავლო წელია) მაშინ, როცა საჯარო სკოლების მასწავლებლებისათვის იშვიათი შემთხვევაა სკოლისაგან მინიმალური რესურსის მიღებაც კი. იგივე შეიძლება ითქვას სკოლების ლაბორატორიებითა და შესაბამისი რეაქტივებით აღჭურვაზე. მართალია, ბოლო პერიოდში მიმდინარეობს საჯარო სკოლების უზრუნველყოფა ლაბორატორიებით, მაგრამ ისინი ხშირ შემთხვევაში უფუნქციოა და მხოლოდ სასკოლო გარემოს მოწესრიგებულობის ხაზგასმაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, საჯარო სკოლის მასწავლებლებს ძირითადად შიშველი ხელებით ან კიდევ შესაძლებლობის ფარგლებში საკუთარი ხარჯებით უწევთ სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად საჭირო რესურსების შექმნა/შექმნა მაშინ, როცა სასწავლო პროცესის შესაბამისი რესურსებით გამრავალფეროვნება ბევრად უფრო საინტერესოა და ადვილად დასაძლევს ხდის გაკვეთილის მიზანს და შედეგიც უფრო თვალნათელია. ალბათ, სწორედ აქედან გამომდინარეობს მშობელთა კერძო სკოლებით უფრო მეტად დაინტერესება, განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურებზე. სკოლა, რომელიც თავის პერსონალს უზრუნველყოფს ყოველგვარი რესურსით (ელემენტარული ყოველდღიური წვრილმანით დაწყებული და მოქმედი ლაბორატორიებითა და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერული კლასებით დამთავრებული), უფრო რეიტინგულია და მიუხედავად პედაგოგთა მცირე ანაზღაურებისა ან კიდევ სწავლის მაღალი საფასურისა, უპრობლემოდ იზიდავს როგორც მასწავლებელთა, ასევე მოსწავლეთა კონტიგენტს. აჭარის სკოლების მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ეს პრობლემა საკმაოდ აქტუალურია და ერთნაირად აწუხებს როგორც თვითონ მასწავლებლებს, ასევე მშობლებს, რომლებსაც აქვთ თავიანთი შვილების სრულფასოვანი განათლების სურვილიცა და პრეტენზიაც, განსაკუთრებით - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ავტორიზაცია-აკრედიტაციის პრობლებში

სწორედ ამითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ მასწავლებლები უმრავლეს შემთხვევაში სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობის მიხედვით არჩევენ სწავლების სტრატეგიებს და არა, პირიქით. ნორმალურ პირობებში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მასწავლებელმა გაკვეთილის მიზნიდან გამომდინარე უნდა შეარჩიოს სწავლების მეთოდები თუ სტრატეგიები და ამის შემდეგ უნდა მოამზადოს გამოსაყენებელი რესურსი.

თუმცა, ფაქტია ისიც, რომ რესურსების რაოდენობის ზრდა სწავლისა და სწავლების ხარისხის ავტომატურად გაზრდას არ ნიშნავს. რესურსების მოპოვება მათი გამოყენების სტრატეგიის გარეშე არამიზნობრივ ხარჯვასთან უფრო ასოცირდება, ვიდრე პოზიტიურ მიღწევებთან. რესურსების გამოყენება აუცილებლად უნდა ემსახურებოდეს უკეთესი აკადემიური შედეგების მიღებას. კერძოდ, სწავლების პროცესში მიზანშეწონილი არ არის ისეთი რესურსის გამოყენება, რომელსაც პირდაპირი კავშირი არა აქვს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და სასწავლო მიზნებთან.

რესურსებისა და სწავლის შედეგების ურთიერთკავშირის შესახებ ჩატარებულმა კვლევებმა გაუთვალისწინებელი შედეგები აჩვენა. კერძოდ, დადგინდა, რომ 2006 წელს ამერიკაში (ეს ქვეყანა განათლების სფეროში რესურსების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის), ვაშინგტონის საჯარო

სკოლებში საშუალოდ ერთ მოსწავლეზე წლიურად 11 300 აშშ დოლარი იყო გამოყოფილი. ასეთი მაღალი ბიუჯეტის მიუხედავად, ამ სკოლებს საკმაოდ სუსტი აკადემიური მიღწევები ჰქონდა (გიუნაშვილი, 2012).

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა და არსებული რესურსის მიზნობრივი გამოყენება წარმოადგენს როგორც ზოგადად სკოლის წარმატების, ასევე მოსწავლის აკადემიური მომზადების დონის ამაღლების წინაპირობას, რაც დამოკიდებულია, ერთი მხრივ, სკოლის ადმინისტრაციის მიერ ბიუჯეტის სწორ დაგეგმვაზე და, მეორე მხრივ - მასწავლებლის პროფესიონალიზმზე.

ლიტერატურა:

1. ზაქარია გიუნაშვილი, თანამედროვე ტექნოლოგიები სკოლაში, ჟურნალი „მასწავლებელი“, 2012. http://www.mascavlebeli.ge/?action=page&p_id=7&npid=10&id=33
2. მ. მირიანაშვილი, გ. ჩხენკელი, ნ. ჯაში, მ. ბლიამე, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი, თბ., 2010.
3. ქ. ჩაჩხიანი, მ. კობახიძე, მ. გაბაშვილი, სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბ., 2011.
4. მ. არახამია, პრაქტიკული დიდაქტიკისა და სკოლათმცოდნეობის ზოგიერთი საკითხი, ქუთაისი, 2010.

რეზიუმე

სასწავლო გარემოს მოწყობა კომპლექსური საკითხია და მოიცავს როგორც საკლასო ოთახის ფიზიკურ მახასიათებლებს, ისე სწავლებისათვის საჭირო სხვადასხვა სახის რესურსს. საგანმანათლებლო სივრცეში ხშირად ვაწყდებით სასწავლო რესურსების ნაკლებობის ან არარსებობის შემთხვევებს, რაც სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული. როდესაც სკოლას რესურსებით გამდიდრება სჭირდება, საკმაოდ რთულია პრიორიტეტების სწორად დასახვა, რომლის განხორციელების შედეგაც არა მხოლოდ რესურსების მოპოვება, არამედ მის გამოსაყენებლად საჭირო სტრატეგიების შერჩევა და სწავლების პროცესის გაუმჯობესება იქნება. გაკვეთილის დაგეგმვის დროს მასწავლებელმა აუცილებლად სწორად უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი და შესაბამისად უნდა შეარჩიოს სწავლების მეთოდები/სტრატეგიები და ის დამხმარე საშუალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს როგორც გაკვეთილის მიზნის მიღწევას, ასევე მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებას.

მასწავლებელთა საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა პირველ რიგში დამოკიდებულია სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე. ამ მხრივ განსხვავებული მდგომარეობაა საჯარო და კერძო სკოლებს შორის, თუ არ ჩავთვლით საქართველოს მასშტაბით სულ რამდენიმე საჯარო სკოლაში გახსნილ მომავლის კლასს. კერძო სკოლები თავიანთი ავტონომიურობისა და თვითდაფინანსების ფარგლებში უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ სკოლის გარემოს მოწყობასა და რესურსებით უზრუნველყოფას და „გონიერი დაფის“ ჩათვლით, ყველა თანამედროვე ტექნიკური საშუალებისა და რესურსის შექმნაზე ზრუნავენ მაშინ, როცა საჯარო სკოლების მასწავლებლებისათვის იშვიათი შემთხვევაა სკოლისაგან მინიმალური რესურსის მიღებაც კი. ეს პრობლემა საკმაოდ აქტუალურია და ერთნაირად აწუხებს როგორც თვითონ მასწავლებლებს, ასევე მშობლებს, რომლებსაც აქვთ თავიანთი შვილების სრულფასოვანი განათლების სურვილიცა და პრეტენზიაც. თუმცა, ფაქტია ისიც, რომ რესურსების რაოდენობის ზრდა სწავლისა და სწავლების ხარისხის ავტომატურად გაზრდას არ ნიშნავს. რესურსების მოპოვება მათი გამოყენების სტრატეგიის გარეშე არამიზნობრივ ხარჯვასთან უფრო ასოცირდება, ვიდრე პოზიტიურ მიღწევებთან.

სასწავლო პროცესის შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა და არსებული რესურსის მიზნობრივი გამოყენება წარმოადგენს როგორც ზოგადად სკოლის წარმატების, ასევე მოსწავლის აკადემიური მომზადების დონის ამაღლების წინაპირობას, რაც დამოკიდებულია, ერთი მხრივ, სკოლის ადმინისტრაციის მიერ ბიუჯეტის სწორ დაგეგმვაზე და, მეორე მხრივ - მასწავლებლის პროფესიონალიზმზე.

THE IMPORTANCE OF CHOICE/ USAGE OF LEARNING RESOURCES AND TEACHING STRATEGIES IN UPGRADING THE QUALITY OF LEARNING/TEACHING PROCESS

Nana Makaradze, Shota Rustaveli State University, Associate Professor

Natia Makaradze, Vice-Director of Batumi R. Shahin Friendship School of L.T.D firm Chaglar Educational Institutions

RESUME

Arrangement of educational environment is a multi-sided issue, involving both the physical characteristics of the classroom and various resources, necessary for teaching. Within the educational area we often trace the lack or absence of teaching resources, which can be caused by different reasons. When a school needs to upgrade its resources it is quite hard to make proper priorities, that will result not only in obtaining the resources but in choosing the right strategies of their usage and improving the teaching process. While planning the lesson a teacher must properly determine its aim and choose the corresponding teaching methods and the aids to achieve these aims and provide student-focused teaching. Provision of teachers with the educational resources primarily depends on the material-technical facilities of the school. Public and private schools differ in this perspective, if we don't consider the exceptional "classes of future" open in a few public schools. Due to their autonomy and self financing, private schools pay attention to the arrangement of proper environment and provision of resources, including "smart boards" and all technical innovations, whereas public school teachers are scarcely provided by the school with minimal resources.

This problem is quite acute both for teachers and parents, who count on high quality education of their children. Though the fact is that the increase in number of resource does not automatically mean the increase in quality of learn/teaching. Obtaining the resources without the strategy of their usage is more associated with costly expences than with positive achievements.

Provision of the teaching process with correspondent resources and the targeted usage of the school's general success, as well as the improvement of the pupils academic level. On the one hand it depends on proper planning of the budget by the school administration, and on the other hand, on teachers professional qualities.

კვლევაზე დაფუძნებული სწავლება ბუნებისმეტყველებაში და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება

ნანი მამულაძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი
E-mail: nanamamuladze@mail.ru

ლალი ჟღენტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი
E-mail: lali.jgenti@mail.ru

კახა მახარაძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფიზიკის სპეციალობის დოქტორანტი
E-mail: K.makharadze.01@gmail.com

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისას სამეცნიერო კვლევა გულისხმობს მრავალფეროვან გზებს, რომლითაც მეცნიერი იკვლევს ბუნებას და მოვლენის ახსნას კვლევის შედეგებზე დაფუძნებით გვთავაზობს. ასეთი კვლევა მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეები ავითარებენ თავიანთ ცოდნას სამეცნიერო იდეის შესახებ, ექმნებათ წარმოდგენა თუ, როგორ იკვლევს მეცნიერი ბუნებას. სამეცნიერო კვლევა ასახავს აგრეთვე, რა გზით მიდის მეცნიერი ცოცხალი სამყაროს აღქმამდე და რა გზით უნდა შეიცნოს ეს სამყარო მოსწავლემ.

ბავშვები ადრეული ასაკიდან ურთიერთობენ გარემომცველ სამყაროსთან, სვამენ შეკითხვებს და ეძებენ გზებს, რათა ამ შეკითხვებს უპასუხონ. სამეცნიერო კვლევაზე აგებული სწავლების პროცესში მოსწავლეები თავად სწავლობენ კვლევის ჩატარებას და სხვადასხვა წყაროდან მტკიცებულებების შეკრებას. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებიდან ახდენენ მოვლენის ახსნას, საკუთარი დასკვნის

დაცვას. სწორედ, მასწავლებელმა, რომელიც არის განათლების სფეროში მიმდინარე ყველა ინოვაციის ცენტრში, უნდა უზრუნველყოს კვლევითი მეთოდების გამოყენებით სწავლების პროცესის წარმართვა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების აღქმა განსაკუთრებულად ძლიერდება, როდესაც იდეა დასაბუთებულია კვლევითი ექსპერიმენტით. ექსპერიმენტი წარმოადგენს საბუნებისმეტყველო გაკვეთილის ნაწილს, რის საშუალებითაც მოსწავლეები ეცნობიან ბუნებისმეტყველების განსაკუთრებულ მხარეს. ისინი სვამენ კითხვებს, აყალიბებენ ჰიპოთეზებს და გამოავლენენ ბუნების შესაძლებლობებს დაკვირვებების საშუალებით. ამასთანავე, ექსპერიმენტები გვეხმარება მოსწავლეებში განვავითაროთ ხელით მუშაობის უნარ-ჩვევები, მოვახდინოთ აბსტრაქტული თეორიების ილუსტრირება და გავავარჯიშოთ აზროვნება პრობლემათა გადაჭრაში. ექსპერიმენტების მნიშვნელოვანი ღირებულება ბუნებისმეტყველებაში ისიც არის, რომ მათში მონაწილეობა საუკეთესო მოტივაციას წარმოადგენს მოსწავლეებისათვის, რათა ისინი დაინტერესდნენ საბუნებისმეტყველო დისციპლინებით.

საკლასო ოთახში ჩატარებული ექსპერიმენტი ხშირად დაკავშირებულია პრობლემებთან. დაახლოებით 30 მოსწავლიან კლასში, თუ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებლად, ან თუნდაც მცირე ჯგუფებში ჩატარებს ცდებს, ბუნებრივია, საჭირო იქნება გარკვეული დანახარჯების გაღება. აუცილებელია ტრადიციული ლაბორატორიული აღჭურვილობისა და ხელსაწყოების შექმნა მთელი კლასისათვის, არსებული დაზიანებული ხელსაწყოები და ჭურჭელი ახლით უნდა შეიცვალოს. დამატებითი ფინანსური დანახარჯები დაკავშირებულია არა მხოლოდ საჭირო აღჭურვილობასთან, არამედ ქიმიურ რეაქტივებთანაც. ექსპერიმენტის უარყოფით მხარეს დაბინძურება და ამავე დროს მავნე ნივთიერებების გამოყენების რისკიც წარმოადგენს. თვით ისეთი მარტივი მინის ჭურჭელი, როგორცაა სინჯარა და ქიმიური ჭიქა, მინის გატეხვის შემთხვევაში სახიფათო ხდება. ასეთი რისკი კიდევ უფრო იზრდება, როცა ლაბორატორიები ჩანაცვლებულია საკლასო ოთახებით, ვინაიდან ტრადიციული ლაბორატორიული აღჭურვილობა, რომელიც ჩვეულებრივ უნდა ჰქონდეს თითქმის ყველა სკოლას, დღეისათვის იშვიათად გვხვდება. შედეგად, ბუნებისმეტყველების შესწავლა ხშირ შემთხვევაში მიმდინარეობს საკლასო ოთახში, ეს კი, იწვევს შეზღუდვებს კლასიკური ექსპერიმენტების ჩატარებისა და ტრადიციული ექსპერიმენტული აღჭურვილობის გამოყენების თვალსაზრისით.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით იაფი ექსპერიმენტები გვთავაზობს ალტერნატივას. იაფ ექსპერიმენტში ადვილად ხელმისაწვდომი აღჭურვილობა ჩანაცვლებს ძვირად ღირებულ აღჭურვილობასა და ტრადიციულ ლაბორატორიულ ქმედებებს. სასკოლო საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტებისთვის შესაძლებელია გამოვიყენოთ საოჯახო ნივთები, მაგალითად: ჯამები, ქვებები, ლარნაკები ან პლასტმასის ძველი ბოთლები. ასევე, გამოვიყენება სამედიცინო მასალები, მასალები აკვარიუმის მოწყობილობიდან, ან ელექტროხელსაწყოების ნაწილები. აღნიშნული აღჭურვილობის გამოყენებას გააჩნია დაზოგვის ორმაგი პოტენციალი და უპირატესობები:

- შესაძლებელია დიდი რაოდენობის რესურსების ხელმისაწვდომობა;
- ექსპერიმენტის მომზადებისათვის საჭიროა გაცილებით ნაკლები დრო;
- მასალის ტრანსპორტირება და მათი გამოყენება ნაკლებად სახიფათოა. აღჭურვილობა შეიძლება თავისუფლად იქნეს გადატანილი სხვადასხვა საკლასო ოთახში;
- ექსპერიმენტები შეიძლება ჩატარდეს საშინაო დავალების სახითაც;
- იზრდება მოსწავლეთა დაინტერესება, რადგან ისინი ატარებენ ცდებს ისეთი საგნებისა და ნივთიერებების გამოყენებით, რომლებთანაც ურთიერთობა უწყვეტ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ვფიქრობთ, წარმოდგენილი პრინციპების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტიურ ექსპერიმენტებს, მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას და ინტერესს საბუნებისმეტყველო დისციპლინების მიმართ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბრემენის უნივერსიტეტის ერთობლივი ინიციატივით 2010 წლიდან დაიწყო პროექტის „სტუდენტთა აქტიური სწავლება ბუნებისმეტყველებაში“ (SALIS), განხორციელება საქართველოსა და სხვა პარტნიორ ქვეყნებში. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ბუნებისმეტყველების სწავლების თანამედროვე მეთოდების განვითარებას, ექსპერიმენტული სწავლების მეთოდების ჩართვას სასწავლო პროცესში. პროექტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კვლევაზე დაფუძნებულ ლაბორატორიულ სამუშაოებს, როგორც თანამედროვე მეთოდოლოგიური მიდგომების ერთ-ერთ საფუძველს ბუნებისმეტყველების სწავლებაში კოგნიტური უნარების ზედა დონეების დამლევისთვის, საბუნებისმეტყველო კონცეფციების უკეთ შეცნობისა და ბუნებისმეტყველების არსის გაგების მიზნით. აღნიშნულმა პროექტმა უდიდესი დახმარება გასწია ბუნებისმეტყველების სწავლების პროცესში სიახლეების დანერგვის თვალსაზრისით. პროექტმა შექმნა საბუნებისმეტყველო განათლების გაუმჯობესების საფუძველი ბევრ სკოლაში, რაც აუცილებელია საზოგადოების ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარებისთვის.

ნებისმიერი სახის ექსპერიმენტი შეიძლება დავიწყოთ შემდეგი სახის აქტივობით:

თქვენს წინ განთავსებულია სხვადასხვა ნივთი და პროდუქტი. გთხოვთ ვიმუშაოთ ერთად და უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:

1. ნაცნობია ეს ნივთები და პროდუქტები თქვენთვის?
2. გაეცანით მათ! ჩამოწერეთ ყველა შეკითხვა, რაც წამოიჭრება თქვენს ჯგუფში ნივთების გაცნობის პროცესში!
3. მოძებნეთ კატეგორიები ამ კითხვების კლასიფიცირებისთვის და დაალაგეთ კითხვები ამ კატეგორიების მიხედვით!
4. შეარჩიეთ ერთ-ერთი შეკითხვა. ჩამოაყალიბეთ ვარაუდი თქვენს კითხვაზე და დაგეგმეთ ექსპერიმენტი ვარაუდის შესამოწმებლად!

ექსპერიმენტი I

ლინზების ფოკუსური მანძილის დადგენა

(5 – 10 კლასი, ☺ დრო: მაქს. 15 წუთი)

რესურსები:

- შემკრები ლინზები;
- სანთელი;
- საზომი ლენტის;
- თეთრი კედელი;

ექსპერიმენტი:

- მოათავსეთ სანთელი შემკრები ლინზის წინ, ამგვარად მიიღებთ სანთლის გამოსახულებას თეთრ კედელზე;
- შეცვალეთ მანძილი სანთელსა და ლინზას შორის და სანთელსა და კედელს შორის, სანამ სანთლის გამოსახულება არ გახდება მკვეთრი;
- გაზომეთ მანძილი სანთელსა და ლინზას შორის და სანთელსა და კედელს შორის, მონაცემები ჩაიწერეთ;
- იმჯელებით და ჩამოაყალიბეთ დასკვნები.

ექსპერიმენტი II

ფერადიდან თეთრამდე

(5 - 10 კლასი ☺ დრო: მაქს. 15 წუთი)

რესურსები:

- ყუთი (20 x 20 სმ);
- ფანქარი;
- ფარგალი;
- სახაზავი;
- მაკრატელი;
- წებო;
- ფერადი ქაღალდები: ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი, ღია მწვანე, მუქი მწვანე, ღია ლურჯი, მუქი ლურჯი, იისფერი.

ექსპერიმენტი:

- დახაზეთ დაახლოებით 10 სმ-ის რადიუსის წრე ყუთზე და ამოჭერით მაკრატლით.
 - დაყავით წრე სექტორებად შემდეგი სიდიდის კუთხეებით, თანმიმდევრობით: წითელი – 17°, ნარინჯისფერი – 33°, ყვითელი – 30°, ღია მწვანე – 55°, მუქი მწვანე – 82°, ღია ლურჯი – 66°, მუქი ლურჯი – 56°, იისფერი – 21°;
 - დაჭერით შესაბამისი ფერადი ქაღალდები, დააწებეთ წრეზე თანმიმდევრობით, როგორც ჩამოთვლილია ზემოთ;
1. გახვრიტეთ ყუთის წრე შუაგულში ფანქრის გამოყენებით როგორც ღერძი, დაატრიალეთ დისკი და ნახეთ, რა მოხდება.

დაკვირვება

დისკის ბრუნვით ფერები თითქოს ნაცრისფერში გადადის

შედეგები

თუ დისკს დაატრიალებთ შეძლებისდაგვარად სწრაფად, ბრუნვის სიჩქარე აღემატება თვალის შესაძლებლობებს. სხვა სიტყვებით, ადამიანის თვალს არ შეუძლია თვალი მიადევნოს ფერების სწრაფად, თავბრუდამხვევად ცვალებად ნაკადს. ყველა ფერი ერთად ხვდება თვალში. აღქმული ფერები დამატებით იძლევა შერეულ ფერს. მიღებული ფერი ჩანს როგორც თეთრი. თუ დისკი არასაკმარისად სწრაფად

ბრუნავს, ნაპირი ჩანს თეთრად და ცენტრში ფერების ნარევი. ეს იმიტომ რომ ნაპირის წერტილები შესაძლოა ბრუნავდეს უფრო სწრაფად ვიდრე ცენტრთან ახლოს მდებარე. (კუთხური სიჩქარე ყველა წერტილისთვის წრეში ერთნაირია, მაგრამ ხაზოვანი სიჩქარე – აქტიური მანძილი გადაადგილების დროს სხვადასხვა რადიუსზე – განსხვავებულია). ცენტრიდან ყველაზე მეტად დაშორებული წერტილი არის სწრაფად მოძრავი, ვიდრე ამ წერტილსა და ცენტრს შორის გავლებული ხაზიდან აღებული სხვა ნებისმიერი წერტილი, რომელიც უფრო ახლოსაა ცენტრთან. ბრუნვის სიჩქარე წრის კიდეზე წინ უსწრებს თვალის უნარს ინდივიდუალური ფერების აღსაქმელად. თუმცა, არ იქნება სწორი იგივე ითქვას ცენტრთან ახლოს მდებარე წერტილებზე, იმიტომ, რომ ისინი მოძრაობენ უფრო ნელა.

ექსპერიმენტი III

წყლის ტრანსპორტი მცენარეებში

(5 - 10 კლასი) დრო: მაქს. 15 წუთი)

რესურსები:

- თეთრად აყვავებული ყვავილები (მაგ.: ვარდები, ტიტები, თეთრი იასამნები, ენძელები);
- 3 სინჯარა;
- თმის საშრობი (ან ვენტილიატორი).

რეაქტივები:

- წითელი და ლურჯი საღებავი;
- წყალი.

ექსპერიმენტი:

- ნაწილობრივ შეავსეთ სამი სინჯარა წყლით. დაამატეთ რამდენიმე წვეთი წითელი საღებავი ერთ სინჯარაში და რამდენიმე ლურჯი საღებავი მეორეში. მესამე სინჯარაში არ დაამატოთ საღებავი;
- მოტეხეთ მცენარე და მოათავსეთ ერთი ფურცლის ღერო თითოეულ სინჯარაში;
- ექსპერიმენტის დასაჩქარებლად, ღეროები გაანიავეთ თმის საშრობით (ცივი ჰაერის ნაკადით);
- მცენარის ნაწილებზე დაკვირვებისას გარკვეული ინტერვალებით ნახავთ, თუ რა სახის ცვლილებებს აქვს ადგილი..

რჩევა მასწავლებელს

ექსპერიმენტი შესაძლოა ჩატარდეს ვენტილატორის ან თმის საშრობის გარეშე. ამ შემთხვევაში შედეგის პროცესი წავა ძალიან ნელა შეწოვის ხარისხის შემცირების გამო. ამიტომ, უკეთესი იქნება მასწავლებლისთვის, თუ მოამზადებს ერთ ექსპერიმენტს წინა დღით. შესაძლებელია მცენარის ღეროს რამდენიმე სანტიმეტრით დამოკლება. დასერეთ ღერო დაახლოებით ერთი სმ-ის მონაკვეთებად ძირიდან და მოათავსოთ ფერად წყალში (წყალის დონე არ უნდა იყოს მაღალი, ვიდრე მოჭრილი მცენარე). ღეროს დასერილ ნაწილში გამოჩნდება ქსილემა.

დაკვირვება

მცენარეები შეფერილ წყალში მოკლე დროში აჩვენებენ ფერის ცვლილებას ძარღვებში, თუმცა გარკვეული დროა საჭირო, სანამ მცენარის შეფერილობა არ გახდება შესამჩნევი.

მცენარე სუფთა წყალში არ იცვლება.

შედეგები

ეს ექსპერიმენტი აჩვენებს, რომ შეფერილი წყალი შემთხვევით კი არ შედის და მიედინება ქსოვილში, არამედ მიედინება და ნაწილდება ძარღვებში, სახელად ქსილემა და ფლოემა, რომელიც მოთავსებულია ყლორტებში. განსხვავებით ფლოემისაგან, რომელიც მარტივად ავრცელებს ასიმილატს (ფოტოსინთეზის პროდუქტი) ფოთლებიდან მცენარის დანარჩენ ადგილებში, ქსილემას გადააქვს წყალი ფესვებიდან ზევით ყლორტებში და ფოთლებში გრავიტაციის ძალის საწინააღმდეგოდ. ესაა მიზეზი ექსპერიმენტში ფერის ცვლილების. უფრო ახლოდან დაკვირვებით, მკვეთრი შეფერილობა წყლის მატარებელ ძარღვებში ადვილი შესამჩნევია.

ჩვენს მიერ მოყვანილი მარტივი ექსპერიმენტები, რა თქმა უნდა სრულად ვერ ასახავს (ნაშრომის მოცულობის შეზღუდვის გამო) საბუნებისმეტყველო დისციპლინებში ჩასატარებელი კვლევითი სამუშაოების შინაარსს, მაგრამ იძლევა საბუნებისმეტყველო დისციპლინების მასწავლებლებისათვის გარკვეული რეკომენდაციების მიცემის საშუალებას:

- მოკლე და გრძელვადიანი მიზნების განსახორციელებლად კვლევაზე დაფუძნებული მეცნიერული სწავლების პროგრამის დაგეგმვა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება კონკრეტული თემების და საკითხების სწავლა;

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებაში ახალი მეთოდების დანერგვა, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეები დასვამენ შეკითხვებს და აღმოაჩენენ, როგორ გამოიყენონ ექსპერიმენტი პასუხის მისაღებად. ეს ერთ-ერთი ეფექტური სტრატეგიათაგანია, რათა კლასშივე იქნეს გაცემული ყველა კითხვაზე პასუხი;
- კვლევაზე დაფუძნებული სწავლების სხვადასხვა სტრატეგიების შერჩევა, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შემეცნებითი უნარების განვითარებას;
- სასწავლო გარემოს მოწყობა, სადაც ნებისმიერ დროს მოსწავლეს ექნება სივრცე და რესურსი კვლევის ჩასატარებლად;
- მოსწავლეებისათვის კვლევითი საქმიანობის წარმართვის სწავლება;
- მოსწავლეებში მიღებულ შედეგზე დაფუძნებით სწორი დასკვნების გამოტანის, კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების უნარების განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

ლიტერატურა:

1. ნიკოლ პოპი, სილვია მარკიჩი, ინგო აილკსი, სახელმძღვანელო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლებისათვის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012.
2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, სტატიები განათლების საკითხებზე, თბ., 2010.

რეზიუმე

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებისას სამეცნიერო კვლევა გულისხმობს მრავალფეროვან გზებს, რომლითაც მეცნიერი იკვლევს ბუნებას და მოვლენის ახსნას კვლევის შედეგებზე დაფუძნებით გვთავაზობს. ასეთი კვლევა მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს.

სამეცნიერო კვლევა ასახავს, თუ რა გზით მიდის მეცნიერი ცოცხალი სამყაროს აღქმამდე და რა გზით უნდა შეიქმნოს ეს სამყარო მოსწავლემ.

ბავშვები ადრეული ასაკიდან ურთიერთობენ გარემომცველ სამყაროსთან, სვამენ შეკითხვებს და ეძებენ გზებს, რათა ამ შეკითხვებს უპასუხონ. სამეცნიერო კვლევაზე აგებული სწავლების პროცესში მოსწავლეები თავად სწავლობენ კვლევის ჩატარებას და სხვადასხვა წყაროდან მტკიცებულებების შეკრებას. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებიდან ახდენენ მოვლენის ახსნას, საკუთარი დასკვნის დაცვას. სწორედ, მასწავლებელმა, რომელიც არის განათლების სფეროში მიმდინარე ყველა ინოვაციის ცენტრში, უნდა უზრუნველყოს კვლევითი მეთოდების გამოყენებით სწავლების პროცესის წარმართვა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების აღქმა განსაკუთრებულად ძლიერდება, როდესაც იდეა დასაბუთებულია კვლევითი ექსპერიმენტით. ექსპერიმენტი წარმოადგენს საბუნებისმეტყველო გაკვეთილის ნაწილს, რის საშუალებითაც მოსწავლეები ეცნობიან ბუნებისმეტყველების განსაკუთრებულ მხარეს. ისინი სვამენ კითხვებს, აყალიბებენ ჰიპოთეზებს და გამოავლენენ ბუნების შესაძლებლობებს დაკვირვებების საშუალებით. ამასთანავე, ექსპერიმენტები გვეხმარება მოსწავლეებში განვითაროთ ხელით მუშაობის უნარ-ჩვევები, მოვახდინოთ აბსტრაქტული თეორიების ილუსტრირება და გავავარჯიშოთ აზროვნება პრობლემათა გადაჭრაში. ექსპერიმენტების მნიშვნელოვანი ღირებულება ბუნებისმეტყველებაში ისიც არის, რომ მათში მონაწილეობა საუკეთესო მოტივაციას წარმოადგენს მოსწავლეებისათვის, რათა ისინი დაინტერესდნენ საბუნებისმეტყველო დისციპლინებით.

საკლასო ოთახში ჩატარებული ექსპერიმენტი ხშირად დაკავშირებულია პრობლემებთან. აუცილებელია ტრადიციული ლაბორატორიული აღჭურვილობისა და ხელსაწყოების შექმნა მთელი კლასისათვის, არსებული დაზიანებული ხელსაწყოები და ჭურჭელი ახლით უნდა შეიცვალოს. დამატებითი ფინანსური დანახარჯები დაკავშირებულია არა მხოლოდ საჭირო აღჭურვილობასთან, არამედ ქიმიურ რეაქტივებთანაც. კლასში ჩატარებული ექსპერიმენტის უარყოფით მხარეს დაზინძურება და ამავე დროს მავნე ნივთიერებების გამოყენების რისკიც წარმოადგენს. რისკი კიდევ უფრო იზრდება, როცა ლაბორატორიები ჩანაცვლებულია საკლასო ოთახებით.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით იაფი ექსპერიმენტები გვთავაზობს ალტერნატივას. იაფ ექსპერიმენტში ადვილად ხელმისაწვდომი აღჭურვილობა ჩანაცვლებს ძვირად ღირებულ აღჭურვილობასა და ტრადიციულ ლაბორატორიულ ქმედებებს.

RESEARCH-BASED TEACHING AND PUPILS' MOTIVATION IN NATURAL DISCIPLINES

Nani Mamuladze, Shota Rustaveli State University, Academic Doctor, Assistant Professor

Lali Jgenti, Shota Rustaveli State University, Academic Doctor

Kaxa Makharadze, Shota Rustaveli State University, Ph.D Student

SUMMARY

During teaching of natural sciences the scientific research implies different ways. Using these ways scientist explores the nature and explanation of event suggests based on the results. Scientific research describes how a scientist goes through the perception of Life and how student understand the world.

Children approach the natural world from an early age. They ask questions and are looking for ways to answer to these questions. Scientific research is based on the process of teaching and students learn how to conduct research and gathering materials from various sources. They can explain events and defend their conclusions. The teacher, which is in all the innovation center of education must ensure that teaching research methods.

The perception of natural science particularly strengthened when the idea is substantiated by research experiment.

The experiment is a natural part of the lesson and students are introduced to the special natural side. They ask questions, shape of assumptions and will be revealed through observations of natural ability. Also experiments help us to develop the skills of manual work, to illustrate theories of abstract, thinking and problem-solving exercise in students. It is an important value in natural experiments that participate in them is the best incentive for students, so that they were interested in natural science disciplines.

The experiment conducted in the classroom is often associated with problems. It is necessary traditional laboratory equipment and tools. The damaged equipments should be replaced with a new one. Additional financial costs associated with not only the equipment, but also chemical reagents. The negative side of class conducted experiments is the risk of contamination and also use of hazardous substances at the same time. The risk increases even more when replacing classroom labs.

All of this in mind a low-cost experiments offer new alternative. Cheap experiments and readily available equipment will replace the expensive laboratory equipment and traditional practices.

სახვითი ხელოვნების საშუალებით მხატვრული გემოვნების განვითარება მოზარდთა ასაკში

ნოდარ მირაზანაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი
E-mail: nmirazanashvili@gmail.com

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება სასკოლო “ესთეტიკური ციკლის” საგანთა ერთერთი ძირითადი შემადგენელი დისციპლინაა. იგი დიდ როლს თამაშობს მოზარდი თაობის პიროვნულ თვისებათა ჩამოყალიბებაში და ამდენად მის სწორად სწავლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მოსწავლეებს სკოლაში და სკოლის გარეთაც ხშირად უხდებათ სახვითი ხელოვნების ნიმუშებთან შეხვედრა. პრესა, ჟურნალები, დასურათებული წიგნები, მხატვართა შემოქმედების ამსახველი ალბომები, გამოფენები, მუზეუმები, კულტურის ცალკეული ძეგლები მოზარდებს გარკვეულ ესთეტიკურ ინფორმაციას აწოდებს და ამავდროულად ზემოქმედებასაც ახდენს მათ შეხედულებებზე, აღქმაზე, გემოვნებასა და, საერთოდ ესთეტიკურ დამოკიდებულებათა სისტემაზე. სახვით ხელოვნებასთან შეხვედრის ეს პროცესი, ცხადია ორგანიზებული არ არის, რის გამოც მოზარდების მიერ მხატვრული ინფორმაციის დაგროვება ხშირად სტიქიურ ხასიათს ატარებს, რაც თავისებურ დაღს ასვამს მოსწავლეთა მხატვრულ-ესთეტიკური განვითარების საქმეს. მიზანდასახულად ვერ ვითარდება ხელოვნების ნაწარმოების აღქმის, მისი შეფასების უნარი, რაც, თავის მხრივ მხატვრული გემოვნების ფორმირების პროცესის შემაფერხებელი ხდება. ყოველივე ამას შედეგად ის მოსდევს, რომ მოსწავლეთათვის გაუცნობიერებელი და გაუგებარი ხდება ხელოვნების სოციალურ-ესთეტიკური ფუნქცია, ცალკეულ ნაწარმოებთა ფორმა-შინაარსის მთლიანობა, კომპოზიციისა და სტილის თავისებურებანი.

მეტად დიდია და შესამჩნევი ხელოვნების სააღმზრდელო ზემოქმედების ძალა. იგი ზრდის და აყალიბებს ადამიანურ შესაძლებლობებს, გარკვეულ მიმართულებას აძლევს პიროვნული თავისებურებების ფორმირების პროცესს.

ნ. ლ. სტოლოვიჩის აზრით, “კარგი გემოვნება - ეს არაა თანდაყოლილი უნარი, რომელიც ადამიანს აპირიულად მიეცემა. გემოვნება ყალიბდება ესთეტიკურ პრაქტიკაში და მისი ფორმირება დამოკიდებულია ესთეტიკურ აღზრდაზე” (სტოლოვიჩი, 1972). ამრიგად, მხატვრული გემოვნება ემორჩილება განმავითარებელ ზემოქმედებას, რაც, ცხადია, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის..

ცნობილია, ესთეტიკური აღზრდის მიზანს პიროვნების ესთეტიკურ დამოკიდებულებათა სისტემის ფორმირება წარმოადგენს. ამ სისტემაში კი გემოვნებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

“ესთეტიკური დამოკიდებულება, - წერს ა. ბუროვი - არ შეიძლება არსებობდეს ესთეტიკური ობიექტის გარეშე. ეს უკანასკნელი არის მისი არსებობის აუცილებელი პირობა.” (ბუროვი, 1975) იგივე შეიძლება გვეთქვას ესთეტიკური დამოკიდებულების სუბიექტზეც, რადგან ადამიანის, მისი ცნობიერების სტრუქტურების არსებობის პირობებში ესთეტიკურ დამოკიდებულებაზე ლაპარაკიც კი არ წარმოიშვებოდა. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ესთეტიკური დამოკიდებულება, როგორც სინამდვილისადმი ადამიანის ემოციურ-ესთეტიკური ორიენტაციის გენერალური ფორმის ჩამოყალიბება, აუცილებლად საჭიროებს ესთეტიკური ცნობიერების განვითარებას. თავისი ხასიათით ეს უკანასკნელი რთული შინაარსობრივი სტრუქტურის მქონეა და საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი შემადგენელ ელემენტად გვევლინება.

ესთეტიკური ცნობიერების სპეციფიკური თავისებურება იმაშია გამოხატული, რომ იგი თავისი ხასიათით ემოციურ-შეფასებითი ბუნებისაა. მართლაც, ამ უკანასკნელის გარეშე ხომ წარმოუდგენელია რაიმე ესთეტიკური ღირებულებების შექმნა, სინამდვილის მხატვრული ასახვა ან შემეცნება.

ესთეტიკური ცნობიერების შემადგენელ კომპონენტთა საკმაოდ ფართო ჩამონათვალზე დაკვირვება ადასტურებს, რომ მათ ბევრი გამამთლიანებელი და ურთიერთგადამკვეთი წერტილი გააჩნიათ. ასეთთა რიგშია სწორედ გემოვნების ფენომენი, რომლის გარეშეც ვერც ერთი ესთეტიკური რეაქცია თავისი სრული სახით ვერ წარმოიჩინდება. ყოველგვარ ესთეტიკურ მოქმედებაში - იქნება ეს აღქმა, მსჯელობა, შეფასება, ამა თუ იმ ინფორმაციის მიღება ან არმიღება, რადაცის ნატვრა და სხვა მათი მსგავსი - გემოვნების ფაქტორი უთუოდ მონაწილეობს. ამასთან იმას სრულიადაც არ აქვს მნიშვნელობა, გემოვნება ამ შემთხვევაში განვითარებულია, მაღალია, მისაბამი თუ, პირიქით, განუვითარებელია და შეცვლას მოითხოვს, მთავარია, რომ იგი ესთეტიკური რეაქციების აუცილებელი შემადგენელი ელემენტია. ეს პედაგოგიური სააღმზრდელო პროცესების წინაშე გადაუდებლად აყენებს აუცილებლობას ხელი შეუწყოს ესთეტიკური გემოვნების განვითარებას, მოხდეს მისი ტრანსფორმაცია საწყისი, ჩამოუყალიბებელი მდგომარეობიდან თვისობრივად უფრო მაღალი საფეხურისაკენ. ამ გზაზე კი აუცილებელია ესთეტიკური ცნობიერების დატვირთვა შესაბამისი ინფორმაციით, მისი გარკვეული გემოვნების დახვეწა და სრულყოფა.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სიტყვათშეთანხმება “ესთეტიკური გემოვნება” და “მხატვრული გემოვნება” პარალელურად გამოიყენება. ამასთან ცხადია, რომ ცნება “ესთეტიკური გემოვნება” გაცილებით ფართოა და არსებითად მოიცავს კიდევ “მხატვრული გემოვნების” სფეროსაც. სპეციალისტები სამართლიანად თვლიან, რომ “მხატვრული გემოვნების” ცნება უფრო მისადაგებელია ხელოვნების სფეროსადმი და სწორედ ამ მიმართებაში უნდა იქნას იგი განხილული. ვ. სკატერშჩიკოვის აზრით, “...მხატვრული გემოვნება ეს იგივე ესთეტიკური გემოვნებაა, ოღონდ მხატვრული შემოქმედების სფეროში”.

გემოვნების, როგორც პიროვნების ერთ-ერთ უმთავრეს ნიშან-თვისებად წარმოჩენა ნათელს ხდის, რომ მისი განვითარების კანონზომიერებანი უნდა ემორჩილებოდეს პიროვნების განვითარების საერთო ლოგიკას. გამონაკლისი ამ თვალსაზრისით ვერ იქნება ვერც ხელოვნების საშუალებით პიროვნების აღზრდა-განვითარების პროცესი. ხელოვნების ნიმუშებთან პირველად ურთიერთობისთანავე ადამიანს უჩნდება გარკვეული ემოციური რეაქცია, რომლის შედეგადაც იბადება მისდამი მიზიდულობის ან, პირიქით, მისგან განზიდვის მოთხოვნილება.

ადამიანს, როგორც წესი, აქვს გარკვეული ესთეტიკურ შეხედულებათა სისტემა. ამასთან ეს უკანასკნელი ზოგ შემთხვევაში მხოლოდ გრძნობად-ემოციურ გამოცდილებას ეყრდნობა, ზოგჯერ კი გარკვეული ცოდნა-წარმოდგენების ბაზაზეა ჩამოყალიბებული. გაუნათლებელი ადამიანის ესთეტიკური შეფასება, როგორც წესი, მარტივია და მხოლოდ გრძნობისმიერ რეაქციებს ემყარება, მაშინ როდესაც სათანადო მხატვრულ-ესთეტიკური განათლების პირობებში შეფასებას უფრო მყარი ხასიათი აქვს, სანდოობის მაღალი დონით გამოირჩევა.

გრძნობა, როგორც ესთეტიკური დამოკიდებულების გამოვლენის გარკვეული პირობა, შეიძლება ვერ ავიდეს ჭეშმარიტ ესთეტიკურ გრძნობამდე, თუ მან შესატყვისი პრაქტიკა არ გაიარა, მრავალგზის არ განმეორდა და განმტკიცდა. მართალია, ადამიანს დაბადებიდანვე თან დაჰყვება გარკვეული შესაძლებლობები ამ მიმართულებით, მაგრამ ეს საკმარისი არაა. საჭიროა სათანადო პრაქტიკული გამოცდილება, შესატყვისი გარემოსთან სისტემატური შეხვედრა, გრძნობისა და გონების შესაძლებლობათა გავარჯიშება. ადამიანი არ იბადება მზამზარეული ესთეტიკური გრძნობებითა და გემოვნებით, მას მხოლოდ ამგვარ უნართა განვითარების შესაძლებლობა დაჰყვება თან ... იმისათვის, რომ აღნიშნული შესაძლებლობა რეალურად იქცეს, საჭიროა ესთეტიკურად ღირებულ საგნებთან და მოვლენებთან სისტემატური უშუალო კონტაქტი. ცნობილია, რომ ესთეტიკურ შეფასებას, როგორც პროცესს, წინ უძღვის სათანადო აღქმის აქტი. აღქმის გარეშე საერთოდ შეუძლებელია საქმე შეფასებამდე მივიდეს, რადგან ისინი ლოგიკურად გამომდინარეობს ერთმანეთისგან. პროფ. შ. ჩხარტიშვილის აზრით, სინამდვილის საგნები და მოვლენები იმის გამო, რომ ზემოქმედებენ ჩვენი გრძნობის ორგანოებზე, შემეცნებაში აისახება აღქმის სახით. ამიტომაცაა აღქმა ჩვენი შემეცნების, გამოცდილებისა და ცოდნის დაგროვების ერთ-ერთი ძირითადი წყარო. ცოდნა-წარმოდგენები, რასთანაც არ უნდა იყოს ისინი დაკავშირებული, იქნება ეს პირადი გამოცდილება, თუ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საქმე, უთუოდ და უპირობოდ იწყება მხოლოდ და მხოლოდ აღქმიდან.

ამრიგად, ცხადია, რომ აღქმის პროცესში ადამიანი ამჩნევს და აღიქვამს არა მარტო საგანთა გარეგნულ თვისებებს, არამედ იმეცნებს მის საგნობრივ ღირებულებებსაც.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში გამოყოფენ აღქმის ორ ძირითად ფორმას: ესაა შემეცნებითი და ემოციურ-შეფასებითი აღქმა. თუ პირველ შემთხვევაში ადამიანისათვის მნიშვნელოვანია საგანთა და მოვლენათა შინაარსობრივად ღირებულებითი განზომილებები, მეორე შემთხვევაში, ანუ ესთეტიკური აღქმის დროს განსაკუთრებულ როლს თამაშობს საგან-მოვლენების სენსორული მონაცემები. ამის მიზეზი კი ისაა რომ, ესთეტიკური აღქმა შესატყვისი ემოციური გრძნობადი ფონის გარეშე თავის სახეს კარგავს. სრულიად განსაკუთრებულია ამ მიმართებით ხელოვნების მდგომარეობა, რომელიც არა მარტო უბრალოდ ასახავს, არამედ სწორედ ემოციურად იმეცნებს და იაზრებს გარემომცველი სამყაროს რეალობებს. ამდენად ხელოვნების ნაწარმოების აღქმაში ემოციური საწყისი იმთავითვე ნაყოფიერ ნიადაგს პოულობს თვით ობიექტის შინაგან სტრუქტურაშივე. ნათქვამი, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ, რაკი საქმე ამგვარ ობიექტურ მოვლენებთან გვაქვს, ესთეტიკური აღქმაც მექანიკურად, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე მიიღებს თავის სრულყოფილ სახეს. საჭიროა სწორი პედაგოგიური მუშაობა, რომ მოზარდი თავიდანვე ვაზიაროთ ესთეტიკურ აღქმის პროცესის სირთულეებს. მის შინაგან დინამიკას, რათა განვითარების პროცესი სწორი გზით წავიდეს, “ხელოვნების მხატვრულად სრულყოფილი აღქმა - ესაა აქტიური პროცესი, უფრო მეტიც “ჩვევა”, რომელსაც სწავლა უნდა,” - აღნიშნავს ცნობილი ფსიქოლოგი ბ. ტეპლოვი. (ტეპლოვი, 1947)

მხატვრული აღზრდის თეორიის სპეციალისტებს მოზარდის გემოვნების განვითარების აუცილებელ პირობად მიაჩნიათ ზრუნვა ესთეტიკური აღქმის უნარის, როგორც საწყისის, განვითარებაზე. მართალია, ეს უკანასკნელი პედაგოგიური პროფილის გამოკვლევებში წარმოდგენილია, როგორც საყრდენი ესთეტიკური ცნობიერების განვითარებისათვის, მაგრამ იქვეა აღნიშნული, რომ მხატვრული განვითარების პროცესი ამ დონეზე ვერ გაჩერდება. აღქმის ჩამოყალიბებაზე ზრუნვას თან უნდა ახლდეს მუშაობა ესთეტიკური განათლების ჰორიზონტის გაფართოებაზე, ესთეტიკური გრძნობების, ფანტაზიის, ინტერესებისა და მოთხოვნილებების განვითარებაზე.

სახვითი ხელოვნების ნიმუშების აღქმა და მათი მეტ-ნაკლებად სწორი შეფასება მოზარდისაგან მოითხოვს გარკვეულ პრაქტიკულ გამოცდილებას. ხელოვნების ცალკეულ სახეებთან თუ ნიმუშებთან მანამდე არსებული შეხვედრების საფუძველზე მოზარდს უნდა ჰქონდეს ცოდნის რაღაც გარკვეული დონე, შეფასებითი მსჯელობების გარკვეული მარაგი, რომელთა გამოყენებით იგი გამოხატავდა გამოკვეთილ პოზიციას - მოსწონს თუ არა ეს კონკრეტული ნაწარმოები. ქცევა საქმიანობასა და მათ მსჯელობებზე პრაქტიკული დაკვირვება ადასტურებს, რომ რაღაც გარკვეული გამოცდილება ამ მიმართებით მათ მართლაც გააჩნიათ, მაგრამ იმდენად ღარიბია, ცოდნა კი მწირი და უსისტემო, რომ მათ მიერ გაკეთებული შეფასებები მაინც მხოლოდ და მხოლოდ უშუალო შთაბეჭდილებებს გამოხატავს და ნაუცბათევე რეაქციებს იქით არ მიდის. ეს გარემოება კი ნათლად წარმოაჩენს პედაგოგიური ხელმძღვანელობის კონკრეტული მიმართულების განსაზღვრის ორიენტირსაც. კერძოდ, საჭიროა სახვითი ხელოვნების ცალკეული ნიმუშების აღქმა-შეფასების მეთოდიკური ასპექტების იმგვარი სახის შემუშავება, რომელიც მოზარდებს საშუალებას მისცემდა რაც შეიძლება სწრაფი ტემპით დაძლიონ ის ჩამორჩენა, კლასებში რომ ჰქონდათ. პედაგოგიკის თეორიისათვის ეს საკითხი ახალი არაა და ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებთან მიმართებაში ამგვარი პრობლემების დამუშავება კარგა ხანია მიმდინარეობს.

არსებული გამოცდილების ანალიზი კი ადასტურებს, რომ ამგვარი მეთოდის დამუშავება უნდა დაეყრდნოს მოსწავლეთა მიერ გარკვეული ცოდნა-ჩვევების დაგროვება-განვითარებას, შეფასებითი მსჯელობების მარაგის ათვისებას, ხელოვნების ნაწარმოებთა ფორმა-შინაარსის მთლიანობაში აღქმის ჩვევის განვითარებასა და სტილური ელემენტების გაცნობიერების ტენდენციას. ეს თავისებურებები, რომელნიც შემდგომში პიროვნულ ჩვევებად და მახასიათებლად უნდა ჩამოყალიბდეს, გამომუშავდება მხოლოდ თანმიმდევრული მუშაობისა და მიზანმიმართული პედაგოგიური ხელმძღვანელობის პირობებში.

ჩვენ დავინტერესდით, თუ რამდენადაა პედაგოგიკის თეორიის მიერ ეს დებულება დამუშავებული, აღქმული და გათვალისწინებული სახვითი ხელოვნების სწავლების პრაქტიკაში, მისთვის შედგენილ სასწავლო დოკუმენტებში, მეთოდური ხასიათის ლიტერატურაში. სამწუხაროდ, ჩვენში სასკოლო მუშაობის პრაქტიკისათვის ერთგვარ ტრადიციულ ნაკლად იქცა ის გარემოება, რომ მეცნიერების მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები საერთოდ ვერ აღწევს ან ძალიან გვიან აისახება ძირითად სასკოლო დოკუმენტებში, რის გამოც იგი ეფექტურად ვეღარ მიდის ყოველდღიურ პრაქტიკამდე. გამონაკლისს ამ შემთხვევაში არც სახვითი ხელოვნების სწავლების პრაქტიკა წარმოადგენს. ისტორიულად ისე მოხდა, რომ ამ საგნის სწავლებისას უმთავრესი ყურადღება ყოველთვის გადატანილი იყო მოსწავლეთა მიერ პრაქტიკული სამუშაოების შესრულების პროცესზე. მათი სასწავლო საქმიანობის საერთო სტრუქტურაში ხელოვნებასთან თეორიული ურთიერთობის პრაქტიკა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოზარდის ესთეტიკური ცნობიერების ცალკეული მხარეების განვითარებისათვის არსებითად უმნიშვნელო სახით იყო გათვალისწინებული.

სრულიად ახალ ეტაპს სახვითი ხელოვნების სწავლების პრაქტიკაში წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2007 წელს შემუშავებული ეროვნული სასწავლო გეგმა და ამ გეგმაში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ადგილი, სადაც წინა პლანზეა წამოწეული საგნის საადმინისტრაციო ფუნქცია (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2007).

აღნიშნული სასწავლო საგნის შემოღება საშუალებას გვაძლევს მოსწავლეების ჩაბმას შემოქმედებით და საინტერპრეტაციო საქმიანობაში და ამ გზით მშვენიერების განცდის და წარმოსახვის უნარის განვითარებას. მუდმივი ინტერესისა და სიყვარულის გაღვივება ხელოვნებისადმი. სახვითი ხელოვნების საშუალებით ეროვნული და მსოფლიო კულტურულ ფასეულობათა ზიარება. შრომის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და სხვა. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლება დღეისათვის მრავალმხრივ და საინტერესო მოვლენად ჩამოყალიბდა. მან განვითარების ხანგრძლივი გზა გაიარა. პროცესი ჯერ არ დასრულებულა, დასადგენი კვლავაც ბევრია.

ბუნებრივია, ამოცანის ასე ფართოდ ფორმულირება, რომელიც დროის მოთხოვნითაა ნაკარნახევი საგნის სწავლების ახალ პერსპექტივებს სახავს. სინამდვილესა და მოვლენათა ესთეტიკური აღქმის უნარის გარეშე შეუძლებელია ადამიანმა სხვის დაუხმარებლად მოახერხოს ხელოვნების ამა თუ იმ ნიმუშის მთლიანობაში აღქმა და შეფასება. უკეთეს შემთხვევაში ეს პროცესი ნაწარმოების ფაბულის, მისი შინაარსობრივი ასპექტების გაგებით მთავრდება, რაც ხელოვნების სრულფასოვან წვდომად არ შეიძლება ჩაითვალოს.

სასწავლო პროგრამაში აღქმის განყოფილების გაძლიერება დასაბუთებას პოულობს იმაშიც, რომ თანამედროვე პირობებში უფრო რეალურია სახვითი ხელოვნების სწავლების მიზანი და ამოცანები სკოლაში. პედაგოგებმა კარგად იციან, რომ სკოლაში მხატვრებს არ ვზრდით. ჩვენი ვალია ვიზრუნოთ მოსწავლის ზოგადი განვითარებისათვის, რაც საკუთრივ ხატვაში ცალმხრივი მუშაობით არ მოხერხდება. ხატვის ყველა ეს კომპონენტები (ხატვა, ძერწვა, დეკორატიულ-გამოყენებითი საქმიანობა, აღქმა და ა.შ.) ავსებენ და ამდიდრებენ ერთმანეთს. მოცემულ ასაკობრივ საფეხურზე, ხან ერთია წინა პლანზე, ხან მეორე, კომპონენტებს შორის ასეთი რიგითობა ნაკარნახევია კონკრეტულ ასაკში ბავშვის ქცევის წამყვანი ფორმის ხასიათით. სწავლების შინაარსში საგნის ცალკეული კომპონენტების ცვალებადობისას უნდა გავითვალისწინოთ მისი ლოგიკა, სოციალური და ბუნებრივი გარემოს თავისებურებები და სხვა. ამიტომ სასწავლო მოქმედებათა სახეები მთელი სასწავლო კურსის მანძილზე ცვალებადობს, თუმცა მარტო ფორმა როდი იცვლება, იცვლება ცალკეული ფორმის ფუნქციური მიმართულებაც.

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობ, იძლევა იმის საფუძველს, რომ ითქვას:

მოზარდთა მხატვრული გემოვნების განვითარების პრობლემა უნდა წარმოდგენილი იქნეს ესთეტიკური აღზრდის მთლიან სისტემასთან მიმართებაში, რაც პრობლემისადმი კომპლექსურ მიდგომას და მისი ყველა არსებითი პარამეტრის გათვალისწინებას საჭიროებს;

სახვითი ხელოვნების საშუალებით მოზარდთა მხატვრული გემოვნების განვითარების ძირითად საშუალებას წარმოადგენს ხელოვნებაზე თეორიული მუშაობის სწორი ორგანიზაცია, გარკვეული მნიშვნელობა ამ პროცესისათვის აქვს პრაქტიკულ შემოქმედებით საქმიანობას, მაგრამ წამყვანი და

ძირითადი მაინც სახვითი ხელოვნების ნიმუშებთან თეორიული ურთიერთობაა, რომლის დროსაც ხდება მოზარდის ესთეტიკური თვალსაწიერის გაფართოება, ცოდნის დაგროვება, ნაწარმოებთა ანალიზისა და შეფასების უნარის განვითარება, ემოციურ ესთეტიკური სამყაროს გამდიდრება;

მოზარდის მხატვრული გემოვნების განვითარების აუცილებელი პირობაა ხელოვნების ნიმუშებისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულების გაცნობიერება, ფიქსირებული განწყობის სახით, ჩამოყალიბებული შეხედულებათა სისტემების თანდათანობით შეცვლა, ცნობიერების ველში მათი შემოტანისა და მათზე -სხვა ღირებულებათა გაბატონების გზით .

საჭიროა ისეთი გამოკვლევების ორგანიზება, რომელიც ახალი შინაარსით დატვირთავდა განვითარების პროცესს, საამისოდ კი გამოავლენდა იმ რეზერვებს, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს მოზარდობის ასაკის პიროვნულ-ფსიქოლოგიური თავისებურებებისა და სახვითი ხელოვნების, როგორც სასწავლო დისციპლინის, შინაგანი შესაძლებლობების ურთიერთმიმართების სახით. ამგვარი მიდგომა საშუალებას მოგვცემს მოიძებნოს სახვითი ხელოვნების საშუალებით მოსწავლეთა მხატვრული გემოვნების განვითარებისათვის პედაგოგიური ხელმძღვანელობის მეთოდურად გამართული გზა საშუალებები.

ლიტერატურა:

1. სტოლოვიჩი ლ., “ესთეტიკური ღირებულებების ბუნება”, მ., 1972, გვ. 212 (რუს. გამოცემა)
2. ბუროვი ა., ესთეტიკა: პრობლემები და განსჯა, მ., 1975, გვ. 50 (რუს. გამოცემა)
3. ტეპლოვი ბ., მხატვრული აღზრდის ფსიქოლოგიური საკითხები, მ., რუსურ პედ. მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, მე-11 გამოშვება, 1947.
4. ეროვნული სასწავლო გეგმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2007.

რეზიუმე

ცნობილია, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება სასკოლო “ესთეტიკური ციკლის” საგანთა ერთერთი ძირითადი შემადგენელი დისციპლინაა. იგი დიდ როლს თამაშობს მოზარდი თაობის პიროვნულ თვისებათა ჩამოყალიბებაში და ამდენად მის სწორად სწავლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ცნობილია, რომ ესთეტიკურ შეფასებას, როგორც პროცესს, წინ უძღვის სათანადო აღქმის აქტი. აღქმის გარეშე საერთოდ შეუძლებელია საქმე შეფასებამდე მივიდეს, რადგან ისინი ლოგიკურად გამომდინარეობს ერთმანეთისგან.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლება დღეისათვის მრავალმხრივ და საინტერესო მოვლენად ჩამოყალიბდა. მან განვითარების ხანგრძლივი გზა გაიარა. პროცესი ჯერ არ დასრულებულა, დასადგენი კვლავაც ბევრია.

მოზარდთა მხატვრული გემოვნების განვითარების პრობლემა უნდა წარმოდგენილი იქნეს ესთეტიკური აღზრდის მთლიან სისტემასთან მიმართებაში, რაც პრობლემისადმი კომპლექსურ მიდგომას და მისი ყველა არსებითი პარამეტრის გათვალისწინებას საჭიროებს;

სახვითი ხელოვნების საშუალებით მოზარდთა მხატვრული გემოვნების განვითარების ძირითად საშუალებას წარმოადგენს ხელოვნებაზე თეორიული მუშაობის სწორი ორგანიზაცია, გარკვეული მნიშვნელობა ამ პროცესისათვის აქვს პრაქტიკულ შემოქმედებით საქმიანობას, მაგრამ წამყვანი და ძირითადი მაინც სახვითი ხელოვნების ნიმუშებთან თეორიული ურთიერთობაა, რომლის დროსაც ხდება მოზარდის ესთეტიკური თვალსაწიერის გაფართოება, ცოდნის დაგროვება, ნაწარმოებთა ანალიზისა და შეფასების უნარის განვითარება, ემოციურ ესთეტიკური სამყაროს გამდიდრება;

საჭიროა ისეთი გამოკვლევების ორგანიზება, რომელიც ახალი შინაარსით დატვირთავდა განვითარების პროცესს, საამისოდ კი გამოავლენდა იმ რეზერვებს, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს მოზარდობის ასაკის პიროვნულ-ფსიქოლოგიური თავისებურებებისა და სახვითი ხელოვნების, როგორც სასწავლო დისციპლინის, შინაგანი შესაძლებლობების ურთიერთმიმართების სახით.

DEVELOPMENT OF ARTISTIC TASTE IN TEENAGERS VIA FINE ARTS
Nodar Mirazanashvili, Gori State Teaching University, Specialist by contract, Doctor
ABSTRACT

Fine and applied arts are one of the basic disciplines of the school subjects of the “aesthetic cycle” playing a great role in the formation of the personal qualities of teenagers. It plays an essential role in the development of personal character of a teenager. Its correct teaching has tremendous importance.

Observation of wide spectrum of constitutive components of esthetical consciousness proves that they have many joint and crosscutting points; among these components is the phenomenon of taste of art. Feeling as a condition of expression of esthetical approach may not advance and reach true esthetical feeling unless it undergoes sufficient regular practice.

It is known that esthetical evaluation, as a process itself, is preceded by the sufficient act of perception. Without perception it is not possible to evaluate as far as these two are logically interwoven.

Fine and Applied Arts have developed into an interesting phenomenon in many respects. Although it underwent a long pass of development the process has not been finished yet. A lot needs to be identified further.

It is important to organize the researches which would impart new content to the process of development and for this purpose would uncover the reserves still existing in the form of interrelations of personal-psychological characteristics of a teenager and inner possibilities of fine arts, as a teaching discipline.

A problem of development of artistic taste in teenagers should be presented within the system of esthetic education which needs a complex approach and consideration of its all basic parameters.

**უმაღლესი სასწავლებლების განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების
თეორიული საკითხები**

თინათინ ჯავახიშვილი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი
E-mail: rectortesau@gmail.com

ნინო სოზაშვილი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პროფესორი
E-mail: ninosozashvili@gmail.com

ცნობილია, რომ ორგანიზაციის მენეჯმენტი კომპლექსური ცნებაა და მრავალ მიმართულებას მოიცავს: ადამიანურ რესურსებს, სტრუქტურებს, განსხვავებულ მეთოდებს, მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებს, გადაწყვეტილებებს, მოტივაციისა და კონტროლის საკითხებს.

ჩვენს მოხსენებაში სურვილი გვაქვს განვიხილოთ საკითხი, თუ რამდენად სწორია და მიზანშეწონილია უმაღლესი სასწავლებლების სტრატეგიის შემუშავებისას დავეყრდნოთ ბაზარზე ორიენტირებული ფირმების გამოცდილებას, ანუ რამდენად ეფექტური იქნება უმაღლესი სასწავლებლის განვითარების სტრატეგიული გეგმა შემუშავდეს ჩვეულებრივ ბიზნესის სფეროში მოქმედი ფირმების ანალოგიურად. პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის, რომ უმაღლესი სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების გეგმები განსხვავდება ჩვეულებრივი ბიზნეს-ფირმების სტრატეგიული განვითარების გეგმებისგან.

საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს მკაცრი კონკურენციის მაგალითს უმაღლეს სასწავლებლებს შორის, რაც გამოიხატება იმაში, რომ უმაღლესი სასწავლებლები იყენებენ კონკურენტულ ბაზრებზე მოქმედი ფირმებისთვის დამახასიათებელ მეთოდებს (მარკეტინგი, პროდუქციის და მომსახურების დივერსიფიცირება, ახალი ბაზრების ათვისება, საფასო დისკრიმინაცია და ა.შ.). ბუნებრივია, ვერც საქართველოს შემთხვევაში ვერ ავუვლით გვერდს კონკურენციას უმაღლეს სასწავლებლებს შორის. დღეს ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებს შორის არსებობს კონკურენცია

სხვადასხვა ფორმით, რაც თავისთავად უნდა ჩაითვალოს საზოგადოებისთვის სასარგებლო მოვლენად ხარისხის და ფასის თვალსაზრისით. მაგრამ ამავე დროს, როდესაც ვსაუბრობთ კონკურენციაზე უმაღლეს სასწავლებლებს შორის, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა უმაღლესი სასწავლებელი, ერთად აღებული, და, მთლიანად, საქართველოს განათლების სისტემა უნდა განვიხილოთ ფართო რეგიონალურ ჭრილში (სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ირანი, რუსეთის ფედერაციის გარკვეული ნაწილი) როგორც ერთ-ერთი კონკურენტული სუბიექტი.

ჩვენ ამ ეტაპზე, რა თქმა უნდა, მიზნად არ ვისახავთ რომელიმე კონკრეტული უმაღლესი სასწავლებლის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებას. ჩვენი მიზანია უფრო აქტუალური გავხადოთ უმაღლესი სასწავლებლების განვითარების სტრატეგიის საკითხები და გამოვხატოთ ჩვენი ხედვა უნივერსიტეტის სტრატეგიულ მენეჯმენტთან დაკავშირებით. მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში სტრატეგიებზე დაფუძნებული მართვის დიდი გამოცდილება არსებობს. შეერთებულ შტატებში ყოფნის პერიოდში შესაძლებლობა გვქონდა გავცნობოდით რამოდენიმე უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმას, შემუშავების სპეციფიკას და უშუალოდ შევხვედროდი იმ ადამიანებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში.

აღსანიშნავია აგრეთვე, ისიც რომ ამერიკული უნივერსიტეტების სტრატეგიული განვითარების გეგმები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და ხშირად სტრატეგიული გეგმების ფინანსური ნაწილიც კი განთავსებულია უნივერსიტეტების ვებ გვერდებზე. მიუხედავად გარკვეული საერთო მიდგომისა, უნივერსიტეტებში სტრატეგიული გეგმების სტრუქტურა და შედგენის მეთოდიკა განსხვავებულია. განსხვავებულია აგრეთვე სხვადასხვა ავტორების მიდგომები უმაღლესი სასწავლებლის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესისადმი და ძირითად მის შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით. ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილებისა და სხვადასხვა ავტორების ნაშრომების საფუძველზე, უმაღლესი სასწავლებლის განვითარების სტრატეგიული გეგმის ზოგადი სტრუქტურა ჩვენ შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

- უმაღლესი სასწავლებლის მოკლე ისტორია;
- უმაღლესი სასწავლებლის მისია;
- უმაღლესი სასწავლებლის ფასეულობები;
- უმაღლესი სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების მიმართულებები და მიზნები;
- უმაღლესი სასწავლებლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების ანალიზი;
- უმაღლესი სასწავლებლების ხარჯების ანალიზი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად;
- სტრატეგიის რეალიზაციის სავარაუდო შედეგები;
- სტრატეგიული გეგმების შემუშავების შემდგომი ნაბიჯი: სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმები და ოპერატიული გეგმები.

უნივერსიტეტის მიზნების სწორად ჩამოყალიბება და ფორმულირება ეხმარება უმაღლეს სასწავლებლებს შეიმუშავოს საქმიანობის მიმართულებები. მიზნების განსაზღვრა უმაღლეს სასწავლებლებს ეხმარება გადავიდეს მისიის საერთო ფორმირებიდან კონკრეტული გეგმის შემუშავებაზე, რომლის საშუალებითაც მიიღწევა მიზნები. მიზნების ფორმირებისას უნდა გავითვალისწინოთ განსხვავება სტრატეგიულ მიზნებსა და ფინანსურ მიზნებს შორის. ცხადია, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უმაღლესი სასწავლებლებისთვის უპირველესია სტრატეგიული მიზანი, ვინაიდან ისინი არ არიან ორიენტირებული მოგების მასშტაბების, დივიდენდების, აქციების კურსის ზრდაზე და ა.შ. სტრატეგიული მიზნების ქვეშ იგულისხმება ორიენტაცია უმაღლესი სასწავლებლის კონკურენტუნარიანობაზე და ზრდის მაღალ ტემპებზე, ხარისხის გაუმჯობესებაზე, დანახარჯების დაბალი დონის უზრუნველყოფაზე, რეპუტაციის გაუმჯობესებაზე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე. კერძო უმაღლესი სასწავლებლის შემთხვევაში სტრატეგიულ გეგმაში ასახული უნდა იყოს როგორც სტრატეგიული, ისე ფინანსური მიზნები.

მიზნების მიმართულებებისა და კონკრეტული ღონისძიებების საილუსტრაციოდ გთავაზობთ ზოგად მაგალითს, სადაც შეძლებისდაგვარად გავითვალისწინეთ საქართველოს რეალობა, ტიპური ზოგადი მიზნები და მიმართულებები, რომლებიც საერთოა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისათვის. ჩვენი აზრით, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტრატეგიული განვითარების გეგმა ოთხ სტრატეგიულ მიმართულებას უნდა დაეფუძნოს. ესენია:

1. ხარისხის გაუმჯობესება

- სწავლების ხარისხი: მაღალი პოტენციალის მქონე სტუდენტების მიზიდვა; სწავლების დონის ამაღლება და სტუდენტებს შორის კონკურენტუნარიანობის განვითარება; უცხო ენის ცოდნის დონის

გაღრმავება; ლექტორთა შეფასება; მოქნილი ხელფასის პოლიტიკის დანერგვა; ლექტორების აკადემიური თავისუფლების ხარისხის ამაღლება; კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბება.

- სამეცნიერო გამოკვლევების ხარისხი: კარგი გარემოს შექმნა კვლევითი საქმიანობისთვის; უნივერსიტეტის აღჭურვილობის ეფექტური გამოყენება; თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით ჯგუფებთან; პირველხარისხოვანი მომსახურების გაწევა კვლევითი საქმიანობის სტიმულირებისათვის.

- სტუდენტების გამოცდილების ხარისხის ამაღლება: უნივერსიტეტის ტრადიციების დამცავი საზოგადოების შექმნა; სტუდენტებში ეთიკური ნორმების მნიშვნელობის ზრდა; საშუალების მიცემა გახდნენ მეტად მოაზროვნე და განავითარონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარი და ა.შ.

2. კავშირების გაფართოება

- კურსდამთავრებულებთან ურთიერთობა: მონაცემთა ბაზის განახლება; კურსდამთავრებულების ინფორმირება და კონსულტაციების გაწევა.

- ინტერნაციონალიზაცია: სტუდენტების და ლექტორების საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის ხელშეწყობა; უცხოელი სტუდენტებისა და ლექტორების მოწვევა; საერთაშორისო თანამშრომლობის გარემოს შექმნა; უცხოელი სტუდენტებისა და ლექტორების საცხოვრებელი ადგილებით უზრუნველყოფა; სხვადასხვა სასწავლო კურსების და საერთაშორისო კონფერენციების ჩატარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

3. ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა

- ინფრასტრუქტურა: პროგრამების ჩატარებისათვის საჭირო აღჭურვილობებით უზრუნველყოფა; უნივერსიტეტის შენობის მდგომარეობის გაუმჯობესება; ტექნიკურ მომსახურებაში შეფერხებების მონიტორინგი და მათი მინიმიზაცია; უნივერსიტეტის ტერიტორიის სივრცის გაზრდა გასართობი პროგრამების განსახორციელებლად; თანამედროვე აღჭურვილობებში ინვესტირება, რაც არსებით მნიშვნელობას წარმოადგენს აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში ექსპერიმენტების ჩასატარებლად; ბიბლიოთეკის მოდერნიზება და მისი აღჭურვა წიგნებითა და ჟურნალებით, რათა ხელმისაწვდომი გახდეს კვლევითი და სასწავლო მასალები.

- ფინანსური სტაბილურობა: ფონდების ბიუჯეტის მართვა; ბიუჯეტის მოდელის დანერგვა ხარჯების გასანაწილებლად; შეღავათები თანამშრომლებისთვის; კომუნალური მომსახურება; კომპენსაციები; ხელფასები; ბიბლიოთეკის განვითარება; კერძო და სახელმწიფო დაფინანსების უზრუნველყოფა მიზნების განსახორციელებლად; ფინანსური ბაზის შექმნა კერძო ინვესტირების, ორგანიზაციებისა და რეგიონალური ფონდებისგან; თანხების მოძიება სტიპენდიების უზრუნველსაყოფად.

4. მენეჯმენტის გაუმჯობესება

- საინფორმაციო ტექნოლოგიები: უნივერსიტეტმა უნდა შექმნას მყარი საფუძველი საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისათვის. ასევე უნივერსიტეტმა სტუდენტებისთვის მარტივად ხელმისაწვდომი უნდა გახადოს კომპიუტერული მომსახურება. უნივერსიტეტმა უნდა წახალისოს სტუდენტები და პერსონალი, სწავლებისა და გამოკვლევების დროს გამოიყენოს საინფორმაციო ტექნოლოგიები.

- ადმინისტრაცია: ადმინისტრაციის ეფექტურობის გაზრდა; ინფორმაციის გაცვლისათვის გამჭვირვალე სისტემის შექმნა; ადამიანური რესურსების ეფექტურად გამოყენება; ფინანსური და ბუღალტრული სისტემების გაუმჯობესება; ადმინისტრაციის ეფექტურობის გაზრდის მიზნით რესტრუქტურისაციის ჩატარება.

- სტუდენტური საქმეები: ხარისხიანი განათლების გარემოს შექმნა; უნივერსიტეტის უნიკალური კულტურისა და ძირითადი ფასეულობების განვითარება. სტუდენტური მმართველობის ოპტიმიზაცია.

- ფაკულტეტი და პერსონალი: პერსონალის საკმარისი რაოდენობის მოზიდვა და შენარჩუნება, რათა მოხდეს აბიტურიენტების მიღების ზრდა; ფაკულტეტის და პერსონალის პროფესიონალური განვითარების ხელშეწყობა; კულტურული კომპეტენტურობის განვითარება; მაღალი პოტენციალის მქონე პერსონალის მოზიდვა; ფაკულტეტზე ლიდერების ამოცნობა და განვითარება; ლიდერობის თვისებების განვითარების პროგრამის დანერგვა.

მოცემული მაგალითი პირობითია და მასში გადმოცემული მიზნები და ამოცანები კორექტირდება ან შეიცვლება კონკრეტული უმაღლესი სასწავლებლის მოცემულობებიდან გამომდინარე. აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ თუ მიზნები არ გარდაიქმნება კონკრეტულ დავალებად კონკრეტული მენეჯერებისთვის, მაშინ ის რჩება უბრალოდ ლამაზ სიტყვებად, რომელიც მოკლევადიან მცირე ეფექტს

ახდენს საზოგადოებაზე და გრძელვადიან პერიოდში ორგანიზაციის ანტირეკლამაც კი შეიძლება გახდეს. ამიტომ მიზნები უნდა იყოს რეალური მაჩვენებლებით განსაზღვრული. მენეჯერები მიზნებს აღწევნენ იმ შემთხვევაში თუ ეს მიზნები გაზომვადია, წინააღმდეგ შემთხვევაში რთულია იმ საქმიანობის მენეჯმენტი, რაც განსაზღვრული მაჩვენებლით არ იზომება.

ვინ უნდა შეიმუშავოს განვითარების სტრატეგია?

თუ ვინ უნდა შეიმუშავოს განვითარების სტრატეგია უმაღლესი სასწავლებლებისთვის?! ეს საკმაოდ აქტუალური და პრობლემატური საკითხია. პოსტკომუნისტურ სივრცეში სოციალისტური წარსულის ზეგავლენით გარკვეული სახელმწიფო სტრუქტურები განიხილებოდა კონკრეტული უმაღლესი სასწავლებლების სტრატეგიის განმსაზღვრელად, მაშინ, როდესაც სახელმწიფო სტრუქტურები უნდა განვიხილოთ ერთ-ერთ გარე ფაქტორად, რომელიც მხოლოდ ზოგად ორიენტაციას განსაზღვრავს (მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ ბოლონის პროცესთან მიერთება, ნებაყოფლობით პრინციპებზე დაფუძნებული აკრედიტაციის სისტემის შექმნა და ა.შ.), ხოლო კონკრეტული სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება, სტრატეგიის შემუშავება და განხორციელების კონტროლი უნდა განხორციელოს უმაღლესი დონის მენეჯერებმა. ამავე დროს გასათვალისწინებელია ის, თუ რომელი მიდგომაა უფრო მართებული, უმაღლესი მენეჯმენტის მიერ შემუშავებული სტრატეგიის ქვედა დონეებზე გავრცელება თუ, პირიქით, მართვის ქვედა დონეებზე შემუშავებული სტრატეგიების აკუმულირება უმაღლესი დონის მენეჯერების მიერ.

ჩვენი აზრით, განვითარების სტრატეგიის და კონკრეტული გეგმების შემუშავებაში ყველა სტრუქტურული ერთეული და მართვის ყველა დონის მენეჯერი უნდა მონაწილეობდეს, მაგრამ გადამწყვეტი უნდა იყოს უმაღლესი დონის მენეჯერები, რომლებიც აყალიბებენ სტრატეგიულ ხედვას და აქედან გამომდინარე შეიმუშავებენ სტრატეგიის საბოლოო ვარიანტებს.

სტრატეგიული გეგმების შემუშავების შემდგომი ნაბიჯი: სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო და ოპერატიული გეგმები.

უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა აერთიანებს ორგანიზაციული ერთეულების მრავალრიცხოვან გეგმებს. სტრატეგიული გეგმების საფუძველზე იქმნება ოპერატიული გეგმები, რომლებიც მუშავდება ადმინისტრაციისა და ხელმძღვანელობის სხვადასხვა დონის წარმომადგენლების მიერ. მენეჯერების ამოცანაა უმაღლესი სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების გეგმა გარდაქმნას კონკრეტულ მოქმედებებად. ოპერატიულ გეგმებში დეტალიზებულია სტრატეგიული მიზნების მისაღწევად საჭირო ღონისძიებები. ოპერატიულ გეგმებში მითითებული უნდა იყოს მოსალოდნელი შედეგები, შესრულების ვადები, კონკრეტული პირები და სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან ოპერატიული გეგმების შესრულებაზე. ოპერატიული გეგმების გამჭვირვალობისა და შესრულების კონტროლისათვის აპრობირებულია შემდეგი თანამიმდევრობა: მიზნები; ამოცანები; გასატარებელი ღონისძიებები; სავარაუდო შედეგები; პასუხისმგებელი შესრულებაზე; შესრულების ვადა. ოპერატიული გეგმების შესრულების ხარისხი და ეფექტიანობა განაპირობებს უმაღლესი სასწავლებლის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის რეალობას.

ცხადია, სტრატეგიული მიზანდასახულობა ძალზედ მნიშვნელოვანია უმაღლესი სასწავლებლებისთვის. მიზანდასახულობის თვითშეფასება უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა განხორციელონ პერიოდული კონტროლით და ამ გზით დაადგინონ, რამდენად მიჰყვებიან ადრე განსაზღვრულ ხანგრძლივ სტრატეგიულ მიზნებს. ასეთი კონტროლი საშუალებას მისცემს უმაღლეს სასწავლებელს შეაფასოს რამდენად ახდენს ძალისხმევას კონცენტრირებას ამ მიზნის მისაღწევად.

ლიტერატურა:

1. Coffey R.E., Cook C.W. and Hunsaker P.L., Management and organizational behavior - Boston: Irwin (Austin Press), 1994.
2. Freire Paulo, "Education for critical consciousness" - New York, Continuum, 1997.
3. L. Dee Fink, "Creating significant learning experiences" . USA, Jhon Wiley and Sons, 2003.
4. Caroline V Gipps. Beyond Testing: Towards a Theory of Education Assesment. London – Washington, D.C. – 1995.
5. Ken Bain, "What the best collegege teachers do", Harvard University Press, 2004
6. <http://interfacing.com/industry/education-process-management> Technologies That Support Education Systems.

რეზიუმე

ჩვენს მოხსენებაში სურვილი გვაქვს განვიხილოთ საკითხი, თუ რამდენად სწორია და მიზანშეწონილია უმაღლესი სასწავლებლების სტრატეგიის შემუშავებისას დავეყრდნოთ ბაზარზე ორიენტირებული ფორმების გამოცდილებას, ანუ რამდენად ეფექტური იქნება უმაღლესი სასწავლებლის განვითარების სტრატეგიული გეგმა შემუშავდეს ჩვეულებრივ ბიზნესის სფეროში მოქმედი ფორმების ანალოგიურად. მოხსენებაში მიზნად არ ვისახავთ რომელიმე კონკრეტული უმაღლესი სასწავლებლის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებას. ჩვენი მიზანია უფრო აქტუალური გავხადოთ უმაღლესი სასწავლებლების განვითარების სტრატეგიის საკითხები და გამოვხატოთ ჩვენი უნივერსიტეტის სტრატეგიულ მენეჯმენტთან დაკავშირებით. მიზნების მიმართულებებისა და კონკრეტული ღონისძიებების საილუსტრაციოდ გთავაზობთ ზოგად მაგალითს, სადაც შეძლებისდაგვარად გავითვალისწინეთ საქართველოს რეალობა, ტიპური ზოგადი მიზნები და მიმართულებები; რომლებიც საერთოა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

THEORETICAL ISSUES OF FORMULATION STRATEGIC DEVELOPMENT PLAN FOR HIGH EDUCATIONAL INSTITUTIONS

Tinatin Javakhishvili, Rector of Iakob Gogebashvili Telavi State University

Nino Sozashvili, Professor of Iakob Gogebashvili Telavi State University

RESUME

This article is connected with theoretical issues of formulation strategic development plan for high educational institutions. In The research takes account experience American (USA) Universities regarding formulation of strategic plan. Are discussed also approaches and recommendations of well-known authors about university's management. In the article is proposed typical structure of strategic plan for high educational institution's development. Are demonstrated our vision about approaches to strategic plan. In the article are answers for next questions: why is important long term plan's even in the relatively unstable situation; how must be done swat analyses; who takes part in preparation of university's strategic development plan and s.o. Preparation of universities' strategic development plan requires deep analyses inside and outside environment. It is obvious that each university has its own specifications, but any university's long term development depends on how university's strategies are purposeful and how realistic are plans for achievement formulated goals. The high educational institutions', which are oriented to long term results, in spite of property form, are successful only that case if they are adapted with market requirements. Permanent innovations and ability for adaptation with market requirements must be bases for any university's strategic development.

ბოლონიის პროცესი და სახელოვნებო-შემოქმედებითი განათლების საკითხები საქართველოში

გიორგი უღრელიძე, საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

E-mail: giorgi_ugrelidze@mail.ru

სახელოვნებო-შემოქმედებით პროფესიათა სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სასწავლო პროგრამები და სამეცნიერო კვლევები ხორციელდება შემდეგ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში: საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასა და თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში.

ეს უძველესი და ტრადიციული სასწავლებლები საქართველოში სახელოვნებო განათლების მიღების მსურველთა შორის გამოირჩევა პოპულარობით, სადაც იღებენ განათლებას და პროფესიულად ოსტატებიან ქართული კულტურის ცნობილ მოღვაწეთა უდიდესი ნაწილი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები სამემსრულებლო ხელოვნების მსურველთათვის ხორციელდება საქართველოს რეგიონებში, კერძოდ ბათუმსა და ქუთაისში. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში არის ბაკალავრიატი და მაგისტრატურა, ხოლო მხოლოდ პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებია ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში.

რეგიონებში არსებული ორივე სასწავლებელი შედარებით ახალი შექმნილია, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ისტორია სათავეს იღებს 1995 წლიდან, ხოლო ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი დაფუძნებამდე (2007 წელი) თბილისის კონსერვატორიის ფილიალის სტატუსით თითქმის ოთხი ათეული წელი ეწეოდა საგანმანათლებლო საქმიანობას.

ძირითადად ეს უმაღლესი სასწავლებლები – თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, სამხატვრო აკადემია, კონსერვატორია, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი და ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი ამზადებენ იმ კადრებს, რომლებმაც ქართული ხელოვნებისა და კულტურის სფეროში უნდა შექმნან ხვალისდელი დღე.

ზემოთ ჩამოთვლილი ხუთივე სასწავლებელი სახელმწიფოა. კომერციული სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლები საქართველოში არ შექმნილა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენიდან ორ ათეულ წელზე მეტი განვლო და დაიწყო საბჭოთა სისტემიდან კაპიტალისტური ურთიერთობის რელსებზე გადასვლა. გაჩნდა თეორიული და სამართლებრივი შესაძლებლობა შექმნილიყო კომერციული სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებელი (რისი საშუალებაც არ იყო საბჭოთა საქართველოს არსებობის პერიოდში), რომელიც თავისი შემოსავლებით შეძლებდა განვითარებას. ეს არ მოხდა და საქართველოს მოქალაქეები მხოლოდ სახელმწიფო სახელოვნებო უნივერსიტეტებს შორის არჩევანის წინაშე დადგნენ. თუ არ ჩავთვლით ადამიანების ძალიან მცირე რაოდენობას, ვინც შეძლო დაფინანსების მოძიება და საზღვარგარეთ სახელოვნებო განათლების მიღება, აქვე ვიტყვი, რომ ამ მიმართულების მქონე სასწავლებლებში ძალიან მაღალი გადასახადია უცხოეთში

კომერციული უმაღლესი სახელოვნებო სასწავლებლის არარსებობა თავისთავად მიანიშნებს საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე, აქ დღეს კულტურისა და ხელოვნების განვითარება სახელმწიფოს მხარდაჭერის, დაფინანსებისა და წახალისების გარეშე რთულია, ჯერ კიდევ საკმაოდ დროა გასავლელი სანამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების იმედით ხელოვანთა დიდი ნაწილი არ დაგეგმავს თავის საქმიანობას და ალტერნატიული არასახელმწიფო რესურსით შეძლებს წარმატების მიღწევას.

საქართველო, როგორც კულტურისა და ხელოვნების დამფასებელი ქვეყანა შორეული ისტორიული წარსულიდან იღებს სათავეს. ჩვენთან საუკუნეების წინ ვითარდებოდა ხელოვნების სხვადასხვა დარგი, რომლებიც კონკურენციას უწევდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილ ხელოვნების ნაწარმოებებს. დღეს იმისთვის რომ ხელოვანმა შეძლოს კონკურენტუნარიანი გახდეს უნდა აღიჭურვოს თანამედროვე განათლებით, დაეუფლოს უახლეს ტექნოლოგიებს და თავისი შემოქმედებითი შრომის შედეგით წარსდგეს საზოგადოების წინაშე. ხშირად არ არის საკმარისი მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მასშტაბით მიღწეული წარმატება იყოს ხელოვანის პროფესიონალიზმის განმსაზღვრელი.

სამემსრულებლო პროფესიის წარმომადგენელთათვის უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებლებში მიღებული ხარისხიანი განათლება არის წარმატების საწინდარი.

საქართველოში 90-იან წლებში მიმდინარე სავალალო და სამწუხარო მოვლენებმა უარყოფითი გავლენა სახელოვნებო სასწავლებლებზეც მოახდინეს. ვისაც 90-იან წლებში აქვს მიღებული უმაღლესი განათლება, კარგად ახსოვს პედაგოგთა გარკვეული ნაწილის მხრიდან გაცდენილი ლექციები, თუმცა მაშინაც არსებობდნენ კეთილსინდისიერი ლექტორები, რომელთა იმედით სტუდენტები დადიოდნენ სასწავლებლებში, ამ თემებზე საუბარი რთულია, თუმცა ფაქტია ქართული საზოგადოება დღეს იმკის მაშინდელი განუკითხაობის შედეგს. სახელოვნებო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა გარკვეულმა ნაწილმა ვერ შეძლო ხარისხიანი განათლების მიღება და დაბალი კვალიფიკაციის გამო ვერ ახერხებს საკუთარი პროფესიით დასაქმებას.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არსებული პრობლემების (ეთნოკონფლიქტები, სეპარატისტული სამხედრო გამოსვლები, სამოქალაქო ომი, კორუფციის მაღალი დონე) გამო სამემსრულებლო პროფესიის პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის არავის ეცალა, იკარგებოდა საუკეთესო პედაგოგიური კადრები, შესაბამისად ისეთი პროფესიონალი პედაგოგების სიმცირე, ვისაც შესწევდა უნარი ღირსეულად აღეზარდა ახალგაზრდობა, თვალშისაცემი იყო.

საქართველოს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში მიღებული იყო, რომ მთავარია ადამიანს გარკვეული წარმატებისთვის მიეღწია პროფესიაში, მაგალითად, გადაეღო ფილმი ან დაედგა სპექტაკლი და მისთვის ადვილი ხდებოდა უმაღლეს სასწავლებელში აყვანა ჯგუფი და ესწავლებინა საშემსრულებლო პროფესია. ერთია წარმატებული ხელოვანი საკუთარ პროფესიაში და მეორეა კარგი პედაგოგი. ხელოვნება და პედაგოგიკა ორი სხვადასხვა მხარეა, ორი განსხვავებული პოლუსია. თუნდაც აღიარებული ფილმის ან სპექტაკლის შემქმნელი არ ნიშნავს იმას, რომ წარმატებული იქნება პედაგოგიკაში და მომავალი თაობის სწორად აღზრდაში.

ზოგიერთი საშემსრულებლო პროფესიის წარმომადგენლის აზრით დამწყებმა ხელოვანმა მხოლოდ მის საქმიანობას უნდა ადევნოს თვალი და ასე შეძლებს პროფესიის დაუფლებას, რაც არასწორად მიმაჩნია. პროფესიონალმა ხელოვანმა ახალგაზრდას უნდა ასწავლოს ანუ მისცეს დავალება და მერე შეუმოწმოს ნამუშევარი. თუ არ შეუძლია სტუდენტს შეასრულოს დავალება და მას არანაირი შესაბამისი ნიჭი და მიდრეკილება არ აქვს, ასეთი ადამიანი, ბუნებრივია, თავის დროზე არ უნდა იქნეს უმაღლეს სასწავლებელში მიღებული. მისაღებ გამოცდებზე სპეციალურ ტურებზე პედაგოგმა რეალურად უნდა შეაფასოს და მხოლოდ შესაბამისი ახალგაზრდა შეარჩიოს უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად. რადგან უკვე ჩარიცხული სტუდენტის აღზრდაზე პასუხისმგებელი უმაღლესი სასწავლებელია. ასეა შესაძლებელი მაღალკვალიფიციური პროფესიონალისგან მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდა.

საქართველოში პოპულარული მსახიობისა და რეჟისორის პროფესიები იმ კატეგორიებს განეკუთვნებიან, რომლებზეც საზოგადოების მხრიდან მაღალი მოთხოვნაა. დიდია კონკურსი უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების დროს, თუმცა უკვე სტუდენტების მხრიდან არც თუ იშვიათად ისმის საყვედურები ამა თუ იმ ლექტორის მისამართით, რადგან აღმოჩნდა, რომ სტუდენტისთვის საინტერესო ხელოვანი მასწავლებლის ამპლუას უღიმდამოდ ასრულებს.

გამოსავალი ამ შემთხვევაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩამოყალიბებული ტრადიციისა და გამოცდილების გაცნობა და გაზიარება შეიძლება იყოს. საქართველოში განათლების რეფორმა წლებია მიმდინარეობს, სახელმწიფო, ბუნებრივია, ცდილობს საკუთარ მოქალაქეებს შეუქმნას ისეთი საგანმანათლებლო სისტემა, რომელშიც აღზრდილი ადამიანი თანამედროვე ცოდნისა და განათლების მატარებელი იქნება და სახელმწიფოს ამა თუ იმ სფეროს განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს. განათლების სფეროს განვითარებისა და არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით საქართველომ მიიღო ახალი კანონმდებლობა უმაღლესი განათლების შესახებ და შეუერთდა ბოლონიის პროცესს.

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ თანახმად სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები ახორციელებენ გარკვეულ კომპეტენციებს.

ბოლონიის პროცესი დაიწყო 1999 წელს, როცა ბოლონიაში ხელი მოეწერა ევროპის განათლების მინისტრთა ერთობლივ დეკლარაციას, რომელსაც წინ უსწრებდა მანამდე მიღებული დოკუმენტები, უნივერსიტეტების დიდი ქარტია (1988 წ.), ლისაბონის კონვენცია (1997 წ.) და სორბონის დეკლარაცია (1998 წ.).

ბოლონიის დეკლარაციით ევროპის ქვეყნების განათლების მინისტრებმა შექმნეს ერთიანი უმაღლესი განათლების ერთიანი სივრცე და მიზნად დაისახეს ევროპული უმაღლესი განათლების სისტემის ექსპორტი მთელს მსოფლიოში. ამ დეკლარაციაზე ხელისმომწერებმა მიზნად დაისახეს შემდეგი:

„* იოლად გასაგები და შესაძარბელი აკადემიური ხარისხების სისტემის შემოღება, მათ შორის, დიპლომის დანართის დანერგვის გზით, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ევროპის მოქალაქეების დასაქმებასა და უმაღლესი განათლების ევროპული სისტემის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას.

* ძირითადად ორ მთავარ საფეხურზე დაფუძნებული სისტემის შემოღება და დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი საფეხურები. განათლების მეორე საფეხურზე დაშვების წინაპირობაა პირველი, სულ მცირე სამწლიანი საფეხურის, წარმატებით დასრულება. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დასრულებისას მინიჭებული აკადემიური ხარისხი, როგორც კვალიფიკაციის შესაბამისი დონე, მისაღები უნდა იყოს ევროპული შრომის ბაზრისთვის. მეორე საფეხური, როგორც ეს მიღებულია ევროპის ბევრ ქვეყანაში, მაგისტრის ან დოქტორის ხარისხის მინიჭებით უნდა დასრულდეს.

* კრედიტების სისტემის (კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის – ECTS), როგორც სტუდენტების მობილობის ხელშემწყობი საშუალების ხელშეწყობა. კრედიტების მოპოვება შესაძლებელი უნდა იყოს უმაღლესი განათლების ფარგლებს გარეთაც, მაგალითად, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ჩათვლით, იმ პირობით, თუ მათ შესაბამისი უნივერსიტეტები აღიარებენ.

* მობილობის ხელშეწყობა ისეთი წინააღმდეგობების დაძლევათ, რომელიც ხელს უშლის თავისუფალ გადაადგილებას, კერძოდ:

– სტუდენტებისათვის სწავლისა და წვრთნის შესაძლებლობისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხელმისაწვდომობა.

– მასწავლებლების, მეცნიერებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ ევროპულ სივრცეში კვლევებზე, პედაგოგიურ მოღვაწეობასა და წვრთნაზე დახარჯული პერიოდის აღიარება და ცნობა, მათთვის კანონით დადგენილი უფლებების დაცვით.

* ხარისხის უზრუნველყოფის საკითხში ევროპული თანამშრომლობის ხელშეწყობა შესაძარებელი კრიტერიუმებისა და მეთოდოლოგიების შემუშავების კუთხით.

* უმაღლეს განათლებაში აუცილებელი ევროპული განზომილებების დანერგვა განსაკუთრებით, კურიკულუმების (საგანმანათლებლო პროგრამების) განვითარება, სასწავლებლებს შორის თანამშრომლობა, მობილობის სქემებისა და სწავლების, წვრთნისა და კვლევების ინტეგრირებული პროგრამების შექმნა – (ბოლონიის დეკლარაცია, 1999 წლის 19 ივნისი)

დეკლარაციაშივე მიუთითეს, რომ განახორციელებდნენ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კონსოლიდაციას, ისე, რომ დაიცავდნენ კულტურების, ენების, ეროვნული განათლების სისტემების მრავალფეროვნებას და უნივერსიტეტთა ავტონომიას.

დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ მიიღეს ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტები – პრადის (2001 წ.), ბერლინის (2003 წ.), ბერგენის (2005 წ.), ლონდონის (2007 წ.), ლუვენის (2009 წ.) კომუნიკაციები და ბუდაპეშტ-ვენის დეკლარაცია (2010 წ.)

ბოლონიის პროცესს საქართველო შეუერთდა 2005 წელს პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან სომხეთთან, აზერბაიჯანთან, მოლდოვასთან და უკრაინასთან ერთად ბერგენის სამიტზე.

ბერგენის კომუნიკეში აღნიშნულია უმაღლესი განათლების მნიშვნელობა კვლევების სამომავლო გაუმჯობესებისთვის, გთავაზობთ ფრაგმენტს დოკუმენტიდან „ განსაკუთრებით აღვნიშნავთ უმაღლესი განათლების მნიშვნელობას კვლევების სამომავლო გაუმჯობესებისათვის და კვლევის მნიშვნელობას უმაღლესი განათლების ხელშეწყობისათვის საზოგადოების ეკონომიკური და კულტურული განვითარებისა და სოციალური ერთობის მხარდაჭერის მიზნით. ჩვენ აღვნიშნავთ, რომ სტრუქტურული ცვლილებებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ძალისხმევა არ უნდა აკნინებდეს კვლევისა და ინოვაციების გაძლიერებისაკენ მიმართულ ძალისხმევას. ჩვენ აღვნიშნავთ კვლევებისა და კვლევის სფეროში წვრთნის მნიშვნელობას ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის. უკეთესი შედეგების მიღწევის იმედით ჩვენ ვაღიარებთ უმაღლესი განათლებისა და კვლევით სექტორებს შორის თანხვედრის საჭიროებას როგორც შესაბამის ქვეყნებს, ასევე უმაღლესი განათლების ევროპული სივრცესა და ევროპის კვლევით სივრცეს შორის.

ამ მიზნების მიღწევისათვის დოქტორანტურის დონის კვალიფიკაცია, რომელიც განისაზღვრება შედეგებზე დაყრდნობით, სრულად უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ძირითად სტრუქტურას. დოქტორანტების განათლების ძირითად კომპონენტს წარმოადგენს ცოდნის გაღრმავება ორიგინალური კვლევის მეშვეობით. სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამებისა და გამჭვირვალე ხელმძღვანელობისა და და შეფასების საჭიროების გათვალისწინებით ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ქვეყნების უმრავლესობაში ნორმალური სამუშაო დატვირთვა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურისთვის უნდა შეესაბამებოდეს (დასწრებული სწავლების) 3–4 წელიწადს. მოვუწოდებთ უნივერსიტეტებს, უზრუნველყონ სადოქტორო პროგრამებში ინტერდისციპლინური მიდგომა და ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, რითაც ისინი შრომის ბაზრის მოთხოვნებს უკეთ დააკმაყოფილებენ. უნდა მივაღწიოთ დოქტორანტურაში მსწავლელთა რაოდენობის ზრდას უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში კარიერების უზრუნველყოფის გზით. მესამე საფეხურის პროგრამის მონაწილეებს ჩვენ განვიხილავთ როგორც სტუდენტებად და ასევე მკვლევარებად კარიერის ადრეულ ეტაპზე“ (ბერგენის კომუნიკე, 2005 წ.)

ლონდონის კომუნიკეში აღნიშნეს: „ჩვენ მოვუწოდებთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ შეიტანონ სადოქტორო პროგრამების განვითარება მათ საუნივერსიტეტო სტრატეგიებში და დოქტორანტებისა და ახალბედა მკვლევარებისათვის ჩამოაყალიბონ კარიერის დაგეგმვის და შესაძლებლობების გაზრდის შესაბამისი პოლიტიკა“ (ლონდონის კომუნიკე, 2007 წ.)

საქართველოში, როგორც პროცესის თანამონაწილე ქვეყანაში სადოქტორო პროგრამები სხვადასხვა უნივერსიტეტთა გვერდით სახელოვნებო-შემოქმედებითი პროფილის უმაღლეს სასწავლებლებშიც შეიქმნა, როგორც თეორიულ, ისე საშემსრულებლო პროფესიებში.

საშემსრულებლო პროფესიათა დოქტორანტურაში სწავლის მსურველთა წინაშე დადგა ამოცანა კვლევები განეხორციელებინათ პრაქტიკოსი პროფესიონალის მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ ფუნდამენტურ თეორიულ მეცნიერებებში კვლევის ხანგრძლივი და მსოფლიოში აღიარებული ტრადიციები არსებობს საქართველოში, საშემსრულებლო პროფესიათა წარმომადგენელთა მხრიდან რაიმე სახის კვლევა-ძიების ქაღალდზე გადატანის მცდელობა იშვიათობას წარმოადგენს. შესაბამისად ამ პროგრამებზე სწავლის მსურველთათვის პერსპექტივა არსებობს, რათა საკუთარი შრომით შეძლონ წარმატებების მიღწევა.

დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სახელოვნებო საშემსრულებლო პროფესიების წარმომადგენლთათვის განსაკუთრებით ღია უნდა იყოს სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლების კარები, რათა მათ საკუთარ საშემსრულებლო პროფესიების განვითარებისა და პროფესიულ წინსვლასთან ერთად შეძლონ სტუდენტებისთვის საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება. ეს შესაძლებელს გახდის საშემსრულებლო პროფესიების მსურველთა განათლების ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას.

ვფიქრობთ, ქართული საზოგადოება აღმოჩნდება მოწოდების სიმადლეზე და ღირსეულად გაატარებს იმ იდეებს ცხოვრებაში, რომლის დანერგვასაც ბოლონიის პროცესი ცდილობს.

ლიტერატურა:

1. ბოლონიის დეკლარაცია, 1999.
2. პრადის კომუნიკე, 2001.
3. ბერლინის კომუნიკე, 2003.
4. ბერგენის კომუნიკე, 2005.
5. ლონდონის კომუნიკე, 2007.
6. ბუდაპეშტი-ვენის დეკლარაცია, 2010.
7. ლისაბონის კონვენცია, 1997.
8. სორბონის დეკლარაცია, 1998.
9. საქართველოს კანონი განათლების შესახებ, 2004.
10. www.mes.gov.ge
11. www.tafu.edu.ge
12. www.conservatoire.edu.ge
13. www.art.edu.ge
14. www.batu.edu.ge
15. www.kutmuscollege.edu.ge

რეზიუმე

გასული საუკუნის 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოშობილი პრობლემების (ეთნოკონფლიქტები, სეპარატისტული სამხედრო გამოსვლები, სამოქალაქო ომი, კორუფციის მაღალი დონე) გამო სახელოვნებო საშემსრულებლო პროფესიის პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის არავის ეცალა, იკარგებოდა საუკეთესო პედაგოგიური კადრები, შესაბამისად, ისეთი პროფესიონალი პედაგოგების სიმცირე, ვისაც შესწევდა უნარი ღირსეულად აღეზარდა ახალგაზრდობა, სამწუხაროდ, თვალში საცემი იყო.

საქართველოში განათლების რეფორმა წლებია მიმდინარეობს. სახელმწიფო, ბუნებრივია, ცდილობს საკუთარ მოქალაქეებს შეუქმნას ისეთი საგანმანათლებლო სისტემა, რომელშიც აღზრდილი ადამიანი თანამედროვე ცოდნისა და განათლების მატარებელი იქნება და სახელმწიფოს ამა თუ იმ სფეროს განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს. განათლების სფეროს განვითარებისა და არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს. მიიღო ახალი კანონმდებლობა განათლების შესახებ.

ვფიქრობთ, ქართული საზოგადოება აღმოჩნდება მოწოდების სიმადლეზე და ღირსეულად გაატარებს იმ იდეებს ცხოვრებაში, რომლის დანერგვასაც ბოლონიის პროცესი ცდილობს.

BOLOGNA PROCESS AND ART-CREATIVE EDUCATIONAL MATTERS IN GEORGIA

Giorgi Ugrelidze, Georgian State University of Theatre and Cinema, Ph.D Student

SUMMARY

In The 90-ies of the last century after the collapse of former soviet union there were many problems (ethnic conflicts, civil war, high level of corruption). Therefore there was no time for qualification of Georgian teachers and many of them were lost and the lack of real professionals who could successfully bring up the youth was evident.

The only solution to the problem was to share the traditions and experience of other countries. Now Georgia is developing and state is trying to create the perfect atmosphere for its citizens to get education and as a result the knowledge be useful for the state itself.

Georgia entered the Bologna Process to develop education system and overcome problems and as a matter of a fact adopted the new rule about education system.

It is believed that Georgian society will successfully accomplish the ideas introduced by Bologna Process.

განათლების რეფორმის პროცესში სწავლების პროცესის დაგეგმვის თანამედროვე მიდგომები

ირმა ქურდაძე, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: irmak15@mail.ru

მარიანა ბალასანიანი, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: amadan1@rambler.ru

ნანა მაკარაძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: nanamakaride75@mail.ru

თანამედროვე ეტაპზე საზოგადოება განიცდის სწრაფი ტემპით მიმდინარე გარდაქმნებს, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და სოციალურ-ეკონომიკური სიახლეები ახალ მოთხოვნებს აყენებს ყველა დარგისა და თითოეული სპეციალისტის წინაშე. შრომის სამყარო ისეთი ცვალებადი გახდა, რომ გარკვეულ ეტაპზე მიღებული ცოდნა თუ უნარ-ჩვევები საკმაოდ მოკლე დროის მანძილზე მოძველებული და არასაკმარისი ხდება. მაღალტექნოლოგიურ საზოგადოებაში ფუნქციონირებისათვის პროფესიას ესაჭიროება დაგროვილი ცოდნის შევსება და ხშირია ახალი პროფესიის დაუფლების სურვილიც. აუცილებელი ხდება ცოდნის შევსება, განახლება.

სწორედ ასეთმა მიდგომამ განაპირობა უწყვეტი პედაგოგიური განათლების აუცილებლობა. რაც, თავის მხრივ, აქტუალურს ხდის და განსაკუთრებულ დატვირთვის ანიჭებს სწავლების პროცესის დაგეგმვის თანამედროვე მიდგომებს, სწორ ორგანიზებას.

აღნიშნული პროცესის ეფექტურობისათვის მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მომავლისაკენ ფიქრის მიმართვა, ხვალისდელი დღის წარმატებისათვის სწორი ხედვის ჩამოყალიბება, რაც აქტუალურს ხდის შემდეგი რეკომენდაციების შემუშავებას. (მარზანო, დებრა, ფიქერინგი, ფოლოქი, 2009).

ა) მოსწავლეებს განუვითაროთ ისეთი ჩვევები, რომლებიც მომავალში გამოადგებათ. ნუ ვეძებთ პასუხებს ყველა კითხვაზე სკოლის სახელმძღვანელოებში. ძალიან ადვილია ვასწავლოთ ის, რაც წარსულში იყო, ვასწავლოთ მოსწავლეებს ის, რაც მათ მომავალში გამოადგებათ.

ბ) ხშირად, უწყვეტ რეჟიმში ვისაუბროთ, ვიკამათოთ, ვითანამშრომლოთ კოლეგებთან. მიზნის მისაღწევად აუცილებელია მეტი ალტერნატივის, სხვადასხვა გზის გამოცდა. რაც უნდა რთულად მოგეჩვენოს ის, “ახალი” ყოველთვის სტიმულის მომცემია. შეიძლება რამდენიმე ალტერნატივიდან ამოვირჩიოთ ჩვენთვის “სასურველი” და მივაგნოთ კიდეც “ახალს”. სასწავლო პროცესში ოდნავი ცვლილების შეტანაც კი მოსწავლეს ყოველდღიურ, ერთფეროვან ცხოვრებაში სასიკეთოდ წაადგება. რაც უფრო დიდია ცვლილება, მით უფრო დიდია ინტერესი მის მიმართ. მაგრამ შეიძლება მოხდეს ისე, რომ მოსწავლეებმა შეთავაზებული სიახლე გადაჭარბებით შეაფასონ, ან გული აიცრუნონ მასზე,

ამიტომ შესაძლებელია მუშაობის დაწყება მცირეოდენი ცვლილებებით. სიახლეების შეტანისას სასწავლო პროცესში სასურველია ჩატარდეს გამოყენებული სტრატეგიების ანალიზი, და მხოლოდ ამის შემდეგ მიღებული შედეგების საფუძველზე მოხდეს კონკრეტული სიახლის დანერგვა. (Chomsky, 2011)

პიროვნება, რომელიც მომავალი თაობის განათლებას მთელი არსებით ემსახურება, ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის, რწმენის ჩამოყალიბებას, აზროვნების განვითარებას, ქმნის კლასში თბილ, მეგობრულ დამოკიდებულებას, კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს და მუდამ ახლის ძიებაშია. მასწავლებელი ყოველთვის უნდა ზრუნავდეს თითოეული მოსწავლის განვითარებასა და წარმატებაზე, რაშიც დიდ როლს ასრულებს პოზიციური სასწავლო გარემოს შექმნა/ ამ პროცესში იგულისხმება:

- სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება სწავლისათვის მოწესრიგებული, მიზანმიმართული და შესაფერისი გარემოს შესაქმნელად;
- საკლასო სივრცის მაქსიმალურად გამოყენება;
- სწავლებისა და სწავლისათვის განკუთვნილი მასალების შემოქმედებითად გამოყენება;
- საკუთარი და მოსწავლის დროის მაქსიმალურად გამოყენება;
- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება.

სწორედ მასწავლებლის ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული, რამდენად ეფექტიანად მიმდინარეობს სწავლება კლასში, რამდენად შეძლებს იგი მოსწავლეების დაინტერესებას ისე, რომ სწავლა უპირველეს ამოცანად გაიხადოს. რაც უფრო მეტად არის მოტივირებული მოსწავლე, მით უფრო მაღალია სწავლის ხარისხი. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანია, თუ რამდენად აინტერესებს მოსწავლეს ესა თუ ის საგანი, რამდენად გრძნობს ამა თუ იმ საგნის სწავლის საჭიროებას, როგორია მოსწავლის თვითშეფასება (ანუ სჯერა თუ არა საკუთარი ძალების), აქვს თუ არა ნებისყოფა და შრომის უნარი.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა ინტერესი სწავლისადმი მით უფრო მაღალია, რაც უფრო სრულყოფილადაა ორგანიზებული სასწავლო კურსი და რაც უფრო მაღალი დონის პროფესიონალი მასწავლებელი ჰყავთ, რომლის სწავლების მეთოდოლოგია დახვეწილია. ამ პროცესის წარმატებული მიმდინარეობისათვის მნიშვნელოვანია სწავლისათვის განსხვავებულ მეთოდების გამოყენება.

ცნობილია, რომ მოსწავლეები უფრო კარგად სწავლობენ, თუ მასწავლებლები ირჩევენ მრავალფეროვან სასწავლო მეთოდებს. გაკვეთილის მიმართ მოსწავლის ინტერესი იზრდება, თუ გაკვეთილი შეიცავს:

- ვერბალურ ინფორმაციას;
- სწავლების ვიზუალიზაციას;
- სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოებს;
- დისკუსიას მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის;
- ფიქრსა და აზროვნებას;

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე მოვახდინეთ მოტივაციისა და სწავლის წამახალისებელი ფაქტორების დაკავშირება ცნობილ სასწავლო აქტივობებთან.

გთავაზობთ ცხრილს, სადაც მოცემულია მოტივაციისა და სწავლის წამახალისებელი ფაქტორების კავშირი სხვადასხვა სასწავლო აქტივობებთან.

გაკვეთილის მნიშვნელოვანი ელემენტები	სასწავლო აქტივობები
ვერბალური ინფორმაცია	ისტორიების მოყოლა, დრამა, როლების მიხედვით თამაში, ლექსები და სიმღერები
სწავლების ვიზუალიზაცია	სურათები, მოდელები
სავარჯიშოები	ექსპერიმენტები, ცდები, დემონსტრაციები, თამაშები და ამოცანები
დისკუსია – მასწავლებელსა და მოსწავლეებს, მოსწავლეებს შორის	კითხვა-პასუხის გაკვეთილების, მთელი კლასი სწავლობს ჯგუფში და წყვილებში მუშაობას, პროექტები
ფიქრი და აზროვნება	საკლასო ან ჯგუფური დისკუსიები, სიტუაციური ამოცანები, პრობლემების გადაწყვეტის სავარჯიშოები.

სანამ ავირჩევდეთ სასწავლო აქტივობას, აუცილებელია დავფიქრდეთ მოსწავლეების ცოდნასა და უნარებზე, მათ შესაძლებლობებზე და გამოცდილებაზე. შესაძლოა, სახელმძღვანელოში მოცემული სასწავლო აქტივობა სულაც არ შეესაბამებოდეს კლასის თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებს, ამიტომ არსებული მასალა გარკვეულწილად უნდა შეიცვალოს. სკეპტიკურად უნდა შევხედოთ მოსაზრებას, რომელიც პრობლემის გადაჭრის მხოლოდ ერთადერთ გზას ითვალისწინებს. (გერშუნსკი, 1999)

მნიშვნელოვანია მასწავლებელში საკუთარი სამუშაო სისტემის, სტილის ჩამოყალიბება, რაც სასწავლო პროცესში მოსწავლეების აქტიურ მონაწილეობას შეუწყობს ხელს, მაგალითად, თუ დავალებაში არსებულ პრობლემას რამდენიმე სწორი გადაწყვეტა მოეძებნება, ჩნდება ალტერნატივა. ეს ის შემთხვევაა, როცა განსხვავებული პასუხის არსებობის შემთხვევაში უნდა მივიღეთ ერთ კონკრეტულ პასუხამდე. კამათის პროცესში ბევრი მისაღები მოსაზრება იბადება, ამიტომ მასწავლებელი ისე უნდა წარმართავდეს სასწავლო პროცესს, რომ მოსწავლეები რამდენიმე განსხვავებული ვერსიიდან ერთ კონკრეტულ პასუხამდე მივიდნენ. ალტერნატიული სწავლება ამკვიდრებს ჩვევას, რომელიც გვიბიძგებს, პატივი ვცეთ სხვათა განსხვავებულ აზრებსა და შეხედულებებს. რაც ძალზედ მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ეფექტურობისათვის.

ლიტერატურა:

1. რობერტ ჯ. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, ჯეინ ი. ფოლოქი, "ეფექტური სწავლება", თბ., 2009, გვ. 154
2. გერშუნსკი ბ., „პედაგოგიური პროგნოზირება“, კიევი, 1999, გვ. 89
3. Chomsky. N. Aspects of the theory of syntax. USA. MITPress, 2011, გვ. 89

რეზიუმე

თანამედროვე ეტაპზე საზოგადოება განიცდის სწრაფი ტემპით მიმდინარე გარდაქმნებს, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და სოციალურ-ეკონომიკური სიახლეები ახალ მოთხოვნებს აყენებს ყველა დარგისა და თითოეული სპეციალისტის წინაშე. შრომის სამყარო ისეთი ცვალებადი გახდა, რომ გარკვეულ ეტაპზე მიღებული ცოდნა თუ უნარ-ჩვევები საკმაოდ მოკლე დროის მანძილზე მოძველებული და არასაკმარისი ხდება. მაღალტექნოლოგიურ საზოგადოებაში ფუნქციონირებისათვის პიროვნებას ესაჭიროება დაგროვილი ცოდნის შევსება და ხშირია ახალი პროფესიის დაუფლების სურვილიც. აუცილებელი ხდება მისი შევსება, განახლება და სწორედ ასეთმა მიდგომამ განაპირობა უწყვეტი პედაგოგიური განათლების აუცილებლობა. ასეთ პირობებში განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს სწავლების პროცესის დაგეგმვის თანამედროვე მიდგომები, სწორი ორგანიზება. მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მომავლისაკენ ფიქრის მიმართვა, ხვალისდელი დღის ეფექტურობისათვის სწორი ხედვის ჩამოყალიბება. ამ პროცესის ეფექტურობისათვის კი აუცილებელია სხვადასხვა ეფექტური რეკომენდაციების შემუშავება, რაშიც უმნიშვნელოვანეს, წარმართველ ფუნქციას მასწავლებელი ასრულებს.

პიროვნება, რომელიც მომავალი თაობის განათლებას მთელი არსებით ემსახურება, ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის, რწმენის ჩამოყალიბებას, აზროვნების განვითარებას, ქმნის კლასში თბილ, მეგობრულ დამოკიდებულებას, კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს და მუდამ ახლის ძიებაშია. მასწავლებელი ყოველთვის უნდა ზრუნავდეს თითოეული მოსწავლის განვითარებასა და წარმატებაზე, რაშიც დიდ როლს ასრულებს პოზიციური სასწავლო გარემოს შექმნა. ამ პროცესში იგულისხმება:

• სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება სწავლისათვის მოწესრიგებული, მიზანმიმართული და შესაფერისი გარემოს შესაქმნელად;

- საკლასო სივრცის მაქსიმალურად გამოყენება;
- სწავლებისა და სწავლისათვის განკუთვნილი მასალების შემოქმედებითად გამოყენება;
- საკუთარი და მოსწავლის დროის მაქსიმალურად გამოყენება;
- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება.

სწორედ მასწავლებლის ნიჭსა და უნარზე დამოკიდებული, რამდენად ეფექტიანად მიმდინარეობს სწავლება კლასში, რამდენად შეძლებს იგი მოსწავლეების დაინტერესებას ისე, რომ სწავლა უპირველეს ამოცანად გაიხადოს.

MODERN APPROACHES TO PLANNING THE TEACHING PROCESS IN THE PROCESS OF EDUCATION REFORM

Irma Kurdadze, Akhaltsikhe State Teaching University, Full Professor
Mariana Balasanyan, Akhaltsikhe State Teaching University, Associated Professor
Nana Makaradze, Shota Rustaveli State University, Associated Professor

RESUME

Contemporary society is experiencing a rapid pace of changes; the scientific-technical progress and the social-economic news set the new requirements towards all fields and each specialist. The labor world is so changeable that the knowledge or skills gained at a certain stage became outdated and insufficient in a very short period of time. In order to function in a high-tech society, a person needs to fill the gained knowledge and, often person even desires to acquire a new profession. It is necessary to fill, update knowledge, and such an approach led to the need of continual pedagogical education. In such conditions, the modern approaches to planning the teaching process and the right organization gain special meaning. It is very important to think about the future, to have the right vision of the effective future in the planning of the teaching process. Several effective recommendations should be developed for effectiveness of this process. And, a teacher has an important, leading function in this.

A person, devoting him/herself to education of the next generation, supports students in formation of motivation and faith, in developing of thinking, makes warm, friendly relationship and cooperative atmosphere in the class and he/she is always in search of a something new. A teacher should always care of each student's development and success and, in this process, creation of a positive studing environment plays a big role. The process includes:

- The use of several strategies for creation of fesciplined, targeted and suitable studing environment;
- The maximum use of the classroom space;
- The creative use of the teaching and studing materials;
- The maximum use of a teacher's and student's time;
- Increasing motivation of the students.

It depends on a teacher's ability and skills how effective the studing process is in the class, how he/she will be able to make students think of study as a primary goal.

სწავლის სტილი და მისი როლი უცხო ენის გაკვეთილზე

მანანა ღარიბაშვილი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
სრული პროფესორი
E-mail: manana-garibashvili@yahoo.com;

ნანა პაპუნაშვილი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
დოქტორანტი
nana_papunashvili@yahoo.com

შესავალი

ენის შემსწავლელი უკეთ ეუფლება ახალ მასალას, თუ მისთვის ნათელია როგორც ახალი მასალის ღირებულება, ასევე ის ხერხი, რომლის მეშვეობითაც ხდება მიღებული ინფორმაციის ათვისება. იმისათვის, რომ შემსწავლელმა მიაღწიოს საბოლოო მიზანს, მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში გამოყენებული იქნას კომბინირებული სწავლების მეთოდები, რათა შეუქმნათ შემსწავლელს ადეკვატური გარემო და მოხდეს მისი სწავლისადმი მოტივირება. წინამდებარე სტატიაში განხილულია სხვადასხვა მკვლევარის მოსაზრება სწავლის სტილის, მისი მნიშვნელობის და განმარტებების შესახებ. ასევე განხილულია თითოეული სწავლის სტილის (ვიზუალი, აუდიო და კინესთეტიკი) მახასიათებლები. სტატიის ბოლოს - დასკვნაში მოცემულია მინი კვლევის შედეგები, რომელიც ჩატარდა კითხვარის გამოყენებით.

სწავლის სტილის განსაზღვრება და მისი სახეები:

ადამიანები ახალი ინფორმაციის ასათვისებლად იყენებენ სხვადასხვა ხერხს. სწავლების სტილი, ეს არის ინდივიდის უნარი აღმოაჩინოს და გამოიყენოს ის საუკეთესო ხერხი, რომელიც მიღებული ინფორმაციის აღქმა-დასწავლაში დაეხმარება.

ბ. სპოლსკი (Spolsky, 1998) განსაზღვრავს სწავლის სტილს როგორც ტერმინს, რომელიც აღწერს ინდივიდუალურ მიდგომას სწავლისადმი, ხოლო ჯ. კიფი (Keefe, 1979:4) სწავლების სტილს განსაზღვრავს, როგორც კოგნიტურ, ემოციურ და ფსიქოლოგიურ ხასიათის თვისებას, რომელიც მყარ კავშირშია შემსწავლელის აღქმასთან და რეაგირებს სასწავლო გარემოში.

მ. რეიდი (Reid, 1987) გამოყოფს სწავლების ექვს ძირითად სტილს: პირველ ოთხში ის აერთიანებს ვიზუალურ, აუდიო, კინესთეტურ/შეხებით სწავლების სტილს, ხოლო ბოლო ორში ის მოიაზრებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ სწავლების სტილს.

რ. ციციშვილი (2008) მიხედვით, სწავლის სტილი ეს არის ის საუკეთესო გზა, რომელიც ენის შემსწავლელს ეხმარება ახალი ინფორმაციის გაგება-ათვისებაში. მას მიაჩნია, რომ შემსწავლელი ძირითადად არ ცვლის სწავლის შერჩეულ სტილს, თუმცადა, თანდათანობით შესაძლოა მან რაიმე კონკრეტული მასალის დასწავლისას გამოიყენოს კომბინირებული სწავლის სტილები. მსგავსად რეიდისა (Reid, 1987) იგი გამოყოფს სწავლების შემდეგ სტილებს:

- ვიზუალური (visual);
- აუდიო (auditory);
- შეხებითი (tactile);
- კინესთეტური (kinesthetic);
- ჯგუფური (group);
- ინდივიდუალური (individual).

ფ. ჯიუს (Jiu, 2009) მიაჩნია, რომ სწავლა წარმოაჩენს პიროვნული შესაძლებლობების სიძლიერესა და სისუსტეს. შემსწავლელებს შეუძლიათ გააცნობიერონ და აღმოაჩინონ სწავლის ის სტილი, რომელიც დაეხმარება მათ წარმატებული განათლების მიღებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი სწავლა ნაკლებეფექტური იქნება.

ახლა განვიხილოთ სხვადასხვა მკვლევარის აზრი თითოეული სწავლების სტილის (ვიზუალური, აუდიო და კინესთეტური) შესახებ. ნილ ფლემინგმა და კოლინ მილსმა (Fleming & Mills, 1992) შეიმუშავეს მოდელი, რომელსაც VAK (Visual, Auditory and Kinesthetic) მოდელი უწოდეს. ამ მოდელის თანახმად შემსწავლელი ეყრდნობა დანახულ, მოსმენილ, წაკითხულ/დაწერილ მასალას ან შესრულებულ მოძრაობას.

ვიზუალი შემსწავლელები თვალსაჩინოების საფუძველზე აღიქვამენ ახალ ინფორმაციას. ისინი ძირითადად იყენებენ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, რუკებს, გრაფიკებს, ვიდეო მასალებს, ინტერნეტს, ტელევიზორს და სხვა ნებისმიერ თვალსაჩინო მასალას.

ს. ე. დევისი (Davis, 2007) თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ ვიზუალი შემსწავლელი მიმართავს ვიზუალურ გამოსახულებებს, როგორცაა სურათები და გრაფიკები. მათ აქვთ ფართო წარმოსახვის უნარი და შესწევთ უნარი ერთი შეხედვით დანახული მოვლენა თუ საგანი მეხსიერებაში ასახონ, მათ მუდამ სჭირდებათ სტიმულის აღმძვრელი საშუალებები, როგორცაა სურათები, სლაიდები და გრაფიკები.

ზოგიერთ ადამიანს, მაგალითად, ახალი სიტყვის დასამახსოვრებლად ეხმარება სათანადო საგნის ან მისი სურათის დამახსოვრება სიტყვესთან ერთად. (Woolfolk, 2005)

ელდიფრაიდი (2009) წერს თავის სტატიაში, რომ ვიზუალი შემსწავლელები ითვისებენ მასალას სურათებით და უკეთ სწავლობენ თვალსაჩინოების გამოყენებით. ისინი ეყრდნობიან პედაგოგის არავერბალურ კომუნიკაციას და აღიქვამენ სიტუაციას ჟესტიკულაციის მეშვეობით. უკეთ დამახსოვრების მიზნით ისინი ასევე აკეთებენ ახალი მასალის ჩანაწერებს.

გრეის ფლემინგის (Fleming, n.d., 1992) მიხედვით, ვიზუალებს ახალისებთ ისეთი წიგნები, რომლებსაც აქვთ გრაფიკები და ფერადი ილუსტრაციები. მათ წაკითხული მასალა ურჩევიათ მოსმენილს, განსაკუთრებით თუ მასალა შინაარსობრივად ან ენობრივად რთულია. იგი ვიზუალურ შემსწავლელებს შემდეგნაირად ახასიათებს:

- უყვართ წიგნების, ჟურნალების კითხვა და სურათების დათვალიერება;
- უყვართ გარშემო მყოფ ნივთებზე დაკვირვება;
- შეუძლიათ ადვილად იპოვონ სხვების მიერ დაკარგული ნივთები და უკეთ იმახსოვრებენ იმ ადგილს, საიდანაც ნივთი დაიკარგა;

- აკვირდებიან და ამჩნევენ ყველა დეტალს: ჩაცმულობა; გარეგნობა; შეცდომები ან მცირედი უზუსტობა ნაწერსა თუ ნაბეჭდ ტექსტებში;
- ეხერხებათ სიტყვების დამარცვლა, მაგრამ სახელები ავიწყდებათ;
- სწავლისთვის სჭირდებათ წყნარი გარემო;
- მოსმენასთან და საუბართან შედარებით კითხვასა და წერას ანიჭებენ უპირატესობას;
- უჭირთ ინსტრუქციის ზეპირად აღქმა;
- უყვართ გაკვეთილის დროს ხატვა და კროსვორდების ამოხსნა;
- ახასიათებს მეტყველების პრობლემები;
- ცოტას საუბრობენ საკლასო ოთხში.

აუღიალი შემსწავლელი უპირატესობას დისკუსიებს და დებატებს ანიჭებენ; ძალიან მოსწონთ ლექციები და როლური თამაშები. ვინაიდან კარგი მსმენელები არიან უყვართ ტელევიზორის და რადიოს მოსმენა. ერთი მხრივ, აუღიალი შემსწავლელი არ სჭირობენ ვიზუალურ საშუალებებს. ისინი უპირატესობას მოსმენაზე დამყარებულ აქტივობებს ანიჭებენ.

ელდიფრაიდის (LdPride, 2009) მიხედვით, აუღიალი შემსწავლელი აღიქვას ინფორმაციას ტონალობის, აქცენტის და ინტერპრეტაციის საშუალებით. იგი იძენს ცოდნას ხმამაღლა კითხვის საშუალებით.

ამ ტიპის შემსწავლელი შემდეგნაირად ხასიათდებიან:

- იშვიათად აკეთებენ ჩანაწერებს;
- არ უყვართ კითხვა, უპირატესობას სხვის მიერ ხმამაღლა წაკითხულს ანიჭებენ;
- ხშირად იმეორებენ მოსმენილს, უყვართ მარტო საუბარი, კითხვისას ჩურჩულებენ და იყენებენ ვერბალურ ანალიზს;
- იმახსოვრებენ ყველა წვრილმანს თანმიმდევრობით;
- აქვთ სირთულეები წერით ინსტრუქციებთან;
- განვითარებული აქვთ სმენითი მეხსიერება და სწორად წარმოთქვამენ სიტყვებს უცხო ენის შესწავლისას;
- შეუძლიათ მოსმენილის კარგად გადმოცემა;
- უპირატესობას ვერბალურად ახსნილ მასალას ანიჭებენ, ვიდრე წაკითხულ მასალას.

გამოკვლევების თანახმად, კინესტეტიკური შემსწავლელი ენის შემასწავლელთა საერთო რაოდენობის 15% მოიცავს. ისინი მეტწილად წარმატებულები არიან პრაქტიკული საქმიანობის შესწავლის პროცესში. ამავდროულად ყურადღებას გონებისა და სხეულის მოქმედებაზე, მათ აგრეთვე თვალის და ხელის კარგი კოორდინირება შეუძლიათ და ძალიან სწავი რეცეპტორები გააჩნიათ.

დევისი (Davis, 2007) თავის სტატიაში წერს, რომ კინესტეტიკური შემსწავლელი უპირატესობას სხეულის მოძრაობას ანიჭებენ, რაც მათ კონცენტრაციაში ეხმარებათ. ხშირად აღმოაჩენთ, რომ კინესტეტიკური შემსწავლელი მოუსვენრად მოძრაობენ ან ეძებენ მიზეზს რაიმეს საკეთებლად. ვერ ახდენენ კონცენტრირებას აუდიო და ვიზუალურ პრეზენტაციებზე. ისინი ცუდი მსმენელები არიან.

ე. კაციაშვილი (2011) თავის დისერტაციაში წერს, რომ კინესტეტიკური შემსწავლელი ის შემსწავლელი არიან, რომელთაც ახალისებთ ფიზიკური აქტივობები სწავლის დროს. მათთვის ძალიან ძნელია ერთ ადგილას დიდხანს ჯდომა.

კინესტეტიკური შემსწავლელი შემდეგნაირად ხასიათდებიან:

- უყვართ ფიზიკური აქტივობები;
- მოძრაობენ დროის უმეტესი ნაწილი;
- უყვართ მოსაუბრესთან ხელით შეხება საუბრისას;
- ამოძრავებენ საწერ კალამს ან კიდურებს;
- მათთვის კითხვა არ წარმოადგენს პრიორიტეტს;
- საუბრობენ ხელებით;
- სინჯავენ და იკვლევენ ყველა საგანს, ითვისებენ მასალას ნივთებთან შეხებით და მანიპულირებით;
- არ უყვართ დიდხანს ჯდომა.

ისმის კითხვა: რამდენად მნიშვნელოვანია სწავლების სტილის გათვალისწინება სწავლის პროცესში?

ამ საკითხთან დაკავშირებით გვინდა დავიხმაროთ ბიგის (Biggs, 2001) მოსაზრება სწავლის სტილის შესახებ: სწავლის სტილს ინდივიდის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. როდესაც შემსწავლელმა იცის, თუ რომელ სწავლის სტილს მიეკუთვნება, ის ადვილად ახდენს სასწავლო პროცესში ინტეგრირებას და სწრაფად აღწევს წარმატებას. მეორე დადებითი მხარე, სწავლის სტილის ცოდნის

შესახებ მდგომარეობს იმაში, რომ შემსწავლელი ეფექტურად აგვარებს სწავლის პროცესში დაგროვილ პრობლემებს.

სპოლსკი (Spolsky, 1998, გვ. 110) წერს თავის დისერტაციის ერთ-ერთ თავში, რომ სწავლების შემდეგი პირობების (შემსწავლელთა ნაირსახეობა, ასაკი, დონე და კულტურული წარმომავლობა), სწავლის სტილის (ვიზუალი, აუდიო, კინესთეტიკი/შეხებითი) და მუშაობის ფორმების (ჯგუფური და ინდივიდუალური) გათვალისწინებით სწავლება ხდება გაცილებით წარმატებული, მაშინ, როდესაც სასწავლო პირობები და შემსწავლელის შესაძლებლობები ურთიერთკავშირშია.

იმისათვის, რომ დაგვედგინა, რომელი შემსწავლელი ჭარბობდა - ვიზუალი, აუდიო თუ კინესთეტიკი, ჩავატარეთ მინი კვლევა კითხვარის გამოყენებით. კვლევა ჩატარდა თელავის რაიონის 10 საჯარო სკოლაში. მასში მონაწილეობა მიიღო 70 ენის შემსწავლელმა. კითხვარის მიზანი იყო დაგვედგინა 15-16 წწ. ასაკის ენის შემსწავლელთა სწავლის სტილი და მისი როლი ენის სწავლებისას.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ყველაზე მაღალი პროცენტი (65.7%) თვალსაჩინო (ვიზუალურ) მასალას ჰქონდა, შემდეგ მოსასმენ (25.7%) და ბოლოს, დაბეჭდილ მასალას (8.5%). გამოკითხულ სტუდენტებს შორის ჭარბობდნენ ვიზუალები და აუდიოლები, ყველაზე დაბალი რაოდენობა იყო კინესთეტიკი.

ყოველივე აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ უცხო ენის გაკვეთილზე ენის შემსწავლელი უკეთ დაეუფლებიან ახალ მასალას, თუ გაკვეთილის პროცესში რაციონალურად გამოვიყენებთ:

- თვალსაჩინოებებს (რეალური საგნები, სურათები, გრაფიკები, ვიდეო მასალა და ა.შ.), რომლებიც დაეხმარებათ ვიზუალებს სასწავლო მასალის სიღრმისეულ აღქმაში;
- დაბეჭდილ მასალას (წიგნი, გაზეთი, ჟურნალი და ა.შ.), რომელიც დაეხმარება კინესთეტებს სასწავლო მასალის სიღრმისეულ აღქმაში;
- მოსასმენ მასალას, რომელიც, თავის მხრივ, დაეხმარება აუდიო ენის შემსწავლელს მასალის სიღრმისეულ აღქმაში.

მინი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, უცხო ენის გაკვეთილზე ახალი მასალის ახსნისას გამოყენებული თვალსაჩინოებები, დაბეჭდილი და მოსასმენი მასალა თავის მხრივ დაგვეხმარება:

- ენის შემსწავლელთა ყურადღების კონცენტრაციაში;
- მოტივაციის ასამაღლებლად;
- ასახსნელი მასალის გასამდიდრებლად.

მამასადამე, პედაგოგმა უცხო ენის სწავლებისას უნდა გაითვალისწინოს უცხო ენის შემსწავლელის სწავლის ყველა სტილი და მახასიათებლები. მოხდეს კომბინირებული გამოყენება თვალსაჩინოებების, ასევე დაბეჭდილი და მოსასმენი მასალის, რათა ენის შემსწავლელებმა შეძლონ შესასწავლ მასალაზე კონცენტრირება; გაიზარდოს მათი მხრიდან მოტივაცია და, შესაბამისად, გააუმჯობესონ სწავლის შედეგები.

ლიტერატურა:

1. ციციშვილი რ., ნიჟარაძე ნ., დარჩია მ., თევზაია მ. და ტყავაშვილი ე., (2006). ინგლისური ენის სწავლების თეორია და პრაქტიკა საქართველოში, თბილისი, გვ. 8
2. კაციაშვილი ე., (2011). დისერტაცია - მოსასმენ მასალაზე დაფუძნებული საუბრის სწავლება ავტენტური მასალების გამოყენებით. თელავი. გვ. 41
3. Biggs, J., (2001). Enhancing Learning: A Matter of Style or Approach? Mahawa Lawrance Erlbaum.
4. Davis, S.E. (2007). Learning Styles and Memory. *Institute for Learning Styles Journal*, Vol. 1., Auburn University. pp.47
5. Fleming, N.D. & Mills, C. (1992). Not Another Inventory, Rather a Catalyst for Reflection. To Improve the Academy. pp. 137-155
6. Jiu, F. (2009). A Study of learning style, teaching styles and vocabulary. Teaching strategies in Chinese primary school. DD-essay in English Didactics. Kristianstand University College. The school of teacher education English IV. pp.9
7. Keefe, J.W. (1979). Student Learning Styles: Diagnosing and Prescribing Programs. Reston. Va.: National Association of Secondary School Principals. pp. 109
8. Ldpride, n.d. Understanding Your Learning Style. Retrieved from <http://ldpride.net/learningstyles.ML.htm> on 14 June, 2012.
9. Reid, J.M (1987). The learning Style preferences of ESL students. *TSEOL Quarterly* 21:87-111. pp.109
10. Spolsky, B. (1998). Conditions for Second Language Learning. Oxford University press. pp. 109

რეზიუმე

ადამიანები ახალი ინფორმაციის ასათვისებლად იყენებენ სხვადასხვა ხერხს. სწავლების სტილი ეს არის ინდივიდის უნარი აღმოაჩინოს და გამოიყენოს ის საუკეთესო ხერხი, რომელიც მიღებული ინფორმაციის აღქმა-დასწავლაში დაეხმარება.

ბ. სპოლსკი (Spolsky, 1998, გვ. 109) განსაზღვრავს სწავლის სტილს როგორც ტერმინს, რომელიც აღწერს ინდივიდუალურ მიდგომას სწავლისადმი, ხოლო ჯ. კიფი (Keefe, 1979:4 გვ. 109) სწავლების სტილს განსაზღვრავს, როგორც კოგნიტურ, ემოციურ და ფსიქოლოგიურ ხასიათის თვისებას, რომელიც მყარ კავშირშია შემსწავლელის აღქმასთან და რეაგირებს სასწავლო გარემოში.

გამოყოფენ სწავლის შემდეგ სტილებს: აუდიო, ვიზუალი და კინესთეტიკი.

მუშაობის პროცესში ჩატარებულ იქნა მცირე მოცულობის კვლევა კითხვარის გამოყენებით. კვლევა ჩატარდა თელავის რაიონის 10 საჯარო სკოლაში. მასში მონაწილეობა მიიღო 70 ენის შემსწავლელმა. კითხვარის მიზანი იყო დაგვედინა 15-16 წწ. ასაკის ენის შემსწავლელთა სწავლის სტილი და მისი როლი ენის სწავლებისას.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ყველაზე მაღალი პროცენტი (65.7%) თვალსაჩინო (ვიზუალურ) მასალას ჰქონდა, შემდეგ მოსასმენ (25.7%) და ბოლოს, დაბეჭდილ მასალას (8.5%). გამოკითხულ სტუდენტებს შორის ჭარბობდნენ ვიზუალები და აუდიალები, ყველაზე დაბალი რაოდენობა იყო კინესთეტიკი.

ყოველივე აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ პედაგოგმა უცხო ენის სწავლებისას უნდა გაითვალისწინოს უცხო ენის შემსწავლელთა სწავლის ყველა სტილი და მახასიათებელი. მოხდეს თვალსაჩინოებების, ასევე დაბეჭდილი და მოსასმენი მასალის კომბინირებული და რაციონალური გამოყენება, რათა ენის შემსწავლელებმა შეძლონ შესასწავლ მასალაზე კონცენტრირება, გაიზარდოს მათი მოტივაცია და გააუმჯობესონ სწავლის შედეგები.

LANGUAGE STYLE AND ITS ROLE IN THE FOREIGN LANGUAGE CLASSES

Manana Garibashvili, Iakob Gogebashvili Telavi State University, Full Professor

Nana Papunashvili, Iakob Gogebashvili Telavi State University, Ph.D. Student

ABSTRACT

Humans apply different strategies for gaining information. Learning style is the skill of an individual to search and use the best strategy which will assist them in the process of information acquisition and learning.

Spolsky (1998) defines the learning style as a special term describing the individual approach towards learning. According to Keefe (1974:4) learning style represents the cognitive, emotional and psychological trait which is in close relations with acquisition and reacts/responds in study environment.

The following learning styles are defined: audio, visual and kinesthetic.

A mini experiment was held during the research period which had the questionnaire format. The experiment was held in ten public schools, Telavi region, Georgia. There were 70 language learners participating in the experiment. The questionnaire aimed to define the learning styles in learners (15-16 ages) and their role in foreign language classes.

According to the experiment results visual aids gained the highest score (65.7%), listening materials – (25.7%) and the printed materials – (8.5 %). The majority of participant learners belonged to visual and audio styles, while the kinesthetics gained the lowest score.

Consequently we can say that the foreign language teacher should take into account all the learning styles and characteristics in her class. There should be combined and rational usage of visual aids, as well as printed and audio materials in study process. All these will enhance the learners' concentration on study materials, increase their motivation and improve learning outcomes.

სკოლამდელი განათლების განვითარების სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები

ნელი ჭამპურიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: nelichampuridze@gmail.com

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმა მიზნად ისახავს მაღალკადემიურ, მაღალრეიტინგული და პოპულარული განათლების კერების შექმნას. ამიტომაც დღეს განათლების წინაშე მრავალი საჭირობოროტო ამოცანა დგას. გამოვყოფდით დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაციას, რომელიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის. პიროვნების ინტერესებისა და შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების მოთხოვნათა დაკმაყოფილება, პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედება, უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სასწავლო პროცესის წარმართვა თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. ყოველივე აღნიშნულის მიღწევა საწყისი ეტაპიდან უნდა დაიწყოს.

სკოლამდელი განათლების სფეროს განახლება, პედაგოგთა გადამზადება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს განათლების რეფორმის სრულყოფილად განხორციელებას. საუკუნეზე მეტი ხნის წინ დიდი იაკობ გოგებაშვილი შენიშნავდა: "ჩრდილოეთიდან თუ დასავლეთიდან ჩვენში მოხეთქილმა, ახალი პირობებისა და აზრთა მიმართულების ნიაღვარმა ძალუმად შეარყია კავკასიის ცხოვრების ტრადიციული საფუძვლები, იგი გამოვიდა საუკუნეებით განმტკიცებული კალაპოტიდან და დაჰკარგა კომპასი, საჭე, გარკვეული მიმართულება. ამ ცხოვრების გარკვეულ ორბიტაში მოქცევა, მისთვის ახალი, უმჯობესი საფუძვლების შექმნა, მისი ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება მხოლოდ ორგანიზებულ სახალხო განათლებას შეუძლია..." (გოგებაშვილი, 1990). პრობლემის ამგვარი ხედვა უნდა ედოს საფუძვლად განათლების დარგში დღეს მიმდინარე რეფორმებს, რომლის ძირითადი ბალავერი სწორედ სკოლამდელი და დაწყებითი განათლების დარგში იყრება. ახალმა დრომ ქართული განათლების სისტემას დიდი მოთხოვნები წაუყენა. ახლა უფრო იგრძნობა განათლებული, ერუდირებული, მაღალი იდეალების მქონე ადამიანის აღზრდის საჭიროება. მომავლის სრულფასოვანი მოქალაქის, მშენებლისა და შემოქმედის სულიერი სახის ერთ-ერთი განმსაზღვრელი თვისება ესთეტიკური გაწვრთნილობა, მხატვრული გემოვნება და ფართო წიგნიერებაა. ამ თვისებათა საფუძვლის ჩაყრა კი სკოლამდელი დაწესებულებიდანვე უნდა დავიწყოთ. საბავშვო ბაღში მისულ ბავშვს უკვე აქვს გარკვეული ცოდნა გარე სინამდვილის შესახებ, ქცევის გარკვეული ნორმები და მეტყველების გარკვეული უნარ-ჩვევები. სკოლამდელი დაწესებულების მიზანი და ვალდებულებაა კორექცია გაუკეთოს სხვადასხვა სოციალ-კულტურული ოჯახებიდან გამოსული ბავშვების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, თავისი მუშაობა წარმართოს პროგრამულ მოთხოვნათა შესაბამისად. პედაგოგიურ პრაქტიკაში, ტრადიციულად, სკოლამდელი ასაკი განიხილება პერიოდად, რომლის დროსაც ბავშვი ფიზიკურად, ინტელექტუალურად და პიროვნულად ვითარდება და აღწევს სკოლისთვის მზაობის დონეს. სკოლამდელი განათლების მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჰარმონიული განვითარება და მათი სკოლისათვის მომზადება, ის ითვალისწინებს ბავშვის ინტელექტუალურ, ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და პიროვნული თვითგამოხატვის უნარების გამოვლენასა და ესთეტიკური გემოვნების აღზრდას. „სახელმწიფო აცნობიერებს განათლების მნიშვნელობას თანამედროვე საზოგადოების განვითარებისათვის და აცხადებს, რომ განათლებაზე ზრუნვა იწყება ადრეული, სკოლამდელი ასაკიდან. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სკოლამდელი აღზრდა სცილდება ბავშვის მხოლოდ სკოლისათვის მომზადების არეალს და მიზნად ისახავს მის პიროვნებაზე ისეთი ზეგავლენის მოხდენას, რაც ბავშვს საზოგადოების სრულყოფილ წევრად ჩამოყალიბებისთვის საჭირო ჩვევებს განუვითარებს“ (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მართვის გზამკვლევი, 2011). ადამიანის ჰარმონიული განვითარებისთვის ბავშვობის ხანა ძალიან მნიშვნელოვანია. მთავარი ის კი არ არის სწავლება დავაჩქაროთ და სკოლამდელი ბავშვი სასწრაფოდ ვაქციოთ მოსწავლედ. მთავარია ბავშვის ქცევისა და უნარების განვითარებასა თუ გამდიდრებას შევუწყოთ ხელი. ვინაიდან სკოლამდელი ასაკის წამყვანი ქცევა თამაშია, სწორედ თამაშის საშუალებით იქმნება ბავშვის ფსიქიკისა და პიროვნების განვითარებისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები.

სკოლამდელ დაწესებულებაში მეცადინეობის პროცესი უნდა განსხვავდებოდეს სასკოლო გაკვეთილებისგან. მისი მიზანი ბავშვისთვის მხოლოდ გარკვეული ცოდნის მიწოდება კი არაა, პირველ რიგში ბავშვის ფსიქიკური პროცესების: აღქმის, მეხსიერების, აზროვნების, მეტყველების და

პიროვნული თავისებურებების განვითარების ხელშეწყობაა. სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მუშაობისას უნდა გვახსოვდეს შემდეგი პრინციპები: სწავლების პროცესში ცენტრალური როლი თვითონ ბავშვს ეკუთვნის. აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს გარემო, სადაც მოხდება ბავშვის ხუთივე გრძნობის ორგანოს ჩართვა. გარემოს გაცნობისას ბავშვს უნდა შეეძლოს ყველაფრის დანახვა, მოსმენა, ხელით შეხება, სუნისა და გემოს შეგრძნება.

აღზრდა-სწავლება სკოლამდელ დაწესებულებაში ჯგუფური მეცადინეობის სახით მიმდინარეობს და მოიცავს თამაშით მეცადინეობებს მეტყველების, კითხვისთვის საჭირო უნარების, მათემატიკური უნარების განვითარების მიზნით, გარემოს გაცნობას, ესთეტიკურ და შემოქმედებით საქმიანობას.

სკოლამდელ დაწესებულებაში ბავშვის განვითარების მთავარი პირობა უფროსისა და ბავშვის თანამშრომლობაზე დაფუძნებული საქმიანობაა, როდესაც აღმზრდელი ითვალისწინებს თითოეული ბავშვის განვითარების თავისებურებებს. თანამშრომლობისას აღმზრდელი რამდენიმე მოდელს იყენებს:

- უყვება ახალ შინაარსებს, უვითარებს ახალ ჩვევებს;
- ბავშვის საქმიანობის მონაწილეა;
- ეხმარება წამოჭრილი სირთულეების დაძლევაში, აძლევს რჩევებს, უსწორებს შეცდომებს.

სკოლამდელ ასაკში მეტად მნიშვნელოვანია ის, თუ რა სწავლების მეთოდებს ვიყენებთ ბავშვის ფიზიკური, შემეცნებითი სამეტყველო და სოციალური სფეროების განვითარებისთვის. „საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, სკოლამდელი განათლების სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ისეთი შინაარსის სწავლებას, რომელიც ხელს შეუწყობს ამ საფეხურისათვის მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ამოცანების გადაჭრას“ (სკოლამდელი განათლების პროგრამა, 2011)

სასწავლო გეგმის ძირითადი ამოცანებია:

- კომუნიკაციური უნარების განვითარება;
- სოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა;
- აღქმის უნარის განვითარება;
- მოტორული, სენსორული კინესთეტიკური სისტემების დახვეწა-განვითარება;
- სააზროვნო მოქმედებების (აღმოჩენა-მოძიება, შედარება, დახარისხება, კატეგორიზაცია, პრობლემების დასმა-გადაჭრა) გამოწვევა;
- მეხსიერების განვითარება;
- წარმოსახვითი და შემოქმედებითი უნარების განვითარება;
- ნებისყოფის გამომუშავება;
- დამოუკიდებლად მოქმედების უნარის ჩამოყალიბება;
- დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება სწავლის, სასკოლო გარემოს მიმართ.

სასწავლო გეგმის ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე, სკოლამდელი განათლების სრულყოფისათვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს დასახული საქმიანობების სტრატეგიული მიმართულებები და ძირითადი ამოცანები.

სტრატეგია 1. პირველ რიგში, ყურადღება უნდა გამახვილდეს ბავშვთა ჰარმონიული განვითარებასა და ცოდნისა და უნარ-ჩვევების ამაღლებაზე, რაც განაპირობებს ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებას, მისი მომზადებას სკოლისა და მომავალი ცხოვრებისათვის. ამისათვის უნდა დაიგეგმოს შემდეგი ამოცანები:

- ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ინტელექტუალურ, ფიზიკურ, სოციალურ და ემოციური მდგომარეობის ფორმირების უზრუნველყოფა;
- მოზარდის ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა;
- ბავშვის მოტორული, სენსორული, ემოციური და ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობა;
- აღზრდელბში კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების პატივისცემის ხელშეწყობა;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ჩართვის უზრუნველყოფა;
- ბავშვებში დემოკრატიული ღირებულებებისა და ტოლერანტობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

სტატეგია 2. სკოლამდელი დაწესებულების პედაგოგთა ცოდნის ამაღლება. სკოლამდელი განათლების საფეხურზე სწავლა-სწავლებისა და ბავშვის განვითარების თავისებურებების ცოდნის ხელშეწყობა.

განსახორციელებელი ამოცანები:

- ტრენინგ-კურსების ორგანიზება;
- კვალიფიციური კადრების მომზადება;

- სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების სისტემის დანერგვა;
- მშობლებისა და მასწავლებლების კოორდინირებული მუშაობა;
- სკოლამდელი განათლების პროგრამების დამუშავება;
- მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვა;
- კონფერენციების მოწყობა, გამოცდილების გაზიარება;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების მომზადება, სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის მოდიფიკაცია და ინდივიდუალური გეგმის შედგენა.

სტრატეგია 3. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფიზიკური გარემოს გაუმჯობესება.

განსახორციელებელი ამოცანები:

- ბარების აღჭურვილობის გაუმჯობესება;
- შენობა-ნაგებობების შეკეთება;
- სანიტარული მოვლა, ჰიგიენური ნორმების დაცვა;
- კომპიუტერიზაცია;
- გარე ტერიტორიების მოწყობა და უსაფრთხოების დაცვა;
- კვების ბლოკების მოწესრიგება.

სახელმწიფომ მიზნად დაისახა ბავშვებზე ზრუნვისა და მათი განვითარების მხარდაჭერა ამ მხარდაჭერის მთავარ მიზანს წარმოადგენს არაფორმალური სკოლამდელი განათლების წახალისება. „1994 წლის ბავშვთა უფლებების დეკლარაციის რატიფიცირებით საქართველომ დაადასტურა, რომ აღიარებს ყოველი ბავშვის უფლებას ჰქონდეს ცხოვრების ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას.“ (ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტრატეგიები, თბ.2010). მიშვნელოვანია სწორი სტრატეგიების შემუშავება იმ ამოცანების გადასწავლად, რაც უზრუნველყოფს ბავშვების შემეცნებითი და ფსიქო-სოციალური განვითარებას, აღზრდის ხარისხის ამაღლებას სკოლამდელ სასწავლო დაწესებულებებში. დასახული მიზანი ითვალისწინებს ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, რაც აქტიური სასწავლო მეთოდოლოგიის დანერგვითა და თანამონაწილეობითი სწავლების უნარ-ჩვევების განვითარებით მიიღწევა. ბავშვის ინტერესებზე დაფუძნებული მიდგომა უზრუნველყოფს განათლების ხარისხსა და მის ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისთვის, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს მათი ფსიქო-სოციალური და შემეცნებითი განვითარებისთვის უსაფრთხო გარემოს, რისთვისაც აუცილებელია ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა, საზოგადოების მობილიზაცია და ახალგაზრდებისთვის გამიზნული მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

ლიტერატურა:

1. იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, IV ტ., თბ., 1990.
2. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მართვის გზამკვლევი, თბ., 2011.
3. სკოლამდელი განათლების პროგრამა, თბ., 2011.
4. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტრატეგიები, თბ., 2010.
5. პერიოდიკა, სამოქალაქო საზოგადოების ბიბლიოთეკა, თბ., 2008.

რეზიუმე

სკოლამდელი განათლების სფეროს განახლება, პედაგოგთა გადამზადება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს განათლების რეფორმის სრულყოფილად განხორციელებას. ჩვენი ნაშრომის მიზანია სკოლამდელი განათლების განვითარების სტრატეგიების განხილვა და შემუშავება რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად. განათლების რეფორმის სრულფასოვანი განხორციელებისათვის საჭიროა განისაზღვროს სკოლამდელი განათლების სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები. ბავშვთა ჰარმონიული განვითარება და ცოდნისა და უნარ-ჩვევების ამაღლება, ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბება, მისი მომზადება სკოლისა და მომავალი ცხოვრებისათვის. სკოლამდელი დაწესებულების პედაგოგთა ცოდნის ამაღლება, სკოლამდელი განათლების საფეხურზე სწავლა-სწავლებისა და ბავშვის განვითარების თავისებურებების ცოდნის ხელშეწყობა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფიზიკური გარემოს გაუმჯობესება წარმოადგენს იმ ძირეულ ამოცანებს, რომელიც საჭიროა სკოლამდელი სექტორის სრულყოფისათვის. მნიშვნელოვანია სწორი სტრატეგიების შემუშავება იმ ამოცანების გადასწავლად, რაც უზრუნველყოფს ბავშვების შემეცნებითი და ფსიქო-სოციალური განვითარებას, აღზრდის ხარისხის ამაღლებას სკოლამდელ სასწავლო დაწესებულებებში.

STRATEGIC DIRECTIONS AND TASKS FOR THE DEVELOPMENT OF A PRE-SCHOOL EDUCATION

Neli Champuridze, Gori State Teaching University, Full Professor

ABSTRACT

The renovation of a pre-school education, training of the teachers will considerably contribute to the full implementation of the education reform. Our thesis aims to review and elaborate the strategies for the development of a pre-school education according to reform requirements. It is necessary to define strategic directions and tasks of a pre-school education for the full implementation of the education reform. Harmonious development of a child and enhancement of knowledge and skills, personal formation of a child and preparation for school and future life, enhancement of knowledge of pre-school teachers, promotion of teaching-learning at a pre-school level and knowledge of children's peculiarities as well as improvement of a physical environment of pre-school establishments are those important tasks which are necessary for the improvement of a pre-school sector. It is also necessary to define what kind of teaching methods we are using for the development of a child's physical, cognitive and social fields.

ФОРМА ПРАКТИЧЕСКОГО ЗАНЯТИЯ НА ТЕМУ «ГУМАНИЗМ РОМАНА Ф. М. ДОСТОЕВСКОГО «ПРЕСТУПЛЕНИЕ И НАКАЗАНИЕ»

Натела Хинчагашвили, Профессор Горийского государственного учебного университета
E-mail: natela.sveta@gmail.com

Елена Хирсели, Докторант Тбилисского государственного университета им. Джавахишвили
E-mail: elene-xirseli@mail.ru

Цель нашей работы – представить форму практического занятия по истории русской литературы в контексте современных требований к их организации в высшей школе.

Как известно, одной из форм обучения и управления познавательной деятельностью студентов, наряду с лекцией, являются практические занятия (семинары, просеминары, лабораторные работы, практикумы), направленные на расширение и детализацию знаний, на выработку и закрепление навыков профессиональной деятельности. Подготовка к практическим занятиям не может ограничиться слушанием лекций, а предполагает предварительную самостоятельную работу студентов в соответствии с методическими разработками по каждой запланированной теме.

Данная статья представляет собой часть пособия «История русской литературы XIX века. Практикум», предназначенного для студентов гуманитарного факультета филологического профиля. Необходимость разработки учебника по истории русской литературы и новой формы практических занятий по истории русской литературы возникла давно и является постоянной темой научно-практических конференций русистов. Злободневна тема и в нашей стране.

При разработке формы ПЗ в группах, где русская литература является неродной, мы учли следующие особенности:

1. *Структуру практических занятий* (вступление преподавателя; ответы на вопросы студентов по неясному материалу; практическая часть как плановая; заключительное слово преподавателя).
2. *Логическую связь ПЗ с информационной частью, преподанной на лекции.*
3. *Самостоятельную работу (тренировочную, реконструктивную, творческую)* – планируемую работу студентов, выполняемую по заданию и при методическом руководстве преподавателя, но без его непосредственного участия.

Особое внимание нами было уделено заранее составленному сочетанию проблемных и информационных вопросов, с помощью которых преподаватель может развивать индивидуальные особенности студента. Конкретно, с помощью тщательно продуманной системы вопросов мы попытались:

- указать на искомую задачу и область поиска в проблемной ситуации;
- отделить известное от неизвестного;
- поставить это неизвестное на структурное место цели познавательной деятельности студентов;
- вовлечь студента в общение, в совместную с преподавателем и группой мыслительную деятельность по нахождению решения познавательной задачи. иже мы приводим

Ниже мы приводим образец плана практического занятия на конкретную тему – «Гуманизм романа Ф.М.Достоевского «Преступление и наказание».

1. Материал к занятию. Мир человеческих страданий - основа основ всего творчества Достоевского. Его восприимчивость к страданиям людей, острая критика общества, глухого к их боли подавляла самого писателя, и тем не менее он не устал рисовать сцены страданий, находя всё новые формы их художественного выражения.

Вопрос: Какова история создания романа «Преступление и наказание»?

2. Материал к занятию. «Преступление и наказание» - роман о преступлении. Однако для читателя нет загадки в том, кто убийца - преступник представлен читателю раньше, чем совершено само преступление. Роман не является криминальным детективом в его классическом варианте: писатель отказывается от интриги поиска, а наказание становится смысловым центром сюжета.

Вопрос: К какому жанру можно отнести роман (роман-исповедь, роман-трагедия, философско-психологический роман...)?

Задание. Обоснуйте свои ответы в письменном виде в рабочей тетради.

3. Материал к занятию. Перечитайте сцену исповеди Мармеладова. Обратите внимание на его слова: «Бедность не порок. Но нищета, милостивый государь, нищета – порок-с?»

Вопросы:

а. Как бы вы ответили на этот вопрос?

б. Связан ли этот эпизод с решимостью Раскольникова пойти на преступление?

4. Материал к занятию. Письмо матери заставило Раскольникова увидеть общее в судьбах своей сестры и Сонечки Мармеладовой.

Вопросы:

а. Какую роль сыграло письмо в дальнейшем ходе событий?

б. Каковы были обстоятельства жизни самого Раскольникова в момент получения им письма?

в. Являются ли перечисленные события толчком к осуществлению преступного замысла Раскольникова?

г. Значит ли это, что любовь к людям и глубокое сочувствие к их горю явилось для героя одним из мотивов преступления?

Задание. Обоснуйте свои ответы в письменном виде в рабочей тетради.

5. Материал к занятию. «Сострадание есть главнейший и, может быть, единственный закон бытия человеческого», - писал Ф.Достоевский. Протест против социальной несправедливости, желание пробудить любовь к ближнему, осознать ответственность за судьбу опустившихся на дно жизни, протест против равнодушия и безразличия к судьбам «маленьких людей» – магистральные темы романа.

Задание.

а. Перечитайте сон Раскольникова, в котором он видит замученную лошадь и плачет от сострадания к ней.

б. Перечитайте 2 и 4 главы части первой (монолог Раскольникова после посещения семьи Мармеладовых; чтение письма матери; встреча с девочкой на бульваре);

в. Вспомните произведения, в которых используется прием включения сна («Евгений Онегин» сон-объяснение событий, «Капитанская дочка» - сон-подсказка у А.С. Пушкина; в «Грозе» А.Н.Островского – отражение психологического состояния, И.А.Гончаров «Обломов», в «Леди Макбет Мценского уезда» Н.С.Лескова- предвестие несчастья).

Вопросы:

б. Для чего Достоевский включил в текст сон Раскольникова о лошади? Какие события разворачиваются во сне? Опишите их.

в. Что испытывает главный герой, видя избиение лошади?

г. Почему именно таков эмоциональный настрой фрагмента текста?

д. К какому выводу при анализе чувств и переживаний героя мы приходим?

ж. Как мог Раскольников плакать от жалости к лошади и убить в то же время человека?

з. Как вы понимаете сочетание желания владычества над миром и уважение и любовь к человеку, сочувствие к нему в Раскольникове?

Задание. Найдите в тексте отрывки, указывающие на две крайности, борющиеся в душе героя: с одной стороны, чуткость, отзывчивость, острая реакция на царящее зло, с другой – холодность и равнодушие, переходящие в жестокость. При ответе используйте цитатный материал из текста.

6. Материал к занятию. Картины изображенной в романе нищеты и безысходного человеческого горя жестоки своей беспощадной правдой, педантично расписана сцена убийства. Современник Ф.М. Достоевского Н.К.Михайловский назвал талант писателя «жестоким», имея ввиду беспощадную искренность писателя в обнажении уродливого и противоестественного в жизни.

Вопросы:

а. Какие чувства у вас вызывает эта правда? Ожесточает ли она вас?

б. Согласны вы с утверждением Н.К.Михайловского?

Задание. Письменно аргументируйте свою точку зрения в рабочей тетради.

7. Материал к занятию. Тема Петербурга традиционна в русской литературе. Этот город воспевали Пушкин, Гоголь, Некрасов, поэты серебряного века. В мире Достоевского место, обстановка, природа неразрывно связаны с героями, составляют единое целое, и Петербург здесь не просто место действия, не просто образ – Петербург – участник преступления Раскольникова. Фон капиталистической столицы предопределяет в романе характер конфликтов и драм, как бы порождает собой преступный замысел Раскольникова и намечает этапы его сложной внутренней борьбы. Социально - бытовой фон романа позволяет сделать нужные наблюдения. Благодаря ему понимаешь, как давит город на человека, душит его в толпе, на улице, в каморках, трактирах. Рождаемый городскими картинками мотив тесноты, толчеи, грязи, чего-то безобразного усиливается описанием внешнего облика людей и окружающей их среды.

Задание.

- а. Перечитайте страницы С.Пушкина, Н.В.Гоголя, Н.А.Некрасова, где описаны картины Петербурга.
- б. Найдите и перечитайте в романе городские пейзажи, внешний облик людей, встречающихся Раскольникову на улице.
- в. Напишите эссе «Роль городского пейзажа в романе Ф.М. Достоевского «Преступление и наказание».

Вопросы:

- а. Какими приемами Достоевский подводит читателя к мысли о том, что «большой город – дьявольское создание цивилизации – имеет на душу человека пагубное влияние?»
- б. В чем вы находите своеобразие Петербурга Достоевского в сравнении?

8. Материал к занятию. Обстановка в «Преступлении и наказании» насыщена контрастами света и тени, у Достоевского в действии принимают участие не только люди, но и стихии: природа и город, вода и земля. Это подчёркивает глухоту страшного человеческого мира к человеческой боли и страданию. Раскольников перед убийством физически задыхается в каменном мешке душного и пыльного города. Мастерски использует автор романа жёлтый фон - великолепное дополнение к драме переживания героев.

Вопросы:

- а. Как описаны каморка Раскольникова, комната Мармеладовых, трактиры и расписные вочные?
- б. Какие краски преобладают в описании этих картин (обратите внимание на символы желтого цвета)? Ответы на вопросы подтвердите цитатами из текста.

9. Материал к занятию. Родион Раскольников утверждает, что взгляды Лужина близки его теории. Свидригайлов, в свою очередь, утверждает, что он с Раскольниковым «одного поля ягоды».

Вопрос: Можно ли, по-вашему, сопоставить Раскольникова с Лужиным и Свидригайловым?

Задание.

1. Перечитайте:
 - а. главу 3 части 1-ой (мнение матери Раскольникова о Лужине);
 - б. главы 2, 3 части IV-ой (свидание Лужина с Дуней);
 - в. главы 1, 3 части V-ой (сцена на поминках Мармеладова, размышления Лужина после разрыва с Дуней);
 - г. главу 2 части IV-ой (Лужин о Свидригайлове);
 - д. главу 1 части IV-ой (встреча Раскольникова со Свидригайловым)
ეკოლოგიური თვალსაზრისით წყალი აბიოტურ ფაქტორთა რიცხვს მიეკუთვნება. ცოცხალი მატერია მთლიანად წყალზეა დამოკიდებული. მეცნიერებაში მიღებულია, რომ სიცოცხლე ზღვაში ჩაისახა და ყველა ორგანიზმის ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური ცხოველქმედება, საბოლოო ჯამში მიმდინარეობს იმ წყალში, რომელიც ორგანიზმში, ქსოვილებსა და ცალკეულ უჯრედებშია. წყალი შედის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, აქტიურ ცხოველთა სხეულში მისი რაოდენობაა 70-90%. (ელიავა, ნახუცრიშვილი, ქაჯაია, 2009)

ძნელია დავასახელოთ ისეთი ნივთიერება, რომელიც ისე ფართოდ გამოიყენებოდა, როგორც წყალი. წყალი ძირითადი სასიცოცხლო საშუალებაა ცოცხალი ბუნებისათვის. არანაკლებია მისი როლი არაცოცხალ ბუნებაშიც. ამასთან, წყალს რესურსების გამოყენება სხვადასხვა დანიშნულებით ხდება. იგი გამოიყენება სასმელად, საყოფაცხოვრებო საქმიანობისათვის, წარმოებაში, სარწყავად, ენერჯის გამოსამუშავებლად, მეთევზეობისათვის, რეკრეაციული მიზნებისათვის, ტრანსპორტირებისათვის. იმისდა მიხედვით, თუ რა დანიშნულებით გამოიყენება წყალი, წყლის ხარისხის მოთხოვნებიც განსხვავებულია. მაგალითად იმ წყლის ობიექტებისთვის, რომელიც სასმელი წყლის წყაროდ ან სარეკრეაციოდ გამოიყენება, წყლის ხარისხის სტანდარტები გაცილებით მკაცრია, ვიდრე სხვა დანარჩენის.

ადამიანის არსებობისთვის უმთავრესად მტკნარ წყალს აქვს მნიშვნელობა. მტკნარი წყლების საერთო მოცულობა დაახლოებით 28,25 მლნ მ³ უდრის, რაც ჰიდროსფეროს მხოლოდ 2% შეადგენს. ქვეყნის ტერიტორიაზე 25 ათასზე მეტი მდინარეა. საქართველოს წყლის რესურსები გამოიყენება სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების და ენერჯეტიკის საჭიროებისათვის. წყლის რესურსების 60 %-მდე გამოიყენება სოფლის მეურნეობაში. (ურუშაძე, ლორია, 2010).

საქართველოს ტერიტორიაზე წყლის რესურსები თანაბრად არ არის განაწილებული: დასავლეთ საქართველოში 1 მ³ -ზე 2-3 ჯერ მეტი ნალექი მოდის, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. ქართლსა და კახეთში დიდი ფართობის სასოფლო-სამეურნეო მიწები ჰიდროტექნიკურ მელიორაციულ ღონისძიებებს მოითხოვს. წყლის სიმცირე განსაკუთრებით იგრძნობა ზაფხულობით მდინარეთა ქვედა უბნებზე. სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირად სასმელი წყალი გამოიყენება იქ, სადაც შეიძლება და აუცილებელია ტექნიკური წყლის გამოყენება. ესაა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩვენ ქრონიკულად განვიცდით სასმელი წყლის უკმარისობას. (ურუშაძე, ლორია, 2010).

იქიდან გამომდინარე, რომ მთელი სიცოცხლე წყალზეა დამოკიდებული, მდინარეების, ტბებისა და ზღვების დაბინძურება გარემოს დაცვის მწვავე პრობლემაა. ერთ-ერთი ყველაზე უფრო სერიოზული დარტყმა, რაც წყლის ხარისხზე აისახება, მჟავა ნალექია. დაბინძურებული წვიმის წყლის pH დაახლოებით 5,6 ანუ სუსტი მჟავაა, რაც ნახშირორჟანგიდან და წყლიდან ნახშირორჟანგს წარმოქმნიდა განპირობებული.

XX საუკუნეში აღინიშნება სასოფლო-სამეურნეო წყლებზე მზარდი მოთხოვნილება. ამ სახის რესურსების გამოყენების ერთ-ერთი ძირითად საშუალებას ჭის წყალი წარმოადგენს. საერთოდ ჭა მიეკუთვნება წყალსადენის პირველ ხელოვნურ ნაგებობას. ჯერ კიდევ 40 საუკუნის წინ ეგვიპტეში, შემდეგ ჩინეთში, ბაბილონში და სხვ. იყენებდნენ არტეზიულ წყლებს. ამ წყლებს ამჟამადც ფართოდ იყენებენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. სამწუხაროდ, ჭების წყლის გამოყენება და მისი დაცვა არაა სათანადოდ ასახული კანონმდებლობაში.

საქართველოს სოფლებში, თითქმის 100%, ან წყაროს წყალს მოიხმარენ, ან ჭის წყალს. მიწისქვეშა წყლებს საქართველოს მინერალურ სიმდიდრეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ეს წყლები სასმელად ვარგისიანია და მყარი წიაღისეულისგან განსხვავებით, მაღალი ხარისხი და დროში განახლებადობა ახასიათებს. მოსაზრება - „ჭის ან წყაროს წყალი სასმელად ვარგისი და უსაფრთხოა“ (<http://www.moe.gov.ge>), ხშირ შემთხვევაში, შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს. სპეციალისტების განმარტებით, მიწისქვეშა წყლები არტეზიული ანუ წნევიანი წყლებისგან განსხვავებით, სუსტად არის დაცული გაბინძურებისგან. მიწისქვეშა წყლის ხარისხის ეკოლოგიური კვლევა აუცილებელია, ვინაიდან, „მიწისქვეშა ჰიდროსფეროს დაბინძურების მასშტაბი, როგორც ლოკალური, ასევე რეგიონული ხასიათის შეიძლება იყოს. უნდა აღინიშნოს, რომ წყლის ხარისხის შემოწმება მეტად საჭირო ეკოლოგიური მნიშვნელობის პროცედურაა.

ვინაიდან სასმელი წყლის ხარისხზე კონტროლი განსაკუთრებულად მკაცრად უნდა იყოს დაცული ზაფხულის სეზონში, სწორედ ამ პერიოდისათვის ჩვენს მიერ განხორციელდა შიდა ქართლში ცენტრალიზირებული სასმელი წყლისა და ჭის წყლის ხარისხის შეფასება. კვლევაში გამოვიყენეთ სხვადასხვა ფიზიკური და ქიმიური პარამეტრები. მათ შორისაა: ორგანოლექტიკური მაჩვენებლები - ტემპერატურა, ფერი, სუნი, გემო, გამჭვირვალობა. ასევე ჩატარდა ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზები. კვლევის შედეგები ასახულია ცხრილებში №1 და №2.

ცხრ. №1 სასმელი წყლის ორგანოლექტიკური და ქიმიური კვლევის შედეგები

სასმელი წყლის სინჯის აღების ადგილი	ორგანოლექტიკური მაჩვენებლები (ბალი, გრადუსი, FAU ფორმაზინი)					ქიმიური მაჩვენებლები მგ/ლ										
	სუნი 2	გემო 2	ფერი 15	ტემპერატურა (11)	სიმღვრივ	pH (7-9)	ქლორ.250	ამონიუმბი	ნიტრიტი	ნიტრატ50	სიხის 7-8	ჟანგბადი	სულფატე	რკინა 0,3	ელექტრო გამტარობა	
გორი №1	0	0	0	11	>30	7,7	6,0	0	0	3,5	5,0	1,2	10	-	210	
გორი №2	0	0	0	11	>30	7,5	7,5	-	0	4,0	5,0	0,96	12	-	214	
კარალეთი	0	0	0	11	>30	7,2	11,5	-	-	-	14	3,78	10	-	220	
სვენეთი	0	0	0	10	>30	6,5	10,4	-	-	-	5,6	1,88	15	-	250	
ტინისხიდი	0	0	0	11	>30	6,5	8,25	-	-	30	6	1,6	20	0,01	210	
მეჯვრისხ.	0	0	0	11	>30	7,0	5,5	-	-	0,5	3,75	1,52	5,0	-	215	
ზერტი	0	0	0	13	>30	7,4	17	-	0	-	8	1,49	10	0,01	620	
ამვი	0	0	0	12	<30	7,9	8,5	-	-	5	7	1,42	15	0,01	610	
კასპი	0	0	0	12	>30	7,5	2,5	0	0	0	6,75	2,4	5	0	215	
აგარა	0	0	0	12	<30	7,5	10	0	0	0	5,2	1,4	5	0	612	
ქარელი	0	0	0	11	<30	7,6	12	0	-	3,0	6,25	1,4	10	0	210	
შერთული	0	0	0	10	<30	8,1	6,5	0	0	4,0	5,0	1,68	10	0,1	212	

ცხრ. №2 მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგები

სინჯის აღების ადგილი	სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები		
	მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები (ნორმატივი არა უმეტეს 20) კოლონიის წარმომქმნელი 1 მლ-ში.	საერთო კოლიფორმული ბაქტერიები (ბაქტერიების რაოდენობა 300 მლ.; ნორმატივი - არ დაიშვება)	E. COLI (ბაქტერიების რაოდენობა 300 მლ.; ნორმატივი - არ დაიშვება)
გორი	5	<3	არ ფიქსირდება
სოფ. შერთული	4	<3	არ ფიქსირდება
მეჯვრისხევი	4	<3	არ ფიქსირდება
ზერტი	14	<3	არ ფიქსირდება
კასპი	0	<3	არ ფიქსირდება
აგარა	5	<3	არ ფიქსირდება
ქარელი	22	<3	არ ფიქსირდება

სასმელ წყალზე ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა 12 წერტილიდან აღებულ სინჯებში შემდეგ მაჩვენებლებზე: ორგანოლექტიკური მაჩვენებლები - სუნი და გემო დადგენილ ნორმატვს (2 ბალი) ექვემდებარება, ასევე ნორმებშია ფერიანობა და ტემპერატურა (15 ბალი, 15° C); სიმღვრივე არის ყველა სინჯში >30 -ზე (ფორმაზინით ან მგ/ლ კოლინიით), ნორმატივი არა უმეტეს 3,5. ქიმიური მაჩვენებლები ნორმატივებთან შესაბამისობით შემდეგია: pH 7-9 ფარგლებშია; ქლორიდები 5,5- 17, ნორმატივი 250 მგ/ლ. აზოტის ფორმები შედეგები - ამონიუმის იონს არ შეიცავს; არ შეიცავს ნიტრიტებს; ნიტრატი 3-დან 30 მგ/ლ -მდეა, ნორმატივი - 50 მგ/ლ. სიხისტის მიხედვით ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აღმოჩნდა გორის სინჯებში, შედარებით მაღალია კარაღეთის წყლის სინჯებში 14, ნორმატივი არის 7-10 მგ-ექვ./ლ. პერმანგანატული ჟანგვადობა აღინიშნება 1,2 – 3,78, ნორმატივი 3,0.მგ02/ლ. სულფატები (SO4²⁻) – 5-20 მგ/ლ, ნორმატივი არა უმეტეს 250 მგ/ლ. რკინა (Fe ჯამური) აღმოჩნდა 0,001, ნორმატივი 0,3 მგ/ლ. ელექტრო გამტარიანობა 210 - 620, ნორმატივი 820.

სასმელი წყლის ეპიდემიური უსაფრთხოება კი განისაზღვრება მიკრობიოლოგიური, მაჩვენებლებით. კვლევის შედეგად არ აღმოჩნდა მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები, (ნორმატივი არა უმეტეს 20). ასევე არ იყო საერთო, კოლიფორმული ბაქტერიები აღებულ სინჯებში.

ამრიგად, სასმელი წყალი განსაზღვრული მაჩვენებლების მიხედვით უვნებელია და აქვს კეთილსასურველი ორგანოლექტიკური თვისებები. ხარისხი აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ სანიტარულ ნორმებს. დადგენილია ქიმიური შემადგენლობა და ბაქტერიოლოგიური დაბინძურების ისეთი ზღვრული კონცენტრაცია, რომელიც უვნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ამასთან, დადგენილია წყლის ისეთი ორგანოლექტიკური პარამეტრები, რომელიც მას სასიამოვნო თვისებებს ანიჭებს.

ლიტერატურა:

1. ა. ი. ვორონცოვი, ნ. ზ. ხარიტონოვა, ბუნების დაცვა, თბ., 1985, გვ. 125
2. ნილ კემპბელი, ჯეიმს რისი, ბიოლოგია, ილია ჭავჭავაძის სახელწიფო უნივერსიტეტი, პირველი ქართული გამოცემა, 2009, გვ. 62
3. ი. ელიავა, გ. ნახუცრიშვილი, გ. ქაჯაია, ეკოლოგიის საფუძვლები, თსუ, 2009.
4. თ. ურუშაძე, ვ. ლორია. ეკოლოგიური სამართალი, თსუ, თბ., 2010, გვ. 149
5. 100 + კითხვა-პასუხი გამოყენებით ეკოლოგიაში, (ავტორთა კოლექტივი, ო. აბდალაძე, მ. აზმაიფარაშვილი და სხვ.), თბ., 2011, გვ. 115
6. რობერტ რიკლეფსი, გარი მილერი, ეკოლოგია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2010, გვ. 90
7. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული (ხუთწლიანი) პროგრამა, 2006 წელი. <http://www.moe.gov.ge>
8. http://www.momxmarebeli.ge/images/file_955911.pdf

რეზიუმე

მწელია დავასახელოთ ისეთი ნივთიერება, რომელიც ისე ფართოდ გამოიყენებოდა, როგორც წყალი. წყალი ძირითადი სასიცოცხლო საშუალებაა ცოცხალი ბუნებისათვის. არანაკლებია მისი როლი არაცოცხალ ბუნებაშიც. წყლის რესურსების გამოყენება სხვადასხვა დანიშნულებით ხდება. იგი გამოიყენება სასმელად, საყოფაცხოვრებო საქმიანობისათვის, წარმოებაში, სარწყავად, ენერჯის გამოსამუშავებლად, მეთევზეობისათვის, რეკრეაციული მიზნებისათვის, ტრანსპორტირებისათვის. იმისდა მიხედვით, თუ რა დანიშნულებით გამოიყენება წყალი, წყლის ხარისხის მოთხოვნებიც განსხვავებულია. მაგალითად, იმ წყლის ობიექტებისთვის, რომელიც სასმელი წყლის წყაროდ ან სარეკრეაციოდ გამოიყენება, წყლის ხარისხის სტანდარტები გაცილებით მკაცრია, ვიდრე სხვა დანარჩენის.

მიწისქვეშა წყლის ხარისხის ეკოლოგიური კვლევა აუცილებელია, ვინაიდან, „მიწისქვეშა ჰიდროსფეროს დაბინძურების მასშტაბი, როგორც ლოკალური, ასევე რეგიონული ხასიათის შეიძლება იყოს. უნდა აღინიშნოს, რომ წყლის ხარისხის შემოწმება მეტად საჭირო ეკოლოგიური მნიშვნელობის პროცედურაა. სამწუხაროდ, ჰების წყლის გამოყენება და მისი დაცვა არაა სათანადოდ ასახული კანონმდებლობაში.

ვინაიდან სასმელი წყლის ხარისხზე კონტროლი განსაკუთრებულად მკაცრად უნდა იყოს დაცული ზაფხულის სეზონში. სწორედ ამ პერიოდისათვის ჩვენს მიერ განხორციელდა შიდა ქართლში ცენტრალიზირებული სასმელი წყლისა და ჰის წყლის ხარისხის შეფასება. კვლევაში გამოვიყენეთ სხვადასხვა ფიზიკური და ქიმიური პარამეტრები. მათ შორისაა: ორგანოლექტიკური მაჩვენებლები - ტემპერატურა, ფერი, სუნი, გემო, გამჭვირვალობა. ასევე ჩატარდა ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზები. სასმელ წყალზე ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა 12 წერტილიდან აღებულ სინჯებში.

სასმელი წყლის ეპიდემიური უსაფრთხოება კი განისაზღვრება მიკრობიოლოგიური, მაჩვენებლებით. კვლევის შედეგად არ აღმოჩნდა მეზოფილური აერობები და ფაკულტატიური ანაერობები (ნორმატივი არა უმეტეს 20). ასევე არ იყო საერთო, კოლიფორმული ბაქტერიები აღებულ სინჯებში.

შესწავლილ ობიექტებზე სასმელი წყალი ქიმიური და მიკრობიოლოგიური შემადგენლობის მიხედვით უვნებელია და აქვს კეთილსასურველი ორგანოლექტიკური თვისებები. ხარისხი აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ სანიტარულ ნორმებს.

DRINKING WATER QUALITY, ITS CHARACTERISTICS AND CONSISTENCE IN SHIDA KARTLI

Maia Azmaiparashvili, Gori State Teaching University, Associate Professor

SUMMARY

It is difficult to name an ingredient, which is widely used as water. Water is a vital way of living nature. Water resources are for various purposes. Water is used for drinking, household activities, industry, irrigation, getting energy, fisheries, for recreation and transportation. Depending on how much water is used for purposes of water quality requirements are different. For example, objects in the water for a drinking water source or for recreation uses, water quality standards are more stringent than others.

Groundwater quality in ecological research is necessary because "The extent of groundwater contamination Hydrosphere, may be both local and regional in nature. It should be noted that the ecological importance of water quality testing procedure are necessary. Unfortunately, the use and protection of water wells are not properly reflected in the legislation.

Since the quality of drinking water should be strictly controlled, especially during the summer season. At this time we have been in Shida Kartli centralized drinking water and well water quality assessment. Various physical and chemical parameters used in the study. They include: organoleptic parameters - temperature, color, odor, taste, transparency. As well as the chemical and microbiological analysis. Laboratory studies were 12 water samples taken from the point.

Epidemic will be determined by the microbiological safety of drinking water, the indicators. The survey did not find Mezophilic aerobes and facultative anaerobes. Also, it was not common, coliformic bacteria samples taken.

To study the chemical and microbiological composition of drinking water facilities, according to a harmless and benevolent organoleptic properties. The quality of provision to meet the technical and sanitary standards.

ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შემცველობა კენკროვან მცენარეებში (შიდა ქართლის პირობებში)

ნელი გოგინაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: ne.goginashvili@gmail.com

ქეთევან გოგინაშვილი, სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, პედაგოგი
E-mail: Keti Goginashvili@gmail.com

ესმა წკრიალაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პედაგოგი
E-mail: tscriala@posta.ge

მცენარეული ორგანიზმების სპეციფიკური თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი გამოიმუშავენ დიდი რაოდენობით სხვადასხვა ქიმიურ შენაერთებს, რომლებიც ცხოველურ ორგანიზმებში არ სინთეზირდებიან. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ რთული შედგენილობისაა და მიეკუთვნებიან სხვადასხვა კლასს, მაგრამ სამკურნალო თვისებები გააჩნიათ მხოლოდ მათ, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ფიზიოლოგიური აქტივობა და მის საფუძველზე გაერთიანებული არიან საერთო სახელწოდებით ფიზიოლოგიურად (ბიოლოგიურად, ფარმაკოლოგიურად) აქტიური ნივთიერებები.

მცენარეთა მიერ სინთეზირებულ და დაგროვილ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს შორის ცნობილია ბუნებრივი შენაერთების შემდეგი კლასები: ნახშირწყლები, ვიტამინები, ალკალოიდები, გლიკოზიდები, ცილები, ფენოლური შენაერთები, ცხიმოვანი ზეთები, ორგანული მჟავები და სხვა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებში. მაგალითად, მცენარეთა ფოტოსინთეზის პროდუქტი - ნახშირწყლები, მცენარისათვის პირველ რიგში ასრულებენ საამშენებლო მასალის როლს, მაგრამ მათი უმეტესობა არის საკვები სხვა ორგანიზმებისათვის, უპირველეს ყოვლისა, ენერჯის წყარო. განსაკუთრებულ ყურადღებას ადამიანის ორგანიზმისათვის იმსახურებს მარტივი შაქრები და მათი პოლიმერები, მაგალითად სახამებელი და ცელულოზა (Y. Слейдо, Т. Персон, 1979).

ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მნიშვნელოვანი ჯგუფია ვიტამინები, რომლებიც ორგანიზმში მცირე ოდენობითაა და ასრულებენ მრავალ მნიშვნელოვან ფუნქციას. ამა თუ იმ ვიტამინის ნაკლებობამ ორგანიზმში შეიძლება გამოიწვიოს უმძიმესი დაავადებები, რომლის ერთ-ერთი მაგალითია ბერი-ბერი. თუმცა, ამ ნივთიერებების ბიოლოგიური მოქმედების მექანიზმი, როგორც აღნიშნავენ უ. სლეიბო და ტ. პეტერსონი (1979), ძლიერ რთულია და ზუსტად არ არის ახსნილი.

დღეისათვის ცნობილია 40-მდე ვიტამინი, საიდანაც დაახლოებით 20 ადამიანის ორგანიზმში ხვდება მცენარეული და ცხოველური საკვებიდან. ვიტამინი A წარმოიქმნება მხოლოდ ცხოველურ ორგანიზმში, მაგრამ ცხოველები მათ სინთეზირებას ახდენენ მცენარეებიდან, რომლებიც შეიცავენ ამ ნივთიერების წინამორბედს. მაგალითად, ასკილი და სტაფილო, რომელთა შემადგენლობაში შედის შეფერილი ნივთიერებები - კაროტინები, ადამიანის ორგანიზმს აწვდის დიდი რაოდენობით პროვიტამინ A-ს. ვიტამინი C (ასკორბინის მჟავა) არეგულირებს რკინის და ზოგიერთი ამინომჟავის მეტაბოლიზმს. საკვებში რკინის საკმაოდ რაოდენობის შემცველობისას, ვიტამინ C-ს ნაკლებობის შემთხვევაში ეს ელემენტი სრულად ვერ შეითვისება და იწვევს მთელ რიგ დაავადებებს (ნ. ალექსიძე, 2005, ლ. ერისთავი, 2005).

ცილები ბიოქიმიურ პროცესებში ასრულებენ ყველაზე მნიშვნელოვან როლს, თუ ნახშირწყლები და ცხიმები უპირველეს ყოვლისა ასრულებენ ორგანიზმში ენერჯის მიმწოდებლის როლს, ცილები შეიძლება განვიხილოთ როგორც თვით ცოცხალი ორგანიზმის საამშენებლო მასალა. ადამიანის ორგანიზმში სულ მცირე 50000-მდე სხვადასხვა ცილას შეიცავს, რომელთა ნაკლებობა იწვევს მრავალ დაავადებას (Y. Слейдо, Т. Персон, 1979).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მცენარეში დაგროვების საკითხის შესწავლა ფრიად აქტუალურია, განსაკუთრებით შიდა ქართლის ბიოცენოზებისათვის, სადაც ამ საკითხებზე არცთუ მრავალი მონაცემია (Т. Кезели, 1966, ნ. გოგინაშვილი, 2009, ქ. გოგინაშვილი, 2010 და სხვ.).

კვლევის მიზანია ზოგიერთი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების შემცველობის დადგენა ხალხურ მედიცინაში ფართოდ გამოყენებულ იმ სამკურნალო მცენარეებში, რომლებიც ნებადართულია მედიცინაში გამოსაყენებლად (სახელმწიფო ფარმაცოპეა, 1998, 2003).

საკვლევ მცენარეთა (იხ. ცხრილი 1, 2) სინჯები ჩვენს მიერ შეგროვილი იქნა შიდა ქართლის ბიოცენოზებში, რომლებშიც საყოველთაოდ მიღებული მეთოდებით განისაზღვრა საერთო შაქრების (ბერტრანით), კაროტინის (მურის), ვიტამინ C-ს (მურის) და ცილების (აზოტზე გადაანგარიშებით) შემცველობა.

საკვლევ მცენარეთა ნედლეულის (ნაყოფების) ქიმიური შედგენილობა და მედიცინაში გამოყენება ლ. ერისთავის (2005) და ვ. პეტკოვას (1988) მიხედვით მოტანილია პირველ ცხრილში, რომელიც მიუთითებს მათ მრავალფეროვან ქიმიურ შედგენილობას და მედიცინაში გამოყენების ფართო მასშტაბებს.

ცხრილი 1

საკვლევი მცენარეების სამკურნალო თვისებები

№	მცენარე	ნედლეული	ქიმიური შედგენილობა	მედიცინაში გამოყენება
1	ასკილი <i>Rosa canina</i> L.	ნაყოფი	ვიტამინი C, E, P, B, K, კაროტინოიდები, ნახშირწყლები, სტეროიდები და მათი ნაწარმები, მთრიმლავი ნივთიერებები, ფლავონოიდები, უმაღლესი ალიფატური ნახშირწყალბადები, უმაღლესი ალიფატური სპირტები, ორგანული მჟავები.	ასკილის პრეპარატები გამოიყენება ჰიპო-და ავიტამინოზისას. ნაღვლის დენის გამაძლიერებელ საშუალებად, ქოლაციტისა და ჰეპატიტის დროს, ჰიპო- და ავიტამინოზისას, მისი ზეთი დამწვრობისა და ჭრილობების შემახორცებლად და ნაღვლისდენის გამაძლიერებელ საშუალებად, ნაყოფისაგან ამზადებენ ექსტრაქტს, სიროფს, გამონაცემს. შედის მრავალ პოლივიტამინურ მრავალ ნაკრებში.
2	მაყვალი <i>Rubus Sp.</i> <i>diversa.</i>	ნაყოფი	ორგანული მჟავები, შაქრები, პექტინები, ლორწოები, ცილები, ანტოცენები და სხვა.	წყლის ექსტრაქტს გააჩნია ჰერპესის ვირუსებისადმი ძლიერი ანტივირუსული თვისებები, აღმგზნები, ანთების საწინააღმდეგო მოქმედება.
3	მარწყვი <i>Fragaria</i> <i>vesca</i> L.	ნაყოფი	ვიტამინი C, B ₁ , B ₂ , B ₆ , P, PP, E, კაროტინოიდები, შაქრები, ორგანული მჟავები, კატექინები, მთრიმლავი ნივთიერებები, კუმარინები, ფლავონოიდები, ანტოცენები, აზოტოვანი შენაერთები, ალკალოიდები, პექტინები, P, Ca, Fe, Co, Mn.	ნაყენს ან გამონაცემს უნიშნავენ ღვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადებების, ავიტამინოზის დროს. აქვს შარდმდენი, თირკმელესა და შარდის ბუშტში ქვების დამშლელი თვისებები. ნედლი ნაყოფი გამოიყენება ანემიის დროს, ჰომეოპათიაში.
4	მოცი <i>Vaccinium</i> <i>myrtillus</i> L.	ნაყოფი	მთრიმლავი ნივთიერებები, ფლავონოიდები, ფენოლიკარბონის მჟავები, საქაროზა, ვიტამინი C, B, PP, კაროტინოიდები, ეთერზეთები, ტრიტერპენოიდები, ანტოცენები.	შემკვრელი საშუალებაა მწვავე და ქრონიკული ფაღარათისას, განსაკუთრებით ბავშვთა პრაქტიკაში. აუმჯობესებს მხედველობას, განსაკუთრებით ღამით. მას ურჩევენ სიბრმავის, კატარაქტის დროს. კაპილარებს უნარჩუნებს ელასტიურობასა და მთლიანობას. ეფექტურია ვენების ვარიკოზული გაგანიერების დროს.
5	ჟოლო <i>Rubus</i>	ნაყოფი	ვიტამინი C, P, B ₁ , B ₂ , კაროტინოიდები, ორგანული	სისხლდენის შემაჩერებელი, სიცხის დამწვევი, მადის მომკვრელი საშუალება, პირღებინების

	idaeus L.		მჟავები, პექტინები, მთრიმლავი ნივთიერებები, ფლავონოიდები, ანტოცენინები.	შემაჩერებელი. ხასიათდება ანტიბაქტერიული თვისებებით.
6	ქაცვი Hippophae rhamnoides L.	ნაყოფი	კაროტინოიდები, ვიტამინი C, E, B1, B2, B6, P, K1. მდიდარია ცხიმოვანი ზეთით. შეიცავს უმაღლეს ცხიმოვან მჟავებს, სტეროიდებს, ფოსფოლიპიდებს, ნახშირწყლებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, კატექინებს, ფლავონოიდებს, ფენილკარბონის მჟავებს. „თესლში“ (კურკაში) საკმაო რაოდენობითაა ცხიმოვანი ზეთი, რომელიც მდიდარია β კაროტინით. შეიცავს აგრეთვე სტეროიდებს, უმაღლეს ალიფატურ ნახშირწყალბადებსა და სპირტებს.	ოფიცინალური პრეპარატია Oleum Hippophae, რომელიც გამოიყენება ძირითადად გარეგან საშუალებად სხივური თერაპიის შედეგად კანისა და ლორწოვანი გარსის დაზიანებისა და საშვილოსნოს ყელის ეროზიის დროს. შინაგანად უნიშნავენ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებებისას, ზემო სასუნთქი გზების ანთებისას. ქაცვის ზეთი ხასიათდება ტკივილდამაყუჩებელი თვისებით ხელს უწყობს ქსოვილების ეპითელიზაციას. ქაცვის წვენი, ექსტრაქტი, გამონაცემი პოლივიტამინური საშუალებაა ჰიპოვიტამინოზის, ნადრევი დაბერების, ათეროსკლეროზისა და ლიპიდური ცვლის დარღვევის თავიდან ასაცილებლად.
7	შავი მოცხარი Ribes nigrum L.	ნაყოფი	ნედლი ნაყოფი ვიტამინ C-ს შემცველობით ერთ-ერთი პირველთაგანია კენკროვნებს შორის. შეიცავს აგრეთვე B1, B2, B6, E, K, P ვიტამინებს, კაროტინოიდებს, ნახშირწყლებს, ორგანულ მჟავებს, ეთერზეთებს, ფლავონოიდებს, ანტოცენინებს, ფენილკარბონის მჟავებს, მინერალურ ელემენტებს: Fe, Cu, Zn, Mo, Co, Na, Mg, Mn, Ca.	ათეროსკლეროზის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, ღვიძლის დაავადებების და სხვადასხვა ინფექციების სამკურნალოდ. აქვს ოფლმდენი, შარდმდენი, ანთების და ფაღარათის საწინააღმდეგო თვისებები. ხმარობენ გარეგან საშუალებად დიათეზის დროს. კარგი საკვები და დიეტური პროდუქტია.
8	წითელი მოცხარი Ribes vulgare Lam.	ნაყოფი	შაქრები, ორგანული მჟავები, ასკორბინის მჟავა, ვიტამინი P, პექტინები, მთრიმლავი ნივთიერებები, მინერალური მარილები.	კარგი ადსორბენტია ნაწლავების ტოქსინებისა. გამოიყენება კოლიტებისა და ენტეროკოლიტების, ათეროსკლეროზის დროს. ახდენს ორგანიზმიდან ქოლესტერინის, შარდმჟავას მარილების გამოდევნას. არის სიცხისდამწვევი და ოფლმომგვრელი საშუალება.
9	შავი კუნელი Grataegus Pentagina Waldst et Kit.	ნაყოფი	ფლავონოიდები, ფენოლური ნაერთებიდან - კატექინები, ვიტამინი C, K, E; ამინომჟავები, მიკროელემენტები, განსაკუთრებით Cu, Mn.	კუნელის ყვავილებიდან და ნაყოფებიდან ამზადებენ ექსტრაქტს, ნაყენს, გამონაცემს, რომლებიც გამოიყენება კარდიოტონულ, სპაზმოლიტურ, ანტიჰიპერტენზიულ ანტიათეროსკლეროზულ საშუალებად. ექსტრაქტი შედის კომპლექსურ პრეპარატ კარდიოვალენში. გამოიყენება ჰიპოტენზიისთვის.
10	წითელი კუნელი	ნაყოფი	ორგანული მჟავები, სტეროიდები, ტრიტერპენოიდები, ვიტამინი C,	ნაყოფების და ყვავილების ექსტრაქტი გამოიყენება გულის მუშაობის

Grataegus Sanguinea Pall.	კაროტინი, მთრიმლავი ნივთიერებები, ფლავონოიდები. ეთერზეთები, ორგანული მჟავები, ქოლინი, მინერალური მარილები. აქვს Se-ის კონცენტრირების უნარი.	ფუნქციონალური დარღვევისას, ჰიპერტონალური დავადებების, ნევროზის, არითმიის, ტაქიკარდიის დროს. მისი ექსტრაქტი შედის პრეპარატ კარდიოვალენის შემადგენლობაში, რომელიც გამოიყენება კარდიოსკლეროზისა და ვეგეტატიური ნევროზის წინააღმდეგ. ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს. შედის პრეპარატ კარდიოვალენის შემადგენლობაში.
---------------------------------	--	--

მცენარეთა ქიმიური ანალიზის შედეგებით (ცხრილი 2) ირკვევა, რომ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა საკვლევ მცენარეებში საკმაოდ დინამიურია. კერძოდ, საერთო შაქრების რაოდენობის ვარიაცია მცენარეთა სახეობების მიხედვით თითქმის ხუთჯერადია, ცილის - ოთხჯერადი, ხოლო კაროტინის და ვიტამინ C-ს შემთხვევაში ეს მაჩვენებელი თითქმის ასჯერადს აღწევს. ასეთი მკვეთრი სხვაობა, ჩვენი აზრით, უნდა აიხსნას მცენარეთა სახეობების გენეზისა და ბიოლოგიური თავისებურებით.

შესწავლილი ნივთიერებებიდან საერთო შაქრების საშუალო შემცველობა შეადგენს 10,1 გ/100გ, კაროტინის - 2,6გ/100გ, ვიტამინ C-ს - 18,8 მგ/100გ, ხოლო ცილის - 1,1 გ/100გ.

ცხრილი 2

ზოგიერთ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შემცველობა
შიდა ქართლში გავრცელებულ კენკროვან მცენარეთა ნაყოფებში

№	მცენარე	საერთო შაქრები გ/100გ	კაროტინი მგ/100გ	ვიტამინი C მგ/100გ	ცილა გ/100გ
1	ასკილი - Rosa canina L.	23,7	3,35	475,8	1,07
2	მაყვალა - Rubus Sp. diversa	5,1	0,20	6,0	2,50
3	მარწყვი - Fragaria vesca L.	9,5	0,20	41,7	1,92
4	მოცვი - Vaccinium myrtillus L.	9,5	0,15	37,2	0,73
5	ჟოლო - Rubus ideaeus L.	10,0	0,32	45,1	0,96
6	ქაცვი - Hippophae rhamnoides L.	6,2	13,25	215,7	0,70
7	შავი მოცხარი - Ribes nigrum L.	8,7	0,25	615,7	0,65
8	წითელი მოცხარი - Ribes vulgare ham.	7,3	0,40	383,4	0,85
9	შავი კუნელი - Grataegus pentagina Waldst et. Kit	10,8	3,44	35,4	0,55
10	წითელი კუნელი - Grataegus Sanguenea pall.	10,0	4,17	26,0	0,64
	M±m	10,1 ± 1,619	2,57 ± 1,292	188,2 ± 56,78	1,06 ± 0,203

საკვლევ მცენარეთა სახეობებიდან ნახშირწყლების ბიოსინთეზის ყველაზე მაღალი უნარით გამოირჩევა ასკილის ნაყოფი (23,7 გ/100გ), კაროტინის - ქაცვის (13,25 მგ/100გ), ვიტამინ C-ს - შავი მოცხარი (615,7 მგ/100გ), ცილის - მაყვალის ნაყოფი (2,50 გ/100გ), რაც შესაბამის საშუალო მაჩვენებელს მცენარეთა სახეობების მიხედვით აღემატება საკმაოდ მაღალი რიცხვით 134,6; 409,6; 31,8 და 135,8%.

როგორც აღვნიშნეთ, შაქრების შემცველობით პირველ ადგილზეა ასკილი (23,7 გ/100გ), შემდეგ შავი და წითელი კუნელი, ჟოლო (შესაბამისად 10,8; 10,0, 10,0 გ/100გ), მარწყვი და მოცვი (9,5; 9,5 გ/100გ). კაროტინის დაგროვების მხრივ მცენარეთა სხვა სახეობებს შორის უდიდესი უპირატესობით გამოირჩევა ქაცვი (13,25 მგ/100გ), შემდეგ - წითელი კუნელი, თუმცა მნიშვნელოვნად დაბალი მაჩვენებლით (4,17 მგ/100გ). ვიტამინ C-ს მაქსიმალური რაოდენობაა შავ მოცხარში (615,7 მგ/100გ). მისი მაღალი შემცველობაა ასკილსა და წითელ მოცხარში (შესაბამისად 475,8 და 383,4 მგ/100გ). რაც შეეხება ცილას, მისი

ბიოსინთეზი აქტიურად მიმდინარეობს მაცვლისა და მარწყვის ნაყოფებში (შესაბამისად 2,50 და 1,92 გ/100გ).

მამასადამე, შიდა ქართლის ბიოცენოზებში გავრცელებული კენკროვანი მცენარეებიდან ნახშირწყლების დაგროვების უნარით პირველ ადგილზეა ასკილი, კაროტინის - ქაცვი, C ვიტამინის - შავი მოცხარი, ცილების - მაცვალი.

ვფიქრობთ, ჩვენი კვლევის შედეგები დაეხმარება მოსახლეობას ნახშირწყლების, ვიტამინების და ცილების დისბალანსის კორექტირებაში, რაც ერთ-ერთი წინადადგმული ნაბიჯი იქნება ჯანმრთელი სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

ლიტერატურა:

1. სახელმწიფო ფარმაცოპეა, ტ. I-II, მეცნიერება, თბ., 1998, 2003.
2. ნ. ალექსიძე, ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები, თსუ, თბ., 2005.
3. ლ. ერისთავი, ფარმაცოგნოზია (სამკურნალო მცენარეები), საქართველოს მაცნე, თბ., 2005.
4. ნ. გოგინაშვილი, კაროტინის დაგროვება ზოგიერთ ბოსტნეულ მცენარეში, სუბიშვილის უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, გორი, 2009.
5. ქ. გოგინაშვილი, ვიტამინების მედიკობიოლოგიური მნიშვნელობა და მათი შემცველობა კენკროვან მცენარეებში. მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე აქტუალური სამეცნიერო საკითხები“, სუბიშვილის უნივერსიტეტი, გორი, საქართველო, 2010.
6. Т.А. Кезели, Витамины в растениях Грузии, Мецниереба, Тб., 1966.
7. У. Слейбо, Т. Персонс, Общая химия Пер. с английского канд. хим. наук Е.Л. Розенберга. М., 1979.
8. Современная фитотерапия. Под редакцией р-да Веселина Петкова, София, Медицина и физкультура, 1988.

რეზიუმე

ჩვენს მიერ შესწავლილი შიდა ქართლში ფართოდ გავრცელებული ოფიცინალური მცენარეები (ნაყოფები): ასკილი, მაცვალი, მარწყვი, მოცვი, ჟოლო, ქაცვი, შავი მოცხარი, წითელი მოცხარი, შავი კუნელი, წითელი კუნელი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობით. კერძოდ, ნახშირწყლების დაგროვების ყველაზე მაღალი უნარით გამოირჩევა ასკილი, კაროტინის - ქაცვი, C ვიტამინის - შავი მოცხარი.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი კვლევის შედეგები დაეხმარება მოსახლეობას განხილული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების დისბალანსის კორექტირებაში.

CONSISTENCE OF BIOLOGICALLY ACTIVE SUBSTANCES IN BERRIES (SHIDA KARTLI CONDITIONS)

Neli Goginashvili, Gori State Teaching University, Full Professor

Ketevan Goginashvili, Sukhishvili Teaching University, Teacher

Esma Tskrialashvili, Gori State Teaching University, Teacher

SUMMARY

The officinal plants widely spread in Shida Kartli, studied by us wild rose, blackberry, strawberry, bilberry, raspberry, sea-buckthorn, blackcurrant, redcurrant, black hawthorn and red hawthorn are sharply different from each other with their consistence of biologically active substances. Particularly wild rose differs from its high ability of accumulation of carbohydrates, sea-buckthorn of carotene, blackcurrant of C- vitamin.

We consider, that the results of our research will help population in correcting the imbalance of biologically active substances.

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა მიღწევები საერთაშორისო სპორტულ არენაზე

ალექსანდრე იაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

„სპორტი გულისხმობს თავისუფალი ან ორგანიზებული სახით ფიზიკური საქმიანობის ყველა ფორმას, რომლის მიზანია ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გაუმჯობესება, სოციალური ურთიერთობების განვითარება ან ყველა დონის შეჯიბრებებზე ურთიერთობების განვითარება ან ყველა დონის შეჯიბრებებზე შედეგების მიღწევა“

ევროპის სპორტის ქარტია

საქართველო სპორტული ქვეყანაა, მას ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს მსოფლიო სპორტულ მოძრაობაში. ეს კანონზომიერი მოვლენაა, რადგანაც სპორტულ ტრადიციებს საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მაშინაც კი, როდესაც საქართველოს თავს ესხმოდა მტერი, ქართველი ხალხი დიდ ყურადღებას უთმობდა ქალიშვილებისა და ვაჟების ფიზიკურ წვრთნას, ხოლო სპორტის ისეთ სახეობებს, როგორცაა ქართული ჭიდაობა, ლელობურთი და ქართული ეროვნული თამაშები, თავისი კულტურა გააჩნდათ ოდითგანვე.

საქართველოში სპორტმა განვითარების მაღალ დონეს მიაღწია გასული საუკუნის 50 წლებიდან დღემდე. სწორედ ამის შედეგია, რომ საქართველოს წარგზავნილებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში საერთაშორისო შეჯიბრებებზე, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე და ოლიმპიურ თამაშებზე არაერთხელ აუქედრებიათ ქართული ჰიმნი და აღუმართავთ ქართული დროშა.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს ფართო საზოგადოებას გავაცნოთ თუ როგორ იწერებოდა და ვითარდებოდა სპორტი გორის უნივერსიტეტში XX საუკუნის 60-იანი წლებიდან 2012 წლამდე.

ამასთანავე წარმოდგენილი მასალები მოგვითხრობს სპორტის რამდენიმე სახეობაში, კერძოდ კი ძიუდოში, თავისუფალ ჭიდაობაში, სამბოსა და კრივში მოპოვებული წარმატებებისა და მათი წვლილის შესახებ ქართული სპორტის განვითარების ისტორიაში.

ქართველი კაცი და ქართული ჭიდაობა ერთად მოდიან შორეული წარსულიდან, რომელსაც სჭირდება ჯანსაღი სხეული, რაინდული შემართება, საკუთარი და მოწინააღმდეგის ღირსების დაფასება.

ჭიდაობა იყო ყველაზე ძველი და ტრადიციული სპორტი ძველ საქართველოში, ჭიდაობას არასდროს დაუკარგავს პეწი და პატივისცემა საუკუნეთა ქროლვაში. თითქოს მიწის ძახილია ქართული ჭიდაობა.

ალავერდის მთავარი ტაძრის შესასვლელის მარცხენა კუთხის ფსკერზე გამოსახულია ქართულ საჭიდაო ჩოხაში გამოწყობილი ორი ფალავნის შერკინება. ეს ფრესკა დათარიღებულია XI საუკუნით. თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართული ჭიდაობა წმინდა ტაძრის კედელზეა მოხატული, მის დიდ პოპულარობასა და აღიარებას ადასტურებს.

ქართული ჭიდაობა მდიდარია ილეთებით და სწორედ გორის უნივერსიტეტის სტუდენტი სპორტსმენების მიღწევები საერთაშორისო არენაზე ეფუძნება ქართული ჭიდაობის სკოლას.

საქართველოს ძიუდოს განვითარების საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობის სტუდენტმა ანზორ ქიბროწაშვილმა, რომელმაც დასაბამი მისცა როგორც გორელ სტუდენტთა, აგრეთვე ქართველი ძიუდოისტების შემდგომ წარმატებებს.

მან პირველად საქართველოს სპორტის ისტორიაში გერმანიის ქალაქ ესენში 1962 წელს მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული ძიუდოში. მანვე 1965 წელს მეორედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა ძიუდოში ქ. მადრიდში.

ანზორ ქიბროწაშვილის მიერ გაკვალებულ გზას ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე გაჰყვნენ დურმიშხან ბერუაშვილი, როინ მაღალთაძე, ნოდარ კაჩმაზაშვილი, ვახტანგ ბორჩაშვილი, შალვა რომელაშვილი, ბორის გოგიჩაიშვილი.

კიდევ ერთხელ გვინდა ცალკე გამოვყოთ ანზორ ქიბროწაშვილის მიერ განვლილი სპორტული ცხოვრების მანძილზე მიღწეული წარმატებები. მას სპორტულ არენაზე მოპოვებული ჰქონდა: ხუთი ოქროს, ექვსი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი.

ცალკე უნდა შევხებით ქართულ ძიუდოს მეორე თაობის წარმომადგენელს შოთა ჩოჩიშვილს, რომელიც 1968 წელს ჩაირიცხა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ

ინსტიტუტში. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალობაზე. იგი ინსტიტუტის სახელით პირველად გამოვიდა თბილისში 1970 წლის თებერვალში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე მიუდომში, სადაც ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, სწორედ აქ იწყება მისი მომავალი ახალი წარმატებების ერა. იგი ჩარიცხეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

1972 წელს მიუნხენის XX ოლიმპიურ თამაშებზე იგი იყო პირველი სპორტსმენი ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ვინც მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მიუდომში. მან თანმიმდევრობით დაამარცხა: იაპონელი სასახარა, ფრანგი ალნერტინი, ამერიკელი ჯეიმს უოლერი, გერმანელი პაულ ბარტი, ფინალურ შეხვედრაში კი ინგლისელი სტარბრუკი. შოთა ჩოჩიშვილის მიერ განვლილი გზა შემდეგნაირად გამოიყურება: მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, XXI ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, ევროპის პირველობების ოთხგზის პრიზიორი 1973 – III; 1974 – III; 1975 – II; 1977 – III. ყოფილი საბჭოთა კავშირის სამგზის პრიზიორი თბილისის საერთაშორისო ტურნირის ოთხგზის გამარჯვებული 1970, 1973, 1975, 1976 წწ. იაპონიისა და ჰოლანდიის 1974 წლის ღია პირველობების გამარჯვებული, იაპონიისა და ბელგიის 1971 წლისა და 1973 წლის გამარჯვებული.

საქართველოს ორგზის აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში 1972 და 1973 წლებში.

გია თენაძე არის უნივერსიტეტისა და საქართველოს მიუდოს მესამე თაობის ღირსეული წარმომადგენელი.

იგი 1979 წელს ჩაირიცხა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალობაზე.

გ. თენაძე ინსტიტუტში სწავლის პერიოდში გახდა XXIV ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი მიუდომში, 1988 წელს მსოფლიო პირველობის პრიზიორია მიუდომში.

მან სამჯერ მოიპოვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული მიუდომში (1976 წ., 1989 წ. და 1990 წ.).

გია თენაძე 1988 წელს გახდა მსოფლიოს სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი მიუდომში.

თემურ ხუბულური გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალობაზე ჩაირიცხა 1972 წელს. იგი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრი მიუდომში. იგი არის ბელგიაში 1974 წელს ჩატარებული მსოფლიოს სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი.

1975 წელს თემურ ხუბულურმა ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ფინეთში ჩატარებულ პირველობაზე ახალგაზრდებს შორის. 1977 წელს კი გერმანიაში ჩატარებული ევროპის პირველობის ჩემპიონია გუნდურ პირველობაში.

თემურ ხუბულური არის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მიუდომში 1979 და 1981 წლებში. მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი. თბილისის საერთაშორისო ტურნირის ორგზის გამარჯვებული 1977 და 1979 წლებში. საქართველოს აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში 1976 წელს. 1979 წელს თემურ ხუბულური დასახელებული იქნა საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად.

საინტერესო გზა განვლო გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალობის სტუდენტმა კობა კურტანიძემ, რომელზეც იგი ჩაირიცხა 1972 წელს.

კობა კურტანიძე იყო ევროპის ორგზის ჩემპიონი მიუდომში 1987 და 1989 წლებში. იგი შვიდჯერ გახდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მიუდომში (1985, 1986, 1987, 1988, 1989, 1990 და 1991 წწ.). 1989 წელს კობა კურტანიძემ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მიუდომში.

გორის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია ჯერჯერობით ერთადერთი მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონის მოკრივეთა შორის გიორგი კანდელაკი.

მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში არის უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალობის კურსდამთავრებული ვლადიმერ მოდოსიანი.

ამავე სპეციალობაზე სწავლობდნენ პეკინის XIX ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ოთარ თუშიშვილი და ევროპის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში დავით პოლოსიანი.

2012 წლის ლონდონის XXX ოლიმპიურ თამაშებზე ვერცხლის მედალი მოიპოვა თავისუფალ ჭიდაობაში ა(ა)იპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბიზნესის სპეციალობის II კურსის სტუდენტმა ლადო ხინჩეგაშვილმა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჩვენი უნივერსიტეტის კედლებში სწავლობს ტურიზმის სპეციალობის II კურსის სტუდენტი, საქართველოს ბადროსმტყორცნელთა ნაკრები გუნდის წევრი სალომე რიგიშვილი.

1960 წლიდან 2012 წლამდე გორის უნივერსიტეტის სტუდენტი - სპორტსმენების მიერ საერთაშორისო არენაზე მოპოვებული შედეგების მონაცემები შემდეგნაირ სურათს გვამღვს: ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებულია ოქროს ერთი მედალი (შოთა ჩოჩიშვილი), ვერცხლის ორი მედალი (თემურ ხუბულური, ლადო ხინჩეგაშვილი), ბრინჯაოს ოთხი მედალი (შ. ჩოჩიშვილი, გ. თენაძე, გ. ვაზაგაშვილი, ო. თუშიშვილი).

მსოფლიოს ჩემპიონატებზე ოქროს მედალი (თემურ ხუბულური - 2; ჯ. მჭედლიშვილი - 2; კ. კურტანიძე - 1; ა. ხანიშვილი - 1; გ. კანდელაკი - 1; ვ. მოდოსიანი - 1).

ევროპის ჩემპიონატებზე ოქროს თორმეტი მედალი

ვერცხლის თორმეტი მედალი

ბრინჯაოს ცხრა მედალი

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ გორის უნივერსიტეტისა და ყოფილი ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის სტუდენტთა მსოფლიო მასშტაბით მოპოვებული წარმატებები დაკავშირებულია დიდი ქართველი მამულიშვილის ბატონ გიორგი ხარაულის სახელთან, რომელიც 35 წლის განმავლობაში სათავეში ედგა აღნიშნულ ინსტიტუტს და ძალ-ღონეს არ იშურებდა სტუდენტური სპორტის დანერგვისა და მაღალ დონეზე განვითარებისათვის.

ბატონ გიორგი ხარაულს მხარში უდგენენ სპორტის დამსახურებული მოღვაწეები ბატონები: ირაკლი ნემსაძე, გივი ხაჩიძე და მოჭიდავეთა მრავალი თაობის აღმზრდელი დამსახურებული მწვრთნელი ბატონი გურამი პაპიტაშვილი.

გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ გორის უნივერსიტეტის დღევანდელი ხელმძღვანელობა და პირადად რექტორი ბატონი გიორგი სოსიაშვილი აქტიურად უჭერს მხარს სტუდენტური სპორტის განვითარების საქმეს.

ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ მისი ინიციატივით უნივერსიტეტში მოეწყო სტუდენტ-სპორტის მიღწევათა მუზეუმი და საქართველოს უნივერსიტეტებს შორის მხოლოდ და მხოლოდ ჩვენთან არის დღეისათვის დაწესებული ღვაწლმოსილ სპორტის მუშაკთა სახელობის წამახალისებელი სტიპენდიები.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უნივერსიტეტის რექტორატის მხარდაჭერით ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები: დავით კარბელაშვილი, პაატა მერებაშვილი, ლადო ხინჩეგაშვილი და სალომე რიგიშვილი კვლავ გააგრძელებენ სახელოვან სპორტულ ტრადიციებს.

ლიტერატურა:

1. ანტიკური ოლიმპიადებიდან დღემდე, თბ., 2006, გვ. 67-123.
2. გურამ მაგანია, ოლიმპიური თამაშები, გამომცემლობა „გლობალ-პრინტი“, თბ., 2003, გვ. 214-237.
3. ოლიმპიზმი საქართველოში, თბ., 1996, გვ. 65-81.
4. ოლიმპიზმი, თბ., 1998, გვ. 145-155.
5. www.msy.gov.ge

რეზიუმე

ნაშრომში წარმოგენილი მასალები მიზნად ისახავს საზოგადოებას გააცნოს სტუდენტთა მიღწევები საერთაშორისო სპორტულ არენაზე და მათი წვლილი საქართველოს სპორტსმენთა საერთო მიღწევებში XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან 2012 წლამდე.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი შესანიშნავი მამულიშვილის გიორგი ხარაულისა და მისი 35 წლიანი რექტორობის პერიოდში სპორტის სფეროში მოღვაწე მაღალკვალიფიციური კადრების ირაკლი ნემსაძის, გივი ხაჩიძის, გურამ პაპიტაშვილის, ნუგზარ სხირელისა და სხვათა ღვაწლს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს გორის უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტური სპორტის დანერგვისა და განვითარების საქმეს.

გორის უნივერსიტეტის სტუდენტთა წარმატებას დასაბამი მისცა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობის სტუდენტმა ანზორ ქიბროწაშვილმა. მან პირველმა მოიპოვა ქართველი სპორტსმენებიდან ევროპის კონტინენტის ჩემპიონის ტიტული ძიუდოში. შემდგომ მის გაკვალულ გზას გაჰყვნენ: დურმიშხან ბერუაშვილი, როინ მაღალთაძე, პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში 1972 წელს შოთა ჩოჩიშვილი, მსოფლიო ჩემპიონები თემურ ხუბულური, კობა კურტანიძე, აკაკი ხანიშვილი, ჯემალ მჭედლიშვილი, ვლადიმერ მოდოსიანი, გია თენაძე, ოთარ თუშიშვილი, პირველი მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონის მოკრივეთა შორის გიორგი კანდელაკი.

დღეისათვის უნივერსიტეტში დამკვიდრებულ შესანიშნავ ტრადიციებს აგრძელებენ დავით კარბელაშვილი, პაატა მერებაშვილი და ლადო ხინჩეგაშვილი. როგორც ყველასათვის ცნობილია ლადო ხინჩეგაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა ლონდონის 2012 წლის XXX ოლიმპიურ თამაშებზე.

STUDENTS ACHIEVEMENTS OF GORI STATE TEACHING UNIVERSITY IN INTERNATIONAL SPORTS ARENA

Alexandre Iashvili, Gori State Teaching University, Full Professor
RESUME

The aim of this article is to introduce to the public student's achievements in international sports arena and their mite in sportsmen international achievements from 60th of XIX century till 2012.

The main attention is conceded to wonderful citizen George Sarauli and highly qualified staff in the sports field Irakli Nemsadze, Givi Khachidze, Guram Papitashvili,, Nugzar Skhireli who in his 35 years of being rector , were founders of sports in Gori University and developed it.

The start of students' success was when Anzor Qibrotsashvili, student of physic-mathematical faculty in N.Baratashvili State pedagogical university won champion medal of European continents in wrestling. Then his way followed: Durmishxan Beruashvili, Roin Maghlakelidze , first Olympian champion in wrestling in 1972 year Shota Chochishvili, World champion Temur Khubuluri, Koba Kurtanidze, Akaki Khanishvili, Jemal Mchedlishvili, Vladimer Modosiani, Gia Temadze, Otar Tushishvili, first World champion in heavy weigh category in boxing George Kandelaki.

Nowadays the wonderful traditions of university are followed by Davit Karbelashvili, Paata Merebashvili and Lado Khinchegashvili. As everybody knows Lado Khinchegashvili won silver medal on 2012 Olympic games in London.

НОВЫЙ СЕЛЕКЦИОННЫЙ СОРТ “ВАГАРШАКИ”

Г. С. САНТРОСЯН, Государственный аграрный университет Армении

Ключевые слова: абрикос, селекция, сорт, описание

Введение

Абрикос является одной из ведущих промышленных плодовых культур Армении.

На протяжении веков абрикос размножался семенами, вследствие чего в районах возделывания наблюдается большое разнообразие сортов и форм, варьирующих по срокам созревания, форме, величине, окраске, вкусовыми и технологическими качествами, химическому составу плодов и некоторыми биологическими особенностями.

На Кавказе, в армянском очаге выращивания культурные сорта абрикоса произошли в результате окультивирования произрастающих в диком виде *Armeniaca vulgaris* Lam. [1]. В данное время в лесах Армении встречаются мелкоплодные, с горькой косточкой абрикосы. В насаждениях старых садов сохранились множество переходных от диких к культурным сортам форм абрикоса типа Хаджи. Почти все они отличаются высокой морозоустойчивостью, мелкими и средними размерами плодов, мучнистой, сильно ароматичной мякотью, с большим количеством грубых волокон, относительно крупной косточкой, составляющей до 20 % веса плода с горьким семенем. Встречаются среди них и ценные крупноплодные формы со сладким ядром.

Помимо семян имеется большое количество местных ценных культурных сортов. В настоящее время эти сорта составляют основу промышленных сортов республики. Некоторые из них, как например, Еревани (Шалах), Хосровени являются одним и из лучших представителей мирового сортамента.

Характерной биологической особенностью преобладающего большин-ства местных сортов, отличающихся их от среднеазатских и европейских, является почти полная самостерильность цветков.

Актуальность

Селекционная работа имеет огромное народнохозяйственное значение. На современ-ном этапе развития плодоводства сорт должен в максимальной степени обладать комплексом хозяйственно ценных признаков, иметь высо-кую экономическую эффективность. Исходя из такой постановки вопроса, необходимо провести работы и в аспекте дополнения и улучшения сортамента абрикоса.

В настоящее время в Армении районировано всего шесть сортов абрикоса. Такое количество районированных сортов недостаточно для выполнения поставленных задач. Наряду с ценными экономическими и товарно-технологическими признаками, эти сорта не лишены недостатков.

Основные задачи селекции абрикоса в Армении следующие:

- Выведение сортов с повышенной морозостойкостью генеративных почек, позднецветущих, самоплодных, устойчивых к болезням. Получение сортов которые обладали бы качеством плодов сорта Еревани, но созреваю—щие на 7-8 дней раньше, или на 10-20 дней позже него.

- Выводимые сорта должны иметь компактную крону, крупные плоды, высокое содержание биологически активных веществ, оранжевую окраску кожицы и мякоти, гармоничное содержание сахара и кислоты. Классическая селекция, даже модернизированная, не отличается особой эффективностью, но зато оказывается единственным путем, гарантирующим скромный, но непрерывный и эффективный прогресс.

Материал и метод

Для осуществления селекционного задания и выведения новых сортов абрикоса, применялись методы межгрупповой гибридизации. Сорт "Вагаршаки" получен путем скрещивания местных сортов Сатени и Воски в 1990 году. Первое плодоношение наступило в 1997 году, включен в элиту 2000 году.

Авторы В.Айрапетян, Г.Сантросян, А.Айрапетян.

Для изучения биолого-хозяйственных особенностей и получения новых сортов использовались "Программа и методика сортоизучения и селекция плодовых, ягодных, орехоплодных культур", разработанная ВНИИС им. И.В.Мичурина (1981).

Ниже приводится агробиологическое описание нового селекционного сорта абрикоса "Вагаршаки".

Результаты исследований

Дерево средней величины, в 12-летнем возрасте имеет высоту 4.0 м, диаметр кроны 4.1 м, окружность штамба 55 см. Крона средней густоты, шаровидная, однолетние ветки толстые, в основном темно-зеленые, на солнечной стороне каштановые, покрыты мелкими чечевичками, междоузлия средние. Генеративные почки мелкие, темно-каштановые.

Листья средней величины (90x70 мм) широкояйцевидные. Пластинка листа средней тол-щины, блестящая, светло-зеленая, с мелко-зубчатыми краями. Черешок светло-зеленый, 50 мм.

Цветки средней величины, чашечка у основания желтовато-зеленая, чашелистики конусообразные, светло-каштановые. Лепестки белые, тычиночные нити бледно-розовые, пестик прямой, длинее тычинок.

Плоды крупные, в среднем масса составляет 54 г, округлые, воронка неглубокая, вершина округлая, брюшной шов малозаметный. Кожица нежная, тонкая, но прочная, слабо опушенная, желтая, от мякоти не отде-ляется. Мякоть слабо-розовая, нежная, сладкая с ощутимой кислотностью.

Косточка хорошо отделяется от мякоти, плоская, средней величины, близок к сорту Сатени.

Свежие плоды содержат 24.5 % сухих веществ, 14 % сахара.

Созревание плодов отмечается в конце июня и в начале первой декады июля.

Особенности сорта: сравнительно морозостойкий, высокоурожайный (с 12-лет-него дерева 110-130 кг). От болезней и вредителей страдает мало. Лучшими опылителями являются Еревани, Сатени. Имеет склонность к самоопылению. Сорт транспортабельный. Плоды по внешнему виду привле-кательные, по качеству десертные. Мякоть средней плотности и со значи-тельным содержанием сухих веществ и сахара.

Выводы

Как сравнительно морозоустойкий и среднеустойчивый к болезням и вредителям, высокоурожайный, крупноплодный, транспортабельный, по качеству десертный, по внешнему виду плодов привлекательный и имеющий склонность к самоопылению сорт "Вагаршаки" рекомендуем для широкого производственного сортоиспытания. В настоящем сорт проходит Государ-ственное сортоиспытание в Араратской долине и предгорной зоне Армении.

ЛИТЕРАТУРА:

1. Ковалев В.Н. Абрикос.М., 'Сельхозиздат', 1963, 288 с.
2. Программа и методика сортоизучения и селекция плодовых, ягодных, орехоплодных культур: Мичуринск, 1981

APRICOT NEW SELECTION VARIETY "VAGARSHAKI"

G.S.Santrosyan, State Agrarian University of Armeni, Yerevan, Republic of Armenia

SUMMARY

The brief pomological of a new aprogot selection variety "Vagarshaki" is stated in the article.

The variety is comparatively cold resistant, lsrge-fruited, transportable, has middle tolerance to diseases and pests, high yielding capacity to self pollination.

ბუნებრივ-ტურისტული რესურსების გაცნობიერება-გამოყენების ზოგიერთი საკითხი (ენგურის აუზის მცინვარები)

ზურაბ ტიელიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: Z.tielidze@gmail.com

ლევან ტიელიძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის ინსტიტუტი

თანამედროვე მსოფლიო გლობალური დათბობის პირობებში მცინვარების მდგომარეობის (ცვლილებების) შესახებ ინფორმაციები მეტად მნიშვნელოვანია და სწორედ ამიტომ აწარმოებენ მათზე დაკვირვებებს (მონიტორინგს). გლაციოლოგები გამოყოფენ მცინვართა სამ ტიპს: **1. საფარული**, რომელსაც მიეკუთვნება ანტარქტიდის, გრენლანდიის, არქტიკის მცინვარები; **2. მთის საფარული**, მიეკუთვნებიან ალიასკის მთების, კანადის არქიპელაგის, კუნძულ შპიცბერგენის, კუნძულ ახალი მიწის მცინვარები. **3. მთის მცინვარები**, რომლებიც განლაგებულია ალპებში, კავკასიონზე, პამირში, ჰიმალაიში, კორდილიერებზე, ანდებში და სხვ.

მცინვარების წარმოშობა და არსებობა დამოკიდებულია ძირითადად ისეთ გეოგრაფიულ ფაქტორებზე, როგორცაა: ჰაერის მასების ზოგადი ცირკულაციური პროცესები, აპლაცია (ყინულის მასის დნობა), მზის რადიაცია, ნალექები, ჰაერის ტემპერატურული რეჟიმი, რელიეფის ჰიფსომეტრული თავისებურებანი - მისი მეზო, მიკრო და მაკრო ფორმები და სხვ.

საქართველო მდებარეობს მთავარი კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე და მცირე (სამხრეთ) კავკასიონის მთიანეთში. ეს ორი მთიანი მასივი ერთმანეთს უერთდება რადიალურად ორიენტირებული სურამის ქედით, რომელიც საქართველოს ორ - აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად ყოფს. კავკასიონის ყველაზე მაღალი და მკაცრი 700 კმ-იანი უბანი საქართველოს ფარგლებშია მოქცეული. მას ქვეყნის ტერიტორიის ერთ მესამედზე მეტი უკავია, ხოლო საშუალო სიმაღლე 3520 მეტრს აღწევს.

საქართველოში მცინვარების ჩამოყალიბება-ფორმირება სწორედ კავკასიონის მთავარი ქედის არსებობაზეა დამოკიდებული, სადაც აბსოლუტური სიმაღლეები, როგორც აღვნიშნეთ, 3500 მეტრს აჭარბებს, რაც კარგ პირობებს ქმნის მცინვარების ჩამოყალიბება-განვითარებისათვის. მაღალმთიანეთში არის ადგილები, სადაც მრავალი წლის მანძილზე წლის ცივ პერიოდში მოსული მყარი (თოვლის) ნალექების დაგროვება ხდება. აღნიშნული მასა გროვდება უპირველესად რელიეფის უარყოფით ფორმებში, რომლებსაც ე. წ. **კარული** ფორმა გააჩნია (ანუ შემოსაზღვრულია მაღალი მთებითა და ფერდობებით). ამ ფორმაში პირველ ეტაპზე თოვლის მასის დაგროვება ხდება ე. წ. **ფირნში**, შემდგომში კი მცინვარულ ყინულში გადასვლა. ანალოგიური ფირნის აუზებიდან ჭარბი ყინულის მასა იწყებს გადაადგილებას რელიეფის დახრილობის მიმართულებით და ასეთ შემთხვევაში წარმოიქმნება **მცინვარი (მცინვარის ენა)**.

მცინვარი წარმოადგენს მოძრავ (ერთი გარკვეული მიმართულებით გადაადგილებად) ყინულის მასას. იგი ორი ნაწილისაგან შედგება, ერთი არის **ფირნის აუზი**, სადაც ხდება მყარი ატმოსფერული ნალექების მუდმივი ან სეზონური დაგროვება ანუ აკუმულირება და მეორე - **ყინულის ენა**, სადაც წლის თბილ პერიოდში ხდება თოვლისა და ყინულის მასის დნობა, რომელსაც **აპლაციას** უწოდებენ. სწორედ ამ ორი პროცესის - აკუმულაციისა და აპლაციის თანაფარდობაზეა დამოკიდებული მცინვარის არსებობა, რასაც გეოგრაფიულ ლიტერატურაში **მცინვარის მასის ბალანსის** სახელითაა ცნობილი.

კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში კლიმატის ცვლილებისა და მცინვარების შესწავლის დინამიკას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. როგორც ცნობილია XX საუკუნეში გამოიკვეთა მსოფლიო მნიშვნელობის კლიმატური პროცესი ე. წ. გლობალური დათბობა, რამაც მაგ., საქართველოში გამოიწვია მცინვართა დამოკლება და დათხელება. ამ საკითხების შესწავლა დაევალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტს, სადაც კვლევებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი კლიმატოლოგი და აგრომეტეოროლოგი აკადემიკოსი თეოფანე დავითაია. გეოგრაფიის ინსტიტუტში მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა დეტალური გლაციოლოგიური, ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური დაკვირვებები. დადგინდა, რომ ნებისმიერი მცინვარი უკან იხევს. თეოფანე დავითაიამ სწავლის პროგრამაში ჩართო მცინვარის ზედაპირის ტემპერატურაზე დაკვირვება. გამოვლინდა, რომ მცინვარის ზედაპირის ტემპერატურა დადებითი იყო, ხოლო მიმდებარე ჰაერისა კი - უარყოფითი. ეს აღმოჩენა მკვლევარმა ახსნა

ადამიანის სამეურნეო საქმიანობით გამოწვეული ატმოსფეროს დაჭუჭყიანებით (ე.ი. ანთროპოგენური დაჭუჭყიანება), რადგან სახეზე იყო ანუ მიმდინარეობდა მცინვარის ზედაპირის ანთროპოგენური მტვერის თხელი ფენით დაფარვა, რის გამოც იზრდებოდა ზედაპირის მიერ მზის სათბური ენერჯის მთანბრების უნარი და შედეგად მცინვარი დნებოდა - იხევდა უკან.

მცინვარები ძირითადად თავმოყრილია კავკასიონის მთავარ ქედზე, განსაკუთრებით მის ცენტრალურ ნაწილში. კავკასიონზე 2200-მდე მცინვარია (ჩრდილოეთ კალთაზე დაახლოებით 70%), რომელთა ფართობი 1430 კმ². ჩრდილოეთი კალთის ძლიერი გამცინვარება განაპირობა ექსპოზიციამ, ოროგრაფიულმა პირობებმა და სამხრეთ კალთიდან ჩრდილოეთ კალთაზე თოვლის გადახვეტამ ქარბუქის დროს. ცენტრალურ და დასავლეთ კავკასიონზე გამცინვარება უფრო მძლავრია, ვიდრე აღმოსავლეთ კავკასიონზე, რაც გამოწვეულია აღმოსავლეთისკენ ჰავის კონტინენტურობის ზრდით.

საქართველოს ტერიტორიაზე მცინვარები ძირითადად გავრცელებულია კავკასიონის ქედზე. ქვეყანაში 786 მცინვარია (გობეჯიშვილი). მათი საერთო ფართობი 556 კმ²-ია, რაც საქართველოს მთელი ტერიტორიის 0.73%-ს შეადგენს. მცინვარები საქართველოს ფარგლებში არათანაბრადაა განაწილებული. მათი უმრავლესობა ოთხი მდინარის: კოდორის, ენგურის, რიონისა და თერგის აუზებშია თავმოყრილი.

საქართველოს მცინვართა უმეტესობა მცირე ზომისაა და მათი ფართობი 1 კმ²-ზე ნაკლებია. ისეთი მცინვარები, რომელთა ფართობიც 10 კმ²-ს აღემატება, ცხრაა. ესენია: ლეხზირი (35,9 კმ²), წანერი (28,7 კმ²), ტვიბერი (24,7 კმ²), ყვითლოდი (12,1 კმ²), ჭალაათი (12,3 კმ²), ხალდე (10,5 კმ²), ადიში (10,2 კმ²) და ქვიში (19,3 კმ²) მდინარე ენგურის აუზში და სუათისი (11,1 კმ²) - მდინარე თერგის სათავეებში.

მცინვარების მდებარეობა ზღვის დონიდან დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ იცვლება. მდ. ბზიფის ხეობაში მცინვარები 2600 მ სიმაღლეზე, მდინარეების: ენგურისა და რიონის ხეობებში მცინვარები კი ზ. დ-დან 2970-2990 მ-ზე მდებარეობენ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა აუზებში მცინვარები 3000-3200 მ-ზეა განლაგებული.

მუდმივი თოვლის საზღვარი, ანუ **ფირნის ხაზი** ზღვის დონიდან, მცინვარების ანალოგიურად, მალდდება დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. დასავლეთ საქართველოში ფირნის ხაზი 2550-2800 მ-ზე გადის, ხოლო აღმოსავლეთით 3200-3600 მ-ზე.

ჯავახეთის ქედის აღმოსავლეთ კალთებზე არის მუდმივი ფირნის მინდვრები, რომლებიც „კლიმატურად გაუმართლებელი მცინვარების“ ტიპს მიეკუთვნებიან, მდებარეობენ მუდმივი თოვლის საზღვარზე ერთი კილომეტრით დაბლა და საზრდოობენ ქარის მიერ ჩამოხვეტილი თოვლით.

კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი მთლიანი გამცინვარებით განირჩევა იმ უბანზე, რომელიც მდინარე ბზიფის სათავეებიდან მამისონის უღელტეხილის მიდამოებამდე აღწევს. ამ უბნის დასავლეთით და აღმოსავლეთით ამ ქედებზე მხოლოდ მცინვართა განცალკევებული ჯგუფები არსებობენ. კავკასიონის ჩრდილოეთ გვერდით ქედსა და ტოტებზე ფართოდ არის წარმოდგენილი მცინვარები და მუდმივი თოვლი, რაც საქართველოს ფარგლებში გამოხატულებას პოვებს ხოხისა და პირიქითის ქედებზე, აგრეთვე ყუროს, შავანის, კიდეგანისა და ხევსურეთის მერიდიანულ ქედებზე. კავკასიონის სამხრეთ გვერდით ქედებზე მნიშვნელოვანი გამცინვარება გამოხატულია სვანეთის ქედზე, სადაც ათობით დიდი თუ პატარა მცინვარია თავმოყრილი. ნაკლები სიდიდის მცინვარები გვხვდება კოდორის, ეგრისისა და ლეჩხუმის ქედებზე, კიდევ უფრო ნაკლები კი ბზიფისა და ჩხალთის ქედებზე. კავკასიონის გამცინვარება **ალპურ ანუ მთიურ ტიპს** მიეკუთვნება. მთის მცინვარები, საუცხოო სილამაზის გამო, მრავალ ტურისტს იზიდავს.

საქართველოში გვხვდება მცინვარების სამი მორფოლოგიური ტიპი: **ხეობური, კარული და დაკიდული**. გამოიყოფა ასევე **ხეობის რთული და მარტივი, კარულ-ხეობური, დაკიდულ-ხეობური და კარულ-დაკიდული ტიპის** მცინვარები. ყველაზე მეტად გვხვდება კარული ტიპის მცინვარები. დაკიდული ტიპის მცინვარები მხოლოდ მცინვარწვერის კალთებზეა ჩამოწოლილი. მაგ., საქართველოს უდიდესი მცინვარი ლეხზირი წარმოადგენს ჯვრისებრი ფორმის ხეობის ტიპის მცინვარს.

ენგურის აუზის მცინვარები.

საქართველოს ცალკეულ მდინარეთა აუზთა შორის, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ყველაზე ვრცელი გამცინვარება ახასიათებს **მდინარე ენგურის** აუზს (289 მცინვარი), რომელიც დასავლეთ კავკასიონზე მდებარეობს. დასავლეთ კავკასიონის ცენტრალური 125 კმ-იანი მონაკვეთი, კოდორის ქედიდან ვიდრე ფასის მთამდე, სვანეთის კავკასიონად იწოდება. მის სამხრეთ კალთებზეა განლაგებული საქართველოს ყველაზე მაღალმთიანი კუთხე - სვანეთი, რომელიც მოიცავს მდინარეების ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებს შუა წელიდან სათავეებამდე. პირველი - ზემო სვანეთი, ადმინისტრაციულად მესტიის რაიონითაა წარმოდგენილი, მეორე - ქვემო სვანეთი - ლენტეხის რაიონით.

სვანეთშია თავმოყრილი კავკასიონის უმთავრესი მწვერვალები და უმსხვილესი მცინვარები,

რომელთა ჯამური ფართი 300 კვ.კმ აღწევს და ყინულოვანი ჯგვზანის სახით გვირგვინით ადგას კავკასიონს. უმნიშვნელოვანესი მწვერვალებია: წურუნგალა (4220 მ), აილამა (4550 მ), შხარა (5068 მ), ჯანდა (5060 მ), გესტოლა (4860 მ), ტიხტინგენი (4620 მ), თეთნულდი (4860 მ), მაზერი (4010 მ), ჩათინი (4370 მ). აქვეა საქვეყნოდ ცნობილი ორთავა უშბას ციცაბო კლდოვანი მასივი (4700 მ). კავკასიონზე სირთულისა და სილამაზის ეტალონი უშბაა, ალპებში - მატერჰორნი (4478 მ). სვანეთის კავკასიონის თხემური ნაწილის საშუალო აბსოლუტური სიმაღლე 4125 მ-ია, მაქსიმალური - 5068 (შხარა), მინიმალური - 3168 (დონღუზორუნის გადასასვლელი). კავკასიონის ამ მონაკვეთზე ოცამდე სხვადასხვა სირთულის უღელტეხილია, რომლებიც ჩრდილოეთით, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადადის. გადასასვლელების სიმაღლე 3160 მ-დან 3860 მ-მდე მერყეობს. ზოგიერთი მათგანი საპალნე ტრანსპორტისთვისაა განკუთვნილი, უმრავლესობა - ქვეითად მოსიარულეთათვის, ზოგი კი მხოლოდ ალპინისტებისათვისაა მისაწვდომი.

კავკასიონის სამხრეთის გვერდით ქედებს შორის უმაღლესია სვანეთის ქედი (უმაღლესი მწვერვალი ლაჰილი, 4010 მ), რომელიც მდინარეების ენგურისა და ცხენისწყლის წყალგამყოფს წარმოადგენს. მისი სიგრძე 120 კმ-ია, საშუალო სიმაღლე 2630 მ.

სვანეთი ტურიზმისა და ალპინიზმის კერაა — აქ გადის მაღალმთიანი ტურისტული მარშრუტები ნაკრის, ბეჩოს, ლეხზირისა და ლატფარის უღელტეხილებზე. ტურისტებს მიიზიდავს ასევე სვანეთის ხუროთმოძღვრებისა და ეთნოგრაფიის ღირსშესანიშნავი ძეგლები - შუა საუკუნეების საკულტო, საერო და თავდაცვითი ნაგებობები. აღსანიშნავია ადიშის, იელის, სვიფის, წვირმის, ჟაბეშის ეკლესიები, მონასტრები, სვანური კოშკები.

ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ უპირველეს ბუნებრივ ფაქტორად უნდა იქნას მიჩნეული ასევე საქართველოს მყინვარები, რომელთა უმეტესობა სწორედ სვანეთშია განლაგებული - მდინარე ენგურის აუზში და მათგან მნიშვნელოვანია:

ადიშის მყინვარი — მყინვარი ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ენგურის აუზში. სიგრძე 7.6 კმ, ფართობი 10,2 კმ². ენის სიმაღლე დაახლოებით 2400 მ-მდე, ხეობის ტიპისაა.

საზრდობს მწვერვალების თეთნულდის, გისტოლის, ადიშის და ლაქუციას სამხრეთ ფერდობებიდან ჩამონადენი მყინვარების ნაკადებით. გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მყინვარი სამ ნაწილად იყოფა: 1. ფირნის ველი (მკვებავი აუზი), რომელიც ზღვის დონიდან 3800 მ-ზე მაღლა მდებარეობს და რომელიც გარშემორტყმულია მაღალი მწვერვალებით, 2. ყინულვარდნილი (1200 მ სიმაღლის ყინულის ჩანჩქერი), 3. მყინვარის ენა, რომელიც თანდათანობით მარაოსებრი ფორმით ეშვება ზღვის დონიდან 2380 მ-მდე. ადიშის მყინვარიდან გამოედინება მდინარე ადიშისჭალა. მისასვლელი გზა — სოფელ ადიშიდან. მყინვარი ერთ-ერთი ყველაზე ულამაზესია მთელს კავკასიაში, მკვეთრად გამოხატული მყინვარული ენითა და მძლავრი და მაღალი ყინულვარდნილით, რომელიც გვერდიდან შეწყვეტილია და განაპირობებს ყინულის ზვავების, ყინულის კონუსების წარმოქმნას. მყინვარის ენა დანაპრალებულია. მყინვარიდან თვალწარმტაც პეიზაჟს ქმნის მარადღამ თოვლიან-ყინულიანი მწვერვალი თეთნულდი განუმეორებელი ხედებით, მყინვარული ფორმებით (მორენები, ოგივები, ჭები, ჭიანჭველას გროვები, მაგიდები და სხვ.). მის საკურორტო მნიშვნელობას ზრდის ის გარემოება, რომ მყინვარამდე შეიძლება ავტოტრანსპორტით მისვლა.



ადიშის მყინვარი



მყინვარი ჭალაათი

მყინვარი ჭალაათი — ხეობური ტიპის მყინვარი სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე მესტიაჭალის (მდ. მულხრის მარჯვენა შენაკადი) სათავეში. სიგრძე 7,2 კმ, ფართობი 12,15 კმ²; მყინვარის ენის სიმაღლე საკმაოდ დაბალია-1850 მ. მყინვარის ზედაპირი არაერთგვაროვანია, აუზში მცირე ზომის ჩანჩქერებია. მყინვარს ზემოდან დაჰყურებს მწვერვალები უშბა (4796 მ) და ჩათინი

(4411 მ). ჭალათი ერთადერთი მყინვარია კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, რომელიც იჭრება ტყის ზონაში, რის გამოც მეტად დიდ ყურადღებას იმსახურებს ტურისტული თვალსაზრისით.

საზრდოობს მწვერვალების ბჟედუხის, ჩათინისა და დალაყორის ნაკადებით. მყინვარიდან გამოდის მდინარე ჭალათი (მესტიაჭალის შენაკადი). მისასვლელი გზა, რომელიც საკმაოდ ახლოს მიდის დაბა მესტიიდან უფრო აძლიერებს მყინვარის ტურისტულ მიმზიდველობას.

შხარას მყინვარი — ხეობის ტიპის მყინვარი სვანეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ენგურის აუზში. სიგრძე 5.0 კმ, ფართობი 6.2 კმ². მყინვარის ენის სიმაღლე 2460 მ. შხარის მყინვარის სათავეში სამი ყინულვარდნილია. ზედაპირი ძლიერ დანაპრალებულია, ქვედა ნაწილი დაფარულია მორენული მასალით. საზრდოობს მწვერვალ შხარის სამხრეთ კალთებიდან ჩამონადენი მყინვარების ნაკადებითა და თოვლის ზვავეებით. მისასვლელი გზა ადის სოფელ ჟაბიანიდან, რაც კიდევ უფრო საყურადღებოს ხდის მის ტურისტულ მნიშვნელობას.

ლესზირი — ხეობის ტიპის მყინვარი სვანეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ენგურის აუზში. სიგრძე 12.2 კმ, ფართობი 33,4 კმ². მყინვარის ენა ეშვება 1950 მ-ზე. შედგება 3 მყინვარისაგან: ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი. მათი შეერთების ადგილიდან ზედაპირი იფარება მორენული მასალით. განვითარებულია მყინვარული ძაბრები, მაგიდები, სოკოები და წისქვილები. მრავლად გაედინება ნადნობი წყლის ნაკადულები, რომლებიც თავს იყრიან აღმოსავლეთი ტოტის შუა მონაკვეთზე მდგარ ორ მოზრდილ ტბაში. საზრდოობს მწვერვალების ბაშილის, სვეტარის, მარიანაჟის, ლაცხის, ჯანთუგანის, ულუყარის, ბჟედუხის და დალაყორის კალთებიდან ჩამონადენი მყინვარული ნაკადებით და ზვავეებით. ლესზირიდან გამოდის მდინარე მესტიაჭალა (მულხრის მარჯვენა შენაკადი).



მყინვარი შხარა



მყინვარი ლესზირი

სერი — კარულ-ხეობური მყინვარი სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე მულხრის (ენგურის მარჯვენა შენაკადი) აუზში, უერთდება ტვიბერის მყინვარს მარჯვენა მხრიდან. სიგრძე 4,9 კმ, ფართობი 5,08 კმ². საზრდოობს მწვერვალების ასმაშისა და ბანგურიანის კალთებიდან ჩამონადენი მყინვართა ნაკადებით. მისასვლელი გზა ადის სოფელ ჟაბეშიდან. გააჩნია ტურისტული გამოყენების კარგი შესაძლებლობა.



მყინვარი სერი



მყინვარი უშბა

უშბის მყინვარი — ხეობის ტიპის მყინვარი სვანეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე. სიგრძე 5.4 კმ, ფართობი 9.5 კმ². მყინვარის ენა ეშვება ზღვის დონიდან 2520 მეტრამდე. მყინვარის ზედაპირი ზემო ნაწილში დანაპრალებულია, ქვემოთ დაფარულია მორენული მასალით. მწვერვალების უშბისა და მაზერის კალთებზე იერთებს ორ მცირე, ხოლო შუაწელში, მარჯვნიდან – უფრო დიდ შენაკადს. საზრდოობს მწვერვალების მაზერის, უშბის, შჩუროვსკისა და შხელდის კალთებიდან ჩამონადენი მყინვარების ნაკადებით და თოვლის ზვავეებით. მყინვარის ბოლოდან გამოდის მდინარე დოლრის (ენგურის მარჯვენა შენაკადი) ერთ-ერთ შემდგენელი, რომელიც 200 მ სიმაღლის ვერძის შუბლებზე ჩანჩქერებს ქმნის.

ყვითლოდი (კითლოდი) — ხეობის ტიპის მყინვარი სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე მულხრის (ენგურის მარჯვენა შენაკადი) სათავეში. სიგრძე 6.8 კმ, ფართობი 11.5 კმ². მყინვარის ენის სიმაღლე 2350 მ. საზრდოობს მწვერვალების ტიბეტენგენის, სემისა და ყვითლოდის უღელტეხილების კალთებიდან ჩამონადენი მყინვარების ნაკადებით. ყვითლოდიდან გამოედინება მდინარე ტვიბერის შენაკადი.

ენგურის აუზის სხვა მყინვარებიდან შეიძლება გამოვეყნოთ კიდევ წანერი (10,7 კმ), ტვიბერი (9,5), ხალდე (7,4), ლაჰილი (5,5), ქვიში (5,1-მისასვლელი გზა სოფ. მაზერიდან), ძინალი - აღსანიშნავია იმით, რომ მყინვარზე ხარობს წითელი წყალმცენარეები (4,3 კმ-მისასვლელი გზა სოფ. ჟაბეშიდან), შდავლერი (3,2 კმ-მისასვლელი გზა სოფ. ტიტინიდან) და სხვ. საქართველოში ამ ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ტურიზმის განვითარებას და არამატერიალური წარმოების ეს დარგი ერთ-ერთ-პრიორიტეტულ დარგადაც კი გამოცხადდა ქვეყნის ეროვნული მეურნეობის დარგებს შორის. ამ ფონზე, მთიანი რეგიონების ტურისტული მიზნების გამოყენებისათვის, დიდი ყურადღება მიექცა გლაციოლოგიური კვლევების გაგრძელებას, რომელიც შეწყვეტილ იქნა 90-იან წლებში. აღნიშნული კვლევების ხელშეწყობისათვის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ბოლო წლებში დაფინანსდა პროექტები, რომლებიც ეხებოდა კავკასიაში კლიმატის ცვლილებას, მყინვარების დინამიკასა და მდინარეულ ჩამონადენს (გობეჯიშვილი რ.). ეს არ იყო შემთხვევითი ღონისძიება, რადგან დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნულ პროცესებს მ. შ. მყინვარების მონიტორინგს - მის ცვლილებებზე და რეჟიმზე დაკვირვებას.

მყინვარების გამოყენება დღეს უკვე არაერთი მიმართულებით შეიძლება. თუ ისინი ახლო წარსულში წარმოდგებოდა როგორც მხოლოდ მტკნარი წყლის დიდი მარაგის შემცველი ბუნებრივი სხეული, რომელიც ასაზრდოებდა მდინარეებს, დღეისათვის მსოფლიოში მყინვარების გამოყენების მრავალმხრივი პროექტები არსებობს და ხორციელდება, მაგალითად, მყინვარების გამოყენება ტურისტულ-რეკრეაციული მიზნებისათვის. მაღალმთიან რეგიონებში უკვე შექმნილია გლაციალური პარკები, რომელთა დანიშნულებაა მყინვარებზე ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა, უსაფრთხოება. მყინვარებზე და მყინვარულ აუზებში ისეთი პანორამული ადგილების შერჩევა, რომელიც განუმეორებელ სილამაზეს შესთავაზებს და დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს ტურისტებს.

მისასაღმებელია, რომ საქართველოში და, კერძოდ, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში, მეცნიერ გლაციოლოგთა და გეოგრაფთა ჯგუფის მიერ (გობეჯიშვილი რ., ტიელიძე ლ., ლომიძე ნ., ჯავახიშვილი ალ. და სხვ.) მუშავდება პროექტები და აქედან გამოდინარე მისასაღმებელია მათ მიერ საკითხის დასმა საქართველოში 4-5 გლაციოლოგიური პარკის შექმნის შესახებ.

საბოლოოდ დავძენთ, რომ მომავალში მსგავსი პარკების შექმნა შეიძლება უფრო ფართო მასშტაბით განხორციელდეს საქართველოს სხვა მაღალმთიან რეგიონებში (რიონის, თერგის, არაგვისა და სხვა მდინარეთა აუზებში). აღნიშნული ღონისძიებების გატარება ხელს შეუწყობს მოკლევადიანი ტურისტულ მარშრუტების შემუშავება-განხორციელებას დღევანდელი საავიაციო ტრანსპორტის განვითარების პირობებში, როდესაც შავი ზღვისპირეთიდან კავკასიონის მყინვარებამდე ტურისტმა შეიძლება მისვლა-მოსვლას დაახლოებით ერთი საათი მონადომოს - დილით ზღვაზე გააკჟდეს, ნაშუადღევს მყინვარებიდან დატკებს პანორამის მხერით და საღამოჟამს კი კვლავ ზღვის აბაზანები მიიღოს. მსურველებს შეეძლება ავტოტრანსპორტიც გამოიყენონ, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთი მყინვარი ავტოტრანსპორტისათვის არცთუ მწვანად მისადგომია. მყინვარებამდე მიღწევა შესაძლებელია ცხენით და, რაღა თქმა უნდა, ფეხითაც.

ნებისმიერ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნას მყინვარების ეკოლოგიური დატვირთვის შესაძლებლობანი, რათა ტურისტებით ზედმეტმა გადატვირთვამ საწინააღმდეგო შედეგი არ მოუტანოს ბუნების მიერ ნაჩუქარ ამ შესანიშნავ ქმნილებას.

ლიტერატურა:

1. მარუაშვილი ლ., საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1964.
2. გობეჯიშვილი რ., კოტლიაკოვი ვ., გლაციოლოგია, თბ., 2006.
3. გობეჯიშვილი რ., ტიელიძე ლ., ლომიძე ნ., ჯავახიშვილი ალ., მყინვარების მონიტორინგი კლიმატის ცვლილებების ფონზე. თბ., 2012.
4. Давитая Ф.Ф. О возможности влияния запыленности атмосферы на уменьшение ледников и потепление климата. Изв. АН СССР, сер. геогр. №2, 1965.
5. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1975. 1977. 1978. 1985 წ.წ.
<http://ka.wikipedia.org/wiki/>

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია მდინარე ენგურის აუზის (სვანეთი) მყინვარების თანამედროვე მდგომარეობა და მათი, როგორც ბუნებრივი რესურსის, როლი და მნიშვნელობა საქართველოში ტურიზმის შემდგომი განვითარების საქმეში.

SOME ISSUES OF USING NATURAL AND TOURISM RESOURCES OF GEORGIA (ENGURI RIVER BASIN GLACIERS)

Zurab Tielidze, Gori State Teaching University, Full Professor

Levan Tielidze, Ivane Javakhishvili Tbilisi state University

RESUME

This work discusses the current condition of the Enguri river basin (Svaneti) glaciers and their role and importance as natural resources in future perspectives for tourism development in Georgia.

ეკონომიკა, ბიზნესი, ეკონომეტრიკა Economics, Business, Econometrics

THE POSITIVE AND NEGATIVE EFFECTS OF REMITTANCES OVER THE NATIONAL ECONOMY (MODERN INTERNATIONAL TENDENCIES AND GEORGIA)

Merab Abdaladze, Professor of Economics The International Black Sea University

E-mail: merabi_me@yahoo.com

Remittances, the international money transfer made by expatriate workers to their home countries, are estimated at around \$ 300 billion a year worldwide. The true size of remittances including unrecorded flows through formal and informal channels, is believed to be even larger. They are an important source of external finance for developing countries. According to the World Bank calculations, remittances sometimes compose no less than 32% - 36% of those countries (like, Tajikistan, Moldova, Tonga etc.) GDP and even outnumbering FDI and official developing assistance for many of them.¹ Contrary to the official aid flows, which represent financial support of poor countries' governments, remittances are person – to – person flows, well targeted to the needs of the recipients, who are typically poor and need such kind of direct support dramatically. For example, in many conflict countries, such as Haiti and Somalia, remittances provide a lifeline to the poor.² To the extent that remittances are used for investment purposes, they may behave procyclically just as other investment flows do. But, as empirical studies show in poor countries (India, Bangladesh, in Sub-Saharan Africa) they are more likely to be countercyclical, but in some cases with increased volatility. In general, however, the volatility of remittances is lower than that of private capital inflows and official aid flows.³

¹ Dilip Ratha and Sanket Mahapatra, 2007, “ Increasing the macroeconomic Impact of Remittances on Development.” The World Bank.

² Global Economic Prospects, 2006.

³ Gupta, Sanjeev, Catherine Pattillo, and Smita Wagh. “Impact of Remittances on Poverty and Financial Development in Sub – Saharan Africa.” Working Paper 07/38. International Monetary Fund. Washington, DC, 2007.

Remittances play their crucial role in the economic life of Georgia. Our country has emerged from the first days of independence in the early 1990th, from the political - economic crisis, the ongoing civil war and the tragic events in Georgia's breakaway regions of Abkhazia and South Osetia, which deteriorated economic conditions of the population and led to a significant part's migration. At present, approximately 20% of the population of Georgia lives permanently in different countries of the world. Unfortunately, this process is going on intensively for the last two decades and is a serious threat for the normal demographic development of our nation. On the other hand, remittances from Georgian emigrants becomes a very important source for foreign exchange reserves of the country, side by side with exported goods and services, as well as attracted FDI. For example money transferred from abroad to Georgia in 2011 amounted to a record high of USD 1.26 billion, up 20.5% from 2010, according to figures released by Georgia's central bank. Money transfers from Russia, which has been the largest source of remittances for Georgia for many years already, stood at USD 655.2 million in 2011. Among other largest sources of remittances for Georgia are: Greece with USD 144.6 million in 2011, followed by Italy - USD 109.1 million; the U.S. - USD 75.5 million; Ukraine - USD 52.4 million; Spain - USD 30.9 million; Turkey - USD 27.6 million; Kazakhstan - USD 26.1 million; the UK - USD 14.6 million; Israel - USD 14.3 million; India - USD 13.2 million and Germany - USD 12.9 million.¹

It is as well one of the most important factor of income growth of our families, for their consumption and poverty reduction. Roughly, 9% of the population of our country is remittance recipient.²

And Georgia is not a unique case. Analysis of household survey data of different states all over the Globe show that remittances have reduced poverty and resulted in better development outcomes in many low-income countries. Remittances may have reduced the share of poor people in the population by 11 percentage points in Uganda, 6 percentage points in Bangladesh and 5 percentage points in Ghana. Studies in El Salvador and Sri Lanka find that the children of remittance recipient households have a lower school drop-out rate. In Mexico, Guatemala, Nicaragua and Sri Lanka children in remittance recipient households have higher birth weights and better health indicators than other households. Remittances are also often used for small business investments, especially in countries with a good investment climate. Cross-country analysis also show significant poverty reduction effects of remittances: a 10 percent increase in per capita official remittances may lead to a 3.5 percent decline in the share of poor people.³

It is important also that some part of received remittances is spent in Georgia for a school or university education of our youth, which increases the productivity of the national economy. Remittances also reduce the inequality of income distribution in our country. The Gini coefficient of Georgia today outnumbers 41%. As soon as remittances increase national (central) bank's foreign exchange reserves they somehow reduce the country's dependence on foreign loans and, therefore facilitate external debt service, they balance current account transactions of the country and support currency exchange rates.

It should be noted that the role of labor migration and remittances on economic development and growth of Georgia is not still well-researched. Particularly the quantitative effects of remittances on national economy. So, it pays special attention to the study of foreign experience. In particular, conducted statistical studies of a number of developing countries showed that each dollar transferred in the country used to increase gross domestic product by 2 to 3 dollars and, perhaps most important is that, the strongest multiplicative effect has those remittances transferred to rural - agricultural regions of developing countries, where the population's expenditure is mostly concentrated on locally produced goods and services. It is important for us because Georgian agriculture is in deep crisis, our country's agricultural potential is not fully exploited. Crisis and unemployment made substantial part of the rural population to migrate to foreign countries, and from there try to assist remaining family members or relatives in their villages. Hence, the importance of remittances to the economic life of the country is much more than an expression of those remittances in just dollar terms.

According to international experience, remittances provide capital to small entrepreneurs, reduce credit constraints and increase entrepreneurship. Remittances from the United States accounted for about one fifth of the capital invested in microenterprises in urban Mexico.⁴ All of those above mentioned aspects of everyday economic life and business climate of the country is really very actual for today's Georgia as well.

But, massive labor migration is accompanied by negative economic effects as well. First of all, this is related to the "Brain Drain," as the most energetic and educated young people leave the country. Because of the imbalance of the national economy and the high investment risk, our labor market lacks many kinds of well-paid jobs, which is an additional incentive for qualified personnel to migrate from Georgia.

When we talk about negative economic effects of massive migration and foreign exchange remittances, we have to mention the so-called "Moral Risk" (Moral Hazard) problem. In particular, studies conducted by the international institutions suggest that such a risk is manifested on both microeconomic and macroeconomic levels. On the micro, i.e. households level, it leads to the following negative effects: 1) money transfer receivers have less incentives to work

¹ <http://www.civil.ge/eng/article.php?id=24457>

² ISSUE in Focus. Third Report. The Role of Remittances in Georgian Economy. Economic Policy Research Center. December 2011.

³ Adams, Richard and John Page. 2005. "Do International Migration and Remittances Reduce Poverty in Developing Countries?" World Development 33. 1645 - 1669. October.

⁴ Woodruff, Christopher, and Zentene, Rene. 2001. "Remittances and Microenterprises in Mexico" UCSD, Graduate School of International Relations and Pacific Studies Working Paper.

hard and take care of their own professional growth, 2) those who are unemployed, less enthusiastically looking for a job, and 3) remittance recipients' expenditure takes less productive character.

On the macro level however, as the international experience indicates, the governments of those countries with massive remittance inflows, create the illusion of the real economic situation of the country. In particular, against the background of increased official international reserves, they don't want to notice the internal imbalance between government expenditures and tax revenues, they usually don't intend to take any initiatives to undertake structural reforms of the national economies which are maybe painful, especially nearby upcoming elections, but necessary for a long-run economic development of their countries. This, in turn, will increase the migration tendencies in the population, mostly among young people, and the state will become even more dependent on the remittances from foreign countries.

It should be noticed as well that the massive inflow of remittances from the rest of the world increases the consumption demand on the market and by stimulating inflation, destabilizes the macroeconomic situation in Georgia. So, the empirical investigation of the influence of international remittances over the national economy in general and in the formation of consumption demand in particular, takes a special importance. So, we (me and my colleagues) are planning to build a consumption function, where, as major determining variables, we are going to involve the followings: disposal income, a total volume of the consumption demand of the previous year, a total volume of migrants' remittances in Georgia, the total volume of industrial production, per capita income in the country as well as our migrants major destination countries' (Russia, Greece etc.) immigration policies using for this reason the method of dummy variables, and the other determinants as well. The importance of involving the major destination countries' emigration policies in our analysis becomes especially acute if we consider that the main destination countries, for various reasons, started to follow not so friendly policies against Georgians and so, the situation sharply deteriorated. Specifically, 1) After Vladimir Putin was elected as a president of the Russian Federation, he started his massive oppression against Georgians living in Russia and driven them out of the country, and 2) International financial crisis launched at the end of 2000th dramatically damaged the Greek economy, sharply increased domestic unemployment, thus made more rigid their emigration policies against foreign workers (including among Georgians as well).

REFERENCES

1. Paul R. Krugman, Maurice Obstfeld "International Economics: Theory & Policy" 8/Ed.
2. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=24457>
3. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/erovnuli_angariSebi_2010.pdf
4. Dilip Ratha and Sanket Mahapatra, 2007, "Increasing the macroeconomic Impact of Remittances on Development." The World Bank.
5. Global Economic Prospects, 2006.
6. Gupta, Sanjeev, Catherine Pattillo, and Smita Wagh. "Impact of Remittances on Poverty and Financial Development in Sub – Saharan Africa." Working Paper 07/38. International Monetary Fund. Washington, DC, 2007.
7. ISSUE in Focus. Third Report. The Role of Remittances in Georgian Economy. Economic Policy Research Center. December 2011.
8. Adams, Richard and John Page. 2005. "Do International Migration and Remittances Reduce Poverty in Developing Countries ?" World Development 33. 1645 – 1669. October.
9. Woodruff, Christopher, and Zentene, Rene. 2001. "Remittances and Microenterprises in Mexico" UCSD, Graduate School of International Relations and Pacific Studies Working Paper.

RESUME

The role of remittances over the national economy is not so straightforward as it seems at first. They positively influence economies as countercyclical sources of external finance, contrary to FDIs and official development assistance, which usually are procyclicall and so more volatile, and are better targeted to the needs of the poor, as soon as they represent person –to- person flows. Remittances provide capital to small entrepreneurs, reduce credit constraints and increase official international reserves. But, massive labor migration is accompanied by negative economic effects as well, like: "Brain Drain", "Moral Hazard", when remittance receivers have less incentives to work hard and the governments of massive remittance inflow countries create an illusion of the real economic situation and don't intend to take necessary initiatives to undertake painful structural reforms of their national economies.

საქართველოს ვაჭრობა ექსპორტის ზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული

დავით ბიძინაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail:davitbidz@gmail.com

საქართველოს ვაჭრობა ექსპორტის ზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რაც სიღარიბის დაძლევის, წარმოების განვითარების, სპეციალიზაციისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების და, შედეგად, ეკონომიკური ზრდის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

რა დინამიკით იცვლება საქართველოს ექსპორტ-იმპორტი? საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ-მა სამსახურმა (საქსტატი) მორიგი კვლევა დაასრულა და მონაცემები გამოაქვეყნა.

სტატისტიკის ახალი მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოს ნომერ პირველ გასაღების ბაზარზე ექსპორტი ერთ წელიწადში 83 პროცენტით გაიზარდა - 2012 წლის ნახევრის სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს ნომერ პირველი საექსპორტო ბაზარი აზერბაიჯანია, სადაც წელს 283,227 მლნ დოლარის პროდუქციის ექსპორტი მოხდა. გასულ წელს ამ ციფრმა 154,474 მლნ დოლარი შეადგინა. მსუბუქი ავტომობილების გარდა, ასევე გაზრდილია სატვირთო ავტომობილების რეექსპორტიც - 6,192 მლნ დოლარიდან 14,978 მლნ დოლარამდე. (<http://geostat.ge>)

2012 წლის იანვარ-ივნისში გაზრდილია სამივე მაჩვენებელი წინა წლების შესაბამისი პერიოდების მიმართ. 2012 წლის იანვარ-ივნისში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 1367 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 32 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 199 მლნ. აშშ დოლარი იყო (15 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი - 1169 მლნ. აშშ დოლარი (36 პროცენტით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 28 პროცენტი შეადგინა, მათ შორის, ექსპორტში 17 პროცენტი და იმპორტში 31 პროცენტი. (2011 წლის იანვარ-ივნისში - შესაბამისად, 25, 17 და 28 პროცენტი). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის სავაჭრო დეფიციტის 38 პროცენტი (2011 წლის იანვარ-ივნისში - 33 პროცენტი). დსთ-ს ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2012 წლის იანვარ-ივნისში 1488 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (2011 წლის იანვარ-ივნისთან შედარებით 5 პროცენტით მეტი). აქედან, ექსპორტმა - 560 მლნ. აშშ დოლარს (12 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტმა 928 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია (1 პროცენტით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ს ქვეყნების წილი 31 პროცენტი იყო, მათ შორის, ექსპორტში 49 პროცენტი და იმპორტში 25 პროცენტი. (2011 წელს - შესაბამისად 34, 48 და 29 პროცენტი).

დსთ-ს ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 14 პროცენტი (2011 წლის იანვარ-ივნისში - 20 პროცენტი). 2012 წლის იანვარ-ივნისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აღნიშნულ ქვეყნებთან უარყოფითი სავაჭრო სალდო 11 პროცენტით შემცირდა.

2012 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია: თურქეთი (741 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (606 მლნ. აშშ დოლარი) და უკრაინა (341 მლნ. აშშ დოლარი).

საქართველოს ნომერ პირველი საექსპორტო პროდუქტი კი მიმდინარე წლის იანვარ-ივნისის სტატისტიკითაც მსუბუქი ავტომობილებია. წელს პირველ ნახევარში ქვეყნიდან 260,914 მლნ დოლარის ავტომობილების ექსპორტი მოხდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 6 პროცენტით მეტია. ამ პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში წელს 22,9 პროცენტი იყო.

ასევე თითქმის გაორმაგებულია ავტომობილების ექსპორტი თურქეთში - შარშანდელი 2,384 მლნ დოლარიდან წლევეანდელ 4,128 მლნ დოლარამდე.

ფეროშენადნობების ექსპორტი უდრიდა 120 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო მისი წილი მთლიან ექსპორტში - 11 პროცენტს. მესამე ადგილზე აზოტოვანი სასუქების ჯგუფი დაფიქსირდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 66 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 6 პროცენტი შეადგინა.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2012 წლის იანვარ-ივნისში კვლავ ნავთობი და ნავთობპროდუქტები რჩება, რომლის იმპორტმა 437 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 12 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილზე იმყოფება მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი 331 მლნ. აშშ დოლარით, რაც იმპორტის 9 პროცენტია. მესამე ადგილზე ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადების ჯგუფი დარჩა 146 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 4 პროცენტი).

საქართველოდან უკრაინაში ექსპორტი 37,7 პროცენტით გაიზარდა და იმპორტი 29,2 პროცენტით შემცირდა - ექსპორტის მოცულობამ 83,243 მლნ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტმა - 257,754 მლნ დოლარი. ექსპორტის ზრდა ძირითადად სპირტიანი და მინერალური სასმელების ექსპორტის ზრდამ და, ასევე რკინიგზის ლოკომოტივების ექსპორტის დაწყებამ განაპირობა.

სპირტიანი სასმელების ექსპორტი ერთ წელიწადში 12,837 მლნ დოლარიდან 17,717 მლნ დოლარამდე გაიზარდა, მინერალური სასმელების - 12,827 მლნ დოლარიდან 17,139 მლნ დოლარამდე. წელს 6 თვეში უკრაინაში 10,515 მლნ დოლარის რკინიგზის ლოკომოტივების ექსპორტი მოხდა, ხოლო შარშან, ამავე პერიოდში, ეს პროდუქცია ექსპორტში საერთოდ არ ფიგურირებდა. ღვინის ექსპორტი ერთ წელიწადში მცირედით - 10,428 მლნ დოლარიდან 11,932 მლნ დოლარამდე გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად ფართოვდება საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული არეალი. გასულ წელს საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და 147 ქვეყანა შეადგინა. საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება, ვაჭრობის დივერსიფიცირება და, რაც შეიძლება, მეტ უცხოურ ბაზარზე გასვლა. საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის, 2003 წლიდან მოყოლებული, გამოირჩევა თურქეთი, რომელთანაც სავაჭრო ბრუნვა სტაბილურად მაღალია. 2007 წლამდე საქართველოსთან ვაჭრობაში წამყვანი ადგილი რუსეთს ეკავა, რომლის ბაზარზეც იყო ორიენტირებული საქართველოს პროდუქციის უდიდესი ნაწილი. საინტერესოა რუსეთ-საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები - იმ დროს, როდესაც პოლიტიკური ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის გაუარესდა, სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები არ შეწყვეტილა და დღემდე რუსეთი საქართველოს 10 უმსხვილეს პარტნიორს შორისაა. დღესაც რუსეთი სავაჭრო ბრუნვის მოცულობით უსწრებს ათეულიდან ბულგარეთს, სომხეთსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ იანვარ-თებერვალში ევროკავშირის ქვეყნებთან 384 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 30%-ით მეტია.

საქსტატის ინფორმაციით, ევროკავშირთან ვაჭრობის მთლიანი მოცულობიდან ექსპორტი 68 მლნ აშშ დოლარი იყო, ხოლო იმპორტი - 316 მლნ აშშ დოლარი. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 29% შეადგინა. (<http://economy.ge>)

წინა წლების ციფრებს რომ დახედოთ, თუნდაც ინვესტიციების კუთხით, ნახავთ, ჩვენ არ ვართ დამოკიდებული ერთ ბაზარზე და ეს ძალზე მნიშვნელოვანია. კარგად არის გადანაწილებული, საიდან უნდა შემოვიდეს ინვესტიციები. სავარაუდოდ, წელს ევროპიდან შემოსული ინვესტიციების რაოდენობა შემცირდება და აზიის მიმართულებიდან გაიზრდება. სწორედ ამ მხრიდან იზრდება ინტერესი ჩვენი ქვეყნისადმი. დიდი სამუშაოები ჩატარდა როგორც ინდოეთში, ასევე აზიის სხვა ქვეყნებში იმისთვის, რომ პირველ ეტაპზე საქართველო გაეცნოთ. დღეს უკვე ვხედავთ, რომ პირადი ინტერესითა და ინიციატივით ჩამოდიან, ადგილზე ეცნობიან გარემოს და ქართველ ბიზნესმენებს. ეს გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ წელს აზიის ინვესტიციები გაიზრდება. რა თქმა უნდა, ეს ასევე განისაზღვრება იმ ეკონომიკური მდგომარეობით, რომელიც დღეს არსებობს აზიასა და ევროპაში და, იმედია, პრეზიდენტ ობამას განცხადების შემდეგ, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე არამხოლოდ აზიიდან დავინახავთ ინვესტიციას, არამედ ზოგადად მეტ ინვესტიციას დავინახავთ, რადგან ეს არის მესიჯი მთელი მსოფლიოს ინვესტორებისთვის - საქართველოს შეხედონ, როგორც მდგრად ადგილს თავისი ინვესტიციებისთვის. (<http://mof.ge>)

საქართველოს გეგმა და სტრატეგია არის, გავხდეთ კავკასიის რეგიონის ეკონომიკური, სავაჭრო ცენტრი. ამერიკასთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ერთ-ერთი ის ბიძგია, რომელიც ამ საშუალებას გვაძლევს. დღეს თუ სატრანზიტო ციფრებს გადავხედავთ და ნახავთ, რა რაოდენობით ტვირთი გადის საქართველოს რკინიგზის ან სხვა სატვირთო გზებით, ნათელი გახდება, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველო რეგიონისთვის და ეს ისედაც ყოველთვის ასე იყო. ეს ხელშეკრულება წარმოების გაზრდის საშუალებას მოგვცემს... მაგალითისთვის მოვიყვან თურქეთში ტანსაცმლის მწარმოებელ ფაბრიკას - ჩვენთან ჯერ კიდევ დაბალია ელექტროენერჯის, გაზის და ხელფასის ხარჯები, ვიდრე თურქეთში. როდესაც ჩვენი პროდუქციის ამერიკაში გატანის საშუალება მოგვეცემა, საქართველოში ფაბრიკის გახსნის ბევრად მეტი ინტერესი იქნება და კომპანიებისთვის საქართველო საინტერესო გახდება. გარდა ამისა, პასუხი გაცემა ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კითხვას, რომელიც ყოველთვის ისმება - ვისთან, რომელ ქვეყანასთან გვაქვს თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები?!

- ქართული კომპანიები რის შეთავაზებას აპირებენ, რას გაიტანენ ამერიკულ ბაზარზე?

- რა თქმა უნდა, ამას დრო დასჭირდება, მაგრამ ამ დროის განმავლობაში აუცილებელია გაიზარდოს საექსპორტო პროდუქციის სია. დღეს ეს სია გარკვეულწილად შეზღუდულია. საზღვარგარეთ გადის სოფლის მეურნეობის პროდუქტი, ღვინო, მინერალური წყლები, აქ წარმოებული სხვა პროდუქცია, მაგრამ მაინც ძალიან შეზღუდულია. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე გვაქვს მცირე რაოდენობის გადამამუშავებელი საწარმოები. ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქცია ეკოლოგიურად სუფთაა და, რომ გადამამუშავდეს, უზარმაზარი ბაზარი დახვდება ამერიკაში.

რაც შეეხება იმას, შემოვა თუ არა დაგეგმილი ინვესტიცია საქართველოში, ამის პროგნოზი რთული არაა. თავად ეს ციფრი ნამდვილად არ არის ფანტასტიკური და შესრულებადიცაა. მაგრამ, ამისათვის უნდა მოხდეს შიდა და გარე ფაქტორების თანხვედრა. ამასთან, საჭიროა, შესაბამისი ბიზნესგარემოს შექმნა და ფორსმაჟორის გამორიცხვაც. ასევე უნდა მოხდეს ინვესტიციების დარწმუნება იმაში, თუ რატომ უნდა შემოვიდნენ ისინი ჩვენთან მაშინ, როდესაც მსოფლიოში ინვესტიციების ნაკლებობაა. მოკლედ, იმისათვის, რომ შესრულდეს გეგმა, ბევრი მუშაობა საჭირო.

საქართველოს საუკეთესო შესაძლებლობები და პოტენციალი გააჩნია, რომელთა გამოყენება ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. საჭიროა ლონისძიებების განხორციელებით და ევროკავშირის მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილების შედეგად, საქართველო ნამდვილად შეძლებს, ევროპის დიდ ბაზარზე კონკურენტუნარიანი იყოს.

ჩვენი აზრით, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების შემდეგ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა უნდა იყოს მდგრადი, ყოვლისმომცველი, ინკლუზიური. ეს გულისხმობს იმას, რომ სამუშაო ადგილები უნდა შეიქმნას და უნდა მოხდეს სიღარიბის და უმუშევრობის შემცირება. საზოგადოების თანაბარუფლებიანობის მდგომარეობა უნდა იყოს გამოსწორებული. ამით, იმის თქმა გვინდა, რომ ღარიბებზე განსაკუთრებით არ უნდა იმოქმედოს კრიზისმა. მომავალში ყველამ უნდა იხიროს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით. რაც შეეხება კორუფციას, საქართველოში მდგომარეობა განსაკუთრებით გამოსწორებულია. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველომ გაუსწრო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოზიციას ამ კუთხით.

ამავე დროს, გრძელვადიან პერიოდში საქართველოს მთავრობა (და არა მარტო საქართველოს) უნდა ეცადოს, შექმნას სამუშაო ადგილები შეამციროს სიღარიბე შემდეგი გზით: შექმნან სოციალური დაცვის სისტემები, გაზარდონ კერძო სექტორის როლი; მოახდინონ ეკონომიკის დივერსიფიცირება, ნაკლები აქცენტი გაკეთდეს ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე, გააუმჯობესონ ბიზნესგარემო გამჭვირვალობის, მმართველობის და ინსტიტუციონალიზაციის კუთხით; ინფლაცია და უმუშევრობა - მთავარი გამოწვევა უნდა გახდეს.

ლიტერატურა:

1. <http://economy.ge>
2. <http://geostat.ge>
3. <http://mof.ge>

რეზიუმე

საქართველოს ვაჭრობა ექსპორტის ზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რაც სიღარიბის დაძლევის, წარმოების განვითარების, სპეციალიზაციისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების და ამის შედეგად ეკონომიკური ზრდის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

რა დინამიკით იცვლება საქართველოს ექსპორტ-იმპორტი? საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) მორიგი კვლევა დაასრულა და გამოაქვეყნა მონაცემები.

სტატისტიკის ახალი მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოს ნომერ პირველ გასაღების ბაზარზე ექსპორტი ერთ წელიწადში 83 პროცენტით გაიზარდა - 2012 წლის ნახევრის სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს ნომერ პირველი საექსპორტო ბაზარი აზერბაიჯანია, სადაც წელს 283,227 მლნ დოლარის პროდუქციის ექსპორტი მოხდა. გასულ წელს ამ ციფრმა 154,474 მლნ დოლარი შეადგინა. მსუბუქი ავტომობილების გარდა, ასევე გაზრდილია სატვირთო ავტომობილების რეექსპორტიც - 6,192 მლნ დოლარიდან 14,978 მლნ დოლარამდე.

საქართველოს საუკეთესო შესაძლებლობები და პოტენციალი გააჩნია, რომელთა გამოყენება ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. საჭიროა ლონისძიებების განხორციელებით და ევროკავშირის მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილების შედეგად, საქართველო ნამდვილად შეძლებს ევროპის დიდ ბაზარზე კონკურენტუნარიანი იყოს.

GROWTH OF EXPORT TRADE SHOULD BE ORIENTED
Davit Bidzinashvili, Gori State Teaching University, Full Professor
SUMMARY

Growth of export trade should be oriented to poverty reduction, development, production, specialization and competitiveness improvement and, as a result, economic growth is the best way.

The changing dynamics of the Export - Import? National Statistics Office (London), another survey was completed and published.

According to the new data statistics, the number one export market with sales of 83 percent a year - half of 2012, according to statistics, the number one export market in Azerbaijan, where production was 283.227 million were exported. Last year, these figures amounted to 154.474 million dollars. In addition to cars, trucks and re-exports increased as well - from \$ 14,978 million to \$ 6.192 million.

It should be noted that every year, expanding the geographic scope of foreign trade. Last year, the number of trading partner countries and reached a historical maximum of 147 countries. It is very important for saeks - Porto potential best in class, and as many foreign markets for trade diversification.

The best of the opportunities and potential for the use of the country's successful economic development is essential. Necessary measures to meet EU requirements and as a result, Georgia will be able to be competitive in the big market.

**საქართველოს ბაზარზე ბრენდებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულების
მარკეტინგული კვლევა**

ნუგზარ თოდუა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
სრული პროფესორი
E-mail: nuzartodua@yahoo.com

მსოფლიო ბაზარზე მომუშავე კომპანიები წარმატებებს აღწევენ ბიზნესის ახალი სტანდარტების მეშვეობით. ცივილიზებულ სტანდარტებთან მიახლოების ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა ეფექტიანი ბრენდების გამოყენება (მილერი, 1993). თანამედროვე ბრენდინგის ძირითადი პრინციპი ეფუძნება მტკიცებულებას, რომ ძლიერი ბრენდი არის არა მხოლოდ ის, რომელსაც ქმნის ფირმა, არამედ ის, რომლითაც იგი არსებობს. სწორედ ეს მოსაზრება განაპირობებს მომხმარებელთა ლოიალურობას ბრენდებისადმი (კატონი, კლიანი, 2004). ამიტომ მარკეტოლოგები ბევრს ზრუნავენ ბრენდის სიმლიერეზე, რისთვისაც ისინი სხვადასხვა სტრატეგიას იყენებენ (ტემპორალი, 2003). ამავედროულად, ბრენდი დინამიური ფენომენია და მუდმივად ცვალებად გარემოში ფუნქციონირებს (აკერი, 1991). შესაბამისად, აუცილებელია იმის შესწავლა, თუ როგორია ბრენდი მომხმარებლის აღქმაში, რა უპირატესობებით ხასიათდება იგი (გერმანი, 2004). ბრენდი კონკურენტებისაგან დიფერენცირების ერთადერთი წყაროა, რასაც ადასტურებს შემდეგი ფაქტები: მომხმარებელთა 72% შერჩეულ ბრენდზე იხდის 20%-ით მეტს, ხოლო 40% - დაახლოებით 30%-ს. ასევე, მომხმარებელთა 70% ყიდვაზე გადაწყვეტილებას იღებს ბრენდის შესახებ წარმოდგენის საფუძველზე (ბოიეტი, 2004). სამწუხაროდ, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ მწირია ბრენდებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულების გამოკვლევები. აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომში შევისწავლეთ ბრენდებისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულების საკითხი, რისთვისაც ჩავატარეთ მარკეტინგული კვლევა.

მარკეტინგული კვლევის მიზნობრივ სეგმენტს წარმოადგენდა 20-24 წლის ახალგაზრდები, რომლებიც შემთხვევითი შერჩევის პრინციპით იყო შერჩეული. კვლევის მეთოდს წარმოადგენდა გამოკითხვა, კერძოდ, პერსონალური ინტერვიუს და ინტერნეტის მეშვეობით გამოკითხვა, რომლებშიც სტრუქტურირებული ანკეტები გამოიყენებოდა. სავლელე სამუშაოების შესრულებაში მონაწილეობდნენ თსუ სტუდენტები. კვლევის არეალს წარმოადგენდა ქ. თბილისი. სულ გამოიკითხა 400 რესპონდენტი, რომელთა 31% იყო მამაკაცი, ხოლო 69% - ქალი. მათი აბსოლუტურ უმრავლესობა (97%) უმაღლესი განათლების მქონე ან სტუდენტია. რაც შეეხება სოციალურ კატეგორიას, გამოკითხულთა 27,5% სპეციალისტია, 6% - მენეჯერი და მხოლოდ 3% არის უმუშევარი, რაც საკმაოდ გასაკვირია, თუ

გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი სტუდენტია. ოჯახის საშუალო თვიური შემოსავლის დაფიქსირებაზე უარი განაცხადა რესპონდენტთა თითქმის მეოთხედმა (23,5%-მა), 1500 ლარზე მაღალი შემოსავლი აქვს რესპონდენტთა 26%-ს, დაახლოებით იგივე რაოდენობა (25%) აღნიშნავს 1000-1500 ლარამდე შემოსავალს, ხოლო 500 ლარზე ნაკლები შემოსავალი დააფიქსირა რესპონდენტთა მხოლოდ 3%-მა, რაც სასიხარულოა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახის მაღალი შემოსავალი სავარაუდოდ განპირობებულია ჩვენი ქვეყნის კულტურული თავისებურებით, კერძოდ, დიდ ოჯახებად ცხოვრებით.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტების 39% ბრენდული საქონლის ხშირი მომხმარებელია, 30% იშვიათად მოიხმარს მას, 28% საერთოდ არ იძენს ასეთ პროდუქციას, ხოლო 3% ყიდულობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ხარისხი გადამწყვეტია. ამასთან, გამოკითხული რესპონდენტების 28% თვლის, რომ იგი ძალიან ლოიალურია ერთხელ არჩეული ბრენდის მიმართ, 39% ბრენდის ერთგულია მხოლოდ ხარისხიანი პროდუქტის შეძენისას და ყოველდღიური მოხმარების საგნების შეძენისას არჩევანს ფასის მიხედვით აკეთებს. რესპონდენტთა 33% კი მუდმივად ცდილობს ახალი პროდუქტების გამოცდას.

როგორც მოსალოდნელი იყო, მომხმარებელთა უმრავლესობა (86%) მგრძობიარეა ფასის მიმართ. ბრენდის ფასის ზრდის შემთხვევაში მომხმარებელთა 20,5% დაიწყებს ახალი პროდუქტების მოძიებას, 76,5% ბრენდის ერთგული დარჩება ფასის გარკვეულ დონემდე, ხოლო გამოკითხულთა 3% ბრენდისადმი ლოიალური დარჩება ნებისმიერ შემთხვევაში.

მომხმარებელთა ძირითადი ნაწილის (64%-ის) აზრით, ძლიერ ბრენდად ჩამოყალიბებისათვის მთავარი ფაქტორია ხარისხიანი პროდუქცია, მეორე ადგილი (14%) დაიკავა კომუნიკაციურმა სტრატეგიამ, შემდეგ მოდის ფასდაკლებები და სხვადასხვა შეთავაზებები (9%), კონკურენტული ფასები (6%), დამატებითი მომსახურებები (2,5%). სხვა პასუხი დააფიქსირა რესპონდენტთა 4,5%-მა, რომელთა 22% მთავარ წინაპირობად თვლის სწორ PR--ს და რეკლამას, ამდენივე - მაღალ ხარისხს და მისაღებ ფასს, ხოლო უმრავლესობა (56%) მიიჩნევს, რომ აუცილებელია ყველა ზემოთმოყვანილი ფაქტორი ერთად.

საკმაოდ ხშირია ისეთი ფაქტი, როდესაც კომპანიები ბრენდის სახეებად ცნობილ ვარსკვლავებს ირჩევენ. ასეთი ღონისძიების მიმართ დადებითი დამოკიდებულება აქვს მომხმარებელთა 94%-ს, რომელთაგან 44% აღნიშნავს, რომ ეს ცალსახად დადებითად მოქმედებს ბრენდის იმიჯზე, 40%-ის აზრით, ვარსკვლავების გამოყენება ბრენდის რეპუტაციაზე კარგ გავლენას მხოლოდ ხანდახან ახდენს, ხოლო რესპონდენტთა 10% პასუხში დარწმუნებული არაა.

ცნობილია, რომ ზოგიერთი ქვეყნის პროდუქტი ასოცირდება პრესტიჟულობასთან, ხარისხთან და ა.შ., სხვა ქვეყნებისა კი, პირიქით. როგორც კვლევამ გვიჩვენა, ბრენდის წარმოშობის ქვეყანა რესპონდენტთა 83%-ზე ახდენს გავლენას, 17%-ს კი არ აინტერესებს, თუ რა წარმოშობისაა ესა თუ ის პროდუქტი. ამასთან, ზოგიერთი პროდუქტი და, მით უმეტეს, ბრენდი ხშირად ასოცირდება საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებთან. მაგალითად, არსებობს ახალგაზრდული, კლასიკური და ავანგარდული ბრენდები. მომხმარებელთა ძირითად ნაწილზე ეს დიდ გავლენას ახდენს ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, რესპონდენტთა 25%-ზე ბრენდის ასოცირება საზოგადოებრივ ჯგუფებთან ყოველთვის ახდენს გავლენას, 64%-ზე - ხანდახან მაინც მოქმედებს, ხოლო გამოკითხულთა 11%-ს მიაჩნია, რომ ეს ფაქტი მათზე არასოდეს არ ახდენს გავლენას.

ქართველ მომხმარებელის აზრით, სპონსორობა ზოგადად ხელს უწყობს ბრენდის გაძლიერებას. კერძოდ, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (54%) ფიქრობს, რომ სპონსორობა ნებისმიერ შემთხვევაში აძლიერებს ბრენდს, 41% თვლის, რომ ეს მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში ახდენს დადებით გავლენას. საკმაოდ მცირეა იმ რესპონდენტთა რაოდენობა (5%), რომელთა აზრით, სპონსორობა არ მოქმედებს ბრენდის სიძლიერეზე.

მსოფლიოში პერიოდულად ქვეყნდება ცნობილი ბრენდების რეიტინგები სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. ასეთი რეიტინგებისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. როგორც კვლევამ გვიჩვენა, მომხმარებელთა მხოლოდ მცირე ნაწილი (13%) თვლის, რომ ეს რეიტინგები რეალურ სურათს ასახავს, დაახლოებით ამდენივე (13,5%) მიიჩნევს, რომ ეს რეიტინგები ტენდენციურია, რესპონდენტთა 37% ფიქრობს, რომ ეს რეიტინგები არ არის ბოლომდე სანდო და გამოკითხულთა თითქმის იგივე ნაწილს (36,5%) უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

ქართველი მომხმარებლის დამოკიდებულება გაყიდვების პერსონალის შეთავაზებების მიმართ ძირითადად ნეიტრალური ან უარყოფითია. ასეთ შეთავაზებებს სიამოვნებით ელოდება რესპონდენტთა მხოლოდ 7%.

რესპონდენტების ნახევარი არ ეთანხმება აზრს, რომ ყველა ძვირფასი ბრენდი უმაღლესი ხარისხისაა, 28%-ს უჭირს პასუხის გაცემა, ხოლო 22% ამ აზრს ემხრობა. გამოკითხულთა 45%-ს მოსწონს ძვირფასი ბრენდების შექმნა თავის განებივრების მიზნით, 12% ამაცობს ამით, ხოლო 4,5% ასეთ ბრენდებს მეგობრების რჩევისა თუ მიზაძვის გამო ყიდულობს. პასუხი “სხვა” დააფიქსირა მომხმარებელთა 38%-მა. აღსანიშნავია, რომ ფასის მიმართ მგრძობიარობა შემცირდა ძვირფასი ბრენდების შემთხვევაში. კერძოდ, გამოკითხულთა 27% არ არის ფასის მიმართ მგრძობიარე, როდესაც საქმე ძვირფას ბრენდებს ეხება. ასეთ სიტუაციაში ონლაინ შოპინგს არასოდეს არ ენდობა რესპონდენტი 37,5%, უმეტესად ენდობა 13,5%, ხოლო 49% ხანდახან მაინც ყიდულობს ძვირფას ბრენდებს ინტერნეტის დახმარებით. ამასთან, მომხმარებელთა დიდი ნაწილი (38,5%) საკმაოდ თავდაჯერებულია და ძვირფასი ბრენდების შექმნისას მხოლოდ საკუთარ აზრს ითვალისწინებს. მეგობრების რჩევას ენდობა 33%, ხოლო ექსპერტების და ოჯახის აზრს ითვალისწინებს, შესაბამისად, რესპონდენტი 13,5% და 12%. რესპონდენტი ყველაზე დიდი ნაწილი (36,5%) ფიქრობს, რომ ძვირფასი ბრენდების პროდუქცია ძალიან შთამბეჭდავია, დაახლოებით თანაბარი რაოდენობა (26,5% და 25,5%) თვლის, რომ ეს პროდუქცია გამძლე და უმაღლესი ხარისხისაა, 7,5%-ს კი მიაჩნია, რომ ასეთ ბრენდებს კარგი გაყიდვის შემდგომი მომსახურება აქვთ. რაც შეეხება ძვირფასი ბრენდების კატეგორიებს, აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების ძირითადი ნაწილი ყველაზე ხშირად ყიდულობს ტანსაცმელს (37%), ელექტროტექნიკას (28%), ფეხსაცმელს (22%). შედარებით მცირეა იმ რესპონდენტი რაოდენობა, რომელიც ყიდულობს ავეჯს ან ავტომობილს (თითოეული 3 %). სხვა საქონელს ყიდულობს გამოკითხულთა 7%, რომელთა უმეტესობა (86%) ქალია და, ძირითადად, იძენს ძვირფასი ბრენდების პარფიუმერიას, თავის მოვლის საშუალებებს, ჩანთებს, სამკაულებს და სხვადასხვა აქსესუარებს. ამასთან, ძვირფასი ბრენდების შექმნისას რესპონდენტი 27,5% სხვადასხვა მალაზიებისა თუ ვებ-გვერდების ფასებს ერთმანეთს საერთოდ არ ადარებს. ეს პასუხი თითქმის მთლიანად (0,5%-იანი ცდომილებით) ემთხვევა ფასის მგრძობიარობას, სადაც მომხმარებელთა 27%-მა დააფიქსირა, რომ ისინი არ არიან ფასის მიმართ მგრძობიარე, როცა საქმე პრემიუმ ხარისხის პროდუქციას ეხება.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ქართველი მომხმარებელი საკმაოდ კარგად იცნობს ბრენდულ პროდუქციას ან მის მწარმოებელ კომპანიას. კერძოდ, გამოკითხულთა 40,5%-მა ზუსტად იცის ბრენდის შესახებ, 41,5%-მა კი მწარმოებელი კომპანიის შესახებ. რესპონდენტი 10,5% ფიქრობს, რომ ფასის მიხედვით შესაძლებელია დავადგინოთ, ბრენდულია თუ არა ესა თუ ის პროდუქცია. მომხმარებელთა 7,5%-ს ბრენდად აღქმის სხვადასხვა კრიტერიუმი გააჩნია.

ქართველი მომხმარებლების დიდი ნაწილი (64,5%) ფიქრობს, რომ პრემიუმ ხარისხის პროდუქცია უმეტესწილად მაღალშემოსავლიან სეგმენტზეა გათვლილი, ხოლო 17,5%-ს მიაჩნია, რომ ეს ყოველთვის ასეა. რესპონდენტი 9,5% თვლის, რომ პრემიუმ ხარისხის ბრენდების შექმნა საშუალო შემოსავლის მქონე მომხმარებელსაც შეუძლია, ხოლო 8,5%-ს უჭირს პასუხის გაცემა. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 93%-ის აზრით, შემოსავლის ზრდის პარალელურად აუცილებლად გაიზრდება ბრენდული საქონლის მოხმარება. რესპონდენტი მხოლოდ 7%-ს მიაჩნია, რომ ბრენდული საქონლის მოხმარება არ უკავშირდება შემოსავლის დონეს.

იმის გასარკვევად, თუ რომელი უფრო მნიშვნელოვანია ქართველი მომხმარებლისთვის: ფასი თუ ხარისხი. რესპონდენტებს ვთხოვეთ აერჩიათ მათთვის ყველაზე მისაღები ვარიანტი. კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებელთა უმეტესობა (61,5%) მგრძობიარეა როგორც ფასის, ასევე ხარისხის მიმართ. თუმცა, ბრენდის შექმნისას ხარისხი უფრო მნიშვნელოვანი კრიტერიუმი აღმოჩნდა, კერძოდ, ხარისხის მიმართ მგრძობიარე გამოკითხულთა 19%, ხოლო ფასის მიმართ - 11%. ფასისა და ხარისხის მიმართ მგრძობიარობას საერთოდ არ ამჟღავნებს რესპონდენტი 8,5%. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რესპონდენტი უმეტესობის (76%-ის) აზრით, ბრენდულ პროდუქციას საკმაოდ მაღალი ფასი ადევს და მისი შემცირება შესაძლებელია უცვლელი ხარისხის პირობებში, ხოლო 24% ფიქრობს, რომ ბრენდის ფასი ხარისხის შესაბამისია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მომხმარებელთა უმრავლესობა (დაახლოებით 80%) კარგად იცნობს ბრენდებს და მათ მწარმოებელ კომპანიებს. ამიტომ გამოკითხულ რესპონდენტთა საკმაოდ სოლიდური ნაწილი (38%) ბრენდის ასოცირებას ახდენს მწარმოებელ კომპანიასთან, მომხმარებელთა უმრავლესობა (44%) კი ბრენდს მის ელემენტებს (გემო, სურნელი, არომატი) უკავშირებს. რეკლამასთან ბრენდის ასოცირებას ახდენს გამოკითხულთა 14%. ხოლო განსხვავებული პასუხი დააფიქსირა რესპონდენტი 3,5%-მა, რომელთა უმეტესობა ბრენდის ასოცირებას უკავშირებს მის ვიზუალურ ატრიბუტიკასთან, მცირე ნაწილი კი ცხოვრების სტილთან და სხვადასხვა აქტივობებთან. მომხმარებლების 64% ფიქრობს, რომ ეს ასოციაციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ კომპანიის წარმატებაზე. მხოლოდ 2%-ს მიაჩნია, რომ ასოციაციები ბრენდზე საერთოდ არ მოქმედებს კომპანიის წარმატებაზე, ხოლო 34%-ს უჭირს პასუხის გაცემა.

საკმაოდ საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რამდენად ენდობიან მომხმარებლები იმ ბრენდებს, რომლებსაც იყენებენ. როგორც კვლევამ გვიჩვენა, გამოკითხული რესპონდენტების ნახევარზე მეტი (58,5%) ბოლომდე ენდობა ასეთ ბრენდებს, 38,5% - ნაწილობრივ ენდობა, ხოლო 3% -არ ენდობა. ამ ნდობის მთავარი კრიტერიუმები აღმოჩნდა ხარისხის შესაბამისობა ფასთან (43,5%) და უცვლელი მაღალი ხარისხი (34%). ნაკლები მნიშვნელობისაა შემდეგი კრიტერიუმები: მრავალფეროვანი შემოთავაზებები (14,5%), პოპულარობა და მოთხოვნა ბაზარზე (5,5%), კონკურენტული ფასი (2,5%). ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლის გამოც მომხმარებლებმა რჩეული ბრენდის ნდობა შეიძლება შეწყვიტონ, ესაა - ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება (74%), შემდეგ მოდის ფასის მნიშვნელოვანი ზრდა (13%) და პოპულარობისა და მოთხოვნის შემცირება ბაზარზე (9%). ბრენდისადმი ძალიან ლოიალური აღმოჩნდა გამოკითხულთა 4%, რომლებიც ბრენდს ნებისმიერ შემთხვევაში ენდობა. დასახელებული მიზეზების გამო რჩეული ბრენდისადმი ნდობა შეუწყვეტია გამოკითხულთა 38,5%-ს, ხოლო რესპონდენტთა 14,5%-ს არასოდეს შეუწყვეტია რჩეული ბრენდისადმი ნდობა. მსგავსი მოვლენის გახსენება უჭირს 47%-ს.

ჩატარებულმა კვლევამ საშუალება მოგვცა გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ქართველი მომხმარებელი საკმაოდ აქტიურად მოიხმარს ბრენდულ პროდუქციას, მაგრამ ლოიალურობის მაჩვენებელი არცთუ ისე მაღალია. მომხმარებელთა მესამედი ნაწილი მუდმივად ეძებს ახალ პროდუქტებს. ამასთან, მომხმარებელთა უმრავლესობა ფასის მიმართ მგრძობიარეა;
- ძლიერ ბრენდად ჩამოყალიბების მთავარი კრიტერიუმია პროდუქციის მაღალი ხარისხი. სწორედ ესაა ბრენდული პროდუქციის შექმნის ძირითადი მიზეზი, მაგრამ ამავე დროს ქართველი მომხმარებლები მიიჩნევენ, რომ ასეთი პროდუქციის ფასი მაღალია და კომპანიებს შეუძლიათ მისი შემცირება უცვლელი ხარისხის პირობებში;
- ქართველი მომხმარებლების უმეტესობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბრენდის წარმოშობის ქვეყანას, რომელსაც ყიდვისას ითვალისწინებს. რაც შეეხება ბრენდების საერთაშორისო რეიტინგებს, ქართველი მომხმარებლები მას ნაკლებად ენდობიან. ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ისინი მხოლოდ საკუთარი აზრის ან მეგობრების რჩევის შესაბამისად იქცევიან;
- ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება გაყიდვების პერსონალის შეთავაზებების მიმართ, ძირითადად, უარყოფითია, რაც ამ სისტემის ჩამოყალიბებლობით აიხსნება. ამასთან, სპონსორობა, ვარსკვლავების გამოყენება და ბრენდზე ასოციაციები დადებითად მოქმედებს ბრენდის იმიჯზე;
- ქართველი მომხმარებლები თვლიან, რომ ძვირფასი ბრენდები ყოველთვის როდია უმაღლესი ხარისხის. ისინი საკმაოდ აქტიურად მოიხმარენ ძვირფასი ბრენდების ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს. ფასის მიმართ მგრძობიარობა აქაც საკმაოდ მაღალია და რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი პროდუქტის შექმნამდე აუცილებლად ადარებს ფასებს ერთმანეთს;
- ქართველი მომხმარებლები საკმაოდ კარგად იცნობენ ბრენდულ პროდუქციას ან მის მწარმოებელ კომპანიებს. ისინი ბრენდული პროდუქციის გამოყენებას პირდაპირ უკავშირებენ შემოსავლის დონეს და თვლიან, რომ შემოსავლების ზრდასთან ერთად აუცილებლად გაიზრდება ბრენდული პროდუქციის მოხმარებაც. აქედან გამომდინარე, ქართველი მომხმარებელი ძალიან მგრძობიარეა ბრენდული პროდუქციის ფასის მიმართ, თუმცა არც ხარისხია მისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი;
- რესპონდენტები მთლიანად ან ნაწილობრივ ენდობიან იმ ბრენდებს, რომლებსაც იყენებენ. ამ ნდობის მთავარი კრიტერიუმია ხარისხის შესაბამისობა ფასთან და მაღალი ხარისხი.

ამრიგად, ქართველი მომხმარებლის მიერ ბრენდული პროდუქციის მოხმარება საკმაო თავისებურებებით ხასიათდება. როგორც კვლევამ აჩვენა, მომხმარებელთა მესამედს ბრენდად მხოლოდ მაღალფასიანი (და არა მაღალხარისხიანი) პროდუქცია მიაჩნია. საქართველოში უამრავი უცხოური კომპანია ყიდის საკუთარ პროდუქციას (ბრენდს). ქართველი ახალგაზრდების უმეტესობა იცნობს ბრენდულ პროდუქციას და აქტიურადაც მოიხმარს, თუმცა მათი ნაწილი არასწორად აღიქვამს ბრენდს და ბრენდად ჩამოყალიბების კრიტერიუმებს. ვინაიდან ქართველი მომხმარებელი ბრენდული პროდუქტის მოხმარებას უკავშირებს შემოსავლების დონეს, ცხადია, ჩვენში ცხოვრების დონის გაუმჯობესება აუცილებლად გაზრდის ბრენდული პროდუქციის მოხმარების სურვილს და რაოდენობას.

ლიტერატურა:

1. Miller C. U. S. Firms Lag in Meeting Global Quality Standards // Marketing News. — 1993. — February 15.
2. Саттон Д., Клянн Т. Новая наука маркетинга. Маркетинговое управление предприятием: Пер. с англ. — СПб.: Питер, 2004. — 240 с.
3. Темпорал П. Эффективный бренд-менеджмент: Пер. с англ. / Под ред. С.Г.Божук. — СПб.: Издательский Дом «Нева», 2003. — 320 с.
4. Aaker D. A. Managing Brand Equity. — The Free Press, 1991. — P. 39.

5. Герман Д. Рождение бренда: Практик. рук. Пер. с англ. — М.: Гелеос, 2004. — 344 с
6. Бойетт Д. Гуру маркетинга. — М.: Изд-во «Эксмо». — 2004. — 320 с.

რეზიუმე

კონკურენტულ ბაზარზე წარმატებას აღწევს არა პროდუქტი, არამედ ბრენდი. შესაბამისად, მარკეტოლოგები ცდილობენ, რომ თავიანთი ბრენდები კონკურენტულ გარემოში უფრო ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი გახადონ. ბრენდი დინამიური მოვლენაა, რომელიც ცვალებად გარემოში ფუნქციონირებს. იგი საწარმოებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან მოაქვს შემოსავლები და კონკურენტებისაგან დიფერენცირების ერთადერთი წყაროს წარმოადგენს. მოდელი, რომელსაც იყენებენ წარმატებული კომპანიები, მოიცავს ბრენდის შექმნას, რაც განსაზღვრავს კომპანიის კომპანიის სტრატეგიას და მასთან დაკავშირებულ ყველა საქმიანობას. ამიტომ აუცილებელია შევისწავლოთ მომხმარებლების მიერ ბრენდის აღქმა და მისი მრავალმხრივი განვითარება, გამოვავლინოთ ბრენდის ძლიერი და სუსტი მხარეები, რათა იგი უფრო წარმატებული გახადოს.

ბრენდის შესახებ მსოფლიოში არსებობს უამრავი მონაცემი, თუმცა ქართველი მომხმარებლების ბრენდებისადმი დამოკიდებულების საკითხები არაა შესწავლილი. არ არსებობს კვლევები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გავაკეთოთ დასკვნები ქართველი მომხმარებლის მიერ ბრენდული პროდუქციის გამოყენების თავისებურების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში შესწავლილია ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება ბრენდებისადმი, კერძოდ, თუ რა ფაქტორებია გადაწყვეტი ბრენდის შერჩევისას, რა კრიტერიუმებით აფასებს ქართველი მომხმარებელი ბრენდულ პროდუქციას, რასთან ხდება ბრენდის ასოცირება და ა.შ.

ნაშრომში ჩამოყალიბებულია ის ზოგადი ტენდენციები, რომლებიც ახასიათებს ქართველ მომხმარებელს. ჩატარებული კვლევის საფუძველზე გაკეთდა შესაბამისი დასკვნები, განისაზღვრა ბრენდისადმი ლოიალურობის დონე, გამოიკვეთა ბრენდის ასოციაციების როლი კომპანიის წარმატებაში, გამოვლინდა ბრენდის უპირატესობები, ბრენდებისადმი ნდობის მთავარი ფაქტორები, დადგინდა კავშირი ბრენდული პროდუქციის მოხმარებასა და შემოსავლის დონეს შორის. კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა უმეტესობა ჯერ კიდევ არ არის მიჩვეული ბრენდული პროდუქციის მოხმარებას და მათი ქცევა ამ ბაზარზე უამრავი თავისებურებით ხასიათდება.

MARKETING RESEARCH OF CONSUMERS' ATTITUDE TOWARDS BRANDS IN GEORGIAN MARKET

Nugzar Todua, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor
RESUME

In the competitive market, success can be reached by brand, not by product. Consequently, marketers try their best to make their brands stronger and sustainable in the competitive environment. Brand is a dynamic phenomenon working in the changeable environment. Brands are the most important for the enterprise, bringing in incomes and the unique sources of differentiation of the company from competitors. The model applied by the successful companies, consists of creation of a brand which operate enterprise strategy, and all related activities. Therefore it is necessary to study consumers' perception of the brand, how it is diversified, which strong and weak parts should be studied to make the brand more successful.

There are many different types of data about the global brands, but the Georgian consumers' attitude towards brands is not studied. There has been no research that will enable us to make conclusions about Georgian Consumer. Therefore, we decided to research Georgian consumers' attitude toward brands: What are the decisive factors in selecting a brand, what are the main criteria when choosing a brand, what factors are brand associated with etc.

Our research is aimed to study Georgian consumers' attitude towards the brand, their behavior and characteristics to determine the general trends which are common for Georgian consumers. Consequent conclusion has been made on the basis of the research. We have determined the degree of brand loyalty, attitude toward the luxury brands, brand associations' role in the success of the company, the brand advantages, the main factors of trust in brand; and have established connection between the level of income and brand consumption.

ИННОВАЦИОННЫЕ ПРОЦЕССЫ – НЕОБХОДИМАЯ ПОТРЕБНОСТЬ РАЗВИТИЯ СОВРЕМЕННОЙ ЭКОНОМИКИ

Леила Мамулашвили, Ассоциированный профессор Горийского государственного учебного
университета

E-mail: lmamulashvili@gmail.com

Изолда Габададзе, Акакий Церетели Государственный университет

E-mail: izogabadadze@rambler.ru

Нино Мушкудиани, Акакий Церетели Государственный университет

E-mail: ninomushkudiani@posta.ge

Вахтанг Гогисванидзе, ООО Университетский образовательный центр - многопрофильный колледж

E-mail: vaxtangogisvanidze@posta.ge

В Грузии предпринимаются активные действия по переходу на инновационный путь развития экономики. Особое внимание в последнее время стало обращать на совершенствование инновационных процессов в области науки и техники, материального производства и менеджмента. Инновации - это нечто иное, как действия по внедрению достижений науки и техники в технологии и управление, в том числе и в социальной сфере, т.е. в организациях, занимающихся предоставлением услуг населению инновация – это применение результатов интеллектуальной деятельности для создания новых продуктов, процессов и услуг. Встречается и определение инновации как продукции творческого труда, имеющей завершенный вид товара, готового к продаже. Этим подчеркивается связь инноваций со спросом, то есть с платежеспособной потребностью, что необходимо для реализации новых достижений в условиях рыночной экономики.

Различают факторы определяющие инновационное развитие: Рыночная конъюнктура и конкуренция; Среда; Кадры; Ресурсы.

Побудителями инноваций являются постоянные изменения, происходящие в различных сферах человеческой деятельности. В каждой из них целями нововведений являются внедрение новых процессов или продуктов, которые направлены на обеспечение устойчивого и долгосрочного экономического роста. К ним относятся: усовершенствование или создание новых материалов, оборудования, технологических процессов, продуктов, услуг и методов, коренным образом изменяющих или существенно улучшающих эффективность экономики; изменения в социальной структуре для повышения социального статуса личности и достижения оптимального соотношения личных и общественных интересов; модификации сложившейся системы управления, позволяющие улучшать деятельность предприятий и организаций и способствующие адаптации к меняющимся условиям.

Разграничение стадий инновационного процесса было предложено Йозефом Шумпетером (1883-1950), который разграничил: стадию изобретения или генерации новых идей; стадию нововведений, когда благодаря разработкам новые идеи превращаются в продукты и процессы, имеющие коммерческую ценность; стадию распространения новых продуктов и процессов в рамках потенциального рынка. На каждой стадии происходит отбор: лишь некоторые идеи доводятся до коммерциализации и лишь некоторые нововведения успешно распространяются. Шумпетер принадлежит концепция экономической динамики и циклов, центральное место в которой отводится предпринимательской функции. Экономическая динамика основывается на распространении различных нововведений, которые инициируются действующими экономическими агентами. Он определяет экономического агента как предпринимателя, постоянно "вбрасывающего" в экономику новое и тем самым изменяющего само положение равновесия. Именно предприниматели вызывают рост и метаморфозы экономики, рискуя и изобретая новые комбинации использования факторов производства. Именно они способствуют выпуску новых товаров, более эффективно используют уже известные материалы, внедряют новые технику и технологии, осваивают новые рынки сбыта, переходят к более рациональным формам организации производства и управления им. Важнейшую роль в экономическом процессе Шумпетер отводил изменениям и инновациям, приводящим к замене старого новым в процессе свободного творчества. Познакомившись с теорией Н. Д. Кондратьева, И. Шумпетер высоко оценил концепцию больших циклов конъюнктуры и ввел понятие "Кондратьевские циклы". Соединив свои разработки о роли предпринимателя в процессе экономического развития и теорию долгосрочных колебаний экономической динамики Кондратьева, Шумпетер создал теорию инновационных циклов, в которой длинноволновые колебания определил как одну из форм проявления экономической динамики, порождаемой инновационным процессом. По Шумпетеру, побудительным мотивом к поиску и внедрению новых комбинаций является прибыль, которая становится вознаграждением за нововведения. Определяющую роль здесь играет не конкуренция цен или качества, а конкуренция новых продуктов, технологий, источников снабжения, организационных форм. Вначале конкуренцией нововведений, способствующей росту продукции и прибылей, пользуется небольшое число предпринимателей, те, кто раньше других их использует. Когда нововведения распространяются, то

производственные затраты выравниваются и прибыль исчезает. По мнению Шумпетера, центральным субъектом в процессе изменений внутри системы является предприниматель, который внедряет новшества в периоды спокойствия и равновесия. Такие нововведения приводят к нарушению непрерывности, требуют отказа от старого (продукты, формы организации и др.) в пользу непривычного нового и связаны с риском. Старое вытесняется - начинается процесс "созидательного разрушения".

Однако концепция "созидательного разрушения" Шумпетера постепенно утрачивает былое теоретическое могущество, поскольку с ее помощью трудно объяснить новые экономические явления, порожденные современной динамикой глобализации, когда спад деловой активности может сопровождаться усиливающимся доминированием конкретной страны и внедрением передовых технологий и разработок в серийное производство при сокращении занятости в высокотехнологичных отраслях. Скорость экономических изменений в настоящее время настолько велика, а инерция экономического знания настолько сильна, что экономическая наука в ряде случаев просто не успевает за текущими изменениями. Наследие Й. Шумпетера продолжает активно изучаться учеными, которые представляют различные течения в экономической науке, причем каждый берет то, что представляет наибольшую ценность и наименьшую угрозу.

Необходимым условием экономического роста и повышения качества жизни любой страны является инновационная активность. В свою очередь она зависит от экономического и научно-технического потенциала государства, его инновационной политики и ресурсов, духовного состояния общества. На уровне предприятия (компании) инновационная активность зависит от выбора стратегии и качества управления деятельностью, гибкости производственных систем и использования ресурсов.

Инновационная активность проявляется через инновационные процессы - целенаправленную деятельность по созданию, освоению в производстве и продвижению на рынок продуктовых, технологических и организационно-управленческих новшеств. Характерной чертой инновационных процессов является их нелинейность в отличие от производства и логистики. Линейность предполагает однократное использование знаний, а инновационные процессы - перманентное, т.е. параллельность новаторской деятельности в отношении продукции, организации и управления - многообразие областей нововведений. Инновационные процессы поддерживаются институциональными и структурными факторами, связанными с перераспределением ресурсов в соответствии с критериями сложившейся структуры общественных потребностей и наиболее полного удовлетворения текущего и перспективного платежеспособного спроса.

Инновационная сфера является частью системы экономических отношений. Это совокупность отраслей национального хозяйства (частных и государственных структур) и видов общественной деятельности, не принимающих прямого участия в создании материальных благ, но производящих особые потребительные стоимости, необходимые для функционирования и развития производства.

Й. Шумпетер следующим образом определил функциональное назначение инновационной сферы: коммерческий анализ потенциальных потребителей инноваций; поиск перспективных идей, источников функционирования; организация создания и внедрения новшества; тиражирование; поддержка и утилизация. (Шумпетер Й., 2007)

В инновационную сферу входят ученые и изобретатели, подразделения, разрабатывающие и внедряющие инновации; венчурные и научно-технические организации; система образования.

Условия функционирования инновационной сферы обуславливаются интеллектуальной собственностью и собственностью на продукты инновационной деятельности. В ней формируется специализированная материально-техническая база, накапливаются специальные приемы и методы организации и управления инновационной деятельностью, разрозненные процессы создания и внедрения новшеств объединяются в единый инновационный процесс, обеспечивающий условия их освоения предприятиями и потребителями.

Инновационное развитие каждой страны зависит от интеллектуального, духовного, нравственного и творческого потенциала общества. Базовыми составляющими такого потенциала являются развитие науки, уровень и качество образования населения, а сам инновационный потенциал определяется долей затрат на финансирование научно-исследовательских расходов в валовом национальном продукте. Что касается инновационной деятельности, она осуществляется в любой общественной сфере - от экономики до образования, искусства и даже политики.

Существуют различные определения инновационной деятельности. Ее можно определить как комплекс научных, технологических, организационных, финансовых, коммерческих мероприятий, которые приводят к инновациям. В частном преломлении это совместная деятельность работников компании (предприятия), направленная на создание и внедрение новшеств. Деятельность является инновационной, если в нее привносятся новые знания, технологии, приемы, подходы для получения результата, который широко востребован в обществе. Инновационная деятельность носит системный характер, и эту систему образуют общество и субъекты такой деятельности. Она представляет собой комплекс мероприятий по разработке, внедрению, освоению, производству, диффузии и коммерциализации новшеств, объединенных в одну логическую цепь. Каждое звено этой цепи имеет свое содержание и свои закономерности развития. Научные изыскания, опытно-конструкторские и технологические разработки, инвестиционные, коммерческие и производственные мероприятия подчинены одной главной цели - созданию новшества. Инновационная деятельность характеризуется высоким уровнем неопределенности и риска, сложностью прогнозирования результатов. Приоритетными являются экономические условия, а важнейшим параметром в ходе

инновационной деятельности становится время. Ресурсы, вовлекаемые в инновационный процесс, могут быть обесценены, если конкурент опередит с выходом новой продукции на рынок.

Инновационной деятельности присущи стремление к максимальной сбалансированности технологических и экономических факторов, оптимизация временных границ, вовлечение максимально возможного числа источников инновационных идей, а также экономия издержек в ходе всего жизненного цикла нововведений. Инновационная деятельность в отличие от обычной производственной характеризуется: большим риском при коммерциализации инноваций (до 50 %); необходимостью постоянного контроля за промежуточными этапами внедрения инноваций, чтобы в случае отсутствия конкретных результатов принять решение о прекращении работ; сложностью установления зависимости результатов от затраченных ресурсов и размеров инвестиций (в первый период внедрения инновационная продукция может не давать никакой прибыли, а затем прибыль резко возрастает). Инновационная инфраструктура. Производственная, научно-техническая и инновационная деятельность тесно связаны между собой, однако формирование инфраструктуры каждого вида деятельности характеризуется специализированными организационными элементами и механизмами их функционирования. Процесс развития инновационной инфраструктуры начинался с создания отдельных лабораторий, технопарков и инкубаторов наукоемких технологий. В последние годы создается инфраструктура науки, соответствующая требованиям рыночной экономики: наукограды, особые экономические зоны и специальные финансовые структуры; система высшего образования. Развивается сфера наукоемких услуг - инжиниринг, лизинг, консультирование

ЛИТЕРАТУРА:

1. Шумпетер Й. Теория экономического развития. Капитализм, социализм и демократия. – М: Эксмо, 2007.- 864 с.
2. Eigen M. The Origin of Genetic Information // Origins of Life and Evolution of Biospheres. – Springer Netherlands, 1994.3.
3. Eigen, M., W. Gardner, P. Schuster and R. Winkler-Oswaititich. The Origin of Genetic Information // Scientific American. – 244 (1981). – 88- 118 pp.

РЕЗЮМЕ

В Грузии предпринимаются активные действия по переходу на инновационный путь развития экономики. Особое внимание в последнее время стало обращаться на совершенствование инновационных процессов в области науки и техники, материального производства и менеджмента. Инновации - это ничто иное, как действия по внедрению достижений науки и техники в технологии и управление, в том числе и в социальной сфере, т.е. в организациях, занимающихся предоставлением услуг населению. Инновация – это применение результатов интеллектуальной деятельности для создания новых продуктов, процессов и услуг. Эта статья точно посвящена этой проблеме. Инновационное развитие дает существенные конкурентные преимущества, так как высокотехнологичные фирмы: за одно и то же время выводят на рынок в 2-3 раза больше товаров, чем конкуренты; используют в каждом новом продукте в 2-3 раза больше технологических нововведений; выводят на рынок новый продукт в 2 раза быстрее, чем конкуренты; имеют географию рынка в 2 раза больше, чем у конкурентов; Особое внимание уделяется стадиям инновационных процессов Й.Шумпетера; стадию изобретения или генерации новых идей; стадию нововведений, когда благодаря разработкам новые идеи превращаются в продукты и процессы, имеющие коммерческую ценность; стадию распространения новых продуктов и процессов в рамках потенциального рынка.

На каждой стадии происходит отбор: лишь некоторые идеи доводятся до коммерциализации и лишь некоторые нововведения успешно распространяются. Деятельность является инновационной, если в нее привносятся новые знания, технологии, приемы, подходы для получения результата, который широко востребован в обществе. . Инновационная деятельность носит системный характер, и эту систему образуют общество и субъекты такой деятельности. Она представляет собой комплекс мероприятий по разработке, внедрению, освоению, производству, диффузии и коммерциализации новшеств, объединенных в одну логическую цепь. Каждое звено этой цепи имеет свое содержание и свои закономерности развития.

В последние годы создается инфраструктура науки, соответствующая требованиям рыночной экономики: наукограды, особые экономические зоны и специальные финансовые структуры; система высшего образования. Развивается сфера наукоемких услуг - инжиниринг, лизинг, консультирование.

И так, Инновационная деятельность осуществляется в любой общественной сфере - от экономики до образования, искусства и даже политики.

INNOVATIVE PROCESSES – NECESSARY REQUIREMENT DEVELOPMENT OF MODERN ECONOMY

Leila Mamulashvili, Gori State Teaching University, Associate Professor

Izolda Gabadadze, Akaki Tsereteli State University

Nino Mushkudiani, Akaki Tsereteli State University

Vakhtang Gogisvanidze, LTD University Educational Center - a multi-college

SUMMARY

In Georgia active actions on transition to an innovative way of development of economy are undertaken. The special attention began to address recently on improvement of innovative processes in the field of a science and equipment, production of goods and management. Innovations is anything other, as actions on introduction of achievements of science and technology in technologies and management, including in the social sphere, i.e. in the organizations which are engaged in service to the population. The innovation is an application of results of intellectual activity for creation of new products, processes and services. This article is exactly devoted to this problem. Innovative development offers essential competitive advantages, as hi-tech firms: for the same time more goods, than competitors deduce on the market in 2-3 times; use in each new product in 2-3 times more technological innovations; deduce on the market a new product in 2 times quicker, than competitors; have market geography in 2 times more than at competitors; the Special attention stages innovative processes is given by I. Shumpeter; stage of the invention or generation of new ideas; a stage of innovations when thanks to development new ideas turn into products and the processes having commercial value; a stage of distribution of new products and processes within the potential market.

At each stage there is a selection: only some ideas are led up to commercialization and only some innovations successfully extend. Activity is innovative if in it new knowledge, technologies, receptions, approaches for receiving result which is widely demanded in society is introduced. Innovative activity has system character, and this system form society and subjects of such activity. It represents a complex of actions for development, introduction, development, production, diffusion and commercialization of the innovations united in one logic chain. Each link of this chain has the contents and the regularities of development.

In recent years the infrastructure of a science corresponding to requirements of market economy is created: science cities, special economic zones and special financial structures; system of the higher education. The sphere of the knowledge-intensive services - engineering, leasing and consultation develops.

And so, Innovative activity is carried out in any public sphere - from economy before education, art and even policy.

ცოდნა და კრეატიულობა – ეროვნული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივა

ლეილა მამულაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

E-mail: lmamulashvili@gmail.com

იზოლდა გაბადაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: izogabadadze@rambler.ru

ინეზა წერეთელი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: inezatsereteli@posta.ge

ვახტანგ გოგისვანიძე, შპს საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო ცენტრი

E-mail: vaxtangogisvanidze@posta.ge

ცოდნა ყოველთვის იყო ფუნდამენტური ღირებულება ყველა დროსა და ყველა კულტურაში. თანამედროვე საზოგადოებაში, რომელსაც უწოდებენ ინფორმაციულს, კავშირი ცოდნასა და საზოგადოებრივ პროცესს შორის კიდევ უფრო უშუალო და ხელშესახები გახდა. (Григорянц, Тофлер, 2006).

ცოდნის დომინირების შესახებ მოსაზრებები შეიძლება იცვლებოდეს თანამედროვე ეკონომიკის, როგორც ცოდნის ეკონომიკის მახასიათებლების გათვალისწინებით. ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის

ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს კი წარმოადგენს მეცნიერებატევადი (მაღალტექნოლოგიური) დარგების დაჩქარებული ტემპებით განვითარება, ფუნქციონირების მასშტაბების გაფართოება და ქვეყნის ეკონომიკაში თანდათანობით დომინირებული მდგომარეობის მოპოვება. რამეთუ აღნიშნული დარგები განსაზღვრავენ მესამე ათასწლეულის ეკონომიკის არსს და ხელს უწყობენ მისი დამკვიდრების პროცესს.

მიზანშეწონილია ცოდნა განვასხვავოთ მხედველობითი, ხმოვანი და სხვა სიგნალების ნაკადებიდან მიღებული ინფორმაციისაგან. იგი იყოფა ორ სახედ: კოდიფიცირებული და ადამიანისაგან განუყოფელი. კოდიფიცირებული ცოდნა ინახება და გადაეცემა ტექსტების, დიაგრამების, ნახატების და ა.შ. სახით. ადამიანისაგან განუყოფელი ცოდნა კი მოსწავლეებს გადაეცემა მხოლოდ პედაგოგისგან. ამიტომაც საზოგადოების ინფორმატიზაცია ხელს უწყობს ცოდნის ეკონომიკის ან ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ჩამოყალიბებას.

ცოდნის ეკონომიკის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: 1. მომსახურების სფეროს მაღალი წილი ეკონომიკაში. მაგალითად, აშშ ამ სფეროში 75%-ზე მეტი თანამშრომელია დაკავებული. 2. განათლებასა და სამეცნიერო კვლევებზე ხარჯების გაზრდა. 3. ქსელური ურთიერთობების განვითარება კორპორატიული და პერსონალური ქსელები სახით. 4. ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირება, მათ შორის ფუნდამენტური მეცნიერებების, ტრანსფერული ტექნოლოგიების, ვენჩურული ფონდების ინფრასტრუქტურის და ა.შ. 5. განათლების სფეროს განვითარება, როდესაც საშუალო განათლება გახდა საყოველთაო, და უმაღლესი განათლება მასიური, რომელმაც მოიცვა შესაბამისი ასაკის მოსახლეობის 60%, როდესაც რეალიზდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში უწყვეტი განათლების კონცეფცია. 6. სხვადასხვა ქვეყანის ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია.

მსოფლიო შევიდა თავისი განვითარების, ცოდნის ეპოქის და ინტელექტის ბატონების ახალ ეტაპში. მესამე ათასწლეული იქნება ინტელექტუალების, შემოქმედების და კრეატიულად ორიენტირებული მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ეპოქა. განვითარებულ ქვეყნებში ყალიბდება ხარისხობრივად ახალი სოციუმი, რომელიც ეფუძნება ინტელექტუალურ-კრეატიულ პარადიგმას, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ინტელექტს ნოოსფეროში სულიერ და მატერიალურ ურთიერთკავშირში, სადაც ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობა გახდება პროგრესის გადამწყვეტი ფაქტორი. ადამიანის ინტელექტი, მისი შემოქმედებითი გონება, მიზნად ისახავს მუდმივად შეისწავლოს ან შექმნას აზრები, რომლებიც წარმოადგენენ ზემგრძობიარე ველების და ენერჯის შეკვრას.

ამავე დროს, შესაბამისად მომზადებული ადამიანი, აზრებს ღებულობს ერთიანი საინფორმაციო ველის - ნოოსფერული ინტელექტის გამოსხივებით. წარმოადგენს რა ერთიანს, ინფორმაციული სისტემა „ადამიანი-ნოოსფერო“ წარმოქმნის და აგროვებს ახალ ხარისხს, რომელიც არ მცირდება მისი ელემენტების ჯამის ხარისხის მიმართ.

კრეატიულობა შეიძლება ზოგადად განისაზღვროს როგორც ინტელექტუალური პროცესი, რომლის დროსაც ხდება ახალი იდეებისა და კონცეფციების ჩამოყალიბება, ან ახალი კავშირების დამყარება არსებულ იდეებსა და კონცეფციებს შორის. იგი მჭიდრო კავშირშია წარმოსახვის პროცესთან და დაკავშირებულია ადამიანის მოთხოვნილებასთან ახლის აღმოჩენისადმი. სტატისტიკური ანალიზის შედეგად ფსიქოლოგიაში კრეატიულობის ფსიქომეტრული კვლევების დამფუძნებელი, ამერიკელი ჯ. გილფორდი და მოგვიანებით ი. ტორენსი, ჯერ კიდევ 60-იან წლებში კრეატიულობას განმარტავდა, როგორც ავტონომიურ, ინტელექტის კოეფიციენტიდან დამოუკიდებელ ასპექტს, ან ადამიანის ინტელექტუალური შემოქმედების ფაქტორს (Mark A., Runco and Steven R. Pritzer, 1999). კრეატიულობის გაგებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ზოგჯერ განიხილება როგორც მისი სინონიმი განსხვავებული აზროვნება - მოცემული პრობლემის ან საკითხის მრავალჯერადი გადაწყვეტის პროცესი. მ.ამფორდი, განაზოგადებს რა კრეატიულობის სამეცნიერო არსს, კრეატიული პროცესის ძირითად მახასიათებლად განიხილავს ინოვაციური და სასარგებლო შედეგის წარმოებას. აღსანიშნავია, რომ ეს წარმოება შეიძლება იყოს ინსტრუმენტი მხატვრული ნაწარმოების, აგრეთვე სოციალური ამოცანების გადაწყვეტის პროგრამა.

ლინდა ნეუმანი აღწერს კრეატიულობას, როგორც ნოვაციური იდეებით გაჯერებულ და რეალობაში წარმოსახული იდეების განმახორციელებელ აქტს. მისი აზრით, რაიმე რომ ჩაითვალოს კრეატიულად, აუცილებელია ორი კომპონენტი - იდეა და განხორციელება. ამით კრეატიულობა განსხვავდება უბრალო წარმოდგენებისგან. ამდენად, მართალია, კრეატიულობა შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ნებისმიერი ინოვაციური მიდგომის გამოვლინება, მაგრამ, მეცნიერული თვალსაზრისით, კრეატიული აზროვნების პროდუქცია უნდა ხასიათდებოდეს არა მარტო ორიგინალურობით, არამედ მიზანშეწონილობით და გამოყენებითი შედეგებით. უფრო მეტიც, გ. ვალასუს კვლევის მიხედვით, რომელმაც კრეატიულობა შეისწავლა წყაროსთან, არის მემკვიდრეობით ევოლუციური პროცესი, რომელიც ადამიანებს აძლევს ცვალებად გარემოში სწრაფად ადაპტირების უნარს. (Simonton, 1999). მეტიც, კრეატიულობა პირდაპირ

კავშირშია ადამიანის საქმიანობის მიზანშეწონილობასთან.

კრეატიულობასა და საზოგადოებრივ პროგრესს შორის იგულისხმება საზოგადოებრივი ცოდნის იმ დიდი "K" ფაქტორის სტიმულირების უპირატესობა, მიუხედავად იმისა, რომ "მთლიანი" კრეატიულობა მოიპოვება უშუალოდ ინდივიდების კრეატიული აზროვნების ფორმების განვითარების შედეგად. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კრეატიულობის საერთო სარგებლიანობა უკვე აღიარებულია, ჯერჯერობით სოციალური დამოკიდებულება ამ საკითხზე ჯერ კიდევ საკამათოა და არსებობს გარკვეული კრიტიკა კრეატიულობის გადაჭარბებული მნიშვნელობის შესახებ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა საზოგადოებებში ინოვაციებს ეძლევა სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა, რაც განპირობებულია როგორც ეკონომიკურ-პოლიტიკური, ასევე კულტურულ-ფსიქოლოგიური განსხვავებებით.

1980-იანი წლებიდან ტერმინი "კრეატიულობა" გამოჩნდა სხვადასხვა დონის ეკონომიკური სისტემების გამოკვლევებში. გამოჩნდა ისეთი ტერმინები, როგორც "კრეატიული ორგანიზაცია", "კრეატიული ეკონომიკა". ამასთან, კრეატიულობა ძველებურად ასოცირდებოდა ორიგინალურობასთან და არა ტრადიციულთან, მაგრამ გამოჩნდა სხვა - პრაგმატული თვისებები. მაგალითად, თ. ამაბაილი კრეატიულობას განმარტავს - ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში ახალი იდეების წარმოებას. ახლად ითვლება იდეები, რომელიც განსხვავდება არსებულისგან და, ამასთან, ეს იდეები არ არის აბსურდული და შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად. მნიშვნელოვანია, რომ კრეატიულობის დახასიათებისათვის ამა თუ იმ კონტექსტში, გამოიყენება სიახლის კრიტერიუმები და არა იდეის ორიგინალობა (როგორც ფსიქოლოგიურ კვლევებში). ოლდემი და კამინგსი განმარტავენ, რომ პროდუქტის, იდეის ან პროცესის სიახლე, შეიძლება დადგინდეს, თუ ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან, ახალ კომბინაციას უკვე არსებულ თვისებებთან ან მასალებთან შედარებით, ან შეიცავენ სრულიად ახალ თვისებებს ან მასალებს. ამასთან კრეატიულობა ახასიათებს მიღწევებს პირად დონეზე, ხოლო კრეატიული იდეის წარმატებული დანერგვა ორგანიზაციის დონეზე განისაზღვრება, როგორც ინოვაცია. ე.ი. კრეატიულობა გვევლინება ინოვაციური პროცესების განმსაზღვრელ ფაქტორად იდეის განხორციელების სტადიაზე.

კიდევ ერთი კრეატიულობის კონცეფცია ეკუთვნის რ. სტერნბერგს. მან შემოგვთავაზა ე.წ. "ინვესტირების თეორია" (1985). კრეატიულობა მდგომარეობს "იმში, რომ ვიყიდოთ იდეები იაფად და გავყიდოთ ძვირად". "იაფად შეძენა" ნიშნავს, რომ გამოვიყენოთ არაპოპულარული, ნაკლებად ცნობილი იდეები. შემოქმედი პირი განავითარებს გარკვეული იდეებს, და "ყიდის მათ მაღალ ფასში." თუმცა, ეს მიდგომა გაკრიტიკებული იყო იმის გამო, რომ ნაწილობრივ, ნათელი არ იყო საიდან მოდიოდა ეს "არაპოპულარული იდეები." ეკონომიკური მიდგომის თავისებურებებს კრეატიულობის შესახებ მიეკუთვნება ასევე ის, რომ ეს არის პროდუქტიული, გააზრებული კრეატიულობა, რომელიც მიმართულია კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად. იგი დგას კონკრეტული ორგანიზაციის, რეგიონის ან ქვეყნის წინაშე. შედეგზე გამოხატული ორიენტაცია აგრეთვე წარმოადგენს ეკონომიკაში კრეატიულობის კვლევის დამახასიათებელ თვისებას. ამასთან, კრეატიულობა მაინც ასოცირდება ცალკეული ინდივიდების თვისებებთან.

კრეატიულობა ხელოვნური სისტემებთან მიმართებაში განისაზღვრება, როგორც ამ სისტემების კრეატიული პირების ჯამი. შესაძლო სინერგეტიკული ეფექტების წარმოშობა აღწერილია უკვე სხვა ტერმინების საშუალებით.

ძირითადი საკითხებს, რომლებიც შემუშავებულია კრეატიულობის ეკონომიკური კვლევის ფარგლებში მიკრო დონეზე მიეკუთვნება: ინდივიდუალური კრეატიულობის დეტერმინანტები; პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ და თავიდან აგვაცილებენ თანამშრომელთა კრეატიულობას ორგანიზაციაში (მათ შორის ორგანიზაციული კულტურის, სტრუქტურის კვლევა); პერსონალის კრეატიულობის განვითარების მეთოდები; მოთხოვნების გავლენა კრეატიულობაზე და თანამშრომლების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე; კრეატიულობის სფეროები ორგანიზაციის საქმიანობაში; კრეატიული საქმიანობის პროდუქტიულობის კრიტერიუმები და ეფექტურობა; ორგანიზაციის ინტელექტუალურ-კრეატიული კაპიტალის სტრუქტურა და შეფასება. მაკრო დონეზე განიხილება ისეთი საკითხები, როგორიცაა კრეატიული ეკონომიკის ჩამოყალიბების და ცვლილებების სტრუქტურა და მექანიზმები, მართვის მეთოდები. (ჩიქავა ლ., 2006).

კრეატიულობის თანამედროვე კვლევები ტარდება ცოდნის მრავალ სფეროში - ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში, პედაგოგიაში, სოციოლოგიაში, ეკონომიკაში, აგრეთვე ბიოლოგიაში და ტვინის გამოკვლევებში, კომპიუტერულ მეცნიერებებსა და რობოტოტექნიკაში, ნანოსისტემური ტექნიკის, ხელოვნური ინტელექტის შექმნაში და ა.შ.

ლიტერატურა:

1. Г. Григорянц, Э. Тофлер, Знание и власть в информационном обществе, Ереван: Зангак-97, 2006.
www.noravank.am/rus/articles/detail.php?ELEMENT
2. Mark A., Runco and Steven R. Pritzer. Encyclopedia of Creativity, Vol. 1. Academic Press, 1999.
www.geetham.net › ... › Amusement Park › Kids World
3. Simonton D.K.,. Origins of genius: Darwinian perspectives on creativity. Oxford University Press, 1999.
psychology.ucdavis.edu/simonton/dkspubs.html
4. Кораблева О.Н. и др. Знание и креативность – основные черты нового социума// Российское предпринимательство, № 2 (200) за 2012 , с. 64-71.
5. ჩიქავა ლ., ინოვაციური ეკონომიკა, სიახლე, თბ., 2006, გვ. 39-67.

რეზიუმე

ცოდნა ყოველთვის იყო ფუნდამენტური ღირებულება ყველა დროსა და ყველა კულტურაში. თანამედროვე საზოგადოებაში, რომელსაც უწოდებენ ინფორმაციულს, კავშირი ცოდნასა და საზოგადოებრივ პროცესს შორის კიდევ უფრო უშუალო და ხელშესახები გახდა. ცოდნის დომინირების შესახებ მოსაზრებები შეიძლება იცვლებოდეს. საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრესმა შესაძლებელი გახადა საზოგადოების ყველა სფეროში ცოდნის გავრცელება, ხელმისაწვდომობა, გავრცელება და გამოყენება. ამიტომაც საზოგადოების ინფორმაციზაცია ხელს უწყობს ცოდნის ეკონომიკის ან ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ჩამოყალიბებას. ცოდნის ეკონომიკის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: 1. მომსახურების სფეროს მაღალი წილი ეკონომიკაში. მაგალითად, აშშ ამ სფეროში 75%-ზე მეტი თანამშრომელია დაკავებული. 2. განათლებასა და სამეცნიერო კვლევებზე ხარჯების გაზრდა. 3. ქსელური ურთიერთობების განვითარება კორპორატიული და პერსონალური ქსელები სახით. 4. ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირება, მათ შორის ფუნდამენტური მეცნიერებების, ტრანსფერული ტექნოლოგიების, ვენჩურული ფონდების ინფრასტრუქტურის და ა.შ. 5. განათლების სფეროს განვითარება, როდესაც საშუალო განათლება გახდა საყოველთაო, და უმაღლესი განათლება მასიური, რომელმაც მოიცვა შესაბამისი ასაკის მოსახლეობის 60%, როდესაც რეალიზდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში უწყვეტი განათლების კონცეფცია. 6. სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია.

რაც შეეხება კრეატიულობას, ზოგადად შეიძლება განისაზღვროს როგორც ინტელექტუალური პროცესი, რომლის დროსაც ხდება ახალი იდეებისა და კონცეფციების ჩამოყალიბება, ან ახალი კავშირების დამყარება არსებულ იდეებსა და კონცეფციებს შორის. კრეატიულობის თანამედროვე კვლევები ტარდება ცოდნის მრავალ სფეროში - ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში, პედაგოგიაში, სოციოლოგიაში, ეკონომიკაში, აგრეთვე ბიოლოგიასა და ტვინის გამოკვლევებში, კომპიუტერულ მეცნიერებებსა და რობოტოტექნიკაში, ნანოსისტემური ტექნიკის, ხელოვნური ინტელექტის შექმნაში და ა.შ. ეკონომიკური მიდგომის თავისებურებებს კრეატიულობის შესახებ მიეკუთვნება ასევე ის, რომ ეს არის პროდუქტიული, გააზრებული კრეატიულობა, რომელიც მიმართულია კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად. იგი დგას კონკრეტული ორგანიზაციის, რეგიონის ან ქვეყნის წინაშე. შედეგზე გამოხატული ორიენტაცია აგრეთვე წარმოადგენს ეკონომიკაში კრეატიულობის კვლევის დამახასიათებელ თვისებას. სტატიაში განხილულია ეკონომიკაში სხვადასხვა მეცნიერთა დამოკიდებულება კრეატიულობის შესახებ, ახსნილია მისი როლი მიკრო და მაკრო დონეზე.

KNOWLEDGE AND CREATIVITY - PERSPECTIVE DEVELOPMENT OF NATIONAL ECONOMY

Leila Mamulashvili, Gori State Teaching University, Associate Professor

Izolda Gabadadze, Akaki Tsereteli State University

Ineza Tsereteli, Akaki Tsereteli State University

Vakhtang Gogisvanidze, LTD University Educational Center - a multi-college

SUMMARY

The knowledge was fundamental value in all cultures and at all times. In modern societies which generously call information, communication between knowledge and public processes became more direct and understandable 1. Opinions on an eyelid of domination of knowledge can differ. Rough progress of information technologies made possible a gain of knowledge, facilitated access to it, expanded possibilities of distribution and use of knowledge in all

spheres of public life. That is why information of society served formation of economy of knowledge or the economy based on knowledge. The main lines of economy of knowledge are the following. 1 the High share of a services sector in economy structure. For example, in the USA in this sphere over 75 % of all work. Growth of expenses for education and scientific researches 3. Development of the network relations in the form of corporate and personal networks. 4 Formation of the national innovative system including infrastructure of fundamental science, the centers of a transfer of technologies, venture funds etc. 5 Development of education when secondary education became general, and the higher education mass, covering to 60 % of the population of the corresponding age when the education concept during all life is realized. 6 Internationalization of economy of the various countries.

As to Creativity, as a whole it is possible to define as intellectual process during which there is a generation of new ideas and concepts or the adoption of new communications between existing ideas and concepts. Modern researches of creativity are carried out in many branches of knowledge – in philosophy, psychology, pedagogic, sociology, economy, and also biology and brain researches, informatics and a robotics, at creation of nano systems equipment, artificial intelligence, etc. That is the productive, intelligent creativity directed on the solution of specific objectives, facing the organization, the region or the country belongs to features of an economic approach to creativity also. The expressed orientation on result also is characteristic feature of researches of creativity in economy, etc. It is considered dependence by various scientists about creativity in economy, it is explained its role in micro and macro levels.

საგანმანათლებლო რეფორმების კვალდაკვალ: განათლების ეკონომიკის კვლევასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი

რუიზან მექვაბიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, დოქტორი
E-mail: gsu@grt.ge

განათლება ემსახურება ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნას, რის შედეგად იზრდება პროდუქტიულობა, რაც ხელს უწყობს რესურსების ზრდას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. განათლების მაღალი დონე ინდივიდის ინტელექტის დონესთან შესაბამისობაშია [1]. თუმცა, ამ შემთხვევაში, იგნორირებულია განათლების საინვესტიციო ღირებულება. განათლებაში ინვესტიციებიდან უკუგების ნორმის აღრიცხვამ ეკონომისტები ამ საუკუნის დასაწყისში დაინტერესა. განათლების მიხედვით ანაზღაურებაზე ეფექტის შეფასება გაკეთებულია სწავლაზე გაწეული გადასახადების მიხედვით სწავლის მოცემული დონისათვის. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მზარდმა განვითარებამ დააჩქარა გლობალიზაციის პროცესი და ხელი შეუწყო განათლების ტრანსფორმაციას [2], რომელიც თავის მხრივ, განათლების ეკონომიკის ტრანსფორმაციის საფუძველიც გახდა. განათლების ეკონომიკის შესწავლამაც ახალი აქტუალობა შეიძინა, მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა, შესასწავლად ახალი ხედვა მოითხოვა და დღეისათვის სწრაფად განვითარებადი მიმართულება გახდა.

განათლების ეკონომიკასთან მიმართებაში, სადისკუსიო და საკვლევ ამოცანებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა განათლების ტრანსფორმაციის შედეგების კვლევას თითქმის ყველა ქვეყანაში, რომელთა ანალიზისთვისაც აქტიურად გამოიყენება ეკონომიკური თეორია, ეკონომეტრიკა და ინსტიტუციური მიდგომა. სადისკუსიო და საკვლევ ამოცანების ძირითადი მიმართულებებია [3], [4]:

- ადამიანური კაპიტალის ფორმირების ფაქტორები;
- განათლებისა და ხელფასების ზრდის ურთიერთდამოკიდებულება;
- ინვესტიციები განათლებაში;
- ხელფასების უთანაბრობა;
- განათლებიდან უკუგების ნორმის დადგენა;
- მასწავლებლების შრომის ბაზრის ფორმირება მათ კვალიფიკაციასთან კავშირში;
- სახელმწიფოს სტანდარტებსა და განათლების ხარისხის ამღლებში საგანმანათლებლო ტექნოლოგიების როლი;
- საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფინანსური დამოუკიდებლობა;
- განათლების როლი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში;
- თანაფარდობა განათლებასა და ინდივიდის ხელფასებს შორის;

- უმაღლესი განათლების მიღებისათვის ფინანსური საშუალებას;
- განათლების როლი მობილურობასთან კავშირში;
- და კიდევ სხვა ამოცანები ერთობლივ კომპლექსში განხილული.

განათლების ტრანსფორმაციის პირობებში, განათლების ეკონომიკის შესწავლისადმი ახლებური მიდგომა დღის წესრიგში დადგა განათლების სისტემაში ახალი მიმართულებების დანერგვის გამო და, ბუნებრივია, ევროპამ და ამ სიახლესთან დაკავშირებულმა ქვეყნებმა განათლების ეკონომიკასთან დაკავშირებული ამოცანების შესწავლის ახალი მიდგომა და შედარებით გაფართოებული კვლევა მოითხოვეს. ეს ამოცანები, ძირითადად, დაკავშირებულია განათლებისადმი გლობალური მიდგომით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (სსტ) სწრაფი ზრდით, სსტ-ს გავლენით განათლების ხარისხის ამაღლებაზე და მისგან გამომდინარე და მასთან დაკავშირებულ საკითხებთან. ეს არა თუ აუბრალოებს იმ ამოცანების კვლევის აქტუალობას, რომლებიც მანამდეც მკვლევარების ფართო ინტერესს იწვევდა განათლების ეკონომიკაში. განათლების ეკონომიკასთან დაკავშირებულმა ამოცანების კვლევამ ახალი ხედვა, კვლევისადმი ახალი მიდგომა და ახალი მეთოდების გამოყენება მოითხოვა. არცერთ ქვეყანაში ინტერესი ამ ამოცანების კვლევის მიმართ არასდროს არ შენელებულა.

წარმოდგენილი ნაშრომი მიმართულია იმ ამოცანების ანალიზისაკენ, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში მყოფი ქვეყნებისათვის დღესაც მნიშვნელოვანია და კვლევას ექვემდებარება. საქართველოსათვის ეს ამოცანები ახლა დგება დღის წესრიგში, თუმცა ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, სხვა სოციალისტური ქვეყნები) ეს ამოცანები საბჭოთა კავშირის დაშლიდან უფრო ადრე დაიწყო.

ლოგიკურია, მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა და რამდენად აწუხებს განათლების ეკონომიკასთან დაკავშირებული ამოცანების გადაჭრა სახელმწიფოებს, რომლებიც დიდი ხანია, რაც მათ ეკონომისტებს აწუხებთ და იკვლევენ. ანუ რეალურად შევხედოთ და გავიაზროთ ამ ამოცანების სირთულე და გადაჭრის შესაძლებლობები და დღის წესრიგში დავაყენოთ ის ამოცანები, რომლებიც ადამიანების კეთილდღეობასთანაა დაკავშირებული და ადამიანური კაპიტალის ფორმირებას უწყობს ხელს, თუმცა არ არსებობს მეტად ან ნაკლებად მნიშვნელოვანი ამოცანები, რომლებიც უკავშირდება ადამიანების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მათ კეთილდღეობას. უფრო ზუსტად, ნაშრომში, ამ ეტაპზე, შემოთავაზებულია ძირითადი ლიტერატურის ანალიზი დღევანდლამდე, რათა გაეცეს პასუხი შემდეგ კითხვებს:

- რა პრობლემებია დღეს მსოფლიოს წარმატებულ ქვეყნებში განათლების ეკონომიკასთან მიმართებაში?
- რა პრობლემები შეექმნათ მსოფლიოს წარმატებულ ქვეყნებს განათლების ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით.
- რატომ გამოქვეყნდა 2006 წლის 12 ივნისს, Nesweek -ში “Europe’s Failing Schools“ და რამდენად შეესაბამებოდა ის რეალობას, მიუხედავად იმისა, რომ 2000 წლიდან, აღნიშნულ პრობლემებთან მიმართებაში, შესწავლისა და კვლევის თვალსაზრისით, ნელი, მაგრამ მყარი სტარტი აიღო ევროპამ, რაზედაც მიუთითებს ის სიმპოზიუმები, რომლებიც 2004 წლიდან ტარდება ევროპის ქვეყნების დედაქალაქებში [5],[6],[7]. [8], [9],[10].

[http://www.eenee.de/portal/page/portal/EENEEView/_generische_page_eenee?content=eenee-past.htm&language=us]

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ სიმპოზიუმებს წინ უსწრებდა კვლევითი პროექტები, რომლებიც ევროკომისიამ დააფინანსა და რომელთა კვლევის საგანი განსხვავებული იყო ერთმანეთისაგან. პროექტების ჩარჩოებში მრავალი საინტერესო პუბლიკაცია მომზადდა, მაგრამ მათგან რამდენიმეს განვიხილავთ, რომლებიც უშუალოდ განათლების ეკონომიკაზე მოქმედ მნიშვნელოვან ფაქტორებს უკავშირდება, რადგან სწორედ ამ კვლევითი პროექტების შედეგების საფუძველზე ჩამოყალიბდა ევროპული განათლების ეკონომიკის ექსპერტთა ქსელი.

1. **ხელფასებზე განათლების გავლენის ემპირიული შეფასება** ევროპის სხვადასხვა შრომის ბაზრების მიხედვით 2001 წელს [11]. სახელმწიფო ფინანსური დახმარების სხვადასხვა სისტემების გავლენა განათლებაზე და და მათზე დაკვირვება შრომის ბაზარზე უკუგებისა და შემოსავლების უთანაბრობის შესწავლის მიზნის მისაღწევად მიმდინარეობდა ამ ამოცანის კვლევა ეროვნულ დონეზე, რომელიც მოიცავდა ინფორმაციის მიღებასა და ანალიზს განათლებაში ხელფასის შესახებ. პროექტში მონაწილეობდა ევროპის 15 ქვეყანა: ავსტრია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ჰოლანდია, ნორვეგია, პორტუგალია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია და დიდი ბრიტანეთი. პროექტის ბაზაზე შესანიშნავი ფინალური ანგარიში წარადგინა მკვლევართა ჯგუფმა

მონაცემთა ბაზებითა და შესაბამისი შედეგების ანალიზით მონაწილე ქვეყნების მიხედვით 2001 წელს. პროექტის ხანგრძლივობა 2 წელს შეადგენდა (ნოემბერი 1998 – 01 ოქტომბერი 2000).

2. **განათლება და ხელფასების უთანაბრობა ევროპაში** [12]: სამეცნიერო კვლევითი სამუშაო ითვალისწინებდა განათლებასა ხელფასის უთანაბრობაში გარკვევასა და მის შეფასებას, რისთვისაც შესწავლას ექვემდებარებოდა: სტრუქტურა და ცვლილებები ხელფასის უთანაბრობაში ევროპული ქვეყნების ჩარჩოებში შესადარებელი მონაცემთა ბაზის გამოყენებით, საგანმანათლებლო სისტემები და შრომის ბაზრის ინსტიტუტები. ამ ჩარჩოების საზღვრებში ამოცანა მოიცავდა შემდეგ მიზნებს: განათლებასა და ხელფასის უთანაბრობის შესახებ არსებული ლიტერატურის ამომწურავი მიმოხილვა, რომლის მიხედვითაც დადგინდებოდა თანამედროვე მდგომარეობა ამ მიმართულებით; ევროპაში ხელფასის უთანაბრობის დრმა ანალიზი მისი სტრუქტურისა და ცვლილების მიხედვით, მისი სტატისტიკური და დინამიკური ბუნების შესასწავლად; განათლებისა და ხელფასის ურთიერთკავშირის არსის გაგება ევროპის ჩარჩოებში ევროპის ქვეყნებს შორის; მეთოდებისა და მეთოდოლოგიის დამუშავება ანალიზისათვის. პროექტში ჩართული იყო ევროპის 9 ქვეყანა: ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, იტალია, ნორვეგია, პორტუგალია, შვედეთი, და დიდი ბრიტანეთი. პროექტის ხანგრძლივობა ნოემბერი, 2002 – ნოემბერი, 2005.

კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობისათვის შესაძლოა პროგრამა „მინიმუმისა“ და „მაქსიმუმის“ შემუშავება. პირველი ითვალისწინებს პოტენციურ დამსაქმებლებთან უკუკავშირის დამყარებას და მის შენარჩუნებას, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა დასაქმებას და უნივერსიტეტის იმიჯის ამაღლებას. ხოლო პროგრამა „მაქსიმუმი“ ითვალისწინებს დამსაქმებლებისგან გარკვეული სახსრების მიღებას განვითარებაზე.

ვფიქრობთ, ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები, დასკვნები და რეკომენდაციები მოკრძალებულ წვლილს შეიტანენ განათლების მარკეტინგის მთავარ კითხვებზე პასუხის გასაცემად: ვის ვასწავლოთ?, რატომ უნდა ვასწავლოთ?, ვინ ასწავლოს? სად? და როგორ ვასწავლოთ?

ლიტერატურა:

1. „საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდება“, USAID, 2011.
2. „დასაქმების პროექტი“, USAID, 2010–2012.
3. „რეგიონული შრომის ბაზრის კვლევები“, ILO/GIT (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და მიზნობრივი ინიციატივები საქართველოში), 2012 . და სხვა.
4. „შრომის ბაზრის ანალიზი“, ლტოლვილთა დანიის საბჭოს კვლევები, 2012.
5. Ченцов А., О бизнесе образовательных услуг ; М., 2007.
6. www.Job.ge;
7. www.jobs.ge;
8. www.ge

რეზიუმე

უკანასკნელი 5–7 წლის მანძილზე საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ძლიერი კონკურენციაა როგორც საჯარო, ასევე კერძო უნივერსიტეტებს შორის. ერთი შეხედვით, თითქოსდა ყველა აკრედიტებულმა უნივერსიტეტმა იპოვა თავისი ნიშა და ერთგვარად დაიმკვიდრა ადგილი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე. მაგრამ, სტრატეგიული ხედვიდან გამომდინარე, ეს მხოლოდ დასაწყისია და ბაზარზე კონკურენტის სახელის დასამკვიდრებლად კი თითოეულმა უნდა იბრძოდოს საკუთარი რესურსებიდან გამომდინარე. ამ დროს, სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდებიან სწორედ ის უმაღლესი სასწავლებლები, რომელთაც საკმაოდ კარგი გრძელვადიანი სტრატეგია ექნებათ შემუშავებული და ასევე წარმატებით განახორციელებენ მის მენეჯმენტს. ეს უკანასკნელი კი, თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, მაღალი დონის მარკეტინგულ მართვას მოითხოვს. სწორედ აქედან გამომდინარეობს განათლების მარკეტინგის საჭიროება და უფრო მეტიც, აუცილებლობა.

ნაშრომში გაანალიზებულია საგანმანათლებლო სფეროს მარკეტინგის მნიშვნელოვანი ასპექტები: დაფინანსების საკითხი; მარკეტინგის სუბიექტები; მარკეტინგის ობიექტი; სასაქონლო პოლიტიკის პრობლემები; საფასო პოლიტიკის პრობლემები; დისტრიბუციის პრობლემები; კომუნიკაციის პრობლემები; მომხმარებლის შერჩევის პრობლემები;

ნაშრომში ასევე განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: საუნივერსიტეტო ცხოვრება და მარკეტინგული კვლევები; უნივერსიტეტის გარეთ მასშტაბური ღონისძიებების მოწყობა; საგანმანათლებლო სტრუქტურის მნიშვნელოვანი უპირატესობები და სხვ.

პრობლემის გაანალიზებისა და მიზეზ–შედეგობრივი შეფასების საფუძველზე, ავტორების მიერ შემოთავაზებულია საგანმანათლებლო სფეროს მარკეტინგის საუნივერსიტეტო მოდელი.

MARKETING ISSUES AND THEIRS SOLVING WAYS IN GEORGIAN EDUCATIONAL SPHERE

Lali Chagelishvili, Guram Tavartkiladze Teaching University, Full Professor
Koba Chagelishvili, Guram Tavartkiladze Teaching University, Associated Professor
SUMMARY

There is strong competition for last 5-7 years in Georgian educational sphere. From the simple look we can consider that educational universities state and private, both, found there own niche and took their competitive segment in the educational market but from strategic point of view it is not thru. It is just start up. Each university should straggle for the competitive position based on theirs recourses. In this straggle winner will be that who will have long term strategy and will have strategic management and this approach will require marketing management, which will be necessary in total educational sphere.

In article are covered by authors following issues, financing, product policy, distribution system, communication problems and etc, there is also covered issues referring advantages of educational structure, marketing researches approaches, university internal life and managing different university events.

Based on above listed issues in article by the authors suggested university marketing model in total educational sphere.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ძირითადი კონცეფციები

ხალიანა ჩიტაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: chitadze.xaliana@gmail.com

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ აუცილებელი გახადა ყველა საქმიანი ორგანიზაციების მართვა განხორციელებულიყო ზუსტი ბუღალტრული და ფინანსური პროცედურების დაცვით. ყოველივე ამას ხელი შეუწყო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვამ და დამკვიდრებამ საქართველოში, რითაც უამრავ ადამიანს მიეცა საშუალება შეესწავლა და დაუფლებოდა ბუღალტრული აღრიცხვის ცოდნას ახალი პრინციპებითა და მეთოდებით.

აღრიცხვა გამოიყენება, როგორც ინფორმაციული სისტემა, სადაც ხდება ბიზნესის მონაცემთა დამუშავება. საბუღალტრო აღრიცხვა, რომელიც წარმოადგენს საწარმოს საქმიანობისა და მისი ფინანსური შედეგების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, განზოგადების და წარდგენის საშუალებას, საშუალებას იძლევა შეფასდეს წარსული განვითარების შედეგები, დღევანდელი მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები. იმისთვის, რომ სწორად შეფასდეს საწარმოს საქმიანობა, მოხდეს საბოლოო შედეგების ჩაწერა და შეფასება, აუცილებელია ზუსტი ფინანსური ანგარიშგების შედგენა, რომლის მიზანია მომხმარებელმა მიიღოს სწორი ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის ეფექტიანობის და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ, რომელიც დაეხმარება მათ სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.

ფინანსურ ინფორმაციას მრავალი მომხმარებელი ჰყავს, ესენი არიან: არსებული და პოტენციური ინვესტორები, დაქირავებული მუშაკები, კრედიტის გამცემები, მომწოდებლები და სხვა სავაჭრო კრედიტორები, მთავრობები და მათი უწყებები, საზოგადოება. ყოველ მათგანს კონკრეტული მოთხოვნილება გააჩნია ფინანსური ინფორმაციის მიმართ და ეს მოთხოვნილებები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. წარმოდგენელია ყველა ფინანსური ინფორმაციის ერთიანი უწყისის ფორმატში თავმოყრა და ასეთი სახით მომხმარებლისათვის მიწოდება. ამასთან, კონკურენციის პირობებში, არამიზანშეწონილია ისეთი ინფორმაციის გახსნა, რომელიც მხოლოდ მმართველობით ხასიათს ატარებს. ამიტომ, წინასწარ განისაზღვრება რა ფორმის, შინაარსისა და მოცულობის ინფორმაცია აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად საწარმოს საქმიანობის მისი საბოლოო შედეგების შეფასების და ჩაწერის სისტემა. ფინანსური ანგარიშგება ასევე გვიჩვენებს საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მათთვის მინდობილი რესურსების მართვის შედეგებს. ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ინფორმაცია საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების, მოგებისა და ზარალის და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ.

ფინანსური ანგარიშგების მიზანია, ინფორმაციის მომხმარებლებს დაეხმაროს ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის ცვლილების შესახებ საიმედო ინფორმაციის მიწოდებით. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს აინტერესებთ ინფორმაცია საწარმოს მდგომარეობის შესახებ, რომელიც, როგორც წესი, მოიცავს საწარმოს აქტივებს, ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალს. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მომხმარებელს შეუძლია დაადგინოს საწარმოს ფინანსური სტრუქტურა, ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა, აგრეთვე ეკონომიკური გარემოს ცვლილებებთან შეგუების უნარი.

ფასს-ით დადგენილია ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის კომპონენტები და ელემენტები. ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ - შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი უნდა მოიცავდეს: ბალანსს, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას, ანგარიშგებას საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა, ასევე სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილები ურთიერთკავშირშია იმ თვალსაზრისით, რომ ასახავენ ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების სხვადასხვა ასპექტს. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ანგარიშგება შეიცავს სხვა ანგარიშგებისაგან განსხვავებულ ინფორმაციას, არც ერთი მათგანი არ ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს და ვერც მომხმარებელთა კონკრეტული საინფორმაციო მოთხოვნების სრული დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საფუძვლად უდევს ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდი. ამ მეთოდის თანახმად სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე და, ამდენად, არ უნდა ველოდოთ ფულის მიღებას და გადახდას. ამასთან ისინი გატარდება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტში და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებში, რომელსაც განეკუთვნება. გამონაკლისს წარმოადგენს ინფორმაცია ფულადი საშუალებების შესახებ.

დარიცხვის მეთოდით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მომხმარებელს გააცნობს არა მხოლოდ წარსულ სამეურნეო ოპერაციებს, რომლებიც მოიცავს ფულადი საშუალებების გადახდასა და მიღებას, არამედ მომავალში გასანადგებელ ვალდებულებებსა და მომავალი პერიოდის მოთხოვნებსაც. დარიცხვის მეთოდის თანახმად, შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის გაყიდვის და მომსახურების გაწევისთანავე, ხარჯების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მათ აქვთ ადგილი.

დარიცხვის მეთოდის გამოყენების დროს აუცილებელია შემოსავლებსა და ხარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპის დაცვა. შემოსავლების აღიარების დროს უნდა ვაღიაროთ ის ხარჯები, რომლებიც გაწეულია ამ შემოსავლების მისაღებად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს, ჩვეულებრივ იგულისხმება, რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას გააგრძელებს უახლოეს საპროგნოზო მომავალშიც. ხოლო თუ საწარმო აპირებს თავისი საქმიანობის შეწყვეტას, ან მისი მასშტაბების საგრძნობლად შემცირებას, ან არსებობს ამის აუცილებლობა, მაშინ ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს სხვა საფუძველზე, რომელიც აღწერილი იქნება ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით ნაწილში.

ფინანსური ანგარიშგება, მზადდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღის თარიღით. საანგარიშგებო პერიოდად განიხილება წელი 12-თვიანი პერიოდით. საანგარიშგებო წელი შეიძლება არ ემთხვეოდეს კალენდარულ წელს, თუმცა, უფრო ხშირად, იგი კალენდარულ წელს მოიცავს. ფასს განსაზღვრავს სწორედ წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადების წესებს.

ფინანსური ანგარიშგების შედგენა უნდა მოხდეს საანგარიშგებო წლის დამთავრებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში. სამეწარმეო კანონმდებლობა და ფასს არ მოითხოვს სხვა სახის ანგარიშგების წარდგენას. თუმცა, ზოგიერთ საწარმოს წინაშე ასეთი ვალდებულება შესაძლებელია წარმოიშვას სხვა კანონმდებლობით.

როგორც აღვნიშნეთ, ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი ბალანსთან ერთად მოიცავს მოგება-ზარალის ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას და ახსნა-განმარტების ბარათს. ბიზნესში საქმიანი ორგანიზაციების ორ უმთავრეს მიზანს საოპერაციო მოგების მიღება და გადახდის უნარიანობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ბიზნესის მომგებიანობაზე სრულ წარმოდგენას გვაძლევს მოგება-ზარალის ანგარიშგება, ხოლო გადახდის უნარიანობაზე მეტ-ნაკლები წარმოდგენა ბალანსის მეშვეობით გვექმნება. მისი საშუალებით შეუძლებელია გადახდის უნარიანობის შეფასებისათვის აუცილებელია ისეთი მახასიათებლების განსაზღვრა, როგორებიცაა: ფულადი შემოსავლებისა და გასავლების სიდიდეები, ფულადი სახსრების ნაკადების სტრუქტურა, არაფულადი ინვესტირებისა და ფინანსების მნიშვნელობები და სხვა.

აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად საქმიანი საწარმოები ადგენენ მესამე მნიშვნელოვან ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც გვიჩვენებს საწარმოს ფულადი სახსრების და მისი ექვივალენტების მიღების წყაროებსა და გამოყენებას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, რომელიც ახასიათებს საწარმოს საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის ზემოქმედებას ფულადი რესურსების მდგომარეობაზე გარკვეულ საანგარიშგებო პერიოდში. იგი საშუალებას იძლევა განიმარტოს მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში. იგი საშუალებას იძლევა განიმარტოს მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში ფულადი სახსრების ცვლილებების მიზეზები.

ნაშრომში კვლევის ჩატარების მიზანია საქართველოში საწარმოთა მიერ გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის გაანალიზება ბალანსის, მოგება-ზარალის ანგარიშგების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების და ახსნა-განმარტებითი ბარათის შედგენისას. ფინანსური ანგარიშგების საშუალებით უფრო თვალსაჩინო გახდეს საწარმოს, ფირმის, კომპანიის, კორპორაციის საქმიანობა მისი საბოლოო შედეგების, ჩაწერა და შეფასება.

იმისათვის, რომ სწორად შეფასდეს საწარმოს საქმიანობა, მოხდეს საბოლოო შედეგების ჩაწერა და მათი განზოგადება ფულად ფორმაში, აუცილებელია ზუსტი ფინანსური ანგარიშგების შედგენა. აღნიშნული ფინანსური უწყისები ძალიან მნიშვნელოვანია გრძელვადიანი ფინანსური დაგეგმარებისათვის, რომელთა მეშვეობით ხდება კომპანიის სამომავლო ფინანსური სტატუსის განსაზღვრა.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ საქართველოში სულ რამოდენიმე საქმიანი საწარმო თუ კომპანია აკეთებს ფულის მიმოქცევის უწყისს, როცა ყველა ბიზნესმენი დაინტერესებული უნდა იყოს, თუ საიდან და რა ოპერაციების შედეგად გაუჩნდა მას ფული ბალანსის უწყისში. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ინვესტიორებს, კრედიტორებს და სხვა დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების შესაფასებლად, როგორებიცაა: საწარმოს უნარი ფულადი სახსრებით გამომუშავებაზე, საწარმოს უნარი დაფაროს ვალდებულებები და გასცეს დივიდენდები, წმინდა მოგებასა და ფულადი სახსრების წმინდა ცვლილებას შორის განსხვავების მიზეზებზე, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს საინვესტიციო და საფინანსო მოღვაწეობის ფულად და არაფულად ასპექტებზე და ა.შ.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების შედგენას საქმიანი ორგანიზაციები ახდენენ არა სპეციალური ანგარიშებიდან, არამედ ანგარიშებისათვის საჭირო ინფორმაციის მიღებას ახდენენ მთავარი სააღრიცხვო წიგნის საბალანსო და მოგება-ზარალის ანგარიშგებათა ანგარიშების საშუალებით. ამის მიზეზი არის ისიც, რომ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება არ შეიძლება მომზადდეს დარიცხვის მეთოდით (ამ წესით მზადდება ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიშგება), რამდენადაც ის მზადდება საკასო მეთოდით.

ამრიგად ჩვენ განვიხილეთ ფინანსური ანგარიშგება და ჩავატარეთ კვლევა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს საწარმოს, ფირმის, კომპანიის, კორპორაციის საქმიანობის, მისი საბოლოო შედეგების, ჩაწერის და შეფასების სისტემას. ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მისი შედგენა აუცილებელია ყველა საწარმოსათვის. ფინანსური ანგარიშგების მიზანია, ინფორმაციის მომხმარებლებს დაეხმაროს ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის ცვლილების შესახებ საიმედო ინფორმაციის მიწოდებით.

ლიტერატურა:

1. იაკობ მესხია, დავით ჯალაღონია „ბუღალტრული აღრიცხვა“, 2006.
2. ხალიანა ჩიტაძე, „ბუღალტრული აღრიცხვის თეორიული საფუძვლები,“ გორი, 2009.
3. გიორგი ნანუაშვილი, სოფიკო ნანუაშვილი, „ფინანსური აღრიცხვა, საერთაშორისო სტანდარტებითა და კომენტარებით“, ნაწილი I, თბ., 2007.
4. ანჟელი ხორავა, ნადია კვატაშიძე, ნანა სრესელი, ზეინაბ გოგრიჭიანი, ბუღალტრული აღრიცხვა-თეორია, ფინანსური აღრიცხვა, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, თბ., 2004.

ინტერნეტ-რესურსები:

www.economists.ge
www.manajment.ge
www.strategy.ge
www.pbo.ge
[http:// bisnesi- cigni.ucoz.ru](http://bisnesi-cigni.ucoz.ru)

რეზიუმე

ჩვენს მიერ განხილულ ნაშრომში „ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ძირითადი კონცეფციები“ ჩამოყალიბებულია ფინანსური ანგარიშგების არსი. ჩვენ განვიხილეთ ფინანსური ანგარიშგება. ფინანსურ ინფორმაციის მომხმარებლები: არსებული და პოტენციური ინვესტორები, დაქირავებული მუშაკები, კრედიტის გამცემები, მომწოდებლები და სხვა სავაჭრო კრედიტორები, მთავრობები და მათი უწყებები, საზოგადოება. ყოველ მათგანს კონკრეტული მოთხოვნილება გააჩნია ფინანსური ინფორმაციის მიმართ და ეს მოთხოვნილებები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. წარმოდგენელია ყველა ფინანსური ინფორმაციის ერთიანი უწყისის ფორმატში თავმოყრა და ასეთი სახით მომხმარებლისათვის მიწოდება. ამასთან, კონკურენციის პირობებში, არამიზანშეწონილია ისეთი ინფორმაციის გახსნა, რომელიც მხოლოდ მმართველობით ხასიათს ატარებს. ამიტომ, წინასწარ განისაზღვრება რა ფორმის, შინაარსისა და მოცულობის ინფორმაცია აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგება ასევე გვიჩვენებს საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მათთვის მინდობილი რესურსების მართვის შედეგებს. ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ინფორმაცია საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების, მოგებისა და ზარალის და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ.

იმისათვის, რომ სწორად შეფასდეს საწარმოს საქმიანობა, მოხდეს საბოლოო შედეგების ჩაწერა და მათი განზოგადება ფულად ფორმაში, აუცილებელია ზუსტი ფინანსური ანგარიშგების შედგენა. აღნიშნული ფინანსური უწყისები ძალიან მნიშვნელოვანია გპელვადიანი ფინანსური დაგეგმარებისათვის, რომელთა მეშვეობით ხდება კომპანიის სამომავლო ფინანსური სტატუსის განსაზღვრა. ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მისი შედგენა აუცილებელია ყველა საწარმოსათვის. ფინანსური ანგარიშგების მიზანია, ინფორმაციის მომხმარებლებს დაეხმაროს ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის ცვლილების შესახებ საიმედო ინფორმაციის მიწოდებით.

ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც წესი, წარმოდგენილია მხოლოდ გასული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგები. იგი ხშირად არ მოიცავს არაფინანსურ ინფორმაციას. ამიტომ ფინანსური ანგარიშგება არ იძლევა მომხმარებლისათვის გადაწყვეტილების მისაღებად ამომწურავ ინფორმაციას, მაგრამ მაინც პასუხობს მომხმარებელთა უმრავლესობის საერთო მოთხოვნებს.

THE PREPARING OF FINANCIAL ACCOUNTS AND THE PRESENTATION OF MAIN CONCEPTIONS

Khaliana Chitadze, Gori State Teaching University, Associate Professor

RESUME

The being of financial accounts is formed in our discussed work " The preparing of financial accounts and the presentation of main conceptions."

We have discussed financial accounts. The users of the information: the existed and potential investors, the wage-earners, creditors, givers and the other trading creditors, government and their notifications, society. Towards the information and the demands each of them has their necessities and they are different.

It is unimaginable to gather all financial information in one summons and to give it to users like this form. Also, in the condition of the competition, it is unsuitable to open such kind of information, which only bears the disposition of a manager. That is why, it is premeditates what kind of form and content, and size will be reflected in financial accounts. The financial accounts also shows us the results of governed resources by the industrial manger. The industrial assets, obligations, own capital, income and expenses, winning and losing and sources of moving money are also shown in the accounts.

In order to state the order of the enterprise work , and to happen and to write the financial results and to generalize them in one form of money, it is important to form the exact financial accounts. The marked financial accounts is very importanta to form a long-term financial accounts credit. By the help of this accounts we can define the future financial actions of the company. To prepare and form the financial accounts , is important for all enerpises.

The aim of financial accounts is to help the information users to discuss economic problems in financial conditions. It will be done by the reliable information about the results of work and of financial changes.

As a rule, in financial accounts only are shown the account results of the last period. It does not often include the non-financial information. So financial accounts does not give the ability, i ti discuss the exhaustive information for users, but it answers the common demands of the users' majority.

საგადასახადო სისტემის ჰარმონიზაცია ქართულ და ევროპულ კანონმდებლობაში

თეა ხორგუაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: tkhorguashvili@yahoo.com

მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში ქმედითუნარიანი, ოპტიმალური, მსოფლიო საგადასახადო სისტემის შექმნის მიზნით მეტად მნიშვნელოვანია მისი თანამედროვე მდგომარეობის სტრუქტურული შესწავლა.

2005-2011 წლებში საბიუჯეტო შემოსავლების საგრძნობი ზრდის მიუხედავად, ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ტემპით ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა დღგ-ს სტრუქტურაში ეროვნული ეკონომიკიდან მიღებული შემოსავლები, რაც ძირითადად სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ვაჭრობისა და კავშირგაბმულობის დარგების ხარჯზე იქნა მიღწეული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო ორგანოსთან შედარებით (35-40%) იმპორტიდან დღგ-ს დაბეგვრით მიღებული მაღალი შემოსავლები (60-65%) ქვეყანაში დარგების დონის არასაკმარისობაზე მიუთითებს (საქართველოს საპარლამენტო და საბიუჯეტო ოფისის ვებ გვერდი www.pbo.ge). დამატებული ღირებულების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში მაღალი ხვედრითი წილის გადასახადია, ამ სახის გადასახადს დღეისათვის მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში იყენებენ და საგულისხმოა, რომ საგადასახადო სისტემაში ამ გადასახადის არსებობა ევროკავშირში სახელმწიფოს შესვლის სავალდებულო პირობად არის მიჩნეული. დღგ-ს ხშირად ევროპულ გადასახადსაც უწოდებენ და მისი წევრი ქვეყნები ერთობლივ ფონდში ყოველწლიურად გადარიცხავენ მათ ტერიტორიაზე ამოღებული აღნიშნული გადასახადიდან მიღებული შემოსავლების ერთ პროცენტს.

ბიუჯეტში ნავთობპროდუქტების დაბეგვრით მიღებული შემოსავლები ყოველწლიურად საშუალოდ 110 მლნ. ლარს აღემატება, რაც მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 14 %-ს შეადგენს. ამდენად ამ პროდუქციის აღრიცხვისა და საგადასახადო არეალში მოქცევის შესახებ გადაწყვეტილებას ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სწორედ აქტიური საქონლის და უპირველეს ყოვლისა, ნავთობპროდუქტების დაბეგვრის სრულყოფის გზით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი საგადასახადო შემოსავლების სტაბილურობა და ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულება (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ გვერდი www.mof.ge). საზღვარგარეთის ქვეყნებში დღეისათვის მიმდინარეობს საგადასახადო სისტემის ძირითადი მაჩვენებლების და ეროვნული საგადასახადო სამართლის ჰარმონიზაცია. საგადასახადო სისტემების ჰარმონიზაცია ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი ქვეყნების საგადასახადო კანონმდებლობის შეთანხმების პროცესში ვლინდება. ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, შემოღებული იქნა დღგ-ს ახალი საგადასახადო რეგულირება, რომელიც ითვალისწინებდა ამ გადასახადის გამომწვანებისა და გადახდის პრინციპების უნიფიკაციას, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების განხორციელებისას ერთიანი წესების შემოღებას, ასევე საგადასახადო განაკვეთების დონის მიახლოებას.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები დიფერენცირებულია და მათი სპეციფიკა დამოკიდებულია ქვეყანაში მოქმედ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ პირობებზე. ევროპის ქვეყნები ცდილობენ მოახდინონ საგადასახადო სისტემების ჰარმონიზაცია. ამის მცდელობა პირველად დაფიქსირებულ იქნა რომის 1997 წლის 25 მარტის შეთანხმებით. ეს ფაქტიურად ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის შექმნას ნიშნავდა, რომელშიც თავდაპირველად დიდი ბრიტანეთი, იტალია, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, ბელგია, საბერძნეთი, ნიდერლანდები, პორტუგალია, დანია, ირლანდია და ლუქსემბურგი გაერთიანდა. თავიდან საგადასახადო სისტემების უნიფიკაცია მხოლოდ საბაჟო სისტემას შეეხო, ხოლო შემდგომში ევროპის ერთიანი საფინანსო პოლიტიკის გატარების ფარგლებში ჩამოყალიბდა. დღეისათვის ევროპის ქვეყნების საგადასახადო სისტემები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ისინი მნიშვნელოვნად დაახლოებულია ერთმანეთთან, ასე რომ შეიძლება ითქვას რომ გეგმა ჰარმონიზაციის შესახებ წარმატებითაა განხორციელებული და თანამედროვე ეტაპზე ხდება მისი სრულყოფის გზების ძიება.

კანონმდებლობათა დაახლოება საგადასახადო სფეროში შემოიფარგლება არაპირდაპირი გადასახადებთან დაკავშირებული დებულებებით, ვინაიდან პირდაპირი გადასახადები ევროკავშირის ფარგლებშიც არ არის ჰარმონიზებული. ჰარმონიზაცია მიზნად ისახავს ევროკავშირსა და

საქართველოს შორის ეკონომიკური კავშირების გაძლიერებისათვის მსგავსი საკანონმდებლო გარემოს შექმნას ქართულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის გზით. პირველ ეტაპზე დამატებული ღირებულების გადასახადის სისტემის ჰარმონიზაცია პრიორიტეტულად ითვლება სხვა არაპირდაპირ გადასახადებთან მიმართებაში შემდეგი მიზეზების გამო:

1. დღგ არის ფართო ბაზის მქონე გადასახადი და იგი გავლენას ახდენს ეკონომიკური სუბიექტების უმრავლესობაზე. დღგ-ს სისტემის გაუმჯობესება დადებით შედეგს მოიტანს კონკურენციის პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით და შესაბამისად აამაღლებს მთელი ეკონომიკის ეფექტიანობას.

2. დღგ-დან მიღებული შემოსავლები საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლის წყაროა და დღგ-ის სისტემის გაუმჯობესება მეტ შედეგს მოიტანს შემოსავლების თვალსაზრისით ვიდრე სხვა გადასახადები.

3. დღგ-ს სისტემის ჰარმონიზაცია ნაკლებ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, რადგანაც მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვს, მაშინ, როცა აქციზის ჰარმონიზაციას ესაჭიროება სპეციალური საგადასახადო სასაწყობო სისტემის შექმნა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან დღგ-ს კანონმდებლობის ჰარმონიზაციისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი პრიორიტეტები:

1. კონკურენციის დარღვევის პრევენციის თვალსაზრისით ის დებულებები, რომლებიც გავლენას ახდენს ეკონომიკური საქმიანობის ფართო სპექტრზე, პრიორიტეტულად უნდა ჩაითვალოს იმ დებულებებთან შედარებით, რომლებიც ეხება ინდივიდების ან სპეციფიკური მცირე მოცულობის საქმიანობას. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვანია საგადასახადო შემოსავლების ზრდის თვალსაზრისითაც.

2. დღგ-ს სისტემის კომპონენტების ჰარმონიზაცია, რომლებიც სათანადოდ ვერ ფუნქციონირებს საქართველოს საგადასახადო სისტემაში, უნდა ჩაითვალოს პრიორიტეტად. ასეთი კომპონენტების ჰარმონიზაცია, გარდა ჰარმონიზაციის ზოგადი მიზნისა, საქართველოს ეკონომიკას მისცემს შესაძლებლობას მიიღოს დამატებითი დადებითი ეფექტი როგორც გაზრდილი საგადასახადო შემოსავლების თვალსაზრისით, ასევე საქართველოს ბაზარზე არსებული ეკონომიკური სუბიექტების ფუნქციონირებისათვის ბარიერების გაუქმებით და ჯანსაღი ბიზნესგარემოს შექმნით. ეს ძირითადად ეხება სპეციალური სქემების გამოყენებას მცირე ბიზნესისა და ფერმერებისათვის. სტრუქტურული კრიტერიუმი ასევე მოიცავს იმ სფეროებს, სადაც ქართული და ევროპული კანონმდებლობით გამოთვლილი გადასახადების ოდენობა ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ მიღწევის გზები სხვადასხვაა.

გარკვეული პროგრესი ქართული და ევროპული კანონმდებლობის ჰარმონიზაციაში უკვე მიღწეულია. დღგ ჰარმონიზებულია ევროპულ დონეზე, ქართული საგადასახადო სისტემის განუყოფელი ნაწილი და ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყაროა. დღგ-ს განაკვეთი იმ ჩარჩოებში ჯდება, რომლებსაც აწესებს ევროპული კანონმდებლობა, თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავებებია საგადასახადო შეღავათებსა და გადასახადის გამოთვლის მეთოდებში.

ქართული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით აუცილებელია გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. მიზანშეწონილია დღგ-ს ჩათვლისა და დაბრუნების სისტემის შესაბამისობაში მოყვანა მეექვსე დირექტივის დებულებასთან. დღგ-ის ჩათვლისა და დაბრუნების სისტემის მოწესრიგება ხელს შეუწყობს აღრიცხვიანობის გაუმჯობესებას და არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის აღმოფხვრას.

2. ევროპულ და ქართულ კანონმდებლობაში ძირითადი განსხვავება ისაა, რომ ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს დღგ-ს სტანდარტულ განაკვეთს, ნულოვან განაკვეთს და გათავისუფლებულ ოპერაციებს (2011 წლის 01 იანვრიდან მოქმედი სსკ-ის მიხედვით სტანდარტული განაკვეთი, გათავისუფლებული ოპერაციები ჩათვლის უფლებით და გათავისუფლებული ოპერაციები ჩათვლის უფლების გარეშე), მაშინ, როდესაც ევროპული კანონმდებლობა ითვალისწინებს სტანდარტულ განაკვეთს, შემცირებულ განაკვეთს და გათავისუფლებულ ოპერაციებს. მისაღები იქნება თუ ბუნებრივი აირისა და ელექტროენერჯის მიწოდება დაიბეგრება შემცირებული განაკვეთით;

3. აუცილებელია გადასახადის გადამხდელის მოვალეობებთან დაკავშირებული დებულებების ჰარმონიზაცია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საგადასახადო ანგარიშგაქტურებში აუცილებლად ჩასართავ ინფორმაციას, საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის წესებს, გადასახადი გადახდის პერიოდთან დაკავშირებულ დებულებებს. ყოველივე ამის შემდეგ შემცირდება გადასახადების დამალვასთან დაკავშირებული პრობლემები.

4. მიზანშეწონილია ასევე, რომ იურიდიულად დამოუკიდებელი პირები ერთ გადამხდელად ჩაითვალოს, თუ მათ მჭიდრო კავშირები გააჩნიათ. ამ შესაძლებლობის შემთხვევაში ორგანიზაციების ფილიალები და ასევე ამხანაგობები შესაძლოა ჩაითვალოს ერთ გადამხდელად. ეს გაამარტივებს დღგ-ს ადმინისტრირების პროცედურებს.

5. გადასახადების ადმინისტრირების საერთო რგოლში ერთ-ერთ სუსტ წერტილად წარმოჩინდა დღგ-ს ანგარიშფაქტურების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები. გადამხდელები ანგარიშფაქტურების მანიპულირების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ახერხებენ ბიუჯეტიდან თანხების მიტაცებას. იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს „ყალბი“ ფირმების შექმნითა და უსაქონლო ოპერაციების გზით ბიუჯეტიდან თანხების მითვისებისა და დღგ-ს არამიზნობრივად გამოყენების ფაქტები, რაც ხშირ შემთხვევაში „საბიუჯეტო ტერორის“ ხასიათს იძენს აუცილებელია საგადასახადო კოდექსში ცვლილებები, რომლებიც მოხსნის ამ პრობლემებს. კერძოდ, აუცილებელია, რომ ჩათვლას დაექვემდებაროს დღგ-ს ნაწილში ბანკებში გახსნილ სპეციალურ ანგარიშებზე აკუმულირებული თანხები, ამასთან გადამხდელს სპეციალური ანგარიშებიდან უნდა შეეძლოს შეუზღუდავად გამოიყენოს თანხები, როგორც ბიუჯეტთან, ასევე მომწოდებლებთან ანგარიშსწორებისათვის დღგ-ს ხაზით ან გადაიტანოს ანგარიშსწორების ანგარიშზე და გამოიყენოს მისი შეხედულებისამებრ.

უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის 01 იანვრიდან მოქმედ კოდექსში შეტანილ იქნა ბევრი ისეთი ცვლილება დღგ-ის ნაწილში, რაც ამსუბუქებს და ამარტივებს გადასახადის გადამხდელის მდგომარეობას.

შემოთავაზებული რეკომენდაციები მიზნად ისახავს, რომ დღგ-სთან დაკავშირებული საკანონმდებლო გარემო საქართველოში უფრო სრულყოფილი გახდეს და ხელი შეუწყოს, როგორც ქართული ასევე უცხოური კომპანიების ფუნქციონირებას საქართველოს ბაზარზე.

ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო-საბაჟო კოდექსი, 2011.
2. საქართველოს საპარლამენტო და საბიუჯეტო ოფისის ვებ გვერდი www.pbo.ge
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ გვერდი www.mof.ge
4. საქართველოს შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებ გვერდი www.rs.ge

რეზიუმე

დამატებული ღირებულების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში მაღალი ხვედრითი წილის გადასახადია, ამ სახის გადასახადს დღეისათვის მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში იყენებენ და, საგულისხმოა, რომ საგადასახადო სისტემაში ამ გადასახადის არსებობა ევროკავშირში სახელმწიფოს შესვლის სავალდებულო პირობად არის მიჩნეული. დღგ-ს ხშირად ევროპულ გადასახადსაც უწოდებენ და მისი წევრი ქვეყნები ერთობლივ ფონდში ყოველწლიურად გადარიცხავენ მათ ტერიტორიაზე ამოღებული აღნიშნული გადასახადიდან მიღებული შემოსავლების ერთ პროცენტს.

კანონმდებლობათა დაახლოება საგადასახადო სფეროში შემოიფარგლება არაპირდაპირი გადასახადებთან დაკავშირებული დებულებებით, ვინაიდან პირდაპირი გადასახადები ევროკავშირის ფარგლებშიც არ არის ჰარმონიზებული. ჰარმონიზაცია მიზნად ისახავს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ეკონომიკური კავშირების გაძლიერებისათვის მსგავსი საკანონმდებლო გარემოს შექმნას ქართულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის გზით.

HARMONIZATION OF THE TAX SYSTEM GEORGIAN AND EUROPEAN LEGISLATION

Tea Khorguashvili, Gori State Teaching University, Associate Professor

SUMMARY

The share of high value-added tax revenues to the state budget bills, this kind of tax is currently 80 of the world - more than is used and it is meant that the tax system is the tax in the European Union as a condition of entry is considered to be mandatory. VAT - The European taxes are often referred to jointly fund and its member countries and transfer them to the extracted annually from the income tax one percent.

Approximation of legislation in the field of taxation is limited to the provisions relating to indirect taxes as direct taxes are not harmonized within the EU Aimed at strengthening economic ties between the EU and the harmonization of national legislation for the legislative environment through the elimination of the gaps.

სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარების ორიენტირებული სახელმწიფოებრივი მმართველობის როლი საბაზრო ურთიერთობების პირობებში

რეზო ჯაბნიძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
შოთა ლამპარაძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
ნანა ჯაბნიძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი

თავისი ნიადაგურ-კლიმატური და სხვა ეკოლოგიური ფაქტორების შეთანწყობის თავისებურებებით საქართველო უნიკალურ ქვეყანას წარმოადგენს აგრარული სფეროს აღორძინებისათვის და ასეთი ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები იძლევა საშუალებას მრავალდარგოვანი და მაღალრენტაბელური სასოფლო-სამეურნეო წარმოების შექმნისათვის.

80-90-იანი წლებიდან დაწყებული საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები: მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა, რომელთა საერთო ფართობები შეადგენდა 392000 ჰა-ს, ხოლო მთლიანი წლიური შემოსავალი 2 მილიარდ მანეთზე მეტს, კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. აღნიშნული კულტურების ფართობები ორჯერ და მეტად შემცირდა, რაც ამოძირკვითა და მოუვლელობითაა გამოწვეული. ამან მკვეთრად შეამცირა მოსავლიანობა, გაუარესდა პროდუქციის ხარისხი, მთლიანად მოიშალა მცენარეთა დაცვის სამსახური, შეწყდა პროდუქციის ცენტრალიზებული დამზადება.

სამწუხაროდ, დამოუკიდებელი საქართველოს აღორძინების საწყისი ეტაპი მტკივნეული აღმოჩნდა სოფლის მეურნეობისათვის და განსაკუთრებით დაზარალდა სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა. მიუხედავად ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციის მიზნით გააზრებული ღონისძიებებისა, რომლის მიზანიც მართვის სტრუქტურების დახვეწა იყო, სასურველი შედეგი ვერ მივიღეთ. პირიქით, სოფლად ძველი სტრუქტურები დაინგრა და გაიძარცვა, ახალი კი ჯერჯერობით ვერ შეიქმნა. განადგურდა როგორც პლანტაციები, ასევე გადამამუშავებელი მრეწველობა და ასეულათასობით ადამიანი უმუშევარი და შშიერი დარჩა. დავივიწყეთ, რომ საქართველო ოდითგან აგრარული ქვეყანა იყო. დავივიწყეთ სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიები, არ ინერგება მეცნიერების მიღწევები. თუ არადა სუბტროპიკული მემცენარეობა ეკონომიკისათვის განსაკუთრებული დარგი იყო და ღრმად გვწამს, რომ შესაძლებელია მას დაუბრუნდეს ძველი დიდება. ამის მიღწევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერულ მიღწევებზე დაფუძნებული ახალი ტექნოლოგიების შექმნისა და ფერმერებისა და ინდივიდუალური მიწათმფლობელობის მეშვეობით წარმოებაში დანერგვის საფუძველზე.

თუ სახელმწიფომ არ გაატარა რიგი ღონისძიებებისა, როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე საგადასახადო სისტემაში - ვერ განხორციელდება თანამშრომლობა სახელმწიფოსა და საწარმოთა შორის. სახელმწიფომ ის დიდი რეზერვები, რომლებიც რეგიონებს გააჩნიათ მთლიანად უნდა გამოიყენოს და საშუალება მისცეს, რეგიონებში წარმოებულმა პროდუქციამ საკუთარი ადგილი დაიკავოს ბაზარზე, რომელიც ძირითადი წყარო იქნება, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის, ასევე ქვეყნის ბიუჯეტის შევსებისათვის.

სოფლის მეურნეობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა და მომავალშიც უნდა შეასრულოს. დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას აწარმოებენ გლეხურ და ფერმერული მეურნეობები. გარკვეული მიზეზების გამო მიწა არარენტაბელურია, ხოლო ეკონომიკური თვალსაზრისით შედეგები არადადამაკმაყოფილებელი.

ახალი ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებთან ნათელყოფს ვეძებოთ და გავაშენოთ ახალი, ჩვენთვის ეგზოტიკური მცენარეები და ვაწარმოოთ მათი პროდუქტები.

ამჟამად აგრარული სექტორი ნატურალურ მეურნეობას (როგორც ორგანიზაციულ ფორმას) ეყრდნობა, მცირე ფერმერულ და გლეხურ მეურნეობები, საკრედიტო რესურსების სიმწირე, მარკეტინგული ინფორმაციის დეფიციტი, გაუმართავი საირიგაციო სისტემა, პროდუქციის რეალიზაციის სიმძლეეები, სუსტი საკანონმდებლო ბაზა ხელს უშლის აგრარული მეურნეობის საჭირო ტემპებითა და მასშტაბებით გარდაქმნას. ასეთ სიტუაციაში გლეხი თანამედროვე პირობებში სოფლის მეურნეობის გაძლოლის ჩვევებსა და საჭირო ცოდნას ვერ იძენს და ორიენტირებულია ძირითადად მამაპაპური წესებით საქმიანობაზე. დღევანდელი გლეხი უმეტეს შემთხვევაში მოკლებულია წარმოების ინტენსიფიკაციის საშუალებებს, სახელმწიფო მას საკრედიტო რესურსებითაც ვერ ეხმარება.

მართალია, გლახს მიწა გადაეცა, მაგრამ ამავე დროს მის მიერ წარმოებულ პროდუქტზე გასაყიდი ფასები გაწეულ დანახარჯებსაც ვერ აუნაზღაურებს. ყოველივე ეს კი კლავს გლახში დაინტერესებას გაზარდოს როგორც პროდუქტის წარმოება ასევე თავისი ფულადი შემოსავლებიც. დარღვეულია საბაზრო წონასწორობა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის. საბაზრო ფასები რამდენჯერმე აღემატება ახლო წარსულში არსებულ ფასებს. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად გაზარდა უცხოეთიდან ისეთი პროდუქტების შემოტანა (ხილი, ბოსტნეული, ყურძენი, ციტრუსი, თუ გინდ ჩაის პროდუქცია და სხვა), დიდი რაოდენობით მოყვანისათვის, თანაც გაცილებით უკეთესი ხარისხისა. სოფელი დარჩა ფულადი შემოსავლის გარეშე. ქვეყანაში არსებული დღევანდელი რთული სიტუაციის გამო გლახი ან არ აზარებს ნედლეულს (რძე, რძის ნაწარმი, ხორცი, ხილი და სხვა), ან ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს საერთოდ აღარ აწარმოებს (თუ აწარმოებს ძალზე მცირე რაოდენობით - ჩაის, აბრეშუმის პარკს და სხვა), ვინაიდან ის მისთვის ეკონომიკურად არახელსაყრელია.

სადღესოდ შექმნილი ვითარების გამო დღევანდელი გლახი-ფერმერი უიმედობის სინდრომითაა შეპყრობილი. მიუხედავად იმისა, რომ მას საკუთრივ ერთი ან მეტი ჰექტარი მიწის ფართობი ერიცხება, არ იცის კონკრეტულად რომელ კულტურას მისცეს უპირატესობა, სახელმწიფო მას ვერ სთავაზობს შეკვეთებს ამა თუ იმ კულტურის პროდუქციაზე. ვერც მეცნიერები აძლევენ გაბედულ რეკომენდაციებს რიგი კულტურების პერსპექტიულ განვითარებაზე... სად არის გამოსავალი? სანამ ელოდოს მოწოდებებს მიჩვეული.

ვანალიზებთ რა ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას, სოფლის მოსახლეობას და არა მარტო მათ, ყველა მსურველს, ვისაც გული შესტკივა სოფლების აღორძინებაზე, კარგი იქნება თუ გავითვალისწინებთ მეცნიერთა წინადადებებს ეკონომიკურად, ეკოლოგიურად და სოციალურად ეფექტურ, გლახურ-ფერმერულ მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შესაძლო შეთანწყობაზე, მათი სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით.

შემოთავაზებული წინადადებები ძირითადად აგებულია სუბტროპიკული პირობებისათვის. აგრარკოს მეცნიერთა მრავალწლიანი გამოკვლევები ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიმართ, სუბტროპიკული ზონის ნიადაგურ-კლიმატური მაჩვენებლების გათვალისწინებით, გლახურ-ფერმერულ მეურნეობებისათვის გათვალისწინებულა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაშენიანების სანიმუშო სქემა სადაც წარმოდგენილია პირობითად სამი ზონა: პირველ ზონას მიეკუთვნება მეციტრუსეობისა და მეჩაიეობის ის რაიონები, რომლებიც ძირითადად შავი ზღვის სანაპირო ზოლშია განლაგებული, სადაც ციტრუსოვანთა კულტურები ღია გრუნტში გარანტირებულია. მეორე ზონად - შავი ზღვის სანაპიროდან დაცილებული რეგიონები, სადაც ძირითადად წარმოდგენილია მეჩაიეობა, თუმცა მიკროკლიმატური ფაქტორების შედეგად შესაძლებელია ღია გრუნტში ზოგიერთი შედარებით ყინვაგამძლე ციტრუსოვანი კულტურების სამრეწველო კულტივირებაც. მესამე ზონად მიჩნეულია ტიპური მეჩაიეობის რაიონები, სადაც შეუძლებელია ციტრუსოვანთა წარმოება სამრეწველო დანიშნულებით.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სქემა არ წარმოადგენს დოგმას ყველა ტიპისა და ყველა რეგიონის ფერმერული მეურნეობებისათვის, ის შეიძლება იცვლებოდეს არა მარტო ნიადაგურ-კლიმატური ფაქტორებით, არამედ კულტურათა პროდუქციაზე საბაზრო და სამომხმარებლო მოთხოვნილების მიხედვითაც. ასევე, მთაგორიანი სუბტროპიკული ზონის მოსახლეობისათვის.

სუბტროპიკულ ზონაში გლახურ-ფერმერული მეურნეობების სავარგულების დაკავება მონოკულტურით არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. მოცემულ სქემაში ჩაისა და ციტრუსებს პრიორიტეტული ადგილები უკავია, რაც განპირობებულია იმით, რომ ტრადიციულად ამ კულტურათა პროდუქციაზე ყოველთვის იყო და პერსპექტივაშიც იქნება საბაზრო მოთხოვნილება, გლახს-ფერმერს მიეცემა ვალუტით უზრუნველყოფის საშუალება. მნიშვნელოვანი იქნება აგრეთვე თხილის, აქტინდიის, ფეიჰოას, სუბტროპიკული ხურმის, ტუნგის, დაფნის, მოცვის და ბამბუკის კულტურათა პროდუქციის რეაბილიტაციიდან მიღებული შემოსავლები. რაც შეეხება მარცვალს, ბოსტნეულ-ბაღჩეულს, ვაზს, ოსონი აუცილებელია შიდა მოხმარების დასაკმაყოფილებლად, მეცხოველეობის გასავითარებლად.

იმ ზონებში, სადაც ციტრუსოვანთა კულტურების ღია გრუნტში სამრეწველო დანიშნულებით წარმოება შეუძლებელია, მის სანაცვლოდ შესაძლებელია სქემაში ჩაის, თხილის, აქტინდიის, მოცვის და სხვა რენტაბელური კულტურების წარმოების გაფართოება.

ამრიგად, წარმოდგენილ კულტურათა განაშენიანების მოდელი გლახს, ფერმერს საშუალებას მისცემს მთელი წლის განმავლობაში აწარმოოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, არ მოაცდინოს მუშახელი და უზრუნველყოს მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების სტაბილური გაუმჯობესება.

აჭარის რეგიონისათვის უფრო მომგებიანი იქნება ციტრუსების, ჩაის, აქტინდიის, თხილის, ფეიჰოას, ბამბუკის, ხურმის, ტუნგის და სხვა სუბტროპიკული კულტურების ასორტიმენტის

გაფართოება. რაც შეეხება მარცვლეული კულტურებისა და ბოსტან-ბაღჩეულისათვის საჭირო ფართობებს, ამ მხრივ ეს ზონა ძალზე შეზღუდულია. მეტი გასაქანი ამ შემთხვევაში ექნება აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებს.

აღნიშნულ სექტორში რომელიმე კულტურაზე ძირითადი ორიენტაციის აღება და მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მონოკულტურით დაკავება უთუოდ შეცდომა იქნებოდა. ასე მაგალითად, ჩამოთვლილ კულტურებს შორის ციტრუსები ერთეულ ფართობზე 2-3-ჯერ მეტ შემოსავალს იძლევა, ჩაისთან შედარებით. მიუხედავად ამისა, გლეხურ-ფერმერულ მეურნეობებში მთელი ფართობის ციტრუსებით დაკავება ძალზე სარისკო საქმე იქნება ზონაში პერიოდულად განმეორებული ძლიერი ყინვების გამო. გარდა ამისა, არც ერთი კულტურის პროდუქციაზე არ არსებობს ფიქსირებული ფასები, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მონოკულტურით დაკავებულმა გლეხურ-ფერმერულმა მეურნეობებმა მოსალოდნელია სრული გაკოტრება განიცადონ. იმ შემთხვევაში, თუ კი ფერმერულ მეურნეობებში ორგანიზებული იქნება წარმოებული ნედლეულის გადამამუშავება და მომხმარებელზე მზა პროდუქციის მიწოდება, მაშინ ფულადი შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზრდება.

გლეხს, თუნდაც მეურნეობის სხვა ეკონომიკურ სუბიექტებს, უნდა დაეხმაროთ მათ მიერ წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებაში, გლეხი უნდა გახდეს მომხმარებლისათვის მიღებული მზა პროდუქციის ბატონ-პატრონი, განმკარგავი, რამე თუ ჩაი, ციტრუსი, ხილი, ყურძენი, თამბაქო, ეთერზეთოვანები და მათი გადამამუშავების პროდუქცია, აგრეთვე დაფნა, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და გლეხის მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის სხვა სახის პროდუქტები, მათ შორის აბრეშუმის პარკი, არის სტრატეგიული მნიშვნელობის საქონელი, რომლის მეოხებით სოფელში შეიძლება შემოვიტანოთ მეტად საჭირო განსხვავებული პროდუქტი და ტექნიკური საშუალებანი. ამისათვის ბარტერული გაცვლებით სოფელი (თემი) მიიღებს აგრეთვე სოლიდურ მოგებასაც. მაშასადამე, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელის შემწყობი მძლავრი, ეკონომიკური, დინამიკური ფაქტორი, რისი მეშვეობითაც მოხდება მოკლე დროში ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა, მოსახლეობა დაუბრუნდება სოფელს და გლეხი შეძლებს ქვეყნის დაპყრებას.

მას შემდეგ, რაც დგება საკითხი ფერმერული მეურნეობების განვითარებაში სახელმწიფოს უშუალოდ ჩარევის და ხელშეწყობის გარდაუვალობის შესახებ, მიზანშეწონილია მაგალითისათვის ერთ-ერთი კონკრეტული მიმართულების განხილვა:

სახელმწიფოს დახმარებით რეგიონში ან კონკრეტულ მუნიციპალიტეტში იქმნება აგრარული სექტორის განვითარების საკოორდინაციო სამსახური, რომლის ბაზაზეც უნდა შეიქმნას სესხის საგარანტიო ფონდი, სადაც ფინანსები მოიზიდება, როგორც ბიუჯეტიდან ისე დონორი და კომერციული ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი თანხებით. აღნიშნული ფონდი იქნება გარანტი საბანკო სექტორისათვის სესხის გამოყოფასთან დაკავშირებით და ასევე იქნება მათთვის რისკ-ფაქტორების შემცირების ერთ ერთ ყველაზე საუკეთესო საშუალება.

სესხის მიღების შემდეგ ფერმერი საკონსულტაციო ჯგუფის მიერ დეტალურად გაწერილი ტექნოლოგიური საქმით თვითონ აწარმოებს სამუშაოებს იმ იმედით, რომ გარკვეული პროცენტის გარდა, რომელიც ჩაირიცხება სესხის საგარანტიო ფონდში, შემოსავალი მთლიანად მასთან რჩება. ამასთან საკონსულტაციო ჯგუფი სისტემატიურ კონტროლს და დახმარებას უწევს ფერმერს სამუშაოების სწორად შესრულებაში, ასწავლის სესხის მიზნობრივად გამოყენების დროზე დაბრუნების კულტურას და უწევს დახმარებას მიღებული პროდუქციის რეალიზაციაში.

ასეთი საპილოტე მეურნეობების შექმნის აუცილებლობა განპირობებულია იმითაც, რომ ისინი გადაიქცევა სადემონსტრაციო-საკონსულტაციო ობიექტებად სოფლის დანარჩენი მოსახლეობისათვის.

სოფლის დანარჩენი მოსახლეობისათვის გაცილებით დიდ მნიშვნელობას იძენს სადემონსტრაციო - საკონსულტაციო ნაკვეთების ფუნქციონირება. უფრო მნიშვნელოვანია თანამედროვე და სწორად დაგეგმილ მეურნეობებთან კონტაქტი, ახალ ტექნოლოგიებთან უშუალო კავშირი, ვიდრე სხვა წარმატებულ საპილოტე მეურნეობებთან მოხდეს მეზობელი ფერმერების მიმდებარე ნაკვეთების გაერთიანება და რამდენიმე ფერმერის ერთად მუშაობა, ამით საფუძველი ეყრება მეურნეობების გამსხვილების, ამხანაგობების ჩამოყალიბების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნის საქმეს.

საკოორდინაციო სამსახურის სწორი, წარმატებული მენეჯმენტი და მომგებიანი საპილოტე სადემონსტრაციო-საკონსულტაციო მეურნეობები გამოიწვევს მოსახლეობის დაინტერესებას თავიანთი მეურნეობების ახალი, თანამედროვე სტილით წარმართვისათვის და ნამდვილად გაუჩნდებათ სურვილი საკოორდინაციო სამსახურთან სახელშეკრულებო პირობებით ურთიერთობისას, ამით გაიზრდება მომგებიანი და რენტაბელური მეურნეობის რიცხვი და შესაბამისად მათგან შემოსული საპროცენტო თანხებით სესხის საგარანტიო ფონდი გადაიქცევა შევსებად და არა ხარჯვით ერთეულად. ის თავად

დაფარავს საკუთარ ხარჯებს (ხელფასი, ოფისის შენახვა და სხვა), შეავსებს ფინანსურ შესძლო დანაკარგებს და მოგების შემთხვევაში იზრუნებს ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების უკან დაბრუნებაზე.

თანამედროვე ტიპის სოფლის საწარმოთა დაგეგმვის და მართვის საკითხებში ერთ-ერთ აქტუალურ და მნიშვნელოვან ხელშეშლელ ფაქტორად სოფლის ზრდასრული მოსახლეობის აგრარული განათლების დეფიციტი რჩება, რომლის ფუნქციაც სახელმწიფო საკოორდინაციო სამსახურმა და მასთან არსებულმა საკონსულტაციო ჯგუფმა უნდა შეასრულოს. წარმატებულია ფერმერი, როცა მას აქვს ის აუცილებელი ცოდნა, რომელიც საჭიროა ფინანსების მოძიების, ბაზარზე სწორი ორიენტაციის, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების და მიღებული მოსავლის რეალიზაციისათვის.

რეგიონის თავისებურებებიდან გამომდინარე, აგრარული განათლების გარეშე წარმოუდგენელია ფერმერული მეურნეობების და, საბოლოო ჯამში, აგრარული სექტორის განვითარება. განათლება უნდა მიიღოს, როგორც ახალგაზრდა თაობამ, ისე სოფლის ზრდასრულმა მოსახლეობამ. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს რეგიონის აგრარულმა სასწავლო ორგანიზაციებმა და მათ ბაზაზე შექმნილმა გადამზადების ცენტრებმა.

ლიტერატურა:

1. რ. მარგალიტაძე, ზოგიერთი საკითხები სახელმწიფოებრივი მმართველობის როლის შესახებ სუბტროპიკული ს/მ მდგრადი განვითარების საქმეში. აფხაზეთის მეც. ეროვნული აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 2012.
2. ალ. მიქელაძე, ელ. ქიჯია, სოფლის აღორძინება, ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფა სასურსათო პროდუქციით და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, აფხაზეთის მეც. ეროვნული აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 2012.
3. რ. ჯაბნიძე, სუბტროპიკულ მცენარეთა აგროტექნოლოგია, ბათუმი, 2011.
4. რ. მსხილაძე, რას გვპირდება ციტრუსების სანერგე მეურნეობა, გაზეთი "აჭარა", №79, 2012.

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია სუბტროპიკული ზონის ფერმერული ზონის განვითარების პრობლემები. სუბტროპიკული მემცენარეობა ეკონომიკისათვის განსაკუთრებული დარგია და მისი შემდგომი განვითარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მეცნიერულ მიღწევებზე დაფუძნებული ახალი ტექნოლოგიების შექმნის და ფერმერებისა და ინდივიდუალური მიწათმფლობელობის მეშვეობით წარმოებაში დანერგვის საფუძველზე. თუ სახელმწიფომ არ გაატარა ღონისძიებები სოფლის მეურნეობაში და საგადასახადო სისტემაში, ვერ განხორციელდება თანამშრომლობა სახელმწიფოსა და საწარმოთა შორის. ის დიდი რეზერვები, რომლებიც რეგიონებს გააჩნიათ, სახელმწიფომ მთლიანად უნდა გამოიყენოს და საშუალება მისცეს რეგიონებში წარმოებულმა პროდუქციამ ბაზარზე დაიკავოს საკუთარი ადგილი, რომელიც იქნება ძირითადი წყარო ადგილობრივი თუ ქვეყნის ბიუჯეტის შევსებისათვის.

SOME ISSUES OF GOVERNANCE IN SUSTAINABLE DEVELOPMENT OF SUBTROPICAL AGRICULTURE

Rezo Jabnidze, Shota Rustaveli State University, Full Professor
Shota Lamparadze, Shota Rustaveli State University, Associate Professor
Nana Jabnidze, Shota Rustaveli State University, Academic Doctor

RESUME

The paper is on problems of development of farming industry in subtropical zones. Government role importance in farming industry development is assumed and long term model of agrarian service in experimental farming industry is discussed.

In article are considered questions concerning meaning the revival of village and ways for rural populations to egress from crisis conditions.

The work shows the possibility of how to plan the market mechanism in the agrarian sector, revive productivity and business and make a thorough use of existing potential. It also deals with the cases of international experience in this field. The directions and prospects of the state regulation have been highlighted on the example of the agrarian sector.

მეჩაიეობაში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისა და დარგის განვითარების ზოგიერთი ტენდენციები

დარეჯან ჯაში, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
ლამზირა გორგილაძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი
გიორგი ჯაბნიძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემური დოქტორი

გასული საუკუნის მეორე ნახევარში მეჩაიეობისა და სხვა სუბტროპიკული მემცენარეობის დარგებს საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. წარმოებული ჩაის პროდუქციის უდიდესი ნაწილი ექსპორტზე გადიოდა. ჩაის ნედლეულსა და პროდუქციაზე მოქმედებდა ფიქსირებული ფასები და დაწესებული იყო სახელმწიფო მონოპოლია. ჩაის დარგზე მოდიოდა აგროსამრეწველო კომპლექსში წარმოებული საერთო პროდუქციის 18 პროცენტზე მეტი, ხოლო შიდა ეროვნულ შემოსავალში მისი ხვედრითი წილი 10-12 პროცენტს შეადგენდა.

1990-იანი წლებიდან დაკნინება დაიწყო და ქვეყანა ექსპორტიორიდან იმპორტიორ ქვეყანად გადაიქცა. დაიკარგა გასაღების ტრადიციული ბაზრებიც. დარგის დეგრადაციის პროცესი თანდათან ღრმავდება, რასაც ქვეყნის სუბტროპიკული ზონის მოსახლეობის ეკონომიკური და ეკოლოგიური გაუარესება მოჰყვა. დღეისათვის გატყვევებული პლანტაციების საერთო რაოდენობა (გარდა აფხაზეთისა), 15600 ჰექტარს შეადგენს. დანარჩენი ფართობი (8625 ჰა) ამოსადირკვია და სხვა ალტერნატიული კულტურებით უნდა შეიცვალოს. ბოლო წლებში ეს სამუშაოები დაიწყო, მაგრამ მასშტაბები ძალიან მცირეა. უმნიშვნელოა პლანტაციების აღდგენა-რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხებიც. თუ პროცესი ასე გაგრძელდა, უახლოეს 5-7 წელიწადში პლანტაციების დიდ ნაწილს ბიოლოგიური განადგურება ემუქრება, რაც გამოუსწორებელ ფინანსურ და მატერიალურ ზარალს უქადის ქვეყნის ეკონომიკას.

ამჟამად ქართული ჩაის ხარისხი იმდენად დაეცა, რომ მისი გასაღების ბაზრები მკვეთრად შემცირდა, ჩაის ბუჩქის ნარგავები ან მთლიანად იღუპება, ან იმდენად დაკნინებულია, რომ არ იძლევა ნორმალური მოსავალს, ზოგან კი ჩაის პლანტაციები გაველურდა. ჩაის ფაბრიკები აღმოჩნდა ნაღდი ფულის თანდათანობით გადენისა და გადამუშავების და დაფასობის პროცესისათვის საჭირო აღჭურვილობის დიდი ნაკლებობის წინაშე. გლეხისათვის ფულის გადახდის დაყოვნებამ შეამცირა სტიმული ჩაის ბუჩქის შენარჩუნებისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისათვის. ამან გამოიწვია მეჩაიეობის კრიზისი. საქართველოს ჩაის პროდუქციის მთავარი მომხმარებელი იყო რუსეთი. ქართული ჩაის პროდუქციის ასეთი დაცემის დროს, რუსეთმა იპოვნა ალტერნატიული წყაროები, ხშირად უფრო მაღალი ხარისხის ჩაიც.

ჩაის პლანტაციების ფართობების ოპტიმალური ოდენობა მიმდინარე ეტაპზე, აუცილებელია განისაზღვროს დღეისათვის არსებული ექსპლუატაციისათვის ვარგისი და აღდგენას დაქვემდებარებული ჩაის პლანტაციებით. არსებული პლანტაციების ექსპერტიზისა და სათანადო მეცნიერული რეკომენდაციების საფუძველზე მიზანშეწონილია ყოველწლიურად, როგორც წესი, ამორტიზებული ჩაის პლანტაციების ამოძირკვა - ჯიშობრივი განახლების 1%-ის ოდენობით, რაც დღეისათვის არის გათვალისწინებული.

ექვეგარეშეა, რომ მეჩაიეობის დარგი საქართველოს ზოგიერთ ზონაში, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგად რჩება მიუხედავად წინა წლებში მისი არარენტაბელობისა, ამ დარგის რეაბილიტაციისა და შემდგომი განვითარების აუცილებლობის სოციალურ მოტივებთან ერთად განაპირობებს ისიც, რომ ბოლო წლებში იგი შედარებით რენტაბელური ხდება, პროგნოზით მოსალოდნელია გარკვეული მოგება. გარდა ამისა 4-5 წლის განმავლობაში მეჩაიეობის დარგი იმედია სახელმწიფო ბიუჯეტს გარკვეულ შემოსავალს მისცემს.

მეჩაიეობაში განვითარებულ სისტემურ კრიზისს აქვს როგორც ეროვნულ ეკონომიკაში კრიზისის გამომწვევი ისეთი საერთო მიზეზები, როგორცაა, ბაზრების დაკარგვა, სამეურნეო-კოოპერაციული კავშირების რღვევა, ახალ გარემოში სამეურნეო-საწარმოო და ფინანსური საქმიანობის უცოდინრობა, ტექნოლოგიური დანადგარების ფიზიკური მოძველება, მათი განახლებისათვის ფინანსური რესურსების უქონლობა, ლიბერალურ სავაჭრო გარემოში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მოუხერხებლობა და მრავალი სხვა, ასევე მხოლოდ მეჩაიეობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მიზეზები, რომლებიც გარდამავალ პერიოდში განვითარდა და რომლის აცილება, ჩვენი აზრით შესაძლებელი იყო.

მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის საქართველოში ჩაის წარმოების დარგში საბაზრო პრინციპების დამკვიდრებას, შემდეგია: განვითარების სტრატეგიის უქონლობა, მოქმედი წარმოების დაბალი ეფექტიანობა, მენეჯმენტის სისტემის არასრულყოფილება, ბაზრის კონიუნქტურის არასაკმარისი ცოდნა და გასაღების ბაზრის პრობლემა, მოძველებული საწარმო-ტექნიკური ბაზა, ჩამორჩენილი ტექნოლოგია, საბრუნავი საშუალებების შევსების საკუთარი წყაროს შეზღუდვის პირობებში მწირი საკრედიტო ბაზრის არსებობა, ენერგორესურსების დეფიციტი და სხვა.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრება მოითხოვს მეჩაიეობის განვითარების პერსპექტიული მიმართულებების სწორად განსაზღვრას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩაის კულტურის წარმოება უნდა ეფუძნებოდეს, ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, ეფექტიანი წარმოების პოტენციურ შესაძლებლობებს.

ამჟამად მეჩაიეობის დარგის რეაბილიტაციისათვის, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ერთ-ერთ პრიორიტეტულად მიგვაჩნია მეჩაიეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება. ჩვენის აზრით, მცირე სიდიდის ფერმერებს იჯარით უნდა გადაეცეს 2-3 ჰა ჩაის პლანტაცია, ხოლო საშუალო სიდიდის ფერმერებს 3-5 ჰა ჩაის პლანტაცია.

საქართველოს დაბრუნება ჩაის მწარმოებელი ქვეყნების რიგში შეუძლებელია მხოლოდ მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ხარისხიანი ნედლეულის დამზადებითა და თანამედროვე ტექნოლოგიურ დონეზე მოწყობილი ჩაის ფაბრიკებში მისი დამუშავებით. ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ მინი ჩაის ფაბრიკები, რომლებიც იმუშავებენ მეჩაიეობის მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში. მეჩაიე-ფერმერი უნდა გახდეს მწარმოებელიც და მისი გადამამუშავებელი. მით უმეტეს, რომ საქართველოში უკვე შექმნილია მცირეგაბარიტიანი ტექნოლოგიური მანქანა-მოწყობილობები მოკრეფილი ნედლეულის გადასამუშავებლად, როგორცაა: ჩაის საშრობი და ნახევარფაბრიკატების დამხარისხებელი მანქანები. ყველა ამ დანადგარს შეუძლია ერთ სამუშაო დღეში 400-500 კგ. ნედლეულის გადამამუშავება.

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ქართული ჩაის გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ქართული პროდუქციისთვის პრაქტიკულად დაკარგულია. საქართველოში, ძირითადად, მარტივი ტექნოლოგიით ოჯახებში წარმოებული და შეფუთული პროდუქცია იყიდება.

გარდა ამისა, ფოთლის წარმოების ღირებულება, ალბათ, უმცირესია მსოფლიოში. 20-25 თეთრი ერთ კგ. ფოთოლზე იმ დროს, როდესაც ჩაის ნედლი ფოთლის ღირებულება ჩრდილოეთ ინდოეთში 20-22 ცენტია, სამხრეთში - 12-15 ცენტი. თუმცა ქართული ნედლეულის ხარისხი ძალზედ ჩამოუვარდება ინდოეთისას. სწორი აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარების შემდეგ ფოთლის ხარისხის გაუმჯობესების რეზერვები ნათელია. შესაბამისად გაიზარდა მისი ღირებულებაც და ჩაის დარგში დასაქმებული მოსახლეობის შემოსავლებიც. ქართული ჩაის ნედლი ფოთლის ღირებულებამ 12-15 ცენტსაც რომ მიაღწიოს, როგორც ეს სამხრეთ ინდოეთსა და ინდონეზიაშია, იგი მაინც შეინარჩუნებს კონკურენტუნარიანობას მრავალ მიზეზთა გამო, რომელთაგანაც მხოლოდ სამს გამოვყოფთ:

პირველი - სტანდარტული ნედლეულისაგან დამზადებული ქართული შავი ჩაი ნაზი არომატიითა და შერბილებული სიმწლაკით მომხმარებლის განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს. ხოლო ქართული მწვანე ბაიხის ჩაის პროდუქციას უპრობლემოდ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ნებისმიერი ქვეყნის პროდუქციასა და იყოს ერთ-ერთი პირველთაგანი.

მეორე - სამომხმარებლო ბაზრებთან სიახლოვე. ჩაის პროდუქციის ერთ-ერთ ღირსებად ითვლება მისი სიახლე. დახვეწილი და ეფექტური ჩაით ვაჭრობის ორგანიზაციის შემთხვევაში ევროპელ მომხმარებელს საშუალება ექნება დალიოს ეკოლოგიურად სუფთა ქართული ჩაი წარმოებიდან ერთი თვის შემდეგ, განსხვავებით ინდური და ჩინური ჩაისაგან, რომლის მომხმარებლამდე მიტანა დაახლოებით 3-4 თვე გრძელდება.

მესამე - და ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი არის ის, რომ საქართველოს ჩაის პლანტაციებს დაავადებებისა და პარაზიტების წინააღმდეგ შეწამვლა და შხამქიმიკატით დამუშავება არ სჭირდება - ზამთარში თოვლი და ყინვა შესანიშნავად ასრულებს ამ მოვალეობას. ქართული ჩაის ნედლეული სხვა ქვეყნების (ინდოეთი, ჩინეთი და სხვა) ნედლეულისაგან განსხვავებით ეკოლოგიურად სუფთაა და არ შეიცავს მომწამლავ ნივთიერებებს.

თუკი ნედლეულის კრეფის კულტურა, წესი და ორგანიზაცია აღდგება და ამისათვის განხორციელდება რეგულირების და კონტროლის საჭირო ღონისძიებები, არავითარ ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ ქართული ჩაის პროდუქციის რეალიზაციის მასშტაბები გაიზარდება.

დაბოლოს, ჩაის წარმოებაში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებისათვის აუცილებელია: ცივილიზებული საბაზრო ინფრასტრუქტურების ფორმირების დაჩქარება; აგრარულ საბაზრო ურთიერთობათა რეგულირების სამართლებრივი ბაზის შექმნა; ანტიინფლაციური კანონების შემუშავება-

დანერგვა; სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის სახელმწიფოს მხრივ ეკონომიკური დახმარების მწყობრი სისტემის შემუშავება და რეალიზაცია.

მეჩაიეობის ეფექტიანობის გადიდების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ამოქმედდეს სახელმწიფო რეგულირების შემდეგი პრინციპები: აგრარული პროტექციონიზმი, როგორც შიგა-ეკონომიკური, ასევე საგარეო-ეკონომიკური ასპექტებით; სახელმწიფოს მიერ მეჩაიეობის მიზნობრივი და გარანტირებული მხარდაჭერა; რეგულირების მექანიზმების ურთიერთშევისება; ეკონომიკური და სოციალური მიზნების შეთანწყობა; პროგრამულ-მიზნობრივი უზრუნველყოფა და ა.შ.

ლიტერატურა:

1. ვ. კუტუბიძე, მეჩაიეობის სექტორში არსებული სირთულეები და მათი გადაჭრის მნიშვნელობა ქვეყნის ეროვნული მეურნეობისათვის, ჟურნ. „მოამბე“, №37, თბ., 2009.
2. რ. ჯაბნიძე, ჩაი და ციტრუსები, თბ., 2004.
3. გ. ჩხაიძე, სუბტროპიკული კულტურები, ბათუმი, 2002.
4. ნ. ქარქაშაძე, ჩაის წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ჟურნ. „მოამბე“, 2010.
5. ნ. ოქროპირიძე, დაიბრუნებს ქართული ჩაი ძველ დიდებას? გაზეთი „აჭარა“, №77, 2012.

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია მონაცემები 80-იანი წლების ბოლოს ჩაის ფოთლის წარმოებისა და გადამამუშავების შესახებ, მზა პროდუქციის წარმოებისა და მისი ექსპორტის მოცულობის რადიკალური შემცირების მიზეზები. ასევე დახასიათებულია მწვანე ფოთლის გადამამუშავების შესაძლებლობები ქარხნების მიერ. ნაწილობრივი ყურადღება ეთმობა ეკონომიკური რეფორმების შემუშავებას, ჩაის ქარხნების, პლანტაციების, კერძოდ, დარგის პრივატიზებას.

SOME TRENDS OF DEVELOPMENT OF TEA GROWING UNDER THE CONDITIONS OF EKOLOGE

Darejan Jashi, Shota Rustaveli State University, Associate Professor
Lamzira Gorgiladze, Shota Rustaveli State University, Assistant Professor
Giorgi Jabnidze, Shota Rustaveli State University, Academic Doctor

RESUME

Data regarding the volume of tea leaf production and its processing by the end of 80 s have given in article. Reasons for radical reduction in manufacturing of ready product and its export volume in the subsequent years have been outlined. The factors contributing to that last year's breakdown of the production of green tea leaf was characterised. A particular attention was paid to carrying out economic reforms in the branch privatization of tea factories, tea plantations, implementing of institutional reorganization, development of the process of production restructuring.

სოციალური მეცნიერებები Social Sciences

რა არის მეტაფიზიკა

ნუგზარ აბრამიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: n.abramishvili1@gmail.com

მეტაფიზიკა ფილოსოფიის ბირთვს, მის უმთავრეს დისციპლინას წარმოადგენს. კითხვა: რა არის მეტაფიზიკა - იგივეა, რაც კითხვა: რა არის ფილოსოფია? „მეტაფიზიკა არის ფილოსოფოსობა. ის მეტაფიზიკის მუდმივი თანამგზავრია. მეტაფიზიკასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა ვფილოსოფოსობთ“ (ჰაიდეგერი, 1989)

ბერძნული წარმოშობის სიტყვა „მეტაფიზიკა“, რომელიც თავდაპირველად წმინდა ტექნიკური მნიშვნელობით იხმარებოდა, შედარებით გვიან იქნა იმ მნიშვნელობას, რასაც არისტოტელე პირველ ფილოსოფიაში, საკუთრივ ფილოსოფოსობაში გულისხმობდა.

მეტაფიზიკა შემეცნების იმ სახის აღმნიშვნელად იქცევა, რომელიც ზურგს აქცევს „ფიზიკას“ და მიემართება სხვაგვარად არსებულს, არსებულს, როგორც მთლიანს და არსებულს, როგორც არსებულს. ის ცდილობს შეიმეცნოს სამყარო, როგორც მთელი, მისი პირველსაწყისების და პირველმიზეზების საფუძველზე.

უსასრულო ცნობისმოყვარეობის სულისაგან დაბადებული და მატერიალური ინტერესებისაგან დამოუკიდებელი მეტაფიზიკა თავის უმთავრეს მიზნად ისახავს მთლიანი სამყაროს, რაც შეიძლება უფრო სრულ, ახსნას. მეცნიერული ცოდნა ვერ ამოწურავს ჩვენი გონების მოთხოვნილებას, საერთოდ ადამიანის ინტერესებს. ჩვენი ბუნებიდან აუცილებლობით გამომდინარეობს მოთხოვნილება, გავცდეთ კონკრეტულ საგნობრივ სფეროს და მოვიაზროთ საერთოდ არსებული, დავეუფლოთ აბსოლუტურ ცოდნას.

ამ მისწრაფებიდან იბადება მეტაფიზიკა: „ჩვენი გონების საყვარელი ქმნილება, რომელიც ჩვენში უფრო მეტადაა ბუნებით ჩადებული, ვიდრე ნებისმიერი მეცნიერება“ (კანტი, 1965).

მეტაფიზიკის მეშვეობით ცდილობს გონება დაიკმაყოფილოს თავისი სურვილი, სწრაფვა სისრულისკენ, სისტემური ერთიანობისკენ. ამ ბრწყინვალე პრეტენზიით მეტაფიზიკა ამჟღავნებს ისეთ ღირსებას და ღირებულებას, რომლითაც მაღლა დგება ყოველგვარ მეცნიერულ ცოდნაზე. საკითხი იმის შესახებ, როგორია უნივერსუმის, როგორც მთლიანის, ბუნება და რა არის მისი პირველსაფუძველი; უკვდავია თუ არა ჩვენი სული და როგორია მისი მარადისობასთან ზიარების შანსები; ვართ თუ არა თავისუფალი ჩვენს ქცევა-მოქმედებაში, თუ სხვა არსებებივით აუცილებლობისა და ბედისწერის ძალები წარგვმართავენ; და ბოლოს, არსებობს თუ არა სამყაროს უზენაესი მიზეზი, თუ ბუნების საგნები და მათი წესრიგი წარმოადგენს უკანასკნელ ინსტანციას, რაზეც უნდა შევჩერდეთ ჩვენი შემეცნების პროცესში, ეს ისეთი საკითხებია, რომელთაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ ადამიანისთვის. ვერცერთი მეცნიერება ვერ დააკმაყოფილებს ადამიანის სწრაფვას ამ უმაღლესი მიზნებისკენ.

მეტაფიზიკა კითხვას სვამს მთლიანი არსებულის შესახებ, მაგრამ გამოთქმა „მთლიანი“ თავის თავში ფარავს მთავარ პრობლემას. როცა მეტაფიზიკა ცდილობს, მოიცვას „მთლიანი“ და კითხულობს მასზე, თვითონ შემკითხველი აუცილებლობით ექცევა კითხვის ქვეშ. რადგან არ არსებობს არანაირი მოაზრება მთლიანისა, თუ მასში არ არის გათვალისწინებული ადამიანი, რომელიც ფილოსოფოსობს.

აქ თავს იჩენს პრობლემის ერთგვარი გაორება, სინამდვილეში კი უმთავრესი პრობლემისკენ სხვადასხვა მხრიდან სვლასთან გვაქვს საქმე. ერთი მხრივ, მეტაფიზიკა ცდილობს მოიცვას მთლიანი და მასთან ერთად კითხვის დამსმელიც, რათა გამოარკვიოს ამ მთლიანში ადამიანის ადგილი და დაასაბუთოს მისი ცხოვრების ჭეშმარიტი საზრისი, ხოლო, მეორე მხრივ, რამდენადაც მეტაფიზიკა თავის ცენტრალურ პრობლემად ყოფიერების საზრისის პრობლემას აყენებს, ამ პრობლემის დასაბუთება ეფექტური ვერ იქნება, თუ იგი დასჯერდება ეთიკურსა და პრაქტიკულ დონეს. ყოფიერების საზრისის, სიცოცხლის მიზნის დასაბუთებას აუცილებლად სჭირდება მეტაფიზიკური გამართლება. ორივე მხარე შეთანხმებული უნდა იყოს.

ვერავითარი ცვლილება ადამიანის ყოფიერების საზრისის შესახებ, ვერ განხორციელდება, თუ არ გადახალისდება მეტაფიზიკური თვალსაზრისის უნივერსუმის ბუნების შესახებ.

მეტაფიზიკა აზროვნების ის სახეა, რომელიც სამყაროს მთლიანობაში, სუბსტანციურ ერთიანობაში მოიაზრებს. მაგრამ მთლიანი არსებულის მოაზრება ყოველთვის და თან აუცილებლობით, ადამიანის ყოფიერების საზრისის შუქზე ხდება. მეტაფიზიკა არსებულის მოაზრებისას იმავე დროს ადამიანის ყოფიერების საზრისზე გველაპარაკება, მის ახლებურ განათებას ახდენს. ე. ი. ადამიანი მეტაფიზიკის მეშვეობით გარკვეული გაგებით ურთიერთობას ამყარებს სამყაროს მთელთან და შემდეგ, ამ გაგების საფუძველზე - თავის თავთან. და ასე იმიტომ ხდება, რომ ადამიანი არსებითად მეტაფიზიკური არსებაა.

გონითობის გამოვლენის ვერცერთი ფორმა ვერ გამოხატავს ისე სიღრმისეულად ადამიანის არსებას, როგორც მეტაფიზიკურობა.

ნოვალისი ფილოსოფიის რომანტიკულ დეფინიციას გვთავაზობს: „ფილოსოფია ნოსტალგიაა მუდამ და ყველგან თავს გრძნობდე სახლში“.

ფილოსოფია ნოსტალგია ყველგან სახლში ყოფნისა შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ჩვენ, ვინც ვფილოსოფოსობთ, ყველგან არა ვართ სახლში. ეს „ყველგან“ არის მთლიანი სამყარო და ჩვენ იმიტომ ვფილოსოფოსობთ, რომ სამყაროში გადმოსროლილნი, მიტოვებულნი, თავის ანაბარა დარჩენილი თავისუფალი და სასრულო არსებები მთლიანში თავს უცხოდ ვგრძნობთ და გვინდა მას მეტაფიზიკის მეშვეობით დავუბრუნდეთ, როგორც მშობლიურ სახლს. ადამიანის არსებით განსაზღვრულობას წარმოადგენს სამყაროში ყოფნა. ადამიანი გადმოსროლილია სამყაროში, ანუ თავის თავს არის მინდობილი. მის უსაკუთრივეს ყოფნის უნარს წარმოადგენს თავისუფლება, რომელიც სამყაროს სუბსტანციურ მთლიანობასთან მიმართებისა და ამ საფუძველზე თავის თავის წვდომისა და ამორჩევის თავისუფლებაა. ეს კი ყოფნის ისეთი წესია, რომელიც მუდამ თავისი თავის შესაძლებლობაა. ადამიანი თავის თავს აგებს ამ შესაძლებლობებში. მაგრამ ადამიანის სამყაროში ყოფნა შეიძლება იყოს საკუთრივი და არასაკუთრივი. საკუთრივი ყოფნა ეს თვითადყოფნაა, მაშინ, როცა არასაკუთრივ ვართ არა თვით ჩვენ, არამედ „მანი“. არასაკუთრივია ადამიანის ყოფნა, როცა გაურკვეველია თუ საკუთრივ ვინ ირჩევს ადამიანური ყოფის წესს და ადამიანი არჩევანის გარეშე მორჩილდება ყოფნის ამ წესს, ანუ „მანში“ ითქვიფება. ადამიანი „მანში“ ჩაკარგულობიდან საკუთრივი ყოფნის უნარს, საკუთარ თვითობას მაშინ უბრუნდება, როცა თვითონ აკეთებს არჩევანს და ამ არჩევით ინამდვილებს თავს.

ფილოსოფოსობა ჩვენი სასრულობიდან ამოიზრდება. ამ სასრულობასთან მიმართებაში იბადება ის განწყობა, რომელიც თავისი სევდიანი მელოდიით განმსჭვალავს ადამიანს. ფილოსოფოსობა ხორცს ისხამს სწორედ ამ განწყობაში. ის წმინდა ადამიანური ამბავია. ადამიანი სასრული არსება რომ არ იყოს, მაშინ არ იფილოსოფოსებდა. ღმერთი არ ფილოსოფოსობს. ფილოსოფოსობს მხოლოდ ადამიანი, რადგან ბედად გვრგებია არარაობა ჩვენი ყოფნისა, ჩვენი სასრულო არსებობის სახით.

ფილოსოფია ყოველგვარი სიმშვიდისა და უზრუნველობის საპირისპირო, ქარბორბალას ძაბრია, რომელიც თავის შუაგულში ითრევს ადამიანს. ეს ქარბორბალა ადამიანის გარეთ კი არ ტრიალებს, არამედ მის არსებაში, რომელშიც ადამიანი ჩათრეული ხდება ყოველდღიური არსებობის ზედაპირიდან. ფილოსოფია იპყრობს არა ყოველდღიური დროსტარების ან შემეცნებითი განცხრომის სუბიექტს, არამედ ყოველდღიურობიდან განდევნილ, მთლიან ადამიანს.

მეტაფიზიკა ისე სვამს კითხვას მთლიანი არსებულის შესახებ, რომ კითხვის დამსმელსაც აყენებს კითხვის ქვეშ. ამ კითხვის პასუხი კი ის გზაა, რომელსაც ჩვენი ყოფიერების ახლებურ გაგებასთან და ჩვენი ადამიანობის ახლებურ განამდვილებასთან მივყავართ. ჩვენ ადამიანობა გვეძლევა როგორც შესაძლებლობა და მის ეპოქალურ განამდვილებას მეტაფიზიკის მეშვეობით ვახდენთ.

არისტოტელე ფილოსოფოსობის ამოსავლად გაკვირვებას მიიჩნევს. მაგრამ მეტაფიზიკური კითხვები ცარიელ ადგილზე არ ჩნდება, არ არის მოტივირებული მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობით. ჩვენ, კითხვის დამსმელნი, ამოვდივართ ჩვენი აწმყო ყოფიერების ვითარებიდან. გაკვირვებას და კითხვას ბადებს ის არაჩვეულებრივი სიტუაცია, რომელშიც ვიმყოფებით, როცა ჩვენი ყოფიერება კრიზისშია და პრობლემად დგას მისი განახლების აუცილებლობა. მოსანახია გზა ამ კრიზისიდან გამოსვლისა, მაგრამ ამისთვის საჭიროა ჯერ შეიგრძნო ეს კრიზისი და ამ მდგომარეობიდან გამოსვლის აუცილებლობა. პლატონი თავის ერთ-ერთ დიალოგში ამბობს, რომ განსხვავება იმათ შორის, ვინც ფილოსოფოსობს და არ ფილოსოფოსობს, ისეთია, როგორც სიფხიზლესა და ძილს შორის. ადამიანი, რომელიც არ ფილოსოფოსობს, მიმინარე მდგომარეობაშია. მხოლოდ ფილოსოფოსობაა ფხიზელი მდგომარეობა, რადგან სრულიად თავისთავადი.

ადამიანი ფილოსოფოსობის ჟამს ბიძგს გარედან კი არ იღებს, არამედ თავისი ყოფიერების მდგომარეობიდან. ყოფიერების კრიზისი უსაზრისობაში, სიყალბით ცხოვრებაში, ჭეშმარიტების დაკარგულობაშია და თუ ადამიანური ყოფიერება კრიზისს განიცდის, აუცილებლობად დგება მისი

გააზრება და გადალახვა. ჰეგელი ფილოსოფიას თავდაყირა დაყენებულ სამყაროს რომ უწოდებს, ამით იმის თქმა სურს, რომ იმას, რაც ნორმალურ ადამიანს ნორმალურად ეჩვენება, ფილოსოფია გაუკუღმართებლად მიიჩნევს და ფილოსოფიაა გასწორება ამ გაუკუღმართებული ყოფიერებისა.

ადამიანი არ არსებობს ყოფიერების რაღაცგვარი გაგების გარეშე. ეს გაგება ედება საფუძვლად მის როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ საქმიანობას. ყოფიერების უამრავი შესაძლებელი გაგებიდან ის მუდამ ერთ-ერთს ირჩევს და ეს არჩევანი ქმნის ადამიანის არსებას. ადამიანი, ყოფიერების გაგებით რომ ყოფიერობს, ცდილობს უფრო სრულყოფილი სახით განახორციელოს თავისი ყოფიერება. ხოლო ამისთვის მას ყოფიერების შესაძლებლობებში გარკვევა ესაჭიროება; ადამიანს აუცილებლად სჭირდება გარკვევა ყოფიერების საზრისის ფუნდამენტურ საკითხში, სახელდობრ, როგორია ყოფიერების სახეები და მათ შორის ურთიერთობა, რომელია მათ შორის უფრო მიზანშეწონილი და სრულყოფილი.

მეტაფიზიკის მოწოდება, მისი უმთავრესი ფუნქცია ისაა, რომ ჩასწვდეს ყოფიერების შესაძლებლობებს, მიაღწიოს ადამიანური ყოფის უფრო ჭეშმარიტ გაგებას, ვიდრე ეს მეტაფიზიკამდელი გაგების დონეზე მიიღწევა და მოახდინოს ადამიანობის უფრო მაღალ დონეზე რეალიზება და მისცეს მის ცხოვრებას უფრო ღირებული გეზი და მიმართულება.

ადამიანის ცხოვრება ისტორიულია. ის ყოფიერების ერთ მომენტს გადალახავს და უფრო სრული ყოფიერებისკენ მოძრაობს; ხოლო ეს მოძრაობა პრინციპულად დაუსრულებელია, რადგან ადამიანი აბსოლუტურად სრულყოფილ ყოფიერებას ვერასდროს აღწევს. არ არსებობს ადამიანისთვის ხელმისაწვდომი, მარად ძალაში მყოფი და მარად მნიშვნელობის მქონე ყოფიერების საზრისის გაგება. ყოველი გაგება მხოლოდ დროებითი და წარმავალია. ადამიანის ცხოვრება მუდამ ერთი და იმავე მიზნისა და იდეალისკენ მოძრაობას კი არ წარმოადგენს, არამედ ერთი იდეალისგან მეორისკენ, და, ამგვარად, ისტორიულობით ხასიათდება. რამდენადაც ყოფიერების საზრისის აბსოლუტურად ჭეშმარიტი გაგება მიუღწეველია და, მაშასადამე, ეპოქალურად ცვალებადი და ისტორიულია, ამდენად ეპოქალურად ცვალებადია და ისტორიული ადამიანის არსებაც. ადამიანი კონკრეტულად ისაა და მისი არსება იმით განისაზღვრება, თუ ყოფიერების როგორი გაგებით ხელმძღვანელობს. ყოველი ადამიანი ინდივიდუალურ და განსაკუთრებულ მიზანს ისახავს, მაგრამ მიზნის დასახვისას ის ეპოქაში მოქმედი ყოფიერების საზრისის გაგების გავლენას განიცდის.

ისტორიული ეპოქები იმით განსხვავდება ერთმანეთისგან, თუ ყოფიერების როგორი გაგებით ხელმძღვანელობს ადამიანი. ყოველი ეპოქა თავის დროს მოჭამს და ის ყოფიერების ახალ გაგებას და და შესატყვისად ახალ ეპოქას დაუთმობს ადგილს.

საზოგადოებრივი ყოფა ცხოვრების საზრისის პერიოდული ცვალებადობით ხასიათდება და, ამგვარად, ისტორიულ პროცესს წარმოადგენს, ეს გარემოება კი შეუძლებელს ხდის ამ სფეროს მეცნიერული ახსნის შესაძლებლობას, რამდენადაც შეუძლებელია ამ ხდომილობათა ერთი და იმავე კანონებით შემეცნება.

ამასთან, ადამიანი ერთადერთი ცოცხალი არსებაა, რომელმაც იცის თავისი არსებობის სასრულობის შესახებ. ის შემფოთებულია ამ სასრულობით, ცდილობს ამაღლდეს უბრალო ორგანულ არსებობაზე და უფრო სრულყოფილი ცხოვრებით იცხოვროს. საბოლოო ანგარიშით კი ყველა სრულყოფილ არსებობად ადამიანს ის არსებობა მიაჩნია, რომელიც მას მარადისობასთან აზიარებს. ადამიანს, რამდენადაც ის ადამიანია, მუდამ მხედველობაში აქვს და მოსვენებას არ აძლევს უსასრული ყოფიერებაში დამკვიდრების შესაძლებლობა“ (კაკაბაძე, 1988). ამ შემთხვევაშიც ადამიანს სჭირდება არსებობის, საერთოდ, ყოფიერების გაგება.

ტრადიციული მეტაფიზიკა ცდილობდა, ერთხელ და სამუდამოდ, სრულყოფილად გაეგო ყოფიერება, ჩასწვდომოდა ყოფიერების აბსოლუტურ ჭეშმარიტებას და ამის საფუძველზე მარად მნიშვნელოვანი ცხოვრების საზრისი და იდეალი დაესახა. თანამედროვე მეტაფიზიკამ გააცნობიერა, რომ ადამიანის ყოფიერება ისტორიულია, რომ შეუძლებელია ყოფიერების სრულსა და საბოლოო, აბსოლუტურად ჭეშმარიტ გაგებას მიაღწიო, მაგრამ ჩასაწვდომია ყოფიერების თავისი დროისთვის ჭეშმარიტი გაგება. თავისი დროისთვის ჭეშმარიტი ყოფიერების გაგება მაშინ გვაქვს, როცა მის საფუძველზე დასახული იდეალი გასაქანს აძლევს ადამიანის არსებით ტენდენციათა განამდვილებას, როცა ეპოქალური იდეალი ხელს უშლის და აფერხებს ადამიანის არსებით ტენდენციათა რეალიზაციას, როცა მის მიხედვით მოძრავ საზოგადოებას კატასტროფა ემუქრება, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ იდეალმა და ყოფიერების შესატყვისმა გაგებამ თავისი დრო მოჭამეს და ახალ გაგებას უნდა დაუთმონ ადგილი. ადამიანი ისტორიული არსებაა, ის არასდროს არაა მხოლოდ ის, რაც უკვე განხორციელებულია ფაქტობრივი სახით. ამ სახით იგი მუდამ ნაკლოვანია და ამიტომ ხდება სხვა, ის, რაც შეიძლება და უნდა იყოს იგი. ადამიანი არის ის, რაც არის ფაქტობრივად, და, მეორე მხრივ, ისიც, რაც შეიძლება და უნდა

იყოს იგი. დიდი ფილოსოფოსი განსაკუთრებული ძალის ინტუიციით რომ გამოირჩევა, სახავს ყოფიერების საზრისის ახალ გაგებას და, შესაბამისად, შესაძლო და ჯერარსულ სამყაროს.

მეტაფიზიკა თავის ცენტრალურ პრობლემად ყოფიერების საზრისს აყენებს, ხოლო ყოფიერების როგორი გაგებაც აქვს ადამიანი იმის მიხედვით მოიაზრებს და მნიშვნელობას ანიჭებს მთლიან სამყაროს. ადამიანის ყოფიერების საზრისის დადგენა აუცილებლად საჭიროებს საერთოდ არსებულის, ყოფიერების რაღაც გარკვეულ გაგებას. საერთოდ არსებული მხოლოდ იმდენად გვემლევა, რამდენადაც რაღაც გარკვეული თვალსაზრისით, ანუ ყოფიერების გარკვეული გაგებით ვწვდებით მას.

მეტაფიზიკას ადრე მიაჩნდა, რომ საერთოდ არსებულის ფილოსოფიური ხედვა თავისუფალია ყოფიერების ყოველგვარი გაგებისგან, ყოველგვარი თვალსაზრისისგან, რომ ის „წმინდა ხედვა“ უნდა იყოს, მაგრამ სინამდვილეში, როცა ჩვენ ვაზროვნებთ საერთოდ არსებულზე, ყოველთვის ფარულად იგულისხმება ის, თუ როგორ პასუხობს იგი ჩვენს მიზნებს, მისწრაფებებს, რა ღირებულებები აქვს მას ჩვენთან მიმართებაში. იგი თავს იჩენს არა ისე, როგორცაა თავისთავად, არამედ ისე, როგორცაა ჩვენთვის, ჩვენი ცხოვრების საზრისის თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

1. ი. კანტი, თხზ. ტ. 4, მოსკოვი, 1965, გვ. 177
2. ზ. კაკაბაძე, ფილოსოფიური საფუძვლები, თბ., 1988, გვ. 19
3. მ. ჰაიდეგერი, მეტაფიზიკის ძირითადი ცნებები, მოსკოვი, 1989, გვ. 117-119
4. მ. ჰაიდეგერი, დრო და ყოფიერება, მოსკოვი, 1993, გვ. 27

რეზიუმე

მეტაფიზიკა აზროვნების ის სახეა, რომელიც სამყაროს მთლიანობაში, სუბსტანციურ ერთიანობაში მოიაზრებს. მაგრამ მთლიანი არსებულის მოაზრება ყოველთვის და თან აუცილებლობით, ადამიანის ყოფიერების საზრისის შუქზე ხდება. მეტაფიზიკა არსებულის მოაზრებისას იმავე დროს ადამიანის ყოფიერების საზრისზე გველაპარაკება, მის ახლებურ განათებას ახდენს. ე. ი. ადამიანი მეტაფიზიკის მეშვეობით გარკვეული გაგებით ურთიერთობას ამყარებს სამყაროს მთელთან და შემდეგ, ამ გაგების საფუძველზე - თავის თავთან. და ასე იმიტომ ხდება, რომ ადამიანი არსებითად მეტაფიზიკური არსებაა.

WHAT IS METAPHYSICS

Nugzar Abramishvili, Gori State Teaching University, Full Professor

ABSTRACT

Metaphysics is the sort of thinking that the whole world, imagines a meaningful unity. But the existing understanding of the necessity and always, in the light of the sense of human existence. Existing at the time of submission of the letters on the metaphysics of human existence speaks to the novel illumination. People with a certain sense of metaphysics to maintain relations with the whole world, and then, based on this understanding - with himself. And so it happens that a man is inherently metaphysical.

გარიგების ფორმის დაუცველობის შედეგები

ივანე ბალახაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, უფროსი მასწავლებელი

E-mail: v.balakhshvili@gmail.com

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა არის სამოქალაქო სამართლის ნორმებით მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობა ანუ ურთიერთობა, რომლის მონაწილეებს აქვთ გარკვეული სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (კობახიძე, 2001). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

გეტინგენის უნივერსიტეტის პროფესორის სახელს უკავშირდება „გარიგების“ ცნების წარმოშობა. მან თავის 1807 წელს გამოცემული ნაშრომის პირველ წიგნში, რომელსაც „ზოგადი მოძღვრებები“ ეწოდებოდა, სამოქალაქო სამართლის სისტემის დახასიათებისას მოიხსენია „მოქმედებანი“ და ის ორ პარაგრაფად დაყო: „ნების გამოვლენა“ და „განსაკუთრებით გარიგებანი“. ეს სისტემა მოგვიანებით კერძოდ, კი მე-19 საუკუნის პანდექტურმა სამართალმა, განსაკუთრებით - სავინიმ აიტაცა (ჭანტურია, 1997). „გარიგება“ გერმანული წარმოშობისაა და ორიგინალის ენაზე მას „სამართლებრივი საქმე“ ეწოდება. იგი არის ორი სიტყვის კომპოზიტი, რომელიც პირველად გამოყენებული იყო 1794 წელს გამოცემულ წიგნში „მთელი დღევანდელი ცივილური სამართლის სისტემა“. კერძოდ, ავტორი წერდა: „ადამიანური მოქმედებებიდან არსებობს ერთი ჯგუფი, რომელსაც სამართლებრივ მოქმედებებს ან სამართლებრივ საქმეებს უწოდებენ. მართალია ტერმინი „გარიგება“ მე-18 საუკუნეში წარმოიშვა, მაგრამ ერთიანი, აბსტრაქტული და ზოგადი ცნების დამკვიდრება სამართალში ჰაიზეს სახელთანაა დაკავშირებული. თუმცა კლასიკური ფორმით, ე.ი. იმ ფორმით, როგორც დღემდე არსებობს, მისი დანერგვა სავინის დამსახურებაა. გარიგების განსაზღვრისას სავინიმ ყურადღება გაამახვილა ნების მნიშვნელობაზე. მან პირველად განიხილა ცნებები „გარიგება“ და „ნების გამოვლენა“ სინონიმებად.

გარიგების ფორმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არის განსაზღვრული: ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით - ნათქვამია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველ ნაწილში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ეს მუხლი არ გულისხმობს იმას, რომ გარიგება აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა იყოს დადებული, აღნიშნული ნორმა ასევე მხარეებს საშუალებას აძლევს თვითონ განსაზღვრონ გარიგების ფორმა, თუმცა ეს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

გარიგება საერთოდ არსებობს ფორმის მეშვეობით. ფორმის დაცვის გარეშე არც გარიგებით აქტი არ არსებობს. გარიგების ფორმა გარიგების, ნების გამოვლენის, არარსებობის გარეგნული გამოხატვაა, რომელსაც კანონი სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს. გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი.

გარიგების ნამდვილობის განმსაზღვრელია მისი ფორმა. ყველა თანამედროვე მართლწესრიგში აღიარებულია, რომ გარიგებათა რიგი სახეობები იურიდიულად ფასეული იქნება, თუ დადებულია განსაზღვრული ფორმით. განსაზღვრული ფორმის დაცვა გახდა გამონაკლისი თავისუფალი ფორმის ზოგადი პრინციპიდან. აღნიშნული პრინციპი უშუალოდ არის გამოხატული ბევრ მართლწესრიგში. თუ კანონით გარიგების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა გარიგებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ გარიგება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ. მაგალითად: თუ მხარეები შეთანხმდნენ წერილობით ფორმაზე, გარიგება შეიძლება დაიდოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის შედგენით, ფორმის უზრუნველსაყოფად ასევე საკმარისია სატელეგრაფო შეტყობინება ან წერილების ურთიერთგაცვლა.

გარიგების ფორმა შეიძლება დადგენილი იყოს კანონით ან თვით მხარეების მიერ, ხოლო გარიგების ფორმის თავისუფლების პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიერ. მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევების გარდა დანარჩენ შემთხვევაში მხარეებს დამოუკიდებლად შეუძლიათ შეთანხმდნენ მის ფორმაზე. გარიგების ფორმის დახასიათებისას მნიშვნელოვანია მისი განხილვა ერთ შემთხვევაში, როგორც გარიგების ერთ-ერთი ატრიბუტის, ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც აბსოლუტური ფორმის (ჭანტურია, 1997). ამ კლასიფიკაციაზე ხშირად არის დამოკიდებული გარიგებად ჩაფიქრებული, განზრახული ნების გამოვლენის ბედი. როცა გარიგების ფორმა მხოლოდ გარიგების ატრიბუტად მოიაზრება, მისმა დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების ბათილობა. ხოლო როცა გარიგება აბსოლუტური ფორმის ფუნქციას ასრულებს, მაშინ მისი სამართლებრივი მნიშვნელობა უფრო განსხვავებულია. მაგალითად: თუ ფასიან ქაღალდში არ არის მოცემული ჩეკის რეკვიზიტები და არ არის აღნიშნული, რომ ეს დოკუმენტი ჩეკია, მაშინ საქმე გვაქვს არა ბათილ ჩეკთან, არამედ ეს დოკუმენტი საერთოდ არ იქნება ჩეკი.

გარიგების ფორმის თავისუფლების პრინციპი ყველაზე აშკარაა ვალდებულებით სამართალში. მცირედი გამონაკლისების გარდა, მასში გათვალისწინებულ სახელშეკრულებო ვალდებულებათა უმეტესი ნაწილი არ მოითხოვს კანონით განსაზღვრულ ფორმას. გარიგების ფორმას თანამედროვე სამართალში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ საინტერესო იქნება შედარებით სამართლებრივი კუთხით ამ საკითხის განხილვა.

ევროპის ყველა ქვეყნის სამართალი განამტკიცებს წესებს, რომელთა მიხედვითაც გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, რომ დაიცვეს თუ არა მხარეებმა კანონით გათვალისწინებული ფორმა. გარიგება, რომ ზეპირად შეიძლება დაიდოს, დღეს სრულიად ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს. ისტორიულად ეს ასე არ იყო. მაგალითად: გარიგების დადება ძველ რომში, მრავალ ფორმალობასთან იყო დაკავშირებული. მოწმეთა მონაწილეობით გარიგების დადების ადგილი დროთა განმავლობაში დაიკავა დოკუმენტის შედგენით გარიგების დადებამ. წერილობითი ფორმა გარიგების ნამდვილობის დამატებითი პირობაა და ამიტომ დამკვიდრდა სამართალში, რომ მტკიცების პროცესში ბოროტად არ გამოყენებულიყო მოწმეთა ჩვენებები. მოწმეთა ყალბი ჩვენებების ფაქტის დადასტურების თავიდან აცილების მიზნით საფრანგეთში ჯერ კიდევ 1566 წელს მიღებული იქნა ორდონანსი, რითაც აიკრძალა მოწმეთა ჩვენებების გამოყენება ზეპირად დადებულ იმ გარიგებებთან დაკავშირებული დავების დროს, რომელთა ღირებულება 100 ფუნტს აღემატებოდა. მისი გავლენით შეიქმნა საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ანალოგიური ნორმა, რომლის თანახმად, სესხის გარიგება 50 მანეთზე ზევით უნდა გაფორმებულიყო წერილობით. გადმონაშთის სახით მსგავს წესს შეიცავს საქართველოს ამჟამინდელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ინსტიტუტი პირდაპირ არ არის მოცემული მასში. კერძოდ, ის, რომ ზეპირი გარიგების დროს სესხის ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით - არაპირდაპირ ჩანაწერს წარმოადგენს.

შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის შესახებ კანონის მე-11 მუხლის თანახმად, გარიგებების ნამდვილობისთვის მათ დადებას მხოლოდ იმ შემთხვევაში სჭირდება განსაკუთრებული ფორმის დაცვა, როდესაც ამას პირდაპირ ითხოვს კანონი. მსგავსია ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის §883. რომანული სამართლებრივი ოჯახის სამოქალაქო კოდექსები, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის დარად სამართლებრივი გარიგების ნამდვილობის წინასწარ პირობად რიგი ფორმალობების შესრულების შემთხვევებს განასხვავებენ დანარჩენი შემთხვევებისაგან, როდესაც არსებული ფორმულარების დაცვის გარეშე გარიგება ნამდვილად ჩაითვლება, მაგრამ სასამართლოთი ამის დადასტურება შეუძლებელია, ხოლო, თუ დასაშვებია ამგვარი ფაქტი, მხოლოდ შეზღუდული საშუალებებით. ფრანგულ სამართალში ფორმის დაცვა იშვიათად არის გარიგების ნამდვილობის წინასწარი პირობა. ხოლო იქ, სადაც კანონი ითხოვს ფორმის დაცვას, უმეტეს შემთხვევაში იგი უნდა იყოს ნოტარიალური. ამგვარ სამართლებრივ გარიგებებს განეკუთვნება ნაჩუქრობის დაპირება, რომელიც მოცემულია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 931-ე მუხლში; იტალიის სამოქალაქო კოდექსის 782-ე მუხლში, და საქორწინო ხელშეკრულება საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1394-ე მუხლის და იტალიის სამოქალაქო კოდექსის 162-ე და მომდევნო მუხლებში.

მიზანშეწონილია შევეხოთ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით რთული წერილობითი ფორმის გამოყენებას, ამ მხრივ გარკვეული სიახლეა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელი იყო სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ე.ი. რთული წერილობითი ფორმის გამოყენება უძრავ ნივთებთან დაკავშირებით საკუთრების უფლების მოსაპოვებლად სავალდებულო ხასიათს ატარებდა. 2007 წლის 15 მარტიდან კი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, ე.ი. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად რთული სანოტარო ფორმის გამოყენებამ ნებაყოფლობითობის ხასიათი მიიღო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია ის შემთხვევები, როდესაც გამოიყენება წერილობითი ფორმა: საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის, ლიზინგის, ფრეშიაზინგის, სამისდღეშიო და სხვა გარიგებები. რაც შეეხება რთულ სანოტარო ფორმას, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელია გარიგების დამოწმება ნოტარიუსის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ (კობახიძე, 2001). ამგვარი გარიგებების ჩამონათვალს განეკუთვნება: ა) საჩუქრის დაპირება ჩუქების გარიგებებში; ბ) სამისდღეშიო რჩენის გარიგება უძრავი ქონების გადაცემით; გ) საქორწინო გარიგება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იმპერატიული ხასიათის ნორმას გვთავაზობს. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განმტკიცებული ეს ზოგადი დებულება, ფრანგული კოდექსისათვის უცხოა, მაგრამ კონკრეტული გარიგებები შეიცავენ ნორმებს ფორმის დაუცველობის შედეგების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არაფერია ნათქვამი ისეთ შემთხვევებზე, როცა გარიგება ერთმა მხარემ მთლიანად ან ნაწილობრივ შეასრულა და მეორე მხარე თავს იკავებს კანონით დადგენილი ფორმით გარიგების პირობის შესრულებისაგან. ეს გარემოება პროფესორ ავთანდილ კობახიძეს ხარვეზად მიაჩნია და ასაბუთებს პრაქტიკით, სადაც ხშირია ამ შემთხვევების გამოყენება (კობახიძე, 2001).

კანონმდებლობა ითვალისწინებს გამონაკლისებს, როცა შეიძლება ფორმის დაუცველად დადებული გარიგება არ იყოს ბათილი. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა გარიგების ფაქტობრივი შესრულებით სწორდება ის ხარვეზი, რომელიც გარიგების დადებისას მხარეებმა ვერ გაითვალისწინეს. მაგრამ არ შეიძლება ამ გამონაკლისის განზოგადება ყველა ურთიერთობის მიმართ და იმის თქმა, რომ ფორმის დაუცველად დადებული გარიგების შესრულება ყოველთვის იწვევს ფორმის ნაკლის გამოსწორებას. თუ ამას დავუშვებდით, მაშინ კანონით გათვალისწინებული ფორმა დაკარგავდა თავის დანიშნულებას, რამეთუ მხარეებს ყოველთვის მიეცემოდათ იმის შესაძლებლობა, რომ გვერდი აევილოთ მისთვის. ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ ფაქტობრივი შესრულება ფორმის ნაკლს მხოლოდ მაშინ ასწორებს, თუ ამის შესახებ კანონი პირდაპირ მიუთითებს ან ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ეს საფრთხეს არ უქმნის სამართლებრივ სტაბილურობას (ჭანტურია, 1997).

გარიგების ფორმის დარღვევისათვის გამოიყენება სანქციები. ფრანგული კოდექსის 1341-ე მუხლის თანახმად, ყველა გარიგება, რომლის ღირებულება 5000 ფრანგულ ფრანკს აღემატება, უნდა დაიდოს წერილობით ან სანოტარო ფორმის დაცვით. ამ წესის დარღვევის შემთხვევისას მოწმეთა ჩვენებების გამოყენება დაუშვებელია. თუმცა ამ წესიდან არსებობს შეზღუდვები. ეს წესი გამოიყენება კერძო პირებს შორის ურთიერთობებში და არა კომერსანტებს შორის. მოწმის ჩვენება დაიშვება მაშინ, თუკი მხარეებს შორის რაიმე წერილობითი დოკუმენტი არსებობს, თუნდაც არასრულყოფილი სახით.

დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა იცნობს შემთხვევებს, როცა მიუხედავად ფორმის შესახებ მოთხოვნის დარღვევისა, გარიგება ძალაში დაუტოვებიათ. მაგალითად, გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ გამყიდველს არ შეუძლია მიუთითოს ფორმის დაუცველობის გამო გარიგების ბათილობაზე, თუ იგი წინასწარი შეცნობით აკეთებდა ამას და მიზნად ისახავდა შემდეგში ნაკვეთის მყიდველისაგან ამ ნაკვეთის უკან მოთხოვნას, თუკი ნაკვეთზე ფასი გაიზრდებოდა (ცვაიგერტი, კოტცი, 2000).

ხშირია შემთხვევები, როცა გარიგების დადებისას მხარეები გულწრფელად ცდებოდნენ და არ იცოდნენ ფორმის დარღვევის მოსალოდნელი შედეგები ან იცოდნენ, მაგრამ სარგებლობდნენ ერთმანეთის ნდობით და შეგნებულად მიდიოდნენ ამ ნაბიჯზე. გერმანიის სასამართლო პრაქტიკა ასეთ შემთხვევებში მხარეთა ურთიერთდამოკიდებულებას აქცევს ყურადღებას და გარიგებას ძალაში ტოვებს.

ლიტერატურა:

1. ავთანდილ კობახიძე, სამოქალაქო სამართალი I წიგნი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001.
2. ლადო ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, გვ. 307, 347, 354
3. ავთანდილ კობახიძე, სამოქალაქო სამართალი I წიგნი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001, გვ. 287
4. კ. ცვაიგერტი, ჰ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ჯისიანი, 2000.
5. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2007.
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2007.
7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, II, III, IV, V
8. ლ. ხელაძე, ა. კობახიძე, რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები, ჯისიანი, 2001.
9. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953.
10. ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, სამართალი, 1998.
11. შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, მერიდიანი, 2000.
12. დ. ძამუკაშვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, ბონა კაუზა, 2001.
13. გ. ნადარეიშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, ბონა კაუზა, 2006.
14. გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, ბონა კაუზა, 2005.
15. რ. მეტრეველი, რომის სამართალი, თბ., 2005.
16. შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, მერიდიანი, 2000.
17. რ. პაიპსი, საკუთრება და თავისუფლება, პირველი ქართული გამოცემა, დიოგენე, 2004.
18. ა. კობახიძე, სამოქალაქო სამართალი I ზოგადი ნაწილი, საქართველოს მაცნე, 2001.
19. რ. დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბილისი, 1993.

რეზიუმე

ადამიანურ ურთიერთობებში ნების გამოხატვის სხვადასხვა ფორმები არსებობს: სიტყვით, მოქმედებით, უმოქმედობით, წერილობით, ზეპირად და ა.შ. თანამედროვე ეპოქაში კი სრულიად განვითარებული სახით არის შესაძლებელი ნების გამოხატვა, მაგალითად, ინტერნეტის საშუალებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ასეთი საშუალების გამოყენებას ერთი საერთო უნდა ჰქონდეს. ქმედება უნდა იყოს ნებელობითი აქტი და ის ადამიანის ცნობიერებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამასთან მნიშვნელოვანია გარიგების ფორმის დაცვა. ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია. კანონმდებლობა ითვალისწინებს გამონაკლისებს, როცა შეიძლება ფორმის დაუცველად დადებული გარიგება არ იყოს ბათილი. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა გარიგების ფაქტობრივი შესრულებით სწორდება ის ხარვეზი, რომელიც გარიგების დადებისას მხარეებმა ვერ გაითვალისწინეს. მაგრამ არ შეიძლება ამ გამონაკლისის განზოგადება ყველა ურთიერთობის მიმართ და იმის თქმა, რომ ფორმის დაუცველად დადებული გარიგების შესრულება ყოველთვის იწვევს ფორმის ნაკლის გამოსწორებას.

THE RESULTS OF ABROGATION THE FORM OF AGREEMENT Ivane Balakhashvili, Gori State Teaching University, Senior Teacher SUMMARY

There are different forms of expression of the will of human relations: word, action, Inactivity, in writing, orally etc. In the modern era, it is possible to express in the form of, for example, through the Internet. However should be noted that all of these tools use a common need. Action must be a voluntary act, and it follows from the human consciousness. At the same time, it is important to protect the transaction form. Insecure form of a void transaction. The legislation provides for exemptions, they can not be concluded without observing shaped void. This case occurs when the actual transaction performance deals with those gaps that the deal could not be taken into account. But this exception can not be generalized to all relationships, and to say that a transaction always causes a form of insecure forms of defect correction.

ალტერნატიული სასჯელები

იოსებ გაბარაევი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი
E-mail: s.gabaraevi@gmail.com

სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციაში სისხლის სამართლის სხვადასხვა სისტემები არსებობდა და შესაბამისად სასჯელის სხვადასხვა სახეების შესახებ შეხედულებებიც იცვლებოდა და გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა. შესაბამისად, მართებული იქნება განსახილველ საკითხზე მსჯელობა ქართულ სისხლის სამართალში ისტორიულად არსებული სასჯელების სისტემის და დასჯის ალტერნატიული საშუალებების მოკლე მიმოხილვით დავიწყოთ.

თუმცა მანამდე უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი, განსხვავებით დანაშაულის ცნების განსაზღვრისაგან, არ იძლევა სასჯელის ცნების განსაზღვრებას. სისხლის სამართლის მეცნიერებაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სასჯელი არის სისხლის სამართლის ნორმაში მოცემული სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც სახელმწიფოს სახელით და კანონის საფუძველზე მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეეფარდება დანაშაულის ჩამდენ პირს და გამოხატავს ჩადენილი ქმედების საჯარო სამართლებრივ შეფასებას, ერთი მხრივ, მისი მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გამო, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ქმედების ჩამდენი პირის პერსონალურ უარყოფით შეფასებას (გაკიცხვას) ამ ქმედების ჩადენის გამო.¹

¹ თამაზ დონჯაშვილი, „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, თბ., 2007, გვ. 361

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსში არაა მოცემული სასჯელის ცნების განმარტება, კოდექსით დადგენილია სასჯელთა ამომწურავი ჩამონათვალი გარკვეული თანმიმდევრობით (სიმძიმის მიხედვით), რომლებიც ქმნიან სისხლის სამართლის სასჯელთა სისტემას.

მოცემული ნაშრომის განხილვის საგანს წარმოადგენს სწორედ ის ალტერნატიული სასჯელები, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის მე-40-ე მუხლით. ჩემის აზრით, ალტერნატიულ სასჯელებში უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო სსკ-ის მე-40 მუხლში ჩამოთვლილი სასჯელები, არამედ ის ალტერნატიული სასჯელის სახეები, რომლებიც შესაძლოა ჩვენს კანონმდებლობაში არაა ასახული, თუმცა წამატებით გამოიყენება მსოფლიოს მრავალ დემოკრატიულ სახელმწიფოში.

რაც შეეხება ალტერნატიული სასჯელების შესახებ ისტორიულ ცნობებს, ქართული სამართლის ძეგლებში XIII საუკუნიდან მოგვეპოვება. მაშინდელი მოძღვრების და ფილოსოფიური შეხედულებების თანახმად, მას შემდეგ, რაც შემოქმედმა ადამიანთა მოდგმას “სჯული” დაუწესა და, რაკი პირველმა ადამიანმა ბუნებითი სჯული დაარღვია და ვერც შემდგომში შემოქმედის მრავალმა სასჯელმა მოაქცია კაცობრიობა სწორე და წესიერი გზისაკენ, ამიტომ ღმერთმა ადამიანს მოსე წინასწარმეტყველის ხელით “დაწერილი სჯული” მისცა, თუმცა შემდგომში ვერც ამ დაწერილმა სჯულმა უშველა კაცობრიობას. ჩვენი კვლევის საგნის კუთხით საინტერესოა ასევე ქართული სამართლის ძეგლებში მოცემული სასჯელის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინები და იმ დროს არსებული დასჯის საშუალებების კლასიფიკაცია რომელიც კვლევის დამოუკიდებელ საგანს წარმოადგენს, თუმცა შეიძლება აღინიშნოს, რომ XIV- XV საუკუნეების ძეგლებში ფართოდ გვხვდება სასჯელის აღმნიშვნელი ისეთი ტერმინები როგორიცაა “სისხლი” და “მისაგებელი”, რომელიც ნიშნავდა იმას, რასაც დამნაშავეს ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის სამაგიეროდ მიუგებდნენ;¹

ძველ ქართულ მართლმსაჯულებას სასჯელთა მიზნების მიხედვით ჯგუფებად დაყოფილი სასჯელთა სისტემა ჰქონდა, რომელიც გარკვეულ პრინციპებზე იყო დამყარებული. სასჯელთა ერთი ჯგუფი ქონებრივი ხასიათისა იყო, რაშიც იგულისხმებოდა “მსუბუქი დანაშაულებისათვის” დამნაშავეს მიერ დაზარალებულისა და მისი ნათესავებისადმი, ასევე სასამართლოს სასარგებლოდ ქონებრივი საზღაურის გადახდა. მეორე ჯგუფში შედიოდა დამნაშავეს თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული სასჯელები, რომელთაგან მიღებული იყო დამნაშავეს შეპყრობა და საპყრობილეში ჩაგდება. სასჯელთა სისტემის მესამე ჯგუფს გვემთხი სასჯელები შეადგენდა, რომელთა დანიშნულებას ფიზიკური და ზნეობრივი სასჯელის მიყენება შეადგენდა. “გუმეა” ცემის აღსანიშნავად იხმარებოდა ძველ ქართულ სამართალში და იგი მსუბუქი დანაშაულების ჩადენისათვის სასჯელად იხმარებოდა, რომელიც გავრცელებული იყო, როგორც საერო, ისე სასულიერო და საკორპორაციო მართლმსაჯულებაში და იგი ძირითადად ჯოხის, მათრახის ან თასმის გამოყენებით სრულდებოდა. სასჯელთა ცალკე ჯგუფში იყო მოქცეული “ექსორია” და “გაძევება”, რომელიც როგორც სასჯელის სახეები მართალია, ძირითადად მაშინდელი საკორპორაციო სამართლის ნორმების დარღვევისათვის გამოიყენებოდა, თუმცა აქტიური გამოყენება ჰქონდა სასჯელის ამ სახეებს სისხლის სამართალშიც გამოუსწორებელი პოლიტიკური დამნაშავეების მიმართ, როდესაც მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები მძიმე კატეგორიის არ იყო. გაძევებას ბერძნული სახელი “ექსორია”-ც ეწოდებოდა და აქედან გამომდინარე გაძევებულებს “ექსორიაქმნილებსაც” უწოდებდნენ. სასჯელთა მეხუთე ჯგუფს ასოთა მიღება ანუ განაპტიყება მიეკუთვნებოდა, რომელიც დამასახიჩრებელი სასჯელების აღმნიშვნელ ზოგად ტერმინს წარმოადგენდა, როგორც იყო “ასოთ მიღება”, “მზნელობლობა”, “გამოყვერვა” და სხვა. “გამოყვერვა” გამოსაჭურისებას ნიშნავდა და ძალიან იშვიათი სასჯელი იყო, რომელიც მხოლოდ მოდალატე უფლისწულებისათვის იყო განკუთვნილი. “ასოთ მიღება” ასოს მოკვეთით დასჯას ნიშნავდა და ეს სასჯელად განესაზღვრებოდა მხოლოდ მოდალატეებს გარკვეული დანაშაულებისათვის ხელის, ან ფეხის ან ენის მოჭრის მსგავსად. “მზნელობლობა” თვალთ დაბნელებას, ანუ დაწვას ნიშნავდა. ძველი ქართული სისხლის სამართლის სასჯელთა ბოლო ჯგუფში შედიოდა უმაღლესი სასჯელი დამნაშავეს სიცოცხლის მოსპობა - სიკვდილით დასჯა, რომელსაც აგრეთვე “სიკვდილსა მიცემა” რქმევია და სისრულეში „ჩამორჩობის” სახით მოიყვანებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ის სასჯელი, რომელიც ცნობილია ქართული სამართლის ძეგლებიდან გამოიყენებოდა უალტერნატივოდ და, ამდენად, ალტერნატიულ სასჯელებს ვახტანგ VI კანონთა კრებულის არც ერთი შემადგენელი ნაწილი არ ითვალისწინებდა, ერთი კონკრეტული სასჯელის სახეს ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და სახეობა განსაზღვრავდა;

მიუხედავად ამისა ეს უკანასკნელი ძეგლები, სამართლის დაუფასებელი განძია და საინტერესოა კვლევისათვის, ვინაიდან იგი იმ დროს მოქმედი სამართლის ვითარებას გვისაბუთებს; თუმცა ისიც უნდა

¹ ივანე ჯავახიშვილი, „თხზულებანი თორმეტ ტომად“, VI ტომი, თბ., 1984, გვ. 124-125 გვ.

ადინიშნოს, რომ გულდასმით შესწავლას საჭიროებს და ეს უხვი და ძვირფასი წყაროები ცალკე კვლევის სპეციფიკურ საგანს წარმოადგენს.

განსხვავებით, ძველი ქართული სამართლის ზემოთ ხსენებული ძეგლებისაგან, საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსში უხვადაა წარმოდგენილი ისეთი დანაშაულის შემადგენლობები, რომელთა ჩადენისათვისაც გათვალისწინებულია რამდენიმე ალტერნატიული სასჯელის სახე. აღსანიშნავია, რომ სასჯელის ცნებას ყველგან ვხვდებით საბჭოთა ხელისუფლების პირველ დეკრეტებში 1917-1922 წლებში, თუმცა 1922 წლის კოდექსმა შემოიღო ახალი ტერმინი “სოციალური დაცვის ღონისძიება” და კოდექსის მეოთხე კარი კანონმდებელმა ჩამოაყალიბა შემდეგი სათაურით “სასჯელთა და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებათა სახეები”, რითაც კანონმდებელმა ისინი ერთმანეთისგან განასხვავა, თუმცა მოგვიანებით (1924 წელი), საერთო მიზნიდან გამომდინარე, სასჯელი სოციალური დაცვის ღონისძიებად იქნა მიჩნეული კანონმდებლის მიერ. 1922 წლის კოდექსში კანონმდებელი ერთმანეთისგან განასხვავებდა სასჯელის სხვადასხვა სახეებს (32-ე მუხლი), ხოლო 42-ე მუხლში კი მოცემული იყო სოციალური დაცვის სხვა ალტერნატიული ღონისძიებები, რომლებიც განაჩენით ცვლიდნენ სასჯელს ან ერთვოდა, ემატებოდა მას.

ალ. ვაჩიშვილს მოჰყავს პროფესორ შარგოროდსკის აზრი სასჯელის და სოციალური დაცვის ღონისძიებების სხვადასხვაობის შესახებ. მისი აზრით, “სასჯელი” საბჭოთა სისხლის სამართალში არის სახელმწიფოს იძულებითი ღონისძიება, რომელსაც უფარდებენ სასამართლოები მხოლოდ დანაშაულის ჩამდენ პირებს; სოციალური დაცვის ღონისძიება კი გამოიყენება მხოლოდ შეურაცხად პირთა და არასრულწლოვანთა მიმართ, რომელთაც სასჯელი არ შეეფარდებათ, მაგრამ შეეფარდებათ სოციალური დაცვის ღონისძიება სასამართლოს მიერ საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენისათვის.”¹ სწორედ ამიტომ პრინციპულად განსხვავდებოდა საბჭოთა სისხლის სამართალში სასჯელი სოციალური დაცვის ღონისძიებებისაგან. რაც შეეხება სასჯელის სახეებს საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლში სისხლის სამართლის სასჯელები განლაგებულია სიმძიმის კლებადობის მიხედვით და ასეთებს მიეკუთვნებოდა : თავისუფლების აღკვეთა, რომლის ერთადერთ ალტერნატივას სიკვდილით დასჯა წარმოადგენდა ქონების კონფისკაციით. ასევე კოდექსი იცნობდა ჯარიმას, გამასწორებელ სამუშაოებს, გადასახლებას და გასახლებას, რომლებიც გამოიყენებოდა როგორც ძირითად (მაგ. მუხლი 236), ისე დამატებით სასჯელად თავისუფლების აღკვეთასთან ერთად. გადასახლება, რომელიც გულისხმობდა მსჯავრდებულის გაძევებას თავისი საცხოვრებელი ადგილიდან მისი სხვა ადგილას სავალდებულო დასახლებით,² ძირითადად სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობების და თანამდებობრივი დანაშაულების ჩადენისათვის გამოიყენებოდა უმეტესად როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა ან მასთან ერთად, ხოლო გასახლება, რომელიც მსჯავრდებულის თავისი საცხოვრებელი ადგილიდან გაძევებას გულისხმობდა განსაზღვრულ ადგილებში ცხოვრების აკრძალვით, ძირითადად ადამიანის პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენისათვის იყო გათვალისწინებული დამატებითი სასჯელის სახედ, თუმცა კანონით მისი ძირითადი სასჯელის სახით გამოყენების აკრძალვა არ არსებობდა. საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსი იცნობდა ასევე სასჯელის შემდეგ სახეს – საზოგადოებრივი გაკიცხვა, რომლის არსი მდგომარეობდა სასამართლოს მიერ დამნაშავის გაკიცხვის საჯაროდ გამოცხადებაში, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ეცნობებოდა საზოგადოებას პრესის ან სხვა საშუალებით.

რაც შეეხება დამატებით სასჯელებს, სსრ სამართლის კოდექსი 23-ე მუხლში მოცემულ სასჯელის სახეებში, ითვალისწინებდა სამი სახის დამატებით სასჯელს. პირველი - ქონების კონფისკაცია, სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევა წარმოადგენდა, მშობლის უფლების ჩამორთმევა. მისი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სსს სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე მუხლად გამოყოფდა სასჯელის განსაკუთრებულ ღონისძიებას სიკვდილით დასჯას, რომელიც დახვრეტის ფორმით მოიყვანებოდა სისრულეში.

სიკვდილით დასჯა თითქმის ყველა შემთხვევაში იყო თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელი, რომელსაც ხშირად სდევდა დამატებით სასჯელად ქონების კონფისკაცია. საქართველოში საბოლოოდ 1997 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა ოფიციალურად მოახდინა სიკვდილით დასჯის გაუქმება. საქართველოს კონსტიტუციამ კი 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონით საბოლოოდ გააუქმა სიკვდილით დასჯა.³

¹ ალ. ვაჩიშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბ., 1960, გვ. 290-296

² საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, 1973, გვ. 20-21

³ საქართველოს კონსტიტუცია, გვ. 5

ამდენად, საქართველოში საბჭოთა დროს მოქმედი სისხლის სამართლის სასჯელების ზოგადმა ანალიზმა ცხადყო, რომ არსებობდნენ როგორც კოდექსით გათვალისწინებული სასჯელების ალტერნატიული სასჯელები ისე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის ალტერნატიული საშუალებები, რომელიც, ჩემის აზრით, მოიაზრება სასჯელის ალტერნატივად ფართო გაგებით. იმ დროს მოქმედი სასჯელებიდან, უფრო სწორად რა ფორმითაც მოქმედებდნენ და არსებობდნენ სისხლის სამართლის სასჯელები საბჭოთა კავშირის დროინდელ საქართველოში, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჯარიმა იმ დროს მოქმედი ფორმით (ჯარიმის მაქსიმუმის განსაზღვრა ცალკეული დანაშაულების სანქციებში მათი სიმძიმიდან გამომდინარე), საყურადღებოა და ურიგო არ იქნება, თუკი მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში, ძველი საბჭოთა კოდექსის მსგავსად, დანაშაულის ცალკეულ შემადგენლობებში იქნება განსაზღვრული ჯარიმის მაქსიმუმი, რა თქმა უნდა, შესაბამისი დასჯადი ქმედების სიმძიმიდან და ხასიათიდან გამომდინარე.

სასჯელის (ალტერნატიული) სახეების შესახებ მოკლე ისტორიული ექსკურსის შემდეგ, მივადექით მთავარ განსახილველ საკითხის, რომელიც არანაკლებ საინტერესოა დღევანდელი სახელმწიფოსადმი დადგენილიდან.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის შინაარსიდან გამომდინარე, განსახილველი საკითხი უნდა განვიხილოთ სამი მიმართულებით, ანუ ცალკე უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული სასჯელები ფიზიკური პირებისათვის, სასჯელები იურიდიული პირებისათვის და სასჯელები არასრულწლოვნებისთვის. თუმცა ეს საკითხები ცალ-ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს და, ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, შევეცდები მოკლედ მიმოვიხილო ისინი განსახილველი საკითხის ჭრილში.

უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ, პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულ ალტერნატიულ სასჯელებს წარმოადგენს ჯარიმა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. ამ უკანასკნელის პრაქტიკაში ფართოდ დანერგვას შეუწყო ხელი პრობაციის ეროვნული სააგენტოს სამსახურის გაძლიერებამ, ვინაიდან, კანონმდებლობიდან გამომდინარე, სწორედ აღნიშნული სამსახური ახორციელებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, როგორც სასჯელის მოხდაზე კონტროლს. ასევე საყურადღებოა ჯარიმის, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივის სიმკაცრე. მიუხედავად იმისა, რომ ჯარიმის გამოთვლის დღიური ანაზღაურების სისტემა დღეისათვის შეცვლილია ჯარიმის თანხობრივი ანაზღაურებით,¹ ჯარიმის მაქსიმუმი განსაზღვრული არ არის, მაგრამ განსაზღვრულია ჯარიმის ორი მინიმუმი; ამასთან არასრულწლოვანის გადახდის შეუძლებლობის შემთხვევაში (ს.ს.კ.–ის 42-ე მუხლი მე-5¹), მისი გადახდა შეიძლება დაეკისროს მის მშობელს, და ეს მაშინ, როცა კანონი ითვალისწინებს ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, მის შეცვლას ჯერ სხვა ალტერნატიული სასჯელით, ამ სასჯელის მოუხდელობის შემთხვევაში კი თავისუფლების აღკვეთით შეცვლას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უდანაშაულო პირის დაპატიმრება, რაც არღვევს პერსონალური და ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს. ამდენად მნიშვნელოვანი ამ მხრივაც ცვლილებების განხორციელება კანონმდებლობაში.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ და დღესდღეობით ყველაზე გავრცელებულ ალტერნატიულ სასჯელს საზოგადოების სასარგებლო შრომა წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს ანაზღაურების გარეშე, ბიუჯეტისა და საზოგადოების სასარგებლოდ სხვადასხვა სამუშაოების შესრულებას იმ პირის მიერ, ვისაც ეს სასჯელი შეეფარდება სასამართლოს გადაწყვეტილებით. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1992 წლის 19 ოქტომბერს მიღებული „ევროპული წესები საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების შესახებ“, რომლის მიხედვითაც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ეს არის, გამასწორებელი, პოზიტიური და ე.წ. თერაპიული სანქცია.

მისი ასე აქტიურად გამოყენების მიზეზია, იყოს რაც შეიძლება ნაკლები პატიმარი და არ მოხდეს მათი საზოგადოებისაგან გარიყვა, ამასთან მსჯავრდებულთა შორმა, რომელთაც დამატებით სასჯელად შეეფარდათ სასჯელის ეს სახე, წარმოადგენს დიდ შრომით რესურსს როგორც სახელმწიფო ისე არაკომერციული ორგანიზაციებისათვის.

ალტერნატიულ სასჯელებზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა შევხვით თავისუფლების შეზღუდვას, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიულ სასჯელის სახეს. დღემდე ეს სასჯელი არ გამოიყენებოდა შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, თუმცა ამ მხრივ შეინიშნება წინსვლა. სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ მიმდინარეობს შესაბამის დაწესებულის მშენებლობა, რომელიც უახლოეს მომავალში შევა ექსპლოატაციაში. ნაკლებად გამოყენებად ალტერნატიული სასჯელის სახეს წარმოადგენს ასევე სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, რომელიც უფრო ქმედითი ალტერნატიული სასჯელი რომ გახდეს, კარგი იქნება თუ 46-ე მუხლის დისპოზიციაში პირდაპირ იქნება გათვალისწინებული ამ სასჯელის დაკისრება ასევე იმ სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომლებიც სამხედრო სამსახურში

მსახურობენ შესაბამისი კონტრაქტის საფუძველზე და ჩაიდენენ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულს, როგორც ეს გათვალისწინებულია მაგალითად რუსეთის ფედერაციის ს.ს.კ-ის შესაბამის მუხლში 2 (რფსკ 51-ე მუხლი).

რაც შეეხება საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას ალტერნატიული სასჯელების გამოყენების კუთხით, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობამ, განსაკუთრებით ეკონომიკურად დაწინაურებული სახელმწიფოების კანონმდებლობებმა გაიარეს სასჯელების განვითარების სტადიები.

საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკას თუ გადავხედავთ, თავისუფლების აღმკვეთი სასჯელები სულ უფრო მზარდად იცვლება სხვა ალტერნატიული სასჯელებით, რომლებიც შეიძლება დაიყოს თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებულ და მისგან განცალკევებულ სასჯელებად. მაგალითად: იტალიის დეპენალიზაციის კანონის თანახმად, როცა პირი სასჯელს იხდის ნახევრადსაპატიმრო ტიპის დაწესებულებაში ვალდებულია სულ ცოტა ათი საათი ციხეში გაატაროს და დაემორჩილოს ზოგად აკრძალვას. ასევე შესაძლებელია პორტუგალიის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, მსჯავრდებულმა მხოლოდ კვირის ბოლო დღეები ე.წ. „weekend“ გაატაროს ციხეში და ეს ღონისძიება ინიშნება მაშინ როცა პატიმრობა არ აჭარბებს სამ თვეს. რაც შეეხება სასჯელებს, რომლებიც არაა დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, წარმოადგენს ე.წ. შუალედურ სასჯელებს და მას მიეკუთვნება შინა პატიმრობა, როცა ბრალდებული სასჯელს იხდის შინ და არა ციხეში. ეს მოდელი ძირითადად ანგლო-საქსური კანონმდებლობაშია მოცემული. ასეთი სასჯელის დაკისრების დროს შეიძლება ბრალდებულს დაერთოს ნება იაროს სასწავლო კურსებზე, მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ რიტუალებში ან იმუშაოს. 1991 წლის ინგლისური კანონის თანახმად პირი 16 წლის მაინც უნდა იყოს ეს სასჯელი რომ შეეფარდოს. ამასთან ბრალდებულის კონტროლი შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული კონტროლის მეშვეობითაც.¹

საზღვარგარეთის ქვეყნებში გავრცელებულ ალტერნატიულ სასჯელის სახესხვაობას მიეკუთვნება საპატიმრო სასჯელის აღსრულების გადავადება. მაგალითად ბელგიის 1888 წლის კანონით, სასამართლოს შეუძლია ნარკოტიკების მომხმარებელს დაუნიშნოს გამოსაცდელი ვადა, გადადოს ან დროებით შეაჩეროს განაჩენის აღსრულება. გამოსაცდელი ვადის დანიშვნისათვის ჩვეულებრივ პირობას წარმოადგენს ბრალდებულის თანხმობა, გაიაროს მკურნალობა. გამოჯანმრთელების შემთხვევაში განაჩენი აღარ აღსრულდება.

საზღვარგარეთის ისეთ ქვეყნებში როგორცაა აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ფინეთი, შვედეთი და ა.შ., ნაკლებად მძიმე დანაშაულების ჩადენის შემთხვევაში ფართოდ გამოიყენება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სახე. მაგალითად: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ამერიკის ყველა შტატში მოქმედებს როგორც ძირითად, ისე დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმისა და თავისუფლების აღკვეთის სანაცვლოდ. მოქმედებს სპეციალური პროგრამები, რომლებსაც ახორციელებენ სახელმწიფო და არაკომერციული ორგანოები.

საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის ალტერნატიული სასჯელების შედარებითმა ანალიზმა ცხადყო, თუ რაოდენ მდიდარია საერთაშორისო პრაქტიკა ალტერნატიული სასჯელების გამოყენების კუთხით. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ალტერნატიული სასჯელების ფართოდ გამოყენების აუცილებლობას ჩვენს ქვეყანაში ჩვენი რეალობის გათვალისწინებით.

ლიტერატურა:

1. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, VI ტომი, თბ., 1984, გვ. 124-125; 358-360; 358-360
2. ქართული სამართლის ძეგლები, ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებული, ტომი I, 141 გვ; 499 გვ.
3. ალ. ვაჩიშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბ., 1960, გვ. 294-296
4. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, თბ., 2010, გვ. 289-290
5. თ. დონჯაშვილი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 361
6. ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი (ქართული გამოცემა), გამომცემლობა „SANI“. 1999 გვ. 419-423-429
7. საქართველოს კონსტიტუცია, გვ. 5
8. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, 1973, გვ. 20-21

¹ ჟან პრადელი, „შედარებითი სისხლის სამართალი“ (ქართული გამოცემა), გამომცემლობა „SANI“, 1999, გვ. 426

რეზიუმე

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსში არაა მოცემული სასჯელის ცნების განმარტება, კოდექსით დადგენილია სასჯელთა ამომწურავი ჩამონათვალი გარკვეული თანმიმდევრობით (სიმძიმის მიხედვით), რომლებიც ქმნიან სისხლის სამართლის სასჯელთა სისტემას. მოცემული ნაშრომის განხილვის საგანს სწორედ ის ალტერნატიული სასჯელები წარმოადგენს, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-40-ე მუხლში.

განსახილველი საკითხის აქტუალობა, სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ფონზე, განაპირობა სწორედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული ალტერნატიული სასჯელების პრაქტიკაში გამოყენების პრობლემამ, რაც ხშირ შემთხვევაში განპირობებულია ალტერნატიული სასჯელების გამოყენების საკანონმდებლო შეზღუდვებით, სახელმწიფოს ნების არარსებობით და უფრო ნაკლებად კი შესაბამისი პირობების არარსებობით. სწორედ ამიტომ თემა პრობლემატურია არა მარტო პრაქტიკული, არამედ კანონმდებლობის სრულყოფის თვალსაზრისით, ვინაიდან კანონმდებლობაში, ამ მხრივ, არსებული ზოგიერთი შეზღუდვა ამა თუ იმ ალტერნატიული ხასიათის სასჯელის ფართოდ გამოყენებას შეუძლებელს ხდის. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს პრაქტიკაში მრავალი პრობლემის წამოჭრას, რომელთა აღმოფხვრაც არის სწორედ ამ საკითხისადმი სპეციალური ნაშრომის მიძღვნის მიზანი;

მოცემული ნაშრომის მთავარი მიზანი კი არის საქართველოს სისხლის სამართლის სასჯელთა სისტემის გაუმჯობესება სხვა სახელმწიფოებში არსებული ალტერნატიული სასჯელების გადმოღების (იმპორტის) გზით; რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის არსებული სინამდვილიდან და პრაქტიკაში არსებული ალტერნატიული სასჯელების საჭიროებიდან გამომდინარე.

მოცემულ ნაშრომში, ისტორიული კვლევის, საზღვარგარეთის ქვეყნების ალტერნატიულ სასჯელთა სისტემის და არსებული პრაქტიკის გაანალიზების გზით ასახულია შესაბამისი დასკვნები და შეთავაზებულია წინადადებები საკანონმდებლო ნორმების სრულყოფის შესახებ, ნაჩვენებია პრობლემის გადაჭრის გზები ალტერნატიული სასჯელების გამოყენებასთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ ნაშრომი საინტერესო იქნება როგორც იურისტებისათვის, ისე ამ საკითხით დაინტერესებული სხვა პირებისთვის.

ALTERNATIVE PUNISHMENTS

Ioseb Gabaraevi, Gori State Teaching University, Specialist under contract
RESUME

Although the Criminal Code does not provide a definition of the concept of punishment, the Code exhaustive list of some sequence of punishment (depending on the severity), which creates criminal punishment system. The issue of discuss in the given work representing the alternative punishments, which are reflected in Article 40 of the Criminal Code.

The importance of the issue, in light of the criminal policy of liberalization, conditioned to the Criminal Code to provide alternative Punishments practices in the use of problem, In many cases due to the use of alternative sentencing legislative restrictions, State of the lack of will and Absence of appropriate conditions will be more or less. That is why the theme is problematic not only practical, but also in terms of improvement of legislation, because the legislation in this regard, with some restrictions on the use of certain alternative types of punishment are impossible. This, in turn, causes a lot of problems in practice, which is to suppress the dedication goal to the work of this special issue;

The main goal of this work is to improve the criminal punishment system in other states in the alternative sentencing import through the course of our country's reality and the needs of alternative sentencing in the Practice.

In this work, historical research, foreign countries through the alternative punishment system and analyzing the existing practices are reflected in the conclusions and suggestions offered for improvement of legislative norms, showing alternative ways of solving the problem of use of the punishments. That's why I think it would be interesting as lawyers, as other other persons interested in this issue.

სასამართლო რეფორმის ძირითადი მიმართულებები საქართველოში

გიორგი გიორგაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: datogia_lawyers@yahoo.com

დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება და განვითარება შეუძლებელია შესაბამისი მართლმსაჯულების სისტემის არსებობის გარეშე, რომელიც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უპირველესი გარანტიაა.

სწორედ ეს მიზანი დაედო საფუძვლად 2005 წელს საქართველოში სასამართლო სისტემის ფართომასშტაბიან რეფორმის დაწყებას, რომელმაც მოიცვა საერთო სასამართლოების მოწყობისა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. განხორციელებული რეფორმის მიმართულებებია: ინსტიტუციური ცვლილებები, ცვლილებები საპროცესო კანონმდებლობაში, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება სისხლის სამართალწარმოებაში, ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებები, სასამართლოთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, საზოგადოებასთან ურთიერთობა.

ინსტიტუციური ცვლილებები.

შეიქმნა გამსხვილებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოები, რომლებიც პირველი ინსტანციით იხილავენ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს. ახლებურად ჩამოყალიბდა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების სტრუქტურა, რამაც ხელი შეუწყო მოსამართლეთა სპეციალიზაციას. გარდა ამისა, ამ სასამართლოებში ბაზაზე რაიონულ ცენტრებში ამოქმედდა მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტი, რომლებიც იხილავენ მათ განსჯადობას მიკუთვნებულ მცირე მნიშვნელობის დავებს. საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენსიურობის მქონე საქალაქო სასამართლოებში (თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლო) შეიქმნა სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები¹.

აღრე მოქმედი საოლქო სასამართლოების ბაზაზე შეიქმნა სააპელაციო სასამართლო, სადაც ადრინდელისაგან განსხვავებით, საქმეები განიხილება მხოლოდ სააპელაციო წესით².

ცვლილება შეეხო უზენაეს სასამართლოსაც და იგი გახდა წმინდა საკასაციო სასამართლო.³ ამასთან, უზენაესი სასამართლოს ძირითადი ფუნქცია გახდა სამართლის ნორმათა განმარტება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება. ვფიქრობ, ამ ცვლილების ნაკლოვან მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ კანონმდებლობით უზენაეს სასამართლოში საქმეთა განხილვა ძირითადად უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ნებაზეა დამოკიდებული, რამეთუ კანონი მათ თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს.

ინსტიტუციური ცვლილება შეეხო იუსტიციის უმაღლეს საბჭოსაც. იგი გახდა კონსტიტუციური ორგანო და აღარ არის საქართველოს პრეზიდენტს უშუალოდ დაქვემდებარებული ორგანო. ამასთან, მართალია, მასში გაიზარდა მოსამართლეთა რაოდენობა, წევრთა ნახევარზე მეტს მოსამართლეები შეადგენენ, მაგრამ მისი წევრების არჩევა მოსამართლეთა კონფერენციის მიერ ხდება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით. ასეთი წესი კი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ფორმირების ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს⁴. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კი მართლმსაჯულების განხორციელების მიმდინარეობაზე ძლიერი ბერკეტები გააჩნია. მასზეა დამოკიდებული მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესება, მათი დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა და მოსამართლეებზე ზემოქმედების სხვა კანონისმიერი ფორმები.

დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის შექმნა, რამეთუ კვალიფიციური კადრებით სასამართლოების დაკომპლექტება (როგორც მოსამართლეების, ისე მოსამართლეთა თანამშრომლებისა და სხდომის მდივნების).

რეფორმის მნიშვნელოვანი და დადებითი მოვლენაა მოსამართლეთა თანამდებობაზე ყოფნის ვადის შეცვლა. 2010 საქართველოს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად 2013 წლის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, რაც მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის თამასას მაღლა სწევს.

¹ საქართველოს ორგანული კანონი "საერთო სასამართლოების შესახებ", 2009.

² იქვე.

³ საქართველოს კონსტიტუცია.

⁴ საქართველოს ორგანული კანონი "საერთო სასამართლოების შესახებ", 2009.

რეფორმის ნაკლად უნდა ჩაითვალოს მოსამართლეთა ასაკის ქვედა ზღვარის (30 წლიდან 28 წლამდე) დაწევა, რომელიც იარსებებს 2013 წლის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტამდე. მინიმალური ასაკი კვლავ 30 წელი იქნება¹.

2006 წლის დასაწყისიდან საქართველოს სასამართლოს სისტემაში ამოქმედდა მანდატურის ინსტიტუტი. მანდატური უზრუნველყოფს მოსამართლისა და პროცესის მონაწილეების უსაფრთხოებას. იცავს წესრიგს სასამართლოს შენობაში და სხდომის დარბაზებში პროცესის მიმდინარეობისას.

ცვლილებები საპროცესო კანონმდებლობაში.

2010 წლიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლითაც ძირეულად შეიცვალა სისხლის სამართალწარმოება. სისხლის სამართალწარმოებაში შემოღებული იქნა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომელიც მიზნად ისახავს მოქალაქის უშუალო მონაწილეობას მართლმსაჯულების განხორციელებაში². ამ ინსტიტუტის ამოქმედება რამდენად შეუწყობს ხელს სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდას, ამას დრო გვიჩვენებს. ამ ინსტიტუტის დამკვიდრებისა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით გატარდა მრავალრიცხოვანი ღონისძიებები: უცხოელი კოლეგების მონაწილეობით ჩატარდა სხვადასხვა სახის ტრენინგები და იმიტირებული სასამართლო პროცესები. 2011 წლის 9 ნოემბერს კი თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით დაიწყო სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა.

სისხლის სამართალწარმოებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბრალდების, როგორც მხარის როლი. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ ბრალდების მხარედ კანონმდებლობით აღარ არის გათვალისწინებული დაზარალებული, ეს კი სისხლის სამართალწარმოებაში არსებითად აკნინებს შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზაციას და აწესებს სახელმწიფო ბრალდების (პროკურორის) პრიმატს თვით მოსამართლეზეც კი.

არსებული სახით სისხლის სამართალწარმოებაში საპროცესო შეთანხმებათა ინსტიტუტის შემოღება, ვფიქრობთ, ეწინააღმდეგება სოციალური სამართლიანობის პრინციპს, რადგან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირის ქონებრივ მდგომარეობაზეა დამოკიდებული მისი შემდგომი ბედი, რომელიც სასჯელის მოხდასთან არის დაკავშირებული.

უამრავი ცვლილება განხორციელდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია 2011 წელს შემოღებული სასამართლო მედიაციის ინსტიტუტი. სასამართლოში სარჩელის შეტანის შემდეგ, საოჯახო სამართლებრივი დავები (გარდა შვილად აყვანისა, შვილად აყვანის ბათილად ცნობისა, მშობლის უფლების შეზღუდვისა და მშობლის უფლების ჩამორთმევისა); სამემკვიდრეო სამართლებრივი დავები; სამეზობლო სამართლებრივი დავები; ნებისმიერი დავა – მხარეთა თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია გადაეცეს მედიატორს საქმის მხარეთა ურთიერთშეთანხმებით დასრულების მიზნით³.

აღნიშნული ცვლილება წარმოადგენს მედიაციის ინსტიტუტის დანერგვისა და განვითარების პირველ ნაბიჯს. აღნიშნული ინსტიტუტის განვითარება ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი მართლშეგნების ამაღლებისა და არასასამართლო (ნებაყოფლობითი) მედიაციის ფართოდ დამკვიდრებას.

ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებები.

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით შემუშავდა სარჩელების, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებისა და მათი შესაგებლების ფორმები, რაც უადვილებს მხარეებს სასამართლოსათვის მიმართვას⁴.

საქმეთა განხილვის დაჩქარებისა და სხდომების შესახებ ინფორმაციის სიზუსტისა და საჯაროობის ამაღლების მიზნით სასამართლოებში ინერგება სასამართლო პროცესის ტექნიკური ფიქსაციის სპეციალური სისტემა. ამ სისტემის მეშვეობით სინქრონულად, ციფრულ ფორმატში, უნდა იწერებოდეს სასამართლო სხდომის მიმდინარეობა, ხოლო სხდომის დამთავრებისთანავე - სასამართლო სხდომის ჩაწერა კომპაქტ-დისკზე და სხდომის მოკლე ოქმის ამობეჭდვა, რომელიც უნდა დაერთოს საქმეს. აღნიშნული ხელს შეუწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას.

სასამართლოებში მიმდინარეობს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და საქმისწარმოების სისტემების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს საპროცესო, ორგანიზაციული თუ სამეურნეო ხასიათის დოკუმენტების მიმოქცევას.

¹ საქართველოს კონსტიტუცია

² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009.

³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997.

⁴ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, 2009

სასამართლოთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

მოსამართლისათვის ტექნიკური და მატერიალური პირობების შექმნის, მართლმსაჯულების შეუფერხებლად და ოპერატიულად განხორციელების მიზნით მიმდინარეობს სასამართლო შენობების რეკონსტრუქცია, სასამართლოში სხდომის დარბაზები აღიჭურვა კომპიუტერებით, დამონტაჟდა ხმის ჩამწერი გამამღიერებლები და მიკროფონები, ასევე სპეციალური აპარატურა, რითაც უნდა განხორციელდეს სასამართლო სხდომების ჩაწერა.

გარემონტდა მოსამართლეთა და აპარატის მუშაკთა სამუშაო ოთახები და ისინი უზრუნველყოფილნი იქნენ კომპიუტერთა და ყველა საჭირო ტექნიკით. საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით (ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) იქმნება სასამართლო სისტემის ერთიანი კომპიუტერული ქსელი. ამ ქსელის მეშვეობით მოგვარდება მოსამართლეთა ახალი ინფორმაციით (საკანონმდებლო ცვლილებების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების შესახებ) უზრუნველყოფის საკითხი.

რეფორმის მიმდინარეობს პროცესში პერიოდულად იზრდებოდა ყველა ინსტანციის, სასამართლოს მოსამართლეთა ხელფასები, დღეისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის ხელფასი 2300 ლარია, ხოლო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ხელფასი - 5650 ლარი¹.

საზოგადოებასთან ურთიერთობა.

სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის, საჯაროობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით ამოქმედდა სპიკერი მოსამართლის ინსტიტუტი, რომლის მეშვეობით საზოგადოებამ უნდა მიიღოს ინფორმაცია სასამართლოს საქმიანობის შესახებ. ამავე მიზნით სასამართლოებში მოქმედებს პრესსამსახურის ინსტიტუტი. საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვა სახეებია ტელე და რადიოგადაცემები, საგაზეთო სტატიები, ბუკლეტები, ასევე სასამართლოების ვებ-გვერდებზე ინფორმაციის განთავსება.

მართებული იქნება შემუშავდეს და ამოქმედდეს დაინტერესებული პირებისათვის ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილების ელექტრონული ფორმატში მიღების გაადვილებული სისტემა.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, მუხ.90, 86, 86¹;
2. საქართველოს ორგანული კანონი "საერთო სასამართლოების შესახებ". 2009, მუხ. 2, 29. 30, 47;
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2009, მუხ. 27;
4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997, მუხ. 187³;
5. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 8 დეკემბრის №1/456 გადაწყვეტილება სარჩელის, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების, შესაგებლის განახლებული ფორმების დამტკიცების შესახებ. <http://hcoj.gov.ge/ge/common-courts/sasamartlo-formebi/sasamartlo-formebi-samoqalaqo-saqmeze>;
<http://hcoj.gov.ge/ge/common-courts/sasamartlo-formebi/sasamartlo-formebi-administratsiul-saqmeze>;
6. საქართველოს კანონი "საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ". 2005, მუხ. 1;

რეზიუმე

ნაშრომი ეხება საქართველოში 2005 წელს სასამართლოში, კერძოდ, საერთო სასამართლოების სისტემაში დაწყებულ და მიმდინარე რეფორმას. მასში გაშუქებულია ამ რეფორმის ისეთი ძირითადი მიმართულებები, როგორცაა: ინსტიტუციური ცვლილებები, ცვლილებები საპროცესო კანონმდებლობაში, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება სისხლის სამართალწარმოებაში, გატარებული ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებები, სასამართლოთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, საზოგადოებასთან ურთიერთობა. ნაშრომში გაანალიზებულია მიმდინარე რეფორმის დადებითი და ნაკლოვანი მხარეები. სასამართლო სისტემის გაუმჯობესების მიზნით გამოთქმულია ცალკეული მოსაზრებები.

¹ საქართველოს კანონი "საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ". (2005)

MAIN DIRECTIONS OF COURT REFORM IN GEORGIA
Giorgi Giorgadze, Gori State Teaching University, Full Professor
REZUME

The work is about the reforms started in 2005 and continuing till present in Georgia's Common Law Courts system. Some main aspects are highlighted in this work, such as: institutional changes in the Law Court system, changes in the process legislation, establishment of the judge's institution in the criminal law, organizational arrangements, material-technical maintenance of the law court, communication with society. The negative and positive sides of the reforms are also analyzed in this work. Some opinions are expressed in order to improve the Law court system.

სისხლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობაში სიზუსტის დაცვა
აუცილებელია

ალექსანდრე კვაშილავა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, დოქტორი, პროფესორი
E-mail: kak1930@mail.ru

დიდი ხანია ცნობილია, რომ სამართლებრივი ნორმა მოქმედებაშია მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მოთხოვნა სრულდება მხოლოდ ისე, როგორც ამას თვით ნორმა მოითხოვს. იგი კანონია და მისი მოთხოვნა შესრულებას ექვემდებარება. ამიტომ ყველა სამართლებრივი ნორმა შესრულებადი უნდა იყოს, იგი უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ მის მიზანს, ჩამოყალიბებული უნდა იყოს სრულყოფილად, არ უნდა არსებობდეს მისი ორ ან მრავალაზროვნად წაკითხვის შესაძლებლობა, მასში არ უნდა იყოს გამოყენებული არცერთი ზედმეტი სიტყვა. იმისათვის, რათა დაცული იქნეს გარკვეულ პერიოდში დანაშაულის ჩამდენთა მიმართ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი, ნორმა ხშირად არ უნდა იცვლებოდეს.

ნათქვამიდან გამომდინარე, თუ ვიმსჯელებთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსზე, მისი დახვეწა-დაზუსტების შესაძლებლობის მოძებნა არ გაგვიჭირდება. ასეთი, სამწუხაროდ, ბევრია, მაგრამ დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთს.

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლით გათვალისწინებული ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი დარღვეულია დაახლოებით ასევე. მუხლები, რომლებშიც დაშვებულია ეს შეცდომა, ჩამოთვლილი მაქვს ჟურნალ „სამართალში“ (თბ., 2007 №1-2, გვ. 11). ამ საკითხთან დაკავშირებით მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს. სსკ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს: „მკვლელობა: ა) დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა. ბ) დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა;...“

გამოდის, რომ ადამიანი, რომელმაც ორსული ქალი, არასრულწლოვანი ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოკლა, სსკ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებიდან გამომდინარე, დამნაშავე ყოფილა ამავე მკვლელობაში ამ მკვლელობის დაწყებამდე. დასახელებული მუხლისა და პუნქტების ანბანური (სიტყვა-სიტყვითი) მნიშვნელობა ასეთია. კანონის ერთნაირად გამოყენებისათვის აუცილებელია ქმედების დაკვალიფიცირება კანონის ანბანური მნიშვნელობის მიხედვით. მაგრამ ამავე დროს საკანონმდებლო ნორმა სრულყოფილად უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის მოთხოვნებს (კონსტ. მე-6 მუხლი). გარდა ამისა, კონსტიტუციის მე-40 მუხლი მიუთითებს: „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით“. ასე რომ ადამიანს დანაშაულის ჩადენის შემდეგ უნდა დაუმტკიცდეს მისი ჩადენა, სასამართლომ მას გამამტყუნებელი განაჩენი უნდა გამოუტანოს, გასაჩივრების შემთხვევაში, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმაც უნდა განიხილოს იგი. განაჩენი უნდა შევიდეს კანონიერ ძალაში, რასაც ზოგჯერ წელიწადზე მეტი სჭირდება და ამის შემდეგ შეიძლება დანაშაულის ჩამდენს ეწოდოს დამნაშავე. ამ კონსტიტუციური პრინციპის დარღვევა დაუშვებელია. მით უმეტეს, ამას მოითხოვს საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ნორმატიული აქტებიც. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სიტყვა „დამნაშავე“ იმ მუხლებში, რომლებშიც იგი დანაშაულის ჩადენამდე

უწოდებს ადამიანს დამნაშავეს, არავითარ ფუნქციას არ ასრულებს. უბრალოდ, მისი ამოღება აღნიშნული მუხლებიდან სს ნორმას კონდიციამდე დაიყვანს ისე, რომ ამით არავის ინტერესი არ დაზიანდება. ამას თუნდაც ის ადასტურებს, რომ იმავე 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მკვლელობისათვის რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო, მაგრამ ამ პუნქტში არ არის მითითება დამნაშავესათვის წინასწარ შეცნობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ უფრო ძნელია არასრულწლოვნის გარჩევა სრულწლოვნისაგან, ვიდრე სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის პირებისა ან ორსული და არაორსული ქალისა, ანდა რელიგიის მიხედვით ადამიანთა ამოცნობა განა იოლია? მაგრამ ის, რომ დანაშაულისათვის ისჯება ის, ვინც იგი ჩაიდინა, მისი ბრალის ფორმისა და სახის მიხედვით, სრულიად საკმარისია სს ნორმის სწორად გამოყენებისთვის. ზემოთქმულიდან გამომდინარე სიტყვა „დამნაშავე“ ამოსაღებია სსკ ყველა იმ მუხლიდან, რომელშიც ის დანაშაულის ჩადენამდე უწოდებს ადამიანს დამნაშავეს.

2. სსკ 28-ე მუხლი შედგება 4 ნაწილისაგან. მისი პირველი ნაწილი საკუთარი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად ყველას აძლევს სრულიად ერთნაირ უფლებას დააზიანოს ამ სიკეთეების მართლსაწინააღმდეგოდ ხელმყოფი ხელყოფისას. არც სამართლებრივი სიკეთეა განსაზღვრული და არც დაზიანებაა შეზღუდული რაიმე ნიშნებით. შესაძლებელია ნაკლები მნიშვნელობის სიკეთის დასაცავად მეტი დაზიანების მიყენება და პირიქით. ხელმყოფის შეუზღუდავი დაზიანება მისი სიცოცხლის მოსპობასაც მოიცავს. ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები აფართოვებს და აძლიერებს პირველი ნაწილის მოთხოვნებს. მომგერიებლის უფლებას ზღუდავს ამ მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან“. ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, თავდამსხმელმა 2-3 მეტრის მანძილიდან ავტომატი რომ დაუმიზნოს თავში მომგერიებელს და ამ უკანასკნელმა სხვა შესაძლებლობის უქონლობისა და დაბნეულობის გამო ხელები, რომ აიფაროს თავზე, ეს მას აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად უნდა ჩაეთვალოს, რაც აშკარად ეწინააღმდეგება სსკ 28-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებსა და სს კოდექსის მიზნებს. ამიტომ სიტყვები: თავდაცვის აშკარა შეუსაბამობა თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან“ ამ მუხლის ამ ნაწილში მის ფუნქციას ვერ ასრულებს. მაგრამ ამ ნაწილის უფრო საზიანო ხარვეზი ის არის, რომ იგი უსაფუძვლოდ ზღუდავს მომგერიებლისათვის ამავე მუხლის პირველი ნაწილით მინიჭებულ უფლებებს. საქმე ის არის, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობისა და ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის სასჯელი საგრძნობლად შემსუბუქებულია, ვიდრე ამავე დანაშაულებისათვის სხვა შემთხვევებში. შედავითი კანონით დაწესებულია იმიტომ, რომ ქმედება ასეთ შემთხვევაში ჩადენილია სამართლებრივი სიკეთის დასაცავად ამ სიკეთის მართლსაწინააღმდეგოდ ხელმყოფის მიმართ. 28-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების შესაძლებლობა, ამავე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, აქვს მხოლოდ იმ მომგერიებელს, რომელიც იგერიებს პირადად მასზე თავდასხმას. ამან გამოიწვია ის, რომ მომგერიებლები, რომლებიც იგერიებდნენ სხვის (ახლო ნათესავის, სახელმწიფოს, საზოგადოების, სხვა ნებისმიერ) სამართლებრივ სიკეთეზე (სიცოცხლე, ჯანმრთელობა და სხვა.) თავდასხმას ან სხვა ნებისმიერ მართლსაწინააღმდეგოდ ხელყოფას, 28-ე მუხლის მე-4 ნაწილმა მოწყვიტა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების შემთხვევაში შეღავათიანი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას. ამრიგად, 28-ე მუხლის პირველი ნაწილით ერთნაირი უფლებებით აღჭურვილი მომგერიებლებიდან მე-4 ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობის, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის შეღავათიანად შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ ის, ვინც მასზე თავდასხმის მოგერიებისას გადააცილა მოგერიების ფარგლებს, ხოლო მომგერიებელი, რომელმაც მოგერიების ფარგლებს გადააცილა სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაცვის დროს ან არა თავდასხმისას, არამედ სხვა სახის ხელყოფის მოგერიებისას, ის, გამომდინარე 28-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან შეღავათიანი პასუხისმგებლობით ვერ ისარგებლებს. ამით ირღვევა კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის პრინციპი. ამიტომ, ჩემი აზრით, სსკ 28-ე მუხლის მე-4 ნაწილი უნდა შეიცვალოს. მე შემოთავაზებული მაქვს რეკომენდაცია მისი ჩამოყალიბების შესახებ შემდეგი რედაქციით: აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება არის მომგერიებლის მიერ სამართლებრივი სიკეთის მართლსაწინააღმდეგოდ ხელმყოფის მიმართ ხელყოფის აღსაკვეთად არააუცილებელი მოქმედების ჩადენა და ამით მისთვის

უსაფუძვლოდ არსებითი ზიანის მიყენება.¹

კანონმდებელი ამ რეკომენდაციას მიიღებს თუ სხვას, ეს მისი საქმეა, მაგრამ სსკ 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის მისივე 1-3 ნაწილებთან შესაბამისობაში მოყვანა რომ აუცილებელია, ესეც აშკარაა.

3. საქართველოს სსკ 172' მუხლის სახელწოდება და მისი პირველი ნაწილი ზუსტად ერთნაირად არის ჩამოყალიბებული, რაც დასაშვებია, მაგრამ არც სახელწოდება და არც მისი პირველი ნაწილი არ შეესაბამება კანონის ჩამოყალიბებისადმი წაყენებულ მოთხოვნებსა და მიზანს. ტექსტი ასეთია: „მუხლი 172'. შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების წინასწარ შერჩევა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა.“ ამ მუხლის ეს ნაწილი დანაშაულად აღცხადებს ორ ქმედებას:

1) შვილად აყვანის მიზნით ქალების, ე.ი. მინიმუმ ორ ან მეტი ქალის წინასწარ შერჩევას და მშობიარობისათვის მათი საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნას.

2) ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობას.

როგორია ეს გაშვილება, კანონში არ ჩანს. არც ის ჩანს, თუ ვის გაშვილებაზეა მითითება კანონში. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ახალშობილი საერთოდ მასში მოხსენიებული არ არის, უნდა იყოს მითითება ორსული ქალის გაშვილებაზე, მაგრამ ამ მუხლიდან აშკარად ჩანს ისიც, რომ იგი უფრო იცავს ახალშობილის ინტერესებს, ვიდრე მისი მშობელისა, თუმცა მთავარი ხარვეზი მაინც იმაში გამოიხატება, რომ მის დასახელებაში და პირველ ნაწილში ქალის ნაცვლად ქალებზეა მითითება. ამ ერთი სიტყვის, ნაცვლად მხოლოდითი რიცხვისა, მრავლობით რიცხვში გამოყენებამ გამოიწვია ის, რომ ამ მუხლის მნიშვნელობა გაუტოლდა ნულს ორსული ქალების თითო-თითოდ გაყვანის ყველა შემთხვევაში. რადგანაც კანონი მიუთითებს ქალების გაყვანაზე, ორზე ნაკლები, ე.ი. ერთი ქალის გაყვანა დანაშაულს არ წარმოადგენს. ამიტომ ქალების თითო-თითოდ გამყვანის მიმართ 172' მუხლის გამოყენება არ შეიძლება და მას ამ მუხლით პასუხი არ მოეთხოვება, თუნდაც მთლიანად რომ დაცალოს საქართველო ორსული ქალებისაგან. ამ და სხვა ხარვეზების გამოსასწორებლად ჩემს მიერ შემოთავაზებულია რეკომენდაცია ამ მუხლის შემდეგნაირად ჩამოყალიბების შესახებ:

მუხლი 172'. ორსული ქალის წინასწარი შერჩევა მშობიარობისათვის მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანისა და იქ შობილი ბავშვის იქვე გაშვილების მიზნით ან ასეთი ქალის საზღვარგარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ანდა ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-დან 7 წლამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის ან პირთა ჯგუფის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 6-დან 9 წლამდე.²

სასჯელი მხოლოდ კანონმდებლის კომპეტენციაა. მას არ ვეხები. მე-2 ნაწილის დისპოზიცია არ საჭიროებს შეცვლას. ამ მუხლის ასე ჩამოყალიბება მის დისპოზიციაში ჩამოთვლილ სამ მოქმედებას სამ დანაშაულად აქცევს და, რაც მთავარია, დანაშაულის შინაარსს სწორად ასახავს. ორსული ქალის საზღვარგარეთ გამყვან პირებს აინტერესებთ აქედან გაყვანილი ორსული ქალის იქ მომშობიარება და ახალშობილის იქვე გაშვილება და არა შვილად აყვანა, როგორც მოქმედი მუხლი მიუთითებს.

4. თანახმად სსკ 137-ე მუხლის პირველი ნაწილისა, გაუპატიურება არის მამაკაცის სქესობრივი კავშირი, განხორციელებული ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწყობის გამოყენებით. სქესობრივი მოთხოვნილების გაუკუღმართებელი ფორმით დაკმაყოფილება სქესობრივი კავშირი არ არის. ის თუ არანებაყოფლობითია, შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც სსკ 138-ე მუხლით გათვალისწინებული ძალმომრეობითი მოქმედება. სქესობრივი კავშირის ერთადერთი შესაძლებლობა არსებობს, რომლის განხორციელება შეიძლება ქალისა და მამაკაცის სასქესო ორგანოების ერთდროულად გამოყენებით. ამ მოქმედებაში შეიძლება მონაწილეობდეს მხოლოდ ერთი მამაკაცი და ერთი ქალი. პრაქტიკულად შეუძლებელია ერთდროულად ორმა კაცმა განახორციელოს სქესობრივი კავშირი ერთ ქალთან. ამიტომ ჯგუფურად გაუპატიურება პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგანაც სსკ 27-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ჯგუფურ დანაშაულში ორი ან მეტი ამსრულებელი უნდა მონაწილეობდეს. მიუხედავად ამისა, 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ჯგუფური გაუპატიურებისათვის. ამის ჩადენა, როგორც ითქვა, შეუძლებელია, ხოლო თანამონაწილეობით გაუპატიურება უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე ერთპიროვნულად ჩადენილი. თუ ორი მამაკაცი თანამიმდევრობით გააუპატიურებს ერთ ქალს და ქალის წინააღმდეგობის დაძლევაში ისინი თუ ერთმანეთს ეხმარებოდნენ, სახეზე იქნება არა ჯგუფური გაუპატიურება, არამედ ორი გაუპატიურება თანამონაწილეობით. ქალი არ შეიძლება იყოს

¹ (ა. კვაშილავა, 2009, 2010 წწ.; ო. გამყრელიძე, 2010, 2012 წ.)

² (ა. კვაშილავა, 2009 წ.)

გაუპატიურების ამსრულებელი და არც თანამსრულებელი, მაგრამ ის შეიძლება იყოს თანამონაწილე (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე), რისთვისაც მან პასუხი უნდა აგოს. ამიტომ სსკ 27-ე და 137-ე მუხლების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანისა და 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელის შენარჩუნების მიზნით ჩემს მიერ შემოთავაზებული რეკომენდაცია მაკვალიფიცირებული ნიშანი „ჯგუფურად“ შეიცვალოს მაკვალიფიცირებელი ნიშნით „თანამონაწილეობით“.¹

თუ ორი კაცი თანმიმდევრობით გაუპატიურობაში ერთმანეთს ხელს უწყობდნენ ან მათი გაერთიანებული ძალისხმევით იქნა ქალი გამოუვალ მდგომარეობაში მომწყვდეული, სადაც ის ორივემ, თუნდაც ცალცალკე გააუპატიურა, შემოთავაზებული ცვლილების მხვედველობაში მიღების გარეშე, დღეს მოქმედი სს კოდექსით ქმედება ორივეს მიმართ უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 137-ე მუხლის პირველი ნაწილით და 24-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 137-ე მუხლის პირველი ნაწილით. სასჯელი უნდა შეჯამდეს 61-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ე.ი. ორივემ უნდა აგოს პასუხი გაუპატიურებისათვის და გაუპატიურებაში დახმარებისათვის.

5. უკეთესი მდგომარეობა, სამწუხაროდ, სისხლის სამართლის არც საპროცესო კოდექსში (სსსკ) არ არის. ამ კოდექსის მე-16, 33-ე, 166-ე, 168-ე, 169-ე, 170-ე მუხლები სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრიციულ უფლებას, პირის ბრალდებულად ცნობის, ბრალდების შეცვლისა და ბრალდებაზე უარის თქმის უფლებას აძლევს მხოლოდ პროკურორს, ხოლო ამავე კოდექსის 170-ე მუხლის მე-2 ნაწილი პირს მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან დაკავებულად აცხადებს, დაკავებულს კი დაკავების მომენტიდან – ბრალდებულად. ამავე სსსკ 172-ე მუხლი დაკავების უფლებას აძლევს არა მარტო პროკურორს, არამედ სხვა ორგანოების თანამშრომლებსაც. უმრავლეს შემთხვევაში დაკავებას ახდენენ სხვა ორგანოების თანამშრომლები და არა პროკურორი. ასე რომ, სანამ პროკურორი დაკავების შესახებ გაიგებს, მანამ დაკავებული უკვე კანონის მიერ ცნობილია ბრალდებულად. ასეთ შემთხვევაში პროკურორს აღნიშნული უფლებებიდან რჩება შესაძლებლობა მხოლოდ თქვას, რომ ბრალდებული ბრალდებულია. რადგანაც კანონმა დაკავების მომენტიდან ადამიანი ბრალდებულად ცნო, მიუხედავად იმისა თუ ვინ დააკავა იგი, პროკურორს კანონის მოთხოვნის დარღვევის უფლება არა აქვს და სხვა მეტ ვერაფერს კანონიერად ვერ გააკეთებს. ამიტომ სსსკ აღნიშნული მუხლები მოსაყვანია ურთიერთშესაბამისობაში.

ლიტერატურა:

1. ა. კვაშილავა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლი დასაზუსტებელია. თბილისი, ჟურნალი „სამართალი“, 2007, #1-2, გვ. 10-11.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2012 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, მუხლი 1-413.
3. საქართველოს კონსტიტუცია, 2010 წლის 10 ნოემბრის მდგომარეობით. გვ. 10, მუხლი 14.
4. ა. კვაშილავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი კომენტარებით, თბილისი, ლეთა, 2009, გვ. 29-39; 95-107.
5. ა. კვაშილავა, პასუხი პროფესორ ბატონ ოთარ გამყრელიძეს სსკ ზოგადი ნაწილის მუხლების ჩემი კომენტარების მიმართ გამოთქმულ შენიშვნებზე, თბილისი, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“, 2010, #2, გვ. 7-16.
6. ო. გამყრელიძე, პასუხად პროფესორ ა. კვაშილავას. იმავე დასახელების ჟურნალი, 2010, #1, გვ. 2-10.
7. ო. გამყრელიძე, განმეორებითი პასუხი ალექსანდრე კვაშილავას, თბილისი. იმავე დასახელების ჟურნალი. 2012, #4, გვ. 2-11.
8. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2011 წლის 1 მარტის მდგომარეობით, მუხლი 1-328.
9. ა. კვაშილავა, ჯგუფური გაუპატიურების შესახებ. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და სპეც უნივერსიტეტის მოამბე, XV—XVI, თბ., 2011, გვ. 66.

რეზიუმე

საქართველოს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კოდექსებში ცალკეული ნორმების დახვეწა-დაზუსტების მიზნით რეკომენდებულია:

- 1) სიტყვები: „დამნაშავე“ და „დამნაშავისათვის“ ამოღებულ იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის ყველა იმ მუხლიდან, რომლებშიც ეს სიტყვები გამოყენებულია ადამიანის მიმართ მის მიერ დანაშაულის

¹ (ა. კვაშილავა, 2011 წ.)

ჩადენამდე;

2) ამავე კოდექსის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის რედაქცია შეიცვალოს და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

– აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ სამართლებრივი სიკეთის მართლსაწინააღმდეგოდ ხელყოფის მიმართ ხელყოფის აღსაკვეთად არააუცილებელი მოქმედების ჩადენას და ამით მისთვის არსებითი ზიანის მიყენებას;

3) ამავე კოდექსის 172¹ მუხლის სახელწოდება და პირველი ნაწილის დისპოზიცია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

– ორსული ქალის წინასწარი შერჩევა მშობიარობისათვის მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანისა და მის მიერ იქ შობილი ბავშვის იქვე გაშვილების მიზნით ან ასეთი ქალის საზღვარგარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან/და ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა;

4) ამავე კოდექსის 137-ე მუხლში მაკვალიფიცირებელი ნიშანი „ჯგუფურად“ შეიცვალოს მაკვალიფიცირებელი ნიშნით “თანამონაწილეობით”.

5) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მე-16, 33-ე 166-ე, 168-ე – 170-ე და 172-ე მუხლების ურთიერთ შესაბამისობაში მოყვანა. ამისათვის აუცილებელია ან პროკურორს ჩამოერთვას დევნის დისკრეციული უფლება და პირის ბრალდებულად ცნობის უფლებაც, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლში ჩამოთვლილი პირების მიერ პირის დაკავება ჩაითვალოს დაკავებულის ბრალდებად, რაც ყოველად დაუშვებელია, ანდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 170-ე მუხლის მე-2 ნაწილი უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: პირი დაკავებულად ითვლება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ მისთვის მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. დაკავებული მისი დაკავების მომენტიდან სარგებლობს ბრალდებულის უფლებებით. ამ ორი რეკომენდაციიდან ერთ-ერთის განხორციელების გარეშე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 170-ე მუხლის მე-2 ნაწილის კანონიერად გამოყენება შეუძლებელია.

6) სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე, 77-ე, 109-ე, 117-ე, 126-ე, 131-ე, 132-ე, 134-ე, 137-ე, 138-ე, 140-ე, 141-ე, 143-ე, 143¹-ე, 143²-ე, 144¹-ე, 144²-ე და ზოგიერთი სხვა მუხლი აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვით.

ACCURACY IN THE MATERIAL AND PROCESSING LAW OF CRIME IS INEVITABLE

Aleksandre Kvashilava, Gori State Teaching University, Doctor of Laws

SUMMARY

For the purpose of perfection of separate norms of Georgian Criminal Code Material and Code of Practice it is recommended:

1) Words: take out from “guilty” and “for guilty” from all the articles of Criminal Code, where these words are used towards a person till committing a crime;

2) Change redaction of article 28, part 4 of the same code and formulate it as follows:

- exceeding branches of necessary defence means committing unnecessary activity to prohibition towards illegal encroachment of legal good by a defender;

3) Formulate name and the first part disposition of the same code, article 172¹ in the following form:

- Prior selection of a pregnant woman for childbirth, taking her out from the borders of Georgia and for the purpose of adoption of a child born by her or a possibility to take abroad that kind of a woman or/and supporting of adoption like that;

4) Change qualificatory sign of the same code, article 137 by qualificatory sign “accompliceship”.

5) Make effective articles of 16, 33, 166, 168, 170, 172 of Criminal Code of Practice in correspondence. For this is necessary that a prosecutor is disabled a discrete right of prosecuting, and a right to find an accused guilty. Arrest of a person by the persons listed in Criminal Code of Practice, article 172, has to be considered an arrester’s accusation, which is not permitted, or Criminal Code of Practice, article 170, part 2 has to be changed and formulated in the following way: a person will be considered arrested by a representative of law enforcement machinery from the moment of limitation of freedom of movement. The arrested uses a right of an accused from the moment of his arrest. Without fulfillment of one of these two recommendations, legal use of Criminal Code of Practice, article 170, 2nd part is impossible.

6) Criminal Code articles 54, 77, 109, 117, 126, 131, 132, 134, 137, 138, 140, 141, 143, 143¹, 143², 144¹, 144², and some other articles have to be formulated by keeping a presumption of innocence.

ყაჩაღობის სუბიექტური მხარე

მალხაზ ლომსაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

ყაჩაღობის სუბიექტური მხარე მოიცავს განზრახვას, მოტივს, მიზანს და ფაქტობრივი ხასიათის შეცდომებს.

ქმედების უმრავლესობა შეიძლება მხოლოდ განზრახ იქნეს ჩადენილი. განზრახვა წარმოიშობა იმ მომენტიდან, როცა პირი საკუთარი ნებით იღებს გადაწყვეტილებას იმოქმედოს. მაგრამ განზრახვა მაშინ შეიძენს სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას, როცა სუბიექტი შეუდგება განზრახვის სისრულეში რეალურად მოყვანას. "განზრახ მოქმედებად ითვლება მხოლოდ ისეთი შეგნებული და მიზანდასახული მოქმედება, – აღნიშნავს ვ. მაყაშვილი, – რომელიც უშუალოდ თუ არაუშუალოდ მიმართულია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული შედეგის მიღწევისაკენ."¹

ამრიგად, განზრახვა გულისხმობს ნებელობით გადაწყვეტილებას, რომლის რეალიზაციაც იწვევს კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით გათვალისწინებული ქმედების შესრულებას და დარღვევას.

განზრახვის აუცილებელ ელემენტს გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს. იგი ყოველთვის წინ უსწრებს სუბიექტის მოქმედებას, რომელიც ზიანს აყენებს სამართლით დაცულ ობიექტს ან ქმნის ასეთი ზიანის მიყენების საფრთხეს. განზრახვა მუდამ მომავლისკენაა მიმართული.

ნებელობითი პროცესები განუყოფელია ინტელექტუალური პროცესებისაგან. განზრახვის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს ქმედების თვისებებისა და მასთან დაკავშირებული შედეგების გათვალისწინება. ამ წარმოდგენების ხასიათისა და მოცულობის დაზიანებაზე დამოკიდებული არა მარტო იმ საკითხის გადაწყვეტა, აქვს თუ არა სუბიექტს დანაშაულებრივი განზრახვა, არამედ იმ საკითხისა, თუ, სახელდობრ, რა დანაშაულის ჩადენისკენაა მიმართული ეს განზრახვა.

განზრახვის დროს სუბიექტი უნდა ითვალისწინებდეს ყველა იმ ნიშანს, რომელიც ქმედების შემადგენლობის ობიექტურ მხარეს ეკუთვნის. ერთ–ერთი მათგანის გაუთვალისწინებლობაც კი გამორიცხავს ამ ქმედების ჩადენის განზრახვას. თანაც სუბიექტი უნდა ითვალისწინებდეს ქმედების შემადგენლობის არა მარტო ისეთ ნიშნებს, რომლებიც პირდაპირ მითითებულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციისაში, არამედ ისეთებსაც, რომელთა დადგენაც კანონის განმარტების მეშვეობით ხდება.

სუბიექტს მხოლოდ მაშინ შეერაცხება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქმედება ბრალად, როდესაც მისი განზრახვა ამ დამამძიმებელ გარემოებებსაც მოიცავს.

თუ ქმედების აუცილებელ ნიშანს რაიმე გარემოებების არსებობა წარმოადგენს, განზრახვისათვის აუცილებელია, რომ სუბიექტს შეგნებული ჰქონდეს ამ გარემოების არსებობა.

განზრახვას მიეკუთვნება წარმოდგენა იმ გარემოებათა შესახებ, რომლებმაც გამოიწვიეს პირის მოქმედება, ე.ი. რომლებიც წარმოიშობიან განსაზღვრული ნებელობითი გადაწყვეტილების განხორციელებასთან დაკავშირებით. მრავალი ქმედების შემადგენლობისათვის აუცილებელია, სუბიექტი ითვალისწინებდეს მიზეზობრივ კავშირს თავის მოქმედებასა და შედეგს შორის. მაგალითად, ყაჩაღობის განზრახვისათვის სუბიექტი საჭიროა ითვალისწინებდეს, რომ იგი თავდასხმით, რომელიც საშიშია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქარით ქმნის სხვისი მოძრავი ნივთის მფლობელი პირიდან ამოღებისა და თავის მფლობელობაში გადატანის საფრთხეს.

ქმედების შემადგენლობის ობიექტურ მხარეს ეკუთვნის არა მარტო ფაქტობრივი გარემოებანი, არამედ მოქმედების "შეფასებითი" ნიშნებიც. ასე მაგალითად, სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლებისას ქმედების საგანი არის "სხვისი ნივთი". ნიშანი – "სხვისი" აღიქმება მხოლოდ გონების თვალთ, ე.ი. აზროვნების გარკვეული ოპერაციის მეშვეობით.

განზრახვის შინაარსი არ ამოიწურება ქმედების შემადგენლობის ფაქტობრივი ნიშნების გათვალისწინებით. გარდა ამისა, განზრახვისათვის აუცილებელია, პირს გაცნობიერებული ჰქონდეს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი. ეს ნიშანი პირდაპირ მითითებულია განზრახვის ცნების განსაზღვრის დროს. ეს საკითხი წყდება ბრალის დადგენის დროს. ყოველ ნორმალურ ადამიანს კარგად ესმის, რომ ყაჩაღობა მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა. ამიტომ არც ერთი

¹ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 47

სასამართლო ანგარიშს არ გაუწევს სუბიექტის მტკიცებულებას, რომ მათ ასეთი ქმედების ჩადენისას, არ ესმოდა მისი მართლწინააღმდეგობა.

არსებობს განზრახვის სხვადასხვა სახეები. კოდექსის მე-9 მუხლი განასხვავებს განზრახვის ორ სახეს: პირდაპირს და არაპირდაპირს (ევენტუალურს). განზრახვის ამ ორ უმნიშვნელოვანეს სახეს კანონი განსაზღვრული ინტელექტუალური და ნებელობითი ნიშნებით ახასიათებს.

პირდაპირი განზრახვის დროს პირის ნება მიმართულია კანონში გადმოცემული შედეგისაკენ. პირი არა მარტო ითვალისწინებს, არამედ სურს ამ შედეგის დადგომა. შედეგისადმი ასეთი ფსიქიკური დამოკიდებულება არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც ამ შედეგის განხორციელება პირის უშუალო მიზანს წარმოადგენს, როდესაც ქმედების ჩადენის მოტივები სწორედ შედეგთანაა დაკავშირებული.

ვინაიდან ყაჩაღობა გამოწვეული დელიქტია და სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება სუბიექტის უშუალო მიზანს წარმოადგენს, ამიტომ მისი ჩადენა პირდაპირი განზრახვით შეიძლება.

შეიძლება თუ არა ყაჩაღობის ჩადენა არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით? ევენტუალური განზრახვის დროს შედეგი არ წარმოადგენს არც მოქმედების მიზანს და არც მიზნის განხორციელების საშუალებას. ყაჩაღობის დროს თუ მოცემულ დებულებას გამოვიყენებთ, მივიღებთ შემდეგ ფორმულირებას: ევენტუალური განზრახვის დროს ნივთის დაუფლება არ წარმოადგენს მისი მისაკუთრების მიზანს. ეს დებულება ალოგიკურია. ამიტომ ყაჩაღობის ჩადენა ევენტუალური განზრახვით გამორიცხულია.

ამრიგად, ყაჩაღობა შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

როგორც ზემოთ ვთქვით, მოტივი და მიზანი ქმედების სუბიექტური მხარის შემადგენლობას ეკუთვნის.

მოტივი არის ის შეცნობილი შინაგანი მამოძრავებელი ძალა, რომელიც სუბიექტს უქმნის ქმედების ჩადენის გადაწყვეტილებას, ხოლო მიზანია – ქმედების სასურველი შედეგი, რომლის მიღწევისკენაც ისწრაფვის სუბიექტი.

ამრიგად, განსხვავება ქმედების მოტივსა და მიზანს შორის ის არის, რომ მოტივი პასუხობს კითხვაზე, რით ხელმძღვანელობდა სუბიექტი ქმედების ჩადენისას, ხოლო მიზანი განსაზღვრავს იმ უახლოეს შედეგს, რომლის მიღწევისკენაც პირი ისწრაფვის.

განზრახი ქმედების ჩადენას განაპირობებს მოტივი, რომელიც წინ უსწრებს განზრახვის ჩამოყალიბებას. მოტივი შეიძლება მრავალგვარი იყოს. სახელდობრ, ანგარება, შური, ექვიანობა, სიძულვილი, კარიერიზმი, მტრობა და ა.შ.

ყაჩაღობის მიზანს წარმოადგენს სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება და მისაკუთრება.

ქმედების სუბიექტური მხარის ელემენტებს წარმოადგენს ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა.

ფაქტობრივი შეცდომა მდგომარეობს პირის მცდარ წარმოდგენაში იმ ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ, რომლებიც ქმნიან მის მიერ ჩადენილი ქმედების ობიექტურ ნიშნებს. ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა შეიძლება გამოიხატოს ქმედების შეცდომაში, შედეგის შეცდომაში, შეცდომაში მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში და ობიექტში შეცდომაში.

შეცდომას ობიექტში ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პირი თავის მოქმედებას წარმართავს ნაცვლად ერთი ობიექტისა მეორე ობიექტის მიმართ. მაგალითად, პირი ფიქრობდა, რომ ჩადიოდა ყაჩაღობას, მაგრამ სინამდვილეში ჩაიდინა მარადიორობა.

შეცდომა ობიექტში არ შეიძლება გავაიგივოთ შეცდომაში ხელყოფის საგანსა და შეცდომაში დაზარალებულის პიროვნებაში. მაგალითად, ან–ს სურდა ყაჩაღურად თავს დასხმოდა ბან–ს, მაგრამ შეცდომით ყაჩაღურად თავს დაესხა გან–ს. აქ შეცდომა ობიექტში კი არ არის, არამედ დაზარალებულის პიროვნებაში. ასეთმა შეცდომამ არ შეიძლება იმოქმედოს კვალიფიკაციის საკითხზე. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ვის მიმართ მოხდება ყაჩაღური თავდასხმა. დანაშაულის საგანში შეცდომის მაგალითია, როდესაც ყაჩაღობის გზით ან–ს სურს წაართვას ბან–ს ფული, მაგრამ იგი აღმოჩნდება ყალბი.

შეცდომა ქმედებაში ნიშნავს, რომ პირს ჰგონია სჩადის ერთი სახის ქმედებას, მაგრამ სინამდვილეში ასრულებს მეორე სახის შემადგენლობას. მაგალითად, ან–ს ჰგონია, რომ სჩადის მარცვას, სინამდვილეში კი სჩადის ყაჩაღობას.

შეცდომა შედეგში ნიშნავს, რომ პირი ფიქრობს მის მოქმედებას უნდა მოყვეს ერთი შედეგი მაგრამ სინამდვილეში მოჰყვება მეორე შედეგი. მაგალითად, ან–ს სურს ყაჩაღური თავდასხმის დროს გამოიყენოს სიცოცხლისათვის საშიში ძალადობა, ბან–ის მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით და ძალადობის დროს მოუსპობს მას სიცოცხლეს.

ქმედებას უნდა ახასიათებდეს მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის ნიშანი.

დანაშაულის მეორე ნიშანს ქმედების მართლწინააღმდეგობა წარმოადგენს. სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედება თავისთავად არ ეწინააღმდეგება სამართალს. ზოგჯერ შეიძლება მართლზომიერიც იყოს კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი ქმედება, თუ იგი ჩადენილია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებში.

”ქმედების სამართლებრივი შეფასების დროს მხედველობაშია მისაღები – ამ ქმედების ჩადენის აკრძალვა, – წერს ო. გამყრელიძე, – რომელიც სისხლის სამართლის კანონს გარეთაა. მართლწინააღმდეგობის დადგენა ნიშნავს იმის დადგენას, დაარღვია თუ არა კაცმა აკრძალვა. დამნაშავე ასრულებს (და არ არღვევს) სისხლის სამართლის კანონს, ანუ ქმედების შემადგენლობას და არღვევს ნორმას, აკრძალვას, რომელიც სისხლის სამართლის კანონს გარეთაა.”¹

მცდარია თ. წერეთლის აზრი, რომ ”დანაშაულად ჩაითვლება მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც აკრძალულია სასჯელის მუქარით.”² სასჯელი კი არ კრძალავს ქმედების ჩადენას, არამედ იგი წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების ფორმას ჩადენილი დანაშაულისათვის. სასჯელის მიზანს არ წარმოადგენს აკრძალვის დაწესება.

მართლწინააღმდეგობა დგინდება კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი ქმედების ბუნების გათვალისწინებით. ამის მიხედვით კოდექსში აღწერილი ქმედების შემადგენლობები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: 1) კლასიკური დელიქტების შემადგენლობები და 2) ე.წ. ბლანკეტური დელიქტები. ყაჩაღობა სწორედ პირველ ჯგუფს მიეკუთვნება. ყაჩაღობის მართლწინააღმდეგობა ჯერ კიდევ ბიბლიიდან მომდინარეობს, ”არა კაც კლა” – ვკითხულობთ ბიბლიის ათ მცნებაში.

მართლწინააღმდეგობის ნიშნის დადგენა სირთულეებთან არ არის დაკავშირებული. მართლწინააღმდეგობის დადგენა აქ ხდება გამორიცხვის მეთოდით, ნეგატიურად და არა პოზიტიურად. ნეგატიური ნიშანია ”არ არსებობს”. ე.ი. ყაჩაღობა მართლწინააღმდეგობა ყველა შემთხვევაში, თუ არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება.

დანაშაულის მესამე ნიშანია ბრალი. ბრალი არის პირის გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი მართლწინააღმდეგო ქმედების გამო. გაკიცხვა ამ შემთხვევაში ხდება პერსონალურ დონეზე. ”ასე, რომ, სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედების შეფასება ორსაფეხურიანია, – წერს ო. გამყრელიძე, – ორ საფეხურად მიმდინარეობს. ჯერ ფასდება ქმედება ობიექტური სამართლის მიხედვით, იმის დასადგენად, ეწინააღმდეგება თუ არა ის მოქმედ სამართალს, ე.ი. არის თუ არა ის მართლწინააღმდეგო. შემდეგ ფასდება უმართლობა პერსონალურ დონეზე ბრალის დასადგენად. ამის შესაბამისად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი აღიარებს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა ორკვალიან სისტემას: მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი და ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი (იხ. კოდექსის მე-8 და მე-9 თავები)”

ამრიგად, ყაჩაღობა რომ ჩაითვალოს დანაშაულად შესრულებული უნდა იყოს კოდექსის კერძო ნაწილის 179-ე მუხლში აღწერილი ქმედება, ქმედება უნდა იყოს მართლწინააღმდეგო და ბრალეულად ჩადენილი.

ბრალის დადგენის დროსაც ვიყენებთ ნეგატიურ ნიშანს – ”არ არსებობს”, ე.ი. ყაჩაღობა ბრალეულია ყველა შემთხვევაში, თუ არ არსებობს ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მიღებული 1999 წლის 21 ივლისს.
2. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976.
3. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008.

რეზიუმე

ნაშრომი ”ყაჩაღობის სუბიექტური მხარე” ისეთი გამოსაკვლევი თემაა, რომელიც სიახლეს არ წარმოადგენს ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებაში, მაგრამ ჯერ კიდევ დასახვეწია ამ ინსტიტუტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. ნაშრომში გადმოცემულია ყაჩაღობის მოტივი, ყაჩაღობის მიზანი, ყაჩაღობისას ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები და ა.შ.

¹ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, გვ. 83-84.

² საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 13.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს სწავლულ იურისტებს, სტუდენტებს და ყველა იმ პირს, ვინც დაინტერესებულია ყაჩაღობასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხებით.

SUBJECTIVE SIDE OF ROBBERY
Malkhaz Lomsadze, Gori State Teaching University, Full Professor
RESUME

The work “Responsibility for Robbery” is a subject which is not a novation in the Science of Criminal Law, but there are still some points to study in details referring to this sphere..

My research deals with the components of the robbery, the qualification problems of robbery, unfulfilled robbery and execution and co-participation in robbery.

The survey will be helpful for the professional lawyers, students and the people who are interested in the problematic issues referring robbery.

ბეჭდური მედიის ეფექტურობის წინაპირობები და მისი როლი კონფლიქტური რეგიონების გაშუქებისას

ალექსანდრე მღებრიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: aleqsandre.m@gmail.com

თანამედროვე საზოგადოებაში ჟურნალისტიკა მხრიდან პუბლიცისტური ოსტატობის გამოვლენა არაერთი კუთხით არის შესაძლებელი. ეს დამოკიდებულია მასალის შერჩევის, კომენტარის, სიუჟეტური ხაზის გამოკვეთისა და სხვა მნიშვნელოვან კომპონენტთა სწორად გააზრებაზე. საზოგადოების პროგრესული ევოლუციის კვალდაკვალ ჟურნალისტურ საქმიანობაში პროფესიული დაოსტატების ამოსავალი წერტილი ჟურნალისტიკის თეორიაში გააზრებული ფუნქციებისა და პრინციპების წარმატებულ პრაქტიკულ რეალიზებაშია საძიებელი. მასობრივი კომუნიკაციების ოპტიმალური ფუნქციონირების ორგანულ კომპონენტს წარმოადგენს განუხრელი ზრუნვა მაღალი შედეგიანობის მისაღწევად, მაშასადამე პრაქტიკოს თუ თეორეტიკოს ჟურნალისტიკა მხრიდან სასურველი შედეგების მიღწევა ბუნებრივად ხდება საფუძველი მასობრივი აუდიტორიის მაღალი ეფექტიანობისა და იმავდროულად სოციალურ ინსტიტუტთა ქმედითუნარიანობის შესამჩნევი ზრდისა.

„ოსტატობის საკითხები აქტუალურზე აქტუალურია. პრობლემის კვლევისას არ შეიძლება მხოლოდ ისტორიით შემოვიფარგლოთ. წარსულზე ყურადღების გამახვილება საჭიროა, მაგრამ, ამასთანავე, აუცილებელია იგი აწმყოს საყრდენი გახდეს. თავიდათავია მომავლისათვის თვალის გასწორება, ეფექტური ჟურნალისტიკური ქმედების საიდუმლოებაში წვდომა და თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება“ [ნ. ტაბიძე, 2011, 282]

განვითარების ახალ საფეხურებს ნაზიარები თანამედროვე ჟურნალისტიკის მზარდი მოთხოვნილება მაღალი ეფექტურობისა და ქმედითობისადმი ვფიქრობთ, აქტიურად იჩენს თავს პრესის ფურცლებზეც. უნდა ითქვას, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების პრესამ სერიოზული მისია იტვირთა. (მხედველობაში გვაქვს ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტი). მათმა ოპტიმალურმა ფუნქციონირებამ დიდად შეუწყო ხელი საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ქმედითუნარიანობის ზრდას და შესაბამისად ეთნოდაპირისპირების ზონაში ტრაგიკული შედეგების მინიმალურ ზღვრამდე დაყვანას.

პრესის ფუნქციონალური საქმიანობა პირველ ყოვლისა გაპირობებული გახლდათ რეგიონში არსებული დაძაბული ვითარების მშვიდობიანი გზით უმოკლეს ვადებში დარეგულირებისაკენ მოწოდების სისტემატური პროპაგანდით. ამ მიმართულებით შექმნილი და მობილიზებული საზოგადოებრივი აზრი, თანდათანობით იძენდა ლოგიკურ მიმართულებას და იღებდა გეზს ობიექტური დასკვნებისაკენ.

პრესის ქმედითობა და ეფექტურობა ყოველთვის რჩება ჟურნალისტიკის თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკვლევ ობიექტად. პრესა ქვეყნის საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების ობიექტური მსაჯული და მემატანე გახლავთ. მის ქმედითუნარიანობაზე

დიდადაა დამოკიდებული საერთოდ სოციალური ინსტიტუტების ფართო ქსელის მაღალეფექტური ფუნქციონირება. ამასთან, მნიშვნელობა, დანიშნულება თუ პასუხისმგებლობა ერთი ორად მზარდია, როდესაც მას ეთნოკონფლიქტურ ვითარებაში უხდება არსებობა, როდესაც მასზე დიდწილადაა დამოკიდებული ფართო აუდიტორიის არა მარტო ინტელექტუალური, სულიერი პოტენციალის ზრდა, არამედ მათი მომავალი კეთილდღეობისათვის ზრუნვა, შექმნილი რთული ვითარებიდან გამოსავალი გზების ძიება და ჩვენება.

ბუნებრივია, ჩვენი დაინტერესება გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის პრესით შემთხვევითი არ გახლავთ. ვფიქრობთ, სწორედ ქართულ-ოსური კონფლიქტის თვითმხილველი პერიოდული გამოცემების ფურცლებზე მიმდინარე პროცესები მოგვცემენ შესაძლებლობას მოვნიშნოთ ზოგადი კონტურები ერთ-ერთი ჩვენი თანამედროვე, ჩვენს თვალწინ ჩავლილი ეთნოკონფლიქტის ძირითადი მიზეზების, მიმდინარეობის პროცესის, შედეგების თუ ზოგიერთი იმ მნიშვნელოვანი დეტალისა, რომლებიც დღემდე საზოგადოების ყურადღების ცენტრიდან როგორღაც იზოლირებულად გამოიყურება. კიდევ ერთიც, მნიშვნელოვანია პერიოდიკის როლის იმ შედეგიანობის გამოკვეთა, რომელიც მათ ობიექტურ პრაქტიკულ მოღვაწეობას ახლდა თან ერთის მხრივ, საერთოდ სოციალური ინსტიტუტების სისტემისა და მეორეს მხრივ, ფართო, მასობრივი აუდიტორიისათვის.

პრესის წარმატებული შედეგიანობის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი, ვფიქრობთ, მასში განთავსებული პუბლიცისტური თხზულებების ხასიათი გახლავთ. აქედან გამომდინარე ყურადღების ცენტრში მონაცვლეობს პროფესიული ოსტატობისა და დაბეჭდილ მასალათა ჟანრული მრავალფეროვნების ძირითადი პრობლემური საკითხები.

რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გაზეთის შინაარსობრივ მხარეს. თითოეული გვერდი პერიოდული გამოცემისა წარმოადგენს ცალკეული მასალების შინაარსთა ერთგვარ ჯამურ ფორმას. განსაკუთრებულ ფრთხილ მიდგომას საჭიროებს თითოეული მასალის ტექსტობრივ-შინაარსობრივი გამართულობის პრობლემა. ამ თვალსაზრისით პროგრესის მისაღწევად აუცილებელია რამდენიმე ძირითადი მიმართულებისაგან შემდგარი მეთოდური სისტემის გათვალისწინება. კერძოდ, მხედველობაში უნდა მიიღებოდეს ჟურნალისტის ზნეობრივი და პროფესიული ოსტატობის დონე, მისი მაქსიმალური დაინტერესება არსებული რეალობის ყოველმხრივი, ობიექტური და ამასთან ოპერატიული ჩვენებისათვის. გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული მასობრივი კომუნიკაციის არხის სპეციფიკური თავისებურება, იმ აუდიტორიის ინტერესთა არეალი, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში რეალური აუდიტორიის ფუნქციის მატარებლად მოიაზრება. ასევე, საერთო სოციალური გარემო, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ჟურნალისტის პროფესიონალური პრაქტიკული მოღვაწეობის სათანადოდ აღქმას.

მართებულად მიგვაჩნია ჟურნალისტური ქმედითობისა და ეფექტურობის პროფ. შ. გაგოშიძისეული განმარტება: “ჟურნალისტის ნაწარმოები მისი ფუნქციების შესაბამისად მიმართულია, როგორც აუდიტორიისადმი, ასევე სოციალური ინსტიტუტებისადმი. ამიტომ მისმა საქმიანობამ უნდა მოგვცეს გარკვეული შედეგები ორივე მიმართულებით. ერთი მხრივ, ეს იქნება ზემოქმედება ცნობიერებაზე და ამასთან დაკავშირებით მასობრივი აუდიტორიის ქცევაზე. ამ ჯგუფის შედეგებს ეფექტურობა ეწოდება. შედეგების მეორე ჯგუფი დაკავშირებულია ჟურნალისტის უშუალო-ორგანიზატორულ ფუნქციასთან. კონკრეტულად ეს გულისხმობს რეაგირებას სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტების თანამდებობის პირთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და ზომებზე, რასაც ისინი ღებულობენ ჟურნალისტური პუბლიკაციების საფუძველზე. შედეგიანობას ამ სფეროში ქმედითობა ეწოდება” [შ. გაგოშიძე, 1996, 87].

ბუნებრივია, ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს განსახილველ პერიოდში არსებული პერიოდიკის ცალკეულ სახეობათა პუბლიცისტური ჟანრების თეორიისა და პრაქტიკული რეალიზაციის პრობლემატიკის კვლევა. მიგვაჩნია, რომ ინფორმაციული პროდუქციის ჟანრობრივი დიფერენციაცია ცალკე მსჯელობის საგანს წარმოადგენს.

სავსებით მართებულად შენიშნავდა პროფ. ნ. ტაბიძე: “პუბლიცისტური ოსტატობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ხედვის ოსტატობას, ფაქტებისა და მოვლენების ორიგინალურ გააზრებას. მეორე მხრივ, პუბლიცისტური ოსტატობა ნიშნავს ნაწახ-განციდილისა და გააზრებულისადმი შესაბამისი სიტყვიერი ფორმის გამოძებნას, სხვადასხვა კონკრეტული ხერხის მოშველიებით აზრსა და ნაწერს შორის მანძილის უკიდურესად შემცირებას” [ნ. ტაბიძე, 1977, 189].

ვფიქრობთ, პრესის პროფესიული ეფექტურობის კიდევ ერთი თვალსაჩინო გამოვლინება გახლავთ მის მიერ გაკეთებული მკვეთრი აქცენტები საკუთარი პოტენციური აუდიტორიის კულტურული ცხოვრების, ყოფიერების თუ მსოფლხედვის შინაგანი იმპულსების შესახებ. ქართულ-ოსური კონფლიქტის დასაწყისისას, თუ გნებავთ, მომდევნო პერიოდში ბეჭდური მედიის მიერ ამდაგვარ

გამოვლინებად მიგვაჩნია სისტემატური აგიტაცია, შეხსენება ორივე დაპირისპირებული ბანაკისათვის იმ კულტურული ტრადიციებისა, რომლებიც გარკვეული პერიოდის მანძილზე საერთო ბრძმედში იწრთობოდნენ [მაგ.: იხ. გაზ. “შიდა ქართლი”, 1991, №1, №7, №38, №49; 1993, №3(9) და სხვ.]. ასევე პოზიტიურ ნოტად ვთვლით იმ ზეგავლენას, პოპულარიზაციის მცდელობას, რომელსაც პერიოდული ორგანოები ახორციელებდნენ ეროვნული, ასევე ოსი ხალხის შეხედულებების ფართო სპექტრის, ამდლებული იდეალების, მშვიდობიანი მომავლისაკენ მისწრაფების ხორცშესხმისა და მოფრთხილების მიმართულებით [მაგ.: იხ. გაზ. “შიდა ქართლი”, 1994, №21(191); №1995, №13(204); 1996, №270 და სხვ.].

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა ტექნიკური ნაწილის უზრუნველყოფისა და სათანადო პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტების გარდა მაქსიმალური ჟურნალისტური ეფექტის მისაღწევად გასათვალისწინებელია სუბიექტურ ფაქტორთა მეთოდური კომპლექსის დაუფლების ხარისხი, რაც, პირველყოფლისა, გამოიხატება რედაქციის თითოეული თანამშრომლის, თითოეული ჟურნალისტის კომპეტენტურობასა, შესაბამისი თეორიული ბაზისა და გარკვეული პრაქტიკული გამოცდილების ქონაში.

აღნიშნული პერიოდიკის გაცნობა იძლევა იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ პარალელურად მალდებდა მისი მკითხველის ინტერესის ხარისხობრივი მაჩვენებელი. ე.ი. ბეჭდვითი სიტყვა აქტიურად უწევს ანგარიშს, ითვალისწინებს საკუთარი აუდიტორიის შეხედულებებს, რწმენას, წარმოდგენებს და ამით პრაქტიკულად იწვევს მის დაინტერესებას, მოიპოვებს მასების ნდობას. ყოველივე თქმულის საფუძველზე ყალიბდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა აუდიტორიის ინფორმაციული ქცევა.

საინფორმაციო ქცევის საგულისხმო განმარტებას იძლევა პროფ. შ. გაგოშიძე: “ინფორმაციისადმი აუდიტორიის მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონის მიხედვით განიზომება პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაობის ხარისხი. აუდიტორია, როდესაც ინფორმაციის წყაროებს მიმართავს, ხელმძღვანელობს თავისი ინფორმაციული ინტერესითა და მოტივებით. ამის საფუძველზე ყალიბდება მისი ინფორმაციული ქცევა – მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი მისი დამოკიდებულების სიმყარე. ინფორმაციის წყაროებისადმი მიმართვის მოტივები და ინფორმაციული ინტერესები განსაზღვრავენ აუდიტორიის მიერ უპირატესობის მინიჭებას ამა თუ იმ მასალისადმი, რუბრიკისადმი და სხვ. ამიტომ არსებულ კანონზომიერებათა მიხედვით ჟურნალისტიკა მთელ თავის საქმიანობას წარმართავს იმ ანგარიშით, რათა მაქსიმალურად დააკმაყოფილოს აუდიტორიის ინფორმაციული მოთხოვნილებანი. მაგრამ ამას მივალწევთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალისტიკის ნაწარმოები შეესაბამება აუდიტორიის ინტერესებსაც, რადგან მხოლოდ აუდიტორიის ინტერესების ხასიათის გათვალისწინებით შეუძლია ჟურნალისტს მასზე იმოქმედოს ობიექტური მოთხოვნილებების შესაბამისად“ [შ. გაგოშიძე, 1996, 94-95].

არანაკლებ მნიშვნელოვანია გაზეთის გვერდის კომპოზიციური სრულყოფის საკითხი. ჟურნალისტიკის თეორიაში აღიარებული შეხედულების დარად რედაქცია მასალათა შერჩევის დროს ძირითადად არ უნდა ხელმძღვანელობდეს პუბლიცისტურ თხზულებათა მოცულობაზე აქცენტირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში იოლი შესაძლებელი იქნებოდა რიგ შემთხვევებში აზრობრივი წყობისა და ლოგიკური ურთიერთკავშირის რღვევა. ეს გარემოებანი კი, თავის მხრივ, ბუნებრივად შეასუსტებდა პერიოდული გამოცემის ქმედითუნარიანობას.

აღებულ პერიოდში მოღვაწე ჟურნალისტების უმთავრესი ნაწილის პუბლიცისტურ თხზულებათა გაცნობა ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მათ ღრმად აქვთ გაცნობიერებული ჟურნალისტური ეთიკის ძირითად ნორმათა დაცვის მნიშვნელობა. ძირითადად ვგულისხმობთ უცნობი წარმომავლობის ინფორმაციის, დოკუმენტის გამოქვეყნებისაგან თავის შეკავებას, პუბლიცისტური მასალის მნიშვნელოვანი ელემენტის დაფარვის არამიზანშეწონილობას. ტექსტის, დოკუმენტის, თვალსაზრისის არასწორად წარმოჩენისაგან თავის დაღწევას და სხვ. აქვე უნდა ითქვას, რომ თუ ინფორმაცია დაუდასტურებელია, მასალაში ეს ნათლად უნდა ითქვას. ჟურნალისტის მიერ მოწოდებული ნებისმიერი არასწორი ან თუნდაც ნაწილობრივ არასწორი ინფორმაცია უნდა გასწორდეს, როგორც კი ცნობილი გახდება გამოქვეყნებულ ინფორმაციაში არსებული უზუსტობის შესახებ.

აქვე დავსძენთ, რომ პრესაში ჟურნალისტის მიერ დაშვებული შეცდომის ოპერატიულად გასწორებისასაც კი სიფრთხილეა საჭირო, გასათვალისწინებელია მასობრივი აუდიტორიის მიერ ინფორმაციის პირველადი აღქმის ფსიქოლოგიური თავისებურება, რის უზღუდებელყოფაც ხშირად ხდება გარკვეულ გართულებათა წინაპირობა. ამასთან ძალზედ მნიშვნელოვანია ჟურნალისტიკის სოციალური პასუხისმგებლობის თეორიის ძირითად საკითხთა გააზრება, რომლის მიხედვითაც მედიამ “საზოგადოება უნდა უზრუნველყოს ამომწურავი, სანდო, სრული და გონივრული ანგარიშით ყოველდღიურ მოვლენათა შესახებ, იმ მნიშვნელობის შესაბამისად, რომელიც მათ ობიექტურად აქვთ. პრესა უნდა ემსახურებოდეს აზრების, კომენტარებისა და კრიტიკულ შეხედულებათა ურთიერთგაცვლას

და საყოველთაო საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი უნდა იყოს. მან უნდა შეძლოს საზოგადოების ყველა მნიშვნელოვანი სოციალური ჯგუფის საქმიანობის ზუსტი სურათის შექმნა, არ უნდა გაერთოს სენსაციებითა და სკანდალებით და მუდამ გამიჯნოს ერთმანეთისაგან ახალი ამბავი და რედაქციის აზრი მათ შესახებ” [რ. სურგულაძე, ე. იბერი, 2003, 63-64].

პრესის მაღალ ეფექტურობისაკენ სწრაფვას მოწმობს მისი პერიოდული მცდელობანი გააკონტროლოს მმართველი რგოლების საქმიანობა, თვალი მიადევნოს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისი მიმართულებით გადაწყვეტას. ამგვარი ცოცხალი ბუნების წყალობით იგი პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს ყოველდღიურ ყოფიერებაზე, ყოველივე მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ აუდიტორიის სისტემატური ინფორმირებით მოდუნების საშუალებას არ აძლევს ხელმძღვანელ სოციალურ ინსტიტუტთა სისტემას.

“საზოგადოება მრავალი და მრავალგვარი დანიშნულების მქონე სოციალური ინსტიტუტებისაგან შედგება. ისინი გარკვეულად უკავშირდებიან ერთმანეთს და ქმნიან სტაბილურ საზოგადოებრივ მთლიანობას. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებიც ამ ინსტიტუტთა ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი რგოლია. სტაბილურობა და წონასწორობა საზოგადოებაში მიიღწევა იმით, რომ ყველა სოციალური ინსტიტუტი თავის სათანადო დანიშნულებას – ფუნქციას ასრულებს. ამავე საქმიანობას უნდა ეწეოდეს მასმედიაც. ამგვარად, თეორიით თითქოს წინასწარ არის განსაზღვრული მასობრივი კომუნიკაციის არხთა უმთავრესი ამოცანა – ემსახუროს საზოგადოებაში სხვადასხვა სოციალური ფენების ინტერესებს და უზრუნველყონ მათ შორის თანხმობა” [რ. სურგულაძე, ე. იბერი, 2003, 52].

ამდენად, პრესის ეფექტურობისა და ქმედითუნარიანობის პრობლემა ქართულ-ოსური ეთნოდაპირისპირების პერიოდში, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია. კვლევის შედეგებზე მსჯელობისას იკვეთება საანალიზო მასალათა საერთო შინაარსის თანხმობები ერთგვარი დრამატიზმი, რომელიც ქვეყნის (აღებული პერიოდის) საერთო დუხჭირი ყოფიდან მომდინარეობს. უფრო კონკრეტულად დრამატულ კონტურთა გამოკვეთა ხდება “ჟურნალისტის მიერ კონფლიქტური სიტუაციების ასახვაში. ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტი იბრძვის ჭეშმარიტების, სამართლიანობის, სიკეთის დამკვიდრებისა და გამარჯვებისათვის, რისთვისაც იგი მიმართავს ადამიანთა რთულ ურთიერთობათა გარკვევას, იდეებისა და ხასიათების კონფლიქტის, შეხედულებათა დაპირისპირების მხილებას. მსგავსი მასალები ააქტიურებს აუდიტორიის ყურადღებას. ერთგვარად მოუხმობს მას თვალი გაადევნოს ცხოვრებისეული კოლიზიების განვითარებას, შეამოწმოს ავტორის მსჯელობა და არგუმენტები და შეუდაროს ისინი საკუთარ თვალთახედვას, შეგნებულად გაიაზროს შედეგები, დასკვნები და პრაქტიკული წინადადებები. ყოველივე ეს კი ეფექტურობის მნიშვნელოვანი ფაქტორებია” [შ. გაგომიძე, 1996, 87].

პროფ. ნ. ტაბიძის სიტყვებით გვსურს დავასრულოთ:

“ამრიგად, ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია პერმანენტული აგიტაცია-პროპაგანდა და ორგანიზაცია.

სამწუხაროდ, ეს ძალზე ხშირად დავიწყებას ეძლევა. ამიტომაც ჭირს პერიოდულ გამოცემათა ორიგინალობისა და დამსახურების სრულად წარმოჩენა. უფრო მეტიც, ხსენებული პრობლემის გარეშე ჟურნალისტიკის ნაღდი ისტორია ვერ დაიწერება.

ნებისმიერი გაზეთისა თუ ჟურნალის მეცნიერული შესწავლისას აუცილებელია დავაფიქსიროთ ის სიახლენი, რითაც კვლევის ობიექტი გამოირჩევა, მაგრამ ამით მაინც ვერ დავკმაყოფილდებით. აუცილებელია იმის დადგენაც, რა სიხშირე-ინტენსიურობითა და სიძლიერით ხდება მათი განფენა. ერთია გამოკრთომა და მეორეა სისტემატურობა. მათგან მომდინარე შედეგებიც ფრიად განსხვავებულია” [ნ. ტაბიძე, 2003, 75].

ლიტერატურა:

1. ნ. ტაბიძე, პუბლიცისტიკის საკითხები, წიგნი I, თბ., 2011, გვ. 282;
2. შ. გაგომიძე, ჟურნალისტიკის საფუძვლები, თბ., 1996, გვ. 87; 94-95; 104;
3. ნ. ტაბიძე, ილია ჭავჭავაძის “ივერია”, თბ., 1977, გვ. 189;
4. გაზ. “შიდა ქართლი”, 1991, №1, №7, №38, №49; 1993, №3(9)
5. გაზ. “შიდა ქართლი”, 1994, №21(191); №1995, №13(204); 1996, №270
6. რ. სურგულაძე, ე. იბერი, მასობრივი კომუნიკაცია, თბ., 2003, გვ. 63-64; 52;
7. ნ. ტაბიძე, ჟურნალისტიკური ძიებანი, IV, თბ., 2003, გვ.75.

რეზიუმე

თანამედროვე საზოგადოებაში ჟურნალისტიკა მხრიდან პუბლიცისტური ოსტატობის გამოვლენა არაერთი კუთხით არის შესაძლებელი. საზოგადოების პროგრესული ევოლუციის კვალდაკვალ ჟურნალისტურ საქმიანობაში პროფესიული დაოსტატების ამოსავალი წერტილი ჟურნალისტიკის თეორიაში გააზრებული ფუნქციებისა და პრინციპების წარმატებულ პრაქტიკულ რეალიზებაშია საძიებელი.

განვითარების ახალ საფეხურებს ნაზიარები თანამედროვე ჟურნალისტიკის მზარდი მოთხოვნილება მაღალი ეფექტურობისა და ქმედითობისადმი, ვფიქრობთ, აქტიურად იჩენს თავს პრესის ფურცლებზეც.

პრესის ქმედითობა და ეფექტურობა ყოველთვის რჩება ჟურნალისტიკის თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკვლევ ობიექტად. პრესა ქვეყნის საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების ობიექტური მსაჯული და მემატანე გახლავთ. მის ქმედითუნარიანობაზე დიდადა დამოკიდებული საერთოდ სოციალური ინსტიტუტების ფართო ქსელის მაღალეფექტური ფუნქციონირება. ამასთან, მნიშვნელობა, დანიშნულება თუ პასუხისმგებლობა ერთი ორად მზარდია, როდესაც მას ეთნოკონფლიქტურ ვითარებაში უხდება არსებობა, როდესაც მასზე დიდწილადა დამოკიდებული ფართო აუდიტორიის არა მარტო ინტელექტუალური, სულიერი პოტენციალის ზრდა, არამედ მათი მომავალი კეთილდღეობისათვის ზრუნვა, შექმნილი რთული ვითარებიდან გამოსავალი გზების ძიება და ჩვენება.

ბუნებრივია, ჩვენი დაინტერესება გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის პრესით შემთხვევითი არ გახლავთ. ვფიქრობთ, სწორედ ქართულ-ოსური კონფლიქტის თვითმხილველი პერიოდული გამოცემების ფურცლებზე მიმდინარე პროცესები მოგვცემენ შესაძლებლობას მოვნიშნოთ ზოგადი კონტურები ერთ-ერთი ჩვენი თანამედროვე, ჩვენს თვალწინ ჩავლილი ეთნოკონფლიქტის ძირითადი მიზეზების, მიმდინარეობის პროცესის, შედეგების თუ ზოგიერთი იმ მნიშვნელოვანი დეტალისა, რომლებიც დღემდე საზოგადოების ყურადღების ცენტრიდან როგორღაც იზოლირებულად გამოიყურება. კიდევ ერთიც, მნიშვნელოვანია პერიოდიკის როლის იმ შედეგიანობის გამოკვეთა, რომელიც მათ ობიექტურ პრაქტიკულ მოღვაწეობას ახლდა თან, ერთი მხრივ, საერთოდ სოციალური ინსტიტუტების სისტემისა და მეორე მხრივ, ფართო, მასობრივი აუდიტორიისათვის.

THE EFFECTIVENESS OF PRINT MEDIA BACKGROUND AND ITS ROLE IN HIGHLIGHTING THE CONFLICT REGIONS

Aleksandre Mgebrishvili, Gori State Teaching University, Full Professor

RESUME

Nowadays, in modern society journalists can express publicity skills in many ways. Following progressive evolution of society, the starting-point of professional mastering of journalism is the understanding and realizing the functions and principles of journalism theory.

Growing demand of modern journalism for effectiveness and efficiency will be actively expressed in print media.

The effectiveness and efficiency of press always remain as one of the significant research objects of the theory of journalism. The press is the objective judge and chronicler of socio-political and cultural life in general. The functioning of a wide range of social institutes highly depend on its effectiveness. Herewith, the importance, function and responsibility grow twice more in the period of ethno conflict; the growth of intellectual and spiritual potential of audience also depend on it, as well as taking care of future prosperity, searching and showing the way out from complicated situations.

It's natural that the interest towards the press of the previous century is not accidental. I suppose that the eyewitness periodical publications of the Georgian-Ossetian conflict will give opportunity to analyze the main reasons, results and meaningful details of the ethno conflict which are somehow isolated from the society. Moreover, it's important to underline the results of the role of periodicals accompanying their objective practical work and to show them on the one hand to the systems of social institutes and on the other hand to the wide range of audience.

**მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის როლი
ადმინისტრაციული დავების განხილვისას საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში**

მაკა სალხინაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: ketinutsa@yahoo.com

საქართველოს ენერგეტიკაში ეკონომიკური რეფორმები დაიწყო საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის #417 ბრძანებულებით, რომლის თანახმადაც ეკონომიკის სამინისტროსთან ჩამოყალიბდა ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია, რომელმაც დამოუკიდებელი ფუნქციონირება დაიწყო 1997 წელს „ელექტროენერგეტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ და დაევალა მხოლოდ ელექტროენერგეტიკული სექტორის რეგულირება. კომისია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც თავის საქმიანობაში არც ერთ სახელმწიფო უწყებას არ ექვემდებარება.

1999 წელს „ელექტროენერგეტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება და კომისიას დამატებით დაეკისრა ბუნებრივი გაზის სფეროს რეგულირება, ხოლო 2008 წლის ცვლილებებით - წყალმომარაგების სექტორის.

2002 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ეროვნული ორგანოების შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა კომისიის დამოუკიდებლობის სტატუსი ენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის რეგულირების სფეროში. ამ კანონში 2003 წლის ცვლილებებით მომხმარებელთა უფლებების დამატებითი გარანტიების შესაქმნელად მარეგულირებელ ორგანოსთან მარეგულირებელი კომისიის აპარატისგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს უფლება აქვს:

- ა) დაიცვას მომხმარებელთა ინტერესები;
- ბ) შეაფასოს მომხმარებლებზე სატარიფო და სხვა სახის სარეგულაციო ცვლილებათა გავლენის შედეგები;
- გ) მარეგულირებელ ორგანოში მომხმარებელთა სახელით გამოვიდეს მხარედ;
- დ) გაეცნოს ყველა იმ დოკუმენტაციასა თუ მასალას, რომელიც კანონმდებლობით ნებადართულია მარეგულირებელი კომისიის მიერ გასაცნობად;
- ე) წარმოადგინოს ინდივიდუალური მომხმარებელი მომსახურე კომპანიასთან დავაში;
- ვ) მიიღოს მონაწილეობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ იმ ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ინტერესებზე.

მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით საზოგადოებრივ დამცველს ჰყავს შესაბამისი სპეციალობის თანაშემწეები, რომელთა შერჩევა ხდება ღია კონკურსის წესით. საზოგადოებრივი დამცველის საქმიანობა რეგულირების შემადგენელი საქმიანობაა, ფინანსდება შესაბამის მარეგულირებელ ორგანოში გადახდილი რეგულირების საფასურიდან და აისახება მარეგულირებელი ორგანოს ბიუჯეტში. საზოგადოებრივ დამცველს და მის თანაშემწეებს არა აქვთ უფლება, მომხმარებელთაგან მიიღონ რაიმე ანაზღაურება. საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობა საქმისწარმოებაში არ ზღუდავს სხვა მხარეებს, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდნენ მომხმარებლებს.

საინტერესო ისტორია აქვს საზოგადოებრივი დამცველის დანიშვნის წესს, ვინაიდან ეს წესი 2003 წლიდან დღემდე არაერთხელ შეიცვალა. კერძოდ, თავდაპირველად, საზოგადოებრივი დამცველი ინიშნებოდა ღია კონკურსის წესით. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება 10 დღის ვადაში ფორმდებოდა შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს თავმჯდომარის ბრძანებით. საზოგადოებრივი დამცველის შესარჩევ საკონკურსო კომისიას ქმნიდა საქართველოს სახალხო დამცველი არანაკლებ 15 წევრის შემადგენლობით, რომელშიც შედიოდნენ სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებებს კომისიის თავმჯდომარის, საკონკურსო პირობებისა და საზოგადოებრივი დამცველის არჩევის შესახებ იღებდა ხმათა უმრავლესობით.

2012 წლის 28 ივნისის ცვლილებებით კი საზოგადოებრივი დამცველი შეირჩევა ღია კონკურსის წესით. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, 10 დღის ვადაში შესაბამისი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს თავმჯდომარე გამოსცემს საზოგადოებრივი დამცველის დანიშვნის შესახებ ბრძანებას. საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი ქმნის საზოგადოებრივი დამცველის შესარჩევ საკონკურსო კომისიას არანაკლებ

12 წევრის შემადგენლობით. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორების, საქართველოს სახალხო დამცველისა და შესაბამისი დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს წარმომადგენლები. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებებს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარისა და საზოგადოებრივი დამცველის არჩევის შესახებ იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. საკონკურსო პირობებსა და საკონკურსო კომისიის დებულებას საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

2012 წლის 28 ივნისის ცვლილებების შემდეგ საზოგადოებრივი დამცველის შერჩევაში აქტიურად ჩაება საქართველოს პარლამენტი, რაც ჩვენი აზრით არასწორია, კერძოდ მიგვაჩნია, რომ ზემოჩამოთვლილი წესებიდან ყველაზე ობიექტური იყო 2011 წლის ცვლილებებით დარგულიერული არჩევის წესი, როდესაც მონაწილეობას იღებდნენ როგორც არასამთავრობო სექტორი, ასევე თვით დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოც. ჩვენი აზრით, არ შეიძლება ამ ორგანოში მუშაობა დაიწყოს პირმა, რომელიც საერთოდ უცნობია მარეგულირებელი ორგანოსათვის, ასევე პარლამენტიც არ უნდა ერეოდეს.

ყურადსაღებია ასევე საზოგადოებრივი დამცველის არჩევის 2 წლიანი ვადა. მიგვაჩნია, რომ ეს ვადა ხანმოკლეა და უნდა გაიზარდოს 4 წლამდე მაინც.

საინტერესოა ასევე საზოგადოებრივი დამცველის ვადამდე გათავისუფლების შემთხვევები, კერძოდ:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

გ) სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას მისი ქმედუუნაროდ ცნობის ან უზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ანდა გარდაცვლილად გამოცხადების საფუძველზე.

ზემოაღნიშნული კანონის თანახმად, საზოგადოებრივ დამცველს უნდა ჰქონდეს გარკვეული კვალიფიკაცია და დაწესებული უნდა ჰქონდეს სამსახურებრივი შეუთავსებლობაც, რაც ჩვენი აზრით სამართლიანია. კერძოდ:

1. საზოგადოებრივ დამცველს უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება, ბუნებრივი მონოპოლიების შესაბამისი სფეროსა და მომხმარებელთა უფლებების კვალიფიციური ცოდნა და საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება.

2. საზოგადოებრივი დამცველი არ შეიძლება იყოს რომელიმე პარტიის წევრი.

3. საზოგადოებრივ დამცველზე ვრცელდება ყველა ის მოთხოვნა, რომელიც ვრცელდება თანამდებობის პირზე "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2010 წლის 16 ივლისს შეტანილმა ცვლილებებმა ახლებურად განსაზღვრა მთელი რიგი პრობლემატური საკითხები, კერძოდ, ეს ეხება ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის დატაცებას, სასმელი წყლის უკანონო მოხმარებას, წყალანრიბის ქსელით უკანონო სარგებლობას და, შესაბამისად, ასეთი კატეგორიის საქმეების განხილვას დამოუკიდებელ ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოში.

საინტერესოა საწარმოს (კომპანიის) მიერ გამოტანილი დადგენილების გასაჩივრების წესი. ამავე დადგენილების მე-11 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში. პირი, რომლის მიმართაც იქნა მიღებული ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება, უფლებამოსილია იგი გასაჩივროს კომისიაში პირდაპირი წესით (თვითონ შეიტანოს საჩივარი კომისიის თავმჯდომარესთან ან მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველთან) ან დადგენილების გამოცემი საწარმოს მეშვეობით. საწარმოში საჩივრის შეტანის შემთხვევაში, საწარმო ვალდებულია კომისიას გადაუგზავნოს საჩივარი და მის ხელთ არსებული სრული დოკუმენტაცია, არა უგვიანეს 10 დღისა. საჩივრის მიღების შემთხვევაში კომისიაში იწყება ადმინისტრაციული წარმოება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად, რომლის შესახებაც ინფორმაცია ქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე. კომისია, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, საჩივარს განიხილავს მისი მიღებიდან 30 დღის ვადაში.

დადგენილი წესების შესაბამისად, ელექტროენერჯის, წყალმომარაგების და ბუნებრივი გაზის ქვითრები თვეში ერთხელ ურიგდებათ მომხმარებლებს, რათა მათ გადაიხადონ დავალიანება. ამ ქვითრების უკანა მხარეს აღნიშნულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ირღვევა მომხმარებელთა უფლებები მათ შეუძლიათ მიმართოთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ

კომისიასთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს (მითითებულია იურიდიული მისამართი და ელ. ფოსტა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მომხმარებელთა ინტერესების დამცველს დიდი როლი აკისრია საზოგადოების წინაშე.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, 1997.
2. საქართველოს კანონი „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“, 2002.
3. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 1999.
4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984.
5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999.
6. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999.
7. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, 2009.
8. ავტორთა კოლექტივი, შესავალი ენერგომენეჯმენტში, თბ., 2011.
9. გ. თავაძე, ი. ქავთარაძე, დ. ჩომახიძე, დ. მენაბდე, „ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა“, თბ., 2006.
10. <http://www.gnerc.org/>
11. <http://www.menr.gov.ge/>
12. <http://www.erranet.org/>
13. <http://www.naruc.org/>
14. <http://www.worldenergy.org/default.asp>
15. <http://www.eia.gov/404r.cfm?v=http://www.eia.gov/emeu/international/georgia.htm>
16. <http://www.eurasianet.org/>
17. <http://www.ebrd.org/>
18. <http://www.caspenenergy.com/bbulmain02.html>

რეზიუმე

2002 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ეროვნული ორგანოების შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა კომისიის დამოუკიდებლობის სტატუსი ენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის რეგულირების სფეროში. ამ კანონში 2003 წლის ცვლილებებით მომხმარებელთა უფლებების დამატებითი გარანტიების შესაქმნელად მარეგულირებელ ორგანოსთან მარეგულირებელი კომისიის აპარატისგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს უფლება აქვს: დაიცვას მომხმარებელთა ინტერესები; შეაფასოს მომხმარებლებზე სატარიფო და სხვა სახის სარეგულაციო ცვლილებათა გავლენის შედეგები;

მომხმარებელთა ინტერესების დამცველის არჩევის წესი 3-ჯერ შეიცვალა: 2003 წელს, 2011 წელს და 2012 წელს. მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული წესებიდან ყველაზე ობიექტური იყო 2011 წლის ცვლილებებით დარეგულირებული არჩევის წესი.

დადგენილი წესების შესაბამისად, ელექტროენერჯის, წყალმომარაგების და ბუნებრივი გაზის ქვითრები თვეში ერთხელ ურიგდებათ მომხმარებლებს, რათა მათ გადაიხადონ დავალიანება. ამ ქვითრების უკანა მხარეს აღნიშნულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ირღვევა მომხმარებელთა უფლებები მათ შეუძლიათ მიმართონ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს (მითითებულია იურიდიული მისამართი და ელ. ფოსტა).

**THE ROLE OF THE PUBLIC DEFENDER OF CONSUMERS' INTERESTS IN THE
CONSIDERATION OF THE ADMINISTRATIVE DISPUTES AT THE GEORGIAN NATIONAL
ENERGY AND WATER REGULATORY COMMISSION**
Maka Salkhinashvili, Gori State Teaching University, Full Professor
RESUME

In 2002 the parliament of Georgia adopted the Law on Independent National Regulatory Bodies, which defined the independent status of the Commission in the field of energy and natural gas regulation. According to the 2003 amendments to the law, with the aim of establishing additional guarantees for protection of consumers' rights, the service of the public defender of consumers' interests was established under the auspices of the regulatory body, although independent of the administration of the regulatory commission.

The public defender of consumers' interests is authorized to protect the consumers' interests; to evaluate the impact of tariff-related and other regulatory changes upon the consumers;

The rule of electing the public defender of consumers' interests underwent changes three times – in 2003, 2011 and 2012. We believe that the most objective of the above three rules was the rule of election of the public defender regulated by the 2011 amendments.

In compliance with the effective procedure, the monthly bills for the consumed electricity, water supply and natural resources are distributed to individual consumers for payment. The rear side of the bill contains information for the consumers to the effect that in case of breach of the consumers' rights, they can apply to the public defender of the consumers' interests at the Georgian Energy and Water Regulatory Commission (the contact details including the legal address and e-mail of the public defender are also provided).

ალბერ კამუს ფილოსოფიური სამყარო

კობა წურჭუმია, სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი“, სრული პროფესორი
E-mail: kobatsurtsumia@mail.ru

ის ალჟირში დაიბადა, მაგრამ ლიტერატურულ წრეებში იცნობდნენ როგორც ფრანგ მწერალს და "აბსურდის მამას." მისი "აბსურდული" ლიტერატურული სამყარო სიჭაბუკიდან იძვრებოდა, ვიდრე 1960 წელს ავტობიოგრაფია ბოლოს არ მოუღებდა. მანამდე იყო ბევრი ლიტერატურული წარმატება, კრიტიკა, ჟურნალისტური კარიერა, ადამიანის არსში ჩაწვდომის სურვილი და პიროვნების სინდისის კვლევა, ამბოხი საკუთარ თავთან და გარე სამყაროსთან. მეგობრობა ჟან პოლ სარტრისთან, პოლიტიკური უმოქმედობა, მაშინ, როდესაც ალჟირში დენტის სუნი ტრიალებდა და, მთავარი: 1957 წელი, უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო - ნობელის პრემია.

მწერალი და ფილოსოფოსი, ესეისტი, დრამატურგი და პუბლიცისტი ალბერ კამიუ აბსურდის ფილოსოფიის წარმომადგენელია. თუმცა ევროპელი და ამერიკელი ლიტერატურათმცოდნეები ალბერ კამიუს ეგზისტენციალიზმის თეორიის მიმდევრად თვლიდნენ, მიუხედავად ამისა მწერალი კამიუს მოქცევა ეგზისტენციალიზმის ჩარჩოებში, ამის წინააღმდეგი იყო თვით მწერალი. კამიუს შემოქმედება უფრო ღრმა და ფილოსოფიურია, ვინემ ეგზისტენციალიზმი. მას უფრო "აბსურდის ფილოსოფიას" მიაკუთვნებენ.

ინდივიდუალური წერის კულტურა, სამყაროს თავისებური აღქმა, პიროვნების ტრაგიზმი თანამედროვე სამყაროში, გაუცხოება, სიკვდილისა და სიცოცხლის დაპირისპირება, გულგრილობა, უპასუხისმგებლობა, ეთიკური და ზნეობრივი დანაშაულებანი, - აი, თემები, რომელსაც ალბერ კამიუ დასტრიალებს. კამიუს მთელი შემოქმედება ეთიკურ - ფილოსოფიური მედიტაციებითაა დატვირთული, რომელიც უამრავ კითხვას ბადებს.

კამიუს ესეებსა და მოთხრობებში უფრო და უფრო იკვეთება შიშის, მარტოობის, მოახლოებული სიკვდილის, უიმედობის, წუხილისა და შფოთვის განწყობილებანი.

ამავე დროს, კამიუსთან იკვეთება ორი სამყარო: "იქით, ერთ მხარეს, არის ქალი, ვისაც მარტო ტოვებენ და კინოში მიდიან; კაცი, ვისაც არავინ უგდებს ყურს; და სიკვდილი, რომელიც არავის არაფერს მიუტევებს, აქეთ კი, მეორე მხარეს, მზით განათებული სამყარო."

ასეთია ალბერ კამიუს ცხოვრებისეული ირონია. (ა. კამიუ, 2011)

”სარჩული და პირი” 22 წლის კამიუს სიჭაბუკის ნაყოფია. ამ ესეში ყველაზე მეტად გამოვლინდა აბსურდის განწყობა და მზადება სიკვდილისათვის. მწერალი ჩვეული ირონიით გვიყვება უცნაური და მარტოსული ქალის ისტორიას, ქალისა, რომელიც საიქიოს აჩრდილებთან მეგობრობდა და წამდაუწუმ მათ კინკლაობაში ერეოდა.

ყველასაგან მივიწყებული ქალი იწყებს მზადებას სიკვდილისათვის. ის წინასწარ აკლდამას შეიძენს, რადგან მიხვდება, რომ სხვების თვალში უკვე დიდი ხნის მკვდარი იყო. ქალი სასაფლაოზე იწყებს სიარულს, რაც მას განუზომელ სიმშვიდეს ჰგვრიდა. ”საფლავი სულს ერჩინავო” - ამბობს კამიუ. მომაკვდავმა ქალმა ღრმად შეიგრძნო ცხოვრებისეული აბსურდი, ამიტომაც კამიუ თვლის, რომ ადამიანმა თამამად უნდა გაუსწოროს თვალი სინათლესაც და სიკვდილსაც, რადგან ”წუთისოფელი მოკლეა და დროის დაკარგვა ცოდვია. ”მე ვმოქმედებ” - ხშირად უთქვამთ. მაგრამ მოქმედებაც დროის ხარჯვაა...” /ა. კამიუ, 2011/

პრადამი მარტომყოფი ლირიკული გმირის სულიერ განცდებს გადმოგვცემს ა. კამიუ ესეში ”სიკვდილი სულში.” მწერალი მიგვანიშნებს, რომ თანამედროვე ადამიანის დაუძლეველი სენი მარტოობაა. ლირიკული გმირიც ამაოდ ცდილობს გაუმკლავდეს მარტოობას. ”მარადიულია ნაღველი ჩემი”- საფლავის ქვაზე ამოკვეთილ ამ განწყობასა მთლიანად შეუპყრია გმირი. სწეულ სულში უფრო ადვილად და ღრმად იჭრება სამყაროს მუსიკა, რაც ლირიკულ გმირს კიდევ უფრო უმძაფრებს სიკვდილზე და მარტოობაზე ფიქრს. ეს განწყობა კიდევ უფრო უმძაფრდება მაშინ, როდესაც სასტუმროში მის მეზობლად მცხოვრები ტურისტი მარტოობაში კვდება. სასტუმროს პერსონალი მოგვიანებით შეიტყობს უბედურ შემთხვევას. ჩნდება შეგრძნება, რომ არ ჩანს გამოსავალი აბსურდულ სამყაროში. მაშ, რა უნდა ქნას ადამიანმა? როგორ უნდა შეეგუოს რეალობას? კამიუ თვლის, რომ ადამიანები სიძნელეების ჟამს მარტოდ-მარტო რჩებიან საკუთარ თავთან და ეს არის სწორედ კამიუს გმირების უბედურების თავი და თავი.

ალბერ კამიუს მსოფლმხედველობას სიღრმისეულად გამოხატავს მითოლოგიური ესე ”სიზიფეს მითი”. აქ გამოვლინდა მწერლის ღრმა ფილოსოფიური ხედვა. წარმოდგენილი ესე არის დასტური იმისა, რომ ადამიანის შრომა ფუჭი და უნაყოფია, ადამიანი განწირული და ტანჯვისთვისაა შობილი. ირკვევა, რომ სიზიფეს ღმერთებისადმი უდიერ მოპყრობას საყვედურობენ. ყოველივე ამისათვის, ღმერთებმა ურჩ სიზიფეს მთის წვერზე უზარმაზარი ლოდის ატანა მიუსაჯეს: ”ლოდი მძიმეა და ზევით ატანილი ტრიალით ეშვება დაბლა. სიზიფეს ტანჯვასაც ბოლო არ უჩანს. ღმერთები თვლიდნენ და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ყველაზე საშინელი სასჯელი - ეს უიმედო და ფუჭი შრომაა”.

კამიუ თავისი ჩვეული ირონიით მკითხველს ამცნობს: ”ალბათ, უკვე მიხვდით, რომ სიზიფე აბსურდის გმირია. აბსურდულია თავისი ვნებებითაც და თავისი ტანჯვითაც. ღმერთებთან შუღლმა, სიკვდილის სიძულვილმა და სიცოცხლის სიყვარულმა მას ენით უთქმელი, თანაც დაუსრულებელი ტანჯვა მოუვლინა. ესაა საზღაური, რომელიც უნდა გადაიხადოს ამ ქვეყნიურ ვნებათა გამო”. [ა. კამიუ, 1970] ასეთია ადამიანური ხვედრი. ასეთია აბსურდი და აბსურდის ტყვეობაში მოქცეული ადამიანის აღსასრული. ”სიზიფე მარტოა”, - გვამცნობს კამიუ, მაგრამ სიმარტოვე არა სიზიფეს, არამედ საერთოდ, ადამიანური ხვედრია. სიზიფე თანამედროვე ადამიანის სახე-სიმბოლოა. უფრო სწორედ, ადამიანური ხვედრის სიმბოლოა.

ა. კამიუს ფილოსოფიური და ეთიკური შეხედულებანი მკაფიოდ გამოვლინდა ”უცხოში”. ამ პატარა რომანმა ხმაური გამოიწვია ლიტერატურულ სალონებში, რადგან რომანი იწყებოდა ძალზე უჩვეულო ”გულწრფელობით”: ”დღეს დედა გარდამეცვალა, ან იქნებ - გუშინ. რა ვიცი. მოხუცთა თავშესაფრიდან დეპეშა მივიღე: დედა გარდაიცვალა, დაკრძალვა ხვალ, ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას.” რას გაიგებ, იქნებ გუშინ მოკვდა”, - ასეთია კამიუს ესთეტიკური შოკი.

რომანში დგას ადამიანის გაუცხოების საკითხი. მთავარი გმირი მერსო გაუცხოვდება. მოხუც დედას პანსიონატში მიაბარებს. მოიმიზეზებს, მისი მოვლისთვის დრო აღარ მრჩებაო. მალე თავშესაფრიდან ახალგაზრდა მერსოს შეატყობინებენ დედის გარდაცვალების ამბავს, მაგრამ მისთვის ეს მწუხარება არ არსებობს. იგი სრულიად დამშვიდებული შეექცევა რძიან ყავას დედის გვამთან და იქვე ჩაეძინება კიდევ: ” რძიანი ყავა ძალიან მიყვარს და უარი ვერ ვუთხარი. დავლიე. პაპიროსსაც სიამოვნებით მოვწევი, მაგრამ შევეყვინდი, ვერ გადამეწყვიტა, შეიძლება თუ არა დედის ცხედართან მოწევა. მერე გავიფიქრე: რა მოხდა, რა მნიშვნელობა აქვს - მეთქი და კარისკაცსაც შევთავაზე სიგარეტი. გავაბოლეო.” (გვ. 6.)

დედის ცხედართან მჯდომს პანსიონატის მოზინადრე ქალის მოთქმაც აღიზიანებდა: ”საოცარი იყო. ამ უცნობ ქალს რა ატირებდა. გული გამიწვრილა, მაგრამ ხომ არ ვეტყვიდი.” (გვ. 7). ასე გვიხატავს მწერალი მერსოს ანტიმხატვრულ სახეს.

რომანის დასასრულს ეთიკური და ზნეობრივი დანაშაულისათვის მერსოს სასამართლო პროცესს მოუწყობენ.” გამომძიებლებს გაეგოთ, რომ გულცივობა გამოვიჩინე დედაჩემის დასაფლავების დღეს” და ამ ხაზით ვითარდება მთელი სასამართლო პროცესი. პროკურორი მერსოს დანაშაულს ასე ასაბუთებს: ”ზატონო მსაჯულნო, დედის დასაფლავების მეორე დღეს ეს კაცი საბანაოდ მიდის, იჩენს საყვარელს და კომიკურ ფილმს ესწრება. მეტი აღარაფერი მაქვს სათქმელი... მე ვადანაშაულებ ამ კაცს, რომ დედა დამნაშავის გაყინული გულით დასაფლავა.” [ა. კამიუ, 1969] მერსოს სასჯელის ფორმა არის უმაღლესი - სიკვდილი. მერსოს სულიერი და ზნეობრივი ხრწნა იწყება მაშინ, როდესაც მშობელ დედას თავშესაფარში მიაბარებს. მერსო, როგორც ადამიანი, სულიერად და ფიზიკურად მარცხდება.

ახსურდის თემა და განწყობილებანი კიდევ უფრო ღრმად იჭრება ოჯახურ გარემოში, კონკრეტულად მეუღლეების ცხოვრებაში. ამ მხრივ საყურადღებოა მოთხრობა ”მოლაღატე ცოლი”. აქ ვეცნობით მეუღლეებს ჟანინს და მარსელს. ირკვევა, რომ ისინი 25 წლის მეუღლეები არიან და ბედნიერი მეუღლეების შთაბეჭდილებას ტოვებენ. მაგრამ ეს მხოლოდ ილუზია და მოჩვენებაა. ისინი მოტყუებული მეუღლეები არიან. მათ ერთმანეთი ახსენდებათ მხოლოდ ღამით, ხელების ფათურით. სიყვარული მათთვის ღამის გარეშე არ არსებობს.

მძინარე მეუღლის გვერდით მწოლიარე ქალს ფიქრები აუჯანყდება. მიხვდება რომ ასე ცხოვრება შეუძლებელია. ღრმად გააცნობიერებს, რომ ჰაერივით სჭირდება თავისუფლება, გამოფხიზლება, რონინი, თავდავიწყება, სიგიჟე. იგი მძინარე მეუღლეს ფეხაკრეფით ტოვებს და... ”ჟანინი უფრო და უფრო იძირებოდა ღამის წყვილიადში. ჟანინი სუნთქავდა და ავიწყდებოდა სიცივე, ყოფნის სიმძიმე, ბოზოქარი და მდორე ცხოვრება, სიცოცხლისა და სიკვდილის მომქანცველი შიში... ახლა ქალს ეჩვენებოდა, რომ ხელმეორედ იზადებოდა და მის გამთბარ სხეულს ახალი სასიცოცხლო ძალები ავსებდნენ.” [ა. კამიუ, 1989]

ა. კამიუ კიდევ უფრო შორს მიდის, როდესაც 1944 წელს ოთხმოქმედებიან ტრაგედიას ქმნის ”კალიგულას” სახით. აქ მწერალს თითქოს გადავყავართ შორეულ წარსულში, რომის იმპერატორის კალიგულას ანტიმხატვრული ნატურის შექმნით, მაგრამ ეს მხოლოდ კამიუს მეთოდია, წერის ხერხია, რათა ამით ახსურდის სიღრმეებში უფრო ღრმად ჩაგვახედოს. ”ჩვენი ეპოქა ილუპება იმის გამო, რომ დაიჯერა ფასეულობანი და კიდევ ის, რომ ირგვლივ ყველაფერი შეიძლება იყოს მშვენიერი და რომ აღარ არსებობს ახსურადი,” - ასე იწყებს კამიუ თავის პიესას.

კალიგულა ოდესღაც თავისი მოწყალებით განთქმული იყო, მაგრამ მას შემდეგ, როდესაც საყვარელი და გარდაეცვლება მიხვდება, რომ ამქვეყნად სიყვარული და ბედნიერება განუხორციელებელი სურვილებია. ”ადამიანები იხოცებიან და არ არიან ბედნიერები”, - ამ დასკვნამდე მიდის იმპერატორი. ამიტომ ადამიანმა არ უნდა თქვას უარი სიამოვნებაზე, თუნდაც ამ სიამოვნებას სხვისი სიკვდილი ანიჭებდეს და კალიგულა ხდება შეუბრალებელი დიქტატორი, ტირანი. იგი ყველას ადანაშაულებს დრუზილას სიკვდილში: ”თქვენ ყველანი დამნაშავეები ხართ” იმპერატორში საზარელი ტირანი იღვიძებს, რომელიც ადამიანთა მოდემას ერჩის. მთელ სამყაროსა და კალიგულას შორის კედელი აღიმართება. ის მარტო რჩება ტკივილთან და უიმედობასთან. კალიგულასათვის სამყარო იმ სახით, რა სახითაც არსებობს, უკვე ახსურდულია: ”სამყარო შექმნილი სახით აუტანელია. მე მჭირდება მთვარე, ან ბედნიერება ან უკვდავება, ან ისეთი რამ, რაც შეიძლება სულელურიც კი იყოს, ოღონდ არა ამქვეყნიური”, - ამბობს კალიგულა. [ა. კამიუ, 2008].

პიესის ფინალი ძლიერ ტრაგიკულია. შეშლილი, იმედგადაწურული და სასოწარკვეთილი კალიგულა სარკის წინ დაჩოქილი ყვირის და თან მოთქვამს:

”კალიგულა! შენც, შენც დამნაშავე ხარ, არა? ოდნავ მეტად, ოდნავ ნაკლებად! თუმცა ვინ განმსჯიდა ამქვეყნად, სადაც არც მსაჯულია და არც უდანაშაულო!.. მთვარე რომ მქონოდა, სიყვარულს რომ დავკემაყოფილებინე - ყველაფერი შეიცვლებოდა. მაგრამ სად მოვიკლა ეს წყურვილი?”. შეთქმულნი კალიგულას სიგიჟეს ბოლოს უღებენ. მას ხრიალთან ერთად აღმოხდება: ”ჯერ ცოცხალი ვარ!” [ა. კამიუ, 2008] იმპერატორისათვის სიკვდილი ხსნაა, მაგრამ კამიუ თავისი ჩვეული ირონიით მიგვანიშნებს, რომ სიკვდილი ხსნა კი არა, დამთავრებას ნიშნავს.

ადამიანის უმწეობა, ტრაგიკული ყოფა ყველაზე ცხადად გამოვლინდა ა. კამიუს 1947 წელს დაწერილ მცირე მოცულობის რომანში ”შავი ჭირი”. რომანში მოთხრობილია შავი ჭირის ეპიდემიის შედეგები და მასთან ბრძოლა.

ამ პატარა რომანს მწერალი ქრონიკას უწოდებს: ” ფრიად საყურადღებო ამბები, რომელიც ამ ქრონიკაშია მოთხრობილი, 194... წელს ორანში მოხდა”, - პირველი სტრიქონებიდან გვატყობინებს მწერალი. ალჟირის სანაპიროზე მდებარე ეს ქალაქი არაფრით გამოირჩევა სხვა დაბებისაგან. უფრო მეტიც, გარეგნულად ქალაქი უშნოა. ”აბა როგორ წარმოგადგენინოთ უმტრედებო, უხეო და უბალო ქალაქი. . . აქ გაზაფხული ბაზარში იყიდება.” ორანში ადამიანებს თუმცა უყვართ ერთმანეთი, მაგრამ

დროისა და ფიქრის უნარის უქონლობის გამო, არც კი უწყვიან, რომ უყვართ. ამ ქალაქის თავისებურება ისაა, რომ აქ სიკვდილი სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

ეს უსახური გარემო მწერალს ვერ წარმოუდგენია ემოციური ეფექტების გარეშე და კამიუც "საქებარი" მონდომებით ორანის ცხოვრების ტრაგიკულ ქრონიკებს გვიხატავს. მწერალი უარზეა ცხოვრების ყოველგვარ შელამაზებაზე, ყოველგვარ ესთეტიკურ ტყუილზე და მკითხველი ეცნობა შავი ჭირის ფატალურ შედეგებს და ექიმის ბერნარ რიეს უანგარო მოქმედებას.

ჟამიანობის გამო ორანი დახურულ ქალაქად გამოცხადდა. ჭირიანი ქალაქის ცხოვრებაში საიმედო არაფერი იყო. სიკვდილიანობამ იმატა. ეპიდემიის ამკარა ზრდამ ხალხი საგონებელში ჩააგდო. მამა პანელუს ერთკვირიანმა საზეიმო მესამაც ვერაფერი სიკეთე მოუტანა ხალხს. ექიმმა რიემ კარგად იცის, რომ ჟამიანობასთან ბრძოლა ესაა დაუსრულებელი მარცხი და მეტი არაფერი. მიუხედავად ამისა, რიე თავისი ადამიანური რესურსებითა და პროფესიული საქმიანობით ყველასგან გამოირჩევა. ერთ-ერთი პერსონაჟი ექიმის მისამართით ამბობს: "ის ჩემზე უფრო ადამიანურია." თვით ექიმი რიე ამბობს, რომ მისთვის გამირობა და სიწმინდე მთავარი კი არ არის, არამედ "მე მარტო ადამიანად ყოფნა მწადია". (ა. კამიუ, 1988) და ამ ხაზით ვლინდება ექიმის მთელი ადამიანური თვისებები.

ა. კამიუს სხვა პერსონაჟების მსგავსად ექიმ რიესაც ღმერთის არ სწამს. კამიუს გმირებს უღმერთობა ახასიათებთ. სწორედ ესაა აბსურდის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება. ტარუს შევითხვაზე: "ღმერთი თუ გწამთ, ექიმო?" ექიმი უარყოფით პასუხს იძლევა, მაგრამ მას კარგად ესმის მოქმედების აუცილებლობა და ამიტომაც ტარუს ასე განუმარტავს: "როდესაც ხედავ მწუხარებასა და ტაჯვას, რომელიც მას მოაქვს, გიჟი, ბრმა ან ლაჩარი უნდა იყო, რომ შავ ჭირს შეურიგდე". ასეთია კამიუსა და ექიმ ბერნარ რიეს მთელი ცხოვრებისეული ფილოსოფია. ადამიანის მოქმედება, რაც არ უნდა სასარგებლო იყოს, მის შედეგს საბოლოოდ აბსურდამდე მივყავართ.

რომანი ალეგორიული შინაარსისაა. მასში აისახა ოკუპირებული საფრანგეთის ალეგორიული სახე. რომანში ერთგან გარკვევით წერია: "შავი ჭირი, უპირველეს ყოვლისა, ფრთხილი და უზარმაზარი ადმინისტრაციული მანქანა იყო, ჩინებული მცოდნე თავისი საქმის."

ექიდემია მოდებულ ქალაქში ჭირიანობა მალე ჩაცხრება. ხალხი ზეიმობდა შავ ჭირთან გამარჯვებას, მაგრამ ბერნარ რიემ კარგად იცოდა, რომ "შავი ჭირის ბაცილა არასოდეს კვდება და არც არასოდეს ქრება, რომ მას შეუძლია ათეული წლობით იძინოს". რომანის ეს ფინალი სიმბოლურია. ასეთია წუთისოფლის ბოლო. სადაც სიცოცხლეა, იქ სიკვდილი ბატონობს და

... ერთი დღეც დადგება, როდესაც ადამიანთა საუბედუროდ თუ ჭკუის სასწავლებლად შავი ჭირი კვლავ გამოიღვიძებს ბედნიერ ქალაქში. (ა. კამიუ, 1988)

ბიბლიოგრაფია:

1. ა. კამიუ, სარჩული და პირი (თარგ. გ. ევიზაშვილისა), 2011, გვ. 39; 101
2. ა. კამიუ, სიზიფეს მითი (თარგმანი ნ. იორდანაშვილისა), ჟ; "ცისკარი", 1970, №9
3. ა. კამიუ, უცხო (თარგმანი ლ. გოგილაშვილისა და მ. მემმარიაშვილისა), ჟ; "ხომლი", 1969; №2; გვ; 44 - 46
4. ა. კამიუ, მოღალატე ცოლი (თარგმანი კ. იმნაიშვილის), ჟ; "საუნჯე", 1989; №5; გვ. 145
5. ა. კამიუ, კალიგულა (თარგმანი გ. ანთელავასი), თბ., 2008, გვ. 21; 168
6. ა. კამიუ, შავი ჭირი (თარგმანი: გ. ბუაჩიძე, კ. ჯავრიშვილი, ნ. იორდანაშვილი), თბ., 1988, გვ. 174; 216; 109; 153.
7. ა. მორუა, ლიტერატურული ეტიუდები, თბ., 1988.

რეზიუმე

ინდივიდუალური წერის კულტურა, სამყაროს თავისებური აღქმა, პიროვნების ტრაგიზმი თანამედროვე სამყაროში, გაუცხოება, სიკვდილისა და სიცოცხლის დაპირისპირება, გულგრილობა, უპასუხისმგებლობა, ეთიკური და ზნეობრივი დანაშაულებანი, - აი, თემები, რომელსაც ალბერ კამიუ დასტრიალებს. კამიუს მთელი შემოქმედება ეთიკურ - ფილოსოფიური მედიტაციებითაა დატვირთული, რომელიც უამრავ კითხვას ბადებს.

მწერალი და ფილოსოფოსი, ესეისტი, დრამატურგი და პუბლიცისტი ალბერ კამიუ აბსურდის ფილოსოფიის წარმომადგენელია. თუმცა ევროპელი და ამერიკელი ლიტერატურათმცოდნეები ალბერ კამიუს ეგზისტენციალიზმის თეორიის მიმდევრად თვლიდნენ, მიუხედავად ამისა მწელია კამიუს

მოქცევა ეგზისტენციალიზმის ჩარჩოებში, ამის წინააღმდეგი იყო თვით მწერალი. კამიუს შემოქმედება უფრო ღრმა და ფილოსოფიურია, ვინემ ეგზისტენციალიზმი.

კამიუს ესეებსა და მოთხრობებში იკვეთება შიშის, მარტოობის, მოახლოებული სიკვდილის, უიმედობის, წუხილისა და შფოთვის განწყობილებანი. ალბერ კამიუს მსოფლმხედველობას სიღრმისეულად გამოხატავს მითოლოგიური ესე "სიზიფეს მითი". აქ გამოვლინდა მწერლის ღრმა ფილოსოფიური ხედვა. წარმოდგენილი ესე არის დასტური იმისა, რომ რომ ადამიანის შრომა ფუჭი და უნაყოფოა, ადამიანი განწირული და ტანჯვისთვისაა შობილი. "სიზიფე მარტოა", - გვამცნობს კამიუ, მაგრამ სიმარტოვე არა სიზიფეს, არამედ საერთოდ, ადამიანური ხვედრია. სიზიფე თანამედროვე ადამიანის სახე-სიმბოლოა. უფრო სწორედ, ადამიანური ხვედრის სიმბოლოა.

ა. კამიუს ფილოსოფიური და ეთიკური შეხედულებანი მკაფიოდ გამოვლინდა "უცხოში". ამ პატარა რომანმა ხმაური გამოიწვია ლიტერატურულ სალონებში, რადგან რომანი იწყებოდა ძალზე უჩვეულო "გულწრფელობით". რომანში დგას ადამიანის გაუცხოების საკითხი. მთავარი გმირი მერსო გაუცხოვდება. მოხუც დედას პანსიონატში მიაბარებს. მოიმიზეზებს, მისი მოვლისთვის დრო აღარ მრჩებაო. რომანის დასასრულს ეთიკური და ზნეობრივი დანაშაულისათვის მერსოს სასამართლო პროცესს მოუწყობენ. მერსოს სასჯელის ფორმა არის უმაღლესი - სიკვდილი. "უცხო" ადამიანის სულიერი და ფიზიკური ვარდნის ტრაგედიაა. მერსო, როგორც ადამიანი, სულიერად და ფიზიკურად მარცხდება.

ადამიანის უმწეობა, ტრაგიკული ყოფა ყველაზე ცხადად გამოვლინდა ა. კამიუს 1947 წელს დაწერილ მცირე მოცულობის რომანში "შავი ჭირი". რომანში მოთხრობილია შავი ჭირის ეპიდემიის შედეგები.

ნაშრომში განხილულია ალბერ კამიუს მხატვრული და ესეისტური პროზა. წინ წამოწეულია მწერლის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებანი. ამოუწურავი სიმბოლოებით მიგვანიშნა თანამედროვე ადამიანის ბედზე.

PHILOSOPHIC WORLD OF ALBER KAMU **Koba Tsurtsunia, Teaching University "Gorgasali", Full Professor** **SUMMARY**

Albert Camus was concerned with the following themes: individual writing culture, his own perception of the world, the tragedy of a person in the modern world, alienation, contradistinction between death and life, indifference, irresponsibility, ethical and moral crimes. Camus' whole works is full of ethical - philosophical meditation, which arises many questions.

Albert Camus is a writer, philosopher, essayist, playwright and publicist. He is the representative of absurd philosophy. However, European and American literature experts believed that Albert Camus was a follower of existentialism theory nevertheless it's difficult to put Camus in the frame of existentialism. The writer himself was against of it. Camus' works is deeper and more philosophic than existentialism.

The signs of fear, loneliness, oncoming death, hopelessness, sorrow and anxiety are highlighted in the essays and stories of Camus. The outlook of Albert Camus is deeply expressed in the mythological essay "The Myth of Sisyphus". A deep philosophical view of the writer is elicited in this essay. The following essay is a confirmation of the fact that human labor is wasted and infertile. People are born doomed and suffered. "Sisyphus is alone", - tells us Camus, but loneliness is the fate not only for Sisyphus, but in general for human. Sisyphus is a symbol of modern human. More precisely he is a symbol of the human fate.

Philosophical and ethical thoughts of Albert Camus have been clearly revealed in the novel „The Stranger“. This short novel caused lots of noise in literary salons because the novel had a very unusual beginning full of "sincerity". The novel is about human alienation. The main character of the novel Meursault is alienated. He took his mother to the old boarding house. The excuse of his behavior was lack of time to care of his mum. At the end of the novel a trial has been arranged for Meursault for his ethical and moral crimes. The form of Meursault's punishment is the highest - death. "The Stranger" is a tragedy of human's spiritual and physical fall. Meursault, as a person, has been spiritually and physically defeated.

The helplessness and tragic life of a human has been vividly revealed in a short novel of Camus "The Plague", which he wrote in 1947. The novel tells the story of the results of plague epidemic.

The paper discusses essayistic and fiction prose of Albert Camus. The philosophical and aesthetic views of the writer have been highlighted. He indicated the fate of modern man through various symbols.

RETHINKING CHILDREN'S RIGHTS EDUCATION

Prof. Dr. **Otmar Hagemann**, Kiel University of Applied Sciences

Maria Bouverne-De Bie, Ghent University

Abstract

Taking all above mentioned things into account, the present paper aims at highlighting some aspects regarding idioms and their connections with figurative language. We think that general tendencies of present-day English should be towards more idiomatic usage because idioms are not a separate part of the language which one can choose either to use or to omit, but they form an essential part of the general vocabulary of English. They can clearly reflect the characteristics of a national culture. Idioms have an expressive function and they make our speech emotional, diverse, more flexible and figurative. To master every language, one needs to have a thorough knowledge of idioms in that language. It can help one learn about the culture of the community that speaks the language. Language learning is a development process. Fluency in oral and written expression develops gradually. Learning idioms means exploring the language to its maximum. For mastering a language fluently is very important to master its idioms.

We think that mastering idioms means one is using and understanding the language more like a native speaker would. The tough part about mastering idioms is that knowing all the individual words may not help one to understand the meaning of the phrase. For example, knowing the meanings of ace and hole may not help one to understand the meaning of "An ace in the hole" (a hidden strength or advantage).

In conclusion we would like to highlight some things that make idioms important part of English Language: 1. Idioms make a language more interesting and vibrant. 2. Idioms are an important part of any language, because knowing them enables one to understand the native English fluently.

3. Idioms enable one to learn a lot about the culture where one is a foreigner. 4. Mastery of idioms makes every day communication effective. 5. The knowledge of idioms makes one more sociable as one is able to communicate natively and effectively. 6. Idioms enhance one's skills of listening, speaking, reading and writing native English.

As we mentioned earlier the language is a part of the culture and the carrier of the culture at the same time. The culture cannot get away from the language. The language cannot get away from the culture, either. It is impossible to study a foreign language text without considering the culture it embodied. Culture is integrated with language. Idiom is the essence and crystallization of a language and culture. It is the summary of life experiences of the people in a particular district. Usually, it is short but it can reflect the special features of a certain culture.

BIBLIOGRAPHY:

1. Kövecses, Z./Szabó, P. (1996): "Idioms: A View from Cognitive Semantics", in: *Applied Linguistics* 17, pp. 326-355.
2. Kövecses, Z. (2002): *Metaphor. A Practical Introduction*, Oxford: Oxford University Press, p. 199.
3. Gibbs, R.W., Bogdanovich, J.M., Sykes, J. R., Barr, J.D.: *Metaphor in idiom comprehension*. IN: *Journal of memory and language*, 1997, Vol.37, pp.141-154.
4. Maalej, Z. (ed.). *Metaphor, Cognition and Culture*, Manouba, Tunis, 2005. Print, p. 215.
5. HEILBRONER, R.L.1985. "Advertising is Capitalist Realism," (Experts) *Utne Reader* April/May, pp. 76-83.
6. Lawrence, J. 1972. *Mix Me A Metaphor*. London: Gentry Books. p. 18.
7. Cain, K., Oakhill, J., & Lemmon, K. (2005). The relation between children's reading comprehension level and their comprehension of idioms. *Journal of Experimental Child Psychology*, p.66
8. Miko, F. (1989): *Frazeológia v škole*. Bratislava: SPN; p. 17.
9. Suchachova N.S. *Idioms of Speech and Ways of Teaching Them to Students.*// *Лінгвістичні та методичні проблеми навчання мови як іноземної – Полтава, ПІЕП, 2006.- стр. 178-180.*

SUMMARY

Today the English language is widely spoken throughout the world. It is the language of 21st century. To understand English clearly one should know not only its standard vocabulary but also its different styles, dialects, proverbs, sayings, phrasal verbs and idioms, as they are used in any sphere: books, films, newspapers, formal speeches. They give us insight into history, culture, traditions, values, and morals. Idioms are ideas, or expressions, forming an integral part of any language and literature as they explain different situations using minimum phrases. They facilitate the effective usage of a language by maintaining the same subject and providing its hidden meanings.

Idioms are a rich repository of figurative meanings. They reflect the events of our reality and everyday life. Through idioms our conversation becomes figurative. The frequent, spontaneous and appropriate use of idioms is usually a mark of good English, and an indicator of native or near native mastery of the language. Idioms are colorful, forcible and thought provoking. They make language more interesting and vibrant. They represent the national culture and they are the core in language. The figurative meaning and unity of idiom make the language vivid.

The integration of idioms must have a very important attention in the teaching and learning process of English. The use of idioms has a great influence in the teaching and learning process of a foreign language, because it could be one of the ways to give students better conditions to improve communicative skill in the daily context. The common use of idioms in daily speech for English speakers has brought a necessity in the teaching field to implement the use of this tool in and outside the classroom in order to help students be competitive, increase their vocabulary and the informal way to speak in English.

136-ე ფსალმუნის ძველი და თანამედროვე ქართული და ინგლისური თარგმანი

მაია ბოლაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი
E-mail: m.bolashvili@yahoo.com

რუსუდან ბერიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: ruskabl@yahoo.com

ელენე ხოჯევანიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: ekhojjevanishvili@gmail.com

„თუ ენით გაურკვეველ სიტყვებს წამოვთქვავდით,
როგორ გაიგება ნალაპარაკები?“

/1კორ.14,9/

თარგმანის უპირველესი ამოცანა სათარგმნელი დედნის აზრის რაც შეიძლება ზუსტად გადმოცემაში მდგომარეობს. მთარგმნელობითი ხელოვნების მთელი სირთულე ერთ უმარტივეს მოთხოვნამდე დაიყვანება: თარგმანის ტექსტი ისევე გასაგები უნდა იყოს, როგორც დედნის ენაა გასაგები, ანუ, მკითხველი ენობრივ დონეზე არ უნდა აწყდებოდეს დაბრკოლებას. თუ თარგმანის ენობრივი ქსოვილი გაუგებარია, ტექსტის სიღრმისეული აღქმა შეუძლებელია. გარკვეულ წრეებში არსებობს აზრი, რომ ბიბლიური (ძველი და ახალი აღთქმების წიგნების) ენა, თუ ის ალაგ-ალაგ გაუგებარია, ეს მისი იმანენტური ბუნებაა; წმიდა წერილი არ უნდა იყოს ყველასათვის (!) გასაგები. გაუგებრობა თითქოს თანდაყოლილია მისთვის. უფრო მეტიც, „გაუგებრობის“, როგორც პრინციპის გასამართლებლად თავად წმიდა წერილს იმოწმებენ ამ აზრის მიმდევრები: „თავად მოციქულებიც კი, რომლებსაც ქრისტემ დაავალა თავისი ეკლესიის დაფუძნება, უცებ ვერ ხვდებოდნენ ყველაფერს, მაგრამ ეს არ აცბუნებდა ქრისტეს, არც მათ:“ და ეს სიტყვა დაფარული იყო მათთვის და ვერ ხვდებოდნენ ნათქვამს“ [ლუკა,18,34]. მაგრამ ბიბლიის წიგნები ენობრივ გაუგებრობას არ გულისხმობენ. სახარება გვეუბნება, რომ მოციქულებს კი ესმოდათ ნაცნობი სიტყვები, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ ნათქვამის აზრს, რომელიც მაცხოვრის აღდგომის შემდეგ გახდა გასაგები [ლუკა,24,45]. ხსნის საიდუმლოს გაგების პირობა გასაგები ენაა და თუ ენაც, ტექსტის გაგების პირველი საფეხური, ბუნდოვანია, საიდუმლოს შეცნობაზე ზედმეტია ლაპარაკი. ისტორიულად არც ერთი წყაროდან არ ჩანს, რომ ქრისტიანული ეკლესია ღვთისმსახურებაში, ყოველდღიურ ლოცვებსა თუ ქადაგებებში მოითხოვდა განსაკუთრებულ ენას, განსხვავებულს ამა თუ იმ მრევლის ყოველდღიურად სამეტყველო ენისაგან.

სწორედ ამ მიზნით, იმას, ვისაც ძველი ქართულით შესრულებული ბიბლიის ერთ-ერთი წიგნის, დავითნის გაგება უჭირს, შეუძლია თანამედროვე ქართულით გამართული, ფსალმუნთა კანონიკური ტექსტი წაიკითხოს, წიგნში - „ფსალმუნნი“, რომელიც სულ ორიოდე წლის წინათ ბიბლიის თარგმანის ინსტიტუტისა და საქართველოს საპატრიარქოს თანამშრომლობის შედეგად გამოიცა. აღნიშნული გამოცემის მიზანია, „მოხსნას ენობრივ დონეზე არსებული სირთულე, დაუბრუნოს ბიბლიას, კერძოდ კი ფსალმუნთა წიგნს თავისი თავდაპირველი და უპირველესი დანიშნულება - იყოს მლოცველისა და მკითხველისათვის ღვთიური მადლის ზიარებისა და ბიბლიური სიბრძნის შეცნობის უშრეტი წყარო [„ფსალმუნნი“, 2010].

ერთ წიგნში სამი პარალელური ტექსტია განთავსებული - პირველ ნაწილად მოდის მხედრულით შესრულებული კანონიკური ტექსტი, შემდგომ ნუსხურით შესრულებული კანონიკური ტექსტი და ბოლოს, მისი თანამედროვე ადაპტაცია. ანუ, ძველი ქართული და თანამედროვე ქართული ტექსტების

პარალელურად დაბეჭდვით, მკითხველს, მლოცველს შესაძლებლობა ეძლევა ძველი ქართული ტექსტი წაიკითხოს და იმავდროულად, მისი ენობრივი თვალსაზრისით უკეთ გაგების მიზნით, თანამედროვე ტექსტით ისარგებლოს.

ამ სასიხარულო მოვლენის გაცნობისა და ახალი ქართული ნათარგმნი „ფსალმუნის“ შექმნის შემდეგ, იმ აზრის გასაბათილებლად, რომ ბიბლიური წიგნები თანამედროვე ენებზე თარგმნას ვერ გუობენ, გადავწყვიტეთ ერთმანეთისთვის შეგვედარებინა ძველი და ახალი ქართული წარმოდგენილი და ინგლისურად ნათარგმნი ფსალმუნნი, გამოგვევლინა და დაგვედგინა ის ლექსიკური, სტილისტური და ლინგვისტური მსგავსება-განსხვავებანი, რაც ზემოთ აღნიშნული ტექსტების ქსოვილს ახასიათებს და გაგვეკეთებინა დასკვნა იმის შესახებ, თუ რომელ ქართულ თარგმანთან (გიორგი მთაწმინდელისეულთან თუ თანამედროვე ქართულთან) მიმართებაში აღმოჩნდებოდა უფრო ახლოს ინგლისურ ენაზე ნათარგმნი „დავითნი“.

ამ მხრივ საოცარი აღმოჩნდა 136-ე ფსალმუნი, სავსე პოეზიითა და კაემნით. უძღები შვილის კვირად წოდებულ წინა სამარხვო პერიოდში, სახარებისეულ იგავში, რომელსაც ამ დღეს ლიტურგიაზე კითხულობენ, გადმოცემულია ამბავი შვილისა, რომელმაც მამისგან მიიღო მისი კუთვნილი წილი მემკვიდრეობისა და ამსოფლიური სიამეებისათვის გაფლანგა. როდესაც უძღები შვილი გადატაკდა და შეიგნო თავისი შეცოდება, დაუბრუნდა მამას და მორჩილად აღიარა მის წინაშე თავისი უღირსობა იწოდებოდა მის შვილად; მაგრამ, გახარებულმა მამამ, რომელმაც იხილა შემცოდე შვილის სინანული და მოქცევა, სიხარულით მიიღო ის და პირველივე პატივში დააბრუნა.

ეს არის იგავი ცოდვილი ადამიანის ღმრთისკენ მოქცევისა და მისადმი ღმრთის მოწყალებისა, სადაც „მამაში“ იგულისხმება ღმერთი, ხოლო „უძღებ შვილში“ – მონაწილე ცოდვილი. სწორედ ამ ცოდვილს წააგავს ყოველი ადამიანი, რომელიც სულით განშორდება ღმერთს და ეძლევა ნებსით თუ უნებლიე ცოდვილ ცხოვრებას; თავის ცოდვებით ის ღუპავს საკუთარ სულს და ყველა იმ წყალობას (სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ძალას, უნარებს), რომელიც კი მიიღო ღმრთისაგან. მაგრამ, როგორც კი ცოდვილი გონს მოეგება და გულწრფელი სინანულით ღმერთს მიუბრუნდება, უფალიც, როგორც მოსიყვარულე და მოწყალე მამა, ანგელოზებთან ერთად ხარობს ცოდვილის მოქცევის გამო, მიუტევებს მას ყოველ შეცოდებას, როგორც უნდა იყოს და უბრუნებს მას თავის წყალობას, რათა უფრო მკაფიოდ და ნათლად აღუწეროს და შეახსენოს ქრისტიანებს მათი განშორება ზეციური მამულიდან და ცოდვისადმი დამონება, ეკლესია ამ დღეს გალობს 136-ე ფსალმუნს, რომელსაც გალობდნენ ებრაელები ბაბილონის ტყვეობისას. ქვემოთ მოვიხმოთ აღნიშნული ფსალმუნის ძველ – გიორგი მთაწმინდისეულ, ახალ ქართულ და ინგლისურ ენაზე შესრულებულ თარგმანთა სრულ ტექსტებს:

შდრ; (ძვ. ქართული): „მდინარეთა ზედა ბაბილოვნისათა მუნ დავსხედით და ვტიროდით, რაჟამს მოვიხსენეთ ჩვენ სიონი...“

ძეწნათა ზედა შორის მისსა მუნ დავჰკიდენით საგალობელნი ჩვენნი, რამეთუ მუნ მკითხვიდეს ჩუენ წარმტყუენველნი ჩუენნი სიტყუათა მათა ქებათასა, და წარმყვანებელნი ჩუენნი გალობასა: გვიგალობდით ჩუენ გალობათა მათგან სიონისათა. ვითარმე ვგალობდეთ გალობასა უფლისასა ქვეყანასა უცხოსა? რამეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალემ, დაივიწყენ მარჯვენეა ჩემი.

აექუენ ენაი ჩემი სასა ჩემსა, არა თუ მოვიხსენო შენ და არა თუ პირველ განგებელ-ვყო იერუსალემი, ვითარცა-იგი დასაბამსა

მას სიხარულისა ჩემისასა. მოიხსენენ, უფალო, ძენი ედომისნი და დღე იგი იერუსალემისა, რომელნი იტყოდეს: დაარღვიეთ, დაარღვიეთ მისაფუძვლადმდე მისა!

ასულნო ბაბილოვნისაო, უბადრუკო, ნეტარ არს,

რომელმან მიგაგოს შენ, მისაგებელი შენი,

რომელ შენ მომაგე ჩვენ!

ნეტარ არს, რომელმან შეიპყრნეს ჩჩვილნი

შენნი და შეახეთქნეს კლდესა“.

[ფსალმუნნი, 2005]

(ახ. ქართული) „ ბაბილონის მდინარეებთან ვისხედით და ვტიროდით, ოდეს გიგონებდით შენ, სიონო!

ძეწნათა შორის ჩამოვკიდეთ ჩვენი ქნარები რადგან იქ მოგვთხოვეს ჩვენმა დამტყვევებლებმა

სიტყვანი სიმღერისა და ჩვენმა მჩაგვრელებმა სიმხიარული: გვიმღერეთ ჩვენ სიმღერა სიონისა. როგორ ვიმღეროთ სიმღერა უფლისა უცხო მიწაზე? თუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმო, დამივიწყოს მარჯვენამ ჩემმა, მიეკრას ჩემი ენა ჩემს სასას, თუ არ გაგიხსენო, თუ არ დავაყენო იერუსალემი ჩემი მხიარულების

სათავეში. გაუხსენე, უფალო, ედომის შვილებს დღე იერუსალემისა, როცა ამბობენ: დაანგრეთ, დაანგრეთ ძირისძირამდე ასულო ბაბილონისა, გამპარტახებელი! ნეტარ არს, რომელმან მოგიზღოს, რაც მოგვიზღე ჩვენ. ნეტარია, რომელმანც შეიპყროს და მიახეთქოს ჩვილნი შენნი კლდეს“.

[ფსალმუნნი დავითისი, 2010]

(ინგლისური) “By the rivers of Babylon, There we sat down and wept,
When we remember Zion.
Upon the willows in the midst of it we hung our harps. For there our captors
Demanded of us songs. And our tormentors mirth, saying,
“Sing us one of the songs of Zion.” How can we sing the Lord’s song
In a foreign land? If I forget you, O, Jerusalem, May my right hand forget her skill.
May my tongue cleave to the roof Of my mouth. If I do not remember you,
If I do not exalt Jerusalem Above my chief joy. Remember, O, Lord, against
The sons of Edom The day of Jerusalem, Who said, “Raze it, raze it,
To its very foundation”. O daughter of Babylon, you devastated one,
How blessed will be the one who repays you
With the recompense with which you have repaid us.
How blessed will be the one Who seizes and dashes your little ones against the rock”.

ეს განდევნის ფსალმუნია. მას ბაბილონის ტყვეობაში ჩავარდნილი ებრაელები გალობდნენ, როცა თავის წმიდა ქალაქს, იერუსალიმს იხსენებდნენ. იგი სამუდამოდ იქცა იმ ადამიანის გალობად, რომელიც ღმრთისგან თავის განშორებას გრძნობს და ამ შეგნებით კვლავ ადამიანად იქცევა, იმ ადამიანად, ვინც ვერასოდეს იპოვის სრულ კმაყოფილებას ამ დაცემულ წუთისოფელში, რადგანაც თავისი ბუნებითა და მოწოდებით იგი განუწყვეტლივ ეძიებს, ვითარცა მოგზაურ-მლოცველი. წმიდა ათანასე დიდი ამ ფსალმუნს შემდეგნაირად განმარტავს: „დავით წინასწარმეტყველი სულიწმიდით შთაგონებული უწინასწარმეტყველებდა იუდეველთ მომავალ, ბაბილონისეულ ტყვეობას. წინასწარმეტყველმა იერემიამ განუმარტა დავითის ეს წინასწარმეტყველება ჯიუტ იუდეველთ, რომლებიც თავისი შეცოდებებისა და მოუწანიებლობისათვის დაატყვევა ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორმა. ამ ფსალმუნში გადმოცემულია ოხვრა და გოდება ყოველი კაცისა, რომელსაც ცოდვათა („ბაბილონის“) ტყვეობაში მრავალი ჭირი დასტყდომია და თავის უბადრუკობაზე მგლოვიარეს, ზეციური სიონი ენატრება. სულიწმიდა დავითის პირით აჩვენებს, თუ როგორ არის შესაძლებელი ცრემლის ზღვაში, სინანულის ხომალდითა თუ იესუ ქრისტეს მზრუნველობით მიადგეს ქრისტეანი სასურველ ნავსაყუდელს - ზეციურ სამშობლოს“ [წმიდა ათანასე დიდი, 2010].

ქვემოთ გთავაზობთ ჩვენ მიერ ჩატარებულ ანალიზს. ინგლისურად ნათარგმნი ტექსტის ბწყარედული ქართული თარგმანი ასე გამოიყურება:

„მდინარე ბაბილონთან დავსხედით და ვსტიროდით რაოცა გავიხსენეთ სიონი.

ძეწნებს შუა ჩამოვკიდეთ არფები. ჩვენმა დამატყვევებლებმა მოგვთხოვეს სიმღერები

და ჩვენი მტანჯველები სიხარულით გვეუბნებოდნენ, “გვიმღერეთ სიონის ერთერთი სიმღერა. “რანაირად შეგვიძლია ვიმღეროთ უფლის სიმღერა უცხო მიწაზე?

თუ დაგივიწყო შენ, ო, იერუსალემ, ჩემმა მარჯვენამაც დაივიწყოს თავისი უნარი. ჩემი ენა მიეწებოს ჩემი პირის წვერს, თუ არ გავიხსენო შენ,

თუ არ განგადიდო იერუსალიმ ჩემს სიხარულზე მეტად.

გავიხსენე, ო, უფალო, ედომის ძეთა წინააღმდეგ იერუსალემის დღე,

ვინც თქვა, „მიწასთან გაასწორეთ, მიწასთან გაასწორეთ, სამირკვლიანად”.

ო, ქალწულნო ბაბილონისა, თქვენ გაანადგურეთ ის,

როგორ იქნება დალოცვილი ის, ვინც სამაგიეროს გიხდით

იმ ჯილდოთი, რითაც ჩვენ გადაგვიხადეს სამაგიერო.

როგორ იქნება ის დალოცვილი, ვინც გვეპატრონება და თქვენს პატარებს

ისვრის კლდესთან“.

პირველივე სტრიქონში საყურადღებოა თანდებული, რომელიც ძველ ქართულში გადმოტანილია, როგორც „ზედა“, ხოლო ახალ ქართულსა და ინგლისურ თარგმანში – „თან“. ამ შემთხვევაში ინგლისური და ახალი ქართულის ვარიანტები ერთმანეთის ადეკვატურია. ძველ ქართულსა და ინგლისურ თარგმანში სიტყვა „ჯდომა“ ერთსა და იმავე გრამატიკულ დროშია წარმოდგენილი (ძველი ქართული - წარსული „დავსხედით“ და ინგლისური წარსული მარტივი - past simple „sat down“). ახალი ქართულით თარგმანში კი გვაქვს „ვისხედით“, რომელიც ინგლისური ენის გრამატიკულ დროთა სისტემის მიხედვით წარსულ განგრძობით (past progressive)-ს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ძველი ქართული და ინგლისური თარგმანების მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სამშობლოზე მგლოვიარე

ებრაელები დიდი ხანი კი არ იყო, რაც ისხდნენ და მოთქვამდნენ ბედკრულ მამულზე, არამედ ისიც იყო დასხდნენ და გოდება დაიწყეს. ახალ ქართულში სიტყვა „ვისხედით“ უფრო სხვა შთაბეჭდილებას გვიქმნის, თითქოს ქვეცნობიერად ვხვდებით, რომ ისრაელიანები დიდი ხანია ასე ისხდნენ მდინარის პირად და დაპყრობილ სამშობლოს გლოვობდნენ. ე. ი. აღნიშნული სიტყვა „ჯდომა“, რომელიც ძველ ქართულსა და ინგლისურ თარგმანში ერთნაირადაა გადმოტანილი, განსხვავდება ახალ ქართულში არსებული „ვისხედით“ ფორმისაგან.

რაც შეეხება სიტყვას „მუნ“, რომელიც ფსალმუნში სამჯერ მეორდება და მხოლოდ გიორგი მთაწმინდელისეულ თარგმანში გვხვდება, სულხან-საბას მიხედვით „მუნთქვესვეს“ „მყისს“ ნიშნავს.

მომდევნო ორი სტრიქონი: (ძველი ქართული) „ძეწნათა ზედა შორის მისსა მუნ დავკვიდენით საგალობელნი ჩუენნი“, (ახალი ქართულით „ძეწნათა შორის ჩამოვკვიდეთ ჩვენი ქნარები“,

(ინგლისური) „Upon the willows in the midst of it we hang our harps“, აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთს. შემდეგ ხუთ ხაზში საყურადღებოა ზმნა „მღერა“ და მისგან ნაწარმოები არსებითი სახელი „სიმღერა“. (ძველი ქართული) „რამეთუ მუნ მკითხვიდეს ჩუენ წარმტყუენველნი ჩუენნი, სიტყვათა მათ ქებათასა, და წარმყვანებელნი ჩუენ გალობასა: გვიგალობდით ჩვენ გალობათა მათგან სიონისათა, ვითარმე ვგალობდით გალობასა უფლისას ქვეყანასა უცხოსა?“

(ახალი ქართული) „რადგან იქ მოგვთხოვეს ჩვენმა დამტყვევებლებმა სიტყვანი სიმღერისა და ჩვენმა მჩაგვრელებმა სიმხიარულე: გვიმღერეთ ჩვენ სიმღერა სიონისა. როგორ ვიმღეროთ სიმღერა უფლისა უცხო მიწაზე?“

(ინგლისური) „For there our captors demanded of us songs, And our tormentors mirth, saying, ‘Sing us one of the songs of Zion’. How can we sing the Lord’s song in a foreign land?“

აღნიშნული სახელწოდება „მღერა“ და არსებითი სახელი „სიმღერა“, ინგლისურ ვარიანტში ზუსტად იმდენჯერგვია გამოვლენილი, რამდენიც ახალ ქართულში, ანუ, ხუთჯერ. მთაწმინდელისეულ თარგმანში კი მათი შესატყვისებია „გალობა“ და „საგალობელი“, რაც ვფიქრობთ, რომ ესოდენ ფაქიზად და მოხდენილადაა შერჩეული, რამეთუ უფალს და მამულს გალობა უფრო მეტად შეეხება, ვიდრე სიმღერა.

რაც შეეხება ერთგვარ „ფიცს“ (ძველი ქართული) „უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალიემ, დაივიწყენ მარჯვენეცა ჩემი“,

(ახალი ქართული) „თუ დაგივიწყო შენ, იერუსალიემო, დამივიწყოს მარჯვენამ ჩემმა“,

(ინგლისური) „If I forget you, O Jerusalem, May my right hand forget her skill“,

წმინდა ათანასე დიდი ასე განმარტავს: „ან- დაე, ნუ მექნება ზეგარდამო შეწევნა“ [წმ. ათანასე დიდი, 2010], ხოლო თანამედროვე მამათა მიხედვით „დაივიწყენ მარჯვენეცა ჩემი“, „მომაკლდეს უფლის მაღლი იგულისხმება“ [ფსალმუნნი დავითისი, განმარტებებით, 2011]. თუმცა ინგლისურად ეს სიტყვა ბუნდოვანია, რადგან აქ გამოყენებული მისი შესატყვისი ლექსიკური ერთეული „skill“ არანაირად არ ნიშნავს არც „შეწევნას“ და „არც მაღლს“. მისი მნიშვნელობა („უნარი“, „ჩვევა“) აბსოლუტურად არაადეკვატურია.

ასევე საინტერესოა შემდეგ სტრიქონში გამოყენებული სამი ლექსიკური ერთეული: „მოიხსენენ“, „გაუხსენენ“ და „remember“.

შდრ:(ახალი ქართული) „მოიხსენენ, უფალო, ძენი ედომისნი და დღე იგი იერუსალიემისა,

რომელნი იტყოდეს: დაარღვიეთ, დაარღვიეთ მისაფუძვლადმდე მისა!“

(ახალი ქართული) „გაუხსენენ უფალო, ედომის შვილებს დღე იერუსალიემისა, როცა

ამბობდნენ: დაანგრეთ, დაანგრეთ ძირისძირამდე“.

(ინგლისური) „Remember, O Lord, against the son’s of Edom The day of Jerusalem,

Who said, ‘Raze it, raze it, To its very foundation’“.

აქ სამივე ლექსიკური ერთეული „მოიხსენენ“, „გაუხსენენ“ და „remember“ რადიკალურად განსხვავებულ კონცეპტს ქმნის. გიორგი მთაწმინდელისეულ თარგმანში „მოიხსენენ, უფალო“...ნიშნავს ილოცე მათთვის, ანუ, ჩვენი აზრით აქ საქმე გვაქვს სტილისტური ხერხის, კერძოდ, ალუზიის გამოყენებასთან, რომლის საფუძველიც ქრისტიანული სარწმუნოების უმთავრეს და ამოსავალ მცნებაში: „გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მწყევრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გავიწროებთ და გდევნით“- [მათე, 6.44] უნდა ვეძიოთ. ანუ, ამ სტრიქონის კონცეპტი შემდეგში მდგომარეობს: „უფალო, დალოცე ედომის ძენი, მიუხედავად მათ მიერ იერუსალიემის დაქცევისა“, თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით ახალი ქართულით შესრულებული თარგმანის მაგალითზე, რადგან შინაარსობრივად ეს აზრი ასეთნაირად აღიქმება: გაახსენენ ედომის შვილებს ის საშინელი დღე, როცა მათ იერუსალიემი საფუძვლიანად დაანგრიეს და არა დალოცე და მოიხსენენ ისინი, ხოლო ინგლისურ ვარიანტში გამოყენებული „remember“-„გაიხსენენ“, გვაფიქრებინებს, რომ ეს ნიშნავს შენ გახსოვდეს ედომის შვილთა მიერ იერუსალიემის დაქცევა, რაც ძალიან ჰგავს ჩვენ მიერ ახალი ქართულით ნათარგმნი ამ სტრიქონის კონცეპტს.

ამრიგად, ჩატარებული ანალიზი ნათელყოფს, რომ გიორგი მთაწმინდელისეულ თარგმანს სამი ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავს: 1. განსხვავებული ტიპის ბერძნული წყაროების გამოყენება; 2. ძველი ქართული სამწერლო ენის გრამატიკულ ნორმათა დაცვა და 3. უნებლიე, კერძობითი ხასიათის ნეოლოგიზმები, რისგანაც შორს დგას თანამედროვე ქართულითა და ასევე ინგლისურით ამეტყველებული ჩვენ მიერ განხილული ფსალმუნი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, განსხვავებული აზრი გვაქვს მათგან, ვინც პრინციპულად ბოლომდე არ იღებს ახალ თარგმანს. არსებობს აზრი, თითქოს თანამედროვე ენებს, იქნება ეს ქართული თუ ინგლისური, არ შეუძლია ადეკვატურად გადმოსცეს ბიბლიური თხრობის სტილი, ბიბლიურ ჭეშმარიტებათა გამომხატველი ცნებები, და ამიტომაც, ბიბლიის წიგნთა ახალ ენებზე თარგმნა ამაო შრომაა, არასასურველიც კი არის, თუ მკრეხელური არა... ამ შეხედულებას გარკვეულწილად კვებავს დაეჭვება თანამედროვე ენების შესაძლებლობებში. მკითხველის ცნობიერებაზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ბიბლიის ტრადიციული ტექსტი, რომელიც სიძველის შარავანდით არის გარემოსილი. თანამედროვე თარგმანის აღქმას და მიღებას აბრკოლებს ის დისტანცია, რომელიც შეიქმნა ბიბლიის წიგნთა თანამედროვე მკითხველსა და ბიბლიურ სამყაროს შორის. ბიბლიის და კერძოდ, ფსალმუნთა წიგნის ძველ თარგმანს შეჩვეული მკითხველ-მლოცველი თანამედროვე ენებზე შესრულებულ თარგმანებში ვერ ცნობილობს თავის „ამაღლებულ“, არქაულ ბიბლიას და უმალ განხილული რჩება.

მიგვაჩნია, რომ არქაული, გაუცხოებული (უცხო ყოველთვის ამაღლებულია) ლექსიკა, ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანი, ელინიზებული სინტაქსი, თანამედროვე ენების ფონზე უჩვეულო საქცევები, უქმნის ტექსტს მეორად ესთეტიურ შეფერილობას, რასაც ორიგინალთან ცოტა რამ თუ აქვს საერთო. ბიბლიურ წიგნთა ყოველ სიტყვას, ეპიზოდსა თუ მოწოდებას ონტოლოგიური საფუძველი აქვს და ეს ყველაფერი ადეკვატურად არის გამოხატული სიტყვაში. თანამედროვე ქართული და ინგლისური ენები ერთადერთია ქადაგებისა და საღვთისმეტყველო ლიტერატურისათვის. სრულიად ცხადია, რომ ამ ფუნქციით მათი შემდგომი განმტკიცებისათვის აუცილებელია მათ სუბსტანციაში ბიბლიურ წიგნთა სულისა და ენერჯის ჩაღვრა. თანამედროვე ქართულ და ინგლისურ ენებს შესწევთ ძალი და კიდევ უნდა გაითავისონ ძველთან ერთად ახალი.

ლიტერატურა:

1. „ახალი აღთქმა და ფსალმუნები“, სტოკჰოლმი, 1991, გვ. 157-175-377
2. „ფსალმუნნი წინასწარმეტყველისა და მეფისა დავითისა“, თბ., 2005
3. წმინდა ათანასე დიდი, ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსი, „ფსალმუნთა განმარტება“, სამ ნაწილად, ნაწ. III, თბ., 2010, გვ. 162-163
4. ალექსანდრე ნეიმანი, „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“, თბ., 1978, გვ. 394
5. „ფსალმუნნი დავითისი“, განმარტებებით, თბ., 2011, გვ. 441-442
6. New Testament and Psalms, Wheaton, USA, 1990, pp.137-138

რეზიუმე

ბიბლიურ წიგნთა თარგმნის თემა საკამათო საკითხია, მათზე არსებულ განსხვავებულ მოსაზრებათა გამო. ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ წმიდა წიგნის თარგმნა ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ენაზეა შესაძლებელი, რამეთუ მასში გაცხადებული უფლის სიტყვა არ იცვლება დრო და ჟამის მიხედვით და ერთნაირად ახლობელი და გასაგებია ყველა ეპოქაში მცხოვრები, განსხვავებულ ენებზე მოლაპარაკე ნებისმიერი ეროვნებისა და მორწმუნე ქრისტიანისათვის და უცხოა ცნება ძველი და ახალი ენებისა.

ნაშრომში განხილულია ძველი - გიორგი მთაწმინდელისეული და ახალი ქართულით და თანამედროვე ინგლისური ენით ნათარგმნი 136-ე ფსალმუნი, ჩატარებულია მისი ლინგვო-პოეტური ანალიზი და გამოვლენილია ის მსგავსება-განსხვავებანი, რაც უშუალოდ ამ სამივე (ძველი და ახალი ქართული, თანამედროვე ინგლისური) ენისთვისაა ორიგინალური და თანამდევითი.

OLD AND MODERN GEORGIAN AND ENGLISH TRANSLATIONS OF THE 136 PSALMS

Maia Bolashvili, Gori State Teaching University, Specialist under contract

Rusudan Beridze, University of Georgia, Associate Professor

Elene Khojvanishvili, Gori State Teaching University, Full Professor

ABSTRACT

Translating of the books of Bible is a question of ever-lasting discussion, because of existence of different opinions about them.

The analysis carried out by us asserts that translating of Holy Bible is possible and acceptable at any time and languages. There is no old or modern languages for it. The books are equally loveable and easily understandable for every Christian nations and church-goers all over the world.

The present study deals with the 136th psalm, translated into old and new Georgian and modern English languages, linguo-poetic analyses of this psalm was carried out and those similarities and differences are occurred which are original and unique for these three (old and new Georgian, modern English) languages.

გამოძიების თემა ლიტერატურულ ტექსტში

თამარ გოგოლაძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

E-mail: tamilagoladze@gmail.com

XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, დამოუკიდებლობადაკარგული ქვეყნის ბედს უცხო სახელმწიფო, რუსეთის იმპერია, განაგებს და ერსაც, თავდაპირველად, ვახტანგ VI, შემდგომ კი საკუთარი კანონმდებლობით განსჯის: „უარყოფილი იქნა ქართული სისხლის სამართალი, მაგრამ ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის სამოქალაქო სამართლებრივი ნაწილი დატოვეს სამოქმედოთ. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნსა და ქართულ ჩვეულებებს იყენებდნენ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. ასე გაგრძელდა 1859 წლამდე... რუსეთის იმპერიის სამსახურში მყოფმა გ.კ. ბაგრატიონ-მუხრანელმა (1821-1877) შეძლო დაერწმუნებინა იმპერიის სათანადო მოხელეები იმაში, რომ საჭირო იყო ორ ათეულზე მეტი მუხლის გადანერგვა ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნიდან რუსეთის სამოქალაქო - საპროცესო კანონმდებლობაში (კანონთა კრებულის მეათე ტომის პირველ და მეორე ნაწილში)“. (ნადარეიშვილი, 1970). მოგვიანებით ეს კრებულიც ითარგმნა რუსულ ენაზე და სცადეს მისი ნაწილის გამოყენება, როგორც მოქმედი სამართლისა, მაგრამ თუ ქართულ კანონებში ხარვეზები აღმოჩნდებოდა, ის უნდა შეეცხო რუსულ კანონმდებლობას.

თავად რუსეთში 1861 წლის შემოდგომაზე ალექსანდრე მეორის დავალებით სახელმწიფო კანცელარიის მოხელეებმა და ცნობილმა იურისტებმა დაიწყეს „ახალი სასამართლო წყობისა და სამართლის წარმოების ძირითადი დებულებების“ შედგენა, რომელიც საფუძვლად დასდებია 1864 წლის 20 ნოემბერს დამტკიცებულ ახალ სასამართლო წესდებას. მისი ამოსავალი კი ევროპასა და ამერიკაში დიდი ხნის მანძილზე მოქმედი ბურჟუაზიული კანონმდებლობის პრინციპებში მდგომარეობდა. ახალი წესდების თანახმად, სასამართლოს თავის მოქმედების სფეროებში დამოუკიდებლობა ეძლეოდა, გუბერნიებში ჩამოყალიბდა საოლქო სასამართლოები, სადაც ნაფიც მსაჯულების ინსტიტუტიც მოქმედებდა, გასაჩივრება ხდებოდა მხოლოდ სასამართლო პალატაში. თავად სასამართლო პალატის დადგენილება კი გასაჩივრდებოდა მხოლოდ საკასაციო წესით, თუ დარღვეული იყო კანონით დადგენილი სამართლის წარმოების წესი. უმაღლეს საკასაციო ინსტანციას სენატი წარმოადგენდა.

საქართველოში არ გატარებულა ახალი პრინციპები. მოსამართლეებს უწინდებურად ნიშნავდა მთავრობა. მისი ძირითადი ნაკლი კი იმაში მდგომარეობდა, რომ საქმეების წარმოება ძირითადად მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, რომლისაც მოსახლეობას არაფერი გაეგებოდა. ეს პროცესი საინტერესოდ, არაიშვიათად სატირული ფორმით, აისახება მხატვრულ ტექსტებშიც (გ. ერისთავის კომედია „დავა“, ილია ჭავჭავაძის „სცენები მომრიგებელ მოსამართლესთან“ და სხვ.). პროგრესული ინტელიგენცია ცდილობს საზოგადოებისათვის მიენიშნებინა სასამართლოს რეფორმების აუცილებლობაზე. იმდროინდელ პრესაში ხშირად ქვეყნდება წერილები აღნიშნულ საკითხებზე, 1880 წელს რუსულ გაზეთ

„მოლვაში“ გამოქვეყნებული წერილი „სიტყვა შორეული განაპირის სასარგებლოდ“ სიტყვა სიტყვით გადაუთარგმნია გაზეთ „დროებას“.

„მოლვას“ რედაქციას მიზანშეწონილად მიაჩნდა, აგრეთვე კავკასიის მომრიგებელ სასამართლოებში, რომელსაც საქმე ძირითადად რუსულის არმცოდნე ხალხის მასასთან ჰქონდა, შემოღებული ყოფილიყო სასამართლოს წარმოება ადგილობრივ ენებზე“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970).

ამიერკავკასია - საქართველოს სინამდვილეში მოქმედების განსაკუთრებული ასპარეზი მიეცა ყველაზე დაბალ ინსტანციის სასამართლოს, მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტს. მომრიგებელ მოსამართლეს დაეკისრა სისხლის სამართლის დანაშაულთა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა გარჩევა 2000 მანეთამდე ღირებულების ფარგლებში. მოსამართლის გვერდით გაჩნდა მოხელეთა მთელი შტატი, მოსამართლის თანაშემწის, კანდიდატის, ბოქაულისა და სხვათა სახით. გამოძიების წარმოება მოადგილის ფუნქციებში შედიოდა, დადგენილების შესრულება კი - ბოქაულის.

პირველ ხანებში, რუსეთის მთავრობა ნდობას უცხადებდა ადგილობრივ კადრს სასამართლო აპარატში, სწორედ ისინი ინიშნებოდნენ მომრიგებელ მოსამართლეებად, გამომძიებლებად, სასამართლოს წევრებად. მაგრამ 1883 წლიდან სასამართლო თანამდებობაზე „ტუზემცების“ მიღება ძალიან შეიკვეცა, რამაც კიდევ უფრო გააუცხოვა ერი და სასამართლო უწყება.

გარდა ამისა, გახშირდა ჯერ რუსი სასამართლო მოხელეების, შემდგომ უკვე ქართველთა მოსყიდვა, მოქრთამვა. ამ საქმეში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ადვოკატები. ქართული სიტყვის დიდოსტატი აკაკი წერეთელი თავის ფელეტონში „ცხელ-ცხელი ამბები“ ამხელს სასამართლოს საოცარ „პურთვენელობას“ და მოჰყავს მაგალითი ვლადიმირის გუბერნიელი დამნაშავისა, რომლის ბრალმდებელს თავად დააბრალეს უკეთური საქმის ჩადენა.

ეს პროცესები უნდა ასახულიყო მხატვრულ ტექსტებში, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო კარგი ცოდნა იურისპრუდენციისა. ეს ცოდნაც გააჩნდათ თერგდალეულებს და სწორედ მათ მხატვრულ ტექსტებში მჟღავნდება დანაშაულის თუ დასასჯელთა სამართალდსრულების პროცესი.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია მწერლისა და პუბლიცისტის გიორგი წერეთლის (1842-1900) რომანი „პირველი ნაბიჯი“, რომელიც 1890-1991 წლებში გამოქვეყნდა ქუთაისის კრებულში „ცდა“. როგორც მკვლევარი დავით წოწკოლაური აღნიშნავს, „ესმას მოკვლის შემდეგ, „პირველი ნაბიჯის“ სიუჟეტში ნათლად გამოიკვეთა ადამიანის უღირსობით აღძრული სევდა... ეს ვითარება უფრო ნათელიყო ესმას მკვლელის ძებნის თავისებურებებმა, დეტექტურმა ელემენტებმა. საერთოდ კი ჩვენი მწერლობის ისტორიაში დეტექტური რომანის ნიშნებით „აღბეჭდილი პირველი ნაწარმოები სწორედ „პირველი ნაბიჯია“ (წერეთელი, 1991), მკვლევარის შენიშვნა ძალზე თვალსაჩინოა და, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამავე ნაწარმოების თემაზე 30-იან წლებში გადაღებულ ფილმს „სამი სიცოცხლე“, სადაც რეჟისორი დეტექტივისებური მანერით ათვალსაჩინოებს ესმას ბინაში მომტაცებელთა შეჭრის მომენტს, ეს მინიშნებაა ნაწარმოების დეტექტურ ხასიათზე, რაზედაც მთელი 100 წლის მანძილზე თითქმის არცერთ მკვლევარს არ გაუკეთებია არანაირი კომენტარი, რაც თითქოს ერთგვარად გამორიცხავდა კიდევ დეტექტური ნაწარმოებების არსებობას XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში.

მანერა გიორგი წერეთლისა მეტად ორიგინალურია ამ თვალსაზრისით, გამოძიებასა და სამართალდსრულებას იგი ტრადიციულად კონფლიქტის საფუძველზე აგებს: ესმას დაპყრობის ჟინით, იერემია წარბა გადაწყვეტს მოსტაცოს ცოლი ბახვა ფულავას, რომელთანაც დიდი ხანია ამ ქალის გამო აქვს კონფლიქტი. და აი, მწერალი თითქოს თან მისდევს უხილავად სამ უცნობს, ჩერქეზულად გადაცმულთ, რომლებიც ახალ სენაკის სადგურზე, დუქანში აყალ-მაყალს ატეხენ და ამით ერთგვარ ალიბს იკეთებენ, რათა შემდეგ ჩასხდნენ თბილისისაკენ მიმავალ მატარებელში. აყალ-მაყალის საფუძველზე ჟანდარმთა უნტეროფიცერი შეადგენს რუსულ ენაზე ოქმს, რომელშიც დაფიქსირებულია დრო: „დღეს 21 ენკენისთვეს 188... წელს იერემია ფირალიძემ მოახდინა ჩხუბი და უწესოება ახალ-სენაკის დუქანში... თვითონ იერემია ფირალიძე ჩაჯდა რკინიგზის მატარებელში და გასწია თბილისისაკენ“ (წერეთელი, 1991).

ეს ალიბი შემდგომ იწყებს აქტიურად ფიგურირებას ესმას მკვლევლობის საქმის გამოძიებისა და იერემიასათვის ბრალდების წაყენების პროცესში. ვერავის გაუგია ის ფანდი, რომელსაც მიმართა გამტაცებელმა, შემდგომში მკვლელმა იერემიამ, როცა სამტრედიაში გადაჯდა თავის ორ ამხანაგთან ერთად ფოთისაკენ მიმავალ მატარებელში.

დანაშაულის მრავალგვარ სახეობაზე ამახვილებს ყურადღებას გიორგი წერეთელი რომანში: ბახვას მზრუნველი ინიჟინის კორუფციაზე, ბახვას მიერ პირველი ბიზნესის შექმნის წყაროებზე“, ბახვასა და იერემიას პირველი კონფლიქტის დროს ბოქაულ ჯგირკოჩას ნაცვალგებასა და ქრთამის აღების მცდელობაზე (როდესაც აღფრთოვანებული ჯგირკოჩა შუბლზე ხელს ირტყამს და აღტაცებით ადარებს

საკუთარ თავს ბისმარკს), იერემიას თანამზრახველ გივის დანაშაულებზე, ადვოკატ წუნკალას ყალბ ადვოკატობაზე, ბახვას მიერ ვექსილების გაყალბებაზე, სასამართლო აპარატის მოხელეთა დანაშაულებრივ ქმედებებზე და სხვ. რომანში წარმოდგენილია ნათელი სურათი იმისა, რამაც დანაშაულებრივი სამყაროსაკენ უბიძგა იერემია წარბას; აქ ფარდა ეხდება ცუდი აღზრდის სავალალო შედეგებს, ოჯახით დაწყებული და სასწავლებლის აღზრდით სისტემით დასრულებული. ტრადიციული მენტალიტეტით გაპირობებული, „ხელის დაფარების“ პროცესს, ფულის გამოძალვასა და სასამართლო სისტემის უამრავ ხარვეზს.

მწერალი დახელოვნებული დეტექტივივით უკან სდევს თავის გმირებს, იყენებს ერთის მიერ მეორეს დახასიათების, ქმედებით გაპირობებული თვითდახასიათების, ავტორისეული რემარკის ხერხებს. პროცესში ჩართული არიან სხვადასხვა რანგის სასამართლო ორგანოები: ბოქული, ვექილები, გამომძიებლები, უმაღლესი ჩინოსნები. უამრავ პროცესუალური საქმიანობის ანალიზისას გ. წერეთელი მიმართავს დაკითხვის, კვალზე მიდევნების, დამადასტურებელი ნივთმტკიცებების მოძიების, სასჯელის ანალიზისა და საბოლოო ვერდიქტის ყველა იმდროისათვის არსებულ ფორმებს.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ორი გამომძიებლის ბიოგრაფიიდან (პირველი გამომძიებელი და სივილა) გარკვევით მოჩანს, რამ განაპირობა მათი დადებით-უარყოფითი ქმედებანი.

ბახვას ცოლის, ესმას, მკვლელობის საქმის პირველი გამომძიებელი (აქ ავტორი შეგნებულად თუ უნებლიედ არ ასახელებს არც გვარს, არც მეტსახელს) „ერთი ახალგაზრდა, უმაღლეს სასწავლებელში კურსდასრულებული ღარიბი ოჯახის შვილი იყო. მისი ნუგეში და მომავლის იმედი მხოლოდ სახელმწიფო სამსახური იყო, აქედან ელოდა იგი უზრუნველი ცხოვრების მოპოვებას. მას ის ჰქონდა თავისი მოვალეობად გამოხატული, რომ თუკი სინდისიანად აასრულებდა თავის მოვალეობას სახელმწიფო სამსახურში, ბევრს დაჩაგრულს კაცსაც დაეხმარებოდა. იმას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ცხოვრების ჩირქი მოცხებული და ბახვა ფულავა, როგორც ვაჭრობით გამდიდრებული კაცი, რომელმაც ერთი სათავადიშვილო უკვე კიდევ შეისყიდა, არ მიაჩნდა კეთილსინდისიერად. მისი აზრით, ეს იყო ერთი ვინმე ჩარჩი, რომელსაც ჯარიმებით და უკანონო სარგებლის გადახდევინებით ბევრი ოჯახი ჰყავდა ცეცხლზე დადებული... ამიტომაც კიდევ უფრო გაუფრილდა გული მის საქმეზე“ (წერეთელი, 1991) . აქ ამკარავდება მისი სუბიექტური დამოკიდებულების მიზეზები სავალალო შედეგებით, რასაც ემატება ბახვას მიერ ფულით მოსყიდვის მცდელობაც.

სავარაუდოდ, იგივე გამომძიებელი ორპირის მახლობლად მომხდარი დანაშაულის კვლევისას, შემთხვევით მოისმენს მატარებლის კონდუქტორისა და ერთი ნაბადმოსხმული კაცის საუბარს. აქ პროფესიული ალლო კვლავ უბიძგებს მიჰყვეს საქმეს. „ის გრძნობდა, რომ ამ დაფარულ მკვლელობას მშვენივრად გამოძევდა, ყოველსავს დაწვრილებით ახსნიდა და ესეც იცოდა, რომ ეს შესანიშნავი საქმე იმას თვალსაჩინო ნაბიჯს წაადგმევინებდა წინ. რა შესანიშნავი alibi-ს მოვტებ კბილსაო, - ტრახახობდა გულში, - თუ კაცი ვარ, პალატის თავმჯდომარემდე მიაღწევს ეს ჩემი შესანიშნავი გამომძიების საქმეო“ (წერეთელი, 1991). ტექსტის ეს მონაკვეთი ცხადყოფს იგივე, გამომძიებლის კარიერისტულ მიზნებსაც, რასაც, მართლაც, გამომძიებლისათვის სასურველი შედეგები მოჰყვება: „ძალიან არ მოახერხა გამომძიებელმა?? ჩინებული კაცი ყოფილა, - დაიწყო წუნკალამ. - ჟანდარმის ოქმი რომ აღმოჩნდა, მტკიცდებოდა, რომ იერემია იმ ღამეს ქალაქს წასულიყო, როცა შენი ცოლის მკვლელობა მოხდა. შემდეგ აღარავითარი საბუთი, არც შენი ჩვენება და არც ესმას სიკვდილის ჟამს პატივდებაში აღარ იყო მისაღები. ისე იყო წაყვანილი საქმე, რომ გამომძიებელს კანონის ძალით უნდა წარედგინა მოსასპობათ. მაგრამ დახე იმის ჭკუის გამჭრიახობას, მის სულგრძელობას!... რაკი ერთხელსავე ეჭვი შეიტანა, თუმცა თვალსაჩინო საბუთი არა ჰქონდა, მაინც საქმეს აღარ მოეშვა, დროებით მიივიწყა იგი, - თუმცა თვალგაფაცვიცხებული ეძებდა ყოველგან, რომ რაიმე კვალი მიეგნო ბოროტ მოქმედებისა“ (წერეთელი, 1991).

ამ დროს უკვე დაკავებული იერემია წარბას დასაცავად აიყვანენ ვექილ სივილას. ნაფიცი ვექილი სივილა კი ერთი იმ ახალგაზრდათაგანია, რომელიც ჯერ კიდევ გიმნაზიაში გამოიჩინს თავს თავისი ჭკუა-გონებით, რაც გაგრძელდა სასწავლებლად იურიდიულ ფაკულტეტზე გამგზავრების შემდეგაც. აქ ავტორი უკვე მკაცრი მენტორის პირით აცხადებს, რომ ასეთი ტიპის ახალგაზრდებს, რომელთაც უხდებათ ძველი აღზრდის წესების, სარწმუნოების, უმცროს-უფროსობით მორჩილებისა და ბუნების ენაზე გონებითი წარმატების მოშლის ეპოქაში, „გამოდის ან ზნეობით მახინჯი, ან ადრევე ესპობა სიცოცხლე... მას ადვილად რყენის ცხოვრების ვითარება და დაბალი ხარისხის მიმართულებანი“ (წერეთელი, 1991).

სივილაც ერთი იმათგანია, რომელმაც უცხოეთში წარმატებით დაასრულა სასწავლებელი, ჰქონდა ვითომდაც „დაჩაგრულების ვექილის“ მისწრაფებანი, მაგრამ დაბრუნებისთანავე, არსებული წრე ჩარჩებისა და გამსესხებელი ფულით მცხოვრები ადამიანებისა, ვითომ მეგობრებად შეამხანაგებულებისა ცდილობენ მიჰყვენენ მოსწრებულ გამოთქმას: „ავიღე აღარ მოგეცო“. „სხვა ნიადაგი ვექილის

მოქმედებისა აღარა გამოჩნდა-რა ჩვენს საზოგადოებაში, არც სასარგებლო, არც სასახელო. ვინც სიმართლეს და სინდისს მისდევდა, იმას სამართლის კარზე ვერც კი გაატარებდი, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, იქ არ შესულიყო, თუ გაჭირვება და ძალმომრეობა არ შეიყვანდა. მაშინაც ძვირად მიიქცეოდა ვეკილთან, რადგან სწამდა, სიმართლეს რაღა დახმარება სჭირიაო. მაშასადამე ვეკილი რომ ამგვარის კაცების იმედით დარჩენილიყო, შიმშილით უნდა ამოხდენოდა სული, თუ რომელსამე ვეკილს სურდა ცხოვრების საშუალება უხვად მოეპოვებინა და საზოგადოებაში კარგი ხმა გავარდნოდა, უსათუოდ უნდა ცდილიყო, ბევრი უსამართლო საქმე მოეგო, ბევრი ბოროტმოქმედი გაემართლებინა“ (წერეთელი, 1991). ასეთი ვეკილები XIX საუკუნის II ნახევრიდან უკვე ტიპური მოვლენაა სასამართლო აპარატში, დაბალი რანგის ვეკილი (ვეკილი, ადვოკატი რომანში თანაბარი მნიშვნელობით არ იხმარება), წუნკალა წვრილმან გამორჩენაზე ფიქრობს და მუშაობს, შედარებით „მაღალი რანგის“, განათლებული ვეკილი სივილა კი ანგარებასთან ერთად კარიერისტულ მიზნებსაც ეპოტინება. „სივილამ სიამოვნებით აიღო იერემიას დაცვა. იგი დაიბარა ვალიდამ, რომელმაც მომხიბლავი პატივისცემით მიიღო და თავის ბრწყინვალე დარბაზში გააცნო უმაღლესი სასამართლოს მოსამსახურენი. სივილას მოძრავი ჭკუა, მჭევრმეტყველება ფრიად მოეწონა იმათ, ზოგმა კიდევ დაიახლოვა“. (წერეთელი, 1991).

სივილას კრედო ასეთია: „სამართალი და დანაშაულობა სულ პირობითია, ... მე, როგორც ვეკილს, როგორც დამცველს ყოვლის გაჭირვებულისა და დამნაშავისა, არ მწამს დანაშაულობა. თვით სამართალი, კანონი და სასამართლო მამლევს უფლებას დავიცვა ბოროტმოქმედი, შევუმსუბუქო სასჯელი“. (წერეთელი, 1991).

აღნიშნული ეპოქის სასამართლო აპარატის მოხელეთა მსჯელობის ტიპურობაზე მეტყველებს აკაკი წერეთლის უამრავი სატირული ლექსი, თუ ფელეტონი. როგორც ვ. მეტრეველი წერს, „აკაკიმ ხელი მოჰკიდა დაცვის ე.წ. „ფრანგულ“ ხერხს. ვფიქრობთ, აკაკი წერეთელი ამ დროს ნ. ნიკოლაძის კონსულტაციებს ღებულობდა... თვით ნ. ნიკოლაძემ საფუძვლიანად გააკრიტიკა ჟ. „კოლოკოლის“ ფურცლებზე დაცვის ის ხერხი, რომელიც კანონის ასოკრიტიკობას ეყრდნობოდა (დაცვის „ინგლისური ხერხი“) და მასზე წინ დააყენა „სამართლიანობაზე ანუ ჭეშმარიტებაზე“ აგებული დაცვა“, რომელიც ააშკარავებს დანაშაულის ჩადენის ნამდვილ მიზეზს“. (მეტრეველი, 1980)

გიორგი წერეთლისათვის, როგორც კრიტიკული რეალიზმის აპოლოგეტისათვის, ეს საკითხი ტექსტში მხოლოდ ავტორისეულ ჩართვებში ვითარდება და მისი მიზანსწრაფვა სავარაუდოდ ითვალისწინებს დამნაშავისათვის სამართლიანი სასჯელის მინიჭებას.

ტექსტში წარმოდგენილია 2 სასამართლო პროცესიც: ერთი ბახვა ფულავას ყალბი ვექსილებისა და, მეორე, იერემია წარბასი. ავტორი აღწერს პროცესს წვრილმანი დეტალებით: „ჯერ სხდომა არ დაწყებულიყო, გივი და იერემია არ შემოიყვანათ, არც მოსამართლეები გამოსულიყვნენ, რომ სივილა რიკულებს შიგნით ასპარეზზე მიდი მოდიოდა ფრაკით და გამოცდილ ფალავანს ჰგავდა, რომელსაც თითქოს ჩოხის კალთები შეეკვცა და ელოდა მოპირდაპირეს“ (წერეთელი, 1991). „მსაჯულნი გავიდნენ მეორე ოთახში და ნახევარ საათის შემდეგ გამოიტანეს თავისი გადაწყვეტილება.

იერემიას ჩამოართვეს ღირსება და თორმეტი წლით გაგზავნეს კატორღაში, გივი კი რვა წლით“. (წერეთელი, 1991).

იერემიას საქმის უმაღლეს სასამართლოში განხილვამდე, ვალიდა მოხიბლავს მოხელეს, რომლის სახელსაც არ აღნიშნავს ავტორი. ეს განზოგადება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ფაქტის ტიპურობას.

„კაცი წამოდგა ზეზე დაფიქრებული. მის გულში სამინელი ბრძოლა მოხდა. იგი ყოყმანობდა მოვალეობას და გულისთქმებს შორის. ბოლოს საიდუმლოდ გადაწყვიტა: „სჯობს ამ მომხიბლავ სატანის სიტკბოების სახეს მოვშორდეთო.“ (წერეთელი, 1991).

„გავამართლებ, - გადაწყვეტით დაჰკრა კვერი კაცმა, - სჯობს ათი დამნაშავე გამართლდეს, ვიდრე ერთი უსამართლო დაისაჯოს“. (წერეთელი, 1991) აი, რა შედეგი მოჰყვება სივილას აპელაციას. ჭეშმარიტი სასჯელი იერემიას თავად ბახვამ გამოუტანა, ციმბირელის დახმარებით მოჰკლა იგი.

ნაწარმოები არც მთლად დეტექტივია, არც სოციალური რომანი. იგი წარმოგვიდგენს სრულ სურათს XIX საუკუნის 80-90-იანი წლების სასამართლო გამოძიებისა და სასჯელადსრულების პროცესების შესახებ, რომელშიც იკვეთება გიორგი წერეთლის სურვილი, მიზეზების გამოამჟღავნებდნენ მიჰყვეს დამნაშავეს და ჭეშმარიტი სასჯელის გამოტანის აუცილებლობაზე მიაწინოს სასამართლო უწყებას და მკითხველ საზოგადოებას.

ლიტერატურა:

1. ნადარეიშვილი გიორგი, „ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“, თბილისი, 1970, გვ. 270
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1970, გვ. 316.

3. წერეთელი გიორგი, „პირველი ნაბიჯი“, „რუხი მგელი“, „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“, თსუ, თბ., 1991, გვ. 154, 224, 225, 259, 268, 271, 273, 274, 277, 286, 287.
4. მეტრეველი ვ. დ., „აკაკი წერეთლის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი“, თსუ, თბ., 1980, გვ. 106.

რეზიუმე

XIX საუკუნიდან დამოუკიდებლობადაკარგული ქვეყნის სამართალს რუსეთის იმპერიის მიერ დანიშნული მოხელეები განსჯიან, რასაც შედეგად მოჰყვა არამცთუ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა უფლებების რღვევა, არამედ, ენობრივი ბარიერის წყალობით, საშინელი გაუგებრობანიც, რაც აისახა კიდევ ქართულ 1890-1891 წლებში კრებულ „ცდამი“ ქვეყნდება თერგდალეულისა და საზოგადო მოღვაწის, მწერლის გიორგი წერეთლის (1842-1900) რომანი „პირველი ნაბიჯი“, რომელიც ერთგვარად „პირველი ნაბიჯია“ სხვადასხვა სახის დანაშაულის, მისი გამოძიების თუ სამართალ-აღსრულების, მოხელეების - ვექილთა, გამომძიებელთა, მოსამართლეთა - მხატვრული სახეების (წუნკალა, სივილა და სხვ.) ჩვენების თვალსაზრისით. გ. წერეთელი ოსტატურად აღწერს XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში გამოძიების და შემდგომ სამართალაღსრულების პროცესებს. მხატვრული თვალსაზრისით რეალისტი მწერლისათვის ეს ერთგვარი „მესარკეობაა“. ამდენად აღნიშნული საკითხის კვლევაც წარმოგვიდგება მნიშვნელოვნად, როგორც ეპოქის პოლიტიკური რეჟიმის, ისე ლიტერატურული ასახვის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

THE SUBJECT MATTER OF INVESTIGATION IN A LITERARY TEXT **Tamar Gogoladze, Gori State Teaching University, Full Professor** **RESUME**

Since the XIX century the law of the independence lost country was judged by the clerks appointed by the Russia Empire. It was followed not only by abrogation of the rights of people of different social levels but due to the language barrier great misunderstandings were caused which found reflection in “Tsda”(“The Attempt”)-the collection of Georgian literary works of 1890-1891. Here the novel “The First Steps” by a writer and public person Giorgi Tsereteli (1842-1900) was published. This novel is a kind of “the first step” from the point of showing different crimes, their investigation and artistic features of executives, lawyers, investigators and judges. G. Tsereteli skillfully describes the processes of investigation and law executions in the second half of the XIX century in Georgia. For a realist writer from the artistic point this is a kind of “being a mirror”. So, researching the mentioned subject is very important from the point of study the history of literary reflections and political regime.

1989 წლის 9 აპრილი - ქართული ბელეტრისტიკის მაგალითზე

ანა იმნაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი

XX საუკუნის ბოლო ათწლეული და ამ პერიოდში განვითარებული მოვლენები საზოგადოების ყველა ფენას შეეხო და რაღა თქმა უნდა არც ქართული ბელეტრისტიკა აღმოჩნდა განზე, სადაც სკრუპულოზურად აისახა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები, რომელმაც გეზი შეუცვალა ქვეყნის განვითარებას და თუ რადიკალურები არ ვიქნებით, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სწორედ საქართველოში დაწყებულმა და განვითარებულმა მოვლენებმა დააჩქარა მთელი მსოფლიოს გეოპოლიტიკური რუკისა და მენტალობის ცვლილება. ასეთი რადიკალური და სწრაფი ცვლილება, როგორც ცნობილია, აუცილებლად ტოვებს ღრმა და ძლიერ კვალს ერის ფსიქიკასა და სულიერებაზე. 80-იან წლებში საქართველოში განსაკუთრებული სიმძლავრით გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც სათავეში ედგნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, მათთან ერთად იბრძოდა ახალგაზრდების, სტუდენტების დიდი ჯგუფი. როგორც მკვლევარი და ისტორიკოსი იგორ კვესელავა

ქალაქში მოკლულმა გოგონამ ვერ გაიმეტა ჯალათი სამუდამო წამებისთვის და მისი შებრალება ითხოვა. ამით სძლია. გურამ დოჩანაშვილი, 9 აპრილის ტრაგედიის აღწერისას ქართველთა უარყოფით თვისებებსაც არ ივიწყებს, ავტორი არ გაურბის უხერხულ საკითხებს, რომელიც ეხება ქართველებისავე როლს დატრიალებულ ტრაგედიაში, რა როლი შეასრულა თითოეულმა ქართველმა დამდგარ ფაქტან დაკავშირებით, მაგრამ ის მთავარსა და მეორეხარისხოვანს არ ურევს ერთმანეთში „ბევრი გვეყვია უღირსი, შვილო. მოღალატეები, გამყიდვლები, სხვისა ჯიბისა თუ დიდების მასუქებლები, სხვისა ჩინ-მედლების გაფაციცებით მაძიებელნი, ერთმანეთს ვყიდდით, მტერთანაც ბევრი გვილაქუცნია, მაგრამ იცოდე – საქართველოში რაღაცა ცუდი თუმცა ყოველ მოსახვევშია, კარგი – მის ყოველ ცდაშია, შვილო. მაგრამ ადამიანთა სენია, კარგზე მეტად რომ ცუდი შეგნიშნონ“ [3; 45]. განხილული მოთხრობის მაგალითზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ 80-იანი წლების მიწურულის და 90-იანი წლების დასაწყისის ქართული საზოგადოება, თუ ვიმსჯელებთ პროზის მაგალითზე, მკვეთრად გამოხატულ ეროვნულ რელსებზე დადგა, გვერდი არ აუარა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. შემდეგ ეს მდგომარეობა შეიცვალა, სწრაფად გაიფანტა ეროვნული სულის გამოღვიძებით გამოწვეული ეიფორია და საზოგადოება, თუ ისევ პროზის მაგალითზე განვიხილავთ, ჩაეფლო ძალზე საშიშ და დაძლეული რომ ეგონათ იმ ჭაობში, რასაც ეროვნული ნიჰილიზმი ეწოდება. თუ კვლავ 9 აპრილის გარშემო შექმნილ ბელეტრისტულ ნაშრომებს ჩავუკვირდებით დავინახავთ რამხელა ტრანსფორმაცია განიცადა ეროვნულმა ცნობიერებამ, ამის ნათელ მაგალითად გამოდგება ნაირა გელაშვილის შემოქმედება, განვიხილავთ მის წერილს „მორალი ერთი უნდა გვექონდეს“, რომელიც გამოქვეყნდა ტრაგედიიდან რამოდენიმე დღეში გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე (30.04.1989 №100), შემდეგ კი შევიდა ტრაგედიის შესახებ შექმნილ კრებულში „9 აპრილი“, ასევე განვიხილავთ ნაირა გელაშვილის რომანს „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“, რომელიც 2010 წელს გამოიცა (თუმცა იქმნებოდა 1994-1996წწ). ვნახოთ რა ტრანსფორმაცია განიცადა ავტორმა ე.წ. „ხუთწლედში“. სტატიაში ნაირა გელაშვილი ტრაგედიის მიზეზად ორ მთავარ ფაქტორს გამოყოფს: „ჯერ ერთი, დასამალი აღარაა, რომ რუსეთის რეაქციულ-შოვინისტურ წრეებში აშკარად გამოიხატა განსაკუთრებული სიძულვილი ქართველების და ებრაელების მიმართ“ [4; 318], მეორე მიზეზად კი ქართველთა, უფრო სწორად ერთი ნაწილის - ხელისუფლების, სულმოკლეობა დაასახელა „საქართველოს მთავრობამ, იმის შიშით, თანდათან გავლენას ვკარგავო, საკუთარ ხალხზე, ქალებსა და ბავშვებზე მიუშვა შეიარაღებული ჯარი... და ფანჯრებიდან უყურა საკუთარი ერის სასაკლაოს!..“ [4; 319]. ტრაგედიის სრულიად განსხვავებულ მიზეზებზე საუბრობს ავტორი „ხუთწლედის“ შემდეგ, როდესაც არა საბჭოთა, არამედ ამჟამად უკვე ეროვნული მთავრობა იყო დამხობილი და განდევნილი. ავტორის შეფასებით, მიტინგის ორგანიზატორები და ამ შემთხვევაში, ისე როგორც ყველგან, სადაც რომანში „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ ეროვნულ მოძრაობაზე და მის ლიდერებზეა საუბარი, ზვიად გამსახურდია წარმოჩენილია მკვლელად, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სისხლი დაღვრილიყო, რომ სწორედ ის იყო სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი არა მარტო მიტინგის, არამედ დარბევის და სასაკლაოს, ავტორი ამ შემთხვევაში ეწინააღმდეგება საკუთარ თავს და მიიჩნევს, რომ ხელისუფლება და ჯ. პატიაშვილი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ სისხლი არ დაღვრილიყო და ამ კეთილშობილურ საქმეში ზ. გამსახურდიამ შეუშალა ხელი. „ბოლოს ჯ. პატიაშვილი განწირული ლამობდა ზ. გამსახურდიასთან მოლაპარაკებას, მაგრამ ამაოდ: ამ უკანასკნელმა არ მოისურვა, რადგან მიტინგის ორგანიზატორთა მიზანი ეს იყო: იძულებული გაეხადათ ხელისუფლება ესროლა, სისხლი დაედვარა“ [1; 408], 1989 წელს შექმნილ სტატიაში ხელისუფლება და ეროვნული მოძრაობა სრულიად განსხვავებულ რაკურსში არიან დანახული, იქმნება ალუზია, რომ ავტორმა 1989 და 1994 წლებში ერთი და იმავე ფაქტს არა მარტო სხვადასხვაგვარი შეფასება მისცა, არამედ დამნაშავეთა მხოლოდ გვარები შეცვალა, თუ პირველ შემთხვევაში დამნაშავე იყო ხელისუფლება, რომელმაც შიშით ჯარი შემოიყვანა, მეორე შემთხვევაში სასაკლაოს შემოქმედად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი - ზვიად გამსახურდია დაასახელა. რომანში შემდეგ და შემდეგ შეფასებები კიდევ უფრო მკაცრი და რადიკალური ხდება, ავტორის აზრით 9 აპრილის მსხვერპლი ერთადერთი მიტინგების ორგანიზატორებს აწყობდათ, კონკრეტულად - ზვიად გამსახურდიას, ავტორი მიიჩნევს, რომ ამ სისხლისა და მსხვერპლის ფასად შექმნა საკუთარი „კარიკატურული კარიერა“, რადგან წინამძღოლისთვის, როგორც ნაირა გელაშვილი დაასკვნის, ადამიანი და ამდენად ხალხი, მხოლოდ საშუალებად განიხილებოდა. რომანში კიდევ ერთი ასპექტი იჩენს თავს, ავტორის თვალსაზრისით, ის ფაქტი, რომ ხალხმა პატრიარქს არ დაუჯერა და არ დაიშალა, გამსახურდიას ბრალი იყო, მისი სიჩუმის. აქ პატრიარქსა და გამსახურდიას შორის ბრძოლაზე მინიშნება, რომელსაც შემდეგ ახსნაც მოუძებნა „მეფე საული, რომელიც ოდესღაც პატრიარქობაზე ოცნებობდა, (ანტროფოსოფი პატრიარქი ხომ კარგი იქნებოდა?) ვერ იტანს მწყემსთავარს“ [1; 640]. „ძნელი წარმოსადგენია, რას ნიშნავდა ის „არა“ პატრიარქისთვის? ეს ნიშნავდა, რომ ის სამწყემსო უარყო, რომ მას ნამდვილი სამწყემსო არა ჰყავდა“ [1;

409]. ეს ვერ აპატია პატრიარქმა ზვიად გამსახურდიას? ჯაბა იოსელიანთან პატრიარქის სახე და მასთან შეხვედრები თბილისის ომის დროს ასეა აღწერილი „უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქი ილია II ხშირად მპატიჟებს თავისთან, მამაშვილურად მეფერება... ძალიან გახარებულია, რომ ვითავე შევარდნადის ჩამოყვანა...“ [5; 110]. რომანში 9 აპრილს მოედანზე შეკრებილი ხალხი „მასად“ არის გამოცხადებული - „მასა ბელადისა“ [1; 409]. 1989 წელს კი მომიტინგეებს სხვაგვარად აფასებს „ეს იმდენად კონკრეტული მიზანდასახულობის მიტინგი კი არა, უფრო ერთადყოფნის სიხარული, ერთადყოფნის მანიფესტაცია იყო. ეს იყო ამდენი ხნის განმავლობაში განგებ დაქსაქსული, თავგზააბნეული, ერთად დგომას მონატრებული ხალხის ზეიმი: ამოთქმული ლექსად, სიმღერად, ცეკვად. ეს გაერთიანება კი გამოიწვია საერთო სასოწარკვეთამ, დაღუპვის პირას მისული ერის საერთო ტკივილმა... ქართველები ერთად იყვნენ და იყვნენ მართალნი, კეთილშობილნი და ამაღლებულნი“ [4; 317-320]. ეს სულისკვეთება და ხალხი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1994 წელს უკვე „მასად“ არის გამოცხადებული. ნაირა გელაშვილი უყურადღებოდ არ ტოვებს დოჩანაშვილის მოთხოვნას და დროის დისტანციის შემდეგ ეპასუხება „ისინი (გოგონები და ქალები) შეეწირნენ ჩვენს უზნეობას. ამიტომ არიან წმინდანები და არა იმიტომ, რომ შეგნებულად მიიტანეს თავიანთი სიცოცხლე „თავისუფლების წმინდა ბრძოლის“ სამსხვერპლოზე. განა ის გოგონა, გრილი ღამით მიტინგზე მიმავალმა ჩანთაში თბილი წინდები რომ ჩაიდო, სამუდამო სიცვიისთვის ემზადებოდა?“ [1; 412]. ავტორი იხსენებს 1924 წლის აჯანყებას, რომელსაც გრიგოლ რობაქიძემ ხარაკირი უწოდა, „ხუთწლედის“ დასასრულს იმავე შეფასებას აძლევს ნაირა გელაშვილი 9 აპრილის ტრაგედიას. ყოველივე ამის შემდეგ რომანში დასკვნაც შესაბამისი გამოაქვს, რომ 9 აპრილის მსხვერპლი და ტრაგედია ეროვნული მოძრაობის ლიდერების და კონკრეტულად ზვიად გამსახურდიას არასრულფასოვნების კომპლექსის შედეგი იყო, რომელიც არაცნობიერად თვითგანადგურების ინსტიქტს და ეროვნულ უთავმოყვარეობას წარმოაჩენდა. ავტორს არც აკაკი ბაქრაძის შეფასება ავიწყდება, რომელიც მას შემდეგ გააკეთა, რაც ტრაგედიის ამსახველი ფირი ნახა; აკაკი ბაქრაძის შეფასებით, საქართველოს რუსეთთან შეერთების მთავარი მიზეზი და მიზანი ერეკლე მეორესთვის იყო არა გარეშე მტრისგან თავდაცვა, არამედ საქართველოს და ქართველების დაცვა საკუთარი თავისგან. იმ ხალხს და მდგომარეობას, რომელიც 9 აპრილს თავის დამოკიდებულებას გამოხატავდა დაღუპულების მიმართ ნაირა გელაშვილი ასე აფასებს: „რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სასახლის წინ - ეროვნული ბედისწერის საყვარელ სცენაზე გაიმართა გლოვის დემონსტრაცია, გლოვის თეატრი, სადაც ჭირისუფალთა პოსტები დროშებით, ჯვრებითა და სხვა ატრიბუტიკით აღჭურვილმა, გაურკვეველი ჯურის ახალგაზრდებმა დაიკავეს“ [1; 412]. კიდევ ერთი ასპექტი, 9 აპრილის ტრაგედია დატრიალდა ვნების კვირაში, ახლოვდებოდა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული და პატრიარქი მოუწოდებდა მრევლს, ამ სადღესასწაულო დღეებში შეეწყვიტათ გლოვა, მაგრამ რთული და თითქმის შეუძლებელი იყო პროცესის შეჩერება, ავტორი აქაც ზვიად გამსახურდიას კვალს ხედავს „გაგონება არ სურდათ. რადგან ეს გლოვის პომპეზური სანახაობაც პოლიტიკურ აქტად აქციეს“ [1; 412]. ამ შემთხვევაში აშკარად ფაქტის ლიტერატურულ ფიქციასთან გვაქვს ადგილი, რადგან ტრაგედიის შემდეგ მიტინგის ყველა ორგანიზატორი დაპატიმრებული იყო და ისინი მხოლოდ 26 მაისს გაათავისუფლეს, ასე რომ საპრობილეოდან ვერ წარმართავდნენ მოვლენებს. ასე შეიცვალა ნაირა გელაშვილის პოზიცია და დამოკიდებულება 9 აპრილის ტრაგედიის, გამომწვევი მიზეზების, მოქმედი პირებისა, დაღუპულებისა და შედეგებისადმი. ძნელია იმის გარკვევა, რამ გამოიწვია ასეთი მკვეთრი ტრანსფორმაცია.

ოთარ ჩხეიძეც არ უვლის გვერდს 9 აპრილის ტრაგედიას და მის შედეგებს საზოგადოების შემდგომ ჩამოყალიბება-განვითარებაში. რომანში „არტისტული გადატრიალება“ აკეთებს 9 აპრილის ტრაგედიის შეფასებას და გვერდს არ უვლის არც თუ მთლად სასიამოვნო თემას. აღნიშნული ნაწარმოები ტრაგედიიდან 3-4 წლის შემდეგ შეიქმნა და ავტორს უკვე ჰქონდა დრო ანალიზისთვის, რათა ცხელ გულზე არ გაეკეთებინა შეფასება. ავტორი, აპრილის ტრაგედიის მიზეზების ანალიზისას ასეთ შეფასებას აკეთებს: „და იდგა ფარაი და მიერეკებოდა მწყემსი კეთილი და არ იძვროდა ფარაი იგი და დამორჩილებოდა მწყემსთა ცრუთა და იდგა განწირული“ [6; 56].

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ 9 აპრილის თემა არ დარჩენილა ყურადღების მიღმა ქართულ ბელეტრისტიკაში, ის აისახა სხვადასხვა რაკურსით და შეფასებებით.

ლიტერატურა:

1. გელაშვილი ნ., „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“, თბ., 2010.
2. კობაიძე ნ., „მრგვალი მაგიდა: XXI საუკუნის ქართული რომანი“, ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“, 2011. №1
3. დოჩანაშვილი გ., „მოთხოვნები“, თბ., 1998.

4. გვერწითელი გ., „9 აპრილი“, თბ., 1990.
5. იოსელიანი ჯ., „სამი განზომილება“, თბ., 2007.
6. ჩხეიძე ო., „არტისტული გადატრიალება“, თბ., 2002.

რეზიუმე

XX საუკუნის ბოლო ათწლეული და ამ პერიოდში განვითარებული მოვლენები საზოგადოების ყველა ფენას შეეხო და რაღაც თქმა უნდა არც ქართული ბელეტრისტიკა აღმოჩნდა განზე, სადაც სკრუპულოზურად აისახა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები, რომელმაც გეზი შეუცვალა ქვეყნის განვითარებას და თუ რადიკალები არ ვიქნებით, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სწორედ საქართველოში დაწყებულმა და განვითარებულმა მოვლენებმა დააჩქარა მთელი მსოფლიოს გეოპოლიტიკური რუკისა და მენტალობის ცვლილება. ასეთი რადიკალური და სწრაფი ცვლილება, როგორც ცნობილია, აუცილებლად ტოვებს ღრმა და ძლიერ კვალს ერის ფსიქიკასა და სულიერებაზე. 80-იან წლებში საქართველოში განსაკუთრებული სიმძლავრით გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც სათავეში ედგნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, მათთან ერთად იბრძოდა ახალგაზრდების, სტუდენტების დიდი ჯგუფი. 9 აპრილი იქცა წყალგამყოფად, რის შემდეგაც რადიკალურად შეიცვალა და შეუქცევადი გახდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები. 9 აპრილის ტრაგედიას ქართულ ლიტერატურაში დიდი და სხვადასხვაგვარი გამოხმაურება და შეფასებები მოჰყვა. 9 აპრილის თემა არ დარჩენილა ყურადღების მიღმა ქართულ ბელეტრისტიკაში, ის აისახა სხვადასხვა რაკურსით და შეფასებებით.

APRIL 9. 1989 - EXAMPLE OF GEORGIAN BELLE-LETTRES **Ana Imnadze, Gori State Teaching University, Specialist under contract** **RESUMÉ**

The developments, that took place in the last decade of the XX century, significantly affected all sectors of the society and neither the Georgian Belles-Lettres was left beyond, which entirely reflected the on-going events which changed the country's development path. If we are not too radical, we can freely consider those events, which began and developed in Georgia, to be the ones that accelerated the process of change in the geopolitical map as well as in mentality all over the world. Such a radical and rapid change usually leaves deep and strong traces within the soul and psychology of the nation. In the 80th of the XX century the national liberation movement was particularly extended. The movement was led by Zviad Gamsakhudia and Merab Kostava, they fought with young people, a large group of students. April 9 became a watershed, after which the on-going events radically changed and became irreversible. The April 9 tragedy was followed by various kinds of responses and appraisals in the Georgian literature. The April 9 issue has not been left out of attention in the Georgian Belles-Lettre, it has been reflected by wide range of assessments from different angles.

ОСОБЕННОСТИ СОЦИАЛЬНО-РЕЧЕВОЙ СРЕДЫ В ПОЛИКУЛЬТУРНОМ ПРОСТРАНСТВЕ ЮГО-ВОСТОЧНОЙ УКРАИНЫ

Лариса Казанцева, Бердянский государственный педагогический университет

В юго-восточном регионе Украины как многоязычном регионе сложились сложные функциональные отношения между компонентами социально - коммуникативной системы и сформировалась своеобразная языковая ситуация, характеризующая поликультурное сообщество.

Функционирование языка подразумевает существование его самого, а в его пределах – отдельных систем. «Под социально - коммуникативной системой имеется в виду национальный язык – системно организованная совокупность языковых ресурсов нации от литературного языка до территориальных и социальных диалектов с многочисленным функционально - стилистическим разветвлением» (Швейцер А., 1978). С этим согласен В. Демченко: «понятие языка дефинируется как «система систем» или «система подсистем», которые объединяются во внешний и внутренний конгломераты и взаимодействуют между собой,

определяя влияние социума на формирование состояния языка и организуя определенную общую языковую систему» (Демченко В., 2001).

Для анализа языковой ситуации в многоязычном сообществе нужны специальные критерии, поэтому необходимо рассмотреть те подходы, которые учитывают своеобразие территориальных, политических, культурно - этнических параметров социума. Наиболее соответствующая в этом смысле дефиниция Ч. Фергюсона: языковая ситуация – это общая конфигурация использования языков в данное время и данном месте, учитывающая как, какие именно и сколько языков используется в данном ареале, сколько людей на них разговаривает, при каких обстоятельствах, каких мыслей придерживаются относительно этих языков члены речевого коллектива. Важные аспекты языковой ситуации освещаются в подходах В.Аврорина, В.Беликова, Т.Воропаевой, В.Демченко, М.Кочергана, Л.Крысина, Л.Масенко, Л.Ставицкой, Г.Степанова, О.Тараненко и др.

Языковую ситуацию полиязыкового социума формируют в первую очередь языковые образования, которые используются в процессе общения этносов или их частей. Языковые образования, функционирующие внутри этноса, тоже нуждаются в социально - функциональной дифференциации. Внутриэтнические контакты осуществляются чаще всего с помощью не одного, а нескольких идиом (литературного языка, диалектов, койне). В культурно-языковом поле каждого этноса формируются языковые ситуации, из которых складывается общая языковая ситуация страны. Языки этносов могут выходить за пределы этнического общения, и тогда они выполняют функцию межэтнического общения. При этом язык из компонента этнолингвистической ситуации превращается в компонент языковой ситуации страны или региона (Т.Воропаева, Ю.Жлуктенко, М.Кочерган, Ю.Степанов). От престижности, распространенности и выполняемых социальных функций языка внутри этноса зависит не только выход языкового образования за этнические рамки, но и последующая перспектива его развития. При определении языковой ситуации важно учитывать распределение языков по сферам социального взаимодействия и уровнями общения. В языковых сообществах по признаку преимущественного использования того или иного языка в коммуникативных актах выделяется по меньшей мере два уровня общения – общегосударственный, официальный и повседневный. Соответственно и языки, которые обслуживают эти уровни, принадлежат к категориям официальных или повседневных.

Современная социоллингвистика применяет категорию состояния языковой ситуации к моноэтническому и полиэтническому сообществу (В.Аврорин, Р.Белл, Е.Головаха, Ю.Дешериев, Ю.Жлуктенко, М.Кочерган, Л.Никольский, Ч.Фергюсон, Д.Фишман, Е.Хауген, О.Швейцер).

Многоязычному обществу присущи билингвизм и диглоссия, которые являются его ведущими состояниями (Р.Белл, Ю.Жлуктенко, Л.Никольский, А.Росетти, Л.Ставицкая, Г.Степанов, С.Трескова, О.Швейцер). В широком понимании билингвизм – это взаимодействие двух языков. Билингвизм является следствием использования индивидом или обществом более, чем одного языкового кода (Р.Белл, У.Вайнрайх, А.Мартине, А.Росетти). В основе классификации билингвизма в индивидуальном аспекте лежат разные признаки: степень сложности речевых действий, которые выполняются билингвом на втором языке, степень овладения билингвом вторым языком, время и способ формирования двуязычия, степень распространенности двуязычия (А.Богущ, У.Вайнрайх, Е.Верещагин, Ю.Дешериев, Ю.Жлуктенко, А.Мартине, А.Росетти, А.Супрун, М.Успенский, Ч.Фергюсон, Е.Хауген, Л.Щерба и др.). В социальном аспекте билингвизм может быть контактным и дистантным. Контактный билингвизм отличается устойчивостью, обычно заимствуется от предыдущих поколений. Дистантный билингвизм формируется в среде эмигрантов и беженцев. При условии длительного контакта происходит трансформация функций первого и второго языков, усвоенный позже язык начинает выполнять ведущую социальную функцию (Ю.Дешериев, Л.Масенко, Ч.Фергюсон, Ф.Филин, О.Швейцер).

С позиций кодификации различают нормативный, односторонне - нормативный и ненормативный билингвизм. Первый тип характеризуется соблюдением лингвистических норм обоих языков. Односторонне - нормативный отличается тем, что говорящие при общении придерживаются норм только одного из двух языков, по большей части, родного. Признаком ненормативного билингвизма является использование второго языка с нарушением его норм частично или в целом.

Диглоссия в лингвистике квалифицируется как взаимодействие двух имеющихся разновидностей одного и того же языка. Ч.Фергюсон понимает под диглоссией две или больше разновидности одного и того же языка, которые используют говорящие в разных условиях, или две разновидности языка, которые существуют в этом коллективе, каждый из которых играет существенную роль. Чаще всего в языкознании диглоссию связывают с функциональной специализацией: одновременным существованием двух языков или двух вариантов одного языка с функциональным распределением, которое предопределяется не национально-языковой принадлежностью носителя, а коммуникативными ситуациями (В.Беликов, Л.Масенко, М.Кочерган, Л.Крысин, Л.Никольский, О.Швейцер). Первопричиной диглоссии ученые считают статусное положение языка. Высокий статус сохраняется для «публичного» использования, часто юридически признавая официальным языком государства, языковой код с низким статусом предназначается для «домашнего» употребления.

Языковую ситуацию страны или региона можно охарактеризовать в соответствии с экстралингвистическими и социоллингвистическими параметрами. В экстралингвистическом плане ее оценивают по национальному составу населения, компактностью обитания этнических групп, сплоченностью представителей этнических групп в этнические меньшинства. В социоллингвистических исследованиях решающую роль играют статистические измерения (В.Русановский, В.Скляр, Н.Шумарова).

Современной языковой ситуации юго-восточного региона Украины присуще состояние билингвизма и диглоссии (В.Демченко, Л.Масенко, О.Тараненко, В.Русановский, У.Семчук). Основную двуязычную пару составляют украинский и русский языки. По последним статистическим данным, носителями украинского языка являются 44% населения, русского языка - 56% (Демченко В., 2001; Хмелько В., 2004; Скляр В., 2007), по другим данным, русскоязычных граждан насчитывается приблизительно «между половиной и третью населения» (М.Рябчук). Деление населения страны по языковому принципу на «украиноязычное» и «русскоязычное» осложняется тем, что оно является не сугубо этническим, а представляется этнолингвистическим. Имеющиеся демографические факторы образовали несбалансированную двуязычную ситуацию – непропорциональное соотношение между культурно - этнической и культурно - лингвистической идентичностью носителей языков. По данным всеукраинского опроса 2001 года, «официальными» украинцами считали себя 76% информантов, отождествляли себя с украинцами по этническому происхождению - 66 %, а отнесли себя к украиноязычным украинцам всего 48%. Обратная прогрессия наблюдается в русской этнической группе: среди всего населения они составляли 21%, а к русскоязычным себя отнесли 96% русских.

Асимметричный характер двуязычной ситуации Украины подтверждают исследования последних двадцати лет: Н.Шумарова, 1997 р.; В.Чемес, 2000 р.; В.Демченко, 2001 р.; Т.Бурда, 2002 р.; Ю.Саплин, 2002 р.; В.Хмелько, 2004 р.; Л.Масенко, 2010 р.; В.Скляр, в 2007 г. Процессы украинизации и русификации имеют выраженное региональное отличие и происходят в направлениях «Запад – Восток». Так, В.Скляр констатирует, что в период 1989 – 2001 гг. в западно - центральном векторе произошло на 27% сокращение лиц, которые считают русский язык родным; в юго-восточном векторе, напротив, их часть возросла на 33,2% (Скляр В., 2007). Таким образом, существенно большая часть украинцев, считающих родным русский язык, преимущественно сосредоточены в юго-восточном регионе – 87,9% от общего числа по Украине. По данным Л.Масенко, родным русский язык считают на Востоке 58,5% жителей, на Юге – 56,7%; украинский язык является родным для 25,8% на Востоке и 29,5% на Юге (Масенко Л., 2010).

Еще убедительнее относительно региональной языковой дифференциации выглядит статистика относительно самоопределения лиц с языком повседневного общения. Исключительно на русском языке на Востоке и Юге общаются от 43,9 до 49,0% лиц; преимущественно на русском – от 14,0 до 25,9% носителей; в равной степени на украинском и русском – от 17,1 до 21,6%; в большинстве ситуаций на украинском языке – от 10,2 до 3,7%; и только 6,3% жителей Юга и 1,5% жителей Востока общаются исключительно на украинском языке. Противоположная языковая ситуация отмечается на Западе, в Центре и Севере Украины (Масенко Л., 2010).

Ученые также отмечают уменьшение украиноязычного семейного общения от старшего к младшему поколению с региональным отличием. Наиболее интенсивно процессы перехода от украинского к русскому языку в семейном общении происходят в юго-восточном регионе. На Востоке показатели употребления русского языка в трех поколениях являются такими: 50,7%, 61,4% и 73,5% (и соответствующее уменьшение пользования украинским языком: 16,2%, 11,5% и 7,1%). На Юге возрастные показатели увеличения числа русскоговорящих представляются так: 56,1% представители старшего поколения; 58,0% - среднего поколения; 64,6% - молодежь (Масенко Л., 2010).

Данные Всеукраинской переписи населения 2001 г. зафиксировали значительные проценты свободно владеющих украинским (78% населения) и русским языком(78,4%). По математическим расчетам гипотетически величина пересечения множеств должна составлять группу автономных билингвов в 54%. Однако реально, в плане практического использования того и другого языков, двуязычие оказывается диглоссией, при которой использование двух языков выразительно разграничено в функционально-аксиологическом плане с их закреплением за разными стилями и сферами употребления и противопоставлением на шкале ценностей как более высокого и низкого функциональных типов языковых систем. «Переключение кода стало уже настолько привычным для украинцев, что для каждого языка они создали определенную нишу в своем языковом сознании, определили роль каждого из них в своей жизни» (Семчук У., 2007). Для большинства украинцев украинский язык является «внутренним» языком, средством межличностного общения внутри группы украиноязычных украинцев. Русский же является «внешним» языком, применяемым преимущественно украиноязычными носителями в смешанных двуязычных группах собеседников, а также в обращении к незнакомым лицам (Семчук У., 2007).

По мнению исследователей языковых проблем (Т.Бурда, Л.Ставицкая, У.Семчук, Н.Шумарова), двуязычие в Украине скорее всего можно охарактеризовать как «полуязычие», реальными проявлениями которого, во-первых, является суржик (со свойственной раздвоенностью языкового сознания, несовершенным владением ни одним языком, пребыванием на грани двух культур); во-вторых, диглоссия (использование языков по принципу престижности в разных коммуникативных ситуациях); в-третьих, сознательное переключение кода. У.Семчук отмечает, что в украинской языковой среде около 75% говорящих в определенных ситуациях пользуются разные языки, не считая это недостатком своего речевого поведения (Семчук У., 2007).

Украинский язык уступает русскому за показателем не только демографической, но и коммуникативной мощности. Исследователи (В.Гак, Р.Кись, Л.Масенко, У.Семчук, Л.Ставицкая и др.) считают, что выживание и развитие языка обеспечивается его использованием в трех сферах: в быту, в образовании и в общественной

жизни. Относительно украинского языка следует отметить, что в результате предшествующих ассимиляционных процессов он заметно менее употребим в семейном общении, на производстве и в быту. В сфере государственного управления всех уровней и в образовании системно нарушается взаимодействие письменных и разговорных стилей – украинский выступает языком отчетов и документации, а русский доминирует в неформальном общении и в официальных коммуникациях. Русский язык по количественным показателям пользователей языка в повседневном применении получает оценку языка-победителя (Демченко В., 2001). Еще менее заметную роль в языковой жизни поликультурного общества страны играют языки этнических меньшинств. Приобретая диалектные черты, этнические языки используются лишь на уровне семейного общения. Следовательно, по количеству сфер, в которых функционируют русский, украинский и национальные языки, языковую ситуацию можно считать диспропорциональной.

Исследователи социолингвистической ситуации в Украине (Е.Головаха, М.Вивчарик, В.Демченко, Р.Кись, Л.Масенко, О.Тараненко и др.) отмечают, что русский язык получил демографические преимущества в областных и районных городах, – а это указывает на низкую престижность украинского языка среди жителей городов. Звучание русского языка определяет языковой портрет большинства украинских городов южного и восточного регионов. Не может быть популярным тот язык, который не подтвержден мощным потенциалом современной урбанистической культуры, замечают исследователи (В.Демченко, 2001; Л.Масенко, 2010; В.Хмелько, 2004). Они отмечают возрастание престижности общения на русском языке среди городского населения. Чем больше город, тем меньше жители используют украинский язык в деловом и семейном общении, что подтверждает сужение сферы использования украинского языка в направлении от села к городу. Следовательно, несбалансированная, гипергlossная языковая ситуация в юго-восточном регионе Украины определяется не столько долей этнических русских (от 21,9% до 39%) и даже не значительным процентом украинцев, кто считает русский язык родным (10,2%), а в большей степени функциональным доминированием русского языка в украинских городах, связанных с процессами урбанизации.

Специфической чертой языковой ситуации Украины является распространение практически на всей ее территории смешанных украинско-русских речевых образований, которые возникают в результате хаотического смешивания элементов украинской и русской языковых систем. В научный дискурс это явление вошло под названием «суржик». «Семантическое ядро слова суржик совмещает два элемента значения – смешивание двух разных субстанций и снижение качества образованного в результате смешивания продукта», – замечает Л.Масенко (Масенко Л., 2010). Л.Ставицкая суржику дает такое определение: «это некодифицируемый разговорный язык, который возник как следствие массового длительного контактного украинско-русского двуязычия в его диглосной форме. Суржик появляется в результате системной интерференции на всех языковых уровнях; представляется цельнооформленными лексемами – суржикизмами, которые накладываются на украинскую или русскую языковую основу; обнаруживает себя на базе региональных разновидностей украинского языка, в разнотипных социально – корпоративных и коммуникативных сферах» (Ставицкая Л., 2007). Глубокое влияние суржика на сознание говорящих отмечают О.Сербенская, Л.Ставицкая, У.Семчук. Они считают суржик деформацией, изменяющей не только разные языковые уровни, а управляющей «гибридным языковым сознанием, которое активизирует готовые блоки, естественные для русского языка, только наполняя их украинскими словами (Семчук У., 2007).

Сегодня повсеместно на территории Юга и Востока Украины, среди всех социальных групп доминирует языковое образование смешанного типа с русской основой. В связи с широким распространением суржика ученые (М.Жуйкова, Р.Кись, Л.Масенко, В. Хмелько) видят опасную тенденцию для функционирования украинского языка. Смешанный субкод, каким выступает суржик, для украиноязычных носителей является промежуточной фазой перехода на русскоязычный код общения. «Смешанный украинско-русский идиом формируется как переходный от украинской к русской речи и подтверждает асимметричный характер взаимодействия двух контактирующих языков – влияние русского языка на украинский обнаруживает значительно большую мощь, что приводит к размытию как стандартного, так и диалектного узуса украинского языка и формирует смешанные формы речи, которые имеют свойства временных образований, переходных к русскоязычному общению (Масенко Л., 2010). Переход суржикоговорящих групп к русскоязычным подтверждают данные исследований В.Хмелько: в целом в Украине количество пользователей русского языка с 2000 года до 2003 выросло на 3,4% за счет суржикоязычного населения. Суржик представляет угрозу именно украинскому языку, размывая его нормы, потому что получает распространение в среде этнических украинцев. Использование смеси украинского и русского языков зафиксировано среди 14% этнических украинцев, тогда как среди этнических русских носители суржика составляют лишь 5%, а среди представителей других этнических групп – от 5 до 10% (Хмелько В., 2004).

Языковой выбор двуязычных лиц в ситуации билингвизма исследовали Т.Бурда и У.Семчук. Ученые отмечают низкий языковой иммунитет украиноязычных лиц. Сознательное изменение языкового кода на русскоязычный ими мотивируется, во-первых, нежеланием отличаться от окружения, во-вторых, стремлением быстро достичь взаимопонимания с собеседниками, в-третьих, уверенностью в непонимании русскоязычным собеседником сложных конструкций украинского языка, в-четвертых, русифицированностью окружения. Русскоязычные лица, владеющие украинским языком, всегда отдадут предпочтение русскому языку, ссылаясь на несовершенное владение украинским языком. В их жизни этот язык играет специфическую роль: как

государственный, он выполняет функции ограниченного коммуникативного кода в регламентированных ситуациях, но чаще выступает «профессиональным» языком для производственной деятельности и карьеры.

По особенностям фактического контакта компонентов билингвизма в регионе с позиций социолингвистики можно определить несколько типов билингвизма. По количеству обладателей билингвизма в пределах региона есть основания считать его массовым. По уровню языковой компетенции (в плане соответствия литературным нормам), он по большей части является односторонне нормативным, если функционально второй язык, а таким в нашем случае выступает украинский язык, реализуется с нарушениями литературной нормы, с заметным интерферентным влиянием русского языка. По характеру использования языков - компонентов билингвизма, двуязычность является частичной, поскольку умение пользоваться вторым языком лишь в отдельных ситуациях общения обнаруживает подавляющее большинство жителей региона. Исследования фиксируют низкую степень заинтересованности носителей русского языка как первого в активном владении языком коренной национальности – всего 3,9%, поэтому ученые склонны считать русско-национальную разновидность двуязычия пассивной, в отличие от национально – русского двуязычия (В.Демченко, О.Тараненко, У.Семчук).

Чрезвычайно важно в характеристике языковой ситуации было бы отметить, что функцию межнационального общения выполняет русский язык, а не украинский, что было бы закономерным для государственного языка. Согласно переписи в 2001 г. родным русский язык назвали 88,5% греков, 83,% евреев, 64,7% немцев, 62,5% белорусов, 58,7% татар, 54,4% грузин, 43% армян, 38% азербайджанцев, 30,3% болгар.

Со становлением Украины как самостоятельного государства языковая ситуация постепенно изменяется. Специфика нынешней языковой ситуации заключается в том, что более низкая, сравнительно с русским, коммуникативная мощность украинского языка входит в противоречие с достаточно высоким уровнем его престижности. Исследователи (Л.Биланюк, В.Демченко, Л.Масенко, Л.Ставицкая, О.Тараненко) отмечают изменения в языковом поведении говорящих в связи с новым статусом украинского языка. Происходит медленное расширение диапазона социального функционирования украинского языка, хотя и с региональной спецификой. По данным социологического опроса, большинство информантов (42,5%) отдают предпочтение двуязычному будущему своих детей и социума в целом, тогда как за украинское одноязычие высказались 31,9% информантов, а за русское одноязычие – 22,5%. В целом же можно говорить об изменении массового сознания в пользу украинского языка (Масенко Л., 2010).

Изучение демографических данных дает основания утверждать, что языковую ситуацию по количественному признаку можно определить как поликомпонентную, т.к. насчитывается больше 10 языков (украинский, русский, болгарский, греческий, крымскотатарский, армянский но др.), неуравновешенную многополюсную, поскольку доминируют два этнических языка. Мощность языков этнических меньшинств составляет непропорционально малый процент по отношению к доминирующим украинскому и русскому языкам – всего 3,8%. Исследования указывают на несколько причин низкой функциональности большинства языков этнических сообществ: во-первых, этнофоны имеют дисперсное расселение и не образуют достаточной массы для создания социальных институтов (учреждений образования, издательств, обществ и т.п.); во-вторых, для незначительного процента носителей этнокультуры национальный язык в сугубо прагматическом плане выполняет роль первичного языка, прокладывая путь к более престижным и коммуникативно значимым языкам; в-третьих, этнические языки выполняют функцию средства внутриэтнического общения, ограничиваясь узкими семейно - бытовыми рамками; задекларированное право представителей различных этноязыковых групп изучать язык коренного этноса остается не реализованным также по причине организационно - управленческого характера.

Однако, сегодня наметились смещения концентров в сфере образования в пользу поликультурного образования и, в частности, представительства всех языков и культур в общеукраинском образовательном пространстве. Законодательно признанное право получать образование на родном языке стало общим, что принципиально расширяет рамки функционирования этнических языков в образовании.

ЛІТЕРАТУРА:

1. Демченко В. Мовне середовище / Екстралінгвістичний нарис про Південь України: моногр. / В.Демченко. – Херсон: Олді-плюс, 2001. – 200 с.
2. Масенко Л. Нариси з психолінгвістики: моногр. / Л.Масенко. – К.: Видав. дім «Києво-Могилянська академія», 2010 – 243 с.
3. Семчук У. Білінгвізм як термін і двомовність як гасло. Фактори впливу на вибір мови і мовну політику / У.Семчук // Урок української. – 2007. – № 2/3. – С.4-7.
4. Скляр В. Реалії етнічного складу населення України / В.Скляр // Слово Просвіти. – 2007. – № 42. – С. 18-23.
5. Ставицька Л. Суржик: між, мова, комунікація / Л.Ставицька, В.Труб // Україно-російська двомовність. Лінгвосоціокультурні аспекти. – К., 2007. – С. 31-120.
6. Хмелько В. Лінгво-етнічна структура України: регіональні особливості й тенденції змін за роки незалежності / В.С.Хмелько // Наукові записки НаУКМА. – К., 2004. – Т.32: Соціологічні науки. – С.3-15.
7. Швейцер А.Д. Введение в социолінгвістику: учеб. пособ. / А.Д.Швейцер, Л.Б.Никольский. – М.: Высшая школа, 1978. – 216 с.

LINGUISTIC SITUATION OF THE SOUTH-EAST REGION AND TAKING INTO CONSIDERATION IT'S INFLUENCE ON TO THE PROCESS OF EDUCATION OF PRESCHOOL CHILDREN OF THE UKRAINIAN LANGUAGE

Larisa Kazanceva, Berdyansk State Pedagogical University, Director of the Institute of Social-Pedagogical and Correctional Education

Annotation: Peculiarities of the linguistic situation of the south-east region of Ukraine are determined, the characteristics of the sociolinguistic environment as a factor of the formation of a preschool child's personality are given.

Key words: linguistic situation, sociolinguistic environment, bilingualism, vernacular, dominant language, Ukrainian-speaking, Russian-speaking.

ზმნური წარმოშობის ტოპონიმები ფრონეს ხეობის ქართულში

მარიამ კობერიძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: maikoberidze@gmail.com

როგორც ცნობილია, ქართული ენის ლექსიკურ ფონდში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტოპონიმებს. ტოპონიმური ტერმინოლოგია წარმოიშობა ისტორიული, პოლიტიკური და კულტურული განვითარების შედეგად. „თავდაპირველად ადგილს ერთი სახელი ჰქონდა და იგი საყოველთაოდ იყო ცნობილი. სახელის დარქმევამი შემთხვევითობა მცირე როლს თამაშობდა. ტოპონიმთა სისტემაში დაცული იყო გარკვეული კანონზომიერება, ნიშნები, ფერი“ (ალ. ლლონტი, 1988, გვ. 210).

ფრონეს ხეობა გამოირჩევა ტოპონიმების სიმდიდრით. მასში ასახულია მოსახლეობის ცვლა და სიჭრელე, გონებამახვილობა, შემოქმედება, ეთნოგრაფიული სინამდვილე, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარება, ტყეების გაჩეხვა, ძველი ობიექტების გაქრობა და ახლის წარმოშობა, არსებულ სახელწოდებათა დავიწყება, ან სხვა ტერმინებით შეცვლა, საგნის ნიშან-თვისების გამოხატვა.

ფრონეს ხეობა ქართლის იმ მიწა-წყალს მოიცავს, სადაც ფრონედ წოდებულ მდინარეთა (დვანისწყალი, ფვისწყალი, ალისწყალი, სურამისწყალი) აუზებია განლაგებული. გეოგრაფიულად ესაა ვაკე და დაბალგორიანი დასახლების ზოლი, რომელიც მუდამ იყო გარეშე მტრების თავდასხმისა და ქართველთა თავდაცვის ასპარეზი. მიგრაციის შედეგად მესხეთ-ჯავახეთიდან, ცენტრალური ქართლიდან, იმერეთიდან, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებიდან გადმოსახლებული მოსახლეობის სიჭრელე-წარმოშობას გამოუწვევია მეტყველების დიალექტური ნორმების აღრევა. ამიტომ, საკვლევი ტერიტორიის ტოპონიმებისათვის ნიშანდობლივია ის ფონეტიკური პროცესები, რაც ქართლური დიალექტისა და ქართული ენის სხვა დიალექტებისათვის არის დამახასიათებელი.

ფრონეს ხეობის ტოპონიმთა ერთ ნაწილში საყრდენი ფუძე ზმნური წარმოშობისაა: ძირითადად გამოიყოფა პრეფიქსით, სუფიქსით, პრეფიქს-სუფიქსით და სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ფორმები.

წარმოქმნილ ტოპონიმებში მიმდებარე ფორმები იჭერს განსაკუთრებულ ადგილს. სა-აწარმოებს „მყოფადი დროის მიმდებარე საშუალო და ვნებითი გვარის ზმნებისაგან, ნა- ნამყო დროის მიმდებარე აგრეთვე საშუალო და ვნებითი გვარის შინაარსით...“ (არნ. ჩიქობავა, 1942, გვ. 183). თ. ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ „ქართულში ტოპონიმთა ოდენ პრეფიქსული წარმოება ნაკლებ გავრცელებულია, რადგან ნა- და სა- მაწარმოებელი პრეფიქსები, ჩვეულებრივ, სუფიქსებთან ერთად აწარმოებენ ვნებითი გვარის მიმდებარე, წინავითარების ან დანიშნულების სახელებს, რომელნიც ტოპონიმებად გამოიყენება“ (თ. ზურაბიშვილი, 1961, გვ. 140).

ნა- პრეფიქსიანი ტოპონიმები: ნა-დენ-ი (←იდენება. სათესი ადგილი ბუღაურში), ნა-თალი (←ითლება. დელისწყლი ბუღაურისციხეში, უერთდება მდინარე შოლას), ნა-რუჯი (←ირუჯება. ტყიანი ადგილი ალში), ნა-ყიდები (←იყიდება. სათესი ადგილი ფლევიში); ნა-ჩეხები (←იჩეხება. ადგილი მოხისში)...

სა- პრეფიქსიანი ტოპონიმები: ამო-სა-წევი (←იწევა. სათესი ადგილი მონასტერში), გადა-სა-ხედი (←იხედება. ადგილი დიდყელეთში), სა-ყრები (← იყრება. სათესი ადგილი ქალეთში), სა-ქოლავი

(←**იქლება**. მთიანი ადგილი ბრილსა და ცედანს შორის. ძველად აქ დამნაშავეებს ქოლავდენ.), **სა-მაღავი** (←**მაღლება**. გვირაბი, ადგილი ტკოცაში), **სა-ჩქეფი** (←**ჩქეფება**. ღელე ცხრამუხაში)...

წარმოდგენილი ტოპონიმები საზღვრულის გარეშე დასტურდება. მ. ქამადაძის აზრით, ამ ტიპის ტოპონიმებთან იგულისხმება საზღვრული წევრი (ადგილი, ჭალა, გზა...), რომელიც დროთა განმავლობაში დაკარგულა. როგორც ჩანს, „საზღვრული სახელის დაკარგვამ განაპირობა მსაზღვრელის გამოყენება გეოგრაფიულ სახელად“ (ფ. მაკალათია, 1976, გვ. 30).

ტოპონიმთა შორის გარკვეული ადგილი უჭირავს ვნებითი გვარის **-ილ**, **-ულ** სუფიქსიან ფორმებს: **ჩაკეც-ილ-ა** (← **იკეცება**. სამოვარი ადგილი ქვიშხეთში), **ჩამორეცხ-ილ-ი** (←**ირეცხება**. ადგილი ბრილში), **მოდრეკ-ილ-ებ-ი** (←**იდრიკება**. სათესი ადგილი დუმაცხოვში), **დაღალ-ულ-ა** (←**იღლება**. გამოფიტული, სათესად გამოუყენებელი ადგილი ტახტისძირში; სალოცავი ადგილი გომში), **დაღარ-ულ-ა** (← **იღარება**. წყლისაგან ჩამორეცხილი ადგილი გომში), **ჩაკიდ-ულ-ა** (← **იკიდება**. სათესი ადგილი დვანში), **ძლე-ულ-ი** (←**იძლევა**. ადგილი სოფ. იტრიაში), **დამჩხრე-ულ-ა** (←**იმჩხრევა**. მდინარე ცხრამუხაში).

დასახელებულ ფორმებში უმეტესად შენარჩუნებულია ზმნისწინი, რომელიც აქაც პირველ ადგილზეა, სხვა აფიქსები კი მის შემდეგაა. ზმნისწინს ასეთ ფორმებთანაც შენარჩუნებული აქვს ზოგიერთი ფუნქცია: გამოხატავს მიმართულებას, აწარმოებს სრულ ასპექტს".

ჩამოთვლილ ტოპონიმებში **-ილ**, **-ულ** სუფიქსთან ერთად დასტურდება **-ა-ც**.

თ. ზურაბიშვილი აღნიშნავს, რომ ტოპონიმიურ სახელებში დადასტურებულ **-ა-ს** დღეს კინობითობის ნაწილაკს უწოდებენ და რიგ სხვა სახელებში ის, მართლაც, ამ ფუნქციით იხმარება, მაგრამ გეოგრაფიული სახელების მიმართ ამის თქმა გაჭირდებოდა. აქ მას ქონების, მსგავსების, თვისების მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს (თ. ზურაბიშვილი, 1961, გვ. 151). მსგავს შემთხვევაში გამოვლენილ **-ა** სუფიქსს ა. შანიძე კინობითობის სუფიქსად მიიჩნევს (ა. შანიძე, 1980, გვ. 120). ზოგ ტოპონიმში **-ა** შესაძლებელია, მართლაც, კინობითობის სუფიქსია ან მსგავსების, თვისების მნიშვნელობის მქონე, ზოგი ტოპონიმში კი საზღვრულდაკარგული მსაზღვრელი ჩანს წარმოშობით (მასში ა ხმოვანი საზღვრულის ერთგვარი წარმომადგენელია). ამ ტოპონიმთა საწარმოებელ ფუძედ აღებულია ზედსართავი სახელი ან მიმლეობა (ფ. მაკალათია, 1976, გვ. 30).

ფრონეს ხეობის გეოგრაფიულ სახელთა პრეფიქს-სუფიქსური წარმოების დროს პრეფიქსებად ჩვეულებრივ გამოყენებულია **სა-** და **ნა-**, ხოლო სუფიქსებად ყველა ის სუფიქსი, რომელიც სუფიქსურ წარმოებაში გვხვდება: **ნა--არ// ნა--არ-ა: ნა-ხვრეტ-არ-ა** (ადგილი ქვიშხეთში, სადაც მდინარე შოლა უერთდება მტკვარს); **ნა-ჩხუბ-არ-ა** (ახო ალიმბარში, ზნაურის რაიონში); **სა-ელ//სა-ელ-ა: სა-ბერვ-ელ-ა** (ადგილი ზნაურში); **სა-რტყ-ელ-ა** (ადგილი ახალმენში); **სა-ჩქეფ-ელ-ა** (სახნავი ადგილი; ჩანჩქერი ზნაურის რაიონში).

ყურადღებას იქცევს ტოპონიმი --- **სამყვირალო** (სახნავი ადგილი ფლევში, სალოცავი ალში). ხალხური გადმოცემით აქ ტყე იყო, ირმები ჩამოდიოდნენ და ყვიროდნენო. ეს ტოპონიმი დაფიქსირებული აქვს ალ. ღლონტს (ალ. ღლონტი, 1988, გვ. 65). აღნიშნული ტოპონიმი საყურადღებოა რამდენიმე მაწარმოებელი პრეფიქს-სუფიქსით: **სა-მ-ყვირ-ალ-ო** (←**მ-ყვირ-ალ-ი** ←**ყვირის**). აქ რამდენიმე მაწარმოებელი აფიქსი შეიძლება გამოვყოთ: **მა-ალ** (ვნებითი გვარის მაწარმოებელი პრეფიქს-სუფიქსი), **სა-** პრეფიქსი (მომავალი დროის ვნებითი გვარის მიმლეობის მაწარმოებელი), **-ო** სუფიქსი. საინტერესოა, რა წარმოშობისაა **-ო** მაწარმოებელი აღნიშნულ ტოპონიმში? ვარაუდობენ, რომ ქართულში **-ო** ხმოვნით ნაწარმოები სახელები გამოიყენება ტოპონიმებად. მაგ., დობირო.. ტაო.. (თ. ზურაბიშვილი, 1961, გვ. 152). **-ო** მაწარმოებლიან ფშაურ ტოპონიმთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია: გვერდო, ყანო, ფერდო (ფერდო, როგორც დამოუკიდებელი საზოგადო სახელი, იხმარება ფშაურ დიალექტში); ამკარაა ამ სახელებთან **-ო** არ წარმოადგენს ძირის კუთვნილებას (შდრ. გვერდ-ი, გვერდ-ალ-ი, გერდ-ო, ფერდ-ი, ნა-ფერდ-ალ-ი, ფერდ-ობ-ი, ფერდ-ო ყანა, სა-ყან-ე, ყან-ობ-ი, ყან-ობ-ირ-ი, ყან-ო) (ფ. მაკალათია, 1976, გვ. 48). როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, „ქართულში გვაქვს სახელის ფუძეზე **-ე** ან **-ო** ხმოვნის დართვის შემთხვევებიც კუთხ-(ი) → კუთხ-ე.. წვერ-ი → წვერ-ო.. ქართულში **-ა**, **-ე** და **-ო** ხმოვნები სახელთა ფუძის ერთნაირი სახის გართულებასთან უნდა გვქონდეს საქმე. ამიტომ სახელთა ფუძეზე დართულ ამ ხმოვანთა ფუნქციის გამორკვევა შესაძლებელია ერთ ასპექტში მოხერხდეს" (ა. მანჯგალაძე, 1956, გვ. 185-186). ჩვენი მასალებისა და საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული მოსაზრების საფუძველზე, ვფიქრობთ, **ო-ს** წარმომავლობა ასე შეიძლება ვივარაუდოთ: **ო ←ობ-ა: ყვირის → მ-ყვირ-ალ-ი ← მ-ყვირ-ალ-ობ-ა → მ-ყვირ-ალ-ო**. საინტერესოა, რა დანიშნულებისაა თვით **ობ-ა** ტოპონიმში. ა. შანიძის აზრით, **ობ-ა** სუფიქსი მასდარული წარმოშობისაა და რთულია (ა. შანიძე, 1980, გვ. 120). თ. ზურაბიშვილის მოსაზრებით: „გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად გამოყენებულია აგრეთვე **-ობ//ობ-ა** ბოლოსართიც, რომელიც საერთოდ აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს: ტოპონიმიურ სახელებში კი მას კრებითი,

ქონების მნიშვნელობა აქვს. ესენია: კუერცხობი, ორჭობი, იფნობი, ვაშლობი (თ. ზურაბიშვილი, 1961, გვ. 151).

აღნიშნული წარმოშობისა ჩანს -ო სუფიქსი ტოპონიმში **საზიარო** (←სა-ზიარ-ობა. ადგილი ალში).

ნა- პრეფიქსით ნაწარმოები მიმღეობური ტოპონიმები ზოგ შემთხვევაში -ავ სუფიქსი ჩამომორებულია და ნა- მართო ფუძეზეა დართული: ნა-რუჯ-ი, ნა-ჩეხ-ი. საინტერესოა ტოპონიმი ნა-ბარ-ევ-ი (←ბარავს), ფრინევი (←ფრინავს). აქ გასათვალისწინებელია მოსაზრება: „ავ სუფიქსები ძველად ნა-დართულ მიმღეობებში ევ-ად გადაკეთდებოდა. ნა-მალ-ევ-ი, ნა-პარ-ევ-ი და მისთ" (ა. შანიძე, 1980, გვ. 575).

ნა- პრეფიქსი მიმღეობის საწარმოებლად საკმარისი არ არის და ზოგჯერ მას ერთვის სუფიქსი -არ: **ნა-ხვეტ-არ-ი** (←ნა-ხვეტი←იხვეტება). ქართულში ასეთი შემთხვევებზე მიუთითებს ა. შანიძე (ა. შანიძე, 1980, გვ.575).

საინტერესოა ტოპონიმი- **მიძინარეთები**, სადაც **მ-არ** პრეფიქს-სუფიქსი საშუალი გვარის მიმღეობის მაწარმოებელი ჩანს. ცალკე გამოიყოფა -ეთ, -ებ სუფიქსები. ქართულში გავაქვს შემთხვევები, როდესაც ერთ მაწარმოებლად დასტურდება -ეთ სუფიქსი, მეორე მაწარმოებლად -ებ სუფიქსი დაერთვით: თეთრი-ეთ-ებ-ი.. (მ. ქამადაძე, 1992, გვ 25). ასეთივე წარმოებისა ჩანს- **ნა-მყნ-ეთ-ი** (ადგილი თერეგვანში).

-ებ მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი ტოპონიმები: **დანგრეულ-ებ-ი** (ადგილი ტკოცაში); **შიშშილ-ებ-ი** (სათესი ადგილი ბრეძაში); **დატოვებულ-ებ-ი** (სათესი ადგილი ქაშუეთში); **მიძინარეთ-ებ-ი** (სათესი ადგილი დირბში); **ნაომრ-ებ-ი** (სათესი ადგილი მოხისში); **ნა-ჩეხები** (სათესი ადგილი მოხისში); **ნაჩეხ-ებ-ი** (ადგილი, ტყე ახალუბანში, მოხისში); **ნახვეტ-ებ-ი** (ადგილი ტაშისკარში).

ფრონეს ხეობაში სიტყვათშეერთებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები ჩვეულებრივ კომპოზიტი მსაზღვრელ-საზღვრულია (ატრიბუტული ან სუბსტანტიური).

მსაზღვრელი არსებითი სახელია, საზღვრული--ნაზმნარი სახელი: **ალაგინაშენი** (←ალაგი+ნაშენი. ადგილი ზეკოტაში); **წყალთაშუნაკვეთი** (სათესი ადგილი ბრეძაში); **წყალგამყოფი** (←წყალ+გამყოფი. ოთხი გორაკი: ახალშენისგორა, მსხლითისერი, კობერაანთგორა, ოქონისგორა ერთად წყალგამყოფად იწოდებოდა); **ჭადიჭამია** (მთა ბიჯნისში); **ჭადიჭამიასწყალი** (წყარო ბიჯნისში).

ა. შანიძეს ცალკე აქვს გამოყოფილი ჭამია, ყლაპია, პარია, ხარშია ფორმები, რომელთა შესახებ მიუთითებს, რომ მიმღეობის ფორმები არ არიან, მაგრამ შინაარსით მიმღეობას უახლოვდებიან რამდენიმე ფუძისაგან -ია-თი ნაწარმოები ფორმები (ა. შანიძე, 1980, გვ. 593).

მსაზღვრელი ნაზმნარი სახელია, საზღვრული-არსებითი სახელი: **ყვირილატბა** (ტბა ბულბულისციხეში); **ძლეულისღელე** (ადგილი იტრიაში); **მხიარულისწყალი** (წყარო ჩუმათელეთში); **გასავლისტყე** (ადგილი ბრილში); **მშიერმამული** (ადგილი ახალშენში).

დასახელებულ ფორმებში შენარჩუნებულია ზმნისწინი, რომელიც აქაც პირველ ადგილზეა, სხვა აფიქსები კი მის შემდეგაა. ზმნისწინს ასეთ გასუბსტანტივებულ ფორმებთანაც შენარჩუნებული აქვს ზოგიერთი ფუნქცია: გამოხატავს მიმართულებას, აწარმოებს სრულ ასპექტს" (მ. ქამადაძე, 1992, გვ.35).

ამრიგად, ჩვენ მიერ მოძიებული ფრონეს ხეობის ზმნური წარმოშობის ტოპონიმიური მასალა ძირითად წარმოდგენილია პრეფიქსული, სუფიქსური, პრეფიქსურ-სუფიქსური და სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ფორმებით. მასში ასახულია მოსახლეობის ცვლა და სიჭრელე, გონებამახვილობა, შემოქმედება, ეთნოგრაფიული სინამდვილე, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარება, ტყეების გაჩეხვა, ძველი ობიექტების გაქრობა და ახლის წარმოშობა, არსებულ სახელწოდებათა დავიწყება, ან სხვა ტერმინებით შეცვლა, საგნის ნიშან-თვისების გამოხატვა.

ლიტერატურა:

1. თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბ., 1961.
2. ფ. მაკალათია, არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმიკა და ტოპონიმები, თბ., 1976.
3. ა. მანჯგალაძე, ა ხმოვანზე დასრულებული ზოგი სახელის ფუძის აგებულებისათვის ქართულში: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956.
4. მ. ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმია, თბ., 1992.
5. ალ. ღლონტი, ფრონეების ხეობების ტოპონიმია: ტოპონიმიური ძიებანი, VII, თბ., 1988.
6. ალ. ღლონტი, ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 1988.
7. ა. შანიძე, თხზ. ტ. III, თბ., 1980.
8. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.

რეზიუმე

ფრონეს ხეობის გეოგრაფიულ სახელებში წარმოების თვალსაზრისით გამოიყოფა ტოპონიმთა ერთობ საინტერესო ფენა: **სამალავი** (ადგილი ტკოცაში); **სალხინო** (ადგილი ბულბულისციხეში); **საკიდო** (ადგილი ვაკაში); **საჩქეფი** (ღელე ცხრამუხაში); **ძლეული** (ადგილი სოფ. იტრიაში); **ფრინევი** (სოფელი ზნაურის რაიონში) ...

ასეთი ტოპონიმების საყრდენი ფუძე ზმნური წარმომავლობისაა: **ჩაკეცილა** (← იკეცება. სამოვარი ადგილი ქვიშხეთში); **ჩაკიდულა** (← იკიდება. სათესი ადგილი დვანში); **ფხაკები** (თიხნარი ადგილი დვანში); **მოხვეულა** (← იხვევა. სათესი ადგილი ავლევიში).

საკვლევი ტერიტორიის ტოპონიმებისათვის ნიშანდობლივია ის ფონეტიკური პროცესები, რაც ქართლური დიალექტისათვის არის დამახასიათებელი.

წარმოქმნილ ტოპონიმებში მიმდებარე ფორმები იჭერს განსაკუთრებულ ადგილს. ყველაზე უფრო გავრცელებულია ვნებითი გვარის მიმდებარე -**ილ** და -**ულ** სუფიქსიანი ფორმები: ტოპონიმები: **ჩაკეც-ილ-ა** (← იკეცება. სამოვარი ადგილი ქვიშხეთში); **ჩამორეცხ-ილ-ი** (← იკეცება. ადგილი ბრილში); **მოდრეკ-ილ-ებ-ი** (← იდრიკება. სათესი ადგილი დუმაცხოვში); **დაღალ-ულ-ა** (← იღლება. გამოფიტული, სათესად გამოუყენებელი ადგილი ტახტისძირში; სალოცავი ადგილი გომში); **დაღარ-ულ-ა** (წყლისაგან ჩამორეცხილი ადგილი გომში); **ჩაკიდ-ულ-ა** (← იკიდება. სათესი ადგილი დვანში); **ძლე-ულ-ი** (← იძლევა. ადგილი სოფ. იტრიაში); **დამჩხრე-ულ-ა** (← იმჩხრევა. მდინარე ცხრამუხაში); **ჩაკეც-ილ-ა** (← იკეცება. სამოვარი ადგილი ქვიშხეთში); **ჩამორეცხ-ილ-ი** (← იკეცება. ადგილი ბრილში); **მოდრეკ-ილ-ებ-ი** (← იდრიკება. სათესი ადგილი დუმაცხოვში). დასახელებულ ფორმებში შენარჩუნებულია ზმნისწინი. ზმნისწინს შენარჩუნებული აქვს ზოგიერთი ფუნქცია: გამოხატავს მიმართულებას, აწარმოებს სრულ ასპექტს.

TOPONYMS FROM VERBAL ORIGIN IN TVE KARTLURI LANGUAGE IN PRONE GORGE

Mariam Koberidze, Gori State Teaching University, Full Professor

RESUME

There are very interesting toponyms in tve Geographical names of Prone gorge: samalavi (a place in Tkotsa); Salkino (a place in Bulbulistsikhe); Sakido (a place in Vaka); Sachkepi (a spring in Tskramukha); Zleuli (a place in the village Itria); Prinevi (a village in znauri region).

In such toponyms the stem has verbal origin: chaketsila (← iketseba, a place for pasture in Kvishkeheti); Chakidula (← ikideba, a place for seeding in Avlevi).

The phonetical processes What are characteristic for the Kartluri dialect are characteristic features for the toponyms of searching territory.

The forms of participle are important in the formed toponyms. The most common are the forms of passive voice with -il and -ul suffixes Toponyms: chakets -il -a (← iketseba. a place for pasture Kvishkeheti); Chamoretskh -il -i (← iketseba. a place in Brili); Modrek-il-eb-i (← idrikeba. place for seeding in dumatskhovshi); dagal-ul-a (← igleba. not seeding place in Takhtisdziri. a place for praying); dagarul-a (a place washed by water in Gomi); chakid-ul-a (← ikideba, a place for seeding in Dvani); dzle-ul-i (← idzleva, a place in the village Itria); damchkhre-ul-a (← imchkhreva, a river in Tskramukha); chakets-il-a (← iketseba. a place for pasture in Kvishkeheti); chamoretskh-il-i (← iketseba, a place in Brili); modrek-il-eb-i (← idrikeba, a place for seeding in Dumatskhovi). Prefix -is kept in the mentioned forms. prefix keeps some functions in such forms. They express direction and form the perfect aspect.

სემანტიკური გაუმჭვირვალობის საკითხი "maul-" ელემენტით შედგენილ სიტყვებში (ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევა)

ლელა მახვილაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, დოქტორი
E-mail: lelamakhviladze@gmail.com

ხშირად ენაში ერთი თაობისათვის გასაგები, მოტივაციურად გამჭვირვალე სიტყვები სხვადასხვა მიზეზით (მაგალითად, ენიდან მარტივი სიტყვის გაქრობით, რის შედეგადაც ამ კომპონენტით შედგენილი კომპლექსური სიტყვა აღარ არის მოტივირებული) მომდევნო თაობებისათვის გაუმგებარი ხდება; ასევე კანონზომიერი ბგერითი ცვლილებები ზოგჯერ კომპლექსურ სიტყვებში იწვევენ თავისი შემადგენელი კომპონენტების ან წევრების მოტივაციის გაბუნდოვნებას (Olsen, 1986, 15). (ისტორიული რთული სიტყვების ეტიმოლოგიური გამჭვირვალობის დაკარგვის გამოწვევი მიზეზების შესახებ იხ. მაგ., Hirt 1921, 351-52; Henzen, 1965, 45-46; 74-75). ო. ბეჰაგელმა ასეთ სიტყვებს "sprachliche Versteinerungen" ("ენობრივი ფიქსაციები") უწოდა (Behaghel, 1927, 214-15). ვ. ფლაიშერის და ი. ბარცის მიხედვით ისინი იზოლირებული სიტყვებია, "რომელთა სიტყვაწარმოებითი სტრუქტურის გარკვევა მხოლოდ ისტორიულ-ეტიმოლოგიურ დონეზე შესაძლებელია" (Fleischer/Barz, 2007, 18).

გერმანული ენის სიტყვაწარმოებით სისტემაში განიხილავენ მორფემული წარმოშობის სემანტიკურად გაუმჭვირვალე სტრუქტურულ ელემენტებს. ასეთი ენობრივი ერთეულები სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინითაა ცნობილი, მაგალითად: უნიკალური ან ბლოკირებული მორფემები, ფსევდომორფემები, ნარჩენი ელემენტები და მისთ. ლინგვისტების მიდგომა ამ ტიპის ერთეულებთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია დეფინიციურ პლანშიც (იხ. მახვილაძე, 2000). ისინი ენიდან დამოუკიდებელი ხმარებიდან დაკარგული სიტყვების "ფიქსაციებია", რომლებიც შემორჩნენ ცალკეულ შეკავშირებებსა და ფრაზეოლოგიზმებში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნიკალური ფსევდომორფემა ან კვაზიმორფემა არის ენობრივი ელემენტი, რომელიც ენაში გამოდის მხოლოდ ერთხელ მირეულ ან სიტყვაწარმოებელ მორფემასთან ერთად შეკავშირებაში. არაუნიკალური ფსევდომორფემა (ან კვაზიმორფემა) კი ენაში გვხვდება განმეორებით - ორ ან მეტ სიტყვაში. ფსევდომორფემები ისტორიულად თავისუფალი მორფემებია. სინქრონიულ დონეზე მათ აღარ აქვთ თავისი ლექსიკური მნიშვნელობა. მისი დადგენა შეიძლება მხოლოდ ეტიმოლოგიური ანალიზით. ფსევდომორფემები სიტყვაში გამოწვევდება მხოლოდ სრულფასოვანი მორფემის მოცილებით (იქვე). კომპლექსური სიტყვები უნიკალური ერთეულებით სინქრონიულ დონეზე განიხილება როგორც დემოტივირებული სიტყვები (Barz, 2009, 652).

პოლუსებს შორის "მოტივირებული" და "დემოტივირებული" არსებობს "ფართო გარდამავალი ზონა მრავალი საფეხურით" ("eine breite Übergangszone mit vielen Abstufungen") (იქვე, 637). გავრცელებულია სამსაფეხურიანი სკალა: "სრულად მოტივირებული", "ნაწილობრივ მოტივირებული", "იდიომატური" (იხ. Käge, 1980, 12-13; შდრ., Saussure, 2001, 156-58: "შედარებით მოტივირებული"). დემოტივაცია დიაქრონიული პროცესია. დემოტივირებულ სიტყვებს ისტორიული სიტყვაწარმოება შეისწავლის. სინქრონიულ კვლევაზე ორიენტირებული სიტყვაწარმოება კი შეისწავლის სრულად მოტივირებულ და ნაწილობრივ მოტივირებულ სიტყვებს და "გამოიყენებს ისტორიულ ასპექტს უპირველეს ყოვლისა თანამედროვე მოვლენების ასახსნელად" (Barz, 2009, 639). როგორც ვ. ფლაიშერი აღნიშნავს, ასეთ შემთხვევებში

"არ იქნებოდა მიზანშეწონილი დინამიური ელემენტის უგულვებლყოფა სინქრონიული აღწერიდან [...]. რა თქმა უნდა დიაქრონიული განხილვა უნდა ემსახურებოდეს ენის სისტემის სინქრონიულ აღწერას" (Fleischer, 1976, 24-25).

ენის შესწავლის ამ ორი ასპექტის ერთდროულ გამოყენებაზე მიუთითებენ სხვა ენათმეცნიერებიც (მაგ., Saussure, 2001, 121-122; Erben, 2006, 57; Степанова, 1972, 5).

უნდა ითქვას, რომ ხშირად ენის მატარებელი ერთნაირი ან მსგავსი ბგერითი ფორმის ელემენტებს ერთმანეთს უკავშირებს, მაშინაც კი, როდესაც მათ ფაქტობრივად ისტორიული თვალთახედვით არაფერი აქვთ საერთო. წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ "maul-" ელემენტის სემანტიკური გაუმჭვირვალობის საკითხს ისტორიულ რთულ სიტყვებში: "Maulesel"/ "Maultier", "Maulwurf", "Maulbeere" და წარმოვადგინთ ამ ერთმანეთისაგან განსხვავებული ენობრივი ერთეულების ფორმირების ისტორიულ ეტაპებს გერმანულ ენაში; ეს ნიშნავს: ეტიმოლოგიური კვლევით გამოვკვეთავთ მათ ისტორიულ-ენობრივ გზას თავისუფალი სრულფასოვანი მორფემიდან დაკავშირებულ ფსევდომორფემამდე, ასევე იმ მიზეზებს და მოვლენებს, რომლებმაც გამოიწვია საანალიზო სიტყვებში სემანტიკურად გაბუნდოვნებული ელემენტების გაჩენა. ამ

ენობრივი მოვლენების შედეგების მრავალფეროვნება იძლევა საანალიზო სიტყვების ტიპებად განხილვის საშუალებას.

მოკლედ ე.წ. "განმარტებითი რთული სიტყვების" ("verdeutlichende / erläuternde Zusammensetzungen") შესახებ: ენაში ფუნქციონირებენ ისეთი კომპლექსური სიტყვებიც, სადაც სიტყვის მეორე წევრის დანიშნულებაა ახსნას და განმარტოს პირველი წევრი, რომელიც როგორც დამოუკიდებელი სიტყვა (სხვადასხვა მიზეზით) გაუგებარი გახდა. რადგან ასეთი სიტყვის ორივე წევრი სინონიმებია, მათ ტავტოლოგიურ კომპოზიტებს უწოდებენ (Schmidt, 2008, 100), მაგ., Lindwurm (ძვ.ზგ. lind, lint "გველი" და ძვ.ზგ. wurm "მატილი, გველი, დრაკონი").

(1) განვიხილოთ ელემენტი "maul-" სიტყვებში: "Maulesel" მ. "ჯორცხენა", "Maultier" ნ. "ჯორი". სიტყვები ენაში გამოჩნდნენ მე-15 საუკუნიდან როგორც ტავტოლოგიური (განმარტებითი) კომპოზიტები. თვითონ მარტივი სიტყვა საშ.ზგ. mül, ძვ.ზგ. mül „Maultier“ "ჯორი", რასაც შეესატყვისება ნიდერლ. mildier, -ezel, ძვ.ინგლ. mül, შვედ. mula, mulasna, ძვ.ჩრდ. müll, ნასესხებია ლათ. mulus -იდან "Maultier" "ჯორი" (DuHw., 2007, 515; Kluge, 2002, 606); შდრ. ასევე ფორმები: ძვ.ზგ. mül "Maulesel" (Schütz., 2006, 243), საშ.ზგ. mül, mûle "Maultier", mûlinne, -iu "Mauleselin" (Lexer, 1992, 145). მას შემდეგ, რაც მარტივი სიტყვა ენის მატარებელისათვის გაუგებარი გახდა, განმარტების მიზნით ახსნეს იმავე მნიშვნელობის სიტყვებით, შდრ., ადრ.ახ.ზგ. müsel, mül(-tier) (Kluge, 606). დარგობრივი ენა მე-18 საუკუნიდან განასხვავებს სახელწოდებებს Maulesel (მამრი ცხენის/ულაყის და მდედრი ვირის ჰიბრიდი) და Maultier (მამრი ვირისა და მდედრი ცხენის/ფაშატის ჰიბრიდი) (Kluge, იქვე; EWD, 1993, 851), სიტყვების დიფერენცირება სეკუნდარულია (Kluge, იქვე). უნდა აღინიშნოს, რომ კომპლექსური სიტყვების პირველი კომპონენტი გამომდინარე იქიდან, რომ ადრეული ახალი ზემოგერმანული დროიდან უკვე გაუგებარი იყო (რასაც მოჰყვა მისი განმარტება), აღარ იხმარებოდა როგორც მარტივი სიტყვა. ამ პერიოდში ის უკვე სემანტიკურად გაუმჭვირვალე სტრუქტურული ელემენტია (იხ. ფორმები ზემოთ). ფრ. ზომლერი აღნიშნავს, რომ ფსევდომორფემა ადრეული ახალი ზემოგერმანული დროიდან არა შინაარსობრივად, არამედ მხოლოდ ფორმობრივად ემსგავსება მარტივ სიტყვას Maul "Mundöffnung verschiedener Tiere" (Simmler, 2002, 81). ამდენად, სიტყვები: Maultier, Maulesel სინქრონიულ დონეზე მხოლოდ ნაწილობრივ არის მოტივირებული. "maul-" ელემენტს განვიხილავთ როგორც არაუნიკალურ ფსევდომორფემას.

ეტიმოლოგიურმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ზოგიერთმა სემანტიკურად გაუმჭვირვალე ელემენტმა ენობრივი განვითარების პროცესში განიცადა ფორმობრივი და/ან შინაარსობრივი სახეცვლილება. ენობრივი მოვლენა ენათმეცნიერებაში ცნობილია "ხალხური ეტიმოლოგიის" (ასევე: "ფსევდოეტიმოლოგია", "მცდარი ეტიმოლოგია", "სეკუნდარული მოტივაცია") სახელით. ვ. შმიდტის მიხედვით ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენის არსი მდგომარეობს შემდეგში:

"[...] სიტყვა ან სიტყვის ნაწილი, რომელიც გარკვეული მიზეზებით გაუგებარია (უცხო სიტყვა), ან გახდა ასეთი (არა უცხო, მშობლიური სიტყვები ბგერითი ცვლილებების ან გამოუყენებლობის შედეგად გაუმჭვირვალე), სხვა რომელიმე მსგავსი ან ერთნაირი ჟღერადობის სიტყვასთან მიმსგავსებით შეიცვლის შინაარსობრივ და ბგერით სახეს" (Schmidt, 2008, 142).

ამ მოვლენით „ცალკეული და აქედან გამომდინარე გაუგებარი სიტყვები“ (Hirt, 1921, 50), მათ შორის, უცხო ენიდან შემოსული ზოგიერთი გაუგებარი სიტყვა, ენის მატარებელმა ახსნის მიზნით აზრობრივად ან ჟღერადობით მიახლოებას თავისთვის ნაცნობ სიტყვას. თ. შიპანი აღნიშნავს, რომ ენის მატარებელი

"[...] ცდილობს ეტიმოლოგიურად გაუმჭვირვალე ან უკვე აღარ გამჭვირვალე სიტყვები თავის სიტყვათა მარაგში ჩართოს და ნაცნობი მასალიდან ახსნას. [...] და ჟღერადობით და - როგორც მას მიაჩნია - აზრობრივად მსგავს ლექსემებს დაუკავშიროს" (Schippa, 2002, 44).

(2) განვიხილოთ არსებითი სახელი "Maulwurf" მ. "თხუნელა - მიწის ქვეშ მცხოვრები ბალნით დაფარული ცხოველი, რომელიც მწერებით იკვებება და ნიჩბისმაგვარი წინა ფეხებით მიწას ყრის". უძველესი ფორმები დამოწმებულია ძველი ზემოგერმანული პერიოდიდან (მე-8 საუკუნე), რამაც შემდგომში "ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენით რამდენჯერმე განიცადა სახეცვლილება" (EWD, 851). ფრ. კლუგე აღნიშნავს, რომ სიტყვა გამოჩნდა მრავალი შეცვლილი ფორმით, ამიტომ მისი სარწმუნო უძველესი ფორმის დადგენა შეუძლებელია (Kluge, 606), შდრ.: ძვ.ზგ. müwerf(-wurf) (DuHw., 516), mü(l)werf (Kluge, იქვე), mülwerfo (Schütz., 243; EWD, იქვე). ისტორიული რთული სიტყვის პირველი უშუალო შემადგენელი (უ.შ.), რომელსაც შეესაბამება ძვ.ინგლ. mûga, mûha, mûwa "Kornhaufen" "მარცვლეულის გროვა", ინგლ. muw "Heu-, Kornhaufen" "თივის ან მარცვლეულის გროვა", ძვ.ჩრდ. mûgi, mûgr "Menge, Haufen" "დიდი რაოდენობა, გროვა", შესაძლოა ენათესავება ბერძნ. mykôn -ს "(Korn)haufen" "(მარცვლეულის) გროვა" (EWD, Kluge, იქვე), და ამდენად, ის შეიძლება მოდიოდეს ი.ე. ძირიდან "mûk-" გროვა" (EWD, იქვე). სიტყვის მეორე უ.შ. werfen -ის წარმონაქმნია ('Nomen agentis'). ამდენად, ცხოველის სახელწოდება თავდაპირველად ნიშნავდა "გროვის ამომყრელს" "Haufenwerfer". გვიანდელი ძველი

ზემოგერმანული დროიდან მსაზღვრელი სიტყვა, მას შემდეგ რაც ის აღარ გვხვდება დამოუკიდებლად და ამის გამო შეკავშირებაში გაუგებარი ხდება, ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენით იცვლის ფორმას, კერძოდ, შდრ. ფორმები: ძვ.ზგ. molta, სამ.ზგ. molt[e] "Erde, Staub" "მტვერი, მიწა", შუაგ., სამ. ქვგ. mul[le]-ს "Erde, Staub" "მიწა, მტვერი" (DuHw., 516). შესაბამისად ფორმები: გვ.ძვ.ზგ. mul(t)wurf, სამ.ზგ. moltwerf (ასევე სხვა მსგავსი ფორმები: ძვ.ზგ. moltwerfo, ძვ.საქს. moldwerp) ამ დროიდან იღებენ მნიშვნელობას - "Erd(auf)werfer" "მიწის ამომყრელი" (DuHw., EWD, იქვე). სიტყვის პირველ კომპონენტს, რომელიც ისევე თანდათანობით იკარგება ხმარებიდან და გამომდინარე იქიდან, რომ გაუგებარ ნაწილს წარმოადგენს სიტყვაში, ხელახლა უცვლიან სახეს და შესაბამისად - მნიშვნელობასაც, კერძოდ, სამ.ზგ. mül[e] -ს მიხედვით "Maul, Mund" "პირი, დინგი". ამ სახეცვლილებას ეფუძნება ახალი, თანამედროვე გერმანული ფორმა "Maulwurf" "ცხოველი, რომელიც მიწას დინგით ყრის" (DuHw., 516). ხალხური ეტიმოლოგიური ცვლილება განიცადა უკვე მე-11 საუკუნეში სიტყვის ძვ.ზგ. ფორმამ mulwerf სიტყვებთან მიმსგავსებით: ძვ.ზგ. mūla, სამ.ზგ. mül(e) Maul, შდრ., ძვ.ზგ. mülwerf, სამ.ზგ. mülwerf, -wurf მნიშვნელობით "Werfer mit dem Maul" "დინგით ამომყრელი" (EWD, იქვე).

ამდენად, სიტყვაში "Maulwurf" "maul-" ელემენტს რამდენიმე ენობრივი მოვლენა შეეხო. აქ ადგილი აქვს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ენობრივ პროცესს: სიტყვის მნიშვნელობის გაზრდას და მის ახლებურ, ხელახალ ინტერპრეტაციას, რომელიც ეფუძნება შინაარსობრივ (ლოგიკურ) და ბგერით (ფონეტიკურ) მსგავსებას. ის დღეს სრულფასოვანი თავისუფალი მორფემაა. ჰ. ჰირტი აღნიშნავს, რომ ამ მოვლენით ხდება ეტიმოლოგიურად სრულიად არამონათესავე სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება სიტყვის ნამდვილი ფორმის ოდნავი ცვლილებით (Hirt, 1921, 356).

(3) განვიხილოთ კიდევ ერთი სიტყვა "Maulbeere" f. "თუთა (ნაყოფი)". ამ შემთხვევაშიც ელემენტი "maul-" სულ სხვა წარმოშობისაა. "მაყვლისმაგვარი ნაყოფის" სახელწოდება მოდის სამ.ზგ. mülber, mül-ber -იდან (DuHw., 515; Lexer, 145), რომელიც უფრო ძველი mürber და ძვ.ზგ. mür-, mörber(i) -იდან "Maulbeere" "თუთა (ნაყოფი)" დისიმილაციის შედეგია (r > l) (DuHw., იქვე; Kluge, 606). სიტყვის პირველი წევრი ნასესხებია ლათ. mōrum -იდან "თუთა, მაყვალი", რომელიც სავარაუდოა, რომ იმავე მნიშვნელობის ბერძნ. mōron -ის წარმომავლობისაა (Kluge, იქვე; EWD, 850-51); შდრ., ასევე: ძვ.ზგ. (მე-9 ს.), სამ.ზგ. mürboum, mülboum, სამ.ზგ. mülberboum, ახალი თანამ. გერმან. Maulbeerbaum (EWD, იქვე). ძველ ზემოგერმანულ დროში ხდება ლათ. mōrum -იდან განმარტებითი რთული სიტყვის შედგენა: mürperi, mürperi, შემდ. mülperi, mülbere (DWB).

ფრ. ზიძლერი აღნიშნავს, რომ ვინაიდან არ მოხდა თვითონ ლათ. mōrum -ის როგორც მარტივი სიტყვის სესხება (შდრ., დაკავშირებული მეორეული სუბსტანტიური ძირეული მორფემა ძვ.ზგ. mür-, mör- ფორმებში: mür-, mörber(i)), ჯერ კიდევ ძველ ზემოგერმანულ დროში მოხდა ისტორიული რთული სიტყვის პირველი კომპონენტის ფონეტიკური ცვლილებები: mür- -ის შემთხვევაში გვაქვს ხმოვნის შეცვლა, mül- კი დისიმილაციის შედეგია (Simmler 2002, 86). აქედან გამომდინარე, ძველ ზემოგერმანულ დროში მიუხედავად განათლებულ ფენებში არსებული ორენოვნებისა, იკარგება კავშირი მეორეულ ენასთან და ძველი ზემოგერმანულის სინქრონიული მორფოლოგიური ანალიზით mür- და mül- ელემენტები განიხილება როგორც ფსევდომორფემები (Simmler, იქვე).

საანალიზო სიტყვის პირველი უ.შ. ფონეტიკურ ცვლილებებთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ ერთ შემთხვევაში გვაქვს ბრეხუნგი/ გარდატეხა (Brechung, Vokalharmonie), კერძოდ, მაღალი აწეულობის ბოლოკიდური "i" -ს ზემოქმედებით სამუალო აწეულობის ფუძისეული "o" იცვლის აწეულობას საკუთარი რიგის მიხედვით და ხდება "u" (რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია), შდრ., ძვ.ზგ. mörber(i) > mürberi (ლ. მ.). მეორე ცვლილება კი, როგორც მკვლევარები თვლიან, არის დისიმილაციის მოვლენის შედეგი, შდრ., ფორმები: ძვ.ზგ. mörber, mörberi, mörboum (Schütz., 242) > mürberi, mürboum (Maulbeerbaum) (იქვე, 245) > mülber, mülberi, mülberiboum, mülboum (იქვე, 243), სამ.ზგ. mül-ber (Lexer, 145).

განხილული ისტორიული რთული სიტყვების პირველი უ.შ. შემდგომი ცვლილება "maul-" ელემენტად, ვფიქრობთ, უნდა იყოს დიფთონგიზაციის მოვლენა, რომელიც შეეხო სამ.ზგ. გრძელ ხმოვნებს (მაგ., î, û > ei, au) (შდრ. Schmidt, 1969, 231). ენობრივი პროცესი მიმდინარეობდა სამუალო ზემოგერმანული დროიდან ახალ გერმანულამდე. უნდა აღვნიშნოთ, რომ თვითონ მარტივი სიტყვა "Maul" "პირის ღრუ" (ძვ.ზგ. mūla, სამ.ზგ. mül(e), გერმ. mūla-, mül(n)) მოდის ინდოევროპული ხმაბაძვითი ძირიდან mū- მნიშვნელობით: "ყრუ ბგერის გამოცემა, გაურკვეველად ლაპარაკი, ბუტბუტი"; "მუნჯი, უტყვი"; ასევე: "პირი, დინგი" (EWD, 850). როგორც ვხედავთ, მას არაფერი აქვს საერთო საანალიზო სიტყვების პირველ კომპონენტებთან.

ამდენად, ჩვენ განვიხილეთ "maul-" ელემენტით შედგენილი სიტყვები და ამ ელემენტთან დაკავშირებული სემანტიკური გაუმჭვირვალობის საკითხი გერმანულ ენაში. ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზით გამოიკვეთა, რომ განხილულ სიტყვებში საქმე გვაქვს სრულიად სხვადასხვა

წარმოშობის ომონიმურ ენობრივ ერთეულებთან. დავინახეთ, რომ თითოეული ისტორიული რთული სიტყვის პირველმა კომპონენტმა გაიარა ერთმანეთისაგან განსხვავებული ენობრივი განვითარების ისტორიული ეტაპები, შესაბამისად დესემანტიზაციის გამომწვევი მიზეზებიც განსხვავებულია. ამასთან გამოჩნდა, რომ სიტყვებში: "Maulbeere", "Maulwurf" ჯერ კიდევ ძველი ზემოგერმანული დროიდან გვაქვს სემანტიკურად გაბუნდოვნებული ელემენტები, რადგან ისინი ენაში აღარ გვხვდება დამოუკიდებლად და ამის გამო შეკავშირებებში გაუგებარი ხდება. სიტყვებში: "Maulesel", "Maultier" დაკავშირებული ფსევდომორფემა ჩნდება ადრეული ახალი ზემოგერმანული დროიდან.

როგორც დავინახეთ, კომპლექსურ სიტყვებში მორფოლოგიური გამჭვირვალობის დაკარგვა და შესაბამისად სემანტიკურად გაბუნდოვნებული ელემენტების გაჩენა უკავშირდება ძირითადად ენიდან დამოუკიდებელი ხმარებიდან მარტივი სიტყვების გაქრობას და შესაბამისი დაკავშირებული ელემენტის ლექსიკური მნიშვნელობის დაკარგვას, ასევე ისტორიული რთული სიტყვის კომპონენტის ფონეტიკურ ცვლილებებს და ლექსიკური მნიშვნელობის გაბუნდოვნებას. შესაძლებელია ენის განვითარების რომელიმე ეტაპზე ასეთ სიტყვებში გაუგებარი წევრები სხვაგვარად ახსნან და სიტყვას მისცენ ხელახალი ინტერპრეტაცია. ამდენად, დემოტივაციისა და ხალხური ეტიმოლოგიის მოვლენები ერთმანეთს უკავშირდება ენაში სემანტიკურად გაბუნდოვნებული ელემენტების გაჩენის საერთო მიზეზებით. ამასთან, ხალხური ეტიმოლოგიური მოვლენა სიტყვის დემოტივაციის შემდგომი პროცესია, მაგრამ არა სავალდებულო. დემოტივირებული სიტყვები შედიან ამ ენობრივ პროცესში, ჩერდებიან სხვადასხვა ეტაპზე და ასე აგრძელებენ ფუნქციონირებას ენაში (იხ. მახვილაძე, 2008).

ამდენად, მხოლოდ ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევით არის შესაძლებელი გამოიკვეთოს დემოტივირებული სიტყვების და მისი შემადგენელი ელემენტების ფორმირების ისტორიული ეტაპები ენის განვითარების პროცესში და მეცნიერულ დონეზე აიხსნას შესაბამისი ენობრივი მოვლენები.

შემოკლებათა განმარტებანი:

ადრ.ახ.ზგ. - ადრეული ახალი ზემოგერმანული

ბერძნ. - ბერძნული

გერმ. - (საერთო)გერმანიკული

გვ.ძვ.ზგ.-გვიანდელი ძველი ზემოგერმანული

ი.ე. - ინდოევროპული

ინგლ. - ინგლისური

ლათ. - ლათინური

ნიდერლ. - ნიდერლანდური

საშ.ზგ. - საშუალო ზემოგერმანული

საშ. ქვგ. - საშუალო ქვემოგერმანული

შვედ.- შვედური

შუაგ. - შუაგერმანული

ძვ.ზგ. - ძველი ზემოგერმანული

ძვ.ინგლ. - ძველი ინგლისური

ძვ.საქს. - ძველი საქსონური

ძვ.ჩრდ. - ძველი ჩრდილოური

ლიტერატურა:

1. Barz, I. (2009): Die Wortbildung. S. 634-762. In: Duden: Die Grammatik. Hrsg. von der Dudenredaktion. 8. überarb. Aufl. B. 4, Dudenverlag. Mannheim, Zürich.
2. Behaghel, O. (1927): Von deutscher Sprache. Aufsätze, Vorträge und Plaudereien. Druck und Verlag von Moritz Schauenburg.
3. DuHw. = Duden (2007): Das Herkunftswörterbuch. Etymologie der deutschen Sprache. 4., neu bearb. Auflage. Hrsg. von der Dudenredaktion. B.7. Dudenverlag. Mannheim, Zürich.
4. DWB = Das Deutsche Wörterbuch von Jacob und Wilhelm Grimm auf CD-ROM und im Internet.
5. Erben, J. (2006): Einführung in die deutsche Wortbildungslehre. Erich Schmidt Verlag, Berlin.
6. EWD = Etymologisches Wörterbuch des Deutschen (1993). 2. Auflage, durchgesehen und ergänzt von Wolfgang Pfeifer, 2 Bände, Akademie Verlag, Berlin.
7. Fleischer, W. (1976): Wortbildung der deutschen Gegenwartssprache. 4., durchges. Aufl. VEB bibliographisches Institut. Leipzig.
8. Fleischer W./Barz I. (2007): Wortbildung der deutschen Gegenwartssprache. Unter Mitarbeit von M. Schröder. 3., unveränd. Aufl., Max Niemeyer Verlag. Tübingen.
9. Henzen, W. (1965): Deutsche Wortbildung. 3., durchges. u. ergänzte Auflage. Tübingen.
10. Hirt, H. (1921): Etymologie der neuhochdeutschen Sprache. Darstellung des deutschen Wortschatzes in seiner geschichtlichen Entwicklung. 2., verbesserte und vermehrte Auflage. München.
11. Käge, O. (1980): Motivation: Probleme des persuasiven Sprachgebrauchs der Metapher und des Wortspiels. Göttingen.
12. Kluge = Kluge, Fr. (2002): Etymologisches Wörterbuch der deutschen Sprache. 24., durchges. u. erw. Auflage. Bearbeitet von Elmar Seebold. Walter de Gruyter. Berlin, New York.
13. Lexer = Lexer, M. (1992): Mittelhochdeutsches Taschenwörterbuch. Mit den Nachträgen von Ulrich Pretzel. 38., unveränd. Auflage. S. Hirzel Verlag. Stuttgart.
14. Olsen, S. (1986): Wortbildung im Deutschen. Eine Einführung in die Theorie der Wortstruktur. Alfred Kröner Verlag. Stuttgart.
15. Saussure, F. de (2001): Grundfragen der allgemeinen Sprachwissenschaft. Hrsg. von Charles Bally u. Albert Sechehaye, unter Mitw. von Albert Riedlinger. 3. Aufl. Walter de Gruyter. Berlin/ New York.
16. Schippan, Th. (2002): Lexikologie der deutschen Gegenwartssprache. Max Niemeyer Verlag, Tübingen.
17. Schmidt, W. (2008): Deutsche Sprachkunde. 8. Aufl./Neuauf. IFB Verlag, Paderborn.
18. Schmidt, W. (1969): Geschichte der deutschen Sprache. Volk und Wissen. Berlin.
19. Schütz. = Schützeichel, R. (2006): Althochdeutsches Wörterbuch. 6. Auflage, überarbeitet und um die Glossen erweitert. Max Niemeyer Verlag. Tübingen.
20. Simmler, Fr. (2002): Pseudomorpheme. Ermittlungsmethoden, Typologie und Sprachgeschichte. In: Habermann, M./Müller, P.O./Munske, H.H. (Hgg.): Historische Wortbildung des Deutschen. Max Niemeyer Verlag, Tübingen.
21. Степанова, М.Д.(1972): Аспекты синхронного словообразования. В: ИЯ в школе, 1972, #3, с.3-13
22. მახვილამე, ლ. (2000): სემანტიკური გაბუნდოვნების ფენომენი და მისი ადგილი გერმანული ენის სიტყვაწარმოებით სისტემაში. თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის სშკ, „ენა და კულტურა“, ტ. V, თბილისი, გვ. 53-63.
23. მახვილამე, ლ. (2008): დემოტივირებული ლექსემების ჩამოყალიბების პროცესი გერმანულ ენაში (დემოტივაცია, ხალხური ეტიმოლოგია, იდიომატიზაცია). არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, „საენათმეცნიერო მიეზანი“, XXVII, თბ., გვ. 148-159.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია "maul-" ელემენტით შედგენილი სიტყვები ("Maulesel" /"Maultier", "Maulwurf", "Maulbeere") და ამ ელემენტთან დაკავშირებული სემანტიკური გაუმჭვირვალობის საკითხი გერმანულ ენაში. ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზით დადგინდა, რომ აღნიშნულ სიტყვებში საქმე გვაქვს სრულიად სხვადასხვა წარმოშობის ომონიმურ ენობრივ ერთეულებთან. გამოიკვეთა, რომ თითოეული განხილული ისტორიული რთული სიტყვის პირველმა კომპონენტმა გაიარა ერთმანეთისაგან განსხვავებული ენობრივი განვითარების ისტორიული ეტაპები; შესაბამისად დესემანტიზაციის გამომწვევი მიზეზებიც განსხვავებულია. გამოიკვეთა დემოტივაციის სამი სხვადასხვა შემთხვევა (ტიპი) გამჭვირვალობის სხვადასხვა ხარისხით. განხილულია შესაბამისი ენობრივი პროცესები.

**THE PROBLEM OF SEMANTIC INTRANSPARANCY IN THE WORDS COMPOUND WITH
THE ELEMENT "MAUL-"
(HISTORICAL-ETYMOLOGICAL RESEARCH)**

Lela Makhviladze, Gori State Teaching University, Doctor

RESUME

In this work the words compound with the element "maul-" ("Maulesel" /"Maultier", "Maulwurf", "Maulbeere") and the problem of semantic intransparency in the German Language is discussed. By historical-etymological analysis it was stated that in such words we have to deal with the homonym units of different origin. It became clear that the first component of each historical word passed through different stages of linguistic development; according to this the reasons of causing desemantisation are different. Three different cases (types) of demotivation with different degrees of transparency were exposed. Corresponding linguistic processes are discussed.

**THE INFLUENCE OF POLISH ROMANTICISM ON UNIVERSALISM OF KAROL
WOJTYŁA – JOHN PAUL II**

Arkadiusz Modrzejewski, University of Gdansk, Poland, PhD

In post-modern world in which we observe the disappearance of the countries' borders, relativization of national sovereignty, and also the processes of acculturation, universalism which in fact is American uniformism, seems to triumph. Nowadays Anglo-Saxon culture and English language force out national cultures at the same time becoming *lingua franca*. We experience it also on a university level and it seems to be a modern standard even in case of the humanities to use English as a basic communicative tool in a didactic process (Tokolyova 2011: 76). However, not every form of universalism takes the uniformizing form. A good example is Wojtyła's personalistic universalism. Wojtyła, who is better known as John Paul II, was not only the head of the Catholic Church but also an outstanding thinker. His vision of the world was based on personalistic philosophy. This philosophy became the source of his universalistic conception, in which what is common co-exists with what is particular – individual. In this way he drafted the idea of global order included in the postulate of ecumenicism which is a unity in variety. The sources of Wojtyła's universalism can be found in the traditions of Romanticism. Polish Romanticism emphasizing national and ethnical traditions was highly inspiring for the Pope from Poland (Modrzejewski 2009).

This national Polish tradition becomes a reference point for a universalistic vision of Europe and the world presented in the Pope's thought. It is thought that „John Paul II's universalism originates from his Polishness. This truth seems to be more obvious today than it was at the beginning of his pontificate despite the fact that even now it is hard to accept for some” (Moskwa: <http://www.e.kai.pl>). Numerous references to Romanticism in Wojtyła's works, especially in his poetry, have been emphasized. He did not hide his fascination with Romanticism, and Cyprian Kamil Norwid appeared to be ideologically close to him (John Paul II 2005: 66). Motifs common with the Romantics can be found in the biography of the future Pope. Similarly to them the Pope was in exile. However, it was a voluntary exile. As a young clergyman he was sent to Rome by cardinal Adam Sapiecha in order to study and then he went on a journey to Western Europe to Paris and Brussels. He was „enriched with the experience of Europe” as he mentions in his autobiographical book *Dar i Tajemnica* (John Paul II 1996: 53). This experience intellectually formed Wojtyła as a man open to Europe and the world, open to „differences”. John Paul II, who often emphasized his attachment to Polish national tradition, could define himself following the example of Polish Romantics or at least the best part of them as „the citizen of Europe” and „the citizen of the world”. Therefore, he connected Polishness with Europeanism. „As a Polishman – he stated – I cannot develop a deepened reflection upon the homeland not mentioning the European plot at the same time” (John Paul II 2005: 95).

The Polish Romanticism is not reduced to nationalism, it is not its synonym. Although it is connected with national tradition, constituting apotheosis of homeland and nation, it reveals, especially in Norwid's works, but not only, a universalistic inclination. Therefore, it is not without the reason to perceive the Pope from Poland as „a continuator of Cyprian Kamil Norwid's universalism” (Przebinda 2001: 251). It is thought that Karol Wojtyła, similarly to a Bard – Poet who inspired him, was able to „look at the world through Polish eyes, but also to perceive Poland through Europe and the world” (Sawicki 1994: 30). At the beginning of the first pilgrimage to Poland (1979) during his welcoming speech at Okęcie airport, referring to the works of Norwid, John Paul II talked about Poland, „which belongs to Europe and to modern humanity throughout its history” (John Paul II 2006: 10). It is not the attitude exposing national complexes but connecting national identity, attachment to national traditions, to cultural heritage with universalistic awareness. It is the awareness of being „the citizen” of Europe and the world and the awareness of „I” defined in time, space and culture.

A leading topic of many Pope's speeches, especially during his pilgrimages to Poland was his love of his country, love which does not have a direct interpersonal dimension but is expressed in the notion of „patriotism”. Love of the country was understood as „affection of its culture and history, affection of specific values, affection of fellow countrymen – people who speak the same language and are responsible for the same common cause, which is called <<homeland>>” (John Paul II 2006: 106). For Wojtyła, love of his country is not reduced to the form of national exaltation displaying intellectual and emotional shallowness, to transitory passion. First of all, it is demanding love. It requires sacrifice, from which blood tribute, the sacrifice of life on „the altar of homeland” is the greatest expression. In his book *Pamięć i tożsamość* he stated that the trial of the love of the country is any danger which it faces. He treated the homeland in a typically Norwid's manner as „a great-collective-duty” (John Paul II 2006: 325; Norwid 1968a: 394).

In Wojtyła's work, there was a peculiar personification of homeland as „a father” or even more often as „a mother”, which was characteristic of the philosophers who were influenced by the Christian personalism (Bocheński 1989: 8-9). While explaining the phenomenon of the homeland, the Pope indicated the primary sense of this notion, which means the heritage of „earthly fathers and mothers”, reducing it to patrimony in its spiritual and material sense. Accepting the primacy of the spiritual content and values due to which the culture of a given country is created and develops, John Paul II ascertained that: „some deep connection between what is spiritual and what is material, between the culture and the land is included within the notion of <<homeland>>. The land taken away from the nation by force becomes a loud calling towards <<the spirit of the nation>>. The spirit of the nation awakes, lives a new life and fights to restore rights to the land” (John Paul II 2005: 67). The Pope gave a more universalistic sense to the notion of <<homeland>> referring it to the eschatological reality, which, according to the universalistic tradition of the Christianity, is the participation of all nations and cultures. „Patrimony – he said – which we owe to Christ, directs all which is necessary for the heritage of human homelands and cultures towards the eternal homeland. [...] the leaving of Christ to the Father means the beginning of new homeland in the history of all homelands and all the people” (John Paul II 2005: 68-69).

In the understanding of the essence of Polishness Karol Wojtyła referred to „Jagiellonian” patterns, multiethnic tradition, multicultural and multi-faith of the Polish-Lithuanian Commonwealth, in which „all Polish people have this religious and national diversity”. Therefore, he was far from national democratic ideology which reduced Polishness to an ethnic dimension which in fact was fictional. In his last book he stated distinctly that „Polishness is essentially multiplicity and pluralism and not narrow-mindedness” (John Paul II 2005: 92). Therefore, at the same time he expressed an undisguised admiration for the Jews, also for his Jewish school colleagues, for their Polish patriotism. What comes to mind is the character of Jankiel from a Romantic national epic *Pan Tadeusz*. This Jewish musician is the personification of passionate patriotism, which Polish gentry often lacks: „This kind-hearted Jew loved the Homeland as a Pole” (Mickiewicz 1986: 353).

In Wojtyła's works, similarly to C.K. Norwid's works, particularism is connected with universalism, but both constitute complementary elements of human existence. Being a Polishman does not negate the participation in a wider human society either European or global. By being a Polishman, a member of a particular nation, by being rooted in a particular national culture is at the same time a European and the citizen of the world, where both Europeanism and worldliness originate from concreteness such as homeland and nation. Therefore, this romantic patriotism goes together with the universalistic attitude. In one of his poems Norwid wrote: „In order to be national, one must be supra-national” (Norwid 1968b: 343). Wojtyła seems to have followed this when in poetic words he expressed his attitude to homeland as a place from where he wanted to see off his universal peregrination to encounter Europe and the world aware of his origins and culture, at the same time expanding the mystic space.

„Homeland – when I think – then I express myself and get rooted,
my heart tells me about it, as if a hidden border, which from me goes to others
in order to include all in the past more former than each of us:
and I emerge from it...when I think Homeland – in order to close it in myself like a treasure.
I still ask how to multiply it, how to expand this space which it fills”

/Wojtyła, 1995: 85/

Romantic universalism in its traditional form and Wojtyła's perception is then the antithesis of xenophobic nationalism hiding in claustrophobic space of surrounded national fortress as well as of cosmopolitanism which is indifferent to national issues. The archetype of the second attitude can be found in the Enlightenment thought. On the other hand, Romantic universalism opposed the uniformistic ideas of the Enlightenment. As Andrzej Walicki – the historian of the idea – writes: „The ideal of rationalistic universalism of the Enlightenment was uniformism, levelling the differences for the benefit of one, common norm of the enlightened mind was the ideal of romantic universalism [...] – diversity, versatility and fullness, sanctifying of national cultures as unique and indispensable individualisations of humanity. [...] a Romantic notion sanctified the national individualities, perceived all human history as a great symphony, in which each nation is a separate tone but at the same time it equipped the nations with special (in accordance with their individuality) historic missions and in this way it involved them in universal aims” (Walicki 1990: 36-37).

Romantic universalism assumes a vision of united in cultural diversity European and universal community. „Universalism – as John Paul II noticed during his speech directed to the pilgrims from Poland – means belonging to a universal community, wider than your own nation. At the same time it means a particular maturity of the nation which gives it full rights to citizenship among all the nations of the world. Universalism has a deeply humanistic character but at the same time it reveals a peculiar reflexion of Christianity which aims at uniting people and nations on the basis of

full respect of their dignity, subjectivity, freedom and rights. Everybody has common Father” (John Paul II 2007: 328). Every nation has the right to respect its identity. However, they have to respect the cultural heritage of other national communities. Creating a universal community, nations should respect cultural variety. At the same time, they are predestined to seek some uniting elements because, as Norwid noticed, „a nation consists of not only what distinguishes it from other nations but what connects it with them” (Norwid 1968a: 458).

This romantic universalism constitutes an intellectual and to some extent an emotional foundation for Wojtyła’s understanding of Europe. It can even be stated that inspired by the ideas of the Polish Romanticism, especially by Norwid’s, universalism in a European dimension makes a proper sense. The interpreter of the Pope’s Slavic thought, Grzegorz Przebinda observes that: “in Norwid’s philosophy of history [...] the first foundations of Slavic teaching of John Paul II can be found, by the virtue of which Orthodox Russia has the same right to be Europe as Orthodox and Catholic Ukraine or Catholic Poland” (Przebinda 2001: 252). Undoubtedly, John Paul II would recognize Georgia with its Orthodox tradition as European.

However, it is not Western European universalism “closed” within its borders defining the space of Western Christianity or even Western European prosperity. This is inclusive universalism, open to the East of the Old Continent, to its cultural and civilizational achievements in a material and spiritual sphere. John Paul II did not treat the nations inhabiting Central and Eastern Europe as the representatives of peripheral cultures with respect to the main stream of European civilization. He appreciated their creative contribution to the formation of European identity, which was expressed by announcing brothers Cyril and Methodius as the patrons of Europe. In his inaugural speech just after the election by the College of Cardinals he talked about himself: “They called him from a remote country (...), remote but always close because of the community of Christian faith and tradition” (John Paul II 2008: 5). This closeness means a real European unity. Europe, in the Pope’s thought, is a great universalistic project in which there is a place for both a variety of national cultures and spiritual traditions of Eastern and Western Christianity. Europe constructed in such a way indicates a direction, an integrating tendency; it becomes an example for other regions of the world and for the common unity of mankind.

BIBLIOGRAPHY:

1. Bocheński, J.M.: *O patriotyzmie*, Warszawa 1989.
2. Jan Paweł II: *Dar i tajemnica. W pięćdziesiątą rocznicę moich święceń kapłańskich*, Kraków 1996.
3. Jan Paweł II: *Pamięć i tożsamość*, Kraków 2005.
4. Jan Paweł II: *Pielgrzymki do Ojczyzny. Przemówienia, homilie*, Kraków 2006.
5. Jan Paweł II: *Papież Jan Paweł II do Polonii i Polaków za granicą 1979-2003. Przemówienia, listy, telegramy*, ed. R. Dzwonkowski SAC, Ząbki 2007.
6. Jan Paweł II: *Pierwsze publiczne wystąpienie Papieża, Rzym, 16 października 1978*, in: *Przemówienia i homilie Ojca Świętego Jana Pawła II*, Kraków 2008.
7. Mickiewicz, A.: *Pan Tadeusz*, Warszawa 1986.
8. Modrzejewski A.: *Uniwersalistyczna wizja ładu światowego w personalistycznej optyce Karola Wojtyły – Jana Pawła II*, Gdańsk 2009.
9. Moskwa J., *Uniwersalizm zakorzeniony w Polsce*, [a] <http://www.e.kai.pl>
10. Norwid, C.K.: *Memoriał o młodej emigracji*, in: *Idem, Pisma wybrane*, t. 4., *Proza*, Warszawa 1968a.
11. Norwid, C.K.: *Rzecz o wolności słowa*, in: *Idem, Pisma wybrane*, t. 2, Warszawa 1968b.
12. Przebinda, G.: *Większa Europa. Papież wobec Rosji i Ukrainy*, Kraków 2001.
13. Sawicki, S.: *Wartość – sacrum – Norwid*, Lublin 1994.
14. Tökölyova, T.: *New approaches in political science education international surrounding (experience in political English education)*, in: *New Trends in Education: Research and Development*, Tbilisi 2011.
15. Walicki, A.: *Uniwersalizm i narodowość w polskiej myśli filozoficznej i koncepcjach mesjanistycznych epoki Romantyzmu (po roku 1831)*, in: *Uniwersalizm i swoistość kultury polskiej*, t. 2., ed. J. Kłoczkowski, Lublin 1990.
16. Wojtyła, K.: *Poezje wybrane*, Warszawa 1995.

ჭერათხევის ტოპონომასტიკური მასალები (ზოგადი მიმოხილვა)

ნიკოლოზ ოთინაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ჭერათხევის ხეობა მდებარეობს შიდა ქართლის დასავლეთით. მას დასავლეთით ესაზღვრება ლიხის ქედი, აღმოსავლეთით – ფრონეს ხეობა, ჩრდილოეთით – ლიხის ქედის აღმოსავლეთის კალთები, სამხრეთით კი – მდინარე სურამულა.

ჭერათხევის სათავე მდებარეობს ლიხის ქედზე, ნასოფლარ ჭერათხევის მიდამოებში, იგი იწყება ჰიდრონიმ ორმილას წყაროსთან. ვახუშტი ბაგრატიონი მასზე წერს: „ნაბახტევს ზეით ერთვის ალისწყალს ბრილის წყალი, დის ბრილს ერთის წყაროდან“ (ვახუშტი, 1973). მდინარის სახელი წარმოდგება ნასოფლარ ჭერათხევიდან, რომელიც მის სათავეში მდებარეობდა და ამჟამად გატყვევებულია, მაგრამ ნასახლარები მაინც კარგად ჩანს. ხალხური ეტიმოლოგიით ჭერათხევი დაერქვა ჭერაშვილების გვარის მიხედვით, მათ აქ უცხოვრიათ და მერე კახეთში, კერძოდ ყვარლის რაიონში გადასახლებულან.

ხეობის სიგრძე 30 კილომეტრია და მდინარის ორივე ნაპირი ტყით არის შემოსილი. ვახუშტის ხეობის სოფლები აღწერილი აქვს და მათ ათავსებს საერთო სათაურის „ალისწყალის“ ქვეშ. ეს სოფლებია: სომანეთი, სატივე, ვაყა, აძვი, ნაბახტევი, ბრილი, დუმაცხო, ქინძათი, ბროლოსანი, ალი, უწლევი, ულუმბა“ (ვახუშტი, 1997). ამჟამად ნასოფლარებია: ნაციხვარი, კურცხობი, სომანეთი, ჭოშომა.

იოანე ბაგრატიონი საერთო სათაურით: „ალის წყალზე და იმის ხეობაზე სოფლები სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო არიან ესენი: სომენეთი, დღევანდელი სომანეთი, სატივე, ვაყა, აძვი, ნაბახტევი, ბრილი, დუმაცხო, ქინძათი, ბროლოსანი, ალი, უწლევი, ულუმბა“ (ი. ბაგრატიონი, 43-44). ხეობის სოფლები და ნასოფლარები ნაკლებად არის შესწავლილი.

დღეისათვის ხეობის სოფლებში ჩაწერილი გვაქვს მეტყველების ნიმუშები, ისტორია, ტოპონიმები, ონომასტიკური მასალები. დიდი მოცულობის გამო წარმოვადგენთ მხოლოდ ოთხი სოფლის ალის, ბრილის, ფლევის, ქინძათის ტოპონომასტიკურ მასალებს.

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში რუის-ურბნისის დავთრის მიხედვით ალში ცხოვრობდა 22 კომლი, რომელთა გვარებია: თვალიკაკაშვილი, ნებიერიძე, გრიგალაშვილი, მიგინეიშვილი, გიგინაშვილი, გოჩაშვილი, კვინიკაძე, პერენიძე. ალში 1818 წლის კამერალური აღწერების მიხედვით ცხოვრობს 44 კომლი, 147 კაცი და 102 ქალი (ალ. დლონტი, 1970).

ფლევიში ცხოვრობდნენ: რამაზიშვილი, პაპიაშვილი, ჭაუჭიძე, ბინდიაშვილი, ბუზალაძე.

ბრილში ცხოვრობდნენ: ადუაშვილი, ბიძინაშვილი, თორელაშვილი, ენუქაშვილი, ჯობაძე, ბერეკაშვილი, ხატელიშვილი.

ქინძათში: გომფარიშვილი, ქოჩორაძე, ბრაჭველი გიორგი (ე. თაყაიშვილი, 1907).

ბრილი მდებარეობს ჭერათხეულას მარჯვენა შენაკად ბურნეულას სათავეში. ვახუშტი ბრილზე წერს: „ნაბახტევს ზეით ერთვის ალისწყალს ბრილის წყალი ერთის წყაროდან და აბრუნებს წისქვილს. აქ ბრილს ითხრების კაჟი ფრიად კეთილი, მოსპეტაკო, ჩახმახისთვის (ქ.გ. 1973).

სოფელში 200 კომლი ცხოვრობს, რომელთა გვარებია: იმერლიშვილი, ქართველიშვილი, დევაძე, ტეფნაძე, ყველაზე მეტი არიან იმერლიშვილები, ისინი ეთნიკურადაც იმერლები არიან, ლაპარაკობენ ზემოიმერულ დიალექტზე. XVIII საუკუნეში სოფელი ბრილი საქაშეთელ დიასამიძეებს ეკუთვნოდათ. სოფელში მდინარეზე დევს ხიდი, რომელსაც „დიასამიძის ხიდი“ ჰქვია, ეძახიან „ბატონის ბოგირსაც“. ძველი, ზემოხსენებული გვარებიდან სოფელში აღარავინ არის დარჩენილი.

სოფელი ფლევი მდებარეობს ჭერათხევის მარცხენა ნაპირზე, საგულგულე ქედის დასავლეთ ფერდობზე. სოფელში ცხოვრობენ: ტეფნაძე, ლომიძე, ცხოვრებაძე. ზემოხსენებული ძველი გვარებიდან სოფელში აღარავინ არის დარჩენილი.

ქინძათი რამდენიმე ისტორიულ დოკუმენტშია მოხსენებული, სადაც ვეცნობით ძველ ონომასტიკონს. საბუთი შედგენილია 1682 წელს, მასში ვკითხულობთ: „ჩემი თავი ჩემის ნებით მოგყიდე მე ქინძათელმა არაქელას შვილმა ზურაბამა და ჩემან შვილმან პაატამან, თქვენ გორელს ირალისშვილს პაპუნასა, არიან ამისი მოწმენი გორის მამასახლისი დავითა, ალექსიშვილი ავთანდილა, მე ალელი მანუჩარას შვილი დავითამ ამისი სიგელი ვნახე და ეს სავადი დავბეჭდე (საქართველოს სიძველენი, 1899). მეორე სიგელი „...ავიდე დავითისშვილმა ზაალმა შერმაზანაშვილისაგან ხუთი თუმანი თეთრი, გირაოთ მიმიცია ჩემი ყმა ქინძათელი ქიტასშვილი, არის ამისი მოწმე ცხინვალელი მამასახლისი მურადაშვილი არუთინა და ალელი პალუზასშვილი ფარსადანა“ (დ. უჩანეიშვილი, 1967).

რაკი ჭერათხევის სოფლებში ძირითადად ზემო იმერეთიდან გადმოსული მოსახლეობა ცხოვრობს, ბუნებრივია, იმერული კილო ძალუმად იგრძნობა. რაც შეეხება ტოპონიმებს ის დიდად არ განსხვავდება საერთო ქარველური ტოპონიმებისაგან და წარმოების მხრივაც მას მისდევს. თავს იჩენს დიალექტური მოვლენებიც.

ხსენებული სოფლების მიკროტოპონიმიაში მართულმსაზღვრელიანი სახელების წარმოება მრავალფეროვანია. მართულ მსაზღვრელად გამოყენებულია ყოველგვარი სახელი: ჯელამეების წყარო (გვარი სოფელ ბრილში), თავგების მიწა, ახალკაცის ახო (სოფ. ბრილი), დაფლიას ლაშე, დუმაცხოვის ლაშე (სოფ. ალი), შაბურის კაკალი, დიასამიძის წისქვილი (ქინძათი).

-ებ სუფიქსი ტოპონიმთა საწარმოებლად ფართოდაა გავრცელებული: სათიხეები, ნამალეები, ზალანთები (გვარის საწარმოებლად), ზაქარიანთები, კაპანაძეები, ბლიაძეები (ფლევი), ვერხვები, ჭაობები, კრინცხები (ბრილი).

ყურადღებას იქცევს ნა- და სა- პრეფიქსებით წარმოქმნილი მიკროტოპონიმები: ნარუჯი (ღელე), ნასაყდრები (ადგილი) (ბრილი), სათხილე/სათხილეები, საჯვარე, საონჯლე, ემახიან კაპარსაც - (იმერულ დიალექტშია გამოყენებული), საკირე, სანიყვო, ემახიან ჯონჯლის ღელესაც (იმერულ დიალექტში) (ფლევი).

ტოპონიმოკური ობიექტების საწარმოებლად გვხვდება წყალი, წყარო, ახო, უბანი, ღელე: გიგანთ ახო (გიგაშვილი), გოგიჩაშვილების უბანი, ტრაბახანთ უბანი (ზედმეტი სახელია), იმერლიშვილების უბანი, ნარუჯი ღელე, ჯელაძიანთ ან ჯელაძეების წყარო (ფლევი), ივანიკაანთ წყალი (ნოზაძეების შტოგვარი) (ალი), ტატანანთ უბანი (ქინძათი).

სოფლებში დავადასტურეთ ჰიდრონიმები, რომლებიც ტრადიციული -ურა და -ულა სუფიქსებით არის გაფორმებული:

ბუღაურა, დაკიდულა, ჭერათხეულა, ბურნეულა.

ჰიდრონიმებში -ა სუფიქსის შესახებ არსებობს სხვადასხვა შეხედულება სამეცნიერო წრეებში. თ. ზურაბიშვილს მიაჩნია, რომ -ა სუფიქსი კნინობითის მაწარმოებელია, მაგრამ გეოგრაფიულ სახელებში მსგავსების მნიშვნელობას იძენს (თ. ზურაბიშვილი, 1961).

ზემოხსენებულ ჰიდრონიმებში -ა სუფიქსს წარმოების უნარი გააჩნია. ხეობის მიკროტოპონიმიაში გარკვეულ ადგილს იჭერს ანთროპონიმებთან დაკავშირებული სახელწოდებანი: გაბელანთი, ივანიკაანთი, გიგლანთი, ყველა ესენი ალში მცხოვრები ნოზაძეების შტოგვარებია, რომლებიც საკუთარი სახელისაგან -ანთ სუფიქსის დართვით ჩამოყალიბდნენ და ტოპონიმის ფუნქცია შეიძინეს. ასევეა ტატანთი (უბანი სოფ. ქინძათი), უმცროსაანთი, აგაშენაანთი (ალი), დაფიანთი (ფლევი) და სხვა.

ბევრი საინტერესო ტოპონიმია ჭერათხევის სოფლებში და ნასოფლარებში, მათი უმრავლესობა წარმოების მიხედვით საერთო ქართულია.

ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება, ტქს., თბ., 1973, გვ. 376.
2. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 209.
3. ი. ბაგრატიონი, ქართლ-ვახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986, გვ. 43-44.
4. ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფ., 1907, გვ. 24-25.
5. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №2, 1970, გვ. 53. ა: დლონტი, ტოპონიმი, როგორც ენის ლექსიკური ერთეული.
6. ქ. ც. IV, თბ., 1973, გვ. 377.
7. საქართველოს სიძველენი II, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით I, II, III, ტფ., 1899, გვ. 181-182.
8. დ. უჩანეიშვილი, დოკუმენტები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის (XVII-XIX სს), თბ., 1940-1953.
9. თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბ., 1961, გვ. 151.

რეზიუმე

ჭერათხევის ხეობა მდებარეობს შიდა ქართლის დასავლეთით. დასავლეთით ესაზღვრება ლიხის ქედი, აღმოსავლეთით ფრონეს ხეობა, ჩრდილოეთით ლიხის ქედის აღმოსავლეთის კალთები, სამხრეთით კი მდინარე სურამულა.

ვახუშტი ბაგრატიონს თავის „აღწერაში“ დასახელებული აქვს ხეობის სოფლები საერთო სათაურით „ალისწყალი“. ასევე აღწერილი აქვს იოანე ბაგრატიონს საერთო სათაურით: „ალის წყალზე და იმის ხეობაზე სოფლები სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო არიან ესენი: სომენეთი დღვანდელი სომანეთი, სატივე, ვაყა, აძვი, ნაბახტევი, ბრილი, დუმაცხო, ქიძათი, ბროლოსანი, ალი, უწლევი, ულუმბა“.

ხალხური ეტიმოლოგიით ჭერათხევი დარქმეულია ჭერაშვილების გვარის მიხედვით. მათ უცხოვრიათ ხეობის სათავეში და შემდგომ კახეთში, კერძოდ კი ყვარლის რაიონში გადასახლებულან.

წარმოვადგენთ ოთხი სოფლის – ალის, ბრილის, ფლევის, ქინძათის – ტოპონომასტიკურ მასალებს ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით. ისტორიული მასალების მიხედვით ალში ცხოვრობდნენ: თვალიკაკაშვილი, ნებიერიძე, გრიგალაშვილი, მიგინეიშვილი, გიგინაშვილი, გოჩაშვილი, კვინიკაძე, პერენიძე.

ბრილში ცხოვრობდნენ: ადუაშვილი, ბიძინაშვილი, თორელაშვილი, ენუქაშვილი, ჯობაძე, ბერეკაშვილი, ხატელიშვილი.

ქინძათში: გომეზარიშვილი, ქოჩორაძე, ბრაჭველი და სხვები...

ფლევში: რამაზიშვილი, პაპიაშვილი, ჭაუჭიძე, ბინდიაშვილი, ბუზალაძე.

ჭერათხევის სოფლებში ძირითადად ზემო იმერეთიდან გადმოსული მოსახლეობა ცხოვრობს და იმერული კილო ძალუმად იგრძნობა. რაც შეეხება ტოპონიმთა, ის ძირითადად არ განსხვავდება საერთო ქართველური ტოპონიმისაგან და წარმოების მხრივაც მას მისდევს. თავს იჩენს დიალექტური მოვლენებიც.

ხსენებული სოფლების მიკროტოპონიმიაში მართულმსაზღვრელიანი სახელების წარმოება მრავალფეროვანია. მსაზღვრელად გამოყენებულია ყოველგვარი სახელი შინაარსისა და ფორმის მიუხედავად. მაგალითად: ჯელაძეების წყარო (სოფ. ბრილი), დუმაცხოვის ლაშე (სოფ. ალი)...

-ებ სუფიქსი ტოპონიმთა საწარმოებლად ფართოდაა გავრცელებული, მაგალითად: სათიხეები, ნამგალები, კაპანაძეები, ბლიაძეები (სოფ. ფლევი)...

TOPONIMICAL MATERIALS OF TCHERATKHEVI (GENERAL REVIEW)

Nikoloz Otinashvili, Gori State Teaching University, Associate Professor

RESUME

Tcheratkhevi Valley is situated to the west of Shida Kartli. Likhi Range is bordered it to the west, Prone Valley to the east, east slopes of Likhi Range to the north and the river Suramula to the south.

Vakhushti Bagrationi named villages of the valley in his 'Description~ under the common title 'Alistskali~. Also Ioane Bagrationi described with the common title „on Alis Tskali and on its valley villages, kingdom, Satavado, Saaznauro and Saeklesio are these: Someneti, today's Somaneti, Sative, Vaka, Adzvi, Nabakhtevi, Brili, Dumatskho, Kindzati, Brolosani, Ali, Utslevi, Ulumba“.

Tcheratkhevi is named according to the surname Tcherashvili by the folk etymology. They had been living at the beginning of the valley and they exiled in Kakheti namely in Kvareli District.

We represent toponimical materials of the four villages Ali, Brili, Plevi, Kindzati with the Historical and Modern points of view.

According to the historical materials there were lined in Ali: Tvalikakashvili, Nebieridze, Grigalashvili, Gigineishvili, Giganashvili, Gochashvili, Kvinikadze, Perenidze.

In Brili there were lived: Aduashvili, Bidzinashvili, Torelashvili, Enuakashvili, Jobadze, Berekashvili, Khatelishvili.

In Kindzati: Goshparishvili, Kochoradze, Mratchveli etc.

In Plevi: Ramazishvili, Papiashvili, Tchautchidze, Bindiashvili, Buzaladze.

In the villages of Tcheratkhevi there mainly live population moved from Zemo Imereti and Imeretian dialect is obviously felt. What about Toponymy it is not mainly deferent from the general Georgian Toponymy and with production side also follows it. Dialectic events also are revealed.

INNOVATION IN ENGLISH LANGUAGE EDUCATION IN GEORGIA

Prof. Dr. Edward Raupp, Gori State Teaching University

E-mail: edraupp@gmail.com

ABSTRACT

Georgia is moving to replace old Soviet institutions by adapting best practices to construct a more progressive civil society. One of the keys to this major reform process is the teaching and learning of the English language. In order to participate in an increasingly globalized socioeconomic system, Georgians need to be able to communicate effectively, and this communication will require a high degree of fluency in foreign languages, especially English. The Georgian Government has designed and implemented a number of initiatives to improve English language fluency among pupils in schools and students in universities. In addition to earlier United States Peace Corps programs in Teaching English as a Foreign Language (TEFL) which began in 2001, post-Rose Revolution initiatives include, *inter*

alia, Teach and Learn with Georgia (TLG, 2012), English from first grade, and a university diploma mandate for English fluency. Gori University has energized its English programs for all students in all fields in all years and has established a Center for Content-Based English Language Learning (C-BELL) using the most modern theory and practice to improve English learning outcomes. A review of the literature reveals an increasing appreciation of the value of content-based language learning. This study, based on observation of classes at Gori University and local schools, examines best practices around the world in language acquisition and makes recommendations as to how they may be applied to English language learning programs in Georgia. Recommendations apply not only to Gori University, but to all institutions of higher learning in Georgia as they strive to meet the mandate of the government, that all university graduates must demonstrate proficiency in the English language in order to receive their diplomas.

Innovation in English Language Education in Georgia

On August 5, 2011, First Deputy Minister of Education and Science of Georgia, Koka Sepherteladze, announced a new policy for higher education. Starting with the 2011 entering class, university students will have to demonstrate English proficiency in order to receive their diplomas (Ministry, 2011). Those students who chose English as their foreign language in the Unified National Entrance Examination will be required to pass an English examination at Level B-2, Upper Intermediate, in order to receive their diplomas. Those who chose a language other than English, e.g., Russian or German, nevertheless must pass the English examination at Level B-1, Intermediate, in order to receive their diplomas. The requirement applies to students in all faculties except for English Philology. In order to meet the new mandate, Gori University embarked on a comprehensive program to upgrade the English skills of its students. One of the key elements of the program is Content-Based English Language Learning (C-BELL).

Background

Since the Rose Revolution of November 2003, the Georgian government has moved swiftly and with determination to leave its Russia-dominated past behind and look to the West for its models of institutional reform, including education. The Bolshevik Red Army had invaded Georgia in 1921 and forced that small nation into the newly forming Soviet Union. As a consequence of the “Russification” of the Soviet Union, Georgians were forced to learn the Russian language. The leaders of the Rose Revolution, especially Georgia’s President, Mikheil Saakashvili, moved to eradicate corruption and build a new society based on integrity and Western best practices. This included emphasis on English in schools and universities. The Russian invasion of Georgia in August 2008 generated a program of “de-Russification” and accelerated the movement toward English at all levels. English language learning would be established in all Georgian schools from first grade, university students would be required to be fluent in English, and a thousand native speakers of English would be brought into the country in a program initiated by the President called “Teach and Learn in Georgia” (TLG). In addition, United States Peace Corps would continue its programs of English as a Foreign Language started in 2001. In July 2012, Gori University (GU) resumed its popular “Summer Fun with English” for some 400 participants of all ages and expanded by 50 percent its English Library to include a Youth Room with books and multi-media programs for school pupils and their teachers, as well as for members of the community. Starting in the fall of 2012, GU began its C-BELL program, connecting students to English through the vocabulary and situations related to their specialties. GU is also now extending the weekly hours of English language classes, using CD players, and applying other initiatives aimed at increasing the probability of success for bachelor’s degree students who, upon completion of four years of study, must pass their English proficiency examination in order to receive their diplomas.

Literature Review

There is an increasing interest in and application of content-based English language learning in the literature (Brinton, 2003; Mohan, 1986; Smoak, 2003). Stryker and Leaver (1997) express a concern for “foreign or second language educators who would like to implement content-based instruction (CBI) in their classrooms but who have neither models to follow nor time to develop new ones” (p. v.). They characterize CBI as “a truly holistic and global approach to foreign language education” (p. 2). CBI models may include sheltered courses (emphasizing access to mainstream, grade-level content), theme-based units, discipline-based instruction, and, most comprehensively, Foreign Language Across the Curriculum (FLAC).

Brinton, Snow, and Wesche (1989) and Krueger and Ryan (1993) present the theoretical foundations of CBI, as well as the empirical evidence in support of the approach. CBI is a significant approach in language education and is intended to provide second-language learners instruction by connecting content of interest to the learner and language. Rather than just learning English in a general format, the learner engages material of interest using the English language as well as the vocabulary and situation of the specialty, whether business, economics, law, psychology, journalism, biology, or other field.

Historically, the word “content” has changed its meaning in language teaching. The word used to refer to the methods of grammar-translation, audio-lingual methodology and vocabulary or sound patterns in dialog form. Recently, however, content is interpreted as the use of particular fields of interest as a means of gaining learner interest and enthusiasm for learning a foreign language.

Motivation and interest, two underlying principles of CBI, are critical in supporting student success with challenging, informative activities that lead to success and help students learn both the language and the skills of the specialty (Grabe & Stoller, 1997). Students who are motivated and interested in the material they are learning make meaningful connections between topics and can recall information more effectively (Alexander, Kulikowich, & Jetton, 1994; Krapp, Hidi, & Renninger, 1992).

დუკაწ მეფეს უკითხავს გიორგისათვის: „თუ არს რაა განყოფილება სარწმუნოებისა თქვენისაა სრულსა მას და უცდომელის სარწმუნოებასა ბერძენთა თანა?“ ხოლო ნეტარმან მან ესრეთ მალლად და ღმრთივბრწყინვალედ წარმოთქვა სარწმუნოებად. მართალი ჩვენ ქართველთა ნათესავისა, რომელი განაკვირვა მეფე და ყოველნი მთავარნი მისნი“. ბერძენთა მეფესთვის განსაკუთრებით გასაკვირვებელი აღმოჩენილა გიორგი მთაწმინდელის შემდეგი სიტყვები: „ესე არს სარწმუნოებად მართალი ნათესავისა ჩვენისა და რაჟამს ერთგზის გვიცნობიეს, არღარა მიდრეკილი ვართ მარცხლ, გინა მარჯულ და არცა მივიდრეკებით“. (გვ. 126)

„განკვირდა მეფე, ესმა რაა ვითარმედ - არღარა მიდრეკილ ვართო და ჰრქუა ბერსა: ...პატიოსანო მამაო, მე კაცი ვარ სამხედროთა საქმეთა შინა აღზრდილი და ვერ წვლილად მეცნიერ ვარ ყოველსა. ხოლო აწ ვინაძოგან კვერთხი მეფობისა მე მიპყრიეს, მნებავეს, რათა ყოველსა მეცნიერ ვიყო ბერძენთა და ჰრომთასა რამეთუ პირველ ყოვლისა მართმადიდებლობა იძიებს მეფეთაგან, მაუწყე ვითარ არს ესე, რომელ ჩვენ და თქვენ მფუნავითა ვწირავთ და ზედამესა წყალსა ურთავთ, ხოლო ჰრომნი ხმადითა და ურწყომთა წირვენ? ფრიად უცხო მიჩანს ესე საქმე და ურთიერთარს წინააღმდეგომ“. (გვ. 127)

გიორგის მოუხსენებია: „ჰოდ მეფეო, ვინაძოგან ბერძენთა შორის მრავალი წვალეზად შემოვიდა პირველ და მრავალ გზის მიდრეკს, ამისთვისცა მსგავსად თქვენთა ღვთისმსახურთა მეფეთა წმიდანი შემოიკრიბნეს და წვლილად გამოიძიეს... დააწესეს რათა მოვიღებდეთ ცომსა სახედ ქრისტესათა, ხოლო პურის ცომს - სახედ სულისა გონიერისა და მარილისა - სახედ გონებისა, წინააღმდეგ წვალეზასა უშჯულოსა აპოლინარისა... ესე არს განმარტებად და მიზეზი ამათ საქმეთად. ხოლო ჰრომთა ვინაძოგან ერთგზის ცნეს ღმერთი, აღარასოდეს მიდრეკილ არიან. და არცა ოდეს წვლილეზად შემოსრულ არს მათ შორის“. (გვ. 127)

რომაელები მაღლიერნი გახდნენ ქართველი ბერისა და სთხოვეს რომის პაპთან მიწვევა, რადგან, „კვალადცა ყოფილ იყო ამის პიროსათვის ძიებად მათ შორის და უსწავლელობითა ვერ სიტყვა ეგო მეფისადა“.

ბოლოს მეფე დუკაწი დაინტერესებულა სომეხთა ქრისტიანული სარწმუნოებით და უკითხავს: - თუ აქვს რაა ნაწილი ქრისტიანთა თანაო? გიორგი მთაწმინდელს მოკლედ მიუგია: „- ბოროტსა სარწმუნოებასა სახელიც ნუ ედებინ!“

ამრიგად, დოკუმენტურად დასტურდება, რომ ცნება პრეზენტაციის მსგავს მოქმედებად, ქცევად შეიძლება მივიჩნიოთ გიორგი მთაწმინდელის ის ქმედებანი, მოსაზრებანის გაცნობა-გაანალიზება ბერძენ, რომაელ, ასურთა, სომეხთა სწავლულ საეკლესიო და აგრეთვე საერო პირებთან. სპეციალურად განხორციელებულ სამოდვრო-სამეცნიერო შეხვედრები, რომელიც ერთობ წარმომადგენლობითი ჩანს.

მეორე მხრივ, პრეზენტაციის მოთხოვნათა ისტორიული საწყისების გამოსავლენად, ვფიქრობთ, საყურადღებო მასალების მოძიება შეიძლება ეროვნულ ძველ მწერლობასა, ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ აზროვნებაშიც, რაც სამომავლო კვლევის თემაა...

ლიტერატურა:

1. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, I, 1966, გვ. 210 ნიკო ჩუბინიშვილი ალ. ღლონტის რედაქციით და გამოკვლევით, 1961, გვ. 446. ილ. აბულაძე ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973. გვ 107, 535.
2. უცხო სიტყვათა ლექსიკონები: შეადგინა მიხეილ ჭაბაშვილმა, 1973. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შედგენილი ბიჭი თეზელაშვილის მიერ. 2007.
3. როინ მეტრეველი, საისტორიო ნარკვევები, 2009, გვ. 336-348.
4. „ქართული მწერლობა“, 2, 1987. გვ. 63-151.
5. იგივე წყარო, გვ. 103.
6. იგივე წყარო, გვ. 126.
7. ივანე ჯავახიშვილი, „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, 1945 წ. გვ. 135-151.
8. კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 249.

რეზიუმე

1. თანამედროვე მეცნიერულსა და კულტურულ სფეროთა აზროვნებაში ცნება „პრეზენტაცია“ თანდათან ფუძნდება. ადრეულ ქართულ წყაროებში ეს ცნება ამგვარი გამოთქმით არ გვხვდება. თუმცა წინაპარ სწავლულებს არაერთჯერ გამოუთქვამთ ამ ცნების შინაარსის შესატყვისი, მსგავსი მოსაზრებანი...
2. ამ საკითხთან დაკავშირებით ვიზიარებთ ქართველი ისტორიკოსის პროფ. როინ მეტრეველის მოსაზრებას: „ისტორიოგრაფიის თანამედროვე განვითარების ფონზე ფრანგი მეცნიერის ჟაკ ლე გოფის

მიერ წარმოსახვითის - როგორც ისტორიის პარამეტრის შემოტანა მეტად საინტერესო მოვლენა გახლავთ“.
(„საისტორიო ნარკვევები“, გვ. 334, 2009).

3. რაიმე მოვლენის, ადამიანის წარმოსახვის შინაარსობრივ მხარეს, მოცემულობას ფსიქოლოგია სწავლობს. გარკვეული წარმოსახვა ადამიანს სათანადო განწყობას უქმნის მიზნობრივი მოქმედებისათვის, აზროვნების ეს ხერხი ანუ გამომგონებლობა ხშირად ასახულია ეროვნულსა და მსოფლიო მწერლობაში.

SPECIAL PRESENTATIONS OF Giorgi Mtatsmindeli for foreigners

Shota Kurdadze, Gori State Teaching University, Full Professor

RESUME

1. In modern scientific and cultural thinking the concept „presentation” is been basing steady. We do not meet this concept with such expression in earlier our sources, although in old and new terminological dictionaries it is understood as a conscious presentation or establishment of knowledge, any event or fact for wide readers.
2. Connected to this issue we share the opinion of Georgian Historian Prof. Roin Metreveli: „On the background of contemporary development of historiography... bringing imaginary as a parameter of History by French Scientist Jacques Le Goff is very interesting event”
3. Psychology studies the content part, entity of any event, of human imagination. Some imagination creates an appropriate mood to a person for purposeful action, this method of thinking, or ingenuity is often reflected in the national and world writing.

2008 წლის აგვისტოს ომის თემა სამ ქართულ მოთხრობაში

მარინე ცერცვაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: karlotsertsvadze@mail.ru

ნაშრომით ვეცადეთ მცირედი წვლილი შეგვეტანა XXI საუკუნის ქართული მოთხრობის შესწავლის საქმეში, რადგან, როგორც ცნობილია, მოთხრობა ურთულესი ჟანრია. მასზე ბევრი დაწერილა, მაგრამ დრომ მოიტანა მოთხრობის ახლებურად შეფასების აუცილებლობა. საჭიროა, ქართული ლიტერატურისმცოდნეობის მდიდარ და ძლიერ ტრადიციებზე დაყრდნობით და მისი ღირებული მიღწევების გათვალისწინებით, მოხდეს შეხედულებათა განახლება.

„ეს წიგნი არ არის ჩვეულებრივი წიგნი, ეს ოდაა სიკვდილზე, არც პოემაა, არც მხოლოდ მსჯელობა, ეს ცრემლებია, სიმწრის ცრემლები და გლოვა, უსასრულო და უიმედო, რომელიც დღემდე გრძელდება და რომლის შეჩერება შეუძლებელია“ [დიურასი, 3].

ეს სიტყვები მარგარიტ დიურასის წიგნიდანაა „ნორჩი ინგლისელი მფრინავის სიკვდილი“. როგორ ჰგავს ეს განცდა იმ განცდას, რომელიც გიჩნდება გიორგი სოსიაშვილის წიგნის, „ჩვიდმეტნი“, რამდენიმე მოთხრობის წაკითხვისას. ალბათ იმიტომ, რომ ომი ყველგან ბოროტებაა, ყოველთვის ბოროტებაა, მისგან წამოდენილი სიმწრის ცრემლებიც ყველას ერთნაირად ახრჩობს, მარგარეტ დიურასსაც და გიორგი სოსიაშვილსაც. ამიტომ ძნელია დაეთანხმო თამთა მელაშვილს, რომ ომი აღიქმება მამაკაცების საქმედ, პოლიტიკოსების, სამხედროების საქმედ. ომი და მისგან გამოწვეული ბოროტება ჩვენც, მარგარეტ დიურასსაც, ფრანგულ სოფელ ვოვილის მცხოვრებლებსაც და სამაჩაბლოდან აყრილ ლტოლვილებსაც ერთნაირად გვაწუხებს. და გლოვაც ასევე უსასრულო და უიმედოა ყველასათვის, ვინც გადაწყვეტს, ერთხელ კიდევ მიუბრუნდეს მომხდარ ტრაგედიას და დაწეროს ყველაფერი იმის შესახებ, რაც მოხდა, რადგან ამას ყველაფერს მოყოლა სჭირდება.

რა ანიჭებს ფრანგი მწერალი ქალის მოთხრობას სიმძაფრეს, რაშია მისი ტრაგიზმი? მხოლოდ და მხოლოდ იმაში, რომ ოცი წლის მფრინავი ბიჭი იღუპება 1945 წლის მაისში, ერთი საათით ადრე, სანამ ომი დამთავრდება. ეს არის და ეს. ამ ბიჭის სიკვდილამდე იმდენი ადამიანია გარდაცვლილი, იმდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ომმა, რომ, თითქოს ეს ერთი სიცოცხლე გინდ აქეთ ყოფილა, გინდ იქით, ხომ შეიძლებოდა, რომ გადარჩენილიყო; მაგრამ დაიღუპა და ომმა წმინდანად აქცია.

ამ ბიჭს, წერს მარგერიტ დიურასი, ისევე, როგორც ყველა მისნაირ ბიჭუნას უყვარდა ომობანას თამაში, გარდაცვლილიც ბიჭად რჩებოდა, „ამის შესახებ წერა შეუძლებელია; თუ ეს შევძელით, მაშინ შეიძლება ყველაფერზე დაიწეროს, მაგრამ ყველაფერზე მიჯრით წერა აუტანელია. ეს აღარ ჰგავს მწერლობას და მისი წაკითხვა შეუძლებელი ხდება, რადგან საშინელ რეკლამას ემსგავსება [დიურასი, 3].

აქედან გამომდინარე, შევეცადოთ საწინააღმდეგოს დამტკიცებას და გავარკვიოთ შესაძლებელია თუ არა წერა 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ, მით უმეტეს, რომ ეს თემა უკვე დიდ ადგილს იკავებს მიმდინარე სალიტერატურო პროცესში. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უფრო დიდ ადგილს იკავებს კრიტიკა იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც ამ ომისადამია მიძღვნილი, რადგან მათი უმეტესობა თბილისს „არგაცილებული“ მწერლების მიერაა დაწერილი და ან იმ კაცუნების ფუსფუსს აგვიწერს, რომელთაც ვერ გადაუწყვეტიათ, რა გზით გადაარჩინონ საკუთარი ქონება-დარჩენ თბილისში, თუ წითელი ხიდის გავლით გადავიდნენ მეზობელ სახელმწიფოში და იქ შეაფარონ თავი, ან სქემატური მსჯელობაა ომის მიერ მოტანილ ბოროტებაზე. არ შევლის საქმეს განცხადებები „ჩვენ ეს ომი შეგვეძლო ღირსეულად მიგველო და ვერ მივიღეთ“ [წულაია, 4]. იყო ხალხი, ვინც ეს ომი ღირსეულად მიიღო. ამდენად ვერანაირად ვერ დავეთანხმებით ფრაზას, რომელსაც ეკა ქევანიშვილი თავის ინტერვიუში ჩაწერს: მიმართავს რა მწერალ თამთა მელაშვილს, რომელმაც ვერ აუარა გვერდი 2008 წლის აგვისტოს ომის თემას, თავის წიგნში „გათვლა“. სრულად მოვიყვანოთ ეს კითხვა და თამთა მელაშვილის პასუხი:

„შენ ბოლომდე გააპროტესტე ეს ომი, თუმცა საზოგადოების ერთ ნაწილს მაშინ სხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდა: რომ სამშობლოსათვის ღირს, რომ როცა თავს გესხმიან, ომი გამართლებულია და ა. შ.

ასეა. ეს არის ჩემი პროტესტი ყოველნაირი ომისა და ძალადობის წინააღმდეგ. რაც შეეხება ომის გამართლებას, ეს ნაციონალისტური მომენტი მგონია, რომელსაც ელიტები ქმნიან, თავი რომ დაიმკვიდრონ საერთაშორისო ასპარეზზე, ქვეყანა მართონ... ეს ხომ ხალხის ომი არ იყო, მე კი ისევე ხალხიდან გამოვდივარ, ხალხთან ვაიგივებ თავს... სწორედ ეს არის პროტესტი მმართველი ჯგუფის მიმართ, რომელმაც ომი დაიწყო“ [მელაშვილი, 2].

მწერალი ქალი რაჭაში ყოფილა ამ ომის დროს, სადაც თვითმფრინავებიც დაფრინავდნენ და ტერიტორიის ნაწილიც დაიბომბა. ამდენად, ომის განცდაც თითქოს რეალურია.

დავუბრუნდეთ გიორგი სოსიაშვილის წიგნს „ჩვიდმეტნი“, სადაც მოთხრობების უმრავლესობა ერთი განმსაზღვრელი თემის გარშემოა გაერთიანებული. მოთხრობების კითხვისას კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ზოგჯერ მართლა სასიამოვნოა შეიგრძნო, საქმე ლიტერატურასთან რომ გაქვს და არა ჟურნალისტიკასთან. მე მხოლოდ სამ მოთხრობაზე შევგერდები რომლებშიც განსაკუთრებით იგრძნობა ომით გამოწვეული ტრაგედია, რომელიც არც 2008 წელს დაწყებულა და არც 2012წელს არის დამთავრებული.

შემთხვევით არ მიხსენებია სიტყვა „თბილისსარგაცილებული მწერლები“. ამ ფონზე ეძვირფასება მწერალს ყველა მოთხრობა, თითოეული აზნაცი. ეს მოთხრობებიც შემთხვევით არ შეგვირჩევია, სამივე თემატურად აგრძელებს ომის თემას - დასაწყისი, დევნილობით გამოწვეული ტკივილები და ცხოვრება საზღვრისპირა სოფელში, სადაც ყოველდღე შეიძლება ტრაგედია დატრიალდეს, მაგრამ ნუ გავუსწრებთ წინ მოვლენებს და განვიხილოთ, როგორ ხატავს მწერალი ამ ტრაგედიის თითოეულ ასპექტს.

მოთხრობა „ჩვიდმეტნი“ შინდისში გმირულად დაღუპული ქართველი მებრძოლების ხსოვნისადამია მიძღვნილი. დღეს, საუბედუროდ, უკვე საზღვრისპირად ქვეული სოფელ დიციდან ყოველდღე სამსახურში მიმავალმა მწერალმა უნდა აუაროს და ჩაუაროს იმ ადგილებს, სადაც ეს ტრაგედია მოხდა. მოთხრობა რეალურ ფაქტებზეა აგებული. ამ მოთხრობის გმირებიც, ისევე როგორც მარგარეტ დიურასის წიგნისა, ოცი წლის ბიჭები არიან, მათაც უყვარდათ ომობანას თამაში და „ვერც იფიქრებდა, რომ ერთ დროს ნამდვილი ჯარისკაცის ფორმას ჩაიცვამდა, ხელშიც ნამდვილ ავტომატს დაიჭერდა და სამშობლოს დაცვა არჩევან-არადანის გარეშე მოუხდებოდა“ [სოსიაშვილი, 1]. როგორ ენატრება, რომ ეს სინამდვილე კი არა ისევე ომობანას თამაში იყოს, სადაც ზოგი „იჭრებოდა“, ზოგი „კვდებოდა“ მაგრამ სულ ცოტა ორი „გაცოცხლება“ იყო თამაშის წესებით გათვალისწინებული და ისინიც ისევე „ცოცხლდებოდნენ და ისევ ბრძოლის ველისკენ მიიწევდნენ“ [სოსიაშვილი, 1]. ახლა კი მხოლოდ ერთი სიცოცხლის ამარა დარჩენილან ვერაგი მტრის წინაშე, რომელიც მოტყუებით, თუ ძალით ცდილობს დაიკანონოს ძირძველი ქართული მიწა, „ავტომატებით დააბოტებდნენ ცხინვალის ქუჩებში,.... ვეება ორმოებს თხრიან და ათობით ქართულ გაციებულ გულს გრუხუნ-გრუხუნით აყრიან ამ მიწას რუსული ტრაქტორები“ [სოსიაშვილი, 1].

ეს იქ, ცხინვალში; აქ კი, შინდისში, ქართული დროშით მიტყუებულ ქართველ ბიჭებს მეორედ მოსვლას მოუწყობენ. და რა გინდა უთხრა მომავალ თაობას, რომ ამ ცოდვის ტრიალში, სადაც „თითქოს აპოკალიფსური ამბები ცხადდებოდა“ [სოსიაშვილი, 1], უაზრო იყო ბიჭების გმირობა, რომ ეს არ იყო

„ხალხის ომი“ და ამიტომაც არ უნდა იფიქროს ერთ გაზარდულ შენობას ამოფარებულმა ბიჭმა: „ნეტავ როგორ წირავდნენ სამშობლოსთვის თავს ქართველები?“ [სოსიაშვილი, 1] და, რაც მოთხრობას უდიდეს ემოციურ დატვირთვას ანიჭებს არის ის, რომ ავტორი საოცარი დამაჯერებლობით ახერხებს ამ გადამწყვეტ მომენტში აპოკალიფსის თავის გმირს ასეთ კითხვაზე პასუხი: „მე ასე მგონია ყველანაირი ფიქრი გიქრება, მართო ერთ წერტილს ხარ მიშტერებული, წერტილს კი არა, ნათლის სვეტს და ის ნათლის სვეტი სამშობლოა“ [სოსიაშვილი, 1].

არ გამართლდა “რუსების მაიორის” განზრახვა: „არც ერთი ცოცხალი არ უნდა წავიდეს, ეხლა ვაჩვენებ როგორი მეზობლები არიან“ [სოსიაშვილი, 1]. „არც ერთი ჩვენგანი ტყვედ არ ჩაბარდება“ [სოსიაშვილი, 1]-ამბობენ ბიჭები „ნაღვერდლიანი თვალებით“, ჩვიდმეტივე რჩება და იბრძვიან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. აი, რა კარგად წერს ასეთ სიტუაციაზე მწერალი ქარდა ქარდუხი: „ათასი მიზეზი არსებობს, თუ რატომ უნდა დატოვო ბრძოლის ველი, და მხოლოდ ერთადერთი-რატომ არ უნდა დატოვო, თუნდაც ვეებერთელა იმპერიასთან უთანასწორო ბრძოლაში, და მას გმირობა ქვია; სამწუხაროდ საქართველოში გმირობის საფასური თითქმის ყოველთვის სიკვდილია, ამიტომაც ჩვენ ძირითადად გარდაცვლილი გმირები გვყავს“ [ქარდა ქარდუხი, 6] და შენც, ყოველდღე რომ აუვლ-ჩაუვლი იმ ადგილს, რომელიც „სულ სხვაა, იმიტომ, რომ საფლავი არ არის, ის არის ადგილი, სადაც ერთად ყრია ჩვიდმეტი მუჭა მიწა. იმ მიწაში შინდისში გმირულად დაცემული ჩვიდმეტივე ქართველი ჯარისკაცის სისხლი ერთად არის შერწყმული“ [სოსიაშვილი, 1] როგორ შეგიძლია არ დაწერო, არ უკვდავყო მათი გმირობა, არ მოიყვანო ახალგაზრდები მათ საფლავზე იმის დასანახად, რომ ქართველთა გმირობა მხოლოდ ისტორიას არ შემოუნახავს; აქ, ჩვენს გვერდით, არიან 20 წლის ბიჭები, რომლებიც სამდღიან ომში ახერხებენ გმირებად დარჩენ და აქედან ტრაგიზმიც უფრო მძაფრია, ვიდრე ფრანგი ქალის მოთხრობაში; თითოეული პერსონაჟი რეალური პიროვნებაა, მათი სახელები შემოუნახავს საფლავის ქვას, იქვე მოთხრობის ავტორის მიერ აღმართული ჯვარია და თუ მწერალი ქალები გვერდს უვლიან ომზე ტრადიციულად ლაპარაკს და მის სხვა მხარეებს აშუქებენ, მოთხრობაში „ჩვიდმეტი“, ხმამაღალი პატრიოტიზმიც, ბატალური სცენებიც, ჯარისკაცებიც და ტანკებიც უხვადაა, მაგრამ ეს ყველაფერი რეალობაა, მწერლის მიერ დანახული და მოთხრობილი, რომელიც მკითხველზე უდიდეს ემოციურ ზეგავლენას ახდენს, რადგან მწერალს არასოდეს ღალატობს ზომიერების გრძნობა და ლიტერატურული გემოვნება.

და არც ის არის შემთხვევითი, რომ მარგერიტ დიურასის მიერ მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მფრინავისადმი ერთხელ უკვე მიძღვნილ მოთხრობას „ნორჩი ინგლისელი მფრინავის სიკვდილი“, ნანა იაშვილი, თავის თარგმანს 2008 წლის აგვისტოში, გორსა და ცხინვალთან დაღუპულ ქართველ ჯარისკაცებს მიუძღვნის, იმ ჯარისკაცებს, რომლებიც გმირულად იცავდნენ საქართველოს მიწა-წყალს რუსი ოკუპანტებისაგან და მათ შორის შინდისში დაღუპული ჩვიდმეტი ბიჭიც იგულისხმება, ალბათ.

ორივე მოთხრობა „მისამართიანია“, „პირადად შენთვის მკითხველო, რომლის შესახებ ჯერ არაფერი ვიცი, პირადად შენ გწერ მკითხველო“ [დიურასი, 3] - წერს მარგერიტ დიურასი და გიორგი სოსიაშვილიც ჩვენთვის, მკითხველებისთვის წერს, რომ არ დაიკარგოს ხსოვნა აგვისტოს გმირებისა და არავინ თქვას, რომ ეს მხოლოდ საზოგადოების ერთ ნაწილს ჰქონდა ასეთი დამოკიდებულება: „რომ სამშობლოსათვის ღირს“.

წიგნებს აქვთ უცნაური (აშკარად განპირობებული!) თვისება, სწორედ მაშინ მიეახლონ სულს, როდესაც სწორედ ეს წიგნი სჭირდება. ასეთია ნანა კუციას ზუსტი განმარტება. როგორ სჭირდება სულს მართალი სიტყვა მაშინ, როდესაც საზოგადოება ორად გახლეჩილა და სხვადასხვაგვარად აღიქვამს ომს, რომლისგან გამოწვეული ჭრილობები ჯერ კიდევ დიდხანს არ მოშუშდება, განსაკუთრებით იმ ადამიანთა ხსოვნაში, ვინც დღეს დევნილია და მხოლოდ მოგონებებით საზრდოობს. მოთხრობა „ამირანის ზედაშე“ ამ მონატრებაზეა. ქართულ ლიტერატურაში არაერთგზის გვხვდება დინჯი, გამრჯე, ბრძენი გლეხკაცის სახე, მაგრამ დღეს ეს ამაგდარი ადამიანი საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილის სტატუსს ატარებს. მისი მდგომარეობა კარგად ასახავს ჩვენი დროის ტრაგიკულობას. ამირანის პრობლემა მთელი საქართველოს პრობლემაა, ყველას გვენატრება დაკარგული სამაჩაბლო, მაგრამ იმდენად დიდია სურვილი გლეხკაცისა, ერთხელ კიდევ შეიხედოს თავის ვენახში, რომ გადაწყვეტს იქ უჭუმრად შეიპაროს და ისე დაკრიფოს თავისი ნალოლიავეები ყურძენი. მწერალი გრძნობს სიტუაციის სიმძიმეს, ცდილობს რეალურისა და ირეალურის მონაცვლეობით ზუსტად დახატოს სურათი. თუმცა, ზოგჯერ, მწერლობაში ისეთ რამეს აწყდები, რაც ცხოვრებაში ჯერ არ მომხდარა, მაგრამ ეს სიმართლედ აღიქმება, რადგან მწერლობას თავისი კანონები აქვს.

ამირანის დაბრუნება საკუთარ ვენახში, იქ რთველის მოწყობა, რეალურად ხდება, თუ მისი სიზმრის გაგრძელებაა, მწერალს მკითხველზე აქვს მინდობილი, რადგან, პარადოქსია, მაგრამ გამოგონილი სინამდვილე ზოგჯერ უკეთ ესადაგება რეალურს, ამ უცნაური მშვენიერების წყალობით ვიტანთ მწერლობას, წერს ნობელიანტი მწერალი ჰერტა მიულერი. შეიძლება მართლაც სიზმრის

გაგრძელებაა ის, რომ გულის კარნახით, „წერატანილივით“ წავიდა დაპყრობილ, გავერანებულ სოფელში და რთველი გამართა, მაგრამ „მინც ბედნიერი ვარ, რო საკუთარი ვენახიდან მოწეული ყურძნის დაწურვა მეღირსა. დევნილობაში გატარებულ ათეულობით წელს ჯობდა ის ერთი დღე“ [სოსიაშვილი, 1] - ფიქრობს სასიკვდილო სარეცელზე მყოფი ამირანი და გულს იმითლა იმშვიდებს, რომ ზედაშედე ჩაფიქრებული ღვინით, საკუთარ ვენახში ქურდულად დაკრეფილი ყურძნიდან რომ დაწურა, გაზაფხულზე მეუფე ისაია შენდობას ეტყვის მასაც და „ყველა უპატრონო მიცვალებულს... ვის საფლავზეც კვერცხი არ გაგორდება, პასკა არ გაიჭრება, ჭიქა არ წაიქცევა“ [სოსიაშვილი, 1]

მწერლის ცნობიერებაში ღრმად არის გამჯდარი 2008 წლის ომის თემა, ის მხოლოდ ერთ დაბომბვას კი არ შეესწრო, თავის თავზე გადაიტანა ის ჯოჯოხეთი, რაც სამაჩაბლოში დატრიალდა და, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დღესაც არ დამთავრებულა.

დღეს ემოციური კრიტიკა დიდ ადგილს იკავებს ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, ამას ისე მივეჩვიეთ, რომ ზოგჯერ გვავიწყდება კიდევ, რომ ამქვეყნად რაციონალური კრიტიკაც არსებობს, წერს ანზორ დიდებულისძე, რას ვიზამთ, ამნაირი ვითარება კარგა ხანს არ შეიცვლება, ამას შეგუებულნი ვართო. ზურაბ ლავრელაშვილი კი პასუხობს, „რალა კრიტიკა გვექონია თუ ემოციურებიც ვყოფილვართ და დასაბუთების ხელოვნებაც გვკლებია?“ [ლავრელაშვილი, 4].

რაციონალიზმი, თავისთავად, მეტად საჭიროა კრიტიკისათვის, მაგრამ რადგანაც ჯერჯერობით ემოციური კრიტიკა სჭარბობს, ჩვენც ამ ხაზს გავყვებით, რადგან არ შეიძლება ემოციების გარეშე განიხილებოდეს მოთხრობა „ლომა, თაზო და ერთ დროს უთვისტომო რექსი“, რომელიც მწერალს, საკუთარი შვილის, 14 წლის ნოდისადმი აქვს მიძღვნილი. ამ მოთხრობაში, და მთელ წიგნშიც „ჩვიდმეტნი“, მწერალს ბევრი რამ რეალობიდან აქვს აღებული. გიორგი სოსიაშვილი ის მწერალია, თავის თავს რომ ხედავს და თავისი თავი რომ იცის. თითოეული მისი მოთხრობა გაგაკვირვებს, გაგაოცებს და დაგაფიქრებს. გაგაკვირვებს იმიტომ, რომ ამდენი წელია ქალაქში შენს გვერდით ტრიალებს, და მხოლოდ ახლა აღმოაჩენ, რომ ყოველ დღე საზღვრისპირა სოფლიდან მოდის სამსახურში და ყოველ საღამოს უკან ბრუნდება. გაგაოცებს იმიტომ, რომ, თურმე, რაც მოთხრობაში ასე ხატოვნად არის გადმოცემული, რეალობაა და არ იცი, როდის გაიმეტებენ ვერტმფრენით შემოფრენილი რუსი ჯარისკაცები სოფლის სკოლას. როგორ მალავს ცრემლებს ისტორიის მასწავლებელი და იმედიანად მოძღვრავს ბავშვებს: „მაგაზე დიდი უბედურებაც გვინახავს, უწყლოდაც ვყოფილვართ, ულუკმაპუროდაც, მაგრამ გაგვიძლია“ [სოსიაშვილი, 1]. შეიძლება ვინმემ ეს სიტყვები პათეტიკაშიც ჩაუთვალოს მწერალს, მაგრამ როდესაც შენი შვილი სწავლობს იმ სკოლაში, საიდანაც ყოველ დღე თითო მოსწავლე გადაყავთ მშობლებს იმის შიშით, რომ „კაცმა არ იცის რა მოაფიქრდებათ ან რუსებს, ან ოსებს“ [სოსიაშვილი, 1], გაგაოცებს „სამშობლოს განცდა გასაკვირველი,“ რომელიც არ გაძლევს ნებას დატოვო საკუთარი სოფელი და უკეთეს პირობებს შეაფარო თავი. არა მარტო გაგაოცებს, არამედ გზარავს იმის განცდა, თუ რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს პატარა ბიჭს, რომელიც ნაჩუქარი ბინოკლით გასცქერის პატარა ლიახვის სოფლებს და სხვა გასართობი არ აქვს. ნათესავები კი უყვებიან ქალაქში არსებულ ათასგვარ გასართობზე, მაგრამ მას „ეს ხრიოკი მინდორი ურჩვენია“ [სოსიაშვილი, 1]. ეს პათეტიკა კი არა - რეალობაა, ამიტომ დავიზღვიეთ თავი, ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ემოციურობა სჭარბობსო. ამ შეფასებებში ალბათ ემოციურნი ვიქნებით, რდგან როგორ გინდა რაციონალურად ახსნა ის გრძნობა, რაც არ გაძლევს მორალურ უფლებას დატოვო შენი სოფელი და შენი შვილი გაარიდო იმ საფრთხეს, თანასოფლელებს რომ ყოველ წუთს მოელოთ.

ადრეც აღვნიშნეთ, მწერლის მოთხრობებში რეალურისა და გამოგონილის მონაცვლეობის შესახებ. ამდენ რეალობაში, იქნებ, მწერლის ფანტაზიის ნაყოფიც არის ბიჭის გაბედული ნაბიჯი - როგორც კი რუსის ჯარისკაცები კარგა მანძილით მოსცილდებიან გადაიპაროს და მათი გერმანული ნაგაზი მოფერებით წამოიყვანოს. ეს მით უფრო საშიშია, რამდენადაც რეალურია. კოკა ყოველთვის ხომ არ მოიტანს წყალს, და მაშინ ... რა იქნება მაშინ? ალბათ ის, რითაც აშინებს თაზოს თანასოფელი მირიანი - დაიჭერენ და „დაუწყებენ მერე ჩვენებს ვაჭრობას“ [სოსიაშვილი, 1], როგორც არაერთხელ გაუკეთებიათ.

ჩვენ არ გვექონდა პრეტენზია გიორგი სოსიაშვილის მთელი შემოქმედება განგვებილა. მხოლოდ ერთ პატარა წიგნში შესული სამი მოთხრობით შემოვიფარგლეთ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ აზრს, რომ „პოეტი მინც ერთი ლექსია“ მწერალიც შეიძლება შეფასდეს სამი მოთხრობით, რადგან, სამწუხაროდ, საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) ხშირად ისეთი მწერლები იღებენ უმაღლეს ლიტერატურულ ჯილდოებს, რომელთა შეფასების კრიტერიუმი შემოქმედება კი არა, პირადი ურთიერთობანია და ეს ინსტიტუტი ჯიუტად და უნაკლოდ განვითარდა. მწერალი მხოლოდ იმის იმედზე უნდა იყოს, რომ მომავალი თაობა და დრო გადაარჩევს ლიტერატურას და მაკულატურას.

მოვა მომავალი თაობა და იკითხავს რა ხდებოდა საქართველოში 2008 წლის ომისა და მის შემდგომ პერიოდში. აქ უკვე მწერლის მართალი სიტყვა იტყვის, თუ “რაოდენ საჩქაროა ზრუნვა

განსაცდელში ჩავარდნილი სულიერებისათვის, მაშინ როდესაც ერთი ერის უფუნურების გამო მეორე ერს გადაშენების საფრთხე მოელის” [ჩხეიძე, 5].

დღეს საქართველოში წერა ადვილია, რადგან, როგორც ოთარ ჭილაძე წერს, მწერალმა უარი თქვა მწერლობის ტრადიციულ დანიშნულებაზე, ანუ ჩვენი ისტორიული პრობლემები გადაწყვეტილად მიიჩნია და უცხოელი ექსპერიმენტალისტების მიზაძვით უაღრესად „თანამედროვე“ და „აქტუალური“ თემებით დაინტერესდა, როგორცაა, თუნდაც, ჰომოსექსუალიზმი, კოსმოპოლიტიზმი თუ გლობალიზაცია, ანუ მშობლიური ისტორიის კრიტიკა და მშობლიური კულტურის უარყოფა. პოეტი საჯაროდ აცხადებს - „არ ვიცი რას ნიშნავს ხალხის გვერდით დგომა. მე ჩემი ხალხის გვერდით მხოლოდ ნავთის და პურის რიგში ვდგავარ“.

გიორგი სოსიაშვილი თავის ხალხის გვერდით საზღვრისპირა სოფელში დგას, მაგრამ მან, საბედნიეროდ, 2008 წლის ომის პერიპეტივებზე წერის უფლება შემოქმედებაშიც და ყოფაშიც ზნეობრივი პრინციპების ერთგულებით მოიპოვა. თუმცა მწერლობა მწერლობაა და აქ ოჯახური მდგომარეობის და სხვა, თუნდაც ძალიან საამაყო მომენტების წინა პლანზე წამოწევა გაუმართლებელია. ჩვენ ამ სტატიით შევეცადეთ ერთი ფურცელი ჩაგვეწერა იმ თემაში, რომელიც გაჩნდა ქართულ ლიტერატურაში და რომელსაც „2008 წლის აგვისტოს ომის თემა“ უწოდებენ. ვინ წერს, რას წერს, როგორ წერს ამ მტკივნეული თემის შესახებ, ამას მომავალი თაობა განსჯის, ჩვენ მხოლოდ ორიოდ სიტყვა ვთქვით იმ მართალ წიგნზე, რომლის დაწერის უფლებაც ავტორმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მწერლური და ზნეობრივი პრინციპების ერთგულების დაცვით მოიპოვა.

ლიტერატურა:

1. გიორგი სოსიაშვილი, „ჩვიდმეტნი“, თბ., 2010.
2. „ლიტერატურული პალიტრა“, №2, 2011.
3. „ლიტერატურული პალიტრა“, №5, 2011.
4. „ჩვენი მწერლობა“, №10, 2011.
5. „ჩვენი მწერლობა“, №23, 2011.
6. „ჩვენი მწერლობა“, №19, 2012.

რეზიუმე

ნაშრომით ვეცადეთ მცირედი წვლილი შეგვეტანა XXI საუკუნის ქართული მოთხრობის შესწავლის საქმეში, რადგან, როგორც ცნობილია, მოთხრობა ურთულესი ჟანრია. მასზე ბევრი დაწერილა, მაგრამ დრომ მოიტანა მოთხრობის ახლებურად შეფასების აუცილებლობა. საჭიროა, ქართული ლიტერატურისმცოდნეობის მდიდარ და ძლიერ ტრადიციებზე დაყრდნობით და მისი ღირებული მიღწევების გათვალისწინებით, მოხდეს შეხედულებათა განახლება. ნაშრომში შევეცადეთ გაგვეჩვენოთ შესაძლებელია თუ არა წერა 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ, მით უმეტეს, რომ ეს თემა უკვე დიდ ადგილს იკავებს მიმდინარე სალიტერატურო პროცესში.

THE AUGUST WAR 2008 IN THREE GEORGIAN NOVELS Marine Tsertsvadze, Gori State Teaching University, Full Professor RESUME

The presented work is an attempt to do a bit in the study of the Georgian novels of the XXI century, as it's the most complicated genre. Much was written about it, but it became inevitable to estimate the genre in a new way. It's necessary to renew the viewpoints based on rich and strong traditions of the Georgian Literature Studies and regarding its valuable achievements. In the work we tried to find out whether it is possible to write about the August War 2008 or not, however, this theme has already had a great place in the current literary process.

გოდერძი ჩოხელის პოეზიის ძირითადი თავისებურებანი

გიორგი ხორბალაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასისტენტ-
პროფესორი

E-mail: g.khorbaladze@gmail.com

მეოცე საუკუნის მიწურულს, ოთხმოციანი წლებიდან მოყოლებული ბევრი დაიწერა გოდერძი ჩოხელის შემოქმედების შესახებ. კრიტიკოსთა უმრავლესობა მის შემოქმედებას ზედაპირულად აღიქვამდა და მთავარ არსსა და მახასიათებლებს ხშირად ყურადღების მიღმა ტოვებდა. თითქოს უნდობლად უყურებდნენ მთიდან ჩამოსული, სოფლელი ბიჭის სამყაროს, რომელიც სვეტიცხოვს განსაკუთრებულად შინაარსიანი ვერ წარმოედგინათ. რა უნდა ეთქვა, რით უნდა გაეკვირვებინა, დედაქალაქის დახვეწილი საზოგადოება სოფლელ ბიჭს? რა უნდა ესწავლა ერთ მუჭა ჩოხში ისეთი? ეს იყო კითხვები, რომლებიც ამგვარ იკვნიულ დამოკიდებულებას ფართე გასაქანს აძლევდა და ამ კითხვათა ადეკვატურ პასუხებამდე გზას აბრკოლებდა: სულიერი სისუფთავე, სიხალასე, კეთილშობილება, ამოუწურავი სიყვარული უფლისადმი, სამყაროსადმი, სიცოცხლისადმი, ადამიანისადმი. ჩამოვიდა დედაქალაქში და მისი რომანტიული სულის ჭიდილიც დაიწყო ყოველდღიურ მონოტონურ პრაგმატიზმთან, მკაცრ რეალობასთან, ბოროტებასთან. დაიწყო და არც დასრულებულა სიცოცხლის ბოლო წუთამდე. ერთი კია, ამ ჭიდილმა, მართალია, ვერ გადაასხვაფერა გოდერძი ჩოხელი, და ვერც სიყალბეს აზიარა, მაგრამ მისი შემოქმედება კი უდაოდ გამოაწრთო და საკუთარი, ორიგინალური სტილით, თხრობის ერთობ თავისებური მანერით და მკითხველის სულამდე ჩაღრმავების უნარით ერთ-ერთ საუკეთესო მწერლად აქცია ქართულ და არა მხოლოდ ქართულ რეალობაში. უნდა აღინიშნოს, რომ გოდერძი ჩოხელის შემოქმედების განხილვისას აქცენტი კეთდება მის პროზაულ ნაწარმოებებზე და ხშირ შემთხვევაში ყურადღების მიღმა რჩება შემოქმედების მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი - პოეზია. ჩვენ გვესმის ამ მიდგომის მიზეზები და კარგად ვუწყოთ, რომ გოდერძი ჩოხელი შემოქმედებითად პროზაში გაცილებით შთამბეჭდავად იხსნება, ვიდრე პოეზიაში და, შესაბამისად, მისი პროზა გაცილებით ხშირად ხვდება ყურადღებისა და განხილვის საგანი, ვიდრე პოეზია, თუმცა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ერთი საინტერესო დეტალი - გოდერძი ჩოხელი სულით არის პოეტი და მისი პროზის ერთგვარი განსაკუთრებული ნიშან-თვისება სწორედ პოეტურობაა. პროზის პოეტურობა კი მუდმივ ფონად გასდევს მის ალალ-მართალ სიტყვას და ვლინდება ყველა ნიუანსსა და განცდაში. გოდერძი ჩოხელისთვის უცხოა ყოველგვარი სიყალბე, სულიერებამდეა ამაღლებული სიცოცხლისა და ადამიანებისადმი დამოკიდებულება. მის ლექსების კრებულს ავტორის სიტყვები აქვს წამდვარებული: „ეს ჩემი სულის ლოცვებია, სიმარტოვეში დაფწერე... მინდოდა რაღაცით გამეთბეთ. ღმერთო შემინდე! ისე ვილოცე, როგორც შევძელი.“ უფრო სრულყოფილი და უსაზღვროდ პოეტური წინასიტყვაობა არასოდეს წამიკითხავს და საერთოდ, ჩოხელის შემოქმედების დედაენა ყველგან და ყოველთვის პოეზიაა - წერს კრებულის წინასიტყვაობაში გიორგი ნადირაძე. [1;9] და მართლაც, ისე შემოგეპარება პროზის კითხვისას პოეტური აღმაფრენა და ლექსის კითხვისას პროზაული პრაგმატიზმი, რომ გრძნობ გოდერძი ჩოხელისთვის არ არსებობს ლიტერატურული ფორმების ჩარჩო, ის თავს არ შეიზღუდავს დოგმატიზმით, ვინაიდან მთავარ პოსტულატად მართლის თქმა და სულიერი განწყობილების მკითხველისთვის მიწოდება მიუჩნევია, ამიტომ, იგი თავისუფალია შემოქმედებაში და ამ თავისუფლებაშია მისი შემოქმედება. აი, რატომ უნდა იქნას გოდერძი ჩოხელის პოეზია უფრო ღირსეულად და მეტი დაკვირვებით შესწავლილი და ამოკვეთილი ქართულ ლიტერატურაში. მიგვაჩნია, რომ პოეზიის გარეშე მისი შემოქმედების ერთიანი სურათი სრულყოფილად ვერ აღდგება და დარწმუნებულები ვართ, პოეზიის საფუძვლიანი შესწავლა არაერთ საჭირო მინიშნებას მოგვცემს პროზაზე მსჯელობისასაც.

საკითხზე მუშაობისას უპირველესად შევეცადეთ თემატური კლასიფიკაცია გაგვეკეთებინა გოდერძი ჩოხელის პოეზიისა. ლექსების კრებულში „მე“ და „მე“, რომელიც პრაქტიკულად სრულად მოიცავს გოდერძი ჩოხელის პოეზიას, შესულია ორასსამი ლექსი და ორი პოემა, მათგან უდიდესი უმრავლესობა მიძღვნილია ჩოხელის შემოქმედებისათვის განსაკუთრებულად დამახასიათებელი თემისადმი, ეს გახლავთ სიკვდილ-სიცოცხლის ფილოსოფია. რა არის სიცოცხლის არსი, რაში მდგომარეობს ადამიანის მისია, არსებობს თუ არა არსებობა სიკვდილის შემდგომ? ეს არის კითხვები, რომელიც მოსვენებას არ აძლევს ავტორს, რადგან მას მიაჩნია, რომ სწორედ ამ კითხვათა პასუხებშია ჩატეული ცხოვრების ძირითადი პანორამა. „მარადიული რა არის, მიწა თუ ზეცის თავანი? ნეტავ

იმქვეყნად გრძელდება კაცის თავგადასავალი?” [2;27] ასე ლაკონურად და პოეტურად სვამს მისთვის ყველაზე საინტერესო და მთავარ კითხვას პოეტი.

კრებულში ლექსები ფოკუსირებულია ფილოსოფიურ თემატიკაზე, პატრიოტულ თემატიკაზე, სიყვარულზე, დედაშვილობაზე, ბუნებაზე და ა. შ. თუმცა, როდესაც კლასიფიკაციას ასე განვიხილავთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღნიშნოს, რომ ყველა დანარჩენი თემატიკიდან, რომლებიც სიკვდილ-სიცოცხლის ფილოსოფიის თემატიკაში არ ვიგულისხმეთ, ლექსების უმრავლესობაში, სხვადასხვა კონტექსტსა და პოზიციაში, გაელვებით მაინც არის ნახსენები სიკვდილი ან სიკვდილ-სიცოცხლის არსთან ასოცირების მანიშნებელი ფრაზაა მოყვანილი, ეს იმ შემთხვევებშიც კი, როცა აღნიშნული თემა არ არის ლექსის მთავარი აზრისათვის გარდაუვალი. მაგალითისათვის ლექსში „რული მოგივა ქალაუ“ ქალის იდუმალი და ქვეცნობიერი განცდებია ნაჩვენები, რომლებიც მისი სიზმრის სახით იხსენება ლექსში და ბუნებრივია აქ სიკვდილ-სიცოცხლის არსი მთლიანობაში არაფერ შუაში არ არის, მაგრამ თემატიკა მაინც გაიელვებს ერთ სტროფში „ერთ კვირას არ გიგლოვებენ, იქნებ არც მოვლენ მკვდარზედა, სახელსაც არ დაგაწერენ, ცივი სამარის ქვაზედა“ [2; 160] - ეს სასჯელია ღალატის ჩამდენი ცოლისათვის, თუმცა ლექსის მთავარი არსის გადმოცემა, რომ ამ მკაცრი სტრიქონების გარეშე შეიძლებოდა სხვა ავტორის შემთხვევაში ეს უდავოა, მაგრამ გოდერძი ჩოხელი ყველაფერს თავისებურად განსჯის და გადმოგვცემს. ლექსი „ობლობა“ რომლის ძირითადი სათქმელი ის არის, რომ დედისერთა ადამიანი, რომელიც, ამ შემთხვევაში შეგვიძლია სიმბოლურად უბრალოდ მარტოსულ ადამიანს მივუსადაგოთ, შესაცოდია, რადგან ადამიანს თანამომე, თანამოაზრე, თანაზიარი ადამიანი სჭირდება ცხოვრებასთან ჭიდილში. როგორ ამბობს ამ სათქმელს გოდერძი ჩოხელი? იგი ისევ სიკვდილთან მიმართებაში ზომავს მარტოხელა ადამიანის ცოდვა-ბრალის საკითხს: „ვახ, დედის ერთაისასა ბრალია, უძმოდ მოკვდება, ვერც და იტირებს, ვერც რძალი, არც სხვა ვინმ დაუღონდება. წავა, უცრემლოდ ჩაივლის, დედის ძვლებს ჩაუსწორდება, სამარის მარტოობასა უბემი ჩაუგორდება.“ [2;18] რას ნიშნავს ასეთი სიახლოვე ერთ კონკრეტულ თემატიკასთან? თანაც როცა თემატიკის ერთგვაროვნება სულაც არ ნიშნავს აღქმისა და შეფასების ერთსახოვნებას, პირიქით, ავტორი ხან განიცდის სიკვდილის არსებობას, ხან ჩქარობს მასთან შეხვედრას, ხანაც აინუნშიაც არ აგდებს და გვეუბნება: კი არის, მაგრამ გინდა ყოფილა და გინდა არაო. ზოგჯერ შიშჩამდგარი სტრიქონები შეგვხვდება, ზოგჯერ იმედიანი ან იმედგაცრუებული, თუმცა, როდესაც ერთიან კონტექსტში განიხილავ, ხვდები, რომ არც შიშია მთავარი ამ თემის აკვიატებაში, როგორც თავიდან გეგონა, არც მოლოდინი, არც თავის დაიმედების მცდელობა. ესაა ცნობისმოყვარეობის დაუოკებელი ჟინი, განუზომლად დიდი ინტერესი და ჭეშმარიტების დადგენის უცნაური წყურვილი, მართლაცდა რა არის ადამიანის მისია და რა ხდება სიცოცხლის შემდგომ? ეს არის გოდერძი ჩოხელისთვის ის შეკითხვა, რომელზეც იგი შეუჩერებლად და შეუსვენებლად ეძიებს პასუხს. საინტერესოა ისიც, როგორ წერს პოეტი გოდერძი ჩოხელი ზემოთ განხილული თემის გარეშე სამშობლოზე, ბუნებაზე, დედაზე, სიყვარულზე... ლექსში „ხანჯარი“ საოცარი ოსტატობით არის გამოხატული სამშობლოს სიყვარული და გულისტკივილის განცდა თანამედროვე ქართველის გულში პატრიოტიზმის ცეცხლის განელების გამო. დაფიქსირებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ჩვენმა წინაპრებმა ურთულესი ომების ეპოქების პირობებში შესძლეს და შეინახეს საქართველოს ერთიანობა, ეროვნული ნიშა და ღირსეულ წინაპრებად დარჩნენ საქართველოს ისტორიაში, ჩვენ კი ინერტულობა გვძალავს და უმთავრეს მისიად სამშობლოს დაცვა აღარ მიგვიჩნევია: „კედელზე ჩაჟანგებული პაპის ნაქონი ხანჯარი, ჩემთვის ხან სიხარულია, ხან იმედი და ხან ჯვარი. ...კედელზე ძველი ხანჯარი გამჯავრებული ბევრ მტრისა... რა დიდი ხანი გვამორებს, დღეს მეჩვენება მე ხისად.“ [2;115] ასე მოკლედ და ამავდროულად ასე სრულყოფილად ჩატიო ამხელა სათქმელი რამდენიმე სტრიქონში, რა თქმა უნდა, არც მარტივია და არც ყველასათვის ხელმისაწვდომი, ეს მხოლოდ რჩეულთ ძალუბთ და ისიც იმ რჩეულთ, ვისაც გულის გულში ჩაჰკირვია სამშობლო. საოცრად ნატიფი პოეტურობით არის დაწერილი სიყვარულის თემაზე ლექსი „ნინოს“, რომელიც ავტორის მეუღლეს ეძღვნება: მოვა თოვლი და სხვაგან წაიღებს ამ მიწის დარდს და მიწის საფიქრალს, რისთვის მოვედით? ე, რას გაიგებ - მოვა თოვლი და სხვაგან წაგვიყვანს, მოვა თოვლი და ისე სხვაგვარად, ისე სხვაგვარად შემეყვარდები, მოვა ზამთარი, შენ სანახავად ზეციდან მოვა თეთრი ვარდებით. მოვა თოვლი და თრთოლვით, სინაზით მიწაზე თეთრად დაეფინება და სანამ მოვა - ო, ნურაფერი, ო, ნურაფერი ნუ გეწყინება.“ [2;76] რა მარტივად და რა ლამაზად იკვლევს გზას მკითხველის გულამდე და რა თბილი და სასიამოვნოა ლექსის წაკითხვით განცდილი ჟრუანტელი. სწორედ ეს არის ჩოხელისეული სისადავე, რომელიც მისი პოეზიაშიცა და პროზაშიც თანაბრად თვალსაჩინო და დამახასიათებელია.

რაც შეეხება პოეტურ სტილისტიკას, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ გოდერძი ჩოხელი ძირითადად თავისუფალ სტილს ანიჭებს უპირატესობას და ხშირად შეგნებულად არიდებს თავს სალექსო წესების ზედმიწევნით დაცვას: „ლექსი გართმული სტრიქონისთვის არასოდეს დამიწერია. ლექსი ღვთიური ძალაა ჩემთვის, რომელიც სულში შემეჯდება და მაწვალებს. ბევრი რამ უნდა ვთქვა ლექსიდან - ერის ტკივილზე, სიყვარულზე, მოლოდინზე... ჩემი ხედვა უნდა მივიტანო მკითხველამდე, ჩემი

ფილოსოფია...” [2;2] წერს თავად. ამის გამო ლიტერატურის თეორიაში არსებული წესებით, მისი ლექსების განხილვა არცთუ ისე მარტივი ამოცანაა, თუმცა სალექსო ნორმების დაცვით წერაც რომ მშვენივრად ხელეწიფება, ამის დამადასტურებელი მაგალითებიც არაერთი მოგვეპოვება. თითქოს ავტორს სურს, ნიშნი მოუგოს სკეპტიკოს მკითხველს, რომელსაც ამაოდ მიაჩნია, რომ ჩოხელი თავისუფალ სტილს საქმის გასაიოლებლად ირჩევს, ან სხვაგვარად არ შეუძლია. გამოურევს ბრწყინვალედ დაწერილ რითმიან ლექსებს და ალაღბედზე გვანდობს დასანახად და შესაცნობად. „ძირითად განსხვავებას ლექსსა და პროზას შორის ქმნის რიტმულობა. ლექსში რიტმი თანაზომიერი ენობრივი ერთეულების (მარცვალი, სიტყვა, სინტაგმა) პერიოდული და კანონზომიერი გამეორების შედეგად. რიტმის ძირითად კომპონენტს ლექსში წარმოადგენს მეტრი. იმავდროულად მნიშვნელობა ენიჭება ტემპს, ინტონაციას, რითმას და სხვა კომპონენტებს.” [3;424] თემაში ვერ ვისაუბრეთ იმ პროცესზე, სადაც ჩოხელისეული სტრიქონი კანონზომიერია მარცვალთა რაოდენობის განსაზღვრულობითაც, რიტმითაც, ინტონაციითაც, რითმითაც და, საბოლოო ჯამში, უზადო პოეტურ სახესაც წარმოადგენს, ამ საკითხის კვლევა შემდგომში იქნება გაგრძელებული.

ამრიგად, ისევე როგორც აკაკი ხინთიბაძე ამბობდა გრიგოლ რობაქიძის შესახებ, თავისუფლად შეგვიძლია გავიმეოროთ, რომ გოდერძი ჩოხელი არ იყო ორდინალური მოვლენა ჩვენს ლიტერატურაში. მისი შეფასება ღირებულებათა გადაფასებას მოითხოვს. გოდერძი ჩოხელი - პოეტი, გვერდს უმშვენებს გოდერძი ჩოხელს - პროზაიკოსს, გოდერძი ჩოხელს - კრიტიკოსს, გოდერძი ჩოხელს - კინორეჟისორს, გოდერძი ჩოხელს - სცენარისტს. გრიგოლ რობაქიძის შემდეგ, ასეთი მრავალმხრივი მოღვაწე იშვიათია მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში და სრულიად თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ „ასეთი თანაბრად ძლიერი ძალისხმევა სხვადასხვა სფეროში, ნიშანდობლივი ევროპის გამოჩენილ მწერალთათვის, ჩვენში ილია ჭავჭავაძისეული მასშტაბურობის გამოვლენა იყო.”

ლიტერატურა:

1. ჩოხელი გ., თხზ., ტ. 4, თბ., 2011.
2. ჩოხელი გ., „მე” და მე” (ლექსების კრებული), თბ., 2007.
3. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 2008.

რეზიუმე

გოდერძი ჩოხელის შემოქმედების განხილვისას დიამეტრალურად უფრო დიდი აქცენტი კეთდება მის პროზაულ ნაწარმოებებზე და ხშირ შემთხვევაში ასევე ყურადღების მიღმა რჩება შემოქმედების მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი - პოეზია. ჩვენ გვესმის ამ მიდგომის მიზეზები და კარგად ვუწყით, რომ გოდერძი ჩოხელი შემოქმედებითად პროზაში გაცილებით შთამბეჭდავად იხსნება, ვიდრე პოეზიაში და, შესაბამისად, მისი პროზა გაცილებით ხშირად ხვდება ყურადღებისა და განხილვის საგანი, ვიდრე პოეზია, თუმცა, არ უნდა გამოგვრჩეს ერთი საინტერესო დეტალი და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გოდერძი ჩოხელი სულით არის პოეტი და მისი პროზის ერთგვარი განსაკუთრებული ნიშან-თვისება სწორედ პოეტურობაა. პროზის პოეტურობა კი მუდმივ ფონად ვლინდება მის ალალ-მართალ სიტყვასა და განცდაში, რადგან გოდერძი ჩოხელისთვის უცხოა ყოველგვარი სიყალბე, სულიერებამდეა დაყვანილი ყველასადმი და ყველაფრისადმი დამოკიდებულება. ისე შემოგეპარება პროზის კითხვისას პოეტური აღმადრენა და ლექსის კითხვისას პროზაული პრაგმატიზმი, რომ გრძნობ გოდერძი ჩოხელისთვის არ არსებობს ლიტერატურული ფორმების ჩარჩო, ის თავს არ შეიზღუდავს დოგმატიზმით, ვინაიდან მთავარ პოსტულატად მართლის თქმა და სულიერი განწყობილების მკითხველისთვის მიწოდება მიუჩნევია, ამიტომ, იგი თავისუფალია შემოქმედებაში და ამ თავისუფლებაშია მისი შემოქმედება.

აი, რატომ უნდა იქნას გოდერძი ჩოხელის პოეზია უფრო ღირსეულად და მეტი დაკვირვებით შესწავლილი და ამოკვეთილი ქართულ ლიტერატურაში. პოეზიის გარეშე მისი შემოქმედების ერთიანი სურათი სრულყოფილად ვერ აღდგება და დარწმუნებულები ვართ, რომ პოეზიის საფუძვლიანი შესწავლა არაერთ საჭირო მინიშნებას მოგვცემს პროზაზე მსჯელობისასაც.

MAIN PECULIARITIES OF GODERDZI CHOKHELI'S POETRY
Giorgi Khorbaladze, Gori State Teaching University, Assistant-Professor
RESUME

While discussing Goderdzi Chokheli's creative work diametrically a bigger focus is made on his prose and an important part of his creative work- the poetry often remains beyond the attention. We understand the reasons for this approach and are well aware that Goderdzi Chokheli's creativity opens up more impressively in prose than in poetry and thereby, his prose becomes the subject of attention and discussion more frequently than his poetry. However, we should not ignore one interesting detail and not forget that Goderdzi Chokheli is a poet by soul and one of special characteristics of his prose is poetic. Poetic nature of his prose is revealed as a constant background in his genuine word and feeling as every kind of falseness is uncommon for Goderdzi Chokheli, his attitude towards everyone and everything reaches the spirituality. With poetic inspiration while reading prose and prosaic pragmatism while reading his verses one feels that there is no literature frame for Goderdzi Chokheli. He does not restrict himself with dogmatism as he considers telling the truth and conveying spiritual mood to readers as the main postulate. That's why he is free in creativity and his creative work is in this freedom.

This is why Goderdzi Chokheli's poetry should be studied more suitably and carefully in Georgian literature. Without the poetry the whole picture of his creative work can not be perfectly revealed and we are sure that studying his poetry thoroughly will give us a number of necessary hints for the discussion of his prose.

ისტორია
History

ქართული ჯარის ისტორიიდან (საარტილერიო რეფორმა XVIII საუკუნეში)

იოსებ ალიმბარაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი
E-mail: sosoalimbarashvili@gmail.com

თოფ-ზარბაზანს ქართველები ჯერ კიდევ XV საუკუნის ბოლოდან იცნობდნენ. მაგ. ქართლის მეფე კონსტანტინე II-ეს (1479-1505) დროს, თურქმანებმა ხალილბეგის მეთაურობით კოჯრისა და თბილისის ციხეების აღება სწორედ თოფის „ხშირი სროლით“ მოახერხეს (15:344).

მოგვიანებით თოფ-ზარბაზნები ქართულ ციხეებშიც გამოჩნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ეროვნულ საქმეს არ ემსახურებოდნენ.

იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ (1510-1565), მურჯახეთის ომში (1535 წ.) ოსმალები დაამარცხა და სამცხეც დროებით შემოიერთა. ეს იუკადრისა ქაიხოსრო III-მ, სულთანთან გაიქცა და შემწეობა სთხოვა, რომელმაც „მოსცა ჯარი მრავალი და თოფი და ზარბაზნები დიდ-დიდნი“ და ბაგრატის წინააღმდეგ გამოგზავნა (15:498).

1567 წელს, ამჯერად სპარსელებს შეუტანიათ თბილისის ციხეში „თოფ-ზარბაზანი“, რომელსაც გასპარსელებული დაუდ-ხანი, საკუთარი ძმის - სიმონ I-ის წინააღმდეგ იყენებდა (15:513).

ოსმალებს გორის ციხე ასევე თოფებითა და „დიდნი ზარბაზნებით“ გაუმაგრებიათ, მაგრამ 1599 წელს სვიმონმა იგი მაინც აიღო და დაანგრევინა, რომ კვლავ მტერს არ ეგდო ხელთ.

საქართველოს სამეფო კარი, ბუნებრივია, ხვდებოდა არტილერიის დიდ მნიშვნელობას. მით უფრო, რომ ნედლეული ადგილზე მრავლად იყო და მისი დამუშავების უძველესი ტრადიციებიც არსებობდა. მაგ. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, სარკინეთს ითხრებოდა „ლითონი რკინისა და სპილენძისა“ (1:311). ან, მარნეულის სამხრეთით „ითხრების მიწა და კდიან გუარჯილასა, ეგრეთვე იალლუჯის მთასა შინაცა მიწისაგან კდიან გუარჯილასა“ (1:327-328).

ქართული არტილერიის მშენებლობის დაწყება პირველად ვახტანგ VI-მ სცადა, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა „მწიგნობარ“ მეფეს აღარ დასცალდა.

ყველაზე დიდ წარმატებას ამ საქმეში ერეკლე II-მ მიაღწია. მან საქართველოში ჯერ ყიზილბაშთა ბატონობას მოუღო ბოლო, 1748 წლის 10 აგვისტოს ნარიყალა გაათავისუფლა და სპარსელების დანატოვარი ჯაბახანა და თოფხანა „სიით ჩაიბარა“ (14:86), ხოლო ერთი წლის შემდეგ თვითონაც აამუშავა

საწარმო, სადაც „კეთდებოდა თოფ-იარაღი, იწყეს ჩამოსხმა ზარბაზან-ზამბულაკებისა, ციხის თოფებისა“ და სხვა (14:92).

ამავე საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ერეკლემ წარმოება გააფართოვა და თბილისში თოფ-ზარბაზნისა და თოფის წამლის ქარხნები გახსნა, რომლებშიც დაქირავებულ შრომას იყენებდა.

1770 წელს საქართველოში ჩამოსულ ცნობილ მეცნიერს იოჰან გიულდენშტედტს უნახავს აღნიშნული ქარხანა და დაწვრილებით აგვიწერს, როგორც თოფისწამლის დამზადების ქიმიურ შემადგენლობას, ასევე შრომის დანაწილების პროცესს (3:15).

თოფისწამლის დამამზადებელი სარეწაოს მფლობელი მდიდარი თბილისელი მოქალაქე – ისაია თაყუაშვილი ყოფილა. როგორც ჩანს, თაყუაშვილებს ამ საქმეში დიდი გამოცდილება ჰქონდათ და ხელობასაც მემკვიდრეობით ფლობდნენ, რადგან ერეკლე მის ოჯახს ამ საქმეში შეუვალობას ანიჭებს: „ქალაქში თოფის წამლის ბრძანება მამაშენს, შენ და შვილთა შენთა გიბოძეთ, თქვენს მეტი კაცნი ვერავინ დაანაყენებდით“ (10:273).

თაყუაშვილს საწარმოდან საკმაო შემოსავალი ჰქონია და თოფისწამლის წარმოებაში „მონოპოლისტად“ იქცა, მეფის ბრძანებით, გვარჯილასა და თოფის წამალს მის მეტი ვერავინ „გაჰყიდდა“.

მალე ერეკლემ ისაიას საწარმო ჩამოართვა და საკუთრად დაიჭირა იმ პირობით, რომ თოფისწამლის წარმოება თაყუაშვილსვე უნდა გაეგრძელებინა, სანაცვლოდ „მეწარმე“ თბილისში მიწებს იღებდა მემკვიდრეობით: „...ოცდახუთი ადლი ალაგი გვთხოვე, ჩვენც ვინებეთ და ის ალაგი შენ და შენ შვილებს სამემკვიდროდ მამულად გიბოძეთ, დუქნები გააკეთე და წამალიც იქ გააყიდვიეო“, ბრძანებდა ქართლ-კახეთის მეფე (10:272).

1795 წლის შემოსევისას ალა-მაჰმად-ხანს თოფისწამლის ქარხანა გადაუწვავს, მაგრამ მომდევნო წელს ისაია თაყუაშვილს მისი აღდგენა ისევ მოუხერხებია (6:349).

გიორგი XII-ის დროს ისაია თაყუაშვილი ამ საქმის სათავეში აღარ ჩანს. აღნიშნულ პერიოდში თოფისწამლის წარმოებას ერასტი სოროლაშვილი ზედამხედველობდა, ხოლო მისი თანაშემწე ყოფილა პეტრე ხიზამბარელი (4:9-10).

მოგვიანებით გიორგი XII-ს საწარმოები იჯარით მიუცია თავად ბეგთაბეგოვისა და ვაჭარ ქართველიშვილისათვის, რის გამოც, ისინი იჯარის საფასურად მეფეს 12 ათას მანეთს უხდიდნენ (4:9-10).

შეიძლება ითქვას, რომ თოფისწამლის წარმოება საქართველოში საკმაოდ შემოსავლიანი საქმე იყო, მით უფრო, რომ ხელისუფლებაც ხელს უწყობდა. საუკუნის ბოლოსათვის თოფისწამლის „ბიზნესი“ ქართლ-კახეთში თავისუფალი ყოფილა. პლ. იოსელიანის ცნობით: „წამლის კეთება არვის ჰქონდა აღკრძალული. ყოველს სოფელში აკეთებდნენ თავისთვის სახმარსა და ჰყიდდნენ თავისუფლად“ (7:248). უნდა ვივარაუდოთ, რომ რაოდენობრივი ზრდის პარალელურად, თაყუაშვილის წარმოებისაგან განსხვავებით, მისი ხარისხი შედარებით დაბალი იქნებოდა.

რაც შეეხება იმდროინდელი ზარბაზნების სროლის ტექნოლოგიას და სიმძლავრეებს. სროლისათვის ზარბაზნის მომზადება დიდ დროსა და სიფრთხილეს მოითხოვდა. ლულაში ჯერ დენთი იყრებოდა, რომელსაც სპილენძით წნებდნენ, შემდეგ ჭურვი იღებოდა და პატრუქით დენთს ცეცხლს უკიდებდნენ. გასროლისას ლულის გასკდომა იშვიათობას არ წარმოადგენდა. დამიზნება თვალთახედვით, ლულის ხელით მიბრუნება-მობრუნებით ხდებოდა.

დენთი თბილისში იწარმოებოდა. მის დასამზადებლად საჭირო გვარჯილასა და ხის ნახშირს ადგილზე მოიპოვებდნენ, ხოლო გოგირდი განჯიდან შემოჰქონდათ. სროლის სიმორეს სწორედ დენთის ხარისხი განსაზღვრავდა (16:43).

ქართული არტილერიის „პიონერად“ მიჩნეულია პაატა ბატონიშვილი. იგი, ბიძამისს – ყოვლად სამღვდელო ალავერდელს, ჯერ კიდევ მცირეწლოვანი აღუზრდევინებია მოსკოვში. შეუსწავლია რუსული, მათემატიკა, მხაზველობა, არტილერია და „ფორთეფიკაცია“. სამშობლოში ჩამოსვლისთანავე ერეკლეს მისთვის თოფჩიბაშობა უბოძებია. ბატონიშვილს ადგილზე სხვადასხვა სიმძლავრის ზარბაზნებიც ჩამოუსხამს და ორასამდე თოფჩიც „განუსწავლია“ (17:97).

ქართული არტილერიის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია ვინმე თარხან გიორგის. მას საარტილერიო საქმე კარგად სცოდნია, ერეკლე II-ს ამ საქმის რუსულ ყაიდაზე გაწყობა დაუვალებია და გიორგისაც ეს საქმე „რუსულს დასტურზე“ გაუწყვია, იმგვარად, რომ „რუსთაც დიდათ მოსწონთ, ქართველთა და კახთაც დიდად იმედათ უჩანსთ“ (10:263). როგორც ჩანს, გიორგი დაბალი სოციალური წრიდან იყო გამოსული. რაღაც გზებით, იგი რუსეთში მოხვედრილა (შესაძლოა, სულაც ლეკების მიერ იყო გატაცებული და დავით გურამიშვილის მსგავსად, ტყვეობას თავი დააღწია) და საარტილერიო საქმეც იქ შეუსწავლია. საჭირო კაცი ერეკლეს გაუთარხნებია, მნიშვნელოვანი საქმეც მიუზღვია და სერიოზული თანამდებობა-თოფჩიბაშობაც უბოძებია. 1780 წლისათვის თარხან-გიორგი გარდაცვლილი უნდა იყოს, რადგან ერეკლე II პაატა ანდრონიკაშვილს „ერთპიროვნულ“ თოფჩიბაშად

ნიშნავს და მაღალ ხელფასსაც (ორმოც თუმანს) უნიშნავს, იმ პირობით, რომ ეს საქმე მომავალ თაობას შეასწავლოს და ქვეყანას „თოფჩები“ გაუმრავლოს (10:269).

პაატა ანდრონიკაშვილის გარდაცვალების შემდეგ, ერეკლეს აღნიშნულ თანამდებობაზე დაუნიშნავს ვინმე – გაბრიელა სომეხი, რომელიც წყაროებში გაბრიელა მაიორადაც იხსენიება. იგი ერეკლეს თვალწინ დაიღუპა კრწანისის ბრძოლაში და თოფჩიბაშობა ასევე ეროვნებით სომეხმა, მოსკოვში განსწავლულმა - გეურგ-ალამ გადაიბარა, რომელმაც ასევე „კარგად უწყოდა ვითარცა არტელარია, ეგრეთვე ექიმობაც“ (17:96-97).

კრწანისის ბრძოლაში (1795 წ. 10-11 სექტემბერი) საოცარი გმირობა გამოუჩენია გიორგი გურამიშვილს, რომელიც საკუთარ ზარბაზნებს ზედ დააკვდა: „...ეს იყო ერთი უპირველესთა მოხელეთაგანი არტილერიისა და მეცნიერისა არტილერიის ხელოვნებისა. ...მმართველი და გულოვანი, კაცი ფრიად მხნე და განსწავლული“ (17:98).

XVIII ს-ის 90-იან წლებში ქართულ არტილერიაში უკვე 200-მდე კაცი მსახურობდა, მათ შორის რუსი დეზერტირებიც იყვნენ (რომლებიც საქართველოდან გასულ რუსის ჯარს თან არ გაჰყვნენ). ერეკლემ ქართულ სამხედრო სისტემაში დამკვიდრებული სპარსული თანამდებობები რუსულ-ევროპულით შეცვალა. არტილერიის უფროსი – თოფჩიბაში, შეიცვალა, ჯერ მაიორის, ხოლო შემდეგ გენერალ-ფელდცეხმეისტერის თანამდებობით. შემოიღეს პრემიერ მაიორისა და სეკუნდ მაიორის თანამდებობები. პრემიერ-მაიორი ყოფილა ასევე რუსეთში სწავლა-განათლება მიღებული გაბრიელ არემიშვილი, ხოლო სეკუნდ-მაიორი – გიორგი გურამიშვილი (8:77).

პლ. იოსელიანი, გიორგი XII-ის დროს თოფჩიბანის ხელმძღვანელებად ასახელებს მეფის ძეს – იოანეს, პოდპოლკოვნიკს იოანე ქობულაშვილს, გურამიშვილს, ნაზარაშვილს და არტილერიის კაპიტან – ყალამთაროვს.

მსროლელეებში გამოარჩევს ზურაბა ხიდისთაველს, ზურაბ ხაჩიშვილსა და ვინმე კაპიცას (7:248).

მიუხედავად ერეკლეს მრავალგზის მცდელობისა, პროფესიონალი არტილერისტები ქართლ-კახეთში საკმარისი რაოდენობით მაინც არ ყოფილა. 1794 წელს საქართველოში ჩამოსულა რუსული ენის მცოდნე – სტეფან მელიქოვი. ერეკლე II მას საარტილერო საქმის შესასწავლად ისევ რუსეთში გზავნის და თავის ელჩს პეტერბურგში – გარსევან ჭავჭავაძეს სთხოვს, ხელი შეუწყოს მელიქოვს ამ საქმეში: „...ეგების არტილერიის საქმე ისწავლოს და ამ ქვეყანას გამოადგეს. ამაზედ რომ გულმოდგინება იხმარო, შენს მშობლის ქვეყანას ვალს დასდებ და ჩვენს გულსაც მოიმადლებ ...თუ შენთან შეიძლებოდეს, დროზედ კაპიტანობის ჩინის შოვნაზედ შეეწიო და უშოვნო. უფრო მხიარულებით ეცდება სწავლის მიღებას და საქართველოს შესამატი საქმე იქნებაო“ (10:268).

ქართული არტილერიის განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს სვიმონ ჩოლოყაშვილმა და თარხან მოურავმა. ისინი ტოტლებენის ჯარს მოჰყვნენ საქართველოში. ერეკლემ მომენტით ისარგებლა და ზარბაზნების, მორტირებისა და ჰაუბიცების გაკეთება სთხოვა. ქართველებმა ეს საქმე სიხარულით იკისრეს. როცა ტოტლებენმა ეს ამბავი შეიტყო, ჩოლოყაშვილსა და თარხან მოურავს სასტიკად აუკრძალა, რომ ქართველებისათვის საარტილერო ხელობა ესწავლებინათ.

ბრძანების მიუხედავად, ქართველმა არტილერისტებმა ამ საქმის შესწავლა გააგრძელეს. მაშინ ტოტლებენმა 1770 წლის 6 თებერვალს რუსეთის მთავრობას საიდუმლო მოხსენება გაუგზავნა, რომელშიც ატყობინებდა, რომ „თუმცა საქართველოს მეფე რუსეთის ხელმწიფის მფარველობის ქვეშ არის, მაგრამ რუსეთის ინტერესებისათვის სასურველი არაა, საქართველოში რუსეთის ხელმწიფის ზარბაზნებს გარდა სხვისი ვისიმე ზარბაზნები იყოსო“. ტოტლებენი რუსეთის მთავრობას სთხოვდა, რომ ქართველი ოფიცრები და თავადი თარხან მოურავი საქართველოდან ისევ რუსეთში გაეწვიათ (19:54-55).

როგორც ჩანს, ეს ამბავი ერეკლესათვის ცნობილი გახდა. იგი თანამემამულეების დაცვას შეეცადა და ამავე წლის 10 მარტს მიწერილ წერილში ტოტლებენს განუმარტავდა, რომ „სვიმონ რომანიჩის“ (ჩოლოყაშვილის) მონაწილეობა ქართული არტილერიის მშენებლობის საქმეში მხოლოდ პირობითი იყო და სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა. რომ „ჩვენ მეზარბაზნე გვყავს, რომელმაც ზარბაზნების ჩამოსხმა კარგათ იცის და ბევრიც ჩამოგვისხმევინებია“ (13:540-541). ასეც რომ არ იყოს, „მათის დიდებულების ნებაც ეს არის, რომ ამ მხრის ქრისტიანებმა ევროპის ჯარის განწესება მიიღონო“ (13:540-541).

ერეკლე მართალს ამბობდა. ტოტლებენს მართლაც ჰქონდა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის მიერ გამოგზავნილი ინსტრუქცია, რომლის მე-10 მუხლში მოხსენიებული იყო, რომ ქართველებს შეეძლოთ შეესწავლათ რუსებისაგან არტილერიის გამოყენება ბრძოლაში, რათა „ჩაენერგათ მათი მიზამვის სურვილი“ (13:85).

მიუხედავად ზემოთქმულისა, ქართველი ოფიცრები თავისი მამულიშვილური გრძნობების გამო დაისაჯნენ. ისინი სასწრაფოდ რუსეთში გაიწვიეს და დაპატიმრებული ჰყავდათ, სანამ მათი უდანაშაულობა ყველასათვის ცხადი არ შეიქმნა (19:54-55).

ქართული არტილერიის განვითარებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის გერმანელ – იაკობ რაინეგსს. იგი 1778 წელს ჩამოვიდა თბილისში და მალე მოახერხა ქართლ-კახეთის სამეფო კართან დაახლოვება. რაინეგსი მედიცინაში იყო განსწავლული, შეუსწავლია ქართული ენა, როგორც ჩანს, იცოდა საარტილერიო საქმეც. ცდილობდა რა, ერეკლეს კეთილგანწყობის მოპოვებას და გრძნობდა მეფის ამ საქმით დაინტერესებას, თბილისში რაინეგსმა გამართა თოფის წამლის წისქვილი, რომელსაც ევროპულად ამუშავებდა, დაუწყო რკინის ზარბაზნების კეთება, ასევე გაუწყვია რკინისა და ფოლადის საკეთებელი მანქანები და ა. შ. (**20:118**). ზ. ჭიჭინაძის ცნობით, რაინეგსისავე რჩევით, ერეკლემ სამეფო ხარჯით თბილისში გახსნა საარტილერიო სასწავლებელი (**2:11**).

ქართული არტილერიის ევროპულად მოწყობის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია ავსტრიელ-გერმანელს იოსებ გეტინგსს. იგი ალა-მაჰმად-ხანს ჩავრდნია ტყვედ. მრისხანე შაჰს გეტინგისათვის სამსახური შეუთავაზებია, მაგრამ მას უარი უთქვამს და 1798 წელს, ირანის მბრძანებელის სიკვდილის შემდეგ, ისევ საქართველოში დაბრუნებულა, რის გამოც, ერეკლესაგან არტილერიის კაპიტნის ჩინი მიუღია (**10:265**).

თუმცა, ერეკლე მხოლოდ უცხოელების იმედზე არ იყო. იგი განსაკუთრებულად ზრუნავდა ქვეყანაში ამ საშური საქმის დანერგვის მიზნით და არტილერიის დარგში მომუშავე გლეხებსაც განსაკუთრებულ შეღავათებს უწყობდა.

ისინი გადასახადებიდანაც თავისუფლდებოდნენ და ხელფასიც ენიშნებოდათ. თუ არტილერიის ოჯახში ერთი ძმის გარდა არავინ ჰყავდა, იგი მორიგე ჯარისაგანაც თავისუფლდებოდა, რაც განსაკუთრებული შემთხვევა იყო. ამ დარგის სპეციალისტის მოკვლისათვის სისხლის ორმაგი ოდენობა იყო დაწესებული, მაგრამ თუ არტილერიაში სამსახურს თავს დაანებებდა, პრივილეგიები და „წყალობები“ უუქმდებოდა.

საგულისხმოა, რომ სამეფო კარის მიერ არტილერიის სფეროში მომსახურე პერსონალის გადასახადებიდან გათავისუფლება („გააზატება“), ერთგვარი სტიმული იყო მოსახლეობისათვის, რათა ისინი მძიმე სოციალურ ვალდებულებებს გაჰქეცოდნენ. ცხინვალელი ებრაელის – მარდახა შედანასშვილის ყმას შვილი თოფჩად დაუწერია, რათა საკუთარი ვაჟისათვის ყმის მძიმე ხვედრი აეცილებინა თავიდან (**11:238**).

ქართული ჯარის შეიარაღებას მხოლოდ თბილისში ჩამოსხმული თოფ-ზარბაზნები არ შეადგენდა. ამ მხრივ, ქართული არსენალი მოგებულ ბრძოლებში ნაშთი ნადავლით ივსებოდა. მაგ. მხოლოდ ყირხულახთან გამართულ ბრძოლაში (1751 წ. 25 ივლისს) ერეკლეს აზატ-ხანისათვის, ტყვე-საქონლის გარდა, „24 ზარბაზანი, 200 ზამბულაკი თავისი ასი აქლემით, მრავალი დროშა, ორიათას ხუთასი კარავი“ წაურთმევია (**18:53**).

1752 წლის 10 აგვისტოს ყაზახ-შამშადილუს საზღვარზე აჯი-ჩალაბის შვილის – ალა-ქიშის დამარცხების შემდეგ, ქართველებს მტრის მთელი არტილერია დარჩენიათ, იქიდან წამოღებული ზარბაზნები თელავისა და გორის ციხეებში დაუდგამთ და ზედ გამარჯვების აღმნიშვნელი წარწერები გაუკეთებიათ (**12:5**), 1748 წელს თაბორისა და ნარიყალას ციხეებში გამაგრებული ყიზილბაშების წინააღმდეგ, ერეკლემ ამირინდო ამილახვარს გორიდან დიდი ზარბაზანი მოატანინა (რომელიც ნადირ-შაჰს მოეტანა ქართლში ერევნიდან და წონით 2000 ლიტრა, ანუ, დაახლ. 6-8 ტონა ყოფილა) და თაბორის ციხე პირველივე შეტევაზე აიღო და სხვ.

ზარბაზნების გადასატანად სპეციალური სიმძლავრის ურმები გამოიყენებოდა. თითოეულ მათგანში ოთხ-ოთხი ხარი ება. ურეშე ორი თოფოსანი იყო განწყობილი. მეურმეებს გააჩნდათ საკუთარი წესდება, რომლის მიხედვით განსაზღვრული იყო, სად უნდა დაეყენებინათ ურემი, ბრძოლისას რომელ ნაწილს შეერთებოდნენ და ა.შ.

ხარები მოსახლეობიდან ქირით გაჰყავდათ. 1771 წელს იმერეთიდან მომავალი ტოტლებენის ჯარის მიგებებასთან დაკავშირებით, ერეკლე რევაზ ამილახვარს სააბაშიოსა და „ქეფნისკევის“ მოსახლეობიდან ქირის საფასურად 100 უღელი ხარის გამოყვანას ავალბდა. ქართლ-კახეთის მეფე მოსახლეობას პირობას აძლევდა, რომ „ქირასაც მართებულს მისცემდა“, ხოლო თუ ვისმეს ხარი მოუკვდებოდა, იმასაც უზღავდნენ და შესაბამის თანხასაც გადაუხდიდნენ (**9:364-365**).

აღნიშნული ხარ-ურმების გადასაადგილებლად შემოღებული იქნა არტილერიის მეხრეთუხუცესის სახელო. იგი თოფხანის ტრანსპორტით გადაადგილების საქმეს ხელმძღვანელობდა, გარკვეულ ხელფასსაც იღებდა და მის ახლობლებთან ერთად პრივილეგიებითაც სარგებლობდა. მაგ. 1785 წლის 10 იანვარს ერეკლე II, მეხრეთუხუცესად დანიშნულ დავით მეფურიშვილს წელიწადში თორმეტ თუმან ჯამაგირს უნიშნავს, გადასახადებისა და მორიგე ჯარიდან ათავისუფლებს. მისივე პრეროგატივაა მეურმეებში ურემსა და ხართან დაკავშირებული საჩივარ-სამართლის გარჩევა (**5:133-134**).

გიორგი XII-ის დროს, „თოფხანის“ გადაზიდვის მიზნით, გამოყოფილი ყოფილა 120 ხარ-კამეჩი და „მათნი მეხრენი“ (**7:248**).

ამრიგად, ქართული არტილერია, მიუხედავად შეზღუდული სიმძლავრეებისა, იმდროისათვის მთელ კავკასიაში მოწინავე პოზიციაზე იდგა, ერეკლე II-ის დიდი მცდელობით დასავლური და რუსული მოწინავე ტექნოლოგიებიც აქტიურად ინერგებოდა, მაგრამ იგი ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება IV. ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
2. გერმანელი დოქტორი იაკობ რეინეგსი, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფ., 1920.
3. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 1962.
4. გოგოლაძე დურმიშა, სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი (XVIII-XIX ს.ს.), თბ., 1966.
5. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. II, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს.) ნ. ბერძენიშვილის რედ. თბ., 1953.
6. თბილისის ისტორია, ტ. I, (უძვ. დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე). მამია დუმბაძისა და ვიქტორ გუჩუას რედ. თბ., 1990.
7. იოსელიანი პლატონ, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკ. გაწერელის რედ. თბ., 1978.
8. კაკაბაძე სარგის, კრწანისის ომი, თბ., 1991.
9. კლიმიაშვილი აკაკი, მასალები XVIII ს. II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს სამხედრო ისტორიისათვის (მორიგე ლაშქარი). სადისერტაციო შრომა, წარდგენილი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1966.
10. კლიმიაშვილი აკაკი, საარტილერიო მშენებლობა აღმოსავლეთ საქართველოში XVIII ს-ის II ნახევარში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV. თბ., 1962.
11. მამისთვალისიშვილი ელდარ, ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995.
12. მასალები საქართველოს ისტორიისათვის შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა 1744-1840, ტფ., 1905.
13. მაჭარაძე ვალერიან, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწ. III, თბ., 1988.
14. საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთანდილ იოსელიანმა, თბ., 1980.
15. ქართლის ცხოვრება II, ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.
16. ჩაჩანიძე თ. ქართული არტილერია XVIII საუკუნეში, ჟურნ. „არსენალი“, ოქტომბერი 2006, N 10 (27)
17. ცინცაძე იასე, აღა-მაჰმად ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795), თბ., 1969.
18. ხერხეულიძე ომან. მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა. თბ., 1989.
19. ჯავახიშვილი ივანე, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, ტფ., 1919.
20. Бутков П. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г. ч. II. СПб 1869.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია თავდაცვითი სისტემის სტრატეგიული ნაწილის - ქართული არტილერიის მშენებლობის საკითხი.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოში ამ მხრივ ყველაზე დიდი რეფორმატორის - ერეკლე II-ის მოღვაწეობას და მის მცდელობებს ქართულ არტილერიაში მოწინავე ევროპული და რუსული სტანდარტების დანერგვის მიზნით.

წარმოჩენილია ქართული არტილერიის „პიონერების“ პაატა ბატონიშვილის, პაატა ანდრონიკაშვილის, თარხან გიორგის, გიორგი გურამიშვილის, ასევე საქართველოში მოღვაწე უცხოელების: რაინესის, გეტინგის და სხვათა წვლილი ამ მიმართებით.

ასახულია თოფისწამლის დამზადების პროცესი, ქართული არტილერიის სიმძლავრეები, გადაადგილების ტექნოლოგია.

განალიზებულია ის პრობლემები, რომლებიც ამ რეფორმის თანმიმდევრულად და სრულყოფილად გატარებას უშლიდა ხელს.

FROM THE HISTORY OF THE GEORGIAN ARMY (ARTILLERY REFORM IN THE XVIII CENTURY)

Ioseb Alimbarashvili, Gori State Teaching University, Assistant Professor
RESUME

The article concerns artillery building in the Georgian military system. Particular attention is paid to the efforts made by Erekle II to introduce new European and Russian standards in the Georgian artillery.

The author represents the “pioneers” of the artillery, such as Paata Bagrationi, Paata Andronikashvili, Tarkhan Giorgi, Giorgi Guramishvili, the foreigners living and working in Georgia: Rainegs, Geting and others, who made an important contribution to this field.

The article also comprises the description of the gunpowder producing process, relocation technologies and capacity of the Georgian artillery. The obstacles opposing the reform is also analyzed.

სოფელ მიდელაანის მოსახლეობა

დავით ახლოური, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, დოქტორი

მიდელაანი რუსეთის მიერ ოკუპირებული ახალგორის რაიონის ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფელია. ქსნისხეობელი მიდელაშვილები საარაგვოდან გადმოსულან XVIII საუკუნის დასაწყისში, კერძოდ ხადას თემის სოფელ მიდელაურთკარიდან. ისინი გასული საუკუნის 20-იან წლებამდე ხადას თემის წმინდა გიორგის სალოცავში ლოცულობდნენ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი, ხელისუფლების სათავეში მოსული ბოლშევიკ-კომუნისტები მაქსიმალურად ზღუდავდნენ მორწმუნე მოსახლეობას. XXI საუკუნის დასაწყისში მიდელაშვილებმა აღდგინეს ძველი ტრადიცია; ამჟამად ისინი ყოველ წელს მიემგზავრებიან არაგვის ხეობაში სალოცავად.

რაც შეეხება ხადის ხეობის სოფელ მიდელაურთკარს (შემდგომში მიდელაურს), დღეს ის ნასოფლარადაა ქცეული. 1781 წლის არაგვის ხეობის აღწერის მასალებიდან კი ცნობილია, რომ მიდელაურთკარში 5 კომლს უცხოვრია, ოთხ კომლ მიდელაურს და ერთ კომლ ბუქურს (ჯავახიშვილი ივ., 1967, გვ. 106).

1926 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მიხედვით მიდელაური მღეთის თემშია მოხსენიებული, მეკომურთა რიცხვი 4-ს შეადგენს, 17 მოსახლით, სოფელი მიდელაური მოხსენიებულია 1928/1929 წლების მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრილ ობიექტთა სიაშიც. მიდელაურები სამკვიდროდან მახლობელ სოფლებში და, მათ შორის, წკერეშიც გადასახლებულან. სწორედ მათ უკავშირდებოდნენ გასული საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ არაგვის ხეობაში სალოცავად გადასული ქსნისხეობელი მიდელაშვილები.

წკერეში მიდელაური XXI საუკუნის დასაწყისშიც სახლობდა, მაგრამ ახლახანს იქ სტუმრად ჩასულ მიდელაშვილებს ადგილობრივთაგან აღარავინ დახვედრიათ. კიდევ ერთი სოფელი დაიცალა ხადას ხეობაში. გასული საუკუნის 30-იან წლებში კი წკერეში 18 კომლი ფიქსირდებოდა 122 მოსახლით.

ქსნის ხეობაში გადმოსული მიდელაშვილები თავდაპირველად თანამედროვე მიდელაანის დასავლეთით დასახლებულან შედარებით მაღალმთიან ადგილზე, ქაშუეთის ტაძრის მახლობლად. ძველი საცხოვრებელიდან დღეს ნასახლარებიდაა შემორჩენილი. ქაშუეთის მთიდან, საბოლოოდ, შედარებით ბარში, ახლანდელ მიდელაანში დამკვიდრდნენ.

სოფელ მიდელაანის მოსახლეობის შესახებ პირველ ცნობებს ქსნის ხეობის მცხოვრებთა 1774 და 1781 წლების აღწერებში ვხვდებით.

1774 წელს ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერა, ერეკლე მეორის ბრძანებით მანუჩარ თუმანიშვილს და ტეტია გარსევანიშვილს ჩაუტარებიათ, 1781 წლის - დიმიტრი გარსევანიშვილს და მანუჩარ თუმანიშვილს (ივ. ჯავახიშვილი, 1930, 24).

1774 წლის აღწერის მიხედვით მიდელაანთკარში 11 კომლს უცხოვრია. (ივ. ჯავახიშვილი, 1930, 187).

„ქ. მიდელანთ ხიზანას შვილი კომლი 2, ბერი და დათუნა.

აქავ მიდელანთ სადელას შვილი კომლი 2, თავი 2, ბასილი.

აქავ მიდელანთ ბალიას შვილი კომლი 2, თავი 2, ნიკოლა, ბერი და ონიკა.

აქავ მიდელანთ როსებას შვილი კომლი უ, თავი უ, სიხარულა.

აქავ მიდელანთ თანდილას შვილი კომლი უ, თავი დ, ბერი, ღ-თისია, ივანე და მახარა.

აქავ მიდელანთ კურდელას შვილი კომლი უ, თავი ზ, გიორგი და დათუნა.

აქავ მიდელანთ შერმაზანის შვილი კომლი უ, თავი უ, ფოცხვერა.

აქავ მიდელანთ ნადირის შვილი კომლი უ, თავი ზ, ბასილა და გოდერძი.

აქავ მიდელანთ მახარას შვილი კომლი უ, თავი ზ, გოგია და ბერი.

აქავ მიდელანთ შოშიტას შვილი კომლი უ, თავი უ, ხახა“. (ივ. ჯავახიშვილი, 1967, 187).

1781 წლის აღწერით კი მიდელანთკარში 9 კომლია, წინა აღწერასთან შედარებით ორი კომლით ნაკლები.

„ქ. ხიზანას შვილი კომლი უ, თავი ზ, დათუნა და ბერი.

აქავ თადილას შვილი კომლი უ, თავი გ, ბერი, ღვთისია, ივანე.

აქავ როსებას შვილი კომლი უ, თავი ზ, დათუნა და გლახა.

აქავ ბალიას შვილი კომლი უ, თავი ზ, ნიკოლა და გოგია.

აქავ ბალიას შვილი კომლი უ, თავი უ, ონიკა.

აქავ შერმაზანის შვილი კომლი უ, თავი უ, ფოცხვერი.

აქავ პაპუნას შვილი კომლი უ, თავი უ, დათუნა.

აქავ კურდელას შვილი კომლი უ, თავი ზ, ივანე და სიხარული.

აქავ მახარას შვილი კომლი უ, თავი ზ, ბერი და პატარკაცი“. (ივ. ჯავახიშვილი, 1967, 210).

როგორც ვხედავთ, 1774 და 1781 წლების აღწერების შედეგები გარკვეულ წილად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რაც შეეხება ხოზოეთში დასახლებულ მიდელაშვილების განაყარ გაროზაშვილებს, 1774 წელს სოფელ ხოზოეთის მცხოვრებთა სიაში მოიხსენიება „გაროზაანთ ფოცხვერას შვილი კომლი უ, თავი დ, შიო, ბერი, ივანე და გაროზა“. (ივ. ჯავახიშვილი, 1967, 187). 1781 წლის აღწერის მიხედვით გაროზაშვილების კომლთა რაოდენობა შესამჩნევად გაზრდილა:

„აქავ ფოცხვერას შვილი კომლი უ, თავი უ, ივანე.

აქავ შიოს შვილი კომლი უ, თავი უ, ავთანდილ.

აქავ გაროზას შვილი კომლი უ, თავი გ, ბერი, ივანე და გაროზა“. (ივ. ჯავახიშვილი, 1967, 210).

1774 წლის აღწერაში, გაროზაშვილების მხოლოდ ერთი კომლის მოხსენიება განვიმტკიცებს აზრს, იმის შესახებ, რომ გაროზაშვილებისა და მიდელაშვილების გაყრა არა არაგვის, არამედ ქსნის ხეობაში ვივარაუდოთ XVIII საუკუნის II ნახევარში. რაც შეეხება მიდელაშვილებს, აღწერებში მოცემული კომლების რაოდენობა გვაფიქრებინებს, რომ მათი ქსნის ხეობაში დამკვიდრება XVIII საუკუნის დასაწყისში ან გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო.

აქვე უნდა აღინიშნოს „თავის“ და „კომლის“ შესახებაც. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „თავი“ კომლში ოჯახის უფროსს უნდა ნიშნავდეს. კომლში შეიძლება რამდენიმე ოჯახი იყოს, თითოეულ ოჯახს ეყოლება „თავი“ ანუ უფროსი - „მამა“, (ივ. ჯავახიშვილი, 1901, 10). ე. თაყაიშვილი ფიქრობდა, რომ რიცხვი „თავთა“ არ იყო იმის მაჩვენებელი, თუ რამდენი სული იყო კომლში, აღწერის მიზანი იყო „სცოდნოდათ, თუ რამდენი მეომრის გამოყვანა შეიძლებოდა ომიანობის დროს კომლიდან და რამდენ მეკომურს ედვა სახელმწიფო გადასახადი“. (ე. თაყაიშვილი, 1907). ვ. ითონიშვილის მოსაზრებით „თავი“ იყო უფროსი საკუთარი ცოლ-შვილისა, ხოლო ვინაიდან რამდენიმე ასეთი უფროსისა და მათი ოჯახების ერთ ჭერქვეშ ყოფნა იგულისხმება, ცხადია, რომ ასეთ გაერთიანებასაც უნდა ჰყოლოდა ერთი საერთო ხელმძღვანელი, დიდი ოჯახის მეთაური, ამის შესახებ აღწერაში არაფერია ნათქვამი. ამიტომ ოჯახში, სადაც რამდენიმე „თავი“ იმყოფებოდა, საერთო ხელმძღვანელობა მათ შორის ხნით უფროსს უნდა დაჰკისრებოდა. ამის მიხედვით, დიდი ოჯახის მეთაურად უნდა ვიგულოთ „თავების“ წინ დასახელებული პიროვნება“. (ვ. ითონიშვილი, 1974, 11). ჩვენ შემთხვევაში ასეთებად უნდა მივიჩნიოთ აღწერაში მოხსენიებული მიდელაანთ ხიზანას შვილი, მიდელაანთ თანდილას შვილი, მიდელაანთ მახარას შვილი და ა.შ.

ჩვენთვის საინტერესოა იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა წელსა 1794 და 1799-ში“. (იოანე ბაგრატიონი, 1986, 29). ამ დროისათვის ქსნის ხეობა გიორგი XII-ის ძეს იოანეს ეკუთვნოდა. აღწერაში საუბარია ქარჩოხის ხეობაზე: „ქ. ქარჩოხი ხეობა არს სოფელი 7“. (იოანე ბაგრატიონი, 1986, 37). რადგან მიდელაანი ოდითგანვე ქარჩოხის ხეობაში შედიოდა, დასახელებულ შვიდ სოფელს შორის უნდა ვიგულისხმოთ. თუმცა „აღწერა“ მოსახლეობის კონკრეტული რაოდენობის შესახებ არაფერს გვამცნობს.

1803 წლის აღწერაში სოფელი მიდელაანთკარი არ მოიხსენიება, (დ. გვრიტიშვილი, 1956, 76), როგორც ჩანს, აღწერის ავტორებს მიდელაანი, ქარჩოხის ხეობის რამდენიმე სხვა სოფელთან ერთად, მხედველობიდან გამორჩათ (დ. გვრიტიშვილი, 1956, 78).

XIX საუკუნის მიწურულს, 1885-90 წლებისათვის მიდელაანთკარში 16 კომლი ყოფილა. 49 მამრობითი სქესის მოსახლით. (1890 წლის ამონაწერი „თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მიწათმფლობელობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების კრებული“). ეს კი რამდენიმე თაობის

წარმომადგენელთა გაუყრელად ცხოვრების ფაქტებზე მიგვითითებს, რაც მთიულეთში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. (რ. ხარაძე, ა. რობაქიძე, 1965, 34-35). ქართული დიდი ოჯახი „ქსნის ხეობის მთიელთა ყოფაშიც XIX საუკუნის ბოლომდე ინარჩუნებდა არსებობას, როგორც საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობა“. (ვ. ითონიშვილი, 1974, 72).

მიდელაანის მაცხოვრებელთა დემოგრაფიული ფონდი მკვეთრად შემცირდა 1941-45 წლებში, ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის დროს. სოფელი ბრძოლისუნარიანი მამაკაცებისაგან მთლიანად დაიცალა. ბევრი ომში მოხალისედაც წავიდა. როგორც სოფლის მკვიდრმა ანა ბერიანიძე-მიდელაშვილმა (87 წლის) გვითხრა, ომის პერიოდში სოფელში 60 წელს გადაცილებული 5 მამაკაცი დარჩენილა. უმეტესობა ომში დაიღუპა. სოფლის დემოგრაფიული ვითარება გასული საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ მკვეთრად გამოსწორდა. მომრავლდა მრავალშვილიანი ოჯახები. მაგ.: შაშა და ილია მიდელაშვილებს 10 შვილი ჰყავდათ, ქეთევან და იოსებ მიდელაშვილებს - 8. 8 შვილი ჰყავდათ დარი და ეფრო მიდელაშვილებსაც.

სანდრო მიდელაშვილის (87 წ.) მონათხრობით მის ბავშვობაში მიდელაანში 11 კომლს უცხოვრია. 2008 წლის აგვისტოს ომამდე 20 კომლზე მეტი ცხოვრობდა, ძირითადად, მიდელაშვილები. მხოლოდ 5 კომლი იყო სხვა გვარის წარმომადგენელი: ახლოური, გამხიტაშვილი, გაროზაშვილი და 2 კომლი ქენქაძე.

მიდელაშვილები, წინაპართა საკუთარი სახელიდან გამომდინარე, რამდენიმე შტოდ არიან გაყოფილნი: გოგილაანი, დემეტრიანი, თანდილაანი, ნიკოლაანი, კურდღელიანი, ილურთქლიანი. კომლების რაოდენობით გოგილაანი და ნიკოლაანი სჭარბობენ... სოფელში სამი სალოცავია: ქაშუეთის, ხევის წმინდა გიორგი და ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ნიში. (თ. შველიძე, 1966, 4). ქაშუეთის დეკანოზები თანდილაანთ შტოს წარმომადგენლები არიან, ხევის წმინდა გიორგის - გოგილაანი.

XX საუკუნის მიდელაანში გვარის სხვა შტოს წარმომადგენლებსაც უცხოვრიათ, მაგალითად: თამრიანთ, ნინიკოანთ... მათი ნაწილი ქართლსა და კახეთში, ნაწილი ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში გადასახლდნენ. „ქსნის ხეობის სათავეებიდან... ნამატი მოსახლეობა რომ ბარისაკენ მიიღებოდა, ეს სადავო არაა, მაგრამ აღნიშნული ვითარება აიხსნება არა მთისა და მისი მეურნეობის პრიმიტიულობით, არამედ ლიმიტირებული, ვიწრო სამეურნეო-გეოგრაფიული პირობების ახსნით“. (ვ. ითონიშვილი, 1974, 88).

სოფელ მიდელაანიდან გადასახლებული მიდელაშვილები ცხოვრობენ ახალგორში, ჩობალაურში, კოდისწყაროში (კასპის რაიონი), შავშევებში (გორის რაიონი), გორში, თეთრიწყაროში, ზემო ქედში, ყვარელში (ახალსოფელი), კურსკში, ვლადიკავკაზში და სხვაგან...

ქარჩოხის ხეობის მოსახლეობის და, მათ შორის, სოფელ მიდელაანის მცხოვრებთა დიდი ნაწილი სოფელ ბალთაში გადასახლდა. აღნიშნულ საკითხს ქარჩოხის ხეობის სოფლებზე საუბრისას გ. ჩიტაიაც შეეხო: „უკანასკნელი წლების მანძილზე მასიურად მიდიან (მთის სოფლებიდან - და.) ჩრდილო ოსეთში, სახელდობრ ბალთაში, როდესაც ერთ-ერთ მთხრობელს ჩვენ კითხვა დავუსვით: „რისთვის მიდიან ბალთაში?“ გვიპასუხეს, რომ „საქართველოს ბარში ცხელა და ჩვენი ხალხი ვერ ეგუება სიცხიან ადგილებს. მაგალითად, მათ მოიყვანეს დოჩიანების ჩასახლება ყვარელის რაიონის სოფელ ახალსოფელში, სადაც პირველ ოთხ წელიწადს იმის გამო, რომ სიცხეს ვერ შეეგუენ, სულ ავადმყოფობდნენ, შემდეგ კი თანდათან შეეჩვივნენ. გარდა ამისა, ჩრდილოეთ ოსეთში დასახლება და ცხოვრება უფრო იაფი ჯდება, ვიდრე საქართველოს რომელიმე კუთხეშიო“. ექსპედიციის მუშაობის პერიოდში შევიტყვეთ, რომ ჩრდილო ოსეთში გადასახლებლად ემზადებოდა 65 ოჯახი ქართული სოფლებიდან“. (გ. ჩიტაია, 1975, 16).

ქსნის ხეობის სოფლებიდან მიგრაციის საკითხთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა რ. თოფჩიშვილმა: „წინასწარი დაკვირვებით, ქსნის ხეობა მთიულეთ-გუდამაყრისათვის მოსახლეობის ბარში გადასახლების ისეთივე შუალედური რგოლი საფეხური უნდა ყოფილიყო, როგორც ფშავ-ხევსურეთისათვის ერწო-თიანეთი და ორივე მთიანი კუთხისათვის თანაბრად არაგვის ხეობის მთისწინეთი და ბარი“. (რ. თოფჩიშვილი, 1984, 62). ჩვენ შემთხვევაშიც, მიდელაშვილთა დიდი ნაწილი არაგვის ხეობის ყველაზე მთიანი რეგიონიდან - ხადის ხეობიდან ჯერ ქსნის ხეობაში, შემდეგ კი ბარში გადასახლდნენ, თუმცა გარკვეული შუალედური რგოლის გავლა მათ წინასწარ არ უნდა ჰქონოდათ განსაზღვრული. (რ. თოფჩიშვილი, 1984, 96).

როგორც აღვნიშნეთ, 2008 წლის აგვისტოს ომამდე მიდელაანში 20 კომლზე მეტი ცხოვრობდა. რუსეთის მიერ ახალგორის რაიონის ოკუპაციის შემდეგ სოფელი დაიცალა. მხოლოდ ასაკოვანი ადამიანები შემორჩნენ მამა-პაპისეულ კერას. ახალგორის რაიონიდან დევნილი მოსახლეობა წეროვანსა და ფრეხეთში კოტეჯებში სახლობენ და იმედით ელოდებიან სამკვიდროში დაბრუნებას.

ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986.

2. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1956.
3. თაყაიშვილი ე., მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობის მეთვრამეტე საუკუნეში, ტფილისი, 1907.
4. თოფჩიშვილი რ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს., თბ., 1984.
5. ითონიშვილი ვ., ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1974.
6. შველიძე თ., ლომისობა, გაზეთი „ახალგორი“, №7 (5596), 1-31 ივლისი, 1996.
7. ჩიტაია გ., ქსნის ხეობის მოსახლეობა, წიგნში „ქსნის ხეობა“, თბ., 1975.
8. ხარაძე რ., რობაქიძე ალ., მთის სოფელი ძველად, თბ., 1965.
9. ჯავახიშვილი ივ., ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში, ჟურნალი „მომამბე“, ტფილისი, 1901, №4, განყ. II, 10.
10. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორია, I, 1930.
11. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967.
12. 1890 წლის ამონაწერი „თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მიწათმფლობელობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების კრებულიდან“, ცხინვალისა და ქსნის უბნების დროებით ვალდებული გლეხების შესახებ, თბილისის გუბერნიის გლეხთა საქმეთა ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით.

რეზიუმე

ნაშრომში საუბარია რუსეთის მიერ ოკუპირებული ახალგორის რაიონის მაღალმთიანი სოფლის მიდელაანის მოსახლეობის შესახებ.

მიდელაანში, ძირითადად, მიდელაშვილები სახლობენ, ისინი XVIII საუკუნის I ნახევრიდან გადმოსახლდნენ არაგვის ხეობიდან, კერძოდ ხადას თემიდან. ამ დროიდან მოყოლებული, ქსანზე დასახლებულ მიდელაშვილებს არაერთხელ შეუცვლიათ საცხოვრებელი ადგილი. ნაშრომში გაანალიზებულია XVIII საუკუნიდან მოყოლებული სოფელი მიდელაანის დემოგრაფიული ვითარება და მინიშნებულია იმ მიზეზებზე, რაც მთის მოსახლეობის მიგრაციას იწვევდა, როგორც საქართველოს ბარის რეგიონში, ისე ჩრდილოეთ კავკასიაში.

THE POPULATION OF THE VILLAGE MIDEAANI Davit Akhlouri, Gori State Teaching University, Doctor SUMMARY

The article is about the population of Akhagoris highland village Mideaani occupied by Russia. In Mideaani live mostly the Midelashvils. They moved from the valley of Aragvi, Community of Khada to Mideaani in the first half of the 18th century. Since them the Midelashvils who lived in the valley of Ksany have repeatedly changed their place of residence. In this work it is analyzed there are mentioned the reasons that caused the migration of the mountain population as in the plain regions of Georgia, as well as in the North Caucasus.

პირველი საგანმანათლებლო კერის წარმოშობა აჭარის ტერიტორიაზე რუსეთ– თურქეთის 1877–1878 წლების ომის შემდეგ (ქობულეთის მაგალითზე)

მადონა გოგიტიძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი,
ქობულეთის რესურსცენტრის უფროსი
E-mail: madona_gogitidze@mail.ru

XIX საუკუნის დასასრულს დასავლეთ ევროპის ქვეყნების ყურადღება კვლავ ახლო აღმოსავლეთისკენ იქნა მიმართული. აღმოსავლეთის საკითხის გამწვავება დაკავშირებული იყო ოსმალეთის იმპერიის დასუსტებასთან, სლავი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის

აღმავლობასა და დიდ სახელმწიფოთა მიერ ბალკანეთში პოლიტიკური თუ ეკონომიკური გავლენისთვის ბრძოლის გამძაფრებასთან.

რუსეთ–თურქეთის 1877–1878 წლების ომს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის, რადგანაც მას დაუბრუნდა საუკუნეთა წინ დაკარგული მხარე – აჭარა. საქართველო საუკუნეთა განმავლობაში თავისი გეოგრაფიულ–სტრატეგიული მდებარეობით, ბუნებრივი სიმდიდრითა და როლით ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში ევროპისა და აზიის წამყვან სახელმწიფოთა ინტერესების ობიექტს წარმოადგენდა. ამდენად რუსეთ–თურქეთის ომის შედეგად სან–სტეფანოს ხელშეკრულების გაფორმებისას და შემდგომ ბერლინის კონგრესზეც საქართველოს (კერძოდ კი ბათუმის) საკითხი ერთ–ერთ ყველაზე ცხარე დისკუსიის საგანს წარმოადგენდა.

ქართველი ხალხი ამ ომზე ამყარებდა სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლების იმედებს. ილია ჭავჭავაძე, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალს მოვლენათა მსვლელობას და ითვალისწინებდა სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს შემოერთების შესაძლებლობას, წერდა: „არ გვაშინებს ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს ოსმალს საქართველოში მცხოვრებთა დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავს. ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, და ქართველი... დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ღმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს... და თუ საჭიროა, რომ სიყვარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაღვაროს, ნუთუ ქართველი უკუდრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამაპაპათა“ (შავიანიძე, 1878).

აღნიშნული პერიოდის ოსმალეთისა და საქართველოს ურთიერთობის ერთ–ერთი საინტერესო და სანდო წყაროა იასე რაჭველის წერილები, რომლებსაც იგი თურქეთში ცხოვრების დროს აგზავნიდა ქართულ ჟურნალ–გაზეთებში იქაური პოლიტიკური ამბებისა და სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. ამდენად იასე რაჭველის ჩანაწერები ხშირად პირველწყაროსაც წარმოადგენს. სწორედ იასე რაჭველი წერდა, რომ „რა მიზეზიც არ უნდა ჰქონოდა ომს, იგი აუცილებელი და დიდმნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის“ (ზოსტაშვილი, 1991).

ქართველი პატრიოტები ცდილობდნენ აღედგინათ კავშირი ოსმალს საქართველოსთან. ომის წინა ხანებში სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში იმოგზაურეს დ. ბაქრაძემ, გრ. ყაზბეგმა, მ. გურიელმა, ივ. კერესელიძემ და სხვ.

1878 წლის 25 აგვისტოს ქობულეთში მყოფი რუსეთის არმიის შენაერთი ბათუმისკენ დაიძრა. ქალაქის კედლებთან რუსეთის ჯარს დევრიმ–ფაშა შეხვდა. დღის ორ საათზე მოხდა საზეიმო ვითარებაში ბათუმის დაკავება, შესაბამიად ქალაქის ნავსადგურში რუსეთის გემები შევიდნენ. ამრიგად, აჭარა, რომელიც თითქმის სამ საუკუნეს ოსმალთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, რუსეთთან მიერთებით საქართველოს დაუბრუნდა. 31 აგვისტოს თურქთა უკანასკნელმა ნაწილებმა დევრიმ ფაშას მეთაურობით დატოვეს ბათუმი (Мегрелиძე, 1955).

ოსმალეთის მმართველობის პერიოდი – სამ საუკუნოვანი ისტორია სამხრეთ–დასავლეთ საქართველოსთვის საკმაოდ მძიმე იყო. აღნიშნულმა პერიოდმა განაპირობა რელიგიის შეცვლა, განათლებისა და კულტურის დონის დაქვეითება. აჭარაში ამ დროისთვის არ ფუნქციონირებდა არც ერთი სკოლა მშობლიურ ენაზე. ამდენად ომის შემდეგ ქვეყანაში დაწყებული აღდგენითი საქმიანობიდან ქვეყნის საზოგადო მოღვაწეებმა დიდი ადგილი დაუთმეს საგანმანათლებლო, კულტურული კერების დაარსებას. ილია ჭავჭავაძემ, დიმიტრი ყიფიანმა, სერგეი მესხმა და ქვეყნის სხვა მოამაგეებმა 1881 წელს ბათუმში დაარსეს ქართული სკოლა. 1891–1909 წლებში აჭარაში უკვე ფუნქციონირებდა 36 სხვადასხვა ტიპის სკოლა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში საეკლესიო–სამრევლო სკოლებს, რომლებიც ძირითადად კერძო იყო. აჭარაში წერა–კითხვის უცოდინართა რიცხვი თანდათანობით მცირდებოდა. პირველი საგანმანათლებლო კერის გაჩენამ სამუსლიმანო საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გამოაფხიზლა პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მამულიშვილები, რათა მათთანაც გახსნილიყო ქართული სკოლები. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა ქობულეთში გულო კაიკაციშვილი. მიუხედავად იმისა, რომ გულო წარმოშობით თავადი არ იყო, სულიერად და გენეტიკურად ერთ–ერთი მისაბამი მამულიშვილი იყო (კომახიძე, 1995).

გულო კაიკაციშვილი 1840 წელს დაიბადა. ქართული წერა–კითხვა მან ბებიისგან ისწავლა. იმ პერიოდში ქობულეთში მეტად დამაბული სიტუაცია იყო, ეკონომიკურ ყოფასთან ერთად სამხედრო ვალმოხდილი ახალგაზრდების განმეორებით სამხედრო სამსახურში გაწვევა მოსახლეობაში უკმაყოფილებასა და არეულობას იწვევდა.

ქობულეთს თავისი მიმდებარე ტერიტორიებს „ჩურუქ–სუ“ს სახელით მოიხსენიებდნენ, რაც ჭაობიან ადგილს ნიშნავს („ჩურუქ–სუ“ იგივე დამპალი წყალი). გაზეთი „დროება“ (№49, 1876, 21.05) 1876 წელს ქობულეთში არსებული მდგომარეობის შესახებ იუწყება „ქობულეთი ოსმალეთის ერთი პატარა მაზრა არის ჩვენი გურიის მეზობლად და მოსაზღვრედ. სულ ქობულეთში იქნება სამი ათასი კომლი.

ქობულეთლებსა და გურულებს შორის იმოდენავე განსხვავებაა, როგორც ზემო ქართლელსა და ქვემო ქართლელს შორის. მთავრობა შედგება ყაიმყამისაგან (უფრდის უფროსი), ყადისა და მეჯლისისაგან (ხალხის მიერ არჩეული მოსამართლეები).“ იმ ხანად ქობულეთში განათლებული ადამიანი საკმაოდ რთულად სანახავი იყო. ამიტომ თუ რამე დასაწერი ან წასაკითხი იყო გულო კაიკაციშვილს მიაკითხავდნენ ხოლმე. წერა-კითხვას იგი თანდათან უფრო ეუფლებოდა და ამდენად მისი გამოქვეყნებული მასალებიც სულ უფრო შინაარსიანი ხდებოდა. ფაქტობრივად გულო იმ პერიოდის ჟამთააღმწერლად გვევლინება. თავისი საქმიანობიდან გამომდინარე (ცნობილი ვაჭარი იყო) ხშირად უწევდა რუსეთსა და თურქეთში მოგზაურობა, ამდენად გამოცდილებაცა და ცოდნაც სხვაზე მეტი გააჩნდა. იგი გრძნობდა, რომ ქვეყანაში სიდუხჭირის მიზეზი გაუნათლებლობა იყო, ამიტომ ცდილობდა განათლებისა და კულტურული კერების დაარსებაზე ეზრუნა. გულო კაიკაციშვილთან ერთად ქობულეთში სკოლის გახსნის საქმეს დედე ნიჟარაძე და ასლან-ბეგ თავდგირიძეც ხელმძღვანელობდნენ. (კომახიძე, 1994). მათ ქობულეთის მაზრის უფროსს თხოვნით მიმართეს სკოლის გახსნის თაობაზე, რომელმაც თავის მხრივ ეს თხოვნა ბათუმის ოლქის უფროსს გადასცა. ოლქის უფროსი მეორე დღესვე ჩავიდა ქობულეთში და მთხოვნელთ მადლობა გადაუხადა კეთილი საქმის თაოსნობისთვის. თავდაპირველად სკოლის გახსნას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, მაგრამ პროგრესულად მოაზროვნე პირებმა დაარწმუნეს საზოგადოების უმრავლესობა სკოლის არსებობის აუცილებლობაში. საბოლოოდ, გულო კაიკაციშვილმა სკოლის მშენებლობისთვის თავდგირიძეების ვრცელი მიწის ნაკვეთი შეისყიდა, ღირებული 500 მანეთად. ეს ნაბიჯი წამახალისებელი იყო საზოგადოებისთვის, ისინი აქტიურად ჩაებნენ სკოლის მშენებლობაში. მოჰქონდათ სამშენებლო მასალა, ხე-ტყე, კირი და ქვა.

შეკრებაზე ასევე დაისვა ქართული ენის სწავლების საკითხი. გამომსვლელები აღნიშნავდნენ: რადგან ჩვენ ქართველები ვართ, ამიტომაც ვითხოვთ ჩვენთან ქართულ ენას ასწავლიდნენ ყმაწვილებსო.

ქობულეთის სკოლას სამირკველი 1890 წლის აგვისტოში ჩაეყარა. გათვალისწინებული იყო 14 ოთახის მოწყობა. სკოლის მშენებლობა წლის ბოლომდე უნდა დაემთავრებინათ. სკოლამ ფუნქციონირება 1895 წლიდან დაიწყო. მოსწავლეთა რაოდენობა მალე ნორმაზე მეტი აღმოჩნდა. გახდა აუცილებელი ქობულეთში გახსნილიყო ბიბლიოთეკა, რათა წიგნების საშუალებით ხალხში გავრცელებულიყო ქართული წერა-კითხვა. ამ საკითხის მოგვარებაც კაიკაციშვილმა იკისრა და თავის ოჯახში შექმნა ბიბლიოთეკა, რომელიც რამდენიმე ასეულ წიგნს შეიცავდა. წიგნის ფონდის შევსება ხდებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ზაქარია ჭიჭინაძისა და სხვა მეცენატი ქართველი საზოგადო მოღვაწეების დახმარებით. წიგნებზე მოთხოვნა ძალიან დიდი იყო და ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი ვერ აკმაყოფილებდა მას.

ქობულეთში სკოლის დაარსებამ დააინტერესა სოფლების მცხოვრებლებიც და მათაც დაიწყეს სამზადისი სკოლების გასახსნელად, ამ მიზნით დაიწყეს შეძლებისდაგვარად თანხის შეგროვება. მაგ. სოფ. ქობულეთისა და ქედის მცხოვრებლებმა შეაგროვეს შესაბამისად ერთმა 311 და მეორემ 52 მანეთი. მაგრამ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ იმ ეტაპზე ვერ შეძლო აღნიშნულ სოფლებში სკოლების გახსნა და გადაწყვიტა შეგროვილი თანხები მოხმარებოდა სოფ. ქობულეთისა და ქედის მცხოვრებთა შვილების აღზრდას ბათუმის ქართულ სკოლაში.

ქობულეთის რაიონის სოფლები მცხოვრებლებისაგან თითქმის დაიცალა და შესაძლოა უარეს დრეში ჩავარდნილიყვნენ, რომ არა გულო კაიკაციშვილის, დედე ნიჟარაძისა და ხუსეინ ბეჟანიძის მცდელობა, რათა როგორმე შეეჩერებინათ ქობულეთისა და ჩაქვის მცხოვრებთა მიგრაცია.

მუჰაჯირობასთან დაკავშირებით გულო კაიკაციშვილი გაზ „ივერიაში“ წერდა (№32, 1878) „ჩვენი ქობულეთის ხალხი შეწუხებული არის იმაზედ, რომ ზოგიერთი მცხოვრები ახლა ემშვიდობება თავის ქვეყანას. დევრიმ ფაშამ გამოგვიცხადა, რომ რუსეთს დარჩაო ქობულეთი და ბათომიო, თქვენ წამოდით ჩვენი ხარჯითო. მიდის ზოგიერთი პირიც. წამსვლელები ურჩევენ დამრჩენებს წამოდითო. ადუღებულები არიან. გაგვიგონია, რომ ასი წლის წინ ჩვენი ბატონი თავდგირიძის გარდა გურიელი იყო და ამიტომაც კარგი იქნებოდა გამოგვიგზავნიდეთ თავად ლევან გურიელს და ძმასა მისსა გრიგოლ გურიელს და ნუგეშს გვეტყოდეს, ძველი ნაბატონები არის. ჩვენ დავუჯერებთ იმასა, ღმერთმა ქნას უფროსად გრიგოლი დაგვნიშნებოდეს.“

ამ წერილით გულო კაიკაციშვილი ევედრება მთელს საქართველოს თანადგომას, რათა უძველესი მესხეთის მიწა-წყალი არ დაცარიელდეს. შიში უფრო ძლიერდებოდა, როცა დაცარიელებულ ოჯახებს უცხო ერის წარმომადგენლები ეპატრონებოდნენ.

იმდროინდელ ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა ქართველი ერისადმი მოწოდება აჭარის მოსახლეობისთვის დახმარების აღმოჩენის თაობაზე. აი მაგალითად გაზ. „ივერია“ (№2, 1879) იუწყებოდა, „ყოველი მხრიდან ისმის, რომ ჩვენი მოძმენი – აჭარლები ძალიან ცუდ დღეში არიან და ნუგეშსაც ჯერ აქამოდე არსაით მოელიან, წარსულმა ომებმა თუმცა ყველას ზარალი მიაყენეს, მაგრამ ქობულეთი ყველაზე მომეტებულად დაისაჯა. იგი ომის მოედნად გახდა ბედმა, იქ იდგა ცალკე რუსის ჯარი და

ცალკე ოსმალეთის, ამიტომაც აშკარაა, არც რუსი გაუფრთხილდებოდა ხალხის სიკეთესა და არც ოსმალთა... ქართველობავ, ნუ იქმნ სამარცხინო საქმეს, ხელი გაუწოდე შენს დებსა და ძმებს, რომელნიც შენთვის დღემდე დაკარგული იყვნენ. შევეწიოთ რითაც შეგვიძლია“... მართლაც ქართველების ერთად ყოფნამ, მათმა თანადგომამ, ძალიან ბევრი სოფელი გადაარჩინა განადგურებას. მალე აჭარაში მათი თანამემამულეების მიერ შეგროვილი სურსათ-სანოვავე იმდენი ჩამოვიდა, შავშეთისა და ართვინის მოსახლეობასაც მიაწოდეს.

აღნიშნული ფაქტები ძალიან ნათელ სურათს ქმნის, თუ რა მდგომარეობაში იყო ომის შედეგად საქართველოს უძველესი მხარე აჭარა. ომის დამთავრების მიუხედავად მდგომარეობა საკმაოდ რთული იყო და პროგრესულად მოაზროვნე ქართველებისთვის ნათელი იყო, რომ აღნიშნული მდგომარეობის საფუძვლიანი შეცვლა, მხოლოდ განათლებულ, ჯანსაღი ცნობიერების მქონე მოქალაქეებს შეეძლოთ. სწორედ ამიტომაც ქართული საგანმანათლებლო კერების დაარსებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის.

რაც შეეხება პირველ საგანმანათლებლო კერას ქობულეთში რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ, იგი დაარსების დღიდან უკვე საუკუნეზე მეტია აგრძელებს ქობულეთელი მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლასა და აღზრდას. ქობულეთის №1 საჯარო სკოლა (როგორც ახლა იგი იწოდება) ჯერ კიდევ უძველესი შენობის ნაწილშია განთავსებული. ამ სკოლაში არაერთი ცნობილი, ღვაწლმოსილი, დამსახურებული პედაგოგი ასწავლიდა (ელენე ყაჭვიშვილი, სემაეთ გოგიბერიძე, ეთერ თხილაიშვილი, მერცია თენიეიშვილი, თინა მახარაძე, მირა რობაქიძე, ქეთევან შავიშვილი, თამარა კობალავა) და ასევე მომდევნო პერიოდში არაერთმა ნიჭიერმა და სახელგანთქმულმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება. სკოლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირების საკმაოდ მასშტაბური ღონისძიება ჩატარდა, რომელსაც ასევე არაერთი ცნობილი პიროვნება ესწრებოდა (თამაზ კვაჭანტირაძე, ნუგზარ ბაგრატიონი, ივანე ქელბაქიანი, ცეზარ ლაშხი, ივანე ხვედელიძე, ლიანა ადეიშვილი, ანზორ სიხარულიძე, დავით ხახუტაიშვილი, თემურ კომახიძე და სხვა).

საგანმანათლებლო კერების სიმცირეს ქობულეთის მუნიციპალიტეტი დღეს უკვე აღარ განიცდის. მუნიციპალიტეტში სულ 46 საჯარო და 4 კერძო სკოლაა. მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 12 ათასს, ხოლო მასწავლებელთა რიცხვი 600 შეადგენს.

№1 სკოლა ქობულეთში დღესაც ყველაზე პრესტიჟულ უბანშია, ზღვის სანაპიროსთან ახლოს. სკოლაში 600 მოსწავლე სწავლობს და 40-მდე პედაგოგი ასწავლის. ქობულეთის №1 საჯარო სკოლის გარდა ქალაქში კიდევ ოთხი საჯარო და ორიც კერძო სკოლაა.

2012 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ გაითვალისწინა რა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და რა თქმა უნდა პირველ რიგში საკუთრივ ქობულეთელების თხოვნა, აღნიშნული სკოლის ტერიტორიაზე (სკოლის ეზოშივე) ახალი თანამედროვე ტიპის სასკოლო კომპლექსის აგება გადაწყვიტა. ამ ეტაპზე სკოლის ტერიტორიაზე უკვე სამშენებლო საქმიანობა მიმდინარეობს.

ამდენად, საგანმანათლებლო კერები დროთა განმავლობაში ქობულეთში გამრავლდა, დაიხვეწა და თანამედროვე მოთხოვნებსა და პირობებს მოერგო, ხოლო მათ შორის ყველაზე ძველი, ქობულეთის №1 საჯარო სკოლა, რომელიც იმ პერიოდის პატრიოტი მამულიშვილების ძალისხმევით დაარსდა კვლავაც ერისა და ქვეყნის სამსახურისთვის არაერთ ნიჭიერ ახალგაზრდა თაობას გაზრდის.

ლიტერატურა:

1. შავიანიძე ზ., ჟურ. „დროშა“ №8, 1978.
2. ბოსტაშვილი ს., იასე რაჭველის (მეხუზულა), წერილები თურქეთიდან, თბ., 1991, გვ. 115
3. Мегрелидзе Ш., Грузия в русско-турецкой войне 1877-1878 гг. Бат., 1955. С. 62
4. კომახიძე თ., აჭარის მოამაგენი, ბათ., 1995, გვ.24
5. კომახიძე თ., მამულიშვილი, ბათ., 1994, გვ. 36
6. „დროშა“, №49, 21.05. 1876.
7. „ივერია“, №32, 1878; №2, 1879.

რეზიუმე

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის, რადგანაც მას დაუბრუნდა საუკუნეთა წინ დაკარგული მხარე – აჭარა.

ოსმალეთის მმართველობის პერიოდი – სამ საუკუნოვანი ისტორია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთვის საკმაოდ მძიმე იყო. აღნიშნულმა პერიოდმა განაპირობა რელიგიის შეცვლა, განათლებისა და კულტურის დონის დაქვეითება. აჭარაში ამ დროისთვის არ ფუნქციონირებდა არც ერთი

სკოლა მშობლიურ ენაზე. ამდენად ომის შემდეგ ქვეყანაში დაწყებული აღდგენითი საქმიანობიდან ქვეყნის საზოგადო მოღვაწეებმა დიდი ადგილი დაუთმეს საგანმანათლებლო, კულტურული კერების დაარსებას.

პროგრესულად მოაზროვნე ქართველმა მამულიშვილებმა ახალი ქართული სკოლების გახსნა დაიწყეს აჭარაში. ქობულეთში ამ საქმეს გულო კაიკაციშვილი ჩაუდგა სათავეში.

საგანმანათლებლო კერები დროთა განმავლობაში ქობულეთში გამრავლდა, დაიხვეწა და თანამედროვე მოთხოვნებსა და პირობებს მოერგო, ხოლო მათ შორის ყველაზე ძველი, ქობულეთის №1 საჯარო სკოლა, რომელიც იმ პერიოდის პატრიოტი მამულიშვილების ძალისხმევით დაარსდა კვლავაც ერისა და ქვეყნის სამსახურისთვის არაერთ ნიჭიერ ახალგაზრდა თაობას გაზრდის.

THE FIRST APPEARING OF EDUCATIONAL HEART ON THE AJARIAN TERRITORY AFTER 1877-1878 RUSSIAN – TURKISH WAR (ON THE EXAMPLE OF KOBULETI)

Madona Gogitidze, Senior Teacher of Shota Rustaveli State University, Head of Kobuleti Resource Centre
SUMMERY

The war between Russia and Turkey had the greatest importance for Georgia, as Ajara which was lost many centuries ago was returned to it.

The board of administration of Ottoman Empire that lasted three centuries, was too hard for Western Georgia. The period mentioned above brought changing the religion, falling the level of education and culture. By that time there wasn't any schools on a native language. After the war, prominent people of Ajara, began to pay much attention to the educational and cultural hearths.

Gulo Kaikatsishvili was among them. He was not a noble man, but despite of this was a deserving patriot. He bought the land on his own sum and founded the first school in Kobuleti. Now that school is called Kobuleti Public School No.1. The School is more than one thousand years, but still continues educational activities.

Building of a new modern school complex has just begun which will be one of the best school in the region of Ajara.

ოსთა რელიგიური ცხოვრება გაზეთ ”დროებას” მიხედვით

ზაქარია დოთიაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

კავკასიაში მცხოვრებ ხალხთაგან თავისი წარმომავლობით გამოირჩევიან ოსები. ცნობილია, რომ ანთროპოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით ოსები დიდი ევროპეიდული რასის ბალკანურ-კავკასიურ ქვერასას მიეკუთვნებიან, ხოლო ენობრივად ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ჯგუფში შემავალი ხალხია [7; 163]. ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ოსები საუკუნეების განმავლობაში კულტურული თვალსაზრისით ძალზე დიდ გავლენას განიცდიდნენ საქართველოს მხრიდან. ამაში, რასაკვირველია დიდ როლს ასრულებდა საქართველო-ოსეთის ტერიტორიული სიახლოვე. შუა საუკუნეებში საქართველოს სახელისუფლებო წრეები ცდილობდნენ ოსებთან დინასტიური კავშირი დაემყარებინათ და ოსების სახით საგარეო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში სამხედრო მოკავშირე ჰყოლოდათ. სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის გარდა ოსეთთან მჭიდრო კულტურული კონტაქტებიც არსებობდა. საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელები დაინტერესებულნი იყვნენ ოსეთში მართლმადიდებლობის გავრცელებით, რაც კავკასიაში ქრისტიანული სარწმუნოების განფენის სივრცეს კიდევ უფრო გააფართოვებდა და ერთმორწმუნე ხალხთან ურთიერთობაც გაცილებით ადვილი იქნებოდა. ცნობილია, რომ ქართველი სასულიერო პირების ინიციატივით 1744 წელს ოსეთის სასულიერო კომისია შეიქმნა, რომლის მიზანიც ოს ხალხში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება იყო [4; 237]. ოსეთის სასულიერო კომისიამ 1771 წწ. იარსება და ოსების სულიერ ცხოვრებაში ღრმა კვალი დატოვა, თუმცა ოს ხალხში საკმაოდ დიდხანს იყო გავრცელებული წარმართული წეს-ჩვეულებები. რუსეთის საიმპერატორო კარი ყოველმხრივ ცდილობდა ოს ხალხში ქრისტიანული სარწმუნოება გაეგვრებინა, თუმცა, კერპთაყვანისმცემლობის ელემენტები ოსებში მაინც დიდხანს შემორჩა. ამის შესახებ ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ოსი ეროვნების მღვდელი პ. სანაკოვი, რომლის გადმოცემით ოსები ე. წ. “ძუართა” წარმართულ სალოცავებზე ლოცულობდნენ [6; 5]. ოსები

განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდნენ ოთხ წმინდანს: ”უასტირჯის”, (წმინდა გიორგი), “ვაცილა”ს (წმინდა ილია წინასწარმეტყველი), “მაირამს,” (ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი), “მკალგაბირს” (მთავარანგელოზი მიქაელი) [6; 5]. მიუხედავად იმისა, რომ ოსთა ყოფაში საკმაოდ მძლავრად შედიოდა ქრისტიანული სარწმუნების ელემენტები, წარმართული კერპები მათში მაინც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ვ. ოთონიშვილი აღნიშნავს, რომ ოსებში XX საუკუნის დასაწყისამდე შემორჩენილი იყო ქურდების და მმარცვლების მფარველი ღვთაება “საუბარაგი” და მკვლელთა მფარველი ღვთაება “ფარნიჯი ძუარი”. აღნიშნული კერპები მდებარეობდა ჩრდილოეთ ოსეთში [7; 218]. ოსებში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა ე. წ. ვაჩილას კულტი, რომელიც დაკავშირებული იყო ელია წინასწარმეტყველის სახელთან. ვაჩილის დღესასწაული იმართებოდა ჩრდილოეთ ოსეთში არსებულ სოფელ კაკადურში. ვაჩილობის დღესასწაულის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან გერმანელი მოგზაურები: იაკობ რაინეგის (XVIII ს.) და აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი (XIX საუკ. I ნახ). იაკობ რაინეგის გადმოცემით ვაჩილობა იმართებოდა სოფ. კაკადურში არსებულ გამოქვაბულში, რომელსაც “ტაუფეჩილიე” ანუ მეგობრობის გამოქვაბული ერქვა [3; 217], აღნიშნულ დღესასწაულს დაწვრილებით აღწერს ასევე ჩვენ მიერ ნახსენები გერმანელი მოგზაური აუგუსტ ჰაქსტჰაუზენიც, რომელმაც ოსი ხალხის ყოფა-ცხოვრების შესახებ ძალზე საინტერესო ცნობები დაგვიტოვა [1; 166-167].

XIX საუკუნის II ნახევრის ქართული პრესის ფურცლებზე, გაზ. „დროების“ კორესპონდენტი, ეროვნებით ოსი გიორგი ლიახველი (ჩოჩიშვილი) თავის კორესპონდენცებს აწვდიდა გაზეთ “დროებას,” სადაც ოსების (როგორც საქართველოში ჩამოსახლებული ოსების, ისე ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრებლების) ყოფა-ცხოვრებას აღწერდა. გიორგი ლიახველის საგაზეთო კორესპონდენციები ძალზე საყურადღებო ცნობებს შეიცავს ოსთა ზნე-ჩვეულებების, მათი სამეურნეო ყოფის და, რაც ჩვენთვის ძალზე საინტერესოა, ოსების რელიგიური ცხოვრების შესახებ. “დროების” ფურცლებზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში გიორგი ლიახველი აღწერს სოფ. გერში არსებულ სალოცავში მომხდარ შემთხვევას, რაც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ოსებში არსებულ წარმართულ ჩვევებს. გიორგი ლიახველი წერს: “მზე ჩასვლას აპირებდა, როდესაც ჩვენ მივალწიეთ სოფ. გერს. ამ სოფელში ერთ კლდეზე იმყოფება ეკლესია, რომელსაც გერის წმინდა გიორგის ეძახიან. სწორედ ამ ეკლესიის დღეობა იყო, როდესაც ჩვენ იქ ავედით. საყდრის წინ გაშლილა ტრიალი მინდორი; აქ ხშირად იმართება სხვადასხვა თამაში: მარულა, კრივი, ჭიდაობა, და სხვანი. მინდვრის ნაპირას არის ერთი ძველი მუხა, რომლის ქვეშ იმართება ხოლმე ქეიფი. აქ გამოისმის ოსური სიმღერები ვასჯირჯიზე (წმ. გიორგი), ვაჩილაზე (წმ. ელია) და სხვ. იმ ღამეს იქ მოვისვენეთ. მეორე დილით გავხდით მოწმედ ერთის საზარელის სანახაობისა—კლდიდან ერთი შემლილი ქალი უნდა ჩაემვათ. დილაადრიან გამოვედით კლდეზე და ვუცდიდით შემლილის მოყვანას. დიდხანს აღარ ველოდეთ. ორ შეიარაღებულ ოსს მოჰყვანდათ შვენიერი გასათხოვარი ოსის ქალი. მოიყვანეს თუ არა კლდის პირას, გაატიტვლეს, შეუკრეს ხელები და თოკებით კლდიდან გადაუშვეს, დაჰყვიროდნენ ზემოდან: - „მალე სთქვი შენი ეშმაკების სახელები, საწყალ ქალს სახელების დარდი არა ჰქონდა. იგი ჰყვიროდა გულსაკლავად — კლდის აღმასივით ქვებით ტანი ეკაწრებოდა, სისხლში იყო მოსვრილი, მისი ტირილი და ხვეწნა ამაოდ რჩებოდა, ქალის ძმა ამ ჟამად აქ იმყოფებოდა და ეუბნებოდა ხალხს თუ არა სთქვა სახელები ეშმაკებისაო, რომ ქალადზე დავეწროთ და ცეცხლში ჩავავადოთო.“ როგორც გიორგი ლიახველი გადმოგვცემს საბოლოოდ ქალს ათქმევინეს ეშმაკების სახელები: ცოფრხან, თოყმიზ და ბეთრყან, შემდეგ ეს სახელები ქალადზე დაწერეს და დაწვეს, თუმცა ნაწამები ქალი მალე გარდაიცვალა [9]. გიორგი ლიახველი გაზეთ “დროების” ფურცლებზე საინტერესოდ აღწერს ასევე ოსების დღესასწაულს, რომელიც როგორც ზემოთ აღნიშნა იმართებოდა ჩრდილოეთ ოსეთში, სოფელ კაკადურში. ეს დღესასწაული უკავშირდებოდა წმ. ელია წინასწარმეტყველს. “დროების” კორესპონდენტი წერს: “20 ივლისს ოსები დღესასწაულობენ ვაჩილის დღეობას, დღეობა არის ხოლმე მუხის ქვეშ. ვაჩილას ყოველთვის დაუკლავენ ხოლმე თხას. რომლის ტყავსაც იქვე ხეზე ჩამოჰკიდებენ და თავყანს სცემენ. ვაჩილას საზოგადო სალოცავი იმყოფება ჩრდილოეთ ოსეთში, სოფ. კაკადურში, ამ სოფლის ახლოს არის ერთი გამოქვაბული ალაგი. მღვიმეში სდგას ტრაპეზი. რომელზედაც თხის თავი სძევს. დღესასწაულის წინ ოსები ამოირჩევენ ხოლმე “დეკანოზს”. სამი დღის განმავლობაში დეკანოზი უნდა გაიწმინდოს, ე.ი. ღამ-ღამობით იბანოს ტანი რძით, იმარხულოს და სხვ. მესამე დღეს დეკანოზმა უნდა ჩაიცვას თეთრი ტანისამოსი და ლუდით უნდა გაემგზავროს გამოქვაბულ ალაგში, მას უკან მიჰყვება ხალხი, მაგრამ მღვიმესთან რომ მიუახლოვდებიან, ხალხი დადგება და აქედან “დეკანოზი” მარტოკა შიშით შედის “წმინდა-წმინდაში”, სადაც ლუდი უნდა დასდგას ტრაპეზზე და თვითონ იმ ღამეს იქ უნდა იწვეს. ხალხი მეორე დღემდის მშვიდი რჩება და ელის დეკანოზს. დილას, როდესაც ადგება დეკანოზი, ლუდი გადაღვრილი დახვდება. თუ ოსეთისაკენ დაიღვარა ლუდი, მომავალ წელში ოსეთში კარგი მოსავალი იქნება, დეკანოზი გამოდის და ეუბნება ხალხს, რომ მომავალ წელს კარგი მოსავალი იქნებაო. ხალხი აჯილდოებს მას, ზოგიერთი ყანწი არაყით და ზოგიერთი ხაბიზგინით” [8; 3]. “დროების” ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიაში გიორგი ლიახველი აღნიშნავს, რომ ოსები თავყანს სცემდნენ ოთხ წმინდანს:

ელიას (ვაჩილას), თევდორე თორელს (ფალვარა), ნიკოლოზს (თუთირე) და გიორგის (ვასჯირჯის). ვაჩილას დაუკლავენ თხას, თუთირეს ხარს, ფალვარას ღორს და ვასჯირჯის ცხვარს [3]. გიორგი ლიახველის ინფორმაციით ოსების ერთი ნაწილი მაჰმადიანურ აღმსარებლობას მისდევდა, თუმცა მათ არც მეჩეთები ჰქონდათ და არც მოლები ჰყავდათ, ოსების მეორე ნაწილი კერპთაყვანისმცემელი იყო. მათ ჰქონდათ თავიანთი სალოცავები - ქუვანდონები, რომლებსაც მუხის ქვეშ დგამდნენ [2; 56]. ოსებს ყველა სოფელში გააჩნდათ თავისი "ძუარი", რომელთაც ისინი თავყვანს სცემდნენ [3; 57]. გიორგი ლიახველის გადმოცემით ოსები ქრისტიანულ დღესასწაულებს უფრო ნაკლებად აღნიშნავდნენ, ვიდრე წარმართულ დღეებს. ოსები პატივს სცემდნენ გარდაცლილთა სულებს. თუმცა მიცვალებულებს ისინი ხშირად მღვდლის გარეშე ასაფლავებდნენ [2; 58]. ოსებში გავრცელებული წარმართული წესები, რაზეც "დროების" კორესპონდენტი გიორგი ლიახველი მოგვითხრობს, გარკვეულ წილად დღესაც არის შემორჩენილი. ეს ეხება, როგორც საქართველოში ჩამოსახლებულ, ისე ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრებ ოსებსაც.

ლიტერატურა:

1. აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2011.
2. გაჩეჩილაძე მ., სამაჩაბლოს ოსთა ყოფა-ცხოვრება, ზნეჩვეულება, კულტურა, თბ., 1996.
3. იაკობ რაინეგის, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა თბ., 2002.
4. თოგოშვილი გ., საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV--XVIII
5. სოსიაშვილი გ., Из истории религиозной жизни осетин, международная научная конференция, "археология, этнология, фолклористика кавказа," сборник кратких содержания, докладов, Тбилиси, 25-27 июня 2009 года, тб. 2010.
6. სოსიაშვილი გ., ძიებანი, თბ., 2007.
7. ითონიშვილი ვ., ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბ., 2002.
8. გაზ. "დროება" № 258, 1883.
9. გაზ. "დროება" № 77, 1883.

რეზიუმე

კავკასიაში მცხოვრებ ოსურ მოსახლობაში ქრისტიანული სარწმუნოება საქართველოს მხრიდან ვრცელდებოდა, საქართველოს ხელისუფლება და ასევე საეკლესიო წრეები დაინტერესებულნი იყვნენ ოს ხალხში ქრისტიანული რელიგია გავრცელებინათ. XVIII საუკუნის I ნახევარში ჩამოყალიბდა ოსეთის სასულიერო კომისია, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ოსი ხალხის გაქრისტიანების საქმეში. ოსების რელიგიური ცხოვრების შესახებ ძალზე საინტერესო ცნობებს ვხვდებით გაზეთ "დროების" ფურცლებზე. "დროების" ოსი კორესპონდენტი გიორგი ლიახველი (ჩოჩიშვილი) საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ოსებში გავრცელებულ წარმართულ ჩვევებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბევრი წარმართული ჩვევა ოსებში დღესაც არის შემორჩენილი.

OSSETIANS' RELIGIOUS LIFE ACCORDING TO THE NEWSPAPER "DROEBA"

Zakaria Dotiashvili, Gori State Teaching University

RESUME

Christian faith in Ossetian population living in Caucasus was propagating from the side of Georgia, Georgian Government and also ecclesiastical circles were interested in propagation of Christianity among Ossetian people. In I half of XVIII century was founded a Theological Commission of Ossetia which made major contribution towards activity of christening of the Ossetian people. About Ossatians religious life we meet to very interesting notices on the papers of the newspaper "Droebea". Ossetian correspondent of "Droebea" G. Liakhveli (Chochishvili) gives us interesting information connected to the pagan habits spread in Ossetia. It should be noted the fact that many pagan habits are remained in Ossetia today too.

ქართველი საზოგადოების ბრძოლა საერო თვითმმართველობისათვის

შალვა ვანიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, დოქტორი

1864 წლის 1 იანვარს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ დაამტკიცა დებულება საგუბერნიო და სამაზრო საერო დაწესებულებათა შესახებ, რომლის საფუძველზე რუსეთში ჩამოყალიბდა საერო თვითმმართველობის ორგანოები.

საერო თვითმმართველობის ფუნქციებში შედიოდა: საერო უძრავ-მოძრავი ქონების, კაპიტალისა და შემოსავლის წყაროების გამგებლობა; ერობისათვის საჭირო შენობა-ნაგებობის მოწყობა, გზების გაყვანა-შეკეთება, საქველმოქმედო დაწესებულებათა დაარსება და დაზღვევის საქმის ორგანიზაცია; ზრუნვა სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებისათვის; მონაწილეობა ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების სისტემის გაუმჯობესების ღონისძიებაში; სახელმწიფო გადასახადების მაზრებს შორის განაწილება, ადგილობრივი მნიშვნელობის გამოსაღებათა-გაწერა-აკრეფა და ერობის საჭიროებისათვის მისი დახარჯვა.

საერო არჩევნების ჩატარება და საერო დაწესებულებების შენახვისათვის თანხების გამოყოფა, 1864 წლის დებულების თანახმად, ცალ-ცალკე ყალიბდებოდა საგუბერნიო და სამაზრო ერობები. საქართველოსა და ამიერკავკასიის მოსახლეობა დარწმუნებული იყო რომ მეფის მთავრობა ამ მხარეში საგლეხო და სასამართლო რეფორმების შემდეგ საერო რეფორმასაც გაატარებდა, იმპერიის ამ განაპირა მხარის მოსახლეობის საერო თვითმმართველობას უწყალებობდა, მაგრამ ქართველი ხალხი, მისი მოწინავე საზოგადოება მალე დარწმუნდა, რომ რუსეთის ცარიზმი განგებ აჭიანურებდა იმპერიის განაპირა მხარეებში საერო რეფორმის გატარებას, უნდობლობას უცხადებდა არარუს მოსახლეობას, არ აძლევდა მას საერო თვითმმართველობას.

1871 წელს ჟურნალ „კრებულში“ ნ. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა სტატია „ერობად ზემსტო, მისი დანიშნულება და წესდება“ (ნიკოლაძე 1871). ავტორი აღნიშნავს, რომ მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში მართვა-გამგეობის სისტემა სამი ინსტანციისაგან შედგება. რუსეთში, ამ ბოლო დრომდე, სამივე ინსტანცია თვითმმართველურ-ბიუროკრატიულ თარგზე იყო გაჭრილი. სახელმწიფო გამგეობა ეკუთვნოდა (როგორც ახლა ეკუთვნის) ხელმწიფე-იმპერატორს; მაზრის გამგეობა ებარა მისგან დაყენებულ გუბერნატორებს, სოფლის გამგეობა კი გუბერნატორისაგან დანიშნულ ჩინოვნიკებს. არც სოფლებს, არც მაზრებს არავინ ეკითხებოდა მათი საქმეების მართვაში... 1864 წლის 1 იანვრის ბრძანებისა და დებულების თანახმად მაზრების გამგეობა მიენდო „მაზრის მცხოვრებთაგან აღმორჩეულ დეპუტატების კრებას, რომელსაც ჰქვია ერობის კრება“. „მაშასადამე ჩვენ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ - გამოთქვამს ვარაუდს ნ. ნიკოლაძე - რომ ადრე თუ გვიან ჩვენც გვედირსება ეს ბედნიერება“. ნ. ნიკოლაძის ჩვენს მიერ ციტირებული სტატიის გამოქვეყნებით დაიწყო ქართულ პრესაში საერო თვითმმართველობის იდეის პროპაგანდა.

როცა რუსეთის ბიუროკრაციასა და საერო მოღვაწეებს შორის გაჩაღებულმა ბრძოლამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია, დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე წერდა: „თუ ერობის საქმე ისე მოწყობილია, რომ იგი მართლა ერობდეს, უკეთესი ნატურა ამ ხანად მაინც მეტის წადილი იქნება. რა თქმა უნდა კანონზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. თუნდა თვით არჩევანის საქმე ავიღოთ. ვთქვათ კანონად დაიდოს, რომ თუ არა ჩინოვანი, ამოჩეული არ უნდა იქნეს, ანუ თუ არ ჩინოვანს, ანუ მდიდარს არჩევანის ხმა არ უნდა ჰქონდესო, მაშინ ერობა ცარიელი, ფუყი და ფუჭი სახელი იქნება. ჩინოვანი და მდიდარი ერი არ არის, ერი წრის გარეთ დარჩევა. თუ მაგალითები კანონით დაიდვა, რაც შეამება მართლ ისა თქვი და რა წამალიც მე ვინდომო - ის წამალი იხმარეო, მაშინ ერობა ხომ ტვირთია და არა შვება და შეღავათი. მაშინ ერობა ერსა კისერზე დააწვება მთელი თავისი სიმძიმითა, ხარჯებითა, გადასახადებითა და მუხუდოს ოდენ სიკეთესაც კი არ მოუტანს...“

ერობა ორკეცი რამ არის - ერთი მოვალეობაა და მეორით უფლება, ერთით ტვირთია, რადგან ხარჯი და გადასახადი მოსდევს და მეორეთ ღონეა სიკეთისა, რადგან ერი თვითვე ბატონობს თავის თავს, რაღა თქმა უნდა ერობაში სანუკვარი უფრო მცირეა; ადამიანი ტვირთს ადვილად იკისრებს როცა საჭიროა თავის თავისვე საკეთილოდ. მაშასადამე აქ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული რა მოედანი იქნება შემოზღუდული ერობას, და რა ფართო გზა მოქმედებისა დაენიშნება და უკეთესთა მოჭირნახულებითა არჩევანი დაბრკოლება რითიმე თუ არა“ (ჭავჭავაძე 1985). ილიას ამ პატარა სტატიამ საპროგრამო მნიშვნელობა შეიძინა ერობისადმი დამოკიდებულების საკითხში. იგი ცხადყოფს, რომ თერგდალეულთა ბელადს არ მოსწონდა ცარიზმის ბიუროკრატიული აპარატის დამატების სახით არსებული ერობა და

იბრძოდა დემოკრატიული, ფართო უფლება-კომპეტენციით აღჭურვილი ადგილობრივი თვითმმართველობისათვის.

1894 წელს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლებისა და დეკუტატთა საკრებულოს სხდომაზე გ. თუმანიშვილმა დასვა ერობის შემოღების საკითხი. მან სცადა რა განეწყო თავადაზნაურთა ლიდერები საერო თვითმმართველობის სასარგებლოდ, განაცხადა, რომ ოთხი წლის წინ დამთავრდა ახალი დებულების საფუძველზე საერო დაწესებულებათა რეორგანიზაცია და თანაც ახლა მთავრობა თავადაზნაურთა ბევრ მოთხოვნილებას აკმაყოფილებსო. თავადაზნაურთა დიდი ნაწილი აქამდე ამ მოტივით უარყოფდა ერობას, რომ მისი შემოღება მაღალი წოდებისაგან დიდ მატერიალურ სახსრებს მოითხოვსო. ახლა ამაზე ლაპარაკი კი აღარ შეიძლება, რადგან საქართველოში ერობა თუმცა ჯერ შემოღებული არაა, მაგრამ თავადაზნაურთა მიწები უკვე დაიბეგრათ საადგილმამულო გადასახედით. გ. თუმანიშვილმა თავადაზნაურობას მოუწოდა ესარგებლა ხელსაყრელი მომენტით, როცა მაღალი წოდების ინტერესთა დაცვის საკითხი რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში წინა პლანზე იყო წამოწეული და აღძრა შუამდგომლობა საქართველოსათვის საერო თვითმმართველობის ბოძების თაობაზე” (თუმანიშვილი 1897).

ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა ერობის შემოღების საქმეს გვიან შეუერთდა, მაგრამ უფრო ოპერატიულად ამოქმედდა. თავადაზნაურთა კრების დადგენილების თანახმად თავადაზნაურთა წინამძღოლმა, ს. წერეთელმა, 1897 წლის 12 ნოემბერს შუამდგომლობა აღძრა იმპერატორის წინაშე ქუთაისის გუბერნიაში საერო დაწესებულებათა დაარსების თაობაზე.

ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა, ნათქვამია მოხსენება-შუამდგომლობაში, სოფლური წოდებაა. მისი კეთილდღეობა დამოკიდებულია მიწაზე და მიწათმოქმედების კულტურაზე. დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, მართვა-გამგეობის ფორმას. იმპერიის შიდა გუბერნიებში საერო დაწესებულებების მოქმედებამ ცხადყო, რომ ჩვენ ქვეყანაში არსებული ადგილობრივ საქმეთა გამგებლობის პოლიციური წესი არაფრად არ ვარგა, უკვე ჩვენთანაც მომწიფდა პირობები საერო თვითმმართველობისათვის.

შემდეგ წერეთელი აღნიშნავს, რომ ქუთაისის გუბერნიის საერო თანხები არასამართლიანად იხარჯება. ერობა ამ უსამართლობას აღმოფხვრის. ქართველმა თავადაზნაურებმა იცის, რომ საერო დაწესებულებათა შემოღებით მას გადასახადი მოემატება, მაგრამ ეს არ აშინებს. „დარწმუნებულია რომ ყოველი ნაყოფიერი დანახარჯი ქონებრივად, გონებრივად, ზნეობრივად კეთილდღეობის ამამაღლებელია, როგორც თავადაზნაურობის, ისე ყველა სხვა წოდებისა“. („მოამბე”, 1889).

ქართული პრესა მიესალმა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა ამ ნაბიჯს და გააძლიერა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრიტიკა. მაგრამ არც რეაქციონერებს დაუყრიათ ფარხმალი. ჟურნალ-გაზეთებში დიდი პაექრობა გაიმართა.

1899 წლის 3 მარტს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებამ, 74 ხმის უპირატესობით 11 ხმის წინააღმდეგ, მიიღო დადგენილება აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე საქართველოში საერო დაწესებულებათა დაარსების თაობაზე. ამასთან ერთად კრებამ აირჩია კომისია, რომელშიც შეიყვანეს: თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი გენერალ-ადიუტანტი ზ. ჭავჭავაძე, კავალერიის გენერალი ი. ამილახვარი, გენერალ ლეიტენანტი ამირეჯიბი, გენერალ-მაიორი გ. ჩოლოყაშვილი, გენერალ-მაიორი ხიმშიაშვილი და სხვ. კომისიას დაევალა დასაბუთებული შუამდგომლობისა და განმარტებითი ბარათის შედგენა. („ივერია”, 1899).

კომისიამ გამოიყენა ერობის საკითხზე დაგროვილი მასალა და შეადგინა სათანადო მოხსენება. 1899 წ. 31 დეკემბერს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებამ მოიწონა კომისიის მოხსენება და შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე თბილისის გუბერნიაში საერო დაწესებულებების დაარსების თაობაზე. („სსცია ფ.13)

მეფის მთავრობა უნდობლობას უცხადებდა რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეების მოსახლეობას, თავს იკავებდა მისთვის შეზღუდული საერო თვითმმართველობის მინიჭებისაგანაც კი.

1905 წლის 11 ოქტომბერს გაიხსნა ბათუმის საოლქო თათბირი. თათბირის სხდომაში მონაწილეობდნენ მ. აბაშიძე; გ. ვოლსკი; ა. სუდოვსკი; გ. გურული და სხვ.

თათბირის მონაწილეებმა პირველ რიგში მოითხოვეს სამხედრო-სახალხო მმართველობის გაუქმება და საერთო სამოქალაქო მმართველობის შემოღება. შემდეგ კი, საოლქო თათბირმა მუხლობრივად განიხილა ბათუმის საოკრუგო თათბირის მიერ შემუშავებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ამიერკავკასიაში სამსაფეხურიანი (საუბნო, სამაზრო, საგუბერნიო) საერო დაწესებულებების დაარსებას. საგუბერნიო (საოლქო) ერობებს უფლება ეძლეოდათ შეექმნათ კავშირები, ჩამოეყალიბებინათ საერო სამხარეო დაწესებულებები.

ამრიგად, მიუხედავად ქართველი საზოგადოების ხანგრძლივი ბრძოლისა, მეფის მთავრობამ კავკასიის ხალხებს, მათ შორის საქართველოს, საეროთო თვითმმართველობა არ აღირსა - ვერ გაიმეტა თვითმმართველობის ორგანოები თუნდაც შეზღუდული სახით.

ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე ი., თხზ., ტ. 5,6,7, თბ., 1955-1956.
2. ნიკოლაძე ნ., არქივი საქმე, 15. ფ. 12-15.
3. ნიკოლაძე ნ., თხზ. სრული კრებული, ტ. I-V, 1961-1966.
4. Гармиза В.В Подготовка земской реформы, 1864 г. М. 1957.
5. ხიზანაშვილი ნ., რჩეული ნაწერები, თბ., 1984.
6. ვანიშვილი შ., ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში, თბ., 1989.
7. ივერია, №10, 1888.
8. ივერია №165, 1889.
9. ივერია №30, 1894.
10. ივერია №49 1899

რეზიუმე

1864 წლის 1 იანვარს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ დაამტკიცა დებულება საგუბერნიო და სამაზრო საეროთო დაწესებულებათა შესახებ, რომლის საფუძველზე რუსეთის ევროპულ ნაწილში ჩამოყალიბდა საეროთო თვითმმართველობის ორგანოები. ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, დიდი ხნის მანძილზე იბრძოდნენ საქართველოში საეროთო თვითმმართველობის ორგანოების ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ, რომელიც კოლონიურ პოლიტიკას ატარებდა კავკასიაში, საქართველოს შეზღუდული საეროთო თვითმმართველობაც არ აღირსა.

THE STRUGGLE OF THE GEORGIAN SOCIETY FOR UNIFIED SELF-GOVERNMENT

Shalva Vanishvili, Gori State Teaching University, Doctor

RESUME

On the 1st of January, 1864 the Russian Emperor Alexander II ascertained the regulations about the unified institutions of province and market. On its basis in the European part of Russia there were formed the organs of unified self-government. The Georgian writers and public figures struggled for a long time for forming the organs of unified self-government in Georgia as well, but the Russian government running colonial policy in the Caucasus, did not recognize Georgian limited unified self-government.

ქართველი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან (XIX ს- ის შუა ხანები)

ლელა თოგოშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: togoshvililela@yahoo.com

ქართველ ხალხს, ქართულ სახელმწიფოებრიობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ეს ხანგრძლივი პერიოდი ქვეყნის მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების პროცესი როდია; იგი, იმავდროულად, ქართველთა სახალხო-განმათავისუფლებელი ომების ისტორიაც არის. უამრავი დამპყრობელი ხშირად ახერხებდა საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ხელყოფას, ქვეყნის მეტ-ნაკლები ხმით დამორჩილებას, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე

ქართველი ხალხი არასდროს შერიგებია უცხოელთა ბატონობას და ყოველთვის თავდადებით იბრძოდა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის (ბენდიანიშვილი, 1980).

XIX საუკუნის დამდეგს, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართველ ხალხს სულიერი გადაგვარების საფრთხე შეექმნა, რასაც პატრიოტებმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებით უპასუხეს. XIX საუკუნის პირველი ოცწლეულის ანტირეჟიმული აჯანყებები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარება-გაფართოების საწყისი ეტაპია. 1832 წელს ქართველ შეთქმულთა ფარული საზოგადოების აღმოჩენა-განადგურებით არსებითად დამთავრდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის პირველი ეტაპი. მეფის ხელისუფლებამ თავიდანვე სასტიკი ზომებით სცადა ჩაეხშო საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მაგრამ მან ვერ შეძლო განმათავისუფლებელი იდეების მოსპობა. პირიქით, რაც უფრო ძლიერდებოდა ჩაგვრა, მით უფრო ნოყიერი ნიადაგი იქმნებოდა განმათავისუფლებელი იდეების გასავრცელებლად. ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამ იდეებმა თავისი გამოხატულება ჰპოვეს ისეთი გამოჩენილი მწერლებისა და მოაზროვნეების შემოქმედებაში, როგორებიც იყვნენ: ს. დოდაშვილი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი და სხვ. შემდგომში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპზე, ეს იდეები გააღრმავეს, გააფართოვეს და განამტკიცეს 60-იანი წლების სახელოვანმა მწერლებმა და მოაზროვნეებმა - თერგდალეულებმა. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში უფრო და უფრო ფართოვდებოდა იმის და მიხედვით, თუ რამდენად ძლიერდებოდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკა (რატიანი, 1986).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთი აშკარად დაადგა საქართველოს სრული რუსიფიკაციის, ქართველი ერისა და მისი კულტურის მოსპობის გზას. სასტიკ დევნასა და შევიწროვებას განიცდიდა ყოველივე ქართული, მათ შორის ქართული პრესა. მეფის მთავრობა ყოველი ღონისძიებით ცდილობდა შეეზღუდა ქართულ ენაზე ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემა, ხოლო იმ მცირეოდენ გაზეთებსა და ჟურნალებს, რომლებიც ქართველ მოღვაწეთა თავდადებით მაინც გამოდიოდა, მკაცრ ცენზურას უწესებდა. მთავრობამ ჯერ კიდევ 1849 წელს დააარსა სპეციალური ორგანო "კავკასიის საცენზურო კომიტეტი", რომლის ამოცანას შეადგენდა ჩაეხშო ადგილობრივ პრესაში ყოველგვარი თავისუფალი აზრის გამოვლინება. განსაკუთრებით სასტიკად იდევნებოდა ის წერილები და მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც ქართველი ხალხის ეროვნული მისწრაფებები იყო გამოხატული (რატიანი, 1986). საქმე იქამდე მივიდა, რომ მთავრობამ 1862 წელს ოფიციალურად აკრძალა ჩვენი სამშობლოს თვით სახელის - "საქართველოს" ხსენება. "საქართველოს" მაგივრად პრესას უნდა დაეწერა "თბილისის გუბერნია" და "ქუთაისის გუბერნია". უკეთეს მდგომარეობაში არც ქართულ წიგნების გამოცემის საქმე იყო. ცენზურა კრძალავდა არა მარტო იმ ქართულ წიგნებს, რომლებიც ხალხის ცხოვრებას შეეხებოდა, არამედ ისეთ წიგნებსაც, რომლებშიც ქართველი მეფეების ცხოვრება იყო აღწერილი. 1890 წელს მთავრობამ აკრძალა ზ. გულისაშვილის მიერ შედგენილი "წიგნი სახალხო საკითხავად საქართველოს მეფეებზე". საგულისხმოა, რომ თბილისის სახალხო სკოლების ინსპექტორი ა. გრენი, რომელსაც ეს წიგნი სარეცენზიოდ გადაეცა, შემდეგნაირად ასაბუთებდა მისი აკრძალვის აუცილებლობას: "მასში არ არის რაიმე ნებადაურთველი და მიუღებელი აზრი, მაგრამ ჩემი აზრით მაინც საშიში და მიზანშეუწონელია გაეცნოს ხალხი ამ წიგნს, რადგან ის იწვევს ეროვნულ გრძნობებს" (რატიანი, 1986). ასეთი მაგალითები ხშირი იყო.

მასასადამე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი პერიოდი XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო, მაგრამ პირველ და მეორე ეტაპს შორის სიცარიელე არ ყოფილა. ამ შუალედში მოღვაწეობდნენ გადასახლებიდან დაბრუნებული ოცდათორმეტნიელები. ამ დროს გაიფურჩქნა ნ. ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის პოეზია. ეს ორი პოეტი, შეიძლება ითქვას, ოცდათორმეტნიელთა და სამოციანიელთა შემაერთებელ ხიდად იქცა. ნ. ბარათაშვილი, როგორც პოეტი და მოაზროვნე, ოცდათორმეტნიელთა იდეური გავლენის ქვეშ ჩამოყალიბდა (ბერძენიშვილი, 1962). "ქართლის ბედის" ავტორი პრინციპულად საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე იყო. იგი სავსებით იზიარებდა თავის პოემის პერსონაჟის, სოფიოს, თვალსაზრისს: "რა ხელჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული?" (სურგულაძე, 1968).

შეთქმულთა ფარული ორგანიზაციის განადგურების შემდეგ გრ. ორბელიანი პესიმიზმში გადავარდა, ხელი აიღო რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე, მაგრამ დარჩა საქართველოს აღდგენაზე მეოცნებე პატრიოტად და თავისი შემოქმედებით ხელს უწყობდა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას (ბენდიანიშვილი, 1980). მასთან ერთად ქვეყნისათვის სასარგებლო საქმიანობას დაუბრუნდნენ ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი და სხვ. ძველი თაობის სასარგებლო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო ქართული თეატრის აღდგენა (1850 წ.) და ჟურნალ "ცისკრის" გამოცემა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეფის მთავრობა ყოველნაირად ზღუდავდა ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემას. ცენზურა უფლებას არ აძლევდა მათ დაებეჭდათ თუნდაც

მცირედი სიმართლე ხალხის ჭირ-ვარამზე. ხშირი იყო პროგრესული გაზეთების დახურვისა და "ურჩი" რედაქტორების პასუხისგებაში მიცემის შემთხვევები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოწინავე ინტელიგენციის წყალობით იზრდებოდა ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების რიცხვი და ტირაჟი. რეფორმისწინა პერიოდში ერთადერთი ქართული ორგანო იყო ლიბერალური თავადაზნაურობის ჟურნალი "ცისკარი", რომელიც 1852 წელს დააარსა გ. ერისთავმა. 1853 წელს "ცისკარის" გამოცემა შეწყდა, მაგრამ 1857 წელს მისი განახლება მოახერხა ივანე კერესელიძემ, რომლის რედაქტორობით ეს ჟურნალი 1875 წლამდე გამოდიოდა. საქართველოში ახალი, დემოკრატიული პრესის გაჩენამდე "ცისკარი" დადებით როლს ასრულებდა; "ცისკარის" ფურცლებზე გამოქვეყნდა ძველი და XIX ს. ქართული მწერლობის არაერთი ნაწარმოები, მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ახალი სიტყვის თქმა, ახალი ეტაპის დაწყება წილად ხვდა "საქართველოს მოამბეს" და მის გარშემო შემოკრებილ თერგდალეულთა ჯგუფს. 1863 წლის მანძილზე ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა ახალი თაობის მებრძოლი ჟურნალი "საქართველოს მოამბე". ამ ჟურნალით იწყება ქართული დემოკრატიული პრესის ისტორია. ამ ჟურნალმა ლახვარი ჩასცა ძველ, უკვე დრომოჭმულ ფეოდალურ იდეოლოგიას (რატინი, 1986). ჟურნალის პუბლიცისტთა იდეალები ძირითადად ორი პრობლემის გარშემო იყრიდნენ თავს: ბატონყმობის მოსპობა და საქართველოს ეროვნულ - პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება. ჟურნალი იქცა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამძლეობისა და გათვინჯობიერების საშუალებად (კიკვიძე, 1954). ნ. ნიკოლაძე "საქართველოს მოამბის" გამოცემასთან დაკავშირებით წერდა: "...რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესისა და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეაფარა "ცისკარს" და, ამნაირად, იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა "საქართველოს მოამბესა" და "ცისკარს" შუა, ჩანდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდულდა ძველსა და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში..." (ნიკოლაძე, 1872). ეს სიტყვები ზუსტად გამოხატავდა მაშინდელ ვითარებას. "საქართველოს მოამბე" მკაცრ ცენზურას ექვემდებარებოდა. მიუხედავად ამისა, რედაქცია მაინც ახერხებდა თავის პროგრესულ-რევოლუციური თვალსაზრისის გამომჟღავნებას. ჟურნალის პირველივე ნომერში გაკრიტიკებულია თვითმპყრობელური წყობილება. რედაქციას მიაჩნდა, რომ რუსეთის მიერ საქართველოში შემოტანილი "დაწყობილება და კანონები" უპირატესობას ანიჭებდა მოხელეებს; დადგენილი იყო, რომ ვისაც არ ჰქონდა ჩინი, არ შეეძლო ხმა ამოეღო საზოგადოების კრებაში... ასეთი ვითარება, რასაკვირველია, მიიყვანდა ხალხს იქამდინა, რომ თავადსა და აზნაურსაც მოაშვლეპინებდა ქუდსა უბრალო დიამბეგის წინაშე... სპჰადრავდნენ არამარტო ყოველთვის ხმაგაკმეტილს დაბალ ხალხსა, არამედ თავადაზნაურობასაც. ცხადია, საყვარელო მკითხველო, - დაასკვნის რედაქცია, ყველას უნდოდა იმ შევიწროვებული მდგომარეობიდან განთავისუფლება" (ქ. "საქართველოს მოამბე", 1863, №1).

XIX საუკუნის 50-იან წლებში ქართველი ხალხისა და პრესის მუშაკთა წინაშე მეტად მწვავედ იდგა ეროვნული საკითხი, მაგრამ ჟურნალ-გაზეთებს უფლება არ ჰქონდათ ხმა ამოეღოთ ეროვნულ ჭირ-ვარამზე, მოეთხოვათ ისტორიულ უფლებათა პატივისცემა, ამიტომ "საქართველოს მოამბის" პუბლიცისტები ინიღბებოდნენ, ჟურნალის ფურცლებზე უცხოეთის ამბებს ეხებოდნენ, საქართველოს ვითარებას კი სტრიქონთა შორის გამოხატავდნენ. მაგალითად, დავით ყიფიანი აფრთხილებდა მკითხველებს, რომ ჩვენ საკაცობრიო პრობლემებზე გვექნება სჯა-ბაასიო: "ჩვენ ქართველობას სულაც არ მოვიხსენიებთ... მაგრამ რასაც გეტყვით, მკითხველო, დარწმუნებული უნდა იყო, რომ ყოვლისფერში... ჩვენ ქართველობა გვაქვს მხედველობაში. ამისათვის გთხოვ, რომ სხვადასხვა ქვეყნების... მთელი საზოგადოების თანამედროვე მაცოცხლებელი აზრები რომ წარმოგიდგინო, მოიფიქრე ხოლმე შენს ქვეყანაზე, ქართველობაზე, მის მდგომარეობაზე... მოიფიქრე ხოლმე და შენს ფიქრებს თავისუფლება ათხოვე და ნუ შეგეშინდება, იმ შენმა თავისუფალმა ფიქრებმა სადაც უნდა მიგიყვანოს" (ქ. "საქართველოს მოამბე", 1863, №4).

ჟურნალის რედაქციის მიერ მკითხველის ასეთი წინასწარი მომზადება მკვლევარს ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეს და იგი დარწმუნდება, რომ "საქართველოს მოამბის" პუბლიცისტები დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ ეროვნულ საკითხს (ბენდიანიშვილი, 1980).

"საქართველოს მოამბის" მე-6 ნომერში მოთავსებულია წერილი – "მოკლე განხილვა სომხური ენის წარმატებისა უკანასკნელ დროს", რომელშიც ლიტერატურაზე უფრო მეტი ადგილი დათმობილი აქვს თურქეთში მცხოვრებ სომეხთა თვითმმართველობისათვის ბრძოლის ისტორიას. სტატის ავტორი ილია ოქრომჭედლიშვილი აღნიშნავს, რომ თავის ეროვნულ უფლებათა გაფართოებისათვის ბრძოლას სომეხები დიდი ხანია ეწევიან. თურქეთის მთავრობა იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და 1860 წელს "სულთანმა აბდულ მეჯიდმა მისცა სომეხებს კონსტიტუცია" იქვე ი. ოქრომჭედლიშვილი იძლევა ამ კონსტიტუციისა და მის საფუძველზე ორგანიზებული სომეხთა თვითმმართველობის დახასიათებას. "ამ კონსტიტუციით, - წერს ავტორი, - სულტანს მიუცია სომეხებისათვის ყველა იმათი სამოქალაქო, შიგნიერი

საქმეების გამგებლობა, ასე რომ პატრიარხის გარდა არც ერთ სომეხს ხონთქრის მართებლობასთან არაფერი საქმე არა აქვს რა".

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ სომეხებს თვითმმართველობის განხორციელება დაუკისრებიათ საზოგადო კრებისათვის და საყოველთაო-საარჩევნო უფლების საფუძველზე აურჩევიათ ოთხი საბჭო, რომელთაგან ერთი განაგებდა სახალხო განათლებას, მეორე – ადმინისტრაციულ საქმეებს, მესამე – ფინანსებს, მეოთხე – იურიდიულ საქმეებს. სომეხთა თვითმმართველობის უმაღლესი ხელისუფალი იყო პატრიარქი, მაგრამ დიდ საზოგადო კრებას უფლება ჰქონდა პატრიარქი გადაეყენებინა, თუ იგი კონსტიტუციას დაარღვევდა. ი. ოქრომჭედლიშვილი ხოტბას ასხავს თავგანწირულ ბრძოლას სომეხებისას, რომლებმაც მიიღეს "დიად მარგი და სასარგებლო, ყველა ხალხის ამამაღლებელი" თვითმმართველობა. მართალია, აბდულ მეჯიდის მემკვიდრე ცდილობს სომეხებისათვის მინიჭებული პრივილეგიების შეკვეცას, მაგრამ სომეხები დიდი ბრძოლით მოპოვებულ თვითმმართველობას არათუ დათმობენ, არამედ მის უფლება-კომპეტენციას კიდევ უფრო გააფართოებენო" (ქ. "საქართველოს მოამბე", 1863 №6). ცხადია, ი. ოქრომჭედლიშვილის მიზანია მოუწოდოს ქართველებს, რათა მათაც იბრძოლონ თვითმმართველობისათვის.

"საქართველოს მოამბის" პუბლიცისტები სოლიდარობას უცხადებდნენ იტალიელების, პოლონელების და სხვა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს, ცდილობდნენ მკითხველისათვის მიეწოდებინათ ამ ბრძოლის ამსახველი მასალა და ქართველებში ჩაენერგათ ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეები (ქ. "საქართველოს მოამბე", 1863 №5). "საქართველოს მოამბის" რედაქციას საშუალება არ ჰქონდა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე თავისი თანამშრომლის ორიგინალური სტატია დაეხატა. ამიტომ მან ჟურნალში გამოაქვეყნა დობროლიუბოვის ცენზურაგავლილი თხზულება "მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგებანი". დობროლიუბოვი მაღალ შეფასებას აძლევდა გავაციის ორატორულ ხელოვნებას, მის დიდ დამსახურებად მიაჩნდა ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა და ადგილობრივი ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ. ნეაპოლის განთავისუფლებისას წარმოთქმულ სიტყვაში გავაციმ მიწასთან გაასწორა ბურბონები, რომლებმაც იტალიელებს წაართვეს მოქალაქეობრივი თავისუფლება. თავისუფლებაში დობროლიუბოვი გულისხმობდა ხალხის როგორც ეროვნულ, ისე სოციალურ თავისუფლებას. მაგრამ XIX საუკუნის 50-60 იანი წლების იტალიელი მოღვაწეებისათვის უპირველესი მიზანი ეროვნული თავისუფლების მოპოვება იყო. "ჩემო მეგობრებო, – მიმართავდა გავაცი მსმენელებს, – მარტო რევოლუციას შეუძლია შექმნა იტალიისა..." "... თუ რევოლუცია იტალიას შექმნის, დიპლომატია მაშინ იძულებული იქნება მიიღოს იგი, როგორც შესრულებული ფაქტი..."(ქ. "საქართველოს მოამბე", 1863 №5). „ალექსანდრე გავაციის თვალსაზრისი შეესაბამებოდა "ქეშმარიტი თერგდალეულების" იდეოლოგიას“ (ბენდიანიშვილი, 1980). ქართველი თერგდალეულები განსაკუთრებით დიდ თანაგრძნობას უწყევდნენ და სოლიდარობას უცხადებდნენ პოლონელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რამაც 1862-1863 წწ. ახალი ძალით იფეთქა. თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად ეროვნულ-რევოლუციური ძალების ერთიანი ფრონტის შექმნა პასუხობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებათა ინტერესებს და ამიტომ, ბუნებრივია, მოწინავე ქართველი საზოგადოება ცდილობდა კონტაქტი დაემყარებინა პოლონელ პატრიოტებთან, დახმარება გაეწია მათთვის სამართლიან ბრძოლაში. პოლონეთის აჯანყების დროს საქართველოში პერიოდული პრესის ორი ორგანო – "ცისკარი" და "საქართველოს მოამბე" გამოდიოდა. მკაცრი ცენზურის მიუხედავად, თერგდალეულთა ორგანომ მაინც მოახერხა აჯანყებული პოლონელებისათვის თანაგრძნობის გამოცხადება. "საქართველოს მოამბის" 1863 წლის №7-ში გამოქვეყნდა პეტრე ნაკაშიძის "სამგზავრო წერილები". პეტრე ნაკაშიძე 1863 წლის 27 მარტს პეტერბურგიდან პოლონეთზე გავლით სამგზავროებულა უცხოეთში. მატარებლის ვაგონში საუბარი გაუბავს პოლონელ სტუდენტებთან, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებოდნენ. პ. ნაკაშიძეს შეუქია პოლონელთა მიწა-წყალი, მაგრამ შეუბრალებია ხალხი, "რომელიც ასეთ უბედურებაში ჩავარდა ამ უკანასკნელ დროს". ამას არ დაეთანხმა, თურმე, პოლონელი სტუდენტი, რომლის აზრით, რაკი ხალხმა აჯანყება წამოიწყო და სისხლსა ღვრის, არ მიაჩნია ეს ამბავი უბედურებად და მზადაა სიცოცხლე გასწიროს თავისუფლების მოსაპოვებლად. ცენზურას დაქვემდებარებული ჟურნალის პუბლიცისტი ინიღბება, მაგრამ "სამგზავრო წერილებში" მაინც ჩანს ავტორის უარყოფითი დამოკიდებულება თვითმპყრობელობისადმი და თანაგრძნობა პოლონელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი. აჯანყებულთა რიგებში ჩასადგომად რუსეთიდან პოლონეთს მიმავალი სტუდენტი ასეთ სიტყვებს წარმოთქვამს: "განა არის ქვეყანაზე იმისთანა ხალხი, რომელსაც არ სურდეს კეთილი ცხოვრება? ყველასა სურს, მაგრამ ხალხიც არის და ხალხიც, ზოგის სურვილი ისეთივე სუსტია და დამკვნიარი, როგორც თვითონ ხალხია გათელილი და წელმოწყვეტილი, ზოგს კი იმოდენად შერჩენია კაცობრიული გრძნობა, რომ მისთვის სიცოცხლე და კეთილი ცხოვრება განუყოფელია... ამისთანა ხალხი კი სულ მუდამა სდულს, ან გულის წადილს აისრულებს, ან არადა იმ წადილსა ზედ შეაკვდება. ამისთანა ხალხს ვერაფერი ვერ

შეაყენებს... ისტორია და კაცობრიობა მარტო ამისთანა ხალხს აძლევს ყურადღებას" (ჟ. "საქართველოს მოამბე", 1863, №7). პ. ნაკაშიძე ცენზურის შიშით მკვეთრ გამოთქმებს ვერ ხმარობს, მაგრამ ცხადია, რომ "ხალხის კეთილ ცხოვრებაში" იგი გულისხმობს ერის თვითმყოფლობას და დამოუკიდებლობას. მისი სიმპათია იმ ერის მხარესაა, რომელიც არ ურიგდება თავისუფლების დაკარგვას და იბრძვის სამშობლოს ბედნიერებისათვის. ავტორს სურს ასეთ ხალხთა რიგებში იხილოს ქართველი ერიც. პოლონეთის 1862-1863 წწ. აჯანყებამ სტიმული მისცა ქართველთა ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას. ქართველი პატრიოტები კარგად ითვალისწინებდნენ პოლონელთა წარმატების დიდ მნიშვნელობას რუსეთის იმპერიაში შემავალ დაჩაგრულ ხალხთა უფლებათა გაფართოებისათვის და ამიტომ მათ ფართო აგიტაცია გააჩაღეს, დაიწყეს პოლონელთა დახმარების ფონდის შექმნა. ცნობილია, რომ პოლონელების დასახმარებლად ფულადი სახსრების ნებაყოფლობითი შეგროვება თბილისშიც მოხდა და თანხა გადაეგზავნა პოლონელ პატრიოტებს (ხუციშვილი, 1959).

"საქართველოს მოამბეში" დობროლიუბოვის, ლერმონტოვის, ჰიუგოსა და სხვა გამოჩენილ ავტორთა საუკეთესო ნაშრომების თარგმანებთან ერთად იბეჭდებოდა ქართველი ავტორების ორიგინალური მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებები. პირველად სწორედ ამ ჟურნალში დაიბეჭდა ილიას შედეგები. მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პუბლიცისტური ნაშრომები მოათავსეს ჟურნალში ილიას თანამებრძოლებმა: კირილე ლორთქიფანიძემ, გიორგი წერეთელმა, დავით ყიფიანმა, ვახტანგ თულაშვილმა, მიხეილ ყიფიანმა, პეტრე ნაკაშიძემ და სხვ. ან ნაშრომებმა საფუძვლიანად შეარყია ძველი და უკვე დრომოჭმული შეხედულებები, ფეოდალური იდეოლოგია.

ამრიგად, XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში ეროვნული საკითხი გაცილებით მწვავედ იდგა, ვიდრე ეს აისახა "საქართველოს მოამბეში". თვით "საქართველოს მოამბის" რედაქცია უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ ცენზურის გამო ჟურნალმა ბევრ საჭირობო საკითხზე თავისი აზრი ვერ გამოთქვა: "რასაც ჩვენ თვითონ ვთხოვდით ჟურნალსა, რასაც მისგან მოველოდით - ამას ყველაფერს წინ კედელი დახვდა". მიუხედავად ამისა, "სხვის მოსაწონად არც ერთს ჩვენი გულითადი აზრისათვის არ გვიღალატია, სხვის მოსაფერებლად არც ერთი გრძნობა არ გაგვიყიდა..." განსაკუთრებული გულისტკივილით აღნიშნავს რედაქცია იმას, რომ ჟურნალმა დროის მოთხოვნილება მთელი სისრულით ვერ გამოხატა. ჩვენი ცხოვრების მოვლენები, "... რომელიც ყოველი ცოცხალი კაცისათვის საინტერესოა, არამცთუ ვერ ახსნა... არამედ ვერც კი გაბედა რომ მიჰკარებოდა, თუმცა კი სცადა... ამის გამო ჩვენს ჟურნალს ფერი დააკლდა. "მოამბემ" შორიდან დაუწყო ტრიალი მას. რაც ახლოს გასასინჯავი იყო". (ჟ. "საქართველოს მოამბე", 1863, №11). "საქართველოს მოამბე" ქართველი ხალხის ეროვნული უფლებების აღდგენაზე საუბარს ცენზურის შიშით ვერ ბედავდა. რედაქცია იმედს გამოთქვამდა, რომ ახლო მომავალში შეიძლება ჩვენს ჟურნალსაც დაუდგეს დარი და უფრო მეტი ნაყოფი მოიტანოსო, მაგრამ არ დასცალდა - მისი გამოცემა შეწყდა. როგორც ჩანს, მეფის მთავრობის სამხარეო ადმინისტრაციამ ჟურნალს არც ის აპატია, რის თქმაც გაბედა და დახურა.

"საქართველოს მოამბემ" უდიდესი როლი შეასრულა ქართული კულტურისა და აზროვნების განვითარების ისტორიაში. მასში ნათლად აისახა რეფორმის წინანდელი საქართველოს რევოლუციურად განწყობილი ხალხის სულიკვეთება. მართალია ჟურნალმა მხოლოდ ერთ წელიწადს იარსება, მაგრამ მისი იძულებითი დახურვის შემდეგ თერგდალეულებს სრულიადაც არ დაუყრიათ იარაღი - ისინი მხოლოდ ძალებს იკრებდნენ და ახალი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ (რატიანი, 1986).

ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შესწავლის საქმეში უდიდესი როლი ეკისრებოდა ქართულ პრესას, ჩვენს ინტელიგენციას. ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების სწრაფი ზრდა, თავისუფლებისაკენ სწრაფვა, მსოფლიოში მიმდინარე პროცესები წარმოადგენდა იმ გარანტიას, რომელიც სანუკვარ მიზანს - დამოუკიდებელ საქართველოზე ოცნებას რეალობად აქცევდა. შემდგომმა მოვლენებმა ცხადპყო, რომ მეფის რუსეთის პოლიტიკა საქართველოში, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის გათქვეფას მრავალმილიონიან რუსულ მოსახლეობაში, უშედეგოდ დასრულდა. რუსეთმა ვერ მიაღწია თავის მიზნებს, რადგან მას წინააღმდეგობა გაუწია მაღალი ეროვნული თვითშეგნების, თვითმყოფადი კულტურის მატარებელმა ხალხმა (თოგოშვილი, 2000).

ლიტერატურა :

1. ალ. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921, თბ., 1980, გვ. 3, 115, 118, 120.
2. პ. რატიანი, საქართველოს ახალი ისტორიის ნარკვევები, ტბ., 1986, გვ. 18, 96, 97, 195.
3. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1962, გვ. 239
4. ა. სურგულაძე, ბარათაშვილის ეპოქა, თბ., 1968, გვ. 342, 375.
5. ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954, გვ. 314.
6. ნ. ნიკოლაძე, "ჩვენი მწერლობა", ჟ. "კრებული", 1872, №10, გვ. 11-12.

7. ჟ. "საქართველოს მოამბე", 1863, №1. გვ. 141-142.
8. ჟ. "საქართველოს მოამბე", 1863, №4 გვ. 95-96.
9. ჟ. "საქართველოს მოამბე", 1863, №5 გვ. 77, 85, 87.
10. ჟ. "საქართველოს მოამბე", 1863, №6 , გვ. 64, 68.
11. ჟ. "საქართველოს მოამბე", 1863, №7 გვ. 44-45.
12. ჟ. "საქართველოს მოამბე", 1863, №11 გვ. 45.
13. ი. ხუციშვილი, საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1959, გვ. 21.
14. ლ. თოგოშვილი, რუსული დასახლებები დასავლეთ საქართველოში (XIX საუკუნის 30-90- იანი წლები), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2000, გვ. 162.

რეზიუმე

XIX საუკუნის დამდეგს, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ შეიქმნა ქართველი ხალხის სულიერი გადაგვარების საფრთხე. ამ ნიადაგზე დაწყებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას რუსეთის ხელისუფლება სასტიკი ზომებით ახშობდა, მაგრამ მან ვერ შეძლო განმათავისუფლებელი იდეების მოსპობა. სასტიკ დევნას განიცდიდა ქართული პრესა. მეფის მთავრობა ყოველმხრივ ხელს უშლიდა ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემას, ხოლო იმას, რაც გამოდიოდა, მკაცრ ცენზურას უწესებდა. რუსეთის ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 1849 წელს დააარსა სპეციალური ორგანო “კავკასიის საცენზურო კომიტეტი”, რომლის ამოცანას შეადგენდა ჩაეხშო ადგილობრივ პრესაში ყოველგვარი თავისუფალი აზრის გამოვლინება.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ახალი სიტყვის თქმა, ახალი ეტაპის დაწყება უკავშირდება ჟურნალ “საქართველოს მოამბეს” და მის გარშემო შემოკრებილ თერგდალეულთა ჯგუფს. ამ ჟურნალით იწყება ქართული დემოკრატიული პრესის ისტორია. ჟურნალმა ხელი შეუწყო ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებასა და გათვინჯობიერებას, მაგრამ XIX საუკუნის 60-იანი წწ. საქართველოში ეროვნული საკითხი გაცილებით მწვავედ იდგა, ვიდრე ეს აისახა “საქართველოს მოამბეში”. მკაცრი ცენზურის პირობებში ჟურნალმა დროის მოთხოვნილება მთელი სისრულით ვერ გამოხატა, მაგრამ მეფის მთავრობის სამხარეო ადმინისტრაციამ მაინც საშიშად მიიჩნია ჟურნალის არსებობა და დახურა. მიუხედავად იმისა, რომ “საქართველოს მოამბემ” მხოლოდ ერთ წელს იარსება, მან მაინც უდიდესი როლი შეასრულა ქართული კულტურისა და აზროვნების განვითარების ისტორიაში. ჟურნალის იძულებითი დახურვის შემდეგ თერგდალეულებმა არ დაყარეს იარღი- ისინი ძალებს იკრებდნენ ახალი ბრძოლის დასაწყებად.

FROM THE HISTORY OF THE GEORGIAN PEOPLE’S STRUGGLING FOR THE NATIONAL INDEPENDENCE (XIX C.)

**Lela Togoshvili, Gori State Teaching University, Associate Professor
RESUME**

From The History Of The Georgian People’s Struggle For National Independence.

At the beginning of XIX century, after the Russian invasion of Georgia, it was danger of spiritual degeneration of Georgian people. Russian government was opposite of the national –liberation movement. But it failed to destroy the ideas of liberation. Georgian press was suffered. The king government prevented to publish magazines newspapers and books, so what were published there was very strict censorship on them. In 1849 Russian government established a special body “ Caucasus Censorship Committee ”, whose task was to repressed the free ideas expression of the local press.

In the national-liberation movement, saying the new word and beginning the new epoch is connected to magazine “Saqartvelos moambe” (Georgia Teller) and the group of “Tergdaleulebi” . The history of Georgian democratic press is begun by this magazine. The magazine has contributed to enhancement of national identity and become. But in 19th century’s 60-ies the national question was urgent in Georgia, than it was reflected in “Saqartvelos moambe” (Georgia teller). The magazine was in a very strict condition, so it couldn’t express the request of the time. But the regional administration of the king’s government considered that existence of magazine was dangerous and the magazine was closed. Despite the fact that the magazine “Saqartvelos moambe” (Georgian teller) was existed for one year, it still played a huge role in the history of the development of Georgian culture and thinking. The magazine was forced to close, “Tergdaleulebi” didn’t surrender, they started refreshment to start the new fight.

საქართველო-ევგიპტის დიპლომატიური ურთიერთობა - ჯგერის მონასტრის აღდგენის წინაპირობა

ელდარ მამისტვალიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

E-mail: eldarmamistvalishvili@rambler.ru

არაბთა ბატონობის დაკნინებამ საქართველოსა და პალესტინაში, დღის წესრიგში დააყენა იერუსალიმში საქართველოს შესუსტებული პოზიციების აღდგენა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ეკლესია-მონასტრების აღდგენა-რეკონსტრუქციასაც გულისხმობდა, მაგრამ ამის მიღწევა პალესტინის მაშინდელი მფლობელი ევგიპტის ფატიმიანი ხალიფას ნებართვის გარეშე ვერ მოხერხდებოდა. საჭირო იყო ისეთი ხელსაყრელი მომენტის დადგომა, როდესაც საქართველოს და ევგიპტის ინტერესები ერთმანეთს მიესადაგებოდა. ასეთი მომენტი დადგა XI საუკუნის დასაწყისში, როდესაც დასახელებულ ორივე სახელმწიფოს ბიზანტიის იმპერიის სახით, ერთი მოწინააღმდეგე ჰყავდა.

საქართველოს ევგიპტესთან პირველი დიპლომატიური კონტაქტი განპირობებული იყო ბიზანტიასთან დაპირისპირებით, ე. წ. დავით კურაპალატის მემკვიდრეობის გამო. საქართველო-ევგიპტის ურთიერთობის ამ ეპიზოდის შესახებ საინტერესო ცნობა შემოგვინახა XI საუკუნის ქრისტიანმა არაბმა ისტორიკოსმა იაჰია ანტიოქიელმა. როგორც ცნობილია, დავით კურაპალატი ბასილ კეისრის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა ფოკას მიემხრო. 989 წელს ფოკა მოულოდნელად გარდაიცვალა. კეისრის რისხვის თავიდან აცილების მიზნით, როგორც იაჰია ანტიოქიელი გადმოგვცემს, “დავით ქართველთა მეფემ პატიება და შეწყალება ითხოვა, ბასილს მორჩილება განუცხადა და აღუთქვა, ვინაიდან თვითონ ძალიან მოხუცი იყო, ხოლო ვაჟი და სხვა მემკვიდრე არ გააჩნდა, – გარდაცვალების შემდეგ თავისი სამფლობელო მის სახელმწიფოს შეერთებოდა” (იაჰია 1985:115)¹. გიორგი I-მა (1014-1027) ბასილ II-ის ბულგარელებთან ომის დროს (1014-1018), ისარგებლა ბიზანტიელების გაჭირვებით და სამხრეთ ტაოში შეიჭრა. იაჰია ანტიოქიელი შემდეგ გადმოგვცემს: “აზხაზთა მეფე გიორგიმ განიზრახა ზიანი მიეყენებინა მისი სამფლობელოს განაპირა ოლქებისათვის და დაუფლებოდა იმ სიმაგრეებსა და ოლქებს, რომლებიც ბიძამისმა დავით კურაპალატმა ბასილ მეფეს დაუთმო. როდესაც მეფემ ბულგარეთი დაიპყრო, მიზანს მიაღწია და კონსტანტინოპოლს დაბრუნდა, აფხაზთა ამ მეფემ – გიორგიმ საჭიროდ არ სცნო თავისი შეცდომის გამოსწორება, თავი შეეკავებინა (მის წინააღმდეგ) მოქმედებაზე და აღუთქვა ერთგულება, როგორც ამას აკეთებდა მისი მამა და ბიძა. იგი ყოყმობდა. ჯიუტად იდგა თავის მცდარ პოზიციასზე და მიმოწერას აწარმოებდა ალ-ჰაქიმთან იმის შესახებ, რომ გაერთიანებულიყვნენ ბასილის წინააღმდეგ საომრად და თითოეულ მათგანს განეხორციელებინა დარტყმა საკუთარი ქვეყნიდან” (იაჰია 1985:116). კეისარმა გიორგი მეფეს ულტიმატუმი წაუყენა.

იაჰია ანტიოქიელი გადმოცემა გვაფიქრებინებს, რომ გიორგი I-მა გაითვალისწინა ბიზანტიასთან ომის სირთულე და შეეცადა მოკავშირე მოემებნა. როგორც ითქვა, მან ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირედ დაიგულა ევგიპტის ფატიმიანთა სახალიფო, რომელიც დიდად დაინტერესებული იყო ბიზანტიის დასუსტებით. ზუსტად არ არის ცნობილი როდის, ან როგორ მიიღეს ქაიროში საქართველოს მეფის წინადადება. ქართველი ელჩი ქაიროში უნდა ჩასულიყო ბასილ კეისრის მიერ ბულგარელების დამარცხების შემდეგ, 1019 ან 1020 წელს და მაშინ “როცა ჰალაბისათვის მეტოქეობამ ფატიმიანები და ბიზანტია ომის ზღვარზე დააყენა” (ბუაჩიძე 1997:66; სილაგაძე 1991:192). როდესაც ქართველი მეფის მიერ გადადგმული ამ დიპლომატიური ნაბიჯის შესახებ “ამბავმა ბასილ მეფემდე მიაღწია. იგი რისხვით აღივსო გიორგის მიმართ, მაგრამ თავის გულში ნადები არავისთვის გაუმხელია. მან სირიაში სალაშქროდ მომზადება ბრძანა და კონსტანტინოპოლიდან ფილიმილს გაემგზავრა... ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ იგი ნამდვილად სირიას დაესხმოდა თავს. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა მეფე ფილიმილში იმყოფებოდა, მოხდა ალ-ჰაქიმის გაუჩინარება² და იგი მაშინვე აფხაზებთან საომრად დაიდრა” (იაჰია 1985:39).

ფატიმიანთა ხალიფასთვის, რომელიც საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა ბიზანტიასთან, გიორგი I-ის წინადადება მისაღები იქნებოდა. “ბასილ II-ის მძაფრი რეაქცია, რის შესახებაც წერს იაჰია,

¹ იაჰია ანტიოქიელის თხზულებიდან ამონარიდების თარგმანი მცირეოდენი განსხვავებით იხ. (ბუაჩიძე 1997:39).

² თავისი მმართველობის ბოლო წლებში ჰაკიმი სულ უფრო ასკეტიზმისაკენ იხრებოდა და მედიტაციისათვის ხშირად ღამით განმარტოვდებოდა ხოლმე. 1021 წლის 12-13 თებერვლის ღამეს, 36 წლის ასაკში, ჰაკიმი კაიროს მახლობლად მუკატამის ბორცვზე ავიდა და აღარ დაბრუნდა. ძებნისას იპოვეს მხოლოდ მისი სახედარი და სისხლიანი ტანსაცმელი. მისი გაქრობა გამოცანად რჩება.

იმაზე მიუთითებს, რომ ფატიმიანთა სახალიფოსა და საქართველოს სამხედრო კავშირს რეალური საფუძველი ჰქონდა” (ბუაჩიძე 1997:51).

მართალია, არავითარი ცნობა არ გავაჩნია, მაგრამ შეიძლება დავუშვათ, რომ ალ-ჰაქიმის მიერ 1020 წლის შემოდგომაზე ქრისტიანების მიმართ პოლიტიკის შეცვლა, როცა მან განდევნილ-გაქცეულ ქრისტიანებს ნება მისცა უკან დაბრუნებულიყვნენ, ძალით გამუსლიმანებულებს შეეძლოთ კვლავ ქრისტიანობა ელიარებინათ, **აღედგინათ დანგრეული ეკლესია-მონასტრები და ხელისუფლებას დაებრუნებინა ჩამორთმეული ქონება (Медников 1902:856), ვფიქრობ, ქართველ ქრისტიან მეფესთან მოლაპარაკების შედეგი იყო.**

ალ-ჰაქიმის და სხვა ხალიფებისთვისაც, საერთოდ, დამახასიათებელი იყო ქრისტიანულ სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობების მოწესრიგებისათვის მოლაპარაკებების დროს ქრისტიანების საკითხის წინ წამოწევა და მათი მდგომარეობის დროებით მაინც შემსუბუქება. ასე მოხდა 1001 წელს ბასილ II-სა და ალ-ჰაქიმს შორის ზავის დადების შემდეგაც. ქრისტიანებმა სახალიფოში მიიღეს რელიგიური თავისუფლება, ეკლესია-მონასტრების აღდგენის უფლება (История 1967:224-225). იგივე განმეორდა ალ-ჰაქიმის სიკვდილის შემდეგ (1021 წ.). ხალიფად გამოცხადდა მისი ვაჟი აზ-ზაჰირი, მაგრამ მთელი ძალაუფლება მამიდის, სით ალ-მულქის, ხელში აღმოჩნდა. ახალმა ხალიფამ და მისმა რეგენტმა ბიზანტიასთან ურთიერთობის მოგვარება განიზრახეს. ამისათვის მათ უცხოეთში გადახვეწილ ქრისტიანებს ეგვიპტეში დაბრუნების ნება მისცეს და იერუსალიმის პატრიარქი ნიკიფორე საზავო მოლაპარაკებისათვის კონსტანტინოპოლში მიავლინეს. მოლაპარაკება მიმდინარეობდა 1023-1024 წლებში. სახალიფო კეისარს სთავაზობდა, “რომ დააბრუნებდა ყველა კონფისკირებულ ეკლესიას, განაახლებდა აღდგომის ეკლესიას იერუსალიმში და ყველა სხვა ეკლესიას ეგვიპტესა და სირიაში, დაუბრუნებდა მათ თავიანთ ქონებას, სამართლიანად მოეპყრობოდა ქრისტიანებს და იზრუნებდა მათზე. სით ალ-მულქი ბასილს სთხოვდა, თავისუფლება მიეცა ბიზანტიასა და ფატიმიანებს შორის ვაჭრობისათვის და დაეწყათ ამ საკითხის მოგვარება და შერიგება”. მოლაპარაკება შეწყდა სით ალ-მულქის სიკვდილის გამო. პატრიარქი ნიკიფორე უკან დაბრუნდა (ბუაჩიძე 1997:56-57; ჯაფარიძე 2005:139-142).

ქრისტიანების საკითხი დღის წესრიგში იდგა ბიზანტია – ფატიმიანთა სახალიფოს საზავო მოლაპარაკებების დროს 1027-1028, 1031-1032 წლებში.

1036 წლის ივნის - სექტემბერში ბიზანტიასა და ფატიმიანთა სახალიფოს შორის დაიდო ზავი, რომლის მიხედვით, ბიზანტიელებმა 5 ათასი მუსლიმი ტყვე გაანთავისუფლეს, სამაგიეროდ აღდგომის ეკლესიის აღდგენის და იერუსალიმის პატრიარქის დანიშვნის უფლება მიიღეს (ჯაფარიძე 2005:141).

ზავის დადების შემდეგ იერუსალიმის ქრისტიანულმა თემებმა მრავალი ეკლესია აღადგინეს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აღდგომის ეკლესიის აღდგენას, რაშიც მონაწილეობდა თითქმის ყველა ქრისტიანული ქვეყანა. ქართველებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს და ეკლესია დასრულებული იქნა 1048 წელს. ალბათ, დიდი დამსახურების გამო იყო, რომ მათ გოლგოთაზე გარკვეული უფლებები მოიპოვეს და ადგილიც დაიმკვიდრეს. ამას ამტკიცებს 1049 წელს გადაწერილი ივლის-აგვისტოს “თვენი” და ისიც, რომ ანდერძ-მინაწერში ხელნაწერის “მომგებელი” (სასყიდლის მომცემი) იოვანე “გოლგოთელად” მოიხსენიება (ტიმოთე 1956:0173). დაახლოებით 1050 წელს ბაგრატ კურაპალატმა ბიზანტიის კეისრისაგან გოლგოთის თხემის ნახევარი მიიღო, სადაც ქართველი ეპისკოპოსიც დაინიშნა (ყანენი 1992:8), ეს კი იერუსალიმში ქართული თემის სიმრავლესა და გავლენაზე მიუთითებს.

პალესტინაში შეცვლილი პოლიტიკური კლიმატი, ქართული სახელმწიფოს მესვეურთა ნება და იერუსალიმელი ქართველების წარმატებული მდგომარეობა, სრულ შესაძლებლობას ქმნიდა, რომ მათ ეზრუნათ თავიანთი ტაძრების აღდგენაზე. ბუნებრივია, რომ ქართველებმა უპირველეს ყოვლისა უმთავრესი, იერუსალიმის გარეთ არსებული, ქართველთა მონასტრის ეპოქის შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით აღდგენა-გადაკეთება გადაწყვიტეს. წერილობითი წყაროები მხოლოდ ამ ერთი, წმ. ჯვრის სახელით ცნობილი მონასტრის აღდგენაზე გვაცნობებენ. როგორც გ. ჯაფარიძე ფიქრობს, ჯვრის მონასტრის მშენებლობის დაწყების უფლების მოპოვება ქართველებს უნდა გაადვილებოდათ ეგვიპტესა და ბიზანტიას შორის 1036 წელს დადებული საზავო ხელშეკრულების შემდეგ (ჯაფარიძე 2005:141). მაგრამ, მხედველობაში მისაღებია, რომ საქართველო და ფატიმიანების ეგვიპტე ბიზანტიის იმპერიის სახით მუდმივ მტერს, ხოლო ერთმანეთში კი ბიზანტიის წინააღმდეგ პოტენციურ მოკავშირეს ხედავდნენ, ამის გათვალისწინებით შეიძლება დაუშვათ, რომ ეგვიპტის მბრძანებლები საქართველოს ხელისუფლების თხოვნა-სურვილებს გარკვეულ ანგარიშს უწევდნენ. ვფიქრობ, ქართველებს უფლება ექნებოდათ ბიზანტიელებზე ადრე თუ არა, ქრისტეს საფლავის ტაძრის აღდგენის პარალელურად მაინც, ჯვრის მონასტრის შეკეთება-გადაკეთება მოეხდინათ.

როგორც შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, საქართველო-ეგვიპტის კონტაქტები გრძელდებოდა. XI ს. 40-იან წლებში მათ შორის ურთიერთობა ახალ იმპულსს იძენს ბიზანტიის საქართველოს წინააღმდეგ გააქტიურების გამო. საქართველოს ეგვიპტესთან საკმაოდ მჭიდრო კავშირზე მიგვანიშნებს 1047 წელს, ნილოსზე არხების გახსნის დღესასწაულში ქართველი უფლისწულების მონაწილეობა, რასაც არაბი ისტორიკოსი ნასირ-ი ხოსროუ გვამცნობს: დღესასწაულზე იმყოფებოდნენ “მელიქზადეები და ფადიმაჰ-ზადეები, რომელნიც ქვეყნიერების ყოველი მხრიდან იყვნენ მოსულნი. ისინი არ ითვლებოდნენ ლაშქრისა და მხედრობის რიცხვში. იქ იყვნენ მადრიბის, იემენის, რუმის, სლავთა ქვეყნის, ნუბიის, აბისინიის დიდებულთა შვილები. მოსული იყვნენ აგრეთვე ხოსრო დეჰლევის შვილები დედის თანხლებით. ქართველ მეფეთა ვაჟიშვილები, დეილემელი უფლისწულები და თურქესტანის ხაყანის ძენი” (გაბაშვილი 1968:69-70).

ვ. გაბაშვილი ნასირ-ი ხოსროუს გადმოცემის გამო აღნიშნავდა, რომ “ქართველი მეფეების ვაჟიშვილებიდან” ერთი უნდა ყოფილიყო კახეთის მეფისა. ამ დროს კახეთი დამოუკიდებელი სამეფო იყო. მეორე კი, გაერთიანებული საქართველოს მეფისა (გაბაშვილი 1968:70).

საქართველოს ეგვიპტესთან ჰქონდა ეკონომიკური ურთიერთობა, მაგრამ ამ ურთიერთობაში მნიშვნელოვანი იყო რელიგიურ-იდეოლოგიური ფაქტორიც (გაბაშვილი 1968:71). ამ უკანასკნელზე მსჯელობის უფლებას გვაძლევს თვით ნასირ-ი ხოსროუს ბიოგრაფია. ფატიმიანმა ხალიფამ ის ხორასნისა და საქართველოს ჰუჯად დანიშნა. “ჰუჯა” ანუ “ჰუჯათ” ეწოდებოდა მთავარ “დაის”, რომლის მოღვაწეობა განსაზღვრული იყო გარკვეული ტერიტორიით. მას ემორჩილებოდა მცირე “დაიები”. ნასირ-ი ხოსროუს, როგორც საქართველოს “ჰუჯას”, მეთვალყურეობა უნდა გაეწია თბილისის საამიროში მოღვაწე “დაიებისათვის” (გაბაშვილი 1968: 73). მცირე “დაის” მოვალეობა იყო ისმაილიტური პროპაგანდა და ახალ მოქცეულთა რიცხვის გაზრდა. ისმაილიტები ყველგან იყვნენ და ყველგან მოქმედებდნენ. ისინი “დროებით იმამად” აღიარებდნენ ფატიმიან ხალიფას. ისმაილიტების აზრით, მას უნდა დამორჩილებოდნენ მუსლიმები და ქრისტიანებიც (გაბაშვილი 1968:73).

საქართველოს მეფეებს მფარველობა უნდა გაეწიათ თბილისის საამიროში ისმაილიტებისათვის. XIII-XIV საუკუნეების ქართულ საისტორიო ლიტერატურაში ისმაილიტებს “მულიდი” ეწოდებათ. ჟამთააღმწერელის განმარტებით, “კაცის მკვლელნი მიპარვითა, რომელთა მულიდად უწოდიან” (ყაუხჩიშვილი 1959:208).

XI საუკუნეში, როცა თბილისის საამირო ჯერ ისევ არსებობდა და ბიზანტიის შემოტევა საქართველოზე სულ უფრო ძლიერდებოდა, “საქართველოში არ უნდა გამოეჩინათ მტრული დამოკიდებულება ისმაილიტების მიმართ. ამას თავისთავად გამორიცხავდა ეგვიპტესთან ურთიერთობა. პირიქით... ადვილი შესაძლებელია სწორედ თბილისის საამიროს ქალაქებში მცხოვრები ისმაილიტების საშუალებით დაემყარებინა საქართველოს მეფეს კავშირი ეგვიპტესთან” (სილაგაძე 1991:76).

ზემოაღნიშნულ სხვადასხვა იმ მომენტებთან ერთად, რომლებიც განაპირობებდა საქართველოს ურთიერთობას ეგვიპტესთან, მნიშვნელოვანი იყო ახლო აღმოსავლეთში არსებული სიწმინდეების საკითხიც. მხოლოდ ეგვიპტის სულთნებს შეეძლოთ ყოფილიყვნენ მათი მფარველები და მხოლოდ მათი ნებართვით შეეძლოთ ქართველებს კავშირი ჰქონოდათ ქართულ ან არაქართულ სიწმინდეებთან.

ჯვაროსნულ ომებამდე საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიაზე ყურადღება იმიტომ გავამახვილე, რომ მისი გათვალისწინება ნათელს გახდის ამ ორი ქვეყნის, ჯვაროსნობის შემდგომი პერიოდის, საყოველთაოდ აღიარებულ კარგი ურთიერთობის აღდგენა-გაგრძელებას.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღდგენით იწყება ქართველების წმინდა მიწაზე მოღვაწეობის ახალი ეტაპი, რომელიც განპირობებული იყო XI საუკუნის პირველ მესამედში მახლობელ აღმოსავლეთში მომხდარი სერიოზული პოლიტიკური ხასიათის ცვლილებებით, აუცილებელი იყო იმ ძალების მხარდაჭერა, რომლებიც პირველხარისხიდან როლს თამაშობდნენ წმ. მიწაზე (გაბაშვილი 1968: 55-81; ცქიტიშვილი 1968: 115-133; ბუაჩიძე 1997: 39-57; ჯაფარიძე 2005: 139-142).

დამოწმებანი:

1. ბუაჩიძე 1197: ბუაჩიძე გ., საქართველო, ბიზანთია და ფატიმიანთა სახალიფო (დიპლომატია და პოლიტიკური ბრძოლა 1014-1023 წლებში). “ქართული დიპლომატია”, წელიწდეული, 4, თბ., 1997.
2. გაბაშვილი 1968: გაბაშვილი ვ., საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XII სს.). XII ს. საქართველოს ისტორიის საკითხები, თსუ შრომები, 125, ისტორიული მეცნიერებათა სერია, VI, თბ., 1968.
3. იაპია 1985: იაპია ანტოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X ს-ის ბოლო მეოთხედისა და XI ს-ის პირველ მეოთხედში. ქართული წყაროთმცოდნეობა, VI, თბ., 1985.
4. ჟანენი 1992: ჟანენი რ., ქართველები იერუსალიმში, “რელიგია”, №10, 1992.

5. სილაგამე 1991: სილაგამე ბ., არაბთა ბატონობა საქართველოში, თბ., 1991.
6. ტიმოთე 1956: ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1956.
7. ქართლის 1959: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959.
8. ცქიტიშვილი 1968: ცქიტიშვილი ო., მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის ხანაში, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია, 4, 1968.
9. ჯაფარიძე 2005: ჯაფარიძე გ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება XI ს. 30-იანი წლების ახლო აღმოსავლეთის დიპლომატიის შუქზე. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, IV, 2005.
10. История 1967: История Византии, М., 1967.
11. Медников 1902: Медников Н. А., Палестина от завоевания ее арабами до крестовых походов по арабским источникам, СПб., 1902.

რეზიუმე

არაბთა ბატონობის დაკნინებამ საქართველოსა და პალესტინაში, დღის წესრიგში დააყენა იერუსალიმში საქართველოს შესუსტებული პოზიციების აღდგენა, რაც უპირველეს ყოვლისა, ეკლესია-მონასტრების აღდგენა-რეკონსტრუქციასაც გულისხმობდა. მაგრამ ამის მიღწევა პალესტინის მაშინდელი მფლობელი ეგვიპტის ფატიმიანი ხალიფას ნებართვის გარეშე ვერ მოხერხდებოდა. საჭირო იყო ისეთი ხელსაყრელი მომენტის დადგომა, როდესაც საქართველოს და ეგვიპტის ინტერესები ერთმანეთს მიესადაგებოდა. ასეთი მომენტი დადგა XI საუკუნის დასაწყისში, როდესაც დასახელებულ ორივე სახელმწიფოს ბიზანტიის იმპერიის სახით, ერთი მოწინააღმდეგე ჰყავდა. საქართველოს ხელისუფლებამ იგი წარმატებით გამოიყენა.

DIPLOMATIC RELATIONS BETWEEN GEORGIA AND EGYPT – THE PREMISE OF THE JVARI (CROSS) MONASTERY RESTORATION

Eldar Mamistvalishvili, Gori State Teaching University, Full Professor

RESUME

The downfall of Arabian supremacy in Georgia and Palestine gave rise to the restoration of the Georgian weakened position in Jerusalem, which first of all meant to restore and reconstruct churches and monasteries. But the realization of it was impossible without permission of the owner of Palestine, the Caliph of Egypt. It was necessary to merge the interests of Georgia and Egypt. Such kind of situation was formed at the beginning of the XI century, when both of these states had the same enemy – Byzantium. The Georgian authority successfully used the existed situation.

ფანასკერტელ-ციციშვილთა ფეოდალური საგვარეულოს ქართლში დამკვიდრების ისტორიისათვის

მანანა მიჩიტაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: mananamichitashvili@gmail.com

ქართლის სათავადოებიდან საციციანოს ისტორია დაუმუშავებელი და დღემდე მონოგრაფიულად შეუსწავლელია. ისტორიული წყაროების ნაკლებობით აიხსნება, რომ ფანასკერტელ-ციციშვილების ქართლში გადმოსვლასა და სათავადოს-საციციანოს დაარსების თაობაზე, დღემდე ისტორიკოსებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

ფანასკერტელების ქართლში დამკვიდრების ისტორიისათვის განსაკუთრებით საინტერესოა თაყა ფანასკერტელის სიგელი კათალიკოზ ელიოზისადმი (1399-1419 წ.). სიგელი შედგენილი უნდა იყოს

არაუგვიანეს 1419 წელს. სიგელში მოხსენებული თაყა ფანასკერტელის და სითიხათუნი უკვე დედოფლად არის მოხსენიებული. მასზე ტახტის მემკვიდრის, ვახტანგ ალექსანდრეს ძის ქორწინება ქართლის ცხოვრებაში 1442 წელსაა მოხსენიებული, რაც მცდარია, რადგან ზემოთ აღნიშნული სიგელი მხოლოდ 1419 წლამდე, კათალიკოსის გარდაცვალებამდე შეიძლება დაწერილიყო. ეს არსებითად ცვლის ფანასკერტელების ქართლში დამკვიდრების ისტორიას: "...ქვსა ელიოზს ...მოგახსენეთ სააღაპეთ პატრონისა ჩუწნისა დიდისა დედოფლისა სითიხათუნისათვის ატენს ლუსმალაური მამული, ასე რომე ფერიცვალება-დღე პატრონისა ჩუწნისა დისა, დედოფლისა სითიხათუნისათვის გარდაიხდებოდეს...აღაპი და ფერისცვალების მეორე დღე-ჩემთვის... შემოგწირეთ მეფეთ-მეფე ალექსანდრეს ბრძანებითა და ნება-დართვთა ატენს ლუსმალაური მამული...მე ფანასკერტელმა თაყამან პატრონისა ჩუწნისა დისა სათიხათუნის სააღაპედ". აღაპთა ნუსხაში ჩაწერილია: "ატენს ლუსუსა მამული სააღაპოდ თაყასი. (ქრონიკები 1897) აღაპთა ნუსხის ამ ჩანაწერიდან ნათელია, რომ თაყა ფანასკერტელი ლუსუსა, სააღაპე მამულის, მწირველადაა დადგენილი "მეფის ბრძანებითა და ნება-დართვითა". შუა საუკუნეებში მწირველად დადგენის წესის მიხედვით ცნობილია, რომ მწირველი გვევლინება მისთვის ჩაბარებული სამწირველოს მეპატრონედ. შემწირველები მწირველებს თვითონვე ადგენდნენ. შეწირულობის სიგელების მიხედვით მწირველისაგან შემწირველი ძირითადად ერთგულებას ითხოვდა და მხოლოდ ერთგულებით გამორჩეულთ გადასცემდა, რადგან სამწირველო ყმა-მამული ეკლესია-მონასტრისთვის მხოლოდ პირობით გადაცემულ ქონებას წარმოადგენდა და არა მათ კერძო საკუთრებას. შემწირველი დაინტერესებული იყო შეწირულების გარიგება შემდეგშიც არასდროს არ შეცვლილიყო მონასტრის ინტერესებიდან გამომდინარე. ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თაყა ფანასკერტელი ლუსმალაურის ყმა-მამულის მწირველია, ე. ი. შემოსავლის განმკარგველია და დაწესებულ წირვა-აღაპს იხდის. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მხოლოდ საკუთარი დის, დედოფალ სითიხათუნის ნება-სურვილით არ მიუღიათ ეს გადაწყვეტილება. ეს გვამლევეს საფუძველს დავასკვნათ, რომ ჯერ კიდევ მეფე ალექსანდრეს მიერ 1412 წლის მცხეთისადმი შეწირული სააღაპე მამულების (კაკაბაძე, 1912) მწირველად თაყა ფანასკერტელი ყოფილიყო, რადგან თამარ მეფის დროიდან, მეფის სამწირველოში არსებობდა მწირველების დადგენის მემკვიდრეობის წესი, როცა სამწირველო ერთი და იმავე გვარის ხელში იყო. ამ წესის მიხედვით მწირველის პატრონისათვის უმჯობესი იყო შემდგომშიც სამწირველო ერთხელ დადგენილი პირველი მწირველი გვარის წევრთა ხელში ყოფილიყო. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მცხეთისადმი შეწირული სიგელი და რკონის სიგელზე გვიანდელი მინაწერიც, გვამლევეს საფუძველს ვიფიქროთ, რომ სამეფო კარის სააღაპედ გაცემულ მამულებს, ტანასა და თემძის ხეობაში, მეფე ალექსანდრეს გამეფებისთანავე, პატრონობდა თაყა ფანასკერტელი."...მეფეთა მეფესა ალექსანდრეს და ძეთა ჩემთა: ვახტანგს და დემეტრეს და ჩემთა ძმთა ბაგრატს და გიორგის...მოგვიხსენებია...რკონისა ღმრთისმშობელისათვის ...ვნახეთ ხოვლისა სიგელი...ახლად ჩუენ შემოგვიწირავს სამლოცველოდ სულისა ჩუენისა და წარსამართებლად მეფობისა ჩუენისა...არა ეთხოვებოდეს და არა ეწერებოდეს არასთანა სათხოვარი და გამოსაღები, სათათროს ულუფისაგან მეტი...არა გორიდაღმან და არა ატენით...აღაპი ჩემთვის გარდაიხდებოდეს ყოვლითურთ უნაკლოდ". ე. ი. ტანასა და თემძის ხეობის სააღაპე მამულების მწირველს და მოურავს, ჩანს ხოვლეს მამულისგან სათხოვარი და გამოსაღები დროთა განმავლობაში მაინც მოუთხოვია. რაზედაც მეორე მინაწერი მიგვანიშნებს: "...ჩუენ, აფხაზეთისა და ქართლის მეფეთა-მეფემან გიორგი... მოგუიწესენებია... ჟამთა ვითარებისაგან ატენის ციხის სათხოვარი რაიმე შესრულიყო". (ქართული... 1984) ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების 1392 წ. და 1447 წ. ნუსხების შედარებისას ირკვევა, რომ საეკლესიო მამულების რაოდენობა 1447 წლის ნუსხის მიხედვით, იმდენადაა შემცირებული, რომ ამ ხეობებიდან დარჩენიან მხოლოდ "ჯუედურეთს რაცა ძუელითგან მცხეთისა ყოფილა... სარკე მისითა შესავლითა... ატენის მხოლოდ წინუბნელი." (დოლიძე, 1970) ერთულებით მსახურება ყმა-მამულის და ქონების წყალობასაც გულისხმობდა და სამეფო კარის მხარდაჭერით, აღნიშნული მამულების მფლობელნი დროთა განმავლობაში ფანასკერტელ-ციციშვილები ხდებოდნენ.

წყაროთა მიხედვით, მეფე ალექსანდრეს გამეფებისთანავე ფანასკერტელები საკმაოდ გავლენიანი თავადები არიან. ქართლის ძლიერ თავადებთან -ამილახვრებთან, გამრეკელ-ჯავახიშვილებთან ნათესაურ კავშირში იმყოფებიან. სამეფო კარის მხარდაჭერით იმდენად შეუვალნი ჩანან, რომ ქართლის უძლიერესი თავადები მათთან ნათესაურ კავშირს ამჯობინებენ. თაყა ფანასკერტელის მეორე და, თაყა ამილახორის მეუღლეა, ხოლო გამრეკელ-ჯავახიშვილის ცოლი, გულსურამ-ციციშვილების გვარიდანაა. თაყა ფანასკერტელის სწრაფი დაწინაურებისა და აღზევების საფუძველი დემეტრე ალექსანდრეს ძის ასულთან ქორწინებით შეიძლება აიხსნას. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში მოხსენებულია მეფე დემეტრეს ასული რუსუდანი, თაყა ფანასკერტელის მეუღლე. "...ხრებად და დიდსა ხუთ შაბთსა გაგვჩენია რუსუდანესთ ს და თაყა ფანასკერტელის თს...დიდსა დაჭირბ სა შიგან დემეტრე მფისა ასლსა რუსუდნს და თაყა ფანასკერტელსა". იქვე გარკვევით იკითხება აღაპი "რუსუდნისთ ს გრდაიჯდბ დეს შბთს" და თაყასთვის კვირას. (მარი, 1914)

ამის თაობაზე განსხვავებულ ვარაუდს გამოთქვამდა ს. კაკაბაძე. ვფიქრობ, მკვლევარს დამეგობრებული აქვს გარკვეული უზუსტობანი, როგორც დათარიღებაში, ასევე პირთა იდენტიფიკაციაში. (კაკაბაძე 1914) ნ. მარის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების მიხედვით თმოგველ-უჯარმელთა ასული მამქან, ყოფილი მარინე, ს. კაკაბაძეს მიაჩნდა მეფე ალექსანდრეს თანამედროვედ და თაყა ფანასკერტელის მეუღლედ. ერთი შეხედვით იგივე აზრს ადასტურებდა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის №193 სვინაქსარის მინაწერიც: "აწ სულსა სულკურთხეულსა ფანასკერტელსა თაყასა შეუნდოს ღმერთმან. მათსა მეუღლესა მამქანს... თმოგველ-უჯარმელსა თაყედინ-ყოფილსა თეოდოლეს შეუნდოს ღმერთმან, მათსა მეუღლეს ესტანჯარ..." (ხელნაწერთა აღწერილობა, 1976) მინაწერი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XVI საუკუნისაა. აღაპში მოხსენიებულ პირთა ვინაობის დაზუსტება შესაძლებელი გახდა სინის მთის სულთა მატიანეში შეტანილმა მამქან-ყოფილი მარინეს მოსახსენებელმა. გაირკვა თაყა ფანასკერტელის ძმები, ფარსადან-თანამეცხედრე გულდამი და ამილდაბარ. გერგეტის სულთა მატიანის მოსახსენებლით კი საბოლოოდ დადგინდა მამქან-ყოფილი მარინეს ძმის-როინის და შშობლების ვინაობა და მოღვაწეობის პერიოდი: "როინ არის ძე თაყიადინ უჯარმელის ძისა და ვახუშტის ასულის ნესტანჯარისა". (შარაშიძე 1954) ამრიგად, იერუსალიმის ჯვრის აღაპების, სინის მთის სულთა მატიანისა და გერგეტის სულთა მატიანის მოსახსენებელთა შედარებით განისაზღვრა მათი მოღვაწეობის პერიოდი - XV საუკუნის მეორე ნახევარი და XVI საუკუნის პირველი ნახევარი.

მეფე ალექსანდრეს თანამედროვე თაყა ფანასკერტელი იმდენად აღზევებული და ძლიერი პოლიტიკური ფიგურა ჩანს სამეფო კარისათვის, რომ ფანასკერტელთა საგვარეულო სახლთან "დამოყვრებას" არ თაკილობენ. ამრიგად, ეს ქორწინება კიდევ ერთხელ ადასტურებს სამეფო ოჯახთან მათ განსაკუთრებულ სიახლოვეს და საბოლოოდ ამყარებს ვარაუდს, რომ ფანასკერტელები სამეფო ოჯახთან მჭიდრო კავშირში გაცილებით ადრე, ალექსანდრე დიდის გამეფებამდე უნდა ყოფილიყვნენ. ამ მოსაზრებას ადასტურებს ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი, სადაც ვკითხულობთ: "გაუწყრა მეფე კონსტანტინი შვილსა, მეფესა ალექსანდრეს და ალექსანდრე მეფე ათაბაგსა ივანესთანა წავიდა [და მამა] ჩემი თან წაჰყვა ღარიბობასა. ხუთსა წელიწადსა ღარიბობას იახლა. კონსტანტინე მეფემან ჩალაღანს გაილაშქრა და იქი მოკლეს. მოვიდა მეფე ალექსანდრე და მის ტახტზედა დაჯდა... მაშინდელი აღარავინ ცოცხალა ზაქარიას მეტი და ზაქარიას ჰკითხეთ, როგორა ჰყვა მეფესა ალექსანდრეს მამაჩემი... მერმე დაჯდა ვახტანგ ბატონად და ბიძა ჩემი ამილახორი მისი ქუისლი იყო..." დოკუმენტის შემდგენელი, ზევდგინისძე იმოწმებს ამ ამბების, თვითმხილველს და უშუალო მონაწილეს ზაქარიას, რადგან დოკუმენტის დაწერისას მხოლოდ ზაქარია ყოფილა ცოცხალი. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით: "აქ მომთხრობელი იმოწმებს "ვინმე" ზაქარიას, რომელიც თურმე "მაშინდელია" და ახსოვს, თუ როგორა ჰყვა მეფესა ალექსანდრეს". (ბერძენიშვილი, 1937) ავტორისეული ინტერპრეტაციისაგან განსხვავებით, მიმაჩნია, დოკუმენტში ნახსენები "ვინმე ზაქარია" - ფანასკერტელია. თუ ზაქარიას ფანასკერტელად მივიჩნევთ, ბუნდოვანი ამ დოკუმენტიდან აღარაფერი რჩება. მისი შვილია ალექსანდრე დიდის თანამედროვე, თაყა ფანასკერტელი. პირველადი წყაროდან ჩანს მეფე კონსტანტინეს დროს ზაქარია უკვე საკმაოდ გავლენიანია, სამეფო კარზე მეფესა და ტახტის მემკვიდრეს შორის ჩამოვარდნილი განხეთქილების მომსწრე და მომრიგებელია, რაც ხაზგასმით აღნიშნავს ზაქარიას დამსახურებას და გავლენას სამეფო კარზე მეფე კონსტანტინეს დროს (1407-1412 წწ.) ვფიქრობთ, ზაქარიას ევალებოდა და განსაკუთრებულ მზრუნველობასაც იჩენდა უფლისწულისადმი, "ხუთსა წელიწადსა ღარიბობას" ყოფნისას. ვარაუდის საფუძველს სწორედ ის გვაძლევს, რომ ალექსანდრე დიდის ტახტზე ასვლისთანავე სწრაფად დაწინაურდა ქართლში, მეფის ერთგული ფანასკერტელთა შტო. აღნიშნული წყარო იოანე ბატონიშვილის ცნობის სანდოობაზეც მიანიშნებს. ბატონიშვილი პირველ ციციშვილს ბაგრატ მეფის (1360-1393) დროს მოსულად ასახელებს და ზაქარიას, ანუ ზაზას უწოდებს, მაგრამ სამწუხაროდ წყაროს არ უთითებს. (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საბ. №S, 3729). ამილახვართა საგვარეულო გუჯრებიც ადასტურებს ამ პერიოდში ფანასკერტელების ქართლში გადმოსვლას. (მველი საქართველო, 1913) თუმცა, სანდო წყაროთა ნაკლებობა ამის მტკიცებას ჯერჯერობით შეუძლებელს ხდის.

საკვლევი თემიდან გამომდინარე მეტად საყურადღებოა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის №136 აღაპში მოხსენიებული ზაქარია ფანასკერტელი. "ამასვე დღესა გაუჩინეთ მე, ჯუარის მამან პიმენ მოძღუარმან...აღაპი ფანასკერტელსა ზაქარიას და მისსა დასა მარისს საუკუნოი აღაპი..." (მეტრეველი, 1962) აღაპში მოხსენიებული ზაქარია ფანასკერტელი და მისი და მარის უკვე გარდაცვლილები არიან. მამა პიმენის მოღვაწეობის დათარიღება სინის მთის სულთა მატიანის ჯვრის მამათა მოსახსენებლითაც დასტურდება. (ჯავახიშვილი, 1947) "პიმენი იერუსალიმს მისულა 1400 წელს. პირველ ხანებში ის, როგორც ჩანს, რიგითი ბერი იყო, შემდეგ ჯვრის წინამძღვრად აურჩევიათ... აღაპებში მონასტრის წინამძღვრად მამა პიმენი უკვე XV საუკუნის დამდეგიდან მოიხსენიება" (მამისთვალიშვილი, 1998). ეს კიდევ ერთი სანდო წყაროა, რომელიც ზაქარია ფანასკერტელს XIV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწედ ათარიღებს. ფანასკერტელების ქართლში დამკვიდრების ამავე პერიოდზე მიგვანიშნებს 1467 წ. მეფე კონსტანტინე II-

ის განახლებული სიგელი:”...სახლის ჩუენისა თავადსა ფანასკერტელსა ზაზას და თქვენთა... მას ჟამსა ოდეს ჩუენის სიყვარულისთუის შავშეთს თქვენი მკვიდრი მამული დასთმეთ და ჩუენად საერთოულოდ მოხუედით და ჩუენ მოგაჯხენეთ ჳვედურეთს ორბოდლეულისეული მამული...მაშინაც თქვენ გმართებდა, ამაღ რომე ორბოდლეუსა პაპისა თქუენისათვის ელალატა და მისი მამული ნასისხლად მოეცა და განაღამცა თქვენ გქონდა სამკვიდროდ...მოგაჯხენეთ და დაგიმტკიცეთ სრუ... მამული ქვაჯვრელი, უფლისციხე და კარალეთი...ანუ ჳვედურეთს ქონარა და ანუ კეხისჯუარს და ამა სიგელშიგა გოწერია, სრულად და უკლებლად...” (საისტორიო არქივი, ფ.1448, აღწ 1; საქ. №64;)

ისტორიული საბუთებიდან ცნობილია, რომ ორბოდლეულები მართლაც ფლობდნენ მტკვრის გაღმა მხარის მიწა-წყალს. დავით ულუს ორბოდლეულისათვის მიუცია სვეტიცხოვლის მამულები, მათ რიცხვში ხვედურეთი, სამწევრისი, კეხიჯვარი, ზოვრეთი და სხვ. მეფე დავითს (1346-1360 წწ.) ეს მამულები 1355წ. ორბოდლეულისთვის გამოურთმევიდა და კვლავ მცხეთისათვის შეუწირავს ”რაიც ჳუედურეთს და იმერჯევს მცხეთისაღ არის და ყოფილა ალაგები.” (ქრონიკები, 1897) ორბოდლეულთა მამული ნასისხლად მიუღია ზაზა ფანასკერტელის პაპას ე. ი. თაყა ფანასკერტელის მამას, რაც მხოლოდ XIV საუკუნის მეორე ნახევარში შეიძლებოდა მომხდარიყო. მართლაც, აღნიშნული მამულები 1392 წ. მცხეთის საეკლესიო მამულების ნუსხაშია შეტანილი.

ფანასკერტელ-ციციშვილების გადმოსვლა და დამკვიდრება მტკვრის მარჯვენა მხარეს, ზემო ქართლის თავადების, ჩიჭავაძეთა და ჯავახიშვილების შევიწროების ხარჯზე უნდა მომხდარიყო. თუმცა, წყალობის სახით ტანასა და თემძის ხეობაში თემურ-ლენგის ლაშქრობებისაგან გაუკაცრიებულ სოფლებს და ”საჯელო” დაკარგულ ფეოდალთა მამულებსაც დებულობდა. ”მეფეთა-მეფის გიორგის [1393-1407წ.] დამან ულუმპია და ჩემმა შვილმა საზუერელმან...შემოგწირეთ ჩიჯავაძის ამირეჯიბისა სულისა სააღაპოდ ხუედურეთს ბუკისძისეული მამული ...და ვინ კაცი დასახლოთ, მუშაობისაგან მეტი არა ეთხოვებოდეს...” (ქრონიკები, 1897) შემწირველნი პირობას დებენ, რომ თემურ-ლენგისაგან აოხრებულ და დაუსახლებელ შეწირულ მიწებზე დასახლების შემთხვევაში, მხოლოდ ”მუშაობას”(თითო დღე ხვნა, თესვა, მკა, ლეწვა) ითხოვენ და არა მიწის შემოსავალს. დოკუმენტიდან ჩანს კახაბერ ჩიჯავაძე გარდაცვლილია, მისი ”საჯელო” ამირეჯიბობა, გაბელისძეთა საგვარეულოში მკვიდრდება. რაც შეეხება თორელთა საგვარეულოს, მათი ძირითადი შტო-კახა გამრეკელებისა, შიდა ქართლში XIV საუკუნის დასაწყისიდან გადმოსახლებულან ჯავახეთიდან და გამრეკელ ჯავახიშვილები ხდებიან. ქართლის ცხოვრების მიხედვით მამის ციხის მფლობელობა დაკარგეს ჯერ კიდევ როცა ”მძლავრობდენ ოვსნი ქართლს.. ბაყათარ წარულო გამრეკელსა კახას ძესა, ციხე მამისა”. (ქ.გ. 1959) XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან მამის ციხეს, ჩიჭავაძეთა და ჯავახიშვილების მამულებს უკვე ფანასკერტელ-ციციშვილები ფლობენ. ყოველივე ამის სანაცვლოდ მეფე ფანასკერტელებისაგან ერთგულებით მსახურებას მოითხოვდა. კერძოდ, ქართლის სამეფოს საზღვრისპირა მხარის მოვლა-პატრონობასა და დაცვას, ჯავახეთიდან და თრიალეთიდან შიდა ქართლისაკენ მიმავალი გზების გაკონტოლებას და მთავარ სავაჭრო მაგისტრალის საბაჟო გადასახადზე პასუხისმგებლობას.

ალექსანდრე დიდის მეფობის ბოლო წლებში (1412-1442 წწ.) სამეფო კარზე შეინიშნება უთანხმოება. მეფე იძულებულია სამეფო საუფლისწულოებად დაუყოს და მისცეს მემკვიდრეებს. შესაძლებელია განდგომილ, სამცხე საათაბაგოსა და სათავადოებად დაყოფილ, სეპარატისტულად განწყობილ ქვეყანაში ამ გზით ფიქრობდა კიდევ ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებას. ჩვენამდე მოღწეულ სიგელებში, ალექსანდრე დიდის სიცოცხლეშივე დემეტრე მეფედ იხსენიება თავისი ძმების, ვახტანგისა და გიორგის გვერდით. დემეტრემ ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეშივე, ალექსანდრე დიდისაგან მიიღო სამეფო ”დომენის” მნიშვნელოვანი ნაწილი-”მტკვრის გაღმა მხარის” სრული ბატონ-პატრონობა. ”შვილებისათვის მიწებეული საგანმგებლოები დროთა განმავლობაში ”პროვინციის მეფეთა” სამფლობელოებად გადაიქცნენ. ფანასკერტელ-ციციშვილები და ქართლის მსხვილ ფეოდალთა გარკვეული ნაწილი ჯგუფდება ”პროვინციის” მეფე-დემეტრესთან, რათა მისი მხარდაჭერით უზრუნველყონ ყმა-მამულების გაზრდა, უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება და დაცვა.

ამრიგად, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ”პროვინციის” მეფის მხარდაჭერითა და თანადგომით, ციხე-სიმაგრეების, ეკლესია-მონასტრის და ყმა-მამულების დაუფლებით იწყება საციციანოს ისტორია. ამ მოსაზრებას ამყარებს პალეოგრაფიული წარწერებიც.

XV საუკუნის პირველ ნახევარში მამულების მოურავობიდან აღზევებული ფანასკერტელთა ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა იმდენად გაზრდილია, რომ ვახტანგ მეფისაგან (1442-1446 წწ.) სრულიად შეუვალნი ხდებიან. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებული XV საუკუნის დოკუმენტი თუმანიშვილების კოლექციიდან. მემატიაზე მართალია ტენდენციურია საკუთარი გვარის დამსახურების წარმოჩინებისას, მაგრამ მისი ცნობები ისტორიულ რეალობას მოკლებული არაა და ამ პერიოდის წყაროთაგან სანდოობით გამოირჩევა. დოკუმენტი ნათელს ხდის ერთიანი საქართველოს დაშლის პროცესს: ”ვახტანგ მეფობა დაიჭირა, წყალსა იქით მისსა ძმასა

პატრონსა დემეტრეს მიაწება თაყას გარეთ და თაყა ამისთვის არა მიაწება, რომე მისი მამული და ციხე ჩიჭავასძისათვის უნდოდა და ამაზედა თაყა დიდად შეწყინდა და ესე მოაწესენა პატრონსა დემეტრეს, ვითა: "წასაჯდენლად უნდივარ და ჩემი თავი და მამული მისთვის არა მოგანებაო... თაყა პატრონსა დემეტრესად დაარჩუნვა და მოარჩინა წაჯდენასა..." ვახტანგ მეფემ ვერ შეძლო გაორგულებული ფანასკერტელისთვის ყმა-მამულები და ციხე ჩამოერთმია და ჩიჭავასძისათვის გადაეცა. ჩიჭავაძეების მცდელობა, მეფის დახმარებით, ბრძოლით დაიბრუნონ XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან დაკარგული მამულები მარცხით მთავრდება. უფრო მეტიც მეფეთ-მეფე ვერ ბედავს ქვეშევრდომის შეპყრობას: "ვახტანგ მეფე თაყას ჯელთა შეპყრობასა აპირობდა. ბადაბეთს იდგეს... ვერა გაბედეს ჯელთა შეპყრობა და თუ არა, შეიპყრობდეს ჯელთა და, რაცა უარესი იყო, მას უზემდეს..." (ბერძენიშვილი, 1937) ამიტომ იძულებულია მისი "მინებება", უფრო მეტიც მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში, საკუთარი ძმა, "პროვინციის მეფე"-დემეტრე და მისი სოციალური დასაყრდენი ძალა, ქართლის გავლენიანი თავადები: გამრეკელნი, თუმანიშვილები, ჯავახიშვილები "წყლის იქითელნი, დარბაზისერნი" ფანასკერტელების მხარეს არიან. "პროვინციის მეფისათვის" ასეთი მნიშვნელოვანი სამფლობელოს "მინებება" არ უნდა იყოს შემთხვევითი და თუ ჩვენს მოსაზრებასაც გავითვალისწინებთ, რომ თაყა ფანასკერტელი დემეტრეს სიძეა, მაშინ ასეთი კავშირი და ერთსულოვნება დემეტრესა და თაყას შორის ბუნებრივია.

ფანასკერტელ-ციციშვილები მეფე გიორგი VIII (1446-1465წწ.) დროსაც ინარჩუნებენ ძლიერებასა და გავლენას. მეფე გიორგი შეეცადა მათთვის შეეზღუდა მამულების შეუვალობა. სათავადოს ძლიერების სიმბოლოდ ქცეული ატენის ციხე-სიმაგრის წართმევას ცდილობს, რათა ატენის ციხის წართმევით დასაჯოს და სრულ მორჩილებაში იყოლიოს, თუმცა მეფე იძულებული ხდება "რომე მისთანა კაცი "მოიმაძღლოს"... მიუხედავად იმისა, რომ "სიმაგრე სხუაცა აქუს და... მეფე დია დაღონდა ატენისა მიცემასა". (ბერძენიშვილი, 1937) აშკარაა, რომ ფანასკერტელ-ციციშვილები უკვე სარგებლობენ სრული იმუნიტეტით და თავიანთ მამულში უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალნი ხდებიან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან ფანასკერტელთა ქართლში დამკვიდრება XV საუკუნის 50-იან წლებში სათავადოს წარმოქმნით მთავრდება, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში ანგარიშგასაწევ, ერთ-ერთ აქტიურ ძალად გვევლინება.

ლიტერატურა:

1. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შვერებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტ. II; ტფ., 1897, გვ. 223, 184, 196, 213
2. კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები III, თბ., 1912, გვ.8
3. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I; თბ., 1984, გვ.157, 306
4. ქართული სამართლის ძეგლები ტ. III; საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI—XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ.176, 187
5. მარი ნიკო, აღაპნი ჯვარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, ს. პეტერბურგი, 1914, გვ. 15, 53
6. კაკაბაძე ს., თორელთა გვარეულობის შესახებ, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ტფ., 1914, გვ. 11
7. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი, რედ. მეტრეველი ელ. ტ. 12, თბ., 1976, გვ. 330
8. შარაშიძე ქ., საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30; თბ., 1954, გვ. 206, 236
9. ბერძენიშვილი ნ. ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I; 1937, გვ. 40, 41, 50, 51, 52
10. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საბ. №S, 3729
11. ძველი საქართველო, II; თბ., 1913, გვ. 102
12. მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 92
13. ჯავახიშვილი ივ., სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 241, 245
14. მამისთვალისშვილი ე. ქართველები და ბიბლიური სამყარო, თბ., 1998, გვ. 133
15. საისტორიო არქივი, ფ. 1448, აღწ 1; საქ. №6
16. ქართლის ცხოვრება, ტ. II; ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ; თბ., 1959, გვ. 317

რეზიუმე

ქართლის სათავადოების ისტორიიდან ყველაზე მეტად საციციანოს ისტორიაა დაუმუშავებელი და დღემდე მონოგრაფიულად შეუსწავლელი, რაც ისტორიული წყაროების ნაკლებობით აიხსნება. ნაშრომში სხვადასხვა წყაროთა შედარებითი ანალიზით დათარიღებულია ფანასკერტელ-ციციშვილთა ქართლში დამკვიდრება XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ნაშრომში ხაზგასმულია ფანასკერტელების გადმოსვლა და დამკვიდრება მტკვრის მარჯვენა მხარეს, ტანასა და თემის ხეობაში, რითაც განისაზღვრა სათავადოს დაარსების ისტორიულ-გეოგრაფიული არეალი.

ისტორიული დოკუმენტებით გაანალიზებულია "პროვინციის" მეფეთა მხარდაჭერით, ფანასკერტელ-ციციშვილები როგორ ხდებიან შეუვალნი დასუსტებული ცენტრალური ხელისუფლებისაგან - "მეფეთ-მეფეთაგან".

ნაშრომში მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით და ახლებური ინტერპრეტაციით დაზუსტებულია სათავადოს დაარსების ისტორია XV საუკუნის 50-იანი წლებით. ამ პერიოდიდან ფანასკერტელ-ციციშვილები უკვე ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში ანგარიშგასაწევ და ერთ-ერთ აქტიურ ძალად ყალიბდებიან.

FOR THE HISTORY OF THE PANASKERTELI- TSITSISHVILI PRINCELY SETTLEMENT IN KARTLI Manana Michitashvili, Gori State Teaching University, Associate Professor SUMMARY

From the history of Kartli, the history of Satsitsiano princely is less analyzed and monographically studied which can be explained by lack of historical sources. The paper, through the comparative analysis, sets the date for settlement of the Panaskerteli- Tsitsishvili in Kartli, from the second half of the 14th century.

The paper highlights the movement and settlement of the Panaskerteli on the right side of the Mtkvari river, in the gorges of the Tana and Tedzmi rivers that determined the historical and geographical area of establishment of princely.

The paper, on the bases of historical documents, analyzes how the Panaskerteli –Tsitsishvili with the support of "Province" kings become unapproachable by the side of "Kings of Kings"- the weakened central authority.

With the new interpretation of the important historical sources, the history of establishment of the princely in the mid 15th century is better clarified. From this period the Panaskerteli-Tsitsishvili become one of the active and authoritative force in the political processes of the country.

ქართულ-ოსური ურთიერთობა XX საუკუნის I მეოთხედში (უცნობი დოკუმენტების მიხედვით)

გიორგი სოსიაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: giorgisosiashvili@gmail.com

საქართველოში ჩამოსახლებულ ოსებს ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებამდე გაუჩნდათ სურვილი ეროვნული თვითგამორკვევისათვის მიეღწიათ და საკუთარი ავტონომია შეექმნათ. ეს საკითხი, როგორც ცნობილია, 1917 წლის ივნისში საქართველოს ოსთა ყრილობაზეც დაისვა, რომელიც ჯავაში ჩატარდა [3; 4]. საქართველოში მცხოვრები ოსები ხელალებით მოითხოვდნენ „სამხრეთ ოსეთში ერობის შემოღებას და მის განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფას“. ოსების მთავარი მიზანი საქართველოსგან გამოყოფა და რუსეთთან შეერთება იყო. რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ წაქეზებული ოსები კიდევ უფრო გააქტიურდნენ 1918 წელს, როდესაც მათ გარკვეული ულტიმატუმი წაუყენეს გორის აღმასრულებელ კომიტეტს [1; 23].

მიუხედავად ქართული მხარის მიერ დაწყებული მშვიდობიანი მოლაპარაკებისა, ოსი სეპარატისტები შეტევაზე გადავიდნენ და ცხინვალში საზარელი ამბები დაატრიალეს. ოსების თარეში ცხინვალში 23 მარტამდე გაგრძელდა. ბოლშევიკების მიერ წაქეზებულმა ძალებმა ვერაგულად დახოცეს სამშვიდობო მოლაპარაკებაზე მისული ქართველები: გ. მაჩაბელი, ს. კეცხოველი და სხვ. დაარბიეს მშვიდობიანი მოსახლეობა. გაზეთ „სახალხო საქმის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული კორესპონდენცია შემზარავი ფერებით გადმოგვცემს ცხინვალის ტრაგედიას [4]. ოსების აჯანყება ქართული სახალხო გვარდიის შენაერთების მიერ ჩაქრობილი იქნა [1; 28]. თუმცა, სეპარატისტების ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ არც ამის შემდეგ შეწყვეტილა. ამბოხებული ოსების უკან ბოლშევიკური რუსეთი იდგა. 1920 წლის 8 მაისს ოსებმა როქის რაიონში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. აჯანყებულებს დახმარებას უწევდნენ თერგის ოლქიდან. საქართველოს ხელისუფლებამ ოსების წინააღმდეგ სამხედრო შენაერთები გაგზავნა, რასაც რუსეთის მხრიდან დიდი უკმაყოფილება მოჰყვა [2; 286]. 1921 წლის 25 თებერვალს, დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიამ საბოლოოდ ხელ-ფეხი გაუხსნა ოს სეპარატისტებს, რომელთა მიზანი, როგორც აღინიშნა, საქართველოს შემადგენლობიდან გამოყოფა იყო. 1922 წლის 20 აპრილს კრემლმა ოფიციალურად გააფორმა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა [1; 80]. გამოიცა დეკრეტი (№2) „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“, რომელსაც ხელს აწერდნენ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე და აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე. [1; 84]. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბევრი ისეთი სოფელი, რომლებიც მხოლოდ ქართველებით იყო დასახლებული იძულებით შეიყვანეს ახლად შექმნილ ავტონომიურ ოლქში. ამის შესახებ მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა, მაგრამ ამას რაიმე შედეგი არ მოჰყოლია [1; 76-77-78]. მთავრობის მიერ გამოცემული დეკრეტი არეგულირებდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრებს, მაგრამ მოგვიანებით შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქზე ზოგიერთი უბნების გადამცემი კომისია, რომელმაც დეკრეტის გამოცემის შემდეგ დაიწყო მუშაობა და დადგენილი ტერიტორიების გარდა ოლქს დამატებით გადაეცა არაერთი სოფელი. ამას ასახავს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან გორის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტში გადმოგზავნილი წერილი, სადაც ვკითხულობთ: „სამხრეთ-ოსეთის აღმასრულებელი კომიტეტი გვატყობინებს შინდისის თემის აღმასკომი ერევა ს. ოსეთის საადგილ-მამულო კომისიის საქმეში გუჯაბაურის რაიონში. გაცნობებთ, რომ თანახმად სამ-ოსეთის ავტონომიურ ოლქზე ზოგიერთი უბნების გადამცემი კომისიის დადგენილებისა სოფ. გუჯაბაური გადაცემულია სამხრეთ-ოსეთზე და წინადადებას გაძლევთ მიიღოთ ზომები, რათა შინდისის თემის აღმასკომის მიერ ს.ოსეთის საქმეებში ჩარევას არ ექნეს ადგილი.

დანართი: ს. ოსეთის ავტონომიურ ოლქზე ზოგიერთ უბნების გადამცემი კომისიის სხდომის 1922 13 აგვ. ოქმი №-1.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ტალახაძე.“

წერილს თან ახლავს დანართი: “ოქმი №1 სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქზე ზოგიერთ უბნების გადამცემ კომისიის სხდომისა 1922 წ. 13 აგვისტო.

1. თანახმად სრულიად საქართველოს ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის 20 აპრილის თარიღით და 2 №-ით გამოცემულ დეკრეტის მე-8 & -ისა დეტალური დათვალიერების და საზღვრების ხაზის ცხინვალიდან ჩარჩანის წნელისამდე ადგილობრივი შემოწმებით დავადგინეთ გადაეცეს სამხრეთ-ოსეთს შემდეგი სოფლები: კალეთი, წნელისი, ოკონა, თედეტ-კაუ, იონჯა, ქვათეთრი, გვირგვინა, გაბარათ-კაუ, დიდმუხა, გუდჯაბაური, ცხინვალი. გორის მაზრას მიეკუთვნა სოფლები: კობი, ჩორჩანი, კოდა, ჩვრინისი, ატოცი, კნოლვევი, ავლევვი, წერონისი, თამარშენი, გამეტე, დირბი, ტახტისძირი, დვანი, ქვემო და ზემო ნიქოზი.
2. რადგან ავტონომიურ სამხრეთ ოსეთისა და შორაპნის და რაჭის მაზრების საზღვრებში არავითარი გამოურკვევლობას არ აქვს ადგილი, მიეცეს წინადადება სათანადო აღმასკომებს იხელმძღვანელონ ზემოთხსენებულ მე-№ დეკრეტში აღნიშნულ გამიჯვნის მე-2&-ით, რაც ფაქტიურად გატარებულია ცხოვრებაში მის მიერ.
3. ოქმის ასლები დაუყოვნებლივ შესასრულებლად მიეცეს გორის, შორაპნის, რაჭის აღმასკომებს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცაკს და ცხინვალის უბნის აღმასკომს.

დედანი წარედგინოს სრულ. საქ. ცაკ-ში

კომისიის წევრნი: კ. კაკაბაძე, მოწონელიძე, გაგლოევი, სოფ. კობი. [5] ავტონომიური ოლქის ბომბების მიუხედავად, ოსები კვლავ აგრძელებდნენ ახლომდებარე ქართული სოფლების

მოსახლეობის მარცვა-რბევას და შევიწროებას. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის სოფელ ნულში მცხოვრებთა წერილი, რომლითაც ოსთა ძალმომრეობისგან შევიწროებულმა ფრონეს ხეობაში მცხოვრებმა ქართველებმა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს მიმართეს:

“საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა კომისარს,
თბილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელ ნულის მცხოვრებლების განცხადება

ჩვენმა რა ყოფნა ყოფნის საკითხმა გვაიძულა მოგმართოთ თქვენ შემდეგზე: საქართველოში საბჭოთა ძალაუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს ყველა კუთხეში გამეფებულია სრული სიმშვიდე და ყველა ეროვნებათა შორის ძმური სიყვარული, ხოლო გამონაკლის შეადგენს ჩვენი კუთხე, სადაც დღემდე გრძელდება ჩვენი ერთ აუწერელი რბევა აწიოკება. პოლიტიკურ გადატრიალების დროს საქართველოში, ჩვენს ირგვლივ მდებარე სოფლების ოსი მცხოვრებლები შეიარაღებულნი თავს დაგვესხნენ და წაიღეს ჩვენი უკანასკნელი ქონება: პირუტყვი საქონელი, ლოგინი, ტანსაცმელი და სხვა. ამის შესახებ ჩვენს მიერ აღძრული საჩივრები დღემდე უყურადღებოდ რჩებიან. დაწვა-განადგურებას ოსების მხრივ გადაგვარჩინეს საბჭოთა წითელი არმიის მხედრებმა, რომლებიც წინ აღუდგნენ მომდგარ ბრბოს. ყველა ამის შემდეგ არა ერთხელ დაგვესხმიან თავს და გაუტაცებიათ ჩვენი ქონება ან გადაუხდევინებიათ ძალადობის ქვეშ და ცრუ საჩივრების გამო ერთი და იგივე რამდენჯერმე. დაახლოებით დეკემბრის 1922 წ. შუა რიცხვებში კი ყოველ მოლოდინს გადააჭარბეს. სოფ. წორბისის პოლიციის უფროსი მწერლით და მილიციონერებით დაგვესხნენ თავს და უმოწყალოდ გვეცემეს მთელი სოფლის მცხოვრებლებს. მთელი ერთი დღის და ერთი ღამის თარეშის და ქეიფის შემდეგ გაეშურნენ სოფელ ავნივისაკენ, რომელიც მდებარეობს 1 1/2 ვერსის მოშორებით, სადაც მათ შეუერთდნენ მახლობელ ოსური სოფლების მცხოვრებნი. სოფელ ავნივში უფრო სასტიკი ამბავი დაღწიეს დაკლეს ღორები ქათმები, ცხვრები და 40 მდე კაცმა იწყეს სიმთვრალე და ქეიფი რომლის შემდეგ იწყეს ხალხის ცემა და აგრეთვე იყო შემთხვევა ქალების გაუპატიურებისა. ამ საქმის გამოძიების შემდეგ ცხინვალის ადმინისტრაციამ მცირე ნაწილი დამნაშავეებისა შეიპყრო, მაგრამ ამ ბოლო დროს ზოგი მათგანი განთავსუფლეს სასჯელის მოუხდელათ. ხედავენ რა ზოგიერთი ოსი მცხოვრებნი დაბა ცხინვალის ადმინისტრაციის სრულ უმოქმედობას და ამ ბოლო დროს მათ მიმართეს ჩვენთვის გამანადგურებელ სისასტიკეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ცრუ საჩივრებით წინათ ერთი ათად გადაგვახდევინეს, ამ ჟამათ მათ ხელ ახლა აღძრეს ცრუ საჩივრები დ. ცხინვალის სასამართლოს წინაშე ვითომც ჩვენ მათგან წამოგვედოს ესა თუ ის საქონელი. რაიც მოკლებულია ყოველნაირ სიმართლეს. მენშევიკების ბატონობის დროს ჩვენ ოსებისთვის კარგის მეტი არაფერი დავგიშავებია. დაბა ცხინვალის სასამართლოს მოსამართლე ბრალდებულის დამოწმების დაუკითხავად სწყვეტს რაც მოესურვება. მაგალითისათვის მოვიყვანოთ მის მიერ რამდენიმე გადაწყვეტილებას. შაქრო ტაბატაძეს გადუწყვიტა 30 მილიონი რომელსაც გადახდის გამონახვის საშუალებაც არ აცალეს და მოსტაცეს ოთხი სული საქონელი, რომლის შემდეგაც იძულებული შეიქმნა გაეყიდნა თავის უკანასკნელი უღელი ხარი და ისე გადაეხადნა. გიო ტოროშელიძეს წაართვეს უღელი ხარი და გადაუწყვიტეს 100 მილიონი ფული. ფირა ტაბატაძეს რომ არ აღმოუჩინეს 60 მილიონის ქონება აუწერეს საცხოვრებელი ბინა. აგრეთვე გვიჩვიან და გვახდევინებენ რაც რო დაუკარგავთ და გაუყიდნიათ თავის სურვილით მენშევიკების ბატონობამდე და თავიანთ დარბევამდე მენშევიკებიდან. ესე იგი ამ ნაირი მოქმედება ცხინვალის სასამართლოს მხრივ დაკავშირებულია ჩვენს სრულ განადგურებასთან. გარდა ამისა ჩვენი ადგილობრივი რევეკომის თავმჯდომარე სასტიკად გვიკრძალავს რაიმე საჩივრის შეტანას და არც გვიმოწმებს საჩივრებს ამიტომ ზემოდ მოყვანილის გამო მოგმართავთ რა თქვენ გთხოვთ ჩვენ ატირებულებს და აწიოკებულებს აღმოგვიჩინოთ დახმარება და გასცეთ სასწრაფო განკარგულება რათა შეჩერებულ იქნეს უკანონოდ გამოტანილ გადაწყვეტილებით ფულის გადახდევინება რომლის გადახდაც ჩვენ არ შეგვიძლიან მთელი ჩვენის ქონებით და ჩვენც რომ მონებათ წავყვეთ. 1. იასონ ტაბატაძე; 2. ნიკო ტაბატაძე; 3. მოსე ჭავჭავაძე; 4. ნიკალა ჭავჭავაძე; 5. რაჟდენა ტაბატაძე; 6. შაქრო ტაბატაძე; 7. გიო ტოროშელიძე; 8.ჭავჭავაძე; 9. კოლა ჟამერაშვილი; 10. ვანა ტაბატაძე; 11. ფირა ტაბატაძე; 12. გიორგი პეტრიაშვილი; 13. შაქრო ჟამერაშვილი; 14. თედო პეტრიაშვილი; 15. იასონ ჟამერაშვილი; 16. რეზე პეტრიაშვილი; 17. გიო ტაბატაძე; 18. სერგო ტაბატაძე; 19. თადეოზ ლომიძე. 20. ვანო ქებაძე; 21. ვასო ტაბატაძე; 22. კოლა ფაცხავაძე; 23. ანდრო ჭავჭავაძე; 24. მიხა ჭავჭავაძე; 25. ყარამან ტაბატაძე; 26. რეზო ჭავჭავაძე; 27. დათა ტაბატაძე; 28. ილა ჭავჭავაძე; 29. ზაქარა ჭავჭავაძე; 30. ლექსო ცერცვაძე; 31. მოსე მახარობლიძე; 32. ლექსო ჭავჭავაძე; 33. ლექსო მახარობლიძე; 34. სერგო ტაბატაძე; 35. იასე ტაბატაძე;

1 მარტი 1923 წ.
სოფელი ნული.”

დოკუმენტს აქვს მინაწერი: “რადგანაც 16 რიგიდან 33 რიგამდე ჩამოთვლილმა პირებმა წერა არ იციან მათ მაგიერ მათი პირადი თხოვნის თანახმად ხელს ვაწერ: ზაქარია ჭავჭავაძე.” [5]. ასეთივე შინაარსისაა წერილი, რომელიც სოფ. დვანში მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობას ასახავს:” გორის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეს

მოგახსენებთ, რომ 24 ამა დეკემბერს 1922 წ. ნაშუადღ. 2 საათზედ დირბის თემის სოფ. დვანიდან მოვიდა მოქალაქეების მიერ გამოგზავნილი მოქალაქე და გამომიცხადა შემდეგი. მოვიდნენ რამდენიმე შეიარაღებული ოსები და არავითარი მთავრობისგან საბუთები არ ჰქონდათ და არც მოიკითხეს საბჭოს წევრი და დაიწყეს სახლების ჩხრეკა და რომელიმე მოქალაქე თუ დაეკითხებოდა რომ არ შეგიშვებ სახლში მანამ ან აღმასკომის წარმომადგენელი და ან საბჭოს წევრი არ მოვაო, ისინი ამაყი სიტყვით ლანძღვით უპასუხებდნენ რომ ჩვენ ვართ სამხრეთ ოსეთის წუნარის რაიონის კომ... ჩველები და გვაქვს უფლება როგორც პარტიულები სახლების ჩხრეკა და კიდევ დაჩხრიკეს ცემით გინებით. როგორც მამაკაცების ისე დედაკაცებსაც და(აქ არ იკითხება ერთი სიტყვა—გ.ს)გულზე ტრიალით, მე მაშინვე თუმცა მილიციონერები დირბის თემს არა ყავს საკმაო სულ, მაგრამ დახმარებით პარტამხანაგებით გავემგზავრე. სოფ. დვანში და იქ აღარ დამიხვდნენ ის შეიარაღებული ოსები და რაც რომ გამომიცხადა სოფ. დვანის მოქალაქეებისგან გამოგზავნილმა მოქალაქემ სულ სიმართლეს შეეფერება. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ მიმართოთ სამხრეთ ოსეთის აღმასკომს, რათა იქმნეს მათი წარმომადგენელი გამოგზავნილი სოფ. დვანში(დირბის თემი) და ჩვენი დასწრებით იქმნეს გამოძიება თუ რათ იყვნენ და რად მოიმოქმედეს ის რაც არ შეეფერება, ამასთანავე მოგახსენებთ, რომ სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელს ვთხოვულობთ იმიტომ რომ ის შეიარაღებულნი არიან მცხოვრებნი სამხრეთ ოსეთის ფარგლებისა. ამასთანავე ვართამთ სიას იმ შეიარაღებული ოსებისა.

დირბის თემის აღმასკომის თავმჯდომარე (გვარი არ იკითხება - გ.ს.)

სია იმ პირთ რომლებიც იყვნენ სოფ. დვანში დირბის თემი და დაჩხრიკეს სახლები.

გოლოვინოვი სერგო, მუგუთელი (სამხრეთ ოსეთი),

ქელესხავე რაჟდენ, მუგუთელი (სამხრეთ ოსეთი),

ქოქოევი ნიკოლა, დიდმუხა (სამხრეთ ოსეთი),

გაბარაევი რეზო, კიბრავასთაველი (სამხრეთ ოსეთი),

ბე(?)იევი გაბროზა, დვანის (ტოლიანა?) (სამხრეთ ოსეთი),

გაბარაევი ფისო, კიბრავას თაველი (სამხრეთ ოსეთი)”. [6; 4-5]

ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მცხოვრები ოსები იჭრებოდნენ მეზობელ თემებში და ძალით ინაწილებდნენ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებს. ამ მხრივ, საინტერესოა საციხურის თემის აღმასკომიდან გორის მაზრის აღმასკომში გაგზავნილი წერილი. დოკუმენტში ვკითხულობთ:

“გორის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს

ვინაიდან მეზობელ ოქონის თემის (სამხრეთ ოსეთი) ზოგიერთი სოფლის მცხოვრებლები ჩვენს დაუკითხავად და თვითნებობით იჭრებიან ჩემდამი რწმუნებულ თემის სოფლებში და ინაწილებენ მამულებს, რაიც დიდად აფერხებს და ხელს გვიშლის საერთო მიწების მუშაობაში. ამისათვის გთხოვთ გასცეთ სათანადო განკარგულება სამხრეთ ოსეთის აღმასკომთან, რათა შეჩერებულ იქმნეს ყოველგვარი ასეთი თვითნებობა. თუ რაიმე სადაო აქვთ, რომელიმე სოფელთან მიწების შესახებ. შეუძლიანთ ჩვენთან ერთად შენთანხმებით მეზობლური გზით გადაჭრა ამ საკითხისა.

საციხურის თემის აღმასკომის თავმჯდომარე: ალ. ცაბაძე

მდივანი(გვარის არ იკითხება)” [6; 17]. ოსები ქართველი მოსახლეებისათვის საცხოვრებლების წართმევასაც არ ერიდებოდნენ. ამაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის გორის არქივში დაცული 1923 წელს შედგენილი ერთი დოკუმენტი: “გორის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს გორის მაზ. მილიციის თანამშრომელი გრიგოლი პაპუაშვილის თხოვნა

ჩემს საკუთარ სახლში, რომელიც იმყოფება სოფ. ვანათში, სამხრეთ-ოსეთის ოლქში და რომელიც შესდგება ერთი ოთახისაგან მე დავაყენე დროებით უფასოდ ჩემი ნათესავი ილიკო ყულუმბეგაშვილი, რომელიც ცხოვრობს ჩემს სახლში წარსულის წლის მარტიდან. დღეს სახლი მე მჭირდება მოხუცებული დედის მოსათავსებლად, მაგრამ ყულუმბეგაშვილი დედაჩემს არ უშვებს სახლში, ძალმომრეობას ეწევა და ჩემს საკუთარ ქონებას თვითნებობით ითვისებს. მოგახსენებთ-რა ამაზედ, გთხოვთ გასცეთ განკარგულება, ჩამომამორონ ჩემი სახლიდან ძალმომრეობის გამწევი ყულუმბეგაშვილი.

1922 წ. 3 ნოემბერი, ქ. გორი. მთხოვნელი გ. პაპუაშვილი.“

განცხადებას ახლავს მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის მინაწერი, რომლითაც ის მიმართავს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას შუამდგომლობით "რათა დაუთმონ თავისი საკუთარი სახლი ჩვენ მიერ რწმუნებულ მილიციონერს" [6].

ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიის ეს მძიმე ფურცლები იმედს ვიტოვებთ, რომ წარსულს დარჩება და ორი ერის მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრება სამომავლოდ ღირსეულად გაგრძელდება.

ლიტერატურა:

1. თოიძე ლ., როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991.
2. მენტემაშვილი ა., ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში, კრებ. „ოსთა საკითხი“, თბ., 1996.
3. ცოტნიაშვილი მ., საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა და ოსი სეპარატისტების ბრძოლა მის წინააღმდეგ (1918-1921), თბ., 1998.
4. გაზ. „სახალხო საქმე“ 30 მარტი, 1918.
5. გორის სახელმწიფო რაიონული არქივი, ფონდი №3, ანაწ. 1 საქ. 31.
6. გორის სახელმწიფო რაიონული არქივი, ფონდი №3, ანაწ. 1 საქ. 32.

რეზიუმე

1922 20 აპრილს საბჭოთა ხელისუფლების ინიციატივით შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც შედგებოდა იყო ოსთა მრავალწლიანი სეპარატისტული ბრძოლისა ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. გამოიცა დეკრეტი, რომელიც აწესრიგებდა სამხრეთ ოსეთის საზღვრებს. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც ახლად შექმნილ ოლქს დამატებით რამდენიმე სოფელი გადასცა. ოლქის შექმნის მიუხედავად, მაინც არ წყდებოდა ოსების თავდასხმები ადგილობრივ მოსახლეობაზე. ამას ასახავს გორის არქივში დაცული დღემდე გამოუქვეყნებელი დოკუმენტები, სადაც ჩანს ქართველი მოსახლეობის მძიმე მდგომარეობა.

GEORGIAN – OSSETIAN RELATIONS IN THE FIRST HALF OF THE XX CENTURY

(Based on unknown documents)

Giorgi Sosiashvili, Gori State Teaching University, Full Professor

RESUME

On April 20, 1922 with the initiative on the Soviet government the Autonomous Region of the South Ossetia was established. It was a result of a long-term separatist struggle against the Georgian State System. The decree was established which regulated the borders of the South Ossetia. Though, there was created a special commission, which handed some more villages to the newly established region. The Ossetian did not stop attacks upon the local population. These facts are highlighted in the documents which are not published yet and are kept in Gori archives. They retell about heavy conditions of the Georgian population.

სტუმარ-მასპინძლობა საქართველოში

ბადრი რაზმაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

კაცობრიობის ისტორიაში სტუმართმოყვარეობის ზნე-ჩვეულებებს თითქმის რვა ათასი წლის ისტორია აქვს. ამ თემაზე უამრავი მეცნიერული ნაშრომია დაწერილი სხვადასხვა ენაზე, სტუმრების მიღებისა და მათთან ერთად ამა თუ იმ დღესასწაულის აღნიშვნის ჩვეულებები. ამ შრომებში განხილულია - ზნეობრივი, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული, ფსიქოანალიზური და კიდევ მრავალი სხვა თვალსაზრისით. ამასთანავე, სტუმართმოყვარეობის ზნე-ჩვეულებანი ფართოდაა ასახული ჩვენი სამყაროს ყველა ხალხის მხატვრულ ლიტერატურასა და პოეზიაში და რომ სტუმრების მიღებისა და რამე საზეიმო მოვლენის აღნიშვნის ცერემონია ჩვენი პლანეტის ზოგიერთ ადგილას იმდენად რთულია,

რომ ქალიშვილები - მომავალი დიასახლისები - მას სპეციალურ სკოლებში ეუფლებიან ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

შეუძლებელია იმის დადგენა, თუ თავისი ევოლუციის რომელ საფეხურზე ესტუმრა პირველად ქართველი ქართველს, ან რა შინაარსი და ფორმა ჰქონდა მათ სტუმარ-მასპინძლობას. უდავოა, რომ ჩვენი მიწათმოქმედი წინაპრები უძველეს დროშივე გადავიდნენ ბინადარ ცხოვრებაზე, დასახლდნენ, კერა ააგოვნეს და მოცალებობის ჟამს, თავისი პროდუქციის ნაშთით თვისტომს გაუმასპინძლდნენ.

ქართულ საისტორიო მწერლობაში ნათლად ჩანს ქართველი ხალხის დამოკიდებულება სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციისადმი ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „სტუმართა და უცხოთა მოყუარენი“, „უყუართ სტუმარი და პატივსა უყოფენ და შეიწყნარებენ ფრიად“. ისტორიულად საქართველოს სახელმწიფო სამეფო კარზე სტუმარ-მასპინძლობის დიდი და მაღალი ტრადიცია არსებობდა, რაზედაც მეტყველებსმესტუმრეთუხუცესისა და მესტუმრის თანამდებობათა არსებობა და აქედან მიღებული გვარი - მესტუმრიშვილი.

ქართველებს შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ სტუმართმოყვარეობისა და გამასპინძლების ქართული ტრადიცია უმაღლეს დონეზეა დახვეწილი. განთქმულია ქართველი კაცის თავაზიანობა, გულისხმიერება, სუფრის კულტურა და დიდი სურვილი თავი არ შეირცხვიოს სტუმრის წინაშე, მასპინძლობაში გამოხატოს ყველაფერი კარგი, რაც ერს ტრადიციების სახით საუკუნეების განმავლობაში დაუგროვებია. როგორც ძველად, ისე დღესაც მასპინძლის ყურადღებას, სიბოხსა და სიყვარულს გრძნობს ყოველი უცხო პირი, ვინც კი ქართველი კაცის ოჯახში სტუმრად ხვდება.

რა თქმა უნდა, სტუმარ-მასპინძლობის ხიბლი იმაშიც მდგომარეობს, რომ მასპინძელი ვალდებული იყო და არის ყველაფერი კარგი, რაც კი გააჩნია, სტუმარს მიართვას, წინააღმდეგ შემთხვევაში გაკიცხვას ვერ ასცდება, მისი სიმუნწე სალექსო და სალაპარაკო გახდება და ტრადიციისადმი უპატივცემლობა მის ოჯახს კარგა ხანს შერჩა ლაქად.

მასპინძელს კიდევაც რომ არ გახარებოდა სტუმრის მოსვლა, მაინც არ უღალატებდა წეს-ჩვეულებას, არ შეიმჩნევდა, პირნათლად შეასრლებდა თავის მოვალეობას და თავის სახლიდან სტუმარს უპატივცემულოდ არ გაუშვებდა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში ბევრგან დასტურდება სასტუმრო სახლის ან სასტუმრო ოთახის არსებობა (აფხაზეთში ასეთ ოთახს „ამხარა“ ჰქვია - ბ.რ.), რაც თავისთავად ცხადია, იმაზე მიუთითებს, თუ რამდენად სერიოზულად და ყურადღებით ეკიდებიან მთიელები სტუმრის მიღება-დახვედრას. ამ ტრადიციის მაღალ დონეზე ისიც ნათლად მეტყველებს, რომ სახლში შემოსული მოსიხსლეც კი ხელშეუხებელი ხდებოდა, რადგან იგი პირველ რიგში სტუმარი იყო და სტუმრისთვის საჭირო პატივისცემას მოითხოვდა. ასეთ დროს მასპინძელი, ზოგ შემთხვევაში, შერიგებაზეც კი თანხმდებოდა ხოლმე.

ხევსურეთში მასპინძელი სტუმრის მხარეს იჭერდა ჩხუბში. თუ უსიამოვნების თავიდან აცილება არ მოხერხდებოდა, მასპინძელი მაინც სტუმრის გვერდით იქნებოდა და, საჭიროების შემთხვევაში, სიცოცხლესაც შესწირავდა.

თუშეთში, ფშავში, მთიულეთში მასპინძლის ოჯახში, ლხინის დროს, ვინმეს სტუმართან შელაპარაკება რომ მოსვლოდა, მასპინძელი აუცილებლად სახლიდან დაითხოვდა.

ნათესავის, მეგობრისა და ახლობლის სტუმრობა ერთია და მეორეა უცხო სტუმარი.

ხევსურები, როგორც კი უცხო სტუმარს დაინახავდნენ, რომელსაც მასპინძელი არა ჰყავდა, მიესალმებოდნენ, მოიკითხავდნენ და შემდეგ დამხვდურთაგან ერთ-ერთი მას შინ მიიპატიჟებდა, კარგად ავახშმებდა, მოასვენებდა, ხოლო მეორე დღეს სტუმარს უსადილოდ არ გაუშვებდნენ. საგზალი თუ არ ჰქონდა, ხურჯინში ჩაუგდებდნენ, ცხენს შეუკაზმავდნენ. ამის შემდეგ, ის კაცი ამ ოჯახის კარგი მეგობარი ხდებოდა და ყოველთვის ცდილობდა მათი პატივისცემის გადახდას.

ოჯახის პატარძალი ან უმცროსი ქალიშვილი სტუმარს ფეხზე გახდიდა და დაბანდა, სუფთა წინდებს ჩააცმევდა. ფეხის დაბანა პატივისცემის უმაღლეს გამოვლინებად ითვლებოდა. სტუმრისადმი პატივისცემის ეს წესი გავრცელებული ყოფილა არა მარტო კავკასიაში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებშიც, რაც იმის დამადასტურებელია, რომ კულტურის ისტორიის მონაცემებით, მსოფლიოს ყველა ხალხში სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია სხვადასხვა სიძლიერით, ფორმითა და შინაარსით ვლინდება. ამის გამო, სტუმართმოყვარეობა, როგორც სოციალური მოვლენა, საერთო-საკაცობრიოა, ინტერნაციონალურია.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში და, განსაკუთრებით რაჭაში, როდესაც ნაპურმარილებ სტუმარს, ან სტუმრებს საძილედ მოასვენებდნენ, მასპინძლის ქალ-რძალი საგულდაგულოდ მოიყვანდა წესრიგში სტუმრის ტანისამოსს, გაწმენდა და გააპრიალებდა ფეხსაცმელს, რაც დილით ამდგარი ნაზახუსევი სტუმრისათვის მეტად სასიამოვნოა.

ფრიად საინტერესო ჩვეულება ჰქონდათ ხევსურებს: ძმობილი ძმობილს ისე არ გაუშვებდა, რომ ვინმე ქალი არ მოეყვანა და მასთან არ დაეწვინა. ასევე ნათესავი ქალებიც თავისუფლად დაწვებოდნენ თავისი ძმის ან ბიძაშვილის ძმობილთან. ეს იყო სტუმრისადმი უდიდესი ნდობისა და პატივისცემის გამომხატველი ჩვეულება. სტუმართან ღირსეულად თავის დაჭერა, ნამუსის დაცვა და წესების შესრულება დიდი ღირსება იყოს როგორც ქალისათვის, ისე მისი ძმობილისათვის, რომელიც სტუმარს თავის „ნადობს“ დაუწვევდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უცხო ტომის კაცთან, რაც უნდა საპატივცემულო ყოფილიყო, არცერთი ხევსური ქალი არ დაწვებოდა.

სტუმარ-მასპინძლობის მასშტაბები, სტუმრის მიღებისა და გასტუმრების წესი განსხვავებული იყო სხვადასხვა სოციალურ ფენებში. არაერთგვაროვანია, აგრეთვე დასავლეთ-ქართული და აღმოსავლეთ-ქართული, მთისა და ბარის სტუმარ-მასპინძლობა. მიუხედავად ამ მრავალფეროვნებისა, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა და გამოიკვეთა ის საერთო ქართული ტრადიციული ნორმები, რომლებიც მკვეთრი ეროვნული ნიშნის მატარებელია და, რომელსაც მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნები სტუმარ-მასპინძლობის კლასიკურ სახედ მიიჩნევენ.

ჩვენი ერის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ორ ძვირფას პროდუქტს - პურსა და ღვინოს. ქართლი სუფრის ძირითადი ატრიბუტებიც ხომ პურ-ღვინოა. („პურ-მარლი“ რუსულიდანაა ნასესხები... სწორედ, ზემოთ ნათქვამის გამო, ეთაყვანება ოდითგანვე ქართველი კაცი ყანასა და ვენახს. მან დიდი რუდუნებით შეძლო მარცვლეულის (ძირითადად ხორბლის) და ვაზის მრავალი საუკეთესო ჯიშის გამოყვანა, რითაც საქვეყნოდ გაითქვა სახელი.

ივანე ჯავახიშვილმა კულტურული ვაზის „დაბადების ადგილის“ განსაზღვრისათვის ევროპულ სამეცნიერო წრეებში ატეხილ დავაში საკმაოდ თამამი ვერსია წამოაყენა - ამიერკავკასია. კერძოდ, საქართველოს ორი კუთხე კახეთი და სამეგრელო. ამ რამდენიმე წლის წინათ, ამ ვერსიაზე მუშაობა ცნობილმა ევროპელმა მეცნიერებმაც დაიწყეს. მათ მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე ლონდონის საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველო ვაზის სამშობლოდ უკვე ოფიციალურად გამოცხადდა.

გერმანელი მკვლევარის ვ. ჰენის აზრით ამიერკავკასიიდან ვაზის ქვემო ევფრატისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ლიდიელებთან, ფრიგიელებთან, მიდიელებთან, შემდეგ კი საბერძნეთის ნახევარკუნულზეც გავრცელდა. იქიდან კი მთელ ევროპას მოედო.

ნებისმიერმა ქართველმა იცის, რომ სუფრის მშვენება ღვინოა, რასაც ხალხურ პოეზიაშიც შესანიშნავად გამოხატავენ.

სტუმარ-მასპინძლობის ძველი ჩვეულება კრძალავდა მთვრალი სტუმრის ოჯახიდან გასტუმრებას. ის იქვე უნდა გამოფხიზლებულიყო. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 93-ე მუხლით სიმთვრალე პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს პირს, პირიქით, ამძიმებს დანაშაულს.

ამავე პერიოდში უცნობი ავტორის მიერ შედგენილ „სამოქალაქო სჯულთაგან“ კანონის მიხედვით „ლოთიფოთისათვის და ბედოვლათობისათვის“ ერთნაირი სასჯელია დაწესებული. ლოთი უნდა პატიმარყონ და „ყოველ დილას ერთისტოტინის ყაშით (ღვედით, მათრხით, შოლტით) ორ-ორი დაჰკრან ტიგველა ზურგზედა და იძულებით ამუშაონ, ხოლო თუ ასეთმა ღონისძიებამაც ვერ გაასწოროს, „ყაშს დავაკრევენებთ და მადანში სამუშაოდ გავაგზავნით სიკუდილამდე“.

მემთვრალეობა დაგმობილია მთელ რიგ ქართულ საერო თუ სასულიერო მწერლობის ნიმუშებში. ასე მაგალითად: სულხან-საბა ორბელიანი შეაგონებს თავის ხალხს, რომ სიმთვრალეს ადამიანისათვის მოაქვს უამრავი ბოროტება, რომ „მთვრალეობა არც თავი ყოვლისა ცოდვისა...“ ბრძენი საბა ღვინის ზომიერად სმის მქადაგებელია.

ღვინის ნორმალურ სმაზე დადებითი შეხედულებისაა სჯულმდებელი მეფე ვახტანგ VI:

„ცოტა ღვინო ზომიერი, ჭკუას კარგა გაასწორებს,
ნამეტანი სახეს შეცვლის, მასცა შორედ გააშორებს“.

ყურადსაღებია აგრეთვე, XII საუკუნის ცნობილი ტაჯიკი ექიმის ავი-ცენას ანუ იბნ-სინას ბრძნული გამონათქვამი ღვინის შესახებ: „ცოტა ღვინო უებარი მკურნალია, ბევრი - სასიკვდილო შხამი“.

აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ოჯახის უფროსი ორ-სამ კაცს საგანგებოდ ავალებდა სუფრისათვის თვალყური ედევნებინათ. სიმთვრალის გამო თუ ვინმე შეეცდებოდა აყალმყალის ატეხას, ეს მეთვალყურეები მას ხალხის წინაშე ბოძზე მიაკრავდნენ, რაც დიდ სირცხვილად ითვლებოდა და სოფლის სალაპარაკო ხდებოდა. ამის გამო, ყველა მონადიმე მეტ-ნაკლებად თავს იკავებდა სასმელის უზომო სმისაგან.

ღვინის მოჭარბებული ხმა რომ არასოდეს ყოფილა ქართველთა ჩვეულება, ამაზე ხალხური სიბრძნეც გვაუწყებს: „ღვინოს დაუმეგობრდი და ნამუსს დაემშვიდობეო“, გამარჯობა ღვინოვ,

მშვიდობით ჭკუა“, „ლოთი კაცის მიერ შესმული ღვინო უკუპროპორციულია მისი ოჯახის წევრების მიერ დაღვრილი ცრემლებისაო“ და სხვ.

სიბრძნე ერთია და ცხოვრების სინამდვილე სხვა. დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში თითო სადღეგრძელოს რამოდენიმე ჭიქით სვამენ. ასე მაგალითად, პირველ სადღეგრძელოს ერთი ჭიქით, მეორეს - ორით, მესამეს - სამით და ა.შ. მაყრებისა თუ ოჯახის სტუმრების სადღეგრძელოს იმდენი ჭიქით სვამენ, ერთდროულად რამდენ კაცსაც ადღეგრძელებენ. სამეგრელოს მოსახლეობაში დაწესებულია ღვინის სმაში გამარჯვებული მხარის სასმელითა და ცოცხალი პირუტყვით (უმეტესად თხა) დასაჩუქრება. ხევში კი შემდეგი ტრადიცია ჰქონდათ: ქორწილის მეორე დღეს ჩამოატარებდნენ ღვინით სავსე „ჯიხვებს“ (ჯიხვის რქა), რომელთაგან ერთს ერქვა „გამახარე“ (მასში ჩადიოდა 1 ლიტრი და ერთი ჩაის ჭიქა სასმელი), ხოლო მეორე - „გამაგორე“ (ჩადიოდა ერთი ჭიქით მეტი პირველზე).

ქართველი ქალისთვის ტრადიციულად ისევე მიღებულია ღვინის სმა, როგორც ყმაწვილისათვის. XVII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში კათოლიკური ქრისტიანობის გამავრცელებელი, იტალიელი მისიონერი დონ ქრისტოფორო დე კასტელი წერს: „ქალები (ქართველი - ბ.რ.) სმაში ძალიან თავშეკავებულნი არიან, მრავალ ქეიფს დავსწრებივარ და არსად მინახავს მსმელი ქალი... ქართველი მამაკაცები სადღეგრძელოს სვამენ მანდილოსანთა წინაშე მუხლმოყრილნი, არა მხოლოდ ჭიქებით, თასებით და ყანწებით, არამედ ქალის ფეხსაცმელითაც კი; ასეთმა სანახაობამ ჩვენ გაგვაოცა“.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში სოფლებში დღემდე ცოცხლობს სტუმრის გადაპატიჟების ტრადიცია. ამ შემთხვევაში კარგად ჩანს, თუ რომელ ოჯახს როგორი დაფასება და ავტორიტეტი აქვს სოფელში, დაბასა და უბანში. თავის მხრივ, სტუმარმა უნდა დაიცვას სტუმრის ტრადიციული უფლება-მოვალეობანი. მისთვის საზიანოა სტუმრობის ვადების დარღვევა, რაც შემდეგ ხალხურ ლექსში შესანიშნავადაა გამოხატული:

„დილით ოქრო ხარ, სტუმარო,
შუადღით ვერცხლად იქცევი,
თუ ხანი დაგიგვიანდა,
სპილენძად გადაიქცევი“.

სტუმარმა კარგად უნდა გაისიგრძეგანოს მასპინძლის სოციალურ-ეკონომიკური, სამსახურებრივი, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა და ისეთ დროს ესტუმროს მას, რომ სტუმარიცა და მასპინძელიც ერთმანეთისათვის სასურველი და საყვარელი იყვნენ.

დრო მიდის, იცვლება ადამიანთა შეხედულებები ამა თუ იმ ზნეობაზე. უკვე გარკვეული სხვაობაა თანამედროვე ქართული სოფლისა და ქალაქის მცხოვრებთა სტუმარ-მასპინძლობაშიც. ეს განპირობებულია ქალაქური და სოფლური ყოფის მკვეთრი სხვაობით. თუკი ქალაქშიც ე.წ. „ახალ ქართველს“ შეუძლია მეფური სუფრა გაუშალოს სტუმარს ნებისმიერ რესტორანში, ქალაქელთა დიდი უმრავლესობას „ძველ ქართველებს“ სტუმრის გამოჩენა უწინდებურად დიდ სიხარულს ვეღარა ჰგვრის, რადგანაც საკუთარი საარსებო ლუკმა-პურიც მუდამ-დღე საძებარი გახდომიათ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ როგორც ქალაქად, ისე სოფლად მოსახლეობის ძირითადი მასის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება და ქართველი კაციც ძველებურად წელგამართული და ხელგაშლილი შეხვდება თავის სასურველ სტუმარს.

საჭიროდ მიმაჩნია ისიც აღვნიშნო, რომ თანამედროვე პირობებში, გარდა ეკონომიკურისა, ტრადიციულ სტუმარ-მასპინძლობას სხვა ფაქტორებიც აკნინებენ, რომლებიც, რა თქმა უნდა, დასაგმობია. ვფიქრობ, ყველაზე მეტი ზიანი მაინც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ისეთ მონაპოვარს მოაქვს, როგორც ტელევიზიაა. საქართველოში, სადაც კი არ უნდა მოხვდეთ სტუმრად, მასპინძელთა 90%-ს არ შეუძლია პურობის დროს ტელევიზორი გამორთოს, ამიტომ თამადა დემოსთენეზე და ციცერონზე ძლიერი ორატორიც რომ იყოს, მას ყურადღებით არავინ მოუსმენს. ეს მახინჯი გარემოება ათასწლეულების მანძილზე გრძელდება, რამაც საფუძვლიანად შეარყია თამადის ავტორიტეტი, ქართული სუფრის წესრიგი, რასაც უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა.

ლიტერატურა:

1. რაზმაძე ბადრი, „შევიწარჩუნოთ ჯანსაღი ქართული ტრადიციები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2009.
2. თეხელიშვილი სოლომონ, „სუფრის ისტორია“, 2000.
3. ნეფისაშვილი გივი, „ძველი და ახალი ტრადიციები“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1969.
4. ფრუიძე ლევანი, „ყოფა და ტრადიციები“, „მეცნიერება“, თბ., 1981.

რეზიუმე

კაცობრიობის ისტორიაში სტუმართმოყვარეობის ზნე-ჩვეულებებს თითქმის რვა ათასი წლის ისტორია აქვს. ამ თემაზე უამრავი მეცნიერული ნაშრომი დაწერილი სხვადასხვა ენაზე, სტუმრების მიღებისა და მათთან ერთად ამა თუ იმ დღესასწაულის აღნიშვნის ჩვეულებები. ამ შრომებში განხილულია - ზნეობრივი, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული, ფსიქოანალიზური და კიდევ მრავალი სხვა თვალსაზრისით. ამასთანავე, სტუმართმოყვარეობის ზნე-ჩვეულებანი ფართოდაა ასახული ჩვენი სამყაროს ყველა ხალხის მხატვრულ ლიტერატურასა და პოეზიაში და რომ სტუმრების მიღებისა და რიამე საზეიმო მოვლენის აღნიშვნის ცერემონია ჩვენი პლანეტის ზოგიერთ ადგილას იმდენად რთულია, რომ ქალიშვილები - მომავალი დიასახლისეები - მას სპეციალურ სკოლებში ეუფლებიან ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

სტუმარ-მასპინძლობის მასშტაბები, სტუმრის მიღებისა და გასტუმრების წესი განსხვავებული იყო სხვადასხვა სოციალურ ფენებში. არაერთგვაროვანია, აგრეთვე დასავლეთ-ქართული და აღმოსავლეთ-ქართული, მთისა და ბარის სტუმარ-მასპინძლობა. მიუხედავად ამ მრავალფეროვნებისა, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა და გამოიკვეთა ის საერთო ქართული ტრადიციული ნორმები, რომლებიც მკვეთრი ეროვნული ნიშნის მატარებელია და, რომელსაც მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნები სტუმარ-მასპინძლობის კლასიკურ სახედ მიიჩნევენ.

საჭიროდ მიმაჩნია ისიც აღვნიშნო, რომ თანამედროვე პირობებში, გარდა ეკონომიკურისა, ტრადიციულ სტუმარ-მასპინძლობას სხვა ფაქტორებიც აკნინებენ, რომლებიც, რა თქმა უნდა, დასაგმობია. ვფიქრობ, ყველაზე მეტი ზიანი მაინც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ისეთ მონაპოვარს მოაქვს, როგორც ტელევიზია. საქართველოში, სადაც კი არ უნდა მოხვდეთ სტუმრად, მასპინძელთა 90%-ს არ შეუძლია პურობის დროს ტელევიზორი გამორთოს, ამიტომ თამადა დემოსთენეზე და ციცერონზე ძლიერი ორატორიც რომ იყოს, მას ყურადღებით არავინ მოუსმენს. ეს მახინჯი გარემოება ათასწლეულების მანძილზე გრძელდება, რამაც საფუძვლიანად შეარყია თამადის ავტორიტეტი, ქართული სუფრის წესრიგი, რასაც უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა.

HOSPITALITY IN GEORGIA

Badri Razmadze, Gori State Teaching University, Associate Professor

RESUME

Customs of hospitality in the history of humanity have almost eight thousand years history. Many scientific works are written on this topic in different languages, on customs of receiving visitors and celebrating various holidays with them. In these works it is discussed – with point of views of moral, economic, ethnographic, psychoanalytic and more else. Also, customs of hospitality are widely described in literature and poetry of all peoples of our world and that the ceremony of reception of gusts and celebrating some ceremonial events are so difficult in some places of our planet that girls – future housewives - are studying for a long period in special schools.

The magnitude of hospitality, the rule of reception and entertainment of guests were different for different social groups. Different is also hospitality of West Georgia and East Georgia, highland and lowland. In spite of this difference, over the times there was formed and revealed the general Georgian traditional norms, which are bearers of distinct national signs and which civilized countries of the world consider as classical model of hospitality.

I consider it is also necessary to note, that in modern conditions, except economical, other factors also weak the traditional hospitality, which is of course blameworthy. I think that still most of the damage is brought by such kind of gains of scientific - technical progress, as television. In Georgia, where ever you get as a guest, 90% of hosts cannot turn off TV, so if Tamada (a toastmaster) is more powerful speaker than Demosthenes and Cicero, no one will listen to him carefully. This ugly situation has been going on for thousands years, which fundamentally undermined the authority of Tamada, order of Georgian dish, which had a great educational importance.

1912 წლის ბალკანეთის კავშირის შექმნის ისტორიისათვის

ვაჟა ჩოჩია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: v.chochia@mail.ru

პირველი მსოფლიო ომის გამომწვევ მიზეზთა შორის ბალკანეთის პრობლემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ბალკანეთზე დიდი სახელმწიფოების პოლიტიკა პირველი მსოფლიო ომის წინ, კერძოდ, 1912-1913 წლების ბალკანეთის ომების პერიოდში, რომელიც წარმოადგენდა მსოფლიო ომის პროლოგს, ჯერ კიდევ არასაკმარისადაა შესწავლილი. ეს განსაკუთრებით ითქმის ბალკანეთზე გერმანიის პოლიტიკასა და დიპლომატიასზე.

XX საუკუნის დასაწყისიდან სოციალური და ეროვნული წინააღმდეგობანი ბალკანეთზე ინტენსიურად ვითარდებოდა. პირველი მსოფლიო ომის წინ ბალკანეთის ხალხებს, რომლებიც განიცდიდნენ თურქეთისა და ავსტრია-უნგრეთის ჩაგვრას, მნიშვნელოვანი პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდათ - მოესპოთ ფეოდალიზმის გადმონაშთები და დაემხოთ მჩაგვრელთა ბატონობა. დემოკრატიული ძალების გაერთიანებას ბალკანეთზე ხელს უშლიდა დიდი სახელმწიფოების რეაქციული პოლიტიკა - ორი მტრული სამხედრო-პოლიტიკური კოალიციის (სამთა კავშირი და ანტანტა - ვ.ჩ.) მეტოქეობა ბალკანეთზე გაბატონებისათვის. ბალკანეთის ნახევარკუნძულს, რომელიც ეკვროდა შავი ზღვის სრუტეებს და წარმოადგენდა ხიდს ევროპიდან აზიაში, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნდა. თურქეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, ბალკანეთის სახელმწიფოები ცდილობდნენ კავშირის დადებას XX საუკუნის პირველ ათწლეულში, მაგრამ წარუმატებლად.

1911 წლის ოქტომბერში დაწყებულმა იტალია-თურქეთის ომმა (ჩოჩია, 2008.) აჩვენა, რომ თურქეთის იმპერია დასუსტებული იყო. ამ გარემოებამ უზიძგა ბალკანეთის სახელმწიფოებს დაახლოებოდნენ ერთმანეთს. რუსეთის დიპლომატია ხელს უწყობდა ბალკანეთის სახელმწიფოების კავშირის ჩამოყალიბებას, თუმცა განიხილავდა მას, როგორც იარაღს იმდენად არა თურქეთის, რამდენადაც გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ [История дипломатии, 1963].

1911 წლის შემოდგომიდან, რუსეთის დიპლომატიის აქტიური ჩარევის შედეგად, დაიწყო მოლაპარაკებანი კავშირის შესახებ ბულგარეთსა და სერბიას შორის. რუსეთისათვის სასარგებლო იყო ბალკანეთის კავშირის შექმნა, რადგან ის უზრუნველყოფდა გერმანია-ავსტრიის ბლოკის წინააღმდეგ კიდევ ერთი ფრონტის შექმნას სამხრეთიდან, რაც რუსების ინტერესებში იყო [Fischer, 1969] - რუსეთის ფრონტიდან ჩამოაცილებდა ავსტრია-უნგრეთის ძალებს და იმავე დროს, ბალკანეთის კავშირი გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს მოწყვეტდა თურქეთისაგან [История дипломатии, 1963]. ისიც უნდა აღნიშნოს, რომ ბალკანეთის კავშირის შექმნა შეიცავდა საფრთხეს, რომ რუსეთი ჩაეთრიათ ომში გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე რუსეთი დაასრულებდა თავისი შეიარაღებული ძალების აღდგენასა და რეორგანიზაციას. ეს საფრთხე იმის გამო არსებობდა, რომ ბალკანელი მოკავშირეების ომს თურქეთთან შეიძლებოდა გამოეწვია გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ჩარევა.

1912 წ. 13 მარტს სოფიაში ბულგარეთსა და სერბიას შორის, რუსეთის დიპლომატიის აქტიური შუამავლობით, დიდი საიდუმლოების ვითარებაში, ხელი მოაწერეს შეთანხმებას მეგობრობისა და კავშირის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ურთიერთდახმარებას ერთ-ერთ მათგანზე სხვა სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში. მათ ერთობლივად უნდა ემოქმედათ, თუ რომელიმე „დიდი სახელმწიფო“ (იგულისხმება ავსტრია-უნგრეთი - ვ.ჩ.) შეეცდებოდა თურქეთის ბალკანური სამფლობელოების ხელში ჩაგდებას [История дипломатии 1963]. შეთანხმების საიდუმლო დამატება ითვალისწინებდა ბულგარეთისა და სერბიის შეიარაღებულ გამოსვლას თურქეთის წინააღმდეგ და წარმატებული ომის შემთხვევაში, თურქეთის ბალკანური სამფლობელოების გაყოფას მოკავშირეებს შორის - სერბიას უნდა მიეღო ტერიტორიები ადრიატიკაზე, ბულგარეთს - მაკედონია [Бриггс Э, Клэвин П. 2006]. ბულგარეთი ცნობდა სერბიის უფლებას ნოვიზაზარის სანჯაკზე, კოსოვოზე, მეტოხიაზე და სხვა მიწებზე, რომლებიც მდებარეობდნენ შარ-პლანინიდან ჩრდილოეთით და დასავლეთით; სერბია ცნობდა ბულგარეთის უფლებას ტერიტორიაზე თრაკიაში - როდოპის მთების და მდინარე სტრუმის აღმოსავლეთით. მაკედონიის მიმართ, რომელიც იყო ბრძოლის მნიშვნელოვანი ობიექტი ბულგარეთს, სერბიას და საბერძნეთს შორის, დასახული იყო (საიდუმლო შეთანხმების მეორე სტატია) მისი გაყოფა ბულგარეთსა და სერბიას შორის [Международные отношения, 1938].

ბულგარეთ-სერბიის ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ ეცნობათ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს, რომელთაც ის მოიწონეს. ამ შეთანხმებას დაემატა სამხედრო კონვენცია 1912 წლის 12 მაისს

და მოგვიანებით სპეციალური შეთანხმება ბულგარეთსა და სერბიის გენერალური შტაბების უფროსთა შორის (Жебокрицкий, 1960).

1912 წ. 29 მაისს, ლონდონის მონაწილეობით დაიდო ბულგარეთ-საბერძნეთის სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელიც მიმართული იყო თურქეთის წინააღმდეგ [Международные отношения т. 20, ч. 1, 1938]. ამას დაემატა აგრეთვე სამხედრო კონვენცია მოგვიანებით, 1912 წ. 5 ოქტომბერს. ბალკანეთის სახელმწიფოთა კოალიციას ბოლოს შეუერთდა ჩერნოგორია, რომელმაც დადო შეთანხმებები ბულგარეთსა და სერბიასთან [Международные отношения т. 20, ч. 2, №896, 1938].

ბალკანეთის სახელმწიფოების კოალიციას ორმაგი მიმართულება ჰქონდა: 1. ყველა მათგანი ბალკანეთის კავშირს განიხილავდა, როგორც იარაღს თურქეთთან წარმატებული ომისათვის, რათა მისთვის წაერთმიათ ბალკანეთის ტერიტორიები, რომლებიც დაჩაგრული ბალკანელი ხალხით იყო დასახლებული; 2. ბალკანეთის ბლოკის ზოგიერთი ქვეყნისათვის, პირველ რიგში სერბიისა და ნაწილობრივ ჩერნოგორიისათვის, ბალკანეთის კავშირი იყო ფარი ავსტრია-უნგრეთის აგრესიისგან თავის დასაცავად.

შეთანხმება ბალკანეთის ქვეყნებს შორის საიდუმლოდ ინახებოდა. მხოლოდ მაღალი რანგის ცალკეულმა პირებმა იცოდნენ ამის შესახებ. იგივე ეხებოდა რუსეთს, საფრანგეთს და ინგლისს. ბერლინსა და ვენაში არ სჯეროდათ ბალკანეთის სახელმწიფოებს შორის კავშირის დადების შესაძლებლობა. ამასთან დაკავშირებით, ყოფილი კანცლერი ბერნჰარდ ფონ ბიულოვი თავის მოგონებებში აღნიშნავდა, რომ ბალკანეთის კავშირი აბსოლუტურად შეუძლებლად ითვლებოდა, მათ შორის არსებული საუკუნეობრივი და ღრმად გამჯდარი წინააღმდეგობების გამო [Бюлов, 1935].

1912 წლის აპრილის შუა რიცხვებში, ბერლინში მიიღეს სანდო ინფორმაცია ბულგარეთ-სერბიის სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერის და თვითონ შეთანხმების შესახებ [Die Grosse Politik, 1922-1927, Bd. 33]. საგარეო საქმეთა სტატს-მდივანი კიდერლენ-ვეხტერი, როცა გაეცნო შეთანხმების შინაარსს, აცნობა მის შესახებ ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, გრაფ ლეოპოლდ ბერხტოლდს [Österreich-Ungarns Aussenpolitik, 1930, Bd. 1] და რუმინეთის მეფეს კარლ I ჰოჰენცოლერნ-ზიგმარინგენს [Österreich-Ungarns Aussenpolitik, 1930].

ბერლინსა და ვენაში, გარეგნულად, სიმშვიდით შეხვდნენ ბალკანეთის კავშირის შექმნას, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ ბულგარეთის მეფე მათი გავლენის ქვეშ იქნებოდა, თუმცა, ბოლომდე დარწმუნებული არ იყვნენ. ამის მიზეზს იძლეოდა ის გარემოება, რომ გერმანიის მმართველ წრეებში მეფე ფერდინანდს უნდობლად ეკიდებოდნენ და მას „ემშაკ ოდისევსს“ უწოდებდნენ [Бюлов, 1935]. ასევე უარყოფითად ეკიდებოდა მეფე ფერდინანდს ვილჰელმ II და მას „მატყუარა ფარისეველს“ უწოდებდა [Österreich-Ungarns Aussenpolitik, 1930, Bd. 1]. რაც შეეხებოდა ვენას, პირიქით, სურდათ დაეჯერებინათ თვითონ ფერდინანდის განცხადება, რომ ის ჰაბსბურგების ერთგული იყო, რასაც ხელს უწყობდა კობურგებისა და ჰაბსბურგების ნათესაური კავშირები, ფერდინანდის მიერ ვენაში გატარებული ახალგაზრდობის წლები და სხვ. [Österreich-Ungarns Aussenpolitik, 1930, Bd. 4].

1912 წლის ზაფხულისთვის დამაბულობა ბალკანეთზე გაიზარდა. მიზეზი გახდა თურქი შოვინისტების მიერ სლავური მოსახლეობის დახოცვა მაკედონიის ქალაქ კოჩანეში და ჩერნოგორიის საზღვრის მახლობლად ნოვიზაზარის სანჯაკში, ბერანის რაიონში. რუსეთი და ავსტრია-უნგრეთი ემხრობოდნენ სტატუს კვოს შენარჩუნებას ბალკანეთზე და ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ბალკანეთზე ომის დაწყებისათვის, რომელიც შეიძლებოდა საერთო-ევროპულ ომში გადაზრდილიყო [Задохин А.Г., Низовский А.Ю. 2000].

შექმნილ სიტუაციაში, ბერლინისა და ვენის პოზიციას განსაზღვრავდა ის გარემოება, რომ თურქეთი ადვილად თუ ვერ დაამარცხებდა ბალკანელ მოკავშირეებს ომში, საბოლოოდ მაინც გაიმარჯვებდა. ასეთი მოსაზრება ფართოდ იყო გავრცელებული გერმანიის მმართველ ზედაფენაში [Бюлов, 1935]. ასეთივე მოსაზრებას ემხრობოდნენ სხვა დიდი სახელმწიფოების მმართველ წრეებშიც.

ბერლინში იმედი ჰქონდათ, რომ თურქეთის არმია გაწვრთნილი გერმანელი გენერლების მიერ და კარგად შეიარაღებული გერმანიის დახმარებით, დაამარცხებდა პატარა ბალკანურ სახელმწიფოებს, რაც დაშლიდა ბერლინისა და ვენის მიმართ მტრულად განწყობილ ბალკანეთის კავშირს. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ბალკანეთზე, ვილჰელმ II-მ ჰკითხა გენერალ ფონ დერ გოლცს, რომელიც ხელმძღვანელობდა სამხედრო მისიას 1909-1912 წლებში, თურქეთის არმიის გაწვრთნის მიზნით, როგორ იყო მომზადებული თურქეთი სამხედრო თვალსაზრისით. გენერალმა გოლცმა დამაჯერებლად უპასუხა: „ყველაფერი ისე არის როგორც ჩვენთან“ [„Ganz wie bei uns“] – [Могилевич А.А., Аирапетян М.Э. 1940].

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ასე არ ფიქრობდა გაბატონებულ წრეებში. ბევრს მიაჩნდა, რომ ომი თურქეთსა და ბალკანელ მოკავშირეებს შორის გაჭიანურდებოდა, რაც საბაზს მისცემდა დიდ სახელმწიფოებს ჩარეულიყვნენ, აქედან გამომდინარე შედეგებით [Бенгарди, 1914].

შექმნილ სიტუაციაში, ბერლინში მიიჩნიეს, რომ არ უნდა ჩარეულიყვნენ კონფლიქტში და დალოდებოდნენ ხელსაყრელ მომენტს, რათა მეტი სარგებლობა მიეღოთ ჩარევის შემთხვევაში. ამას ადასტურებს ვილჰელმ II-ის შენიშვნები საგარეო საქმეთა სტატს-მდივნის მოადგილის ციმერმანის წერილზე 1912 წ. 4 აგვისტოს: „ჩვენ უდროოდ არ უნდა ჩავერიოთ ბალკანეთის საქმეებში ყოველგვარი წვრილმანის გამო. მშვიდად დავლოდოთ და არ შევასრულოთ მცველის როლი დაუყოვნებლივ“ [Die Grosse Politik, 1922-1927, Bd. 33]. ცოტა მოგვიანებით, 1912 წ. 4 ოქტომბერს ვილჰელმ II წერილში კიდერლენ-ვეხტერისადმი კვლავ ადასტურებდა თავის თვალსაზრისს, რომ გერმანია ჯერ არ უნდა ჩარეულიყო კონფლიქტში ბალკანეთზე: „ბალკანეთის ქვეყნებმა უნდა აჩვენონ, რისი უნარი შესწევთ და აქვთ თუ არა მათ უფლება არსებობაზე. თუ ისინი მტკიცედ გაიმარჯვებენ თურქეთზე, მაშინ ისინი მიიღებენ უფლებას გარკვეულ ჯილდოზე. თუ მათ დაამარცხებენ, მაშინ ისინი დიდი ხნით დამშვიდდებიან და ტერიტორიული პრობლემები მოიხსნება“. წერილის ბოლოს ვილჰელმ II დასკვნას აკეთებდა: „აღმოსავლეთის საკითხი უნდა გადაწყდეს სისხლითა და მახვილით! მაგრამ მხოლოდ ჩვენთვის შესაფერის მომენტში! სწორედ ეს! ვილჰელმი“ [Die Grosse Politik, 1922-1927, Bd. 33].

სიტუაცია ბალკანეთზე მკვეთრად დაიძაბა და მისი გამოყენება სცადა ვილჰელმ II-მ გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ინტერესებისათვის. თუმცა, ამაში მას გარკვეულწილად ხელს უშლიდა მისი დამოკიდებულება თურქეთისადმი. თავის მემუარებში, ვილჰელმ II აღნიშნავდა თავისი პროთურქული განწყობილებების შესახებ ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან, როცა ის კანცლერ ბისმარკთანაც კი კამათობდა თურქეთის შესახებ [Вильгельм II. 1923]. თავის მოგონებებში ბიულოვიც აღნიშნავდა, რომ იმპერატორი ვილჰელმ II დიდი ხნის მანძილზე პროთურქულად იყო განწყობილი [Бюлов В. 1935].

შექმნილ ვითარებაში, ვილჰელმ II-ს დაებადა აზრი, რომ ბალკანეთის კავშირის მეშვეობით გერმანიისა და სამთა კავშირის ინტერესები გაეტარებინა ცხოვრებაში. ამასთანავე, ასეთი პოლიტიკა რუსეთის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. მაგრამ, ყოველივე ეს რეალობას იყო მოკლებული. ამის შესახებ აღნიშნავდა ბიულოვი, რომელიც ახალგაზრდობიდან კარგად იცნობდა ვილჰელმ II-ს. თავის მოგონებებში ის წერდა, რომ იმპერატორს ფანტაზია უფრო გააჩნდა, ვიდრე ჯანსაღი აზრი [Бюлов В. 1935].

ბალკანეთის კავშირის მიმხრობა სერბიის გარეშე შეუძლებელი იყო, ვენას კი სერბიისადმი მკვეთრად გამოხატული მტრული პოზიცია ეკავა, რისი შეცვლაც შეიძლებოდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ სერბია უარს იტყოდა ვენისადმი მტრულ პოლიტიკაზე და გაითვალისწინებდა ავსტრია-უნგრეთის ინტერესებს, რაც გამორიცხული იყო. ახლოვდებოდა ბალკანეთის პირველი ომი.

ლიტერატურა:

1. ჩოჩია ვ. გერმანია. 1904-1914. თბ., 2008. გვ. 161-165.
1. Бенгарди Ф. фон. Наша будущность. Пг., 1914. С. 129.
2. Бетман-Гольвег Т. Мысли о войне. М.-Л., 1925. С. 48.
3. Бриггс Э., Клэвин П. Европа нового и новейшего времени. М., 2006. С. 188.
4. Бюлов В. Воспоминания. М., 1935. С. 411; 339; 253; 128-132; 171.
5. Вильгельм II. Мемуары. События и люди. 1878-1918. М.-Л., 1923. С. 13-14, 17.
6. Жебокрицкий В.А. Болгария накануне балканских войн 1912-1913 гг. Киев, 1960. С. 161-174.
7. Задохин А.Г., Низовский А.Ю. Пороховой погреб Европы. М., 2000. С. 104.
8. История дипломатии, т. II, М., 1963. С. 734; 737; 738.
9. Международные отношения в эпоху империализма. Документы из архивов царского и временного правительств. 1878-1917. Серия вторая (1900-1913), т. 19, ч. 2. М., 1938. С. 265-268; 88; 146-147.
10. Могилович А.А., Аирапетян М.Э. На путях к мировой войне 1914-1918 гг. М., 1940. С. 116.
11. Die Grosse Politik der Europäischen kabinette. Sammlung der diplomatischen Akten des Auswärtigen Amtes. Bd. 1-40. Berlin, 1922-1927. S. 25; 42; 164-165.
12. Fischer F. Krieg der Illusionen. Die Deutsche Politik von 1911 bis 1914. Düsseldorf. 1969. S. 214.
13. Österreich-Ungarns Aussenpolitik von der Bosnischen Krise 1908 bis zum Kriegsausbruch 1914. Diplomatische Aktenstücke des Österreichisch-Ungarischen Ministeriums des Äussern. 4 Bd. Wien, 1930. S. 184; 169; 155; 182, 194.

რეზიუმე

ნაშრომში ნაჩვენებია პირველი მსოფლიო ომის წინ ბალკანეთზე მიმდინარე მოვლენების დროს გერმანიის დიპლომატიის გააქტიურების მიზეზები და მიზნები. ბალკანეთის ნახევარკუნძულს,

რომელიც შავი ზღვის სრუტეებს ეკვროდა, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნდა, როგორც დამაკავშირებელ მაგისტრალს ევროპიდან აზიისკენ.

1912 წლის 13 მარტს სოფიაში ბულგარეთსა და სერბიას შორის, რუსეთის დიპლომატიის აქტიური შუამავლობით, დაიდო საიდუმლო შეთანხმება მეგობრობისა და კავშირის შესახებ, რომელიც თურქეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. 1912 წ. 29 მაისს ლონდონის მონაწილეობით დაიდო ბულგარეთ-საბერძნეთის სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელიც ასევე იყო მიმართული თურქეთის წინააღმდეგ.

ბერლინში იმედი ჰქონდათ, რომ თურქეთის არმია, გაწვრთნილი გერმანელი გენერლების მიერ და კარგად შეიარაღებული, დაამარცხებდა ბალკანეთის კავშირის სახელმწიფოებს, რომლებიც მტრულად იყვნენ განწყობილი როგორც ბერლინის, ისე ვენის პოლიტიკის მიმართ ბალკანეთზე. გერმანიის დიპლომატია ცდილობდა ბალკანეთის კავშირის გამოყენებას, რაც რუსეთის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული, მაგრამ წარუმატებლად, რადგან რეალურად ვერ აფასებდა შექმნილ სიტუაციას ბალკანეთზე.

FOR THE HISTORY OF BALKANS UNION CREATION IN 1912 **Vazha Chochia, Gori State Teaching University, Full Professor** **RESUME**

The work represents the reasons and objectives of the diplomatic activity of Germany while the facts happening of the Balkans before World War I. The Balkan Peninsula had an important strategic meaning as a connecting main line because it adjoined the Black Sea straits.

March 13, 1912 in Sofia a secret agreement of friendship and alliance was signed between Bulgaria and Serbia by the active diplomatic mediation of Russia which was directed against Turkey. May 29, 1912 by the help of London was made an allied contract between Bulgaria and Greece which also was directed against Turkey.

Berlin hoped that Turkish well equipped army trained by the German generals would defeat the Balkans union states, which were hostile to the policy of Berlin and Vienna on the Balkans and all of these circumstances would be directed against Russia. But all in vain, because the situation on the Balkans was not estimated correctly.

გლოვის წესები ქართველ ებრაელებში იეჰუდა ჩორნის მიხედვით

დავით ჩოჩიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი
E-mail: ch.daviti67@rambler.ru

იეჰუდა ჰალევი ჩორნი, რომელმაც საკმაოდ დრო დაჰყო საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, ფასდაუდებელი მასალა დაგვიტოვა საქართველოში მაცხოვრებელი ებრაელების სამგლოვიარო რიტუალებისა და წესების შესახებ. მისი დაკვირვებით, შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი განსხვავება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები ებრაელების ტრადიციებსა და წესებს შორის. მოგზაურის დაკვირვებით, ეს არა მხოლოდ მატერიალურ შეძლებას იყო დამოკიდებული, არამედ იმაზეც, თუ რომელ რეგიონში ცხოვრობდნენ მისი თანატომეონი. მოგზაური ცდილობდა, ყველა ის განსხვავებული წესი დაეფიქსირებინა, ხოლო თუ სადმე უკეთეს წესს ნახავდა, ცდილობდა, საკუთარი ავტორიტეტის გამოყენებით ყველგან დაემკვიდრებინა.

ქართველ ებრაელებში არსებობდა რწმენა, რომ ადამიანის სიკვდილის შემდეგ სული ეყრება ხორცს. ხორცი ამქვეყნად რჩება, სული კი, რომელიც დროებით სახლობდა მასში, როგორც ჭურჭელში, თავის სამყოფელს უბრუნდება. თუ გარდაცვლილი სიცოცხლეში კეთილ საქმეებს აკეთებდა, მისი სული მსუბუქად, ყოველგვარი სიმძიმის გარეშე მიემართება სასუფეველში, ხოლო თუ ადამიანის სული ცოდვებით არის ამქვეყნად დამძიმებული, მაშინ მას უჭირს თავის სამყოფელში დაბრუნება და შეიძლება სრულიად დაიკარგოს. ამიტომ ახლობლები ცდილობდნენ განსვენებულის მიერ ჩადენილი ცოდვა ლოცვა - კურთხევით გამოესყიდათ. ამასთან ერთად, როდესაც მიცვალებულს დაასვენებდნენ სალოცავში, ხახამი და მთელი ჯამაათი უფალს სთხოვდა მიცვალებულისთვის ყველა ამქვეყნიური ცოდვა მიეტყუებინა.

მიცვალებულს აპატიოსნებდა სპეციალური პირი გარკვეული გასამრჯელოს ფასად. მას ჯერ სალოცავში წაასვენებდნენ, სადაც ხახამი ისაუბრებდა მის კეთილ საქმეებზე. ასვენებდნენ მესამე დღეს,

მზის ჩასვლისას. საფლავამდე კუბოთი მიჰყავდათ, მიწაში კრძალავდნენ სუდარაში გახვეულს, რადგან მათი წარმოდგენით, სხეული ასე უფრო ჩქარა იხრწნებოდა და სული ნაკლებად იტანჯებოდა. მას თან ატანდნენ იერუსალიმიდან შალიახების მიერ ჩამოტანილ წმინდა მიწას. კუბოს ინახავდნენ სასაფლაოზე, საერთო შესანახში.

სასაფლაოდან მამაკაცები ჯერ ისევ სალოცავში მიდიოდნენ, შემდეგ ოჯახის ახლობლის მიწვევით მიცვალებულის სახელზე გაწყობილ სუფრასთან. მანამდე ქალები მათ ხელს აბანინებდნენ. ქელებზე სამი ჭიქა შეისმეოდა, პირველი მიცვალებულის შესანდობარი, მეორე ოჯახის დანაკარგის „კმარობის“ და მესამე ოჯახის მომავალი კეთილდღეობის. (სამგლოვიარო სუფრაზე კენტი სადღეგრძელო უნდა თქმულიყო. მაგიდაზე ხორცი არ მიჰქონდათ, მეშვიდე დღეს კი სპეციალურად აკეთებდნენ ხორციან სადილს (1;79).

ებრაელების რწმენით ორმოც დღემდე მიცვალებულის სული აქ, დედამიწაზე ტრიალებდა, შემდეგ კი მიდიოდა სასუფეველში, რასაც ტრაპეზით აღნიშნავდნენ ხოლმე. ებრაელები თვლიდნენ, რომ 13 წლამდე ადამიანი უცოდველია. ცამეტი წლის შემდეგ კი უნდა ატაროს ვერცხლის ბეჭედი, რომელზეც მისი სახელი და გვარი იქნება ამოტვიფრული, რადგან მეორედ მოსვლისას მას შეიძლება დავიწყებული ჰქონდეს თავისი სახელი და გვარი და ბეჭედზე დახედვისას მოაგონდება იგი (3;86) ქალები სასაფლაოზე არ მიდიოდნენ, რომ დედათა წესი არ დამართნოდათ, რაც უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა და დაუშვებელი იყო (1;79)

ერთი კვირის მანძილზე ჭირისუფალს ნათესავები და მეზობლები უგზავნიდნენ მოსაკითხს ხორცის გარდა. მგლოვიარე 11 თვე არ მიდიოდა ლხინში, არ იცვამდა ახალს, 11 თვის მანძილზე ყოველ თვის თავზე გარდაცვლილის სულის მოსახსენებლად მართავდნენ სადილს, იწვევდნენ ხახამს, სახლში გამუდმებით ენთო ზეთის კანდელი, გარდაცვლილის საწოლზე ეწყო მისი ტანსაცმელი და სურათი (4; 72).

საქართველოში სხვადასხვა კუთხეში მაცხოვრებელი ებრაელები მიცვალებულის დაკრძალვის წესებს თითქმის ერთნაირად იცავდნენ. შეინიშნებოდა მცირეოდენი განსხვავებები იმ ისტორიულ - გეოგრაფიული რეგიონის გათვალისწინებით, სადაც ებრაელთა ესა თუ ის თემი ცხოვრობდა. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში მყოფ ჩორნის ადგილობრივი ხახამი არწმუნებდა, რომ სული, განტყევის შემდეგ პირდაპირ განიენში მიდის, იმის გამო, რომ სიკვდილი თვითონ უნდობს ადამიანებს ცოდვებს. მეორეს მხრივ, კი იმიტომ, რომ თითქოსდა აბრაჰამს შეჰკითხვია ღმერთი: „ორიდან ერთი ამოირჩიეო შენი შთამომავლებისთვის, რომლებმაც ჩემს თორას უნდა უღალატონ და რწმენას, გეჰინამში მოვუწყუო განსჯა - განკითხვა, თუ ხანგრძლივსა და მძიმე გალუთში გაგამეგოო. როცა მამა აბრაჰამს ჯოჯოხეთის წამება და წესი უნახავს, ყვირილი დაუწყია და ღმერთისთვის უთხოვია, როგორ გაუძლებენ ჩემი შვილები ამ საშინელ ტანჯვას, სჯობს ტყვეობაში აწამო, ვინემ ასეთი სასტიკი განკითხვით განსაჯო.“ თითქოსდა სწორედ ამის გამო უფალმა აუსრულა აბრაჰამს თხოვნა და ისრაელი ხანგრძლივ ტყვეობაში გამეგვებით დასაჯა, რადგან ერთ კაცს ორი განკითხვით არ სჯიან.

ჩორნი ქუთაისელი ებრაელების შესახებ მოგვითხრობს, რომ როცა ვიღაცა გარდაიცვლებოდა, მის გლოვაში მთელი ჯამაათი იღებდა მონაწილეობას. „როცა ქალები მიდიან მიცვალებულზე სამგლოვიაროდ, შაბათ კაი დღის ტანსაცმელს ჩაიცვამენ, ისინი ზიან და ტირიან, მათთვის მიაქვთ არაყი ვახშმითურთ, ეს ხდება დარბაისელთა ოჯახებში და ამით სცემენ უკანასკნელ პატივს ძვირფასი მიცვალებულის ხსოვნას“ (5;191) უფრო ზუსტად რომ გადმოეცა გარდაცვალებულის გაპატიოსნებისა და დაკრძალვის რიტუალები, მან აღწერა ერთ-ერთი მოქალაქის, აბრამ ლევიჩის დედის რახელის გარდაცვალების შემთხვევა: „როცა სული ღმერთს მისცა, მთელი ქალაქის ქალებმა იწყეს თავმოყრა, მათ შორის იმერელმა ქალებმაც, რომელთაც ფრიად ჰყვარებიათ განსვენებული. მათაც გამოიტირეს იგი, ყველას საუცხოოდ ეცვა, ზემოთ ხსენებული მიზეზის (ქალბატონის გარდაცვალების გამო - დ.ჩ.). ქალები მიცვალებულის ოთახში იხდნენ, ხალხი გარეთ ან ეზოში იხდა, გვერდით ოთახში ქალები ცხოვრობდა და საჭმელების კეთებით იყვნენ დაკავებულნი.. მიცვალებულის თავთან და ფეხებთან ორი სანთელი ენთო, ეფარა აბრეშუმის სუდარა. ყველა იჯდა, ტიროდა და მის ღირსებებს ყვებოდა... გაპატიოსნეს და მთელმა ქალქმა წაასვენა სასაფლაოზე, ქალებმა ჭიქრამდე მიაცილეს და სახლში დაბრუნდნენ“ (5;192). მიცვალებულის გასაპატიოსნებლად მიდიოდნენ ის ადამიანებიც, რომლებიც შემთხვევით შეესწრებოდნენ ამ ამბავს. ჩორნის მონაცემებით, ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა, ჯამში ყრიდნენ ფქვილს, მის გვერდით დებდნენ პატარა ქვას, რომელიც სიმბოლურად მიანიშნებდა იმას, რომ საბოლოოდ ყველა ადამიანი ქვასავით დადუმდებოდა, ქვასთან გატეხილი უმი კვერცხი ეგდო, რაც მგლოვიარობის ნიშნად იყო მიჩნეული. აქვე ენთო ორი სანთელი და იდო ჭიქით წყალი. სამგლოვიარო სუფრაზე იდო პური, ხაჭაპურები, მოხარშული კვერცხი, მარილი და ყველი. დამსწრენი კითხულობდნენ ფსალმუნებს (5;192)

მიცვალებულის გასვენებიდან შვიდი დღის გასვლის შემდეგ ჭირისუფალმა ვახშამი მოაწყო ქუთაისის ყველა ხახამისთვის. მაგიდაზე მოიტანეს შემწვარი ხორცი, ღვინო, ღომი. ჩორნი აღაშფოთა ზოგიერთი ხახამის უმეცრებამ, რომლებიც იმდენად უღიმღამოდ ლოცულობდნენ, რომ მხოლოდ ჭამის საჭიროებამ გამოაფხიზლა ისინი.

ქართველ ებრაელებში წესად იყო მოღებული მიცვალებულის განზანვა და ამ რიტუალს სპეციალურად შერჩეული ადამიანები ასრულებდნენ. როდესაც მიცვალებულის განზანვა დასრულდებოდა, თიხის ჭურჭელს, რომელშიც განსაბანი წყალი ესხა, ამტვრევდნენ. გარდაცვლილს აცმევდნენ ყველაზე საუკეთესო სამოსს და სამკაულს. მიცვალებულს მოთქმით გამოიტირებდნენ; მასთან სათითაოდ მიდიოდნენ და სთხოვდნენ წარსული წყენის შენდობას.

დასავლეთ საქართველოში ორი დღის გლოვის შემდეგ მზის ჩასვლამდე მიცვალებული უნდა დაეკრძალათ. ქართველი ებრაელები მიცვალებულს სუდარაში ახვევდნენ, რომელიც ადგილობრივად მზადდებოდა. უფრო შეძლებულებს სუდარა იერუსალიმიდან ჩამოჰქონდათ. მიცვალებული სასაფლაომდე კუბოთი მიჰყავდათ. ამისათვის თემში სპეციალურად 2 – 3 კუბო იყო დამზადებული. როდესაც მიცვალებულს სახლიდან გამოასვენებდნენ, კარს მიხურავდნენ და კუბოს კარს სამკერ მიატყამდნენ, რაც იმის სიმბოლო იყო, რომ სახლში სიკვდილიანობა აღარ უნდა ყოფილიყო (6;110). უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ტრადიცია დღესაც შემორჩენილია საქართველოში. სალოცავში დასვენებულ მიცვალებულს ჭირისუფლები გამოეთხოვებოდნენ, ხახამი ხმამაღლა მოყვებოდა მიცვალებულის სასიკეთო ამბებს, მიცვალებულს ამოიღებდნენ კუბოდან და სამარეში ჩაასვენებდნენ. მას აუცილებლად ჩაატანდნენ ისრაელიდან ჩამოტანილ ერთ მუჭა მამა - პაპურ მიწას, კუბოს კი იქვე ტოვებდნენ. სასაფლაოდან ისე უნდა წამოსულიყვნენ, რომ უკან არ მიეხედათ, რადგანაც ეს კიდევ ახალი უბედურების მომტანი იქნებოდა.

მიცვალებულის დაკრძალვის ოდნავ განსხვავებული წესი ჰქონდათ ცხინვალში. ჩორნის გადმოცემით, თუ ვინმე გარდაიცვლებოდა მზის ჩასვლამდე, იმ დღესვე მზის ჩასვლამდე უნდა დაეკრძალათ. „თუ ვინმე მზის ამოსვლამდე ერთი საათით ან ნახევარი საათით ადრე გარდაიცვლება, , ჩქარობენ რომ დარჩენილ დროში დაკრძალონ. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ასაფლავებენ მიცვალებულთ, რომელთაც სული აქვთ კიდევ პირში. როცა ავადმყოფი ძლიერ სუსტდება და სიკვდილის პირამდე მიდის, მას უკვე გარდაცვლილად თვლიან“ (5;204).

გასვენებიდან შვიდი დღის შემდეგ, ჭირისუფლები კვლავ სუფრას შლიდნენ. ამ დროს შედარებით ნაკლები ხალხი მოდიოდა. ხახამი თორადას სპეციალურ ადგილებს წაიკითხავდა და სუფრას აკურთხებდა. სუფრა რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ სრულდებოდა. მამაკაცები ორმოცი დღე წვერს იყენებდნენ, ხოლო ქალები კი საყელოს ჩაიჭრიდნენ და ისე გამოხატავდნენ საკუთარ გლოვას. ორმოცი დღის შემდეგ, მამაკაცებს წვერის გაპარსვის, ხოლო ქალებს კი პერანგის საყელოს გაკერვის უფლება ეძლეოდათ. ის ვინც მიცვალებულის გამო განსაკუთრებით გლოვობდა, ხშირად ერთი წლის განმავლობაში არ იპარსავდა და გაჭრილი საყელოთი დადიოდა.

ქართველმა ებრაელებმა გვერდით მცხოვრები ხალხებისგანაც გადმოიღეს არაერთი სამგლოვიარო რიტუალი. ამის ერთ - ერთი ნათელი მაგალითია შავი სამოსის ტარება. შავი ფერის სამოსს ატარებდა ყველა, ახლო თუ შორეული ნათესავი ჭირისუფალი. განსაკუთრებით ახლო ნათესავები, მაგალითად დედა - მამა, და - მმა სამგლოვიარო შავ სამოსს ერთი წლის განმავლობაში არ იხდიდა, ხოლო შედარებით შორეული ნათესავები შავ სამოსს უკვე გარდაცვალებიდან 40 დღის გავლის შემდეგ იხდიდნენ. კიდევ ერთი გავრცელებული ტრადიციის მიხედვით, შავი სამგლოვიარო სამოსის გახდის შემდეგ ჭირისუფალს, რამდენიმე დღე მაინც, სრულიად ახალი, ჯერ ჩაუცმელი სამოსი უნდა ჩაეცვა. არსებობდა აზრი, რომ ამ შემთხვევაში ოჯახი მორიგ გლოვას აირიდებდა თავიდან.

ქართველი ებრაელების აზრით, გარდაცვალების შემდეგ მიცვალებულის სული ორმოცი დღის განმავლობაში არ ტოვებს წუთისოფელს და ოჯახის წევრების ირგვლივ ტრიალებს. მხოლოდ ორმოცი დღის გასვლის შემდეგ, რაც, თავის მხრივ, უშუალოდ გარდაცვალების დღიდან აითვლებოდა, სული ტოვებდა იქაურობას და სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლებდა.

საინტერესოა, რომ მიცვალებულისთვის ორმოცის გადახდა ყოველთვის არ ემთხვეოდა უშუალოდ გარდაცვალების მეორმოცე დღეს. საქმე იმაში გახლავთ, რომ ორმოცი აუცილებლად სავსე მთვარეზე უნდა ყოფილიყო გადახდილი. ეს კი ყოველთვის არ ემთხვეოდა გარდაცვალებიდან რეალურ მეორმოცე დღეს. ამასთან ერთად, ორმოცსა და წლისთავს მთვარის კალენდრით ითვლიდნენ, რაც ასევე იყო ერთ - ერთი შეუსაბამობის მიზეზი (6;124)

ორმოცის აღნიშვნის დღეს, ჭირისუფლები აუცილებლად სასაფლაოზე გადიოდნენ. დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს შორის გავრცელებული იყო წესი, რომლის მიხედვითაც აუცილებელი იყო მიცვალებულის სამოსის საფლაოზე წაღება და მისი ხმამაღლა დატირება. ქალებს შორის ყველაზე ხშირი აგროვებდა სარჩო - სანოვავეს, რასაც სასაფლაოდან დაბრუნების შემდეგ

გაჭირვებულებს ურიგებდნენ. მამაკაცები კი ორმოცის დღეს სასაფლაოზე პატარა სუფრას შლიდნენ და ფეხზე მდგომნი მიცვალებულის სულს მოიხსენიებდნენ. კიდევ ერთი საინტერესო ადათის მიხედვით, ყველა ადამიანი, ვინც ორმოცის დღეს სასაფლაოზე გადიოდა, ვალდებული იყო სასაფლაოდან წამოსვლის წინ პატარა ქვა აეღო, საფლავზე დაედო და წარმოეთქვა შემდეგი სიტყვები: „არაფერი გემატებოდეს“ ამის შემდეგ ჭირისუფლები სალოცავისკენ მიემართებოდნენ. (6;135)

სალოცავში მხოლოდ მამაკაცები შედიოდნენ და ხახამის ლოცვას უსმენდნენ, რომელიც მიცვალებულის სულის მოსახსენიებელ ლოცვას კითხულობდა. ლოცვის დასრულების შემდეგ, ყველა მიცვალებულის ოჯახში იკრიბებოდა. ორმოცის სუფრა ძალიან წააგავდა მეშვიდე დღის სუფრას, თუმცა ორმოცის სუფრაზე დაშვებული იყო სასმელის შედარებით მეტი რაოდენობით დალევა. საინტერესოა, რომ სუფრა მხოლოდ და მხოლოდ კენტი სადღეგრძელოთი სრულდებოდა.

ქართველ ებრაელებში, განსაკუთრებით ქვეყნის დასავლეთ რეგიონებში, ოჯახის წევრის გარდაცვალებიდან უახლოესი ერთი წლის განმავლობაში, ყოველი თვე მცირედი სადილი იმართებოდა, სადაც აუცილებლად პატიჟებდნენ ხახამს. ამავე ერთი წლის განმავლობაში აუცილებელი იყო იმ პირთა გახსენება, რომლებმაც მიცვალებულს ბოლო პატივი მიაგეს და ის განზანეს. ყოველ თვე მათ გარდაცვლილი ოჯახი სასმელ - სანოვავით სავსე ტაბაკას უგზავნიდა. დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით ქუთაისსა და ონის ებრაელებს შორის არსებობდა განსხვავებული წესი, რომლის მიხედვითაც მიცვალებული გარდაცვალების ადგილას ან მის საწოლზე იშლებოდა მიცვალებულის სამოსი და ფეხსაცმელი. ქალები დრო და დრო დასტიროდნენ მიცვალებულს სამოსს, რითაც გარდაცვლილს იხსენებდნენ, მის სულს პატივს მიაგებდნენ და მას შენდობას სთხოვდნენ. იმ ლოგინზე, სადაც მიცვალებული იწვა, წლისთავის გასვლამდე არავის ჰქონდა დაწოლის უფლება. ლოგინის სიახლოვეს ყოველთვის ენთო სანთელი და კანდელი. აუცილებელი იყო მიცვალებულის საწოლის გვერდზე იმ საჭმლის დალაგება, რომელიც გარდაცვლილს სიცოცხლის მანძილზე განსაკუთრებით უყვარდა. ანალოგიური წესი ქართველებს შორისაც იყო გავრცელებული. თვლიან, რომ ადგილობრივმა ებრაელებმა აღნიშნული წესი სწორედ ქართველებისგან გადაიღეს. წლისთავის გასვლის შემდეგ, ოჯახის წევრები მიცვალებულის სამოსს შეაგროვებდნენ და ღატაკ და გაჭირვებულ ხალხს ურიგებდნენ. ბოლოს მიცვალებულის ოჯახი გარდაცვლილის სულის მოსახსენიებლად წლისთავს იხდიდა. წლისთავის, ისევე როგორც ორმოცის ათვლა, ქართველ ებრაელებში მთვარის კალენდრის მიხედვით ხდებოდა. ეს იყო ის ძირითადი მიზეზი, რომ წლისთავი გარდაცვალებიდან არა მეთორმეტე, არამედ მეთერთმეტე თვეს ტარდებოდა. ასეთი შეუსაბამობა ხშირი იყო ქართველ ებრაელებს შორის.

პაპისმედოვის აზრით, მნიშვნელოვნად განსხვავდება ახალციხეში მიცვალებულის გაპატიოსნების წესი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ებრაელთა წეს-ჩვეულებებისგან. ეს არც არის გასაკვირი, რადგან იქაური მოსახლეობა, მათ შორის ებრაელებიც, მნიშვნელოვნად გამოირჩეოდნენ თავიანთ თანამომხმეებისგან არსებული ისტორიულ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო (1;78)

იეჰუდა ჩორნი არა მხოლოდ თანატომელების წესებსა და ცხოვრების წესს აკვირდებოდა და აღწერდა, არამედ გულმოდგინედ აგროვებდა ყველანაირ წარწერას და ნარატიულ ძეგლს, მათ შორის ეპიტაფიებსაც. ახალციხეში, ებრაელთა სასაფლაოზე ჩორნიმ გადმოიწერა შემდეგი ეპიტაფია: „უმჯობესია კარგი სახელი სურნელოვან ზეთზე და დღე სიკვდილისა გაჩენის დღისგან - რათა მოვიხსენიოთ ძეგლი სიონისა შემუელ ბეხარ მოშეს საფლავზე. აბრძანდა სივანის თვის თერთმეტში, პარასკევს, უფლის სამსხვერპლოს აშენების წელს (5606)“ (= 1846წ) (5;168)

ჩორნიმ შეადარა იგივე ეპიტაფიის ბროსესეული თარგმანი და გარკვეული შესწორებები შეიტანა. მეორე ეპიტაფია გადმოგვცემს: „სად მოიპოვება სიბრძნე ან სადა გონების საგანძური. დიდძალი ერი და შმუელი შესწირონ ასო ბეთს აბაიესა და რაბასთან ერთად. ეს ქვა სწორის და მართებულის პატივცემული იაკობ ჰალევი ბენ ეფრაიმისა, რომელიც გარდაიცვალა ხანმოკლე სიცოცხლის მერე 30 წლისა, უშვილოდ“

მომდევნო ეპიტაფია: „სად მოიპოვება სიბრძნე ან სადა გონების საგანძური. ეს ქვა ყოვლად სრულის, მოსამართლის, ხახმის, მხცოვანი რაბისა და ხახმის რაბი დავიდ ბენ შელომის საფლავისა. გარდაიცვალა ქისლევის თვის 28 - ში, ორშაბათს სამყაროს გაჩენიდან (5620) (=1860წ). იყოსც განსვენება მისი პატივცემული და იყოს სული მისი გახვეული სიცოცხლის საკვანძურში“ (5;168)

ჩორნის დაკვირვებით, ეპიტაფიები ჰქონდათ ქალების საფლავებსაც. „ვინ ჰპოვებს ღირსეულ ქალს. ესაა ქვა პატივცემული და ღირსეული ქალის ქალაბატონ ესთერ ბათ ავრაჰამის, ავნერის მეუღლის საფლავზე, რომელიც გარდაიცვალა ავის თვის ოცდაერთს, სამშაბათს, 5624 - ს“ (=1864წ)

ამრიგად, იეჰუდა ჩორნი, რომელმაც ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქართველი ებრაელების ცხოვრების აღწერას, საქართველოში ამ ერის წარმომადგენელთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროს იხილავდა. მისი ნაშრომების საშუალებით ჩვენ დღეს სრული ინფორმაციის მოძიება შეგვიძლია საქართველოში მცხოვრები ებრაელთა წეს-ჩვეულებების, მათი ადათის, ყოველდღიურობის,

ქართველებთან ურთიერთობის შესახებ. ჩორნის მიერ აღწერილი ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართველთა და ებრაელთა შორის არსებულ საუკუნოვან ურთიერთობას და ამ ორ ერს შორის არსებულ მნიშვნელოვან კავშირს, როგორც სოციალურ, ასევე ყოფით ცხოვრებაში.

ლიტერატურა:

1. აბულაძე ქ., ქართველ ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა 1921-1940 წწ., თბ., 1999.
2. გაბიძაშვილი ო., იუდაიზმი და მისი გადმონაშთები საქართველოში, თბ., 1973.
3. მაგალი (მაღალაშვილი) ლ., ქართველ ებრაელთა ტრადიციული ყოფა და კულტურა, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1993.
4. თავდიდიშვილი რ., ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისელ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1997.
5. იცხაკ დავიდი, ნაწერები, ტომი 1, ჩორნი ი., მოგზაურობა საქართველოში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიასა და არარატის ქვეყანაში (არმენია), თელ-ავივი-იერუსალიმი, 1976
6. იველაშვილი თ., ცაგარეიშვილი თ., გვიხმობს მამული მამა-პაპათა, თბ., 1995.

რეზიუმე

გამოჩენილი ებრაელი მოგზაური და სწავლული იეჰუდა ჩორნი დაიბადა 1835 წელს ქალაქ მინსკში აშქენაზი ებრაელის ოჯახში. ახალგაზრდა ჩორნის დიდი ინტერესი გაუჩნდა უცხოეთში მცხოვრები თანატომელების მიმართ, განსაკუთრებით კი მათ შესახებ, ვინც თავის თავს დაკარგული ათი ტომის ჩამომავლებად თვლიდა. მათი გენეტიკური ნაშთების მოძიება ჩორნიმ დაიწყო ამიერკავკასიაში, ირანსა თუ შუა აზიაში. 1869 წელს იგი საქართველოში ჩამოვიდა და საკმაოდ დიდი ხანი დაჰყო. ათი წლის თავდაუზოგავი შრომის შედეგად ჩორნიმ არაჩვეულებრივი მასალა დააგროვა საქართველოს ებრაელების სოციალური, რელიგიური თუ სამეურნეო ყოფის შესასწავლად. იგი მოპოვებულ მასალას სისტემატურად აქვეყნებდა რუსული და ებრაულენოვანი პერიოდიკის ფურცლებზე. ამასთან ერთად, იგი უშუალო მოწმე იყო იმ მრავალრიცხოვანი ეთნოგრაფიული რარიტეტებისა, რომლითაც ებრაელები ქართველებთან ათასწლოვანი თანაცხოვრების შედეგად გამოირჩეოდნენ თანატომელთაგან. იეჰუდა ჩორნიმ იმოგზაურა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და დაგვიტოვა ძვირფასი ეთნოგრაფიული მასალა. ქართველი ებრაელები ცხოვრობდნენ ქართველებთან ერთად და ბუნებრივია, საზიარო წესები გაუჩნდათ როგორც ლხინის, ასევე სამგლოვიარო წესებშიც. სამგლოვიარო რიტუალი ზოგან ერთნაირი კი ყოფილა. ქართველები და ებრაელები დადიოდნენ ერთმანეთის მიცვალებულების გასაპატოსნებლად, ამ დროს დუქნები იკეტებოდა და ყველა მიცვალებულს მიაცილებდა უკანასკნელ გზაზე. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ერთმანეთისგან განსხვავდებოდა ებრაელთა როგორც გლოვის წესები, ასევე ნეკროპოლიც.

RULES OF GRIEF FOR GEORGIAN JEWS ACCORDING TO YEHUDA CHORNI

Davit Chochishvili, Gori State Teaching University, Associate Professor

RESUME

Well-known Jew traveler and scholar Yehuda Chorni was born in 1835 in Minsk in the family of Ashkenazi Jew. Young Chorni became interested in the people of his own ethnicity living abroad. He was especially interested in those people who considered themselves as the descendants of ten lost tribes. Chorni began searching of their genetic remains in Transcaucasia, Iran and Central Asia. In 1869 he came in Georgia and stayed here quite long. As a result of ten-year hard work Chorni collected wonderful materials while studying Georgian Jews' social, religious or agricultural life. He regularly published his findings in Georgian and Hebrew language periodicals. At the same time he was the witness of those numerous ethnographic rarities which distinguished Georgian Jews from their people while living for hundreds of years with Georgian people. Yehuda Chorni travelled almost in all parts of Georgia and left valuable ethnographic materials. Georgian Jews lived together with Georgians and naturally they shared some feast rites as well as mourning ones. In some places mourning ceremony was even the same. Though the Jews' mourning rites and necropolises were different in different parts of Georgia.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტები

ოთარ ჯანელიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი,
დოქტორი
E-mail: otar_janelidze@yahoo.com

ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ან ძველის მიერ დაკარგული თავისუფლების აღდგენას, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენას, ამ სახელმწიფოს ფუძემდებლები საკუთარ მოსახლეობასა და საერთაშორისო საზოგადოებას საგანგებო პოლიტიკური განცხადების მიღება-დეკლარირებით აუწყებენ ხოლმე. უმეტეს შემთხვევაში ასეთ დოკუმენტს დამოუკიდებლობის დეკლარაციას უწოდებენ. იგი, კონსტიტუციის მსგავსად, ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი და ისტორიული ხასიათის საბუთია. დამოუკიდებლობის აქტს გარდა დეკლარაციული ხასიათისა აქვს წმინდა ნორმატიული ხასიათიც (ცნობილად, 2004). ჩვეულებრივ, მასში ასახულია კონკრეტული სახელმწიფოს წარმოშობის წინაპირობები, განმარტებულია, რამ განაპირობა ახალი სახელმწიფოს გამოყოფა, განსაზღვრულია მოცემული ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის ფორმა, გამოკვეთილია მოქალაქეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი, ხაზგასმულია მმართველი პოლიტიკური ელიტისა თუ საზოგადოების ღირებულებითი ორიენტაციები და სხვ. დეკლარაციის მიღების დღე ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღედ ითვლება.

სხვადასხვა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია აგებულებით ერთმანეთს წააგავს, ყველა მათგანის დანიშნულება და მიზანდასახულობაც საერთოა, მაგრამ განსხვავებულია მათი შემუშავებისა თუ გამოქვეყნების დრო, ვითარება და გარემოებანი.

როდის, როგორ და რა რეალობაში შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლითაც 1918 წლის 26 მაისს სათავე დაედო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობას?

დღემდე ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ორგვარი წყარო მოგვეპოვებოდა: 1. საარქივო მასალა და 2. მემუარული ცნობები.

საარქივო მასალას შეადგენს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 24 და 25 მაისის სხდომათა ოქმები, რომლებიც უშუალოდ ეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხს.

იმსჯელა რა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის 1918 წლის 24 მაისის სხდომაზე ჩამოაყალიბა კომისია (გიორგი გვაზავა, იოსებ მაჭავარიანი, გრიგოლ რცხილამე, პეტრე ქავთარაძე, ბიქტორ თევზაია, რაჟდენ არსენიძე, ირაკლი ჯაფარიძე), რომელსაც დაევალა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავება და კომიტეტში წარმოდგენა.

უფრო არსებითი ინფორმაციის შემცველია 25 მაისს გამართული საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომის სხდომის ოქმი. ირკვევა, რომ სხდომის მონაწილეთა ერთი ნაწილი დამოუკიდებლობის გამოცხადებას იმავე დღისთვის ითხოვდა, აღმასრულებელი კომიტეტის ზოგიერთი წევრი კი, საამისოდ, 26 მაისს ამჯობინებდა. კენჭისყრისას უმეტესობამ (6 ხმა 4-ის წინააღმდეგ) მხარი დაუჭირა სუვერენიტეტის დაუყოვნებლივ გამოცხადებას.

ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასკომის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას ამ გადაწყვეტილებას კატეგორიულად შეეწინააღმდეგა. მისი აზრით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე აუცილებელი იყო ამიერკავკასიის სეიმის მოწვევა, რომელიც ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის დაშლას და სეიმის თვითლიკვიდაციას დაადასტურებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ნოე ჟორდანიას მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობას მთლიანად იხსნიდა. ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ჯერ ბოლომდე შემუშავებული არ ჰქონიათ, რამაც მისი გამოცხადების მეორე დღისთვის გადადება თავისთავად გამოიწვია.

სხდომაზე წაკითხულ იქნა კომისიის მიერ შედგენილი დამოუკიდებლობის აქტის პროექტი, ხოლო შემდეგ გაიმართა კამათი. საოქმო ჩანაწერის მიხედვით, განხილვა დასრულდა იმით, რომ დაადგინეს: „პროექტი შესწორებულ იქნეს კამათის დროს გამოთქმული აზრების თანახმად. შესწორება აქტის პროექტისა დაევალა ბ-ნ ნ. ჟორდანიას” (სცსსა, ფ. 1836).

რაც შეეხება მემუარულ ლიტერატურას, არსებობს ნოე ჟორდანიას, ზურაბ ავალიშვილისა და რაჟდენ არსენიძის მოგონებები, რომლებიც შეიცავენ საყურადღებო ინფორმაციას განსახილველ

თემასთან დაკავშირებით. მაგალითად, ნოე ჟორდანიას შემოთ მთხრობილ ისტორიას მოგვიანებით ასე იხსენებდა:

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი დაისვა ეროვნულ საბჭოში, რომელსაც უნდა მოემზადებინა მისი განხორციელება შემდეგ სეიმის დაშლისა. „საჭირო იყო დამოუკიდებლობის აქტის შედგენა და მიღება საბჭოში. გამოვყავით კომისია ჩემთან ერთად სამუშაოდ ამ საკითხში. მე ვთხოვე კომისიის წევრს გ. გვაზავას შეედგინა პროექტი, როგორც იურისტს და მოეტანა ჩემთვის. შევასწორე პროექტი, ამოვაგდე იქიდან ყველა კლასიური ხასიათის მუხლები, დავტოვე შესწორებით მხოლოდ ნაციონალურ-პოლიტიკური ხასიათის. ასე შესწორებული წავუკითხე კომისიას. ამნაირათ დეკლარაცია შემუშავდა, რაცა მე წავიკითხე 26 მაისს და გადაიქცა ჩვენი თავისუფლების ხარტიათ“ (ჟორდანიას, 1990).

ნოე ჟორდანიას მონათხრობი ავსებს საარქივო დოკუმენტების მონაცემებს. ოღონდ, გაურკვეველი რჩება, პროფესიით იურისტმა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გვაზავამ ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს თავის მიერ შემუშავებული პროექტი წარუდგინა თუ ხსენებული კომისიისა, რომლის ხელმძღვანელად, გამორიცხული არ არის, ის აერჩიათ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი რაჟდენ არსენიძე მოგვითხრობს: ეროვნულმა საბჭომ გამოყო კომისია, რომელსაც დაევალა დამოუკიდებლობის აქტის პროექტის დამუშავება. კომისია შეიკრიბა 25 მაისს. „ნაშუადღევს დავიწყეთ მუშაობა. ვჩქარობთ, რადგან ხვალ ეროვნული საბჭოს სხდომაა, რომელმაც თავს იდგა ამ ისტორიული აქტის შესრულება. ვჩქარობთ, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ აქტი არ იყოს მოფიქრებული, სერიოზული, ღირსი თავის დანიშნულების; უნდა აღინიშნოს ... უფლებები ახლად დაბადებული მოქალაქის; უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ იმ ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფებს, რომელნიც ჩვენი ტერიტორიის ფარგლებში ცხოვრობენ. და ყოველივე ეს უნდა ითქვას მოკლედ, მოჭრით, მკაფიოდ. ამიტომ თითოეული სიტყვა იწვევს დავას, კამათს, აზრთა შეჯახებას; ყოველი ფრაზა ყალიბდება დიდი გულმოდგინებით. ბოლოს ბრძოლა და ჯახი თავდება მორიგებით; რაც მიღებულია – მიღებულია ყველასაგან. განხეთქილებასა და გულნაკლულობას აქ, ამ დიად გადამწყვეტ მომენტში, არ უნდა დაურჩეს ადგილი. ამას ვგრძნობთ ყველა, თუმცა ეს ჩვენთვის არავის უკარნახია. ... ვიბრძვით და ვჩქარობთ. ... შეღამდა. ... ვერ დავგისრულებია შრომა. ... ვიკრიბებით ნავახშმევს და ისევ ვმსჯელობთ, ისევ ტექსტის ყველა აზრს ჩავვირკიტებთ; შუალამეზე ვათავებთ პროექტის დამუშავებას და მაშინვე ორი წევრი გიორგი გვაზავა და პავლე სარჯველაძე მიემშრებიან საბჭოს ბიუროს (უნდა იყოს აღმასკომის, – ო. ჯ.) სხდომაზე, რომ ამდამვე დაამთავრონ ეს საშური, მაგრამ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა. ნაშუადღევს ბიურო (უნდა იყოს აღმასკომის, – ო. ჯ.) იღებს ზოგიერთი შესწორებით საბოლოო რედაქციას და კვირას, 26 მაისს, იგი საჯაროდ ცხადდება სასახლის თეთრ დარბაზში“ (ვ. ინასარიძე, 1984).

ცნობილი სწავლულისა და დიპლომატის ზურაბ ავალიშვილის მოგონება საქმეს რამდენადმე განსხვავებულად წარმოგვიჩენს. ზურაბ ავალიშვილი აკაკი ჩხენკელთან, ნიკო ნიკოლაძესთან და სხვ. ერთად 1918 წლის 11 მაისიდან იმყოფებოდა ბათუმში, როგორც ამიერკავკასიის რესპუბლიკის დელეგაციის მრჩეველი და მონაწილეობდა ოსმალეთთან მიმდინარე სამშვიდობო კონფერენციის მუშაობაში. როდესაც ქართული დელეგაციის წევრებმა გერმანიის წარმომადგენელ გენერალ ფონ ლოსოვთან შეთანხმებით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად სამზადისი დაიწყეს, ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას ბათუმში მიიწვიეს და მას შექმნილი ვითარება გააცნეს. ნოე ჟორდანიას, თავისი პარტიული რწმენის საპირისპიროდ, დარწმუნდა, რომ იმ მომენტში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ალტერნატივა არ გააჩნდა.

ზურაბ ავალიშვილი გადმოგვცემს: „დავწერე სანიმუშო პროექტი საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადებისა. დადგა დრო საქმის ჩამოყალიბების და მოქმედებისა. ჩხენკელმა, ჟორდანიამ, ნიკოლაძემ და სურგულაძემ (პეტრე სურგულაძე – საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარე, ბათუმის მოლაპარაკებაზე მრჩეველის სტატუსით შედიოდა გერმანიის დიპლომატიურ მისიაში, – ო. ჯ.) მოიწონეს. ჟორდანიამ ეს პროექტი წაიღო თბილისში“ (ავალიშვილი, 1925).

გამოდის, რომ ნოე ჟორდანიას ხელთ ჰქონია დამოუკიდებლობის აქტის ორი პროექტი – გიორგი გვაზავასი (იგივე ეროვნული საბჭოს აღმასკომის კომისიის?) და ზურაბ ავალიშვილის. სამწუხაროდ, ჩვენ არც ერთ ამ დოკუმენტს არ ვიცნობთ, რადგან ისინი ან არ შემოინახა ანდა ჯერჯერობით მიკვლეული არ არის.

ამ ფონზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ახალი საგულისხმო მასალა, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ნიკო ნიკოლაძის პირად არქივში მოვიძიეთ. ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ორგვერდიანი, მანქანაზე ნაბეჭდი, ნიკო ნიკოლაძის ხელით ნასწორები ტექსტი და ასევე დამოუკიდებლობის აქტის ნიკო ნიკოლაძისეული, 4 ფურცლის შემცველი, ფანქრით შესრულებული დაუმთავრებელი ხელნაწერი.

ჩემი აზრით, პირველი დოკუმენტის რედაქტირებული ვარიანტი უნდა იყოს საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული, სტამბურად ნაბეჭდი „აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა“ (დამატება I) (სცსსა, ფ. 1833), რომელიც შესულია აგრეთვე 1990 წელს გამოცემულ წიგნში „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921“ (საქართველოს, 1990).

ახლად მიკვლეულ დოკუმენტთა ტექსტები ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება. არც ერთი მათგანი შინაარსით სრულად არ ემთხვევა ასევე არც საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ოფიციალურ რედაქციას. მაშ, საქმე გვაქვს აქამდე უცნობ პირველწყაროსთან, რომელიც გარკვეულად ავსებს ჩვენს ცოდნას ამ საკითხთან მიმართებაში.

ირკვევა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მომზადებაში წვლილი თერგდალეულთა ერთ-ერთ უკანასკნელ მოჰიკანსაც შეუტანია. ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოსაგრეთა ბრძოლა საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისათვის ლოგიკურ დასასრულამდე ამ თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის ნიკო ნიკოლაძის აქტიური მონაწილეობითაც მისულა.

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ ნოე ჟორდანიას ნიკო ნიკოლაძის სახელს დამოუკიდებლობის აქტის მომზადებაზე საუბრისას არ ახსენებს (ჟორდანიას მოგონებებში მითითებას ვერ ვხვდებით ვერც ზურაბ ავალიშვილის პროექტზე). ზურაბ ავალიშვილის თანახმად კი, დიდი სამოციანელის კავშირი ამ საქმესთან მხოლოდ პროექტის მოწონებით შემოიფარგლება. საბედნიეროდ, არსებობს სხვა დამატებითი მასალა, საიდანაც დასტურდება, რომ ნიკო ნიკოლაძე აქტიურად იყო ჩართული საქართველოს თავისუფლების აღდგენისა და სახელმწიფოებრიობის განახლებისათვის ბათუმში წარმოებულ მუშაობაში, იზიარებდა და ეთანხმებოდა მოლაპარაკების პროცესში ჩამოყალიბებულ ქართულ-გერმანული ურთიერთობის კურსს, რომელმაც საქართველო 26 მაისამდე მიიყვანა (ჯანელიძე, 1998).

ნიკო ნიკოლაძის - ამ „ულმოხელ საქმის კაცს“, თავისი ხანგრძლივი ცხოვრების გამწვანებაში უამრავი იდეა, გეგმა თუ პროექტი უქცევია რეალობად. ძნელი წარმოსადგენია, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიპეტეიებში იმთავითვე ჩართულ მოღვაწეს საკუთარი აზრი და შეხედულება არ გამოეხატა ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიმართ, როგორც დამოუკიდებლობის დეკლარაციაა.

არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ მას ბათუმში საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი მოეხაზა და შეემუშავებინა. სავსებით დასაშვებად მიმაჩნია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ფანქრით ხელნაწერი ნიკო ნიკოლაძის მიერ შედგენილი ტექსტია, ხოლო ნაბეჭდი ვარიანტი, რომელიც ალაგ-ალაგ ასევე ნიკო ნიკოლაძის კალმითაა ნასწორები, შესაძლოა იყოს ზურაბ ავალიშვილის იმ პროექტის ცალი, რომელიც „ნიკოლაძემაც მოიწონა“, ხოლო ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ თბილისში წამოიღო.

სავარაუდოა, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს ევროპაში მოქმედი საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი ნიკო ნიკოლაძის აღნიშნულ ღვაწლსაც ითვალისწინებდა, როცა ამ სახელოვან მოღვაწეს 1918 წლის 9 ივნისს, ბერლინში ყოფნისას, თამარ მეფის ორდენს გადასცემდა. ხსენებული ორდენით კომიტეტი აჯილდოებდა სამხედრო და სამოქალაქო პირებს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის. ორდენით დაჯილდოების მოწმობაში ვკითხულობთ: „ნიკო ნიკოლაძეს. მოსაგონებლად იმ ძვირფასი სამსახურისა, რომელიც თქვენ მიგიძღვით ჩვენს საქმეში, გვაქვს პატივი მოგაწოდოთ სამახსოვრო ნიშანი ქართული ლეგიონისა“ (ჯანელიძე, 2003).

ბოლო დროს ელექტრონულ მედიაში ქვეყნდება ურთიერთსაპირისპირო ცნობები საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მომზადებაში ამა თუ იმ პიროვნების აქტიური მონაწილეობის შესახებ. მაგალითად, რუსულენოვან ვიკიპედიაში განთავსებულ გრაფ ვერნერ ფონ დერ შულენბურგის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ქართველ პოლიტიკოსებს თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის საჭირო დოკუმენტების შედგენაში ეს გერმანელი მოღვაწე ეხმარებოდა (10). საინტერესოა, რომ ამგვარ ინფორმაციას არ შეიცავს იმავე ელექტრონულ ენციკლოპედიაში მოძიებული შულენბურგის ბიოგრაფიის არც გერმანული და არც ქართულენოვანი

ვერსიები. სამაგიეროდ, ზურაბ ავალიშვილის ბიოგრაფიის შემდგენლები მიიჩნევენ, რომ ამ უკანასკნელს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შედგენაში კონსულტაციას გარაფი შულენბურგი უწევდა (11).

იგივე წყაროს მტკიცებით, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ბათუმში ზურაბ ავალიშვილმა შეიმუშავა და გადმოუგზავნა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, და რომ, „მცირე კორექტივების შეტანის შემდეგ, ეს ტექსტი დამტკიცებულ იქნა ეროვნული საბჭოს საგანგებო ყრილობაზე იმავე წლის 26 მაისს“ (12).

ქართულენოვანი თავისუფალი ელექტრონული ენციკლოპედიის თვალსაზრისი, რომ ეროვნული საბჭოს საგანგებო ყრილობამ (უნდა იყოს სხდომამ) მაინცდამაინც ზ. ავალიშვილის მიერ შემუშავებული დამოუკიდებლობის აქტის პროექტი მიიღო, დაზუსტებას საჭიროებს, რადგან ამის დამამტკიცებელი ცნობა დღემდე მიკვლეულ არც საარქივო მასალებსა და არც მემუარული ლიტერატურაში არ მოიპოვება.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის თანაავტორად დასახელებულია აგრეთვე ცნობილი ქართველი ეროვნული მოღვაწე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ბოლო წინამძღოლი კონსტანტინე აფხაზი (13). ზოგიერთი მკვლევარი უფრო შორს მიდის და წერს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი სულაც კოტე აფხაზის თავმჯდომარეობით შემუშავდა (13; 14). აუცილებელია აღინიშნოს, რომ არც ეს ცნობები შეესაბამება სინამდვილეს. ილია ჭავჭავაძის დისწულს, გენერალ კოტე აფხაზს ქართველი ერის წინაშე არაერთი დამსახურება მიუძღვის, მაგრამ დამოუკიდებლობის აქტის შედგენაში მისი მონაწილეობა პირველწყაროებით არ დასტურდება.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველა მათგანს საერთო არქიტექტონიკა აქვს: სახელმწიფოს პოლიტიკური იერსახისა და ღირებულებითი პრიორიტეტების განმსაზღვრელ კონკრეტულ მუხლებს წინ მცირე პრეამბულა უძღვის. ყველა პროექტის პრეამბულის პირველი წინადადება გვამცნობს, რომ საქართველო მრავალი საუკუნის განმავლობაში თავისუფალი იყო და საკუთარი სახელმწიფოებრიობა გააჩნდა. მომდევნო რამდენიმე აბზაცი რუსეთთან საქართველოს დამოუკიდებულებას მიმოიხილავს, ბოლოს კი მოკლედ აღნიშნულია ის წინამძღვრები, რომლებმაც ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და სუვერენიტეტის განახლება განაპირობეს.

თითოეულ პროექტში ხაზგასმულია, რომ სუვერენულ უფლებათა წყარო საქართველოს ტერიტორიაზე მთელი ქართველი ერია (დოკუმენტების თანახმად – „საქართველოს ხალხი“, „საქართველოს ერი“), ხოლო ახლად შექმნილი სახელმწიფოს პოლიტიკური ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ოფიციალურ ვერსიაში (მუხლი 3), ასევე აქტის ნიკო ნიკოლაძისეულ ხელნაწერ ვარიანტში (მუხლი 3) მითითებულია, რომ საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა. ჩვენს მიერ ზურაბ ავალიშვილის პროექტად ნაგულისხმევი დოკუმენტი ნეიტრალიტეტის შესახებ მუხლს არ შეიცავს, პირიქით, აქ ეროვნულ საბჭოსა და დროებით მთავრობას პირდაპირ ევალებათ, „დაიცვან სამხედრო ძალებით საქართველოს საზღვრები“.

დამოუკიდებლობის აქტის არც ერთ პროექტში საქართველოს საზღვრები აღწერილი არ არის. შესაძლებელი იყო, სრულად თუ არა ზოგად ხაზებში მაინც, მიეთითებინათ რა ტერიტორიაზე ყალიბდებოდა ახალი ქართული სახელმწიფო, რომ ეს იყო საქართველოს ისტორიული სივრცე, მაგრამ, როგორც ჩანს, ანგარიში გაუწიეს არსებულ ვითარებას. საქმე ის არის, რომ ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკის არსებობის მოკლე პერიოდში ვერ მოხერხდა რეგიონის დომინანტი ერების საზღვრების სრული და მკაფიო გამიჯვნა. სომხებიცა და აზერბაიჯანლებიც საქართველოს მის კუთვნილ მიწა-წყალს ეცილებოდნენ და დავა ჯერ დამთავრებული არ ყოფილა. უნდა ვიფიქროთ, დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორები მოერიდნენ მეზობლებთან მდგომარეობის გართულებას, მით უფრო, რომ დამოუკიდებლობის აქტი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებაა ითვალისწინებდა.

წყაროები და ლიტერატურა:

1. პ. ცნობილამე, კონსტიტუციური სამართალი, ტომი I, თბ., 2004, გვ. 95.
2. სცსსა, ფ. 1836, ანაწ. 1, საქ. №49, ფურც. 4.
3. ნ. ჟორდანიას, ჩემი წარსული, თბ., 1990. გვ. 89-90.
4. კ. ინასარიძე, პატარა „ოქროს ხანა“, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, 1918-1921, რადიოდოკუმენტაცია, მიუნხენი, 1984, 76-77.

5. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925, გვ. 84.
6. სცსსა, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. № 189, ფურც. 1.
7. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921, თბ., 1990, გვ. 5-6.
8. ო. ჯანელიძე, ნიკო ნიკოლაძე. ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები, თბ., 1998, 25).
9. ო. ჯანელიძე, თამარ მეფის ორდენის კავალერი, ჟურნ. „ომეგა“, 2003, №8, გვ. 80-81.
10. http://ru.wikipedia.org/wiki/Шуленбург,_Вернер_фон_дер
11. http://ka.wikipedia.org/wiki/ზურაბ_ავალიშვილი
12. <http://sakartvelos-tavadaznauroba.ge/masalebi.php>
13. <http://matiane.wordpress.com/2009/08/30/kote-abkhazi/>
14. <http://geoarmylibrary.ucoz.net/load/2-1-0-12>

რეზიუმე

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 1918 წლის 26 მაისს ქვეყნის ეროვნულმა საბჭომ მიიღო. დღემდე ცნობილი იყო ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის მხოლოდ ოფიციალური ვერსია და მისი რამდენიმე დამატება. ავტორმა ერთ-ერთ სიძველეთსაცავში საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ორი განსხვავებული პროექტი აღმოაჩინა. მათგან ერთი ნიკო ნიკოლაძის, ხოლო მეორე ზურაბ ავალიშვილის მიერ შედგენილ პროექტადაა წარმოჩენილი.

სტატიაში უარყოფილია თვალსაზრისი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შედგენაში მონაწილეობდნენ გერმანიის წარმომადგენელი საქართველოში გრაფი შულენბურგი და კონსტანტინე აფხაზი.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტების შედარებით ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველა მათგანს საერთო არქიტექტონიკა აქვს, თუმცა ტექსტები ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება. არც ერთი პროექტი შინაარსით სრულად არ ემთხვევა ასევე არც საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ოფიციალურ რედაქციას.

ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ ფორმად ყველა პროექტი დემოკრატიულ რესპუბლიკას განსაზღვრავს. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ოფიციალურ ვერსიაში (მუხლი 3), ასევე აქტის ნიკო ნიკოლაძისეულ ხელნაწერ ვარიანტში (მუხლი 3) მითითებულია, რომ საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა. ზურაბ ავალიშვილის პროექტად ნაგულისხმევი დოკუმენტი ნეიტრალიტეტის შესახებ მუხლს არ შეიცავს, პირიქით, აქ ეროვნულ საბჭოსა და დროებით მთავრობას საქართველოს საზღვრების სამხედრო ძალებით დაცვა ევალებათ.

THE PROJECTS OF THE ACT OF GEORGIA'S INDEPENDENCE

Otar Janelidze, Ilia State University, Doctor

SUMMARY

The National Council of the country adopted the Act of Independence of Georgia on May 26, 1918. Until the present day only the official version of this most important document and its several additions were known. The author has discovered two different projects of the act of Georgia's independence in one of the archives. One of them is presented as the project of Niko Nikoladze, and the other as that of Zurab Avalishvili.

The point of view that the representative of Germany in Georgia Friedrich-Werner, Count von der Schulenburg and Konstantine Apkhazi took part in the compilation of the Act is denied in the article.

The comparative analysis of the projects of the act of Georgia's independence makes it clear that all of them have common architectonics, though the texts differ perceptibly. Neither of these projects coincide. They do not coincide with the wording of the official act of Georgia's independence either.

All of these projects consider a democratic republic to be the political form of the newly created Georgian state. The official version of the Act of Georgia's Independence (article 3), as well as Niko Nikoladze's handwritten variant of the act (article 3) point out that Georgia is permanently a neutral country in international warfare. As for the project, considered to have been compiled by Zurab Avalishvili, it does not contain the article concerning neutrality, on the contrary, it says that the duty of the National Council and the Provisional Government is to defend the frontiers of the country with military forces.



გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0179, 0. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge